780
1993

ISSN 0134-9848

სუნგი

1993/1

იანვარი — თებერვალი

სარკე

1993/1
ეროვნული ბიბლიოთეკა
ივნისი
თებერვალი
(108)

შინაარსი

პროზა და პოეზია

ვალერია ალფეევა. ჯვარი. მოთხრობა. თარგმნა ცირა ინწკირველმა 3

რუბოკი ზო. ლექსები. თარგმნა შოთა ინწკირველმა 110

ლეონარდო შაუა. ლვინისფერი ზღვა. იტ ლიფურიდან თარგმნა ნუნუ გელაძემ 122

გაბრიელ გარსია მარკესი. საზღვაო კატასტროფაში მოხვედრილი კაცის ნაამბობი. ესპანურიდან თარგმნა თეა გვახალიამ 189

იური სბიტნევი. კანონს გარეშე. მოთხრობა. თარგმნა ნინო ხამუკაშვილმა 190

სერგეი ზალიგინი. ბმკ-ს პრესკონფერენცია. მოთხრობა. თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ 222

წერილები

ხოსე ორტეგა ი გასეტი. მასების ამბოხი. ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ 238

გაგა შურღაია. დიალოგი ალფონსო გერარდინელისთან. „ახლა ვცხოვრობთ მუდმივად არსებულ აწმყოში“. 270

ჩარლზ ფიორე. ალან ლანდსბერგი. „ბზად რიჩმონდისაკენ“. თარგმნა დურმიშხ ნ გრიგალაშვილმა 281

რუსუდან ციხითათრიშვილი. გოეთე და ფოიგტვანგერი. 311

ნანა ციხისთავი. ფრანგი განმანათლებლები და XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართველი განმანათლებელი. ალექსანდრე ამილახვარი. 316

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1993 № 1

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

ბიბი ძნელაძე
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ნანა დარჩია
(პასუხისმგებელი მდივანი)

ხარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
ეზიზ ბაირაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნოდარ გურევიძე
ვაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი ფანჯიკიძე
ნიკო ჯიანაშვილი
დავით ფერედიანი

მხატვარი ავთანდილ ვართაგავა. ტექნიკური რედაქტორი ნანა ბართაია.

გარეკანზე: ლოვის კორინი. (1858—1925) დედა და შვილი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. **ტელეფონები:** მთავარი რედაქტორის 93-38-10, რედაქციის — 99-73-41.

გად. წარ. 27. 01. 93 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 18. 03. 93 წ., ქაღალდის ზომა 70X108 1/16
სააღრ. თ. 25,51, სასტ. თ. 28. ტირ. 3000, შეკვ. № 177.
ფასი ღა მან.

**საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ხელოვნება" სტამბა,
380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.**

ვალერია ალფეევა

ჯვარი*

ვუძღვნი ვაჟიშვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა **ცირა ინწკირველმა**

ჰერმანეუტიკისა (მეცნიერება, რომელიც განმარტავს საღვთო წერილს) და ჰომილეტიკის (ღვთისმეტყველების დამხმარე მეცნიერება, რომელიც ეკლესიური დიალოგის თეორიას განმარტავს, ისტორიამ არ იცის შემთხვევა, როცა სამონასტრო კომპლექსის მეთაური რელიგიურ საკითხებზე სერიოზულად ესაუბრებოდეს ღედაკაცს. თანამედროვე რუსი მწერლის ვალერია ალფეევას ვრცელი მოთხრობა „ჯვარი" სწორედ ამ თემისადმია მიძღვნილი, ქართველი მკითხველისათვის ალბათ განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ ამ უპრეცედენტო დიალოგის ადგილად მწერალმა აირჩია საქართველო—ქვეყანა, რომლის განმანათლებელია ქალწული — წმინდა ნინო. ესეც ენიკალური შემთხვევაა ქრისტიანობის ისტორიაში. მწერლის ვაჟიშვილი, ვისადმიც არის მიძღვნილი ეს მოთხრობა და ვინც თავად არის ამ მოთხრობის ერთ-ერთი გმირი, დღეს ბალტიისპირეთის ეკლესიის წინამძღვარია. ვ. ალფეევა სიწრფელით გვიხატავს ადამიანის ღმერთთან მისვლის გზას — ქრისტიანულ რელიგიასთან გონებით ზიარების ურთულეს გზას.

„სასძლოსა შენსა ვხედავ, მაცხოვარ, შემკობილსა;
სამკაული არა მაქუს, რათა შევიდე. განაბრწყინენ ლამპარი სელისა ჩემისა, ღმერთო ჩემო, და მაცხოვნე მე".
ვნების ხუთშაბათის „განმანათლებელი"

ჯამა დავითი მონასტერში მიგვიძღოდა.

ბევრი ვიარეთ მანქანით, როცა სამანქანო გზა დამთავრდა, მწვანე მინდორი გადავჭერით ტყის მიმართულებით. ტყის მიღმა ლურჯად ხასხასებდა შორეული მთები. ივლისის დილა წყნარად ივსებოდა მზის შუქით და ზაფხულის ხვატით.

ჯინსებსა და კუბოკრულ პერანგში ჩაცმული ყლაპწვერა, მძიმე ზურგჩანთააკიდებული ჯამა დავითი მდელოზე დინჯად მოაბიჯებდა ჩემსა და ჩემს ვაჟიშვილს შუა ჩამდგარი და გვიამბობდა, როგორ მსახურობდა ჯვრის მონასტერში მორჩილად.

— ცოლი მიბრაზდებოდა: „შენ რაო, მონასტერში გინდა წახვიდე?" ვეუბნები: „მინდა, აბა, რა, როგორ არ უნდა მინდოდეს". „გინდა და შეგიძლია მიბრძანდე, მე როდი დაგიჭერ".

დატოვა ცოლი, სამი შვილი და დადგა მორჩილად. ჰოდა, შეიტყო მაშინ, როგორ ერეკებიან ბერებს ეშმაკები წუთისოფლიდან. გამუდმებით სტანჯავდა დარდი მიტოვებულ ოჯახზე. ღამღამობით აღვიძებდა შიში: ეჩვენებოდა,

---

* ავტორის მიერ აქ სიმბოლოთ აღწერილი ტაძარი, როგორც თვითონ წერს, XII საუკუნის ორბელიანთა საგვარეულო სალოცავია, მაშასადამე, ეს არის ბეთანია და არა ჯვარი. ვფიქრობ, ქართველ მკითხველს არ გაუჭირდება არც იმისი მიხვედრა, თუ რომელი სამონასტრო კომპლექსის პორტალზეა ამოკვეთილი ქართული სახელმწიფოს გერბი — ჯვარი წრეში; და არც ის მიზეზთა ამოცნობა, რომელთა ძალითაც ავტორს მიზანშეწონილად მიუჩნევია მოთხრობის სთაურად სრულიად სხვა სამონასტრო კომპლექსის სახელწოდების გამოტანა (მთარგმნელის შენიშვნა).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს უბედურება დაატყდათ და სანამ გვიან არ არის, საჭიროა ჩემი შინ ჩასვლაო. ილუმენთან ერთად ჩავიდა ცოლთან მოსალაპარაკებლად.

— ეუბნება მამა მიქელი ჩემს ცოლს, თამარს: „დავითი კი დადგება კარგი ბერი, მაგრამა შენ როგორ გაზრდი მარტოკა სამ შვილს? იქნებ ცხელ გულზე გამოუშვი?“ ჩვენთან, ქართულ ეკლესიებში ასეთი წესი გვაქვს: ცოლ-შვილიანი კაცი მონასტერში მხოლოდ იმ შემთხვევაში [illegible] ბერად, თუ ცოლი არ არის ამისი წინააღმდეგი. ცხადია, ცხელ გულზე გამოშვებ, გულ-მოსულმა. არც მე არ უნდა დამეტოვებინა ოჯახი. უფროსი ვაჟიშვილი ოთხისა იყო.

— აღარ გინდათ მონასტერში ყოფნა?

— მონასტერში ყოფნა მუდამ მინდა, მაგრამ უნდა დავიცადო ათი-თხუთ-მეტი წელი — ვიდრე შვილები დამეზრდებიან.

ოჯახში დაბრუნების შემდეგ პირველად გაბედა ჯვარის მონახულება. ის უკვე მღვდელი იყო.

გზა ძირძველი თელების მწვანე თაღქვეშ მიიკლაკნებოდა. ოდესღაც ამ გზით ამოდიოდნენ ურმები მონასტერსა და შემოგარენ სოფლებიდან, დიდი ხნის მიტოვებული გზა შარშანდელი, ობმოდებული ფოთლების ხალიჩით იყო მოგებული.

ეს გზაც დამთავრდა. ამას იქით მშრალ ტყეში გაკვალული მშრალივე ბილიკებით მივიწევდით უღელტეხილისაკენ.

ასე საათნახევარში გავედით უღელტეხილის ვიწრო ყელზე, რომელიც ხიდივით იყო გადებული ხეობებს შორის.

ჩვენ ქვემოთ სილრმეში შავ წერტილად ირაოს არტყამს ორბი. ეს სიმაღლე მხოლოდ მისთვის არის მისაწვდომი. დაბლა, ხეობის სილრმეში თითქოს უძრავ ბრჭყვიალა ზოლად დახვეულა მდინარე. დაუშორიშორებია ტყით შეფენილი ფერდობების კალთები.

მარცხნივ ვიწრო ხეობას მთლიანად დაპატრონებია ხშირი ტყე. ტყის მოპირდაპირედ თხემზე წყვილი ჩინარი დგას — კურდღლის ყურებს ჰგვანან, ხეებს ქვემოთ მინდორია დაცემული, ეული სახლით და თივის ზვინებით.

მამა დავითი ამბობს, ამ ჩინარებს მართლა „კურდღლის ყურებს“ ეძახიანო, გარშემო, გვარიან ადგილზე ძეხორციელის ჭაჭანება არ არის. ტყე ისეთი ულრანია, რომ წახვალ და აგრეც შეიძლება ველარც დაბრუნდე. შარშან მონასტრიდან წასულა ხანში შესული კაცი, რესტავრატორი. გზადაბნეული ოც დღეს დაეხეტებოდა მთებში. ვერც ღამის გასათევი უპოვია და ვერც გზა. სული რომ ამოხდენია, იმის მეორე დღეს იპოვეს თურმე. ერთხელაც, ყმაწვილ დიაკვანს ჯვარზე მარტო ასვლა განუზრახავს და ამ უღელტეხილს მომწყდარი, გადაჩეხილა.

დგას კაჭარზე მიყრდნობილი უფსკრულის თავზე და ქვემოთ იცქირება თმაგადახუნებული წელწვრილი ბიჭი, თავზე კამკამა ლაჟვარდი ცა დასცქერის.

— ცოდოა, — ამბობს ის, — ბერად აღკვეცაც არ დასცალდა.

მამა დავითმა თავი ასწია.

— შენა გგონია, მღვდელი თუ გახდი, შეიძლება მოკვდე კიდეც?

ზურგჩანთა ზეზეურად მიაყრდნო ხის ტანს. შუბლზე ღვარად სდიოდა ოფლის მსხვილი წვეთები.

მამა დავითის ზურგჩანთაში ერთად ვტენიდით ცხელი პურის კვერებს, შა-

ქარს, ჩაის, ბურღულეულს, ხორცის სუპის პაკეტებს — მონასტრის ძაღლებისათვის.

ვისვენებდით. ის კი გვიამბობდა, როგორ მოინახულა პირველად ჯვარი ამ ოცდაათ წლის წინ. მეგობართან ერთად იარა მთელ დღეს. გზა დაებნათ, ქანცგაუწყდათ და აღარ ჰქონდათ იმედი, რომ მიაგნებდნენ მონასტერს და მაშინ გამოვიდნენ უღელტეხილზე. უღელტეხილი სახიფათოდ ციწრო ეჩვენათ. მეგობარი მარტო გაეშურა იმის სანახავად. თუ რა მოჩანდა უღელტეხილის ოქით, მერე დაუძახა.

— სექტემბერი იდგა... ხეობებში უკვე ბნელოდა. მზე მონასტრის მიღმა ჩადიოდა. ირგვლივ ატეხილი ტაფა-ჭალა ყვითლად, წითლად, მწვანედ ღუოდა. ტაძარს სახურავი დაეანგებოდა. დაისის დაფიონში ისიც ოქროსი ჩანდა...

როცა დუმს, მღვდლის სახე თითქოს შიგნიდან არის დახურული, ვიდრე შიგნიდანვე ყურადღებიანი მზერით არ განათდება. მის თვალებში ახლა თითქოს ისევ ირეკლება მაშინდელი დაისის დაფიონი.

— მე ვთხოვ იღუმენს თქვენზე, ვერონიკა... მაგრამ, მგონია, რომ ეს ვერ გიშველით. გამონაკლისად ჩაითვლებით უკვე იმიტომ, რომ ჩემთან ერთად მიხვალთ იქ. იღუმენი არავის რთავს იმის ნებას, რომ აქ ქალებთან ერთად ამოვიდნენ. საკუთარ დედას მხოლოდ ოცი წუთით იღებს ხოლმე. აბა რალაა ის მონასტერი, სადაც დედები, დები, მეგობრები დაიარებიან?

მეც ვიცი. მაგრამ ჯვარში მაინც იმის იმედად ავდივარ, რომ დავრჩე იქ, თუნდაც რამდენიმე დღით.

ეს აღრეც დამმართნია: მთელი სიცოცხლე ერთადერთ, აგრეც აუხდენელ სურვილამდე დასულა. ხოლო მე ასე მეჩვენებოდა, ამ სურვილის აუხდენლად ველარ ვიცოცხლებდი.

ფრიალო ფერდობზე მამა დავითი წინ მიდიოდა. მერე მთელი გზის მანძილზე პირველად შეჩერდა; ზურგჩანთა მოიხსნა და ხეებს შორის ქვევით მზირალმა პირჯვარი გადაისახა.

ხრამის პირად მის გვერდით დავდექით. ჩვენ აღმოვჩნდით თითქმის ტაფა-ჭალის განაპირას, იგი მთელ ამ ნათელ მთის შემოგარენს კეტავდა. ხეობის ზემოთ იდგა გამჭვირვალე ლაჟვარდი, რომელსაც ღრუბლის ჭულები სერავდა. ტაფა-ჭალის შუაგულში მთები ეშვებოდნენ მწვანით აბიბინებულ ფერდობებად, შვერილებად, ყვითელ ხრამებად. და იქ, ხილული სამყაროს ცენტრალურ წერტილში, მწვანე მდელობზე იყო აღმართული ნათელი ტაძარი. მაღალი ბარაბანითა და პირამიდალური გუმბათით. ტაძარი თავისთავად ამთავრებდა ამ ხვატით, მზითა და სიწყნარით აღსავსე სივრცეს, იყო ამ სივრცის გააზრება, მანათობელი გულისგული.

— აქედან რომ დაიყვირო, გააგონებ იქ... — მამა დავითმა პირთან მიიტანა ხელისგულები. — მამაო მიქელ! მამაო მიქელ!

მხოლოდ შორეული ექო გამოეხმაურა.

ბილიკები კარგა ხნის დამშრალი ნაკადულის ვიწრო სარეცელს ერწყმოდა. თოვლი რომ იწყებს დნობას, წყალი ხევში ამ ბილიკებით მიექანება, მიარღვევს ფერდობის ქვის კალთებს და მასზე საფეხურებიან ტერასებს სტოვებს. ახლა კი ვეშვებით წყლის დამშრალი კალაპოტით, გაშიშვლებულ ხის ფესვებს ვეჭიდებით, და ორივე ნაპირს ვეყრდნობით, ორივე ნაპირის ქვალორღში ერთდროულად გაუდგამს მას ძირი.

ანკარა ნაკადულის თავთხელი წყალი ხეობის ფსკერზე მოედინებოდა. აქ უკანასკნელად ამოვაღებინეთ მუხლებს ქარი და ხელბარი დავიბანეთ. მოპირდაპირე ფერდობის აღმართიღა გვრჩებოდა ასავლელი.

ჭიშკარი დაგმანული დაგვხვდა. გალავანს ავყევით, კუტიყარით შევედით და თავი ამოვყავით ძველი სახლის ღია ტერასზე, მეორე სართულზე. ქვის კიბით დავეშვით დაბლა.

მამა დავითი რამდენიმე ნაბიჯით დაწინაურდა. [illegible] შეხვდნენ ისინი ერთმანეთს.

როცა ჩვენც სატრაპეზოში შევედით, ბერ-მონაზონთა სამოსელიანი სამი მამაკაცი უკვე ფეხზე იდგა. ის იყო ამდგარიყვნენ სუფრიდან. მცხუნვარე დღის შემდეგ სატრაპეზო სანახევროდ ბნელი ჩანდა. ჩემთან ყველაზე ახლოს მაღალი, გამხდარი ბერი იდგა. ნაქსოვი ქილეტი ეცვა და ოდნავ გვერდზე მოქცეული ჩაჩი ეხურა. მოთხილამურის ქუდს ჰგავდა. კეთილმოსურნედ გამიღიმა. ახლო-ახლო ჩამჯდარი მისი თვალები ცხოველი ინტერესით მითვალთვალებდნენ.

უსიტყვოდ დავხარე თავი და კურთხევისათვის მივეახლე.

მაკურთხა, ოღონდ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ამ დროს, საკოცნელად ხელი არ გამოუწვდია, მხოლოდ ხელისგულით მსუბუქად შემეხო თავზე და ასეთნაირადვე მიკურთხა შვილიც.

სუფრას მივუსხედით, სუფრის თავში იღუმენი, მის გვერდით — მამა დავითი — ჩემს მოპირდაპირედ — ნახშირივით შავთვალებიანი, ხშირწვერიანი ბერი, რომელმაც მთავარი დაკონ ბენედიქტედ გაგვაცნო თავი. ფეხზე იდგა მხოლოდ ტანდაბალი მორჩილი, ისიც შავთვალება და შავწვერა იყო. არახჩინი ეხურა, მღვდლის ქვესაცმელი ეცვა, ზედ ტყავის სარტყელი ჰქონდა შემორტყმული.

ფიცრის გრძელ მაგიდასა და მის აქეთ-იქით სწორსაზურგებიან, ჩამუქებერი, რომელმაც მთავარდიაკონ ბენედიქტედ გაგვაცნო თავი. ფეხზე იდგა მსხვილად დახეული ლავაშით თავმოდგმული თიხის ლანგარი. მურაბის თავახდილ ქილაში კელა ბზუოდა.

მამა დავითმა რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა ქართულად. იღუმენმა წარბები ოდნავ აწკიპა და თავი დახარა. ისევ ისე კეთილმოსურნედ, გულღიად, ოდნავ დამცინავად მიცქეროდა.

— მწერალი, — ისე გაიმეორა, თითქოს ნათქვამი თარგმნა. — კარგია. შეგიძლიათ სხვებს უწილადოთ, რაც შეგიძენიათ...

სიტყვებს სიფრთხილით ეძებდა, პოულობდა, სწორ ინტონაციას ირჩევდა.

— სამწუხაროდ, არაფერი გამაჩნია ისეთი, სხვებს რომ ვუწილადო. — მღელვარებისაგან ღიმილს ღიმილითვე ვერ ვუპასუხე და კიდევ იმიტომ, რომ მაშინვე ძალზე მნიშვნელოვანი საუბარი გაიბა. — მე მხოლოდ გავარკვიე ყველა ის საკითხი, რომლებიც გზას მიღობავდა რწმენისაკენ, და დავინახე, რომ შ ე მ ი ძ ლ ი ა ვპოვო იგი. ოღონდ ჯერ არაფერი გამაჩნია.

მორჩილი მაგიდაზე მოზრდილ ქვაბს დასწვდა. კერძი შესაცხელებლად წაიღო.

— მადლობა შესწირეთ ღმერთს, ეს რომ დაინახეთ. რამდენ ადამიანს აქვს დღეს თვალი და ვერ ხედავს. ასხია ყური — და არ ესმის...

— და არ შესთხოვენ მას რომ განკურნოს იგინი... — განვაგრძე მე წინასწარმეტყველ ესაიას ტექსტის მიხედვით. — მაგრამ გაიგო ეს — ნიშნავს დადგე

ზღურბლთან. ამას კი უნდა მოჰყვეს მოქცევა. განკურნება. რას მარგებს ცოდნა იმისა, რომ უნდა მიყვარდეს ადამიანები, თუკი არ შემიძლია მიყვარდეს ისინი? ანდა ის, რომ მესმის — ლოცვა ღმერთთან ზიარებაა, ცხოვრების გულისგულია. მე კი არ გამაჩნია ჩვევა ვლოცულობდე.

— ღმერთს უნდა მადლობდეთ და გიხაროდეთ — მშვიდად მომიგო მამა მიქელმა. — არ შეიძლება ნიადაგ მიწიერი რჩებოდეთ. თქვენს თავს ისევაც მოწეული სასწაული...

— დიახ, სასწაული... — უკვე გულმხურვალედ გამოვეხმაურე მე. — ასეც ვცხოვრობთ წლეულს დედა-შვილი, — შევხარით და ვმადლობთ ღმერთს.

— ამ განწყობილებას... ვაჟიშვილიც იზიარებს?

— იზიარებს... — სერიოზულად და აჩქარებით მიუგო ჩემმა შვილმა.

ყველას გაეცინა.

მორჩილმა წინ დაგვიდგა ქვაბი და სუფთა ჯამები დაგვირიგა.

— არ გაგიცივდეთ წვნიანი... — წამოდგა მამა მიქელი. — და მოგვიტევეთ. ბერებთან არ არის მიღებული დედაკაცებთან ერთად სადილობა. — ტრაპეზსაც აქვს მისტერიალური აზრი. ისადილეთ. ნასადილევს კიდევ ვისაუბრებთ. შეცვლით კი შეიცვლებით უსათუოდ. სხვა გზა აღარა გაქვთ. ველარ მოისვენებთ სხვაგვარად. ახლა თავიდან უნდა დაიწყოთ ცხოვრება.

— სწორედ ამისთვის მოვედით თქვენთან.

ის ზღურბლზე შეჩერდა. ჩაჩის წვერი წირთხლს სწვდებოდა. შეჩერებულმა ორივეს ყურადღებით შემოგვხედა, გაიღიმა და გავიდა.

მამა დავითმა ქართულად თქვა ლოცვა: „მამაო ჩვენო“.

— „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“

ეს იყო პირველი სიტყვები, რომლებიც ქართულად ვისწავლე.

წვნიანი ჯამფილებში დავასხი, პირველად მამა დავითისათვის. მერე ჩემთვის. მომწვანო ფერის წვენში პარკი ლობიოს, კარტოფილის, სტაფილოს ნაჭრები დაცურავდა.

— ეგ არჩილის, ჩვენი მორჩილის მოხარშული კერძია, — აგვიხსნა მამა დავითმა, როცა ყველა გავიდა. გვაწონებდა წვნიანს.

— არა უშავს რა, კურთხეული საზრდოა, — მიუგო მიტიამ.

სამაგიეროდ ძალიან გემრიელი იყო ლავაში, მწვანილი, დაჭრილი კიტრი და პამიდორი. არჩილმა მოიტანა და გახსნა შესქელებული რძის ქილა და მას მერე, რაც მამა დავითი წავიდა, ჩვენ კარგა ხანს შევექცეოდით ჩაის, დიდი ხნის წყურვილს ვიკლავდით, სულს ვითქვამდით სიცხისაგან.

შუქი შემოდიოდა კარის ჭუჭრუტანებიდან, ხარიხაკრული ფანჯრიდან, რომელიც ბალახმორეულ მონასტრის ეზოში გადიოდა. მიმოვიხედეთ. კუთხეში პატარა, შემინული კარადა იდგა ხორაგისათვის. კარის მოპირდაპირედ — ხის ტუმბო და ვიწრო ძელსკამი, კედელთან მიეწყოთ ლეიბები და საბნები, ზედ ფარდაგი იყო გადაფარებული. როგორც ჩანს, მონასტრის მომავალ ბინადართათვის იყო გამზადებული. მაგიდის თავზე ეკიდა სამი პატარა ხატი, ლითოგრაფია ყაზანის ღვთისმშობლის გამოსახულებით. ყველაფერი, ორსანთლიანი, ნაღვენთდაკრული შანდლებიც და თიხის დიდი დოქებიც, იყო უბრალო, სადა და თითქოს უკვე ნაცნობი.

ჩრდილში გამოვედით და ბოძებზე დაყრდნობილი ტერასის ქვეშ დავსხედით. ჩრდილის ზოლს მიღმა ღეროებზე ასხმული ნახევრად გამჭვირვალე კელაპტრებივით ენთო ბალბის ყვითელი ყვავილები.

ჯვარი ვეებერთელა იყო. ახალთახალი თუნუქის ბზინვარე სახურავის კლაკნილები, ტეხილად აჰყურებდა ფიჭვის კენწეროებს, ხოლო გუმბათი ღრუბლებში ლივლივებდა.

ტაძარი შიგნიდან მთლიანად ხარაჩოებში იდგა. საკურთხეველისგან გამოცალკევებულ ნაწილში ხარაჩოებქვეშ მიტიამ ფისგარმონია შენიშნა. სახურავი ახადა და გუმბათქვეშ მძლავრი ხმები ახმიანდა.

— ფისგარმონია შეიძლება ეს წელს იდგეს და აწყობლ[illegible]ესტრდეს... — ბიჭი სამრეკლოსკენ ზურგშექცეული დაჯდა და სიამოვნებით მიეცა იმპროვიზაციას.

იქვე, მის გვერდით მოვიკალათე ფიცარნაგზე.

სარკმლის ღიობიდან შუქის ხოლი ეცემოდა და საჩინარს ხდიდა ფრესკის ნაწილს.

მთავარდიაკონი ბენედიქტე შემოვიდა და ფისგარმონიის გვერდით ჩაცუცქდა კედელთან. იჯდა ისე გაუნძრევლად, გაეჩაჩხა მუხლებში მოხრილი ფეხები. იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო და ხელის თითები გადაეჯვარედინებინა. ოდნავ შუბლქვეშ იყურებოდა და მისი ქუფრი მზერაც თითქოს რაღაცაზე იყო მიშტერებული, ჩვენ ის არ გვეხებოდა. შუბლთან ძალზე შემელოტებული თავი, ძგიდესთან ჩაჭყლეტილი ცხვირი, მსხვილი ხვეული თმა და წვრილი ხუჭუჭი შავი წვერი — ამ სახეში იგრძნობოდა ხასიათი, თან, მეტყველიც გახლდათ, ოღონდ მისი გამომეტყველება გაუგებარი იყო ჩემთვის. გახუნებული ველვეტის ანაფორა ეცვა. ოდესღაც ლურჯი ანდა იისფერი იქნებოდა, მაგრამ ფერი დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა.

ანაფორის საყელოდან პერანგის შესაბნევი თასმები მოუჩანდა. ფეხსაცმელი გახუნებული ეცვა, დამსკდარი, გაქერცლილ-გაქერავებული.

— შეგიძლია დაუკრა რაიმე იმდაგვარი, რასაც ჩემს პანაშვიდზე დაუკრავენ?... —იკითხა მან ანაზდად.

— არა...

— შენ ჯერ არაფერი გაგეგება დასაფლავებისა... რამდენი წლისა ხარ?

— მალე თექვსმეტისა გავხდები.

მამა ბენედიქტემ ორჭოფულად გადააქნია თავი, თითქოს მეტს მოელოდა ბიჭისგან. პაუზების შიგადაშიგ ერთმანეთს ამგვარად შეეხმიანებოდნენ ხოლმე. მალე მიტია მუსიკამ გაიტაცა — მას შეეძლო საათობით დაეკრა. თავი მივაბრუნე და აღმოვაჩინე, რომ ხარაჩოების დაბალ ხარიხაზე იჯდა იღუმენიც და უსმენდა, ლოყის ქვეშ მუშტამოდებული, მის გვერდით მამა დავითი იდგა. მიტიამაც შენიშნა ისინი.

— დაუკარი, დაუკარი, ნუ მოსწყდები, — უთხრა იღუმენმა.

მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მალე ყველანი მოვწყდით სასმენელს.

ერთად ვიდექით ხარაჩოებქვეშ და ახლა მამა მიქელს ვუსმენდით. იგი ყვებოდა, რომ ტაძარი ჯერ კიდევ მეფე თამარის ზეობაში აშენდა, მეთორმეტე საუკუნეში. კარის ერთი ფეოდალი, ბრწყინვალე თავადი ორბელიანი მონაწილეობდა მეფის საწინააღმდეგო შეთქმულებაში. შეთქმულება გამოაშკარავებულა. თავადი აიძულეს ბერად აღკვეცილიყო და აქ გადმოასახლეს. იმ შორეულ დროს რწმენა მტკიცედ იყო ფესვგადგმული და თავადი იმის მიუხედავად, რომ აღკვეცის აღთქმა იძულებით მიაცემინეს, თავს ღვთის წინაშე ვალდებულად თვლიდა დაეცვა იგი. ჯვარი მან თავისთვის ააშენა და მაშინ ის ერთ-ერთი უმდიდრესი მონასტერი იყო.

— ახლა კი, თუ სურვილი გაქვთ, მის სენაკს დაგათვალიერებინებთ.

ტაძრის კედლის დაყოლებით მინაშენისკენ წავედით. ბენედიქტემ გასაღებები მოიტანა და მძიმე კარი გაგვიღო. გადააგორა ფიცრებისაგან შეკოწიწებული ძელნაგები — როგორც ლუკის თავსარქმელი. მის ქვეშ აღმოჩნდა სარდაფში ჩასასვლელი. იქ კადონებით ჩავეშვით და სრულ სიბნელეში აღმოვჩნდით. იღუმენმა სამ სანთელს მოუკიდა. უღონო შუქზე, რომელიც გარშემო ჩვენს უფორმო ჩრდილებს ფენდა, კედელში დატანებული ორმო გამოჩნდა.

— თავი დანარეთ და შედით შიგ. ნუ შეგეშინდებათ. იქ ის ასვენია, ნაპრებისაგან რაც დარჩა.

ამ მიწის ტომარაში დღის სინათლე სრულებით არ აღწევდა. მიტიამ სანთლის შუქი შემოატარა დაბალ ჭერზე, კედლის გასწვრივ, ფიცრის მოაჯირზე...

მოაჯირს იქით რამდენიმე თავის ქალა იდო. მათ ქვემოთ მჭრქალად ჩანდა თეთრი ძვლების გროვა.

— მალე ჩვენც ამად გადავიქცევით... — პირქუშად დაგვპირდა ბენედიქტე; როგორც ჩანს, იმქვეყნიური იუმორისადმი მიდრეკილება ჰქონდა. — აქაურობის ხშირ-ხშირად მონახულებაა საჭირო, თავს რომ არ გაგვივიდეს. ჩემთვის კი ის ჯობს, საერთოდ აქ დავრჩე.

— ეს გახლავთ თავადის სენაკი? — დაზუსტება მოინდომა მიტიამ.

— ეს ბერების სენაკია... — მიუგო იღუმენმა. — ასეთი სენაკები ესაჭიროებათ ბერებს, რომ მოსწყდნენ ამ წუთისოფელს... შენა, დიმიტრი, ისურვებდი აქ დაბანაკებას?

— ვისურვებდი... — ორჭოფულად მიუგო მიტიამ.

— ცუდია. ამაყი ყოფილხარ. ასეთი თავდადება აღემატება ჩვენს ძალღონეს. — მორიალე შუქ-ჩრდილში იღუმენის სახე ნაღვლიანი მეჩვენა.

— ამათ პანაშვიდი უნდა გადავუხადოთ...

დღის სინათლეზე გამოვედით. ტაძარში დავბრუნდით. ხარაჩოების ტყეში შეუძლებელი იყო ტაძრის მოხატულობის დათვალიერება. თავისუფალი კედელი ეჭირათ მხოლოდ წარბებგადაბმულ პირმრგვალ გვირგვინოსან თამარ მეფეს, ქტიტორს*, ხელში ტაძრის მაკეტით და დედოფლის ვაჟს. უცნაური იყო იმისი წარმოდგენა, რომ რვა საუკუნის წინ აქვე იდგა შერისხული თავადიც. რა თვალით შესცქეროდა იგი დედოფლის ფრესკას? ლოცვა-ვედრებით იმათზე, ვინც გაგვანაწყენა, ვისაც ვძულვართ? თუ უკვე ბედს შერიგებული და მადლიერების გრძნობით იმის გამო, რომ მეფის რისხვის სახით მასზედ აღსრულდა ღვთის ზენაარი ნება, ღვთის წინასწარგანზრახვა მის გამო, ვინც ოდესღაც ზვიადი, ბრწყინვალე თავადი იყო, დღეებს შეთქმულებებში, ნადიმებსა და ნადირობაში ფლანგავდა?

იღუმენმა გვიამბო, რომ იმ დროს საღებავებში ურევდნენ დაფხვნილ პატიოსან თვლებსა და მინერალებს, რის გამოც ფერები თითქმის ათასი წლის მანძილზე გაუხუნარი შემოინახა და არ დაიკარგა ფერთა სილამაზე. რესტავრატორები მხოლოდ ამაგრებენ კედლის მოხატულობას, რომ არ ჩამოცვივდეს. ისინი აქ შარშან მთელ ზაფხულს მუშაობდნენ. წელსაც უნდა ჩამოვიდნენ ორსამ დღეში.

მე და მამა დავითმა ერთმანეთს გადავხედეთ. ჯვარზე ამოსვლა რომ გადავწყვიტეთ, იგი მონასტერში ჩემი დარჩენის ერთადერთ შანსს რესტავრატო-

* ამგებს.

რებს უკავშირებდა. მათ შორის ორი ქალი უნდა ყოფილიყო. ჰოდა, ერთით მეტი ან ერთით ნაკლები სულ ერთი არ არის განა?

— ზევით, — მამა მიქელმა გუმბათზე მანიშნა, — ვნების ციკლია: „სეროობა", „ჯვარცმა"... — მოგვიანებით ახვალთ ალბათ მაღლა. რესტავრატორები აღტაცებულები არიან კედლის მხატვრობით, თუმცა მათთვის სახარებისეულმა სიუჟეტებმა დაკარგეს ღმერთთან კავშირი.

— ისევე როგორც მთელმა თანამედროვე ხელოვნებამ. [illegible] პავლე ფლორენსკი ამბობდა, რომ კულტურა — ეს ის არის, რაც ჩამოშორდა კულტს და ამიტომაც დაკარგა მასაზრდოებელი ფესვები... — ვთქვი მე. ილუმენის სიტყვებიდან ყველაზე უკეთ გავიგონე მოგვიანებითო. ნუთუ მართლა გვექნება ჩვენ აქ დრო მომავალი? — ფერწერა ეს ხელწერაა, რომელმაც დაკარგა ღმერთი. ასევეა ყოფა და სულიერი ცხოვრების მთლიანი წყობაც — ფორმები შენარჩუნებულია, გულისგული კი გამოხმა. როგორც კაკალს მოსდის ხოლმე. ნაჭუჭი მთელია, შიგ კი ნაყოფის ნაცვლად ნეშტი დევს, ფშუტეა...

წინათ ვნების ხუთშაბათს ადამიანები ფერადი ფარნებით დაიარებოდნენ. ტაძრიდან შინ მიჰქონდათ ანთებული სანთლები. ამ სანთლით მოუკიდებდნენ ხოლმე ლამპარს ნათელ კუთხეში. ლამპარის ცეცხლით ინთებოდა კერა, და წმინდავდებოდა სახლი და კერა, საზრდო და კერაზე მოხარშული კერძი, იკურთხებოდა მინდორი და მისი ნაყოფი და თვით ადამიანიც იკურთხებოდა ზიარებით ციურ ცეცხლთან, რომელიც ლიტურგიის დროს ციდან მიწაზე ეშვებოდა. და ცხოვრებისეული ყოველი მოვლენა იკურთხებოდა ღვთით — ნათლისღებით, ჯვრისწერით, მიცვალებულთა წესის აგებით...

— ასეთი იდილია არასოდეს ყოფილა, — სიტყვა მომიჭრა ილუმენმა.— საიდუმლოებანი მაგიურად ზემოქმედებენ. ადამიანიც რწმენით იკურთხება — ხდება ხოლმე, რომ კაცი განსჯით ეზიარება...

— რა თქმა უნდა, მაგრამ არც ასეთი უდაბნო იყო, ათასობით, ასი ათასობით კაცი არ ზიარებულიყო და არც სმენოდა, რა არის ზიარება.

თავისუფალი მეტყველების ნიჭს ვიძენდი და ჩემს სიტყვებს წინ სიცარიელე არ ხვდებოდა. აი, აქ აღსრულდებოდა ერთი იმ სასწაულთაგანი, რითაც ცოცხლობს ღვთისნიერი სამყარო: ჩვენ აქ ვიდექით დედამიწის განაპირას, მთებში მიმალულ ტაძარში, — ორი ქართველი ბერი, ქართველი მღვდელი, მე და ჩემი ვაჟიშვილი, მათ სამყაროში ეს-ეს არის შესულები, ბედ-იღბლის მთელი წყობით თითქოს სულ სხვა ბუნებისანი. ხოლო მე თანდათან ვრწმუნდები, რომ ჩვენ აქ როდი ვართ უცხონი, რომ ჩვენ ყველას, ამ ტაძრის ამშენებელ ბერად აღკვეცილ თავადთან ერთად გაგვაჩნია საერთო სამშობლო — ადამიანთა ზეციური მამული და რომ ჩვენ აქ უკვე შედუღაბებული ვართ არანაკლებ მტკიცე კავშირით, ვიდრეა ღვიძლი, ნათესაური სისხლხორცეული კავშირები.

— ახლა მომრავლდა ხალხი, განსაკუთრებით ინტელიგენტებში, რომლებიც ამბობენ, რომ სწამთ ღმერთი, მაგრამ არა ეკლესია, — ამბობს ბენედიქტე, — რითი ახსნიდით თქვენ ამ ამბავს?

— მათ არ სწამთ ღმერთი. არ სწამთ ქრისტე. ეს, უბრალოდ, არის გაურკვეველი შეგრძნება იმისა, რომ არსებობს რაღაც უფრო მაღალი, ვიდრე თვითონ არიან — მიღმა სამყარო. ხოლო რა სამყაროა ეს სამყარო და რისი დამტევია სიტყვა „ღმერთი" — ეს არის ზონა სრული შეუცნობელობისა და უცოდინარობისა.

ვლაპარაკობდი, იმაზე, რომ მეცნიერება დიდი ხანია, მიხვდა საკუთარი

შესაძლებლობების საზღვარს. იგი ვერ პასუხობს ყოფიერების მთავარ კითხვებზე. არ იცის არც სამყაროს დასაწყისი, არც ცხოვრების საიდუმლოებანი და არც მათი გამომწვევი მიზეზები. მაგრამ ღმერთის არსებობას დიახაც შერიგებული რაციონალიზმი კიდეეაც ცდილობს მის აბსტრაგირებას, პიროვნული, ცოცხალი ღმერთის შეცვლას უპიროვნო სულით ანდა აბსოლუტური იდეით, ყოველივე ეს არაფერს გავალდებულებს, ხოლო ბევრისათვის არ ... ცვლის.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თანამედროვე ცნობიერებისათვის გაცილებით ძნელია იწამოს ღმერთად ქრისტე, მიიღოს წმინდა ევქარისტიის საიდუმლო, ირწმუნოს, რომ პურის და ღვინის სახით ჩვენ ვეზიარებით მაცხოვრის სისხლსა და ხორცს.

— თქვენ იღებთ ამ საიდუმლოს? — მეკითხება მამა მიქელი.

— მადლობა ღმერთს, ახლა მე ეკლესიის ყველა საიდუმლოს ვიღებ. უკანასკნელი ხუთი წელი იმას მოვანდომე, რომ ვზიარებოდი მათ — თავიდან გონებით, მოგვიანებით გულით, ხორცით და სისხლით. და ახლა მთელი ცხოვრება გადამექცა საიდუმლოდ და საიდუმლოს გამოცხადებად.

იღუმენი იდგა, ხელით ჩემ ზემოთ ფიცარს დაყრდნობილი. ყურადღებით მიცქეროდნენ ჭკვიანი, ოდნავ დამცინავი თვალები.

— თქვენ მაღალ თემებზე საუბრობთ. ჩვენ კი აქ უბრალო ხალხი ვართ. მარტო ის ვიცით, როგორ ვიცხოვროთ, რომ ვიხსნათ სული.

გამეღიმა, რადგანაც ვიგრძენი, რომ მეტისმეტად ბევრს ვლაპარაკობდი.

აი მე კი სწორედ ეს არ ვიცი. ჩვენ ორივენი ვსაუბრობთ ზენა ამბებზე, მაგრამ თქვენ — ვითარცა მფლობელნი ძალაუფლებისა, ხოლო ჩვენ კი— ვითარც მწიგნობარნი.

მოეწონა, რომ ამას თვითონვე ვხვდებოდი.

იღუმენი და მამა დავითი ეზოში მოლზე მიაბიჯებდნენ, მალე კიბით ავიდნენ ტერასზე და შემდეგ შეუყვნენ ბორცვს — იქ ტანმაღალ ხეებს ზემოდან გადმოჰყურებდა იღუმენის სენაკის სახურავი. დავითი რჩებოდა მამა მიქელის სულიერ შვილად და ალსარება სურდა. ჩვენი ბედიც წყდებოდა ახლა იქ.

მე და მიტია სასეირნოდ გამოვედით. მაგრამ მალე დავბრუნდით. კედლის შვერილზე ჩამოვსხედით და ველოდით.

ბოლოს ორივენი გამოჩნდნენ ჭიშკარში. იღუმენი ჩექმის ყელზე წკეპლას სცემდა. ანაფორის კალთები ძლივს უფარავდა ჩექმებს, — როგორც ჩანს, მონასტერში არ აღმოჩნდა საკმარისი სიგრძის ანაფორა, მის ტანს რომ მორგებოდა.

— გველოდებით? — გაგვიღიმა.

— გელოდებით.

— მაინც რას ელოდებით? — თავაზიანად დაინტერესდა იგი.

— იმას, რომ დარჩენის ნებას დაგვრთავთ.

იგი მიტიას გვერდით ჩამოჯდა ქვის შვერილზე.

— მაინც როგორ მოაღწიეთ ჩვენამდე, მომლოცავებო?.. ძებნას არ დაგიწყებენ შინაურები?

— არავინ გვყავს, რომ გვეძებოს, მთელი ოჯახი აქა ვართ.

— ეს საკმარისია: „იქ სადაც ორი-სამი შეიკრიბება ჩემი სახელით“...

— „მეც იქ ვარ მათ შორის“, — თავი ველარ შეიკავა მიტიამ.

ყველას გაგვეღიმა.

მამა დავითიც მოლოდინით შესცქეროდა იღუმენს. ეტყობა, იმანაც არ იცოდა, რით დამთავრდებოდა ყველაფერი.

— დროა მწუხრისთვის მზადებისა... — წამოდგა იღუმენი. ჭიშკარში ჩემს პირდაპირ შეჩერდა, თითქოს რაღაცას წონიდა, წყვეტდა, გულში და უბრალოდ თქვა: — ჰოდა, დარჩით.

— მადლობა ღმერთს... — მთელმა დაძაბულობამ, მღელვარებამ, მოლოდინმა გამიარა. უნებლიეთ ფეხზე წამოვდექი, პირჯვარი გადავიწერე, გავიცინე, თვალებზე კი ცრემლი მომადგა, — მადლობა ღმერთს!

მთავარ ტაძართან ჩვენ აქამდე არ შეგვინიშნავს მომცრო ბაზილიკა, არჩილი წირვისთვის აღებდა შესასვლელ კარს.

მკაცრი, სადა, სრულყოფილი პროპორციების ბაზილიკა თავისებურად კარგი იყო. ბაცი ქვის ნაგებობა, იმავე ქვის ფილების სამკუთხა სახურავები, არაფერი ზედმეტი, მხოლოდ ორნამენტის წნული პორტალის დაყოლებაზე, მის ზემოთ — წრეში ჩასმული ჯვარი და სარკმლის ვიწრო ღიობი, სამოთხის გასაღების რელიეფური ხაზებით შემორკალული — როგორიც ამკობს ხოლმე აღმოსავლეთის ფასადებს ძველი ქართული ტაძრებისას.

ვიდრე მშენებლებს მთავარი ტაძრის მაღალი კედლები ამოჰყავდათ და მათ ბარაბანით აგვირგვინებდნენ, ვიდრე ფერმწერნი თავადის ხაზინიდან ბოძებულ პატიოსან თვლებს გოლგოთის ფრესკებისათვის ნაყავდნენ, ამ ბაზილიკაში, რომელიც სამლოცველოს ჰგავდა, თვითონ თავადი ლოცულობდა.

მე და მიტიამ გარშემო შემოვუარეთ და პირველი ბერის სენაკის ზემოთ მინაშენთან აღმოვჩნდით. კარი ღია იყო და მიტიამ ნახევრად ბნელში შეიჭვრიტა.

— დიმიტრი, შემოდი, — დაუძახა იქიდან ბენედიქტემ. — ჩექმები შევარჩიოთ აქ შენთვის.

ერთად შევედით.

მინაშენი საწყობად ჰქონდათ და იქაურობა გამოტენილი იყო კარადებით, ყუთებით, კალათებით, ძველი საეკლესიო დავთრების დასტებით, ქვაბებითა და თასებით, დაშლილი სკებით.

მთავარდიაკვანს დღის სინათლეზე ზედიზედ გამოჰქონდა დიდი ზომის ჩექმები, ყველა იმას ჰგავდა, თვითონ რომ ეცვა.

— რად მინდა მერე ჩექმები? — იკითხა მიტიამ.

— ეს არის ტრადიციული, საბერმონაზვნო ფეხთსამოსი. ჩვენსავით შენც ყველაფერს მონასტრულს ატარებ. არ გინდა?

— როგორ არ მინდა... — მიუგო მიტიამ მამა დავითის სიტყვებით და გაკვირვებისაგან გაფართოებული თვალებით მომიბრუნდა.

ჩექმები თვალის ზომით შევურჩიეთ. შედარებით პატარები, თუმცა ესენიც ორმოცდაორები აღმოჩნდა.

— არა უშავს რა, გასწავლი სახვევების ტარებას, მოგერგება, — მოუწონა ბენედიქტემ.

კარადაში შეკიდული ძველი ტანისამოსიდან მანვე შეარჩია პერანგი, იდაყვებგამოგლეჯილი სვიტრი, ჯარისკაცის შარვალი და ბოლოს ქვესაცმელი, ძალზე გრძელი. იგი თავისთვის შეუკერავს მონადირეს, რომელიც მონასტერში დაიარებოდა, კარგად არც იცოდა, როგორ იკერებოდა მღვდლის ქვედა კაბა და შეუკერავს განიერსახელოებიანი, კისერთან მრგვალად ამოჭრილი ანაფორა.

— არახჩინი არჩილს სთხოვე. მერე წაიღე მთელი ტანისამოსი და იღუმენთან შედი, რომ გაკურთხოს.

არჩილმა ამოიღო არახჩინიც. ვიდრე მიტია თავზე იხურავდა, მორჩილი ჩეტარი ღიმილით შესცქეროდა ბიჭს, თვალები მოეჭუტა, რომ დაეფარა ძველებური ბრწყინვა.

ჩვენ შევარჩიეთ მაუდის ოთხკუთხა, თექის ჩექმასავით სქელი მკვიდრი არახჩინი — დანარჩენები დიდრონები იყო.

ამოიღლიავებული ტანსაცმლის ფუთითა და ჩექმებით ხელში მიტია მონასტრისაკენ წავიდა. იღუმენი საკურთხევლიდან გამოვიდა. სწორი, წელში გამოყვანილი გრძელსახელოიანი განიერი ბერძნული ანაფორა ეცვა. სრული ჭქონდა, შავი ბარტყულის ნაცვლად, ბერებს მეფურ იერს რომ სძენს — უბრალო ათონური კუნკულა ეხურა.

მიტიამ მაღალ ზღურბლს გადააბიჯა და კურთხევა სთხოვა. მე ზღურბლზე შევჩერდი.

— ღმერთი გაკურთხებს, — თქვა იღუმენმა ძალიან სერიოზულად და ყველაფერს ერთად გრძელი პირჯვარი გადასახა. — გისურვებ ბერად აღკვეცას. იმიტომ რომ ჩემთვის ბერობა კარგია.

მიტია ჩუმად წავიდა, რომ გადაეცვა.

მე კი დავრჩი ტაძარში და ღია კარიდან ვუყურებდი, როგორ რეკდა მამა ბენედიქტე მწუხრის ზარებს. სწორკუთხედი ჩარჩო იტევდა დამაბრმავებელ დღესა და მწვანე ეზოს მიღმა ფერდობზე შეფენილ გაფოთლილ ტყეს. სამი ზარი, დიდი და ორი მომცრო, ფიჭვებზე გადებულ ძელზე შეკიდულნი, ტერასიანი ძველი სახლი და ზარების რეკვა, — ყოველივე ამას ვხედავდი და ვისმენდი იმ გამჭოლი სიცხადითა და წმინდა სიხარულით, მხოლოდ იმ შთაბეჭდილებას რომ ახლავს, მრავალი წლით რომ რჩება შენში. გავა დრო და ოდესმე ისინი ისეთივე სიცხადით ამოგიტივტივდებიან, ოღონდ უკვე ნაღვლით შეფერილნი.

მწვანე ოლარში გამოწყობილი მამა დავითი საკურთხეველში შევიდა; ჯვარში თავისი პირველი მწუხრი უნდა ეწირა.

არჩილი ლამპრებს ანთებდა. ორად ორი ეკიდა — ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებთან. მორჩილის მზემოკიდებული, შემელოტებული თავი უარახჩინოდ წაგრძელებული ჩანდა, ისეთი, ძველთაძველი აღმოსავლური რელიეფებიდან რომ გვახსოვს. თვალებითა და შავი წვერით ასირიელ მეომარს მაგონებდა. მაგრამ მახვილის ნაცვლად ხელში კელაპტარი ეჭირა და თვალთა გამომეტყველება უწყინარი ჰქონდა.

ბენედიქტე ისეთსავე ანაფორაში გამოწყობილიყო, როგორიც ეცვა იღუმენს, სამოსელის ფერმა თითქოს კიდევ უფრო გაამუქა მისი თვალებისა და წვერის სიშავე.

კარის ღიობში ჩემი შვილი გამოჩნდა — არახჩინსა და ქვესაცმელში, წელზე საბელი შეერტყა, ჩექმები ეცვა, თვალები უბრწყინავდა. ასეთი ბედნიერი ღიმილი მის სახეზე არასოდეს შემინიშნავს.

იღუმენმა, რომელიც საწიგნესთან ბენედიქტეს გვერდით იდგა, თავი ასწია:

— ერთი შეხედეთ დიმიტრის, ნამდვილ ბერს არ დამსგავსებია!

მამა დავითი საკურთხევლიდან გამოვიდა, რომ მისთვის შეეხედა, ყველას გაეღიმა. ქართულად დაიწყეს ლაპარაკი.

მწუხრის წირვა დაიწყო. თანაბარი, ყრუ ხმით კითხულობდ ილუმენი მეცხრე ჟამნს. ტაძარი სწორედ საკმარისი იყო საიმისოდ, რომ შიგ ხუთი ადამიანი მოთავსებულიყო. კმევის დროს მამა დავითს არ სჭირდებოდა ტაძრის შემოვლა. დაგმანული აღსავლის კარის წინ მდგარმა ყველა მლოცველსა და სამივე კედელს უკმია თავის ადგილიდან. ცოტა უფრო მძლავრად რომ დაექნია საცეცხლური, ალბათ კიდევაც მოგეწვდებოდა თითოეულ [illegible] და, ასე განსაჯეთ კედლებსაც. ამიტომ მხოლოდ მსუბუქად აქნევდა [illegible], საკმევლის კვამლი ღია კარისკენ მიცურავდა და ჰაერში ქრებოდა.

წყნარად, გულდადებით გალობდნენ, ჩემი ყურისთვის შეუჩვეველი ქართულით, მკვეთრი, ხორხისმიერი მჟღერი ბგერებით, ილუმენი, დიაკვანი და მორჩილი—„უფალო შეგვიწყალე"... ძველმა სამხმიანმა საგალობელმა აღავსო მცირე ტაძარი.

„უფალო, ღაღადვყავ შენდამი, ისმინე ჩემი; ისმინე, ჩემი, უფალო". მიტია ჩემ გვერდით კედელს მიეყრდნო. მღვდლის ქვესაცმელის გულისპირიდან თეთრად უჩანდა წვრილი კისერი.

თვალებში ცრემლი მომაწვა.

ვიფიქრებდი განა სულ ხუთიოდე წლის უკან, როცა შევიტყვე, რომ არსებობს ღმერთი და მოვნათლე შვილი, მთელი მისი ცხოვრება, ისევე, როგორც მთელი ჩემიც, მთლიანად და სავსებით ამ ღრმა კალაპოტს მოასკდებოდა?!

„წარემართენ ლოცვა ჩემი ვითარცა საკმეველი შენ წინაშე, აღპყრობა ხელთა ჩემთა მსხუერპლ საღამოსაროდ"...

ილუმენმა ხრამის პირას კარავი გამოგვიყო. წინათ აქ არჩილი ცხოვრობდა, ახლა ის სატრაპეზოში იყო გადასახლებული.

კარავში იდგა მაგიდა, ყუთის თავზე დაჭედებული ფართო ფიცარი და ორი სკამი — სკებზე დაჭედებული ასეთივე ფართო ფიცრები. მონასტერს ადრე საკუთარი საფუტკრე ჰქონია, მაგრამ შარშან ფუტკარი ერთბაშად გამწყდარა ჭირისაგან და მათ დანგრეულ საცხოვრისს დაემყარა ახლა მონასტრული ყოფა.

კარავი რკინის ბადესთან იდგა, რითაც ეზო იყო შემოღობილი, ბრეზენტის სახურავი ბალახს თეთრად აჩნდა. მისგან სამიოდე ნაბიჯზე მიწა ციცაბო ხევში ეშვებოდა. ოდნავ მოშორებით, ფიცრული სახლის ქვეშ მამა ბენედიქტეს სენაკი იყო — გაშიშვლებული ქანები ბაც ნაცრისფერ ამფითეატრად ეშვებოდა ხრამში. ქანების ძირში ხუჭუჭა მწვანით დაფარული ფერდობების ვიწრო ნაპრალში მიბზინავდა მდინარე, მონასტერი რომ სხვისი მიწისგან ჩამოეჭრა. ხრამში იისფერი ყვავილები ხარობდა, მაღლა, ბენედიქტეს სენაკს უკან, ტყე მთას მიჰყვებოდა.

წირვა დამთავრდა თუ არა, მამა დავითი გამოსათხოვებლად მოგვიახლოვდა. მისი მზერა ნაღველში იყო დაძირული. იქნებ იმას ნანობდა, რომ თვითონ კი არა, ჩვენ ვრჩებოდით აქ. სიხარულისაგან მეგონა, რომ დარჩენით სწორედ ჩვენ უნდა დავრჩენილიყავით, აბა, როგორ!

— მე კი არ მჯეროდა. აი, თქვენი რწმენისამებრ მოგეცათ თქვენ.

— იმაზე მეტიც. როცა მიამბობდით ჯვარზე, არ შემეძლო ამისი წარმოდგენა.

როცა გვაკურთხა და გამოგვეთხოვა, მაშინღა გვკითხა, თუ იცით, რას ნიშნავს მონასტრის სახელწოდებაო. ჩვენ ვიცოდით, რომ მას ჯვარის სახელი

ერქვა, ხოლო სრული სახელი იყო უფლის ყოვლადწმინდა ცხოველმყოფელი ჯვრის მონასტერი.

სატრაპეზოში დაწყობილ სატაძრო ქონების გროვიდან ბენედიქტემ ღვინიბები გამოათრია. გულმოდგინე ძებნის შემდეგ იქვე მიაგნო იასამნისფერი ყვავილებით მოჩითულ ახალი თეთრეულის წყვილ კომპლექტს.

სატრაპეზოდან ჩვენს კარავში თანდათანობით გადავზიდეთ ყაზანი, ... მშობლის ხატი, შანდლები, ფარანი, თიხის დოქი — წყლისთვის. პირსაბანი კარავს ქვემოთ მიაჭედა ხეზე ბენედიქტემ, იქ, სადაც სამკუთხა კონცხად მთავრდებოდა ფერდობი. მიტიას შესთავაზა, ფერდობზე ბალახი გათიბეო.

მოვაწყვე ჩვენი სადგომი, ბამბის ახალ საბნებს სუფთა შალითები გადავაცვი. და გულში ვხარობდი უცაბედად შეძენილი ნავსაყუდარის სისუფთავითა და მყუდროებით.

მერე ფერდობის მხრიდან საუბარი მომესმა:

— რას აკეთებ შენ აქა? — ეს ღუმენის დაბალი ხმაა.

— ბალახს ვთიბავ, — ეს ჩემი ბიჭი იყო.

— მერე, გამოგდის?

— არ გამომდის.

— როგორ ფიქრობ, რატომ არ გამოგდის მერე?

— ალბათ იმიტომ, რომ არ ვიცი.

— მე კი მგონია, იმიტომ, რომ კურთხევა არ მიგიღია.

როცა კიდევ ერთი საათის შემდეგ კარვიდან გამოვედი, ხეობის გალმა მთები სალუქ ბინდბუნდში იძირებოდა. ტაძრის მკვეთრი სილუეტის მიღმა ინავლებოდა დაისის ცა. შეეტრუსა ჩამუქებული და შესქელებული ღრუბლების ნაპირები. და თითოეული ტოტი, ხის თითოეული ფოთოლი ცხადი იყო კონტრულ თბილ შუქზე.

ღუმენი და მიტია გვერდიგვერდ ისხდნენ ფერდობზე. ოდნავ ქვემოთ, გაუთიბავ ბალახში ეგდო ცელი. მამა მიქელს ხელები მუხლებზე შემოეხვია და მის პოზაში ისევე, როგორც ირგვლივ დაღვრილ მოსაღამოვებულ ჰაერში, სიწყნარე იყო დასადგურებული.

მეც მომინდა მათთან ერთად ვმჯდარიყავი, მაგრამ ჩემს მიახლოებაზე ღუმენი დინჯად წამოდგა და ცელს დასწვდა.

— მოეწყვეთ? ახლა დაწექით და დაიძინეთ, დღეს დაიღლებოდით... — და რადგან ადგილიდან არ დავძრულვართ, წყნარი კმაყოფილებით დასძინა:— ვცხოვრობთ ჩვენ აქ ასე, როგორც სავანეში.

მან გვაკურთხა, ისე რომ თავზე არ შეგვხებია და არც პირჯვარი გადაუსახავს, მხოლოდ სიტყვიერად, და ზემოთ, თავისი სენაკისაკენ წავიდა.

მე და მიტია კი ვისხედით ბალახზე, ვიდრე ცა მთლად არ ჩაქრა. შემოგარენი მთები, ჯვარი და ყოველივე, რაც ამ გადავსებულ დღეს მოხდა, იმდენად არარეალური იყო, რომ ვერ შევძლებდი უცებ დამეძინა. შეჩვევა მჭირდებოდა.

კარავში ჯერ სრულიად ბნელოდა, როცა დაირეკა ზარი — ექვსჯერ გაისმა ბრინჯაოს გრძელი ხმა.

ცივა. ხევს გალმა მთის თხემზე — ხეების შავი ჩრდილებია და ბნელ, ლურჯად ამოლებულ ცაში ოდნავ ცისფერობს გამჭვირვალე რიბირაბო.

ქვემოთკენ ბილიკს ნამისაგან ჯერაც ცვრიანი გათიბული ბალახი დაფენია. ვერც შევიტყვეთ, როდის მოასწრო ილუმენმა ფერდობის მოთიბვა.

ცივი წყლით ვიბანთ ხელ-პირს. ხეობიდან ზლაზვნით ამოდის ნისლი.

შვიდზე კი უკვე ცისკრის ზარი ირეკება. საერთოდ, ტაძრებში ცისკარს და მწუხრს ერთად მსახურობენ, სწირავენ, ხოლო აქაური ილუმენი იმას ისწრაფვის, ყოველივეს თავდაპირველი აზრი დაუბრუნოს. ცისკრისას აქ დილ-დილობით ლოცულობენ, მწუხრისას — საღამოობით.

ტაძარში ბნელა. ორად ორი ლამპარი ღვივის ღარიბული სახატოს წინ. დგას საკმეველის ჩვეული სურნელი. აგრეთვე ტყვიის ყდაში ჩასმულ ძველი წიგნების, ლამპრის ზეთისა და სანთლისა.

— რაკიღა არ გესმით ენა, თქვენთვის თქვით იესოს ლოცვა. რამდენი ასეულიც გამოგივათ პირველ წირვაზე, მერმეც იმდენივე იკითხეთ. შენც, დიმიტრი. გაქვს კრიალოსანი?

მიტიას ორმოცდაათკვანძიანი კრიალოსანი აქვს. ამას წინათ აჩუქეს.

მამა ბენედიქტემ სანთლის ნამწვს მოუკიდა და კითხვა დაიწყო. საკურთხეველიდან დაბალ ხმაზე შეეხმიანა ილუმენი. ქალაქური ტაძრების დიდმშვენიერების და ხალხმრავლობის შემდგომ ეს წყნარი წირვა თითქოს ღვთით ბოძებულია ჩემთვის, რათა ვისწავლო გულისყურიანი ლოცვა.

კრიალოსანში პირველი კვანძი ჩავთვალე: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე“... დღემდის უფრო მეტს ვკითხულობდი, ვიდრე ვლოცულობდი, ისევე როგორც მხოლოდ და მხოლოდ ვკითხულობდი მცნებებზე და არ ვიცოდი, როგორ აღმევლინა თუნდაც ერთი ლოცვა.

— რამდენი დაითვალეთ? — კითხულობს სატრაპეზოს წინ დაბალ ძელსკამზე ჩამომჯდარი ილუმენი.

— სამასი.

— ასე ცოტა? აბა, როგორ წარმოთქვამთ?

ვთქვი ჩემი ლოცვა.

— რატომ სტოვებთ სიტყვას „ცოდვილი“, — ოდნავ დახარა თავი, კარგად რომ მოესმინა ჩემთვის.

— აკი ყველაფერი ნათქვამია უკვე ამ სიტყვით — „შემიწყალე“... მასში იგულისხმება დანაშაულის აღიარება.

— არა, არა, ამიხსენით ის, რასაც გულისხმობთ აქ... რა არის საერთოდ ცოდვა, ცოდვითდაცემა.

მან გაიძრო ჟილეტი, ქუდი მოიხადა: ზედ არ დაუხედავს, ისე დაიწყო გვერდით, თითქოს მოემზადა, დიდხანს ესმინა. ოდნავ ხვეული თმა სადად ჰქონდა უკან გადავარცხნილი და ამიშვლებდა მაღალ შუბლს და ჩავარდნილ მათ დედაარსს, სახელი კი აღბეჭდავდა ამას. მას ხელისგულზე ეყარა თესლი საფეთქლებს. კეფაზე თმა გამონასკული ჰქონდა. გამხდარი სახე, ახლო-ახლო ჩამჯდარი თვალები, ცხვირის ძვალთან თხელი, ქვემოთ კი გაფართოებული მოგრძო ცხვირი. ვერამც და ვერამც ვერ იტყოდი, ლამაზიაო. მაგრამ მის ნაკვთებს შინაგანი ინტენსიური ცხოვრება აცხოველებდა.

მზე უკვე აჭერს. ბალახში ცვარი აელვარდა.

როგორ წარმომიდგენია მე ეს — ცოდვითდაცემა?

სამოთხეში ადამი ღმერთის თვალწინ დაიარებოდა. მას ჯერ არ ჩაედინა ბოროტება და ჯერ გამჭვირვალე იყო უფლისმიერი ნებისთვის. ხოლო ეს ნიშნავს ყოვლის ჭვრეტას და სრულყოფილ სიხარულს. დადიოდა ადამი სამოთხე-

ში და სახელებს არქმევდა ხეებს, ნადირსა და ფრინველს — ვინაიდან ჰვრეტდა მათ დედაარსს. სახელი კი აღბეჭდავდა ამას. მას ხელისგულზე ეყარა თესლი და იცოდა, როგორ იყვავილებდა ხეხილი, იცოდა გემოც ნაყოფისა. მას შეეძლო გამოპასუხებოდა ფრინველებს: ყოველი ქმნილების ენა ესმოდა და ყოველ ქმნილებას იტევდა ადამის მოსიყვარულე გული.

ხე ცხოვრებისა ედემის შუაგულში ხარობდა. ამ ხის ნაყოფი [illegible]ებდა ადამს მარადიული ცხოვრების წვენით. კეთილისა და ბოროტების [illegible]ის ხე მის გვერდით იდგა. ღმერთმა მკნებით აღუკვეთა ადამს ამ ხის ნაყოფის დაგემოვნება. ეს იყო პირველი მცნება, გაფრთხილება... „რამეთუ რომელსა დღესა შჭამოთ მისგან სიკვდილითა მოსწყდეთ“.

ღმერთმა ადამს მისცა მისი ფერი ცოლი. ადამი და ევა სრულყოფილები იყვნენ და სამოთხისმიერი მათი სიყვარული იყო ნეტარი და აღსავსე სიცოცხლის ცხოველმყოფელი სულით, ურთიერთ გამჭოლი, ურთიერთში არეკლილი.

მაგრამ მაცთურმა, რომელიც ჟამის დასაწყისშივე განიკვეთა ამ ნეტარებისა და სისავსისაგან, უთხრა საკუთარ თავს: „მათ არ იციან, რა არის სიკვდილი და ამიტომაც არაფრისა ეშინიათ. წავალ და გავყრი ამათ ღმერთს“.

ის მიდიოდა ხოლმე ევასთან, რამეთუ ევა ქალი იყო და იყო სულ მთლად ნორჩი, და მაცთური მარტოდმარტოს ესაუბრებოდა ევას.

— ღმერთმა მოგატყუათ, — ეუბნებოდა ევას მაცთური. — არსებობენ ანგელოზები, რომლებმაც იციან კეთილი, და არსებობს ძალები წყვდიადისა, რომლებიც ბოროტებას მსახურობენ, ისინი არათავისუფალნი არიან და შეზღუდულნი. ხოლო ადამიანი უმაღლესია ყველა ქმნილებაზე, უმაღლესია ზეციურ ძალებზე და ქვესკნელისაზეც. მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს, ვითარცა ღმერთს, მომადლებული აქვს არსთა უმაღლესი თვისება — თავისუფლება; თავისუფლება ხდის ადამიანს ღმერთს მიმსგავსებულად. მაგრამ რა სარგებელი აქვს თქვენთვის ამ ნიჭის ქონას, თუკი არ იცით მისი გემო? აი, ნაყოფი. სახილველად ამო და სურნელოვანი. სამოთხის ყველა ნაყოფი იქნებ არც შეედრებოდეს ამ ხისას? სრულებით არ არის ერთი და იგივე იცოდე ღმერთი და თვითონ იყო ღმერთი. ღმერთმა მოგატყუათ. იმიტომ, რომ ეშვიანია და სურს დარჩეს სამყაროს ერთადერთ მბრძანებლად. მაგრამ იგემეთ — და შეიქნებით ვითარცა ღმერთი, რომელმაც იცის კეთილი და ბოროტი.

ევას მოსწონდა მაცთურის აზრები, იმიტომ, რომ იმას ჰპირდებოდა, რისი მიცემაც არ შეეძლო ადამს, ევას ეთნეოდა მაცთურის აზრები.

„რატომ უნდა აღვასრულებდე უფლის ნებას, თუკი საკუთარი მაქვს?“— ფიქრობდა. ევამ თავი პირველად გაუტოლა ფიქრებში ი მ ა ს და გამოაცალკევა ნება უფლისა საკუთარი ნებისაგან.

ევა თვალებით ეალერსებოდა ოქროსფერ ნაყოფს, ეხებოდა მას ხელისგულებით, ტუჩებით, წინასწარ შეიგრძნობდა მწველ საიდუმლოს, სამოთხის ყველა სხვა ნაყოფი მისთვის მტკნარად გადაიქცა. ქალმა ჩაკბიჩა კანი. არაჩვეულებრივი გემო ჰქონდა — ტკბილიც, მწარეც და მძაფრიც.

ევამ ნაყოფი მისცა ადამს და კაცმაც იგემა.

და მიხვდა ორივე, რომ შიშვლები იყვნენ.

„მისი სხეული მიმზიდველია ჩემთვის და არანაკლებ სასურველი, ვიდრე ეს ვაშლები“, — ფიქრობდა ადამი.

„და უწოდა უფალმან ღმერთმან ადამს და ჰრქუა მას: ადამ, სადა ხარ?“

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთის მოსიყვარულე ხმის გამგონე ადამს შერცხვა საკუთარი სიშიშვლის და გულისწადილის, რომელიც არ იცოდა წინათ, ვიდრე უმანკო იყო. უმანკოდ გრძნობდა და უმანკოდვე უყვარდა. და დაემალა ადამი ღმერთის მოსიყვარულე თვალებს.

— იმისათვის, რომ არ გაიგონე ჩემი, დღეიდან დაიწყეული დედამიწა,— ღმერთი ნაღვლიანად უმზერდა საკუთარ ქმნილებათა გვირგვინს, — „წყეულ იყავნ ქვეყანა საქმეთა შინა შენთა, მწუხარებით სჭამდე ძალსა ცხოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა... ოფლისა პირისა შენისაითა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მოქცევადმდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწა ხარ და მიწადცა მოიქცე“.

რა დაემართა ადამის ყურთასმენას? ადამს აღარ ესმოდა ნადირთა და ფრინველთა ენა. რა დაემართა ადამის დიდ გულს? წინათ ეს გული იტევდა ყოველ არსს. ახლა კი დაცარიელდა. ადამს დაავიწყდა სახელები რომლებიც დაარქვა მხეცსა და თევზს, ყვავილებსა და ბალახს. სიხარულის ნაცვლად მას ახლა გააჩნდა მხოლოდღა სურვილი გახარებისა, სიყვარულის ნაცვლად სურვილი სიყვარულისა. რა დაემართა ადამის თვალებს? მათ დაჰკარგეს უნარი თვალი გაესწორებინათ კეთილი ცხოველმყოფელი ნათელისათვის, სამოთხის ჰაერში რომ იყო დაღვრილი და თითოეულ ფოთოლს, თითოეულ ნაყოფს მსჭვალავდა.

მაცთური დაპირდა. ღმერთზე მეტს მოგცემო, რათა ყველაფერი წაერთმია. და დაითხოვა ღმერთმა სამოთხიდან ადამი და მისი ცოლი, ხოლო აღმოსავლეთით სამოთხის კართან დააყენა ქერუბიმი ცეცხლოვანი მახვილით ხელში, რათა დაეცვა ცნობადის ხესთან მისასვლელი, რომ ადამს კიდევ არ ეგემა მისი ნაყოფი და სამარადჟამო არ გამხდარიყო ადამის ტომის ცოდვით დაცემა.

და შეიცნო ადამმა ევა სამოთხის გარე და ამ შეცნობაში იყო სიტკბოებაცა და სიმწარეც, მოუკლავი წყურვილიცა და მოყირჭების წინათგრძნობაც.

— უფალო, გესმის თუ არა ჩემი?— ატირდა ადამი.

მაგრამ მას აღარავინ გამოპასუხებია.

როცა გაუგო გემო თავისუფლებას, მან იცნა შიში და იცნა სიკვდილი.

— ეგ ყველაფერი ლიტერატურაა, — ყვედრებით გადააქნია თავი ილუმენმა. — ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, რა და როგორ იყო სამოთხეში და არ არის საჭირო ედემის ბაღში საკუთარი ფანტაზიის მწირი ნაყოფის დაკიდება. ახლა მოდად გადაიქცა ბიბლიის და სახრების განმარტება, იგავების ახსნა. რელიგიური დოგმების დიადი საიდუმლოებანი დაჰყავთ ლიტერატურულ სიუჟეტებამდე, ტვინის ჭყლეტის დონემდე.

შეცოდებაც აგრეთვე ერთი საიდუმლოთაგანია, მისტერიაა, ხოლო მას შემდეგ, რაც შესცოდა პირველმა ადამიანმა, ყოველი ახალი თაობა აგრძელებს შეცოდების ამ გზას. უკუ მოძრაობის შემთხვევა ჯერ არ ყოფილა. ეგრეთ წოდებული პროგრესი სახელდობრ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები სულ უფრო და უფრო ეფლობიან მატერიაში, თვალი და ყური მიპყრობილია არა შიგნით, საკუთარ სილრმეში ღმერთისკენ, არამედ მის გარე, არადა, ცხოველმყოფელი სულია, ხორცი კი არავითარი სარგებლის მომტანი არ არის.

წმინდა მამები ასე განსაზღვრავდნენ ადამიანის შედგენილობას; სული, სამშვინველი, ხორცი. ადამის სული საზრდოობდა ღმერთით; სამშვინველი — სულით, ხორცი — სამშვინველით. ახლა ადამიანი თავდაყირაა ამოტრიალებული: სული მისი საზრდოობს სამშვინველით, სული —ხორცით, ხორცი — მატერიით. დაზიანებულია საფუძვლები და მთელი სისტემა მანკიერია.

ჩვენ ვიბადებით და ვიზრდებით ცოდვის თესლთან ერთად. იგი ჩვენს სურვილებსა და ვნებებშია. ჩვენ მივედით რწმენასთან და ვიწყეთ მისი გაგება. მაგრამ ჩვენი საკუთარი ცხოვრების უდიდესმა ნაწილმა ულმერთოდ ჩაიარა. რამდენი ბოროტება ჩავიდინეთ ამ ხნის მანძილზე? როგორ ფიქრობთ, სად გაქრა იგი? იგი ჩვენს ხორცშია და სისხლში, ისევე როგორც პირველქმნილი ცოდვა. მთელი დარჩენილი ცხოვრება გახურებული შანთით უნდა ამოვდალოთ იგი. და რამდენად ახლო მიეახლება ადამიანი ღმერთს, იმდენად უფრო განიცდის იგი საკუთარ ცოდვისშვილობას, თქვენ კი სტოვებთ: „მე ცოდვილ[illegible]

— წმინდა მამები სხვაგვარად ლოცულობენ: „შემიწყალე მე ცოდვილი“ ანდა უბრალოდ: „შემიწყალე მე“...

— ოჰ! — აფეთქდა იგი უეცრად. — ისინი წმინდა მამები იყვნენ! და ისინი ლოცულობდნენ. „...მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად რომელთაგან პირველი მე ვარ“ და ეს რიტორიკა როდია! ისინი მიდიოდნენ უდაბნოში, ღამეებს ატარებდნენ მონანიე ცრემლების ღვრაში. ერთ მართლმორწმუნე მეუდაბნოეს ეკითხებოდნენ: „როგორღა მიგაჩნია შენ თავი ცოდვილად, თუკი ყველაზე მეტს შენ ლოცულობ, მარხულობ, იქმ კეთილს?“ მე არ შემიძლია აგიხსნათ, თუ როგორ, მან უპასუხა, დანამდვილებით ვიცი, ყველაზე ცოდვილი მათ შორის მე ვარ... ათონელი ბერი სილუენი, ერთი უკანასკნელ წმინდანთაგან, უკვე ჩვენს საუკუნეში ცხოვრობდა, მონასტერში ცხოვრების ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე „გულში არც ერთი უსაქციელო ზრახვა არ გაუვლია“ — ისიც ამას ამბობდა: „აი, მალე მოვკვდები და შეჩვენებული ჩემი სული ჯოჯოხეთში დაინთქმება“... თქვენ კი გუ-ლი-სხმობთ...

და მან ხელი ქარაფშუტულად გაიქნია, ნიშნად ჩემი სიტყვების არასერიოზულობისა. მიტიას, რომელიც მამა მიქელის გვერდით ძელსკამზე იყო მოკალათებული, გაეცინა.

— ტირილი მართებს ადამიანს, მონანიე მოთქმა: „მე ცოდვილი!“. ქრისტიანული ცხოვრების გზა არის მონანიება, საშუალება — მონანიება და მიზანი — მონანიება. ყველა, ვინც ესწრაფის ზენარ-სულიერ მდგომარეობას — ამისი ძიება არ შეიძლება საკუთარი თავის ანაბარა, მით უმეტეს მონანიების თვინიერ, ვნებათაგან განწმენდამდე — ისინი ცთუნებულნი არიან. თქვენ იმიტომაც „გულისხმობთ“, რომ, როგორც საჭიროა, ისე არ შეიგრძნობთ საკუთარ ცოდვისშვილობას. ამიტომაც იწყებთ ადამიდან. ეს უფრო ადვილია, ვიდრე საკუთარი თავით დაწყება.

დოქი კედლისკენ მივწიე და ძელსკამზე მის გვერდით ჩამოვჯექი.

— თავს ახლა ამგვარად ვგრძნობ: ყველაფერმა ადრინდელმა, რაც ავსებდა ცხოვრებას, ჩაიარა, მაგრამ ამჟამად არც სხვა არაფერი გამაჩნია. ვარ, როგორც ჭურჭელი, რომელიც წამოაცარიელეს წყლისაგან, მაგრამ ჯერ შიგ ღვინო არ ჩაუსხიათ. — დოქი გადმოვატრიალე და თვალსაჩინოებისათვის თიხის ფსკერზე მივაკაკუნე. — სიცარიელეა და მოლოდინი, რომ ღმერთი შეავსებს მას...

— ჰოდა, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს... მაგრამ ვაი რომ ცოტას! სიცარიელის შეგრძნება და შეგრძნება საკუთარი სისაძაგლისა ღვთის წინაშე — ეს ორი სხვადასხვა მდგომარეობაა...

სატრაპეზოს ფანჯრის ხარისხებს მიღმა არჩილი ჯამჭურჭელს აწკარუნებდა — სუფრას შლიდა. ილუმენი მომიბრუნდა:

— ენად გავიკრიფე თქვენთან. მერედა, რატომ? ეს ყველაფერი სიამაყეა. სად გაექცევი ამას? დუმხარ და ამბობ: აი, როგორი სიტყვაძუნწი ვარო. ლაპა-

რაკობ — ისევ ამბობ: აი, რა კარგად ვსაუბრობ, რა ჭკვიანი ვარო. ნაბიჯი ვერ გადაგვიდგამს ცოდვის გარეშე. სიტყვა ვერ გვითქვამს, თვალი ვერ შეგვივლია. ასე რომ, დღეისამასიქით ილოცეთ, როგორც გვმართებს თითოეულ ჩვენთაგანს: „შემიწყალე მე ცოდვილი“... — წამოდგომა დააპირა, მაგრამ უეცრად გაახსენდა: — თვალებს რატომლა ხუჭავთ ლოცვის დროს?

მე კი მეგონა, არ დაუნახავს-მეთქი, როგორ ვლოცულობ.

— გულისყური არ დამეფანტოს.

— რამდენი ხანი შეგიძლიათ გაატაროთ დღეში თვალებდახუჭულმა? როგორც კი გაახელთ, მაშინვე დაგეფანტებათ? ისწავლეთ ილოცოთ იმგვარად, რომ არ გემჩნეოდეთ და რომ ეს არავითარ განსაკუთრებულ პირობებს არ საჭიროებდეს. ღვაწლმოსილებმა მიაღწიეს იესოს უწყვეტ ლოცვას. მუშაობს და ლოცულობს, საუბრობს და — მაშინვე ლოცულობს. ლოცვა უკვე თავისთავად აღევლინება, ძილშიაც კი. გესმით, რას ნიშნავს ეს? ასეთი კაცი ყოველთვის ღვთის წინაშეა. არ ვარგა, როცა არსებობს ცალკე დრო ლოცვისთვის, ცალკე — ცხოვრებისთვის, ეს სრულებით აღარ ჰგავს ლოცვას. წყვეტილობა არ უნდა დაუშვა, მთელი სიცოცხლე ღმერთს უნდა მიმართავდე, როგორც ლოცვაში... ის იჯდა. მუხლებზე დაეშვა ერთმანეთში ჩაწნული მტევნები. ფიქრობდა. — აი, შენ დიმიტრი, ალბათ ფიქრობ, რომ მე ყველაფერს ვასრულებ, რასაც გიჭადაგებთ? მე კი ოცდარვა წლამდის მოუნათლავი ავაზაკი ვიყავი და დაუსწავლელი გაკვეთილივით ახლაც ვიმეორებ ამას ჩემს გულში: „შემიწყალე მე ცოდვილი“...

თორმეტზე ბენედიქტემ ტრაპეზზე გვიხმო ზარით. მე საძმოს შემდეგ ვსადილობდი, მიტია კი მათთან ერთად. ამ ვითარებაში მას მეტი უფლებები ჰქონდა მინიჭებული.

ვთხოვე ილუმენს ჩემთვის მორჩილება დაენიშნა. დაფიქრდა და უარი მითხრა:

— როცა მონასტერში ბერს იღებენ, პირველ დღეებში იმასაც დაასვენებენ ხოლმე. იცხოვრეთ ჯერჯერობით, როგორც სტუმრებმა. მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ. იბანავეთ ხოლმე. ბენედიქტე მიგასწავლით მდინარეზე ჩასასვლელს, ოღონდ მარტოკა შორს ნუ გასცურავთ.

— მაგრამ მე მინდა საერთო სარგებლობისათვის რაიმე გავაკეთო კიდეც.

— დაიმახსოვრეთ. მონასტერში არაფერს არ აიხირებენ. მორჩილება, რომელსაც თქვენთვის გამომთხოვთ ახლა, უკვე მორჩილება აღარ არის, არამედ — ნება თქვენი და გროშადაც აღარ ღირს. — იგი დაფიქრდა, თითქოს არ იცოდა, ღირდა თუ არა განეგრძო. — ესეც არ იყოს, ჯერჯერობით თქვენ იმდენად არა გაქვთ წარმოდგენა ჩვენს ცხოვრებაზე, რომ შეიძლება სულით და გულით მოიწადინოთ ჩვენთვის რაიმის გაკეთება, ის კი მოულოდნელად შეიძლება საზიანოდ გამოგივიდეთ.

— კი მაგრამ, ჭურჭელი რომ დავრეცხო ხოლმე, ამით დაგიშავებთ რამეს?

— კი. ჭურჭელი რეცხეთ. ეს ძნელი არ არის.

ნასადილევს მიტიამ ამომაკითხა კარავში და სატრაპეზოში ერთად დავბრუნდით. მე მელოდა დიდი ჯამით ბოსტნეულის სალათი, შემწვარი ბადრიჯანი თავდახურულ ტაფაში.

— ვინ შეწვა ასე გემრიელად ბადრიჯანი? — ვიკითხე, როცა ბენედიქტე გასასვლელი ოთახისაკენ მიდიოდა.

— მოგეწონათ? — მხიარულად დააკვესა თვალები. — ღვთის შეწევნით ცოდვილმა ბენედიქტემ. თქვენც შეგიძლიათ შეწვათ ასე.

— ჯერჯერობით მხოლოდ შავი სამუშაოს ნება დამრთეს.

— მონასტერში არ არის შავი სამუშაო, ნებისმიერი საქმე აქ ღმერთისადმია მიძღვნილი. — მიპასუხა კედლის მიღმა,— შენა, დიმიტრი, რას აკეთებ?

— უბრალოდ, ვზივარ დედასთან.

— გინდა ხუცური გასწავლო? ეს არის ძველი ქართული, რომელზედაა დაწერილი ყველა საღვთისმსახურო წიგნი. — იგი კარებში გამოჩნდა. ხელში გაშლილი ფურცელი ეჭირა. ეს იყო ორ ფერში ჩამოწერილი ანბანი. ასოთა ერთ რიგს თავზემოთ მეორე ჰქონდა მიწერილი, — ჩვენთან ერთად იკითხე ხოლმე წირვაზე.

— ვიდრე სუფრას ვალაგებდი და ჭიშკრის გადაღმა წყაროზე ჯამჭურჭელს ვრეცხავდი, ისინი გვერდიგვერდ ისხდნენ და ბენედიქტეს რვეულში მსხვილ-მსხვილი ასოები გამოჰყავდა, ძალზე გულმოდგინედ გამოიყურებოდა.

— დაო ვერონიკა, იქნებ არ მოგწონთ, რომ სხვები სადილობენ და თქვენ ალაგებთ? — ასწია შავთმიანი თავი მან. მიყურებდა, არ ვიცი, თანაგრძნობით, არ ვიცი, ირონიულად, — თქვენ ალბათ არა ხართ დაჩვეული. მაშინ, ჯობს, თქვათ, რომ აღარ იყოს საბუზღუნო.

— ვერ ვიტყვი, ჩემი საყვარელი საქმიანობაა-მეთქი, მაგრამ აქ ესეც მომწონს.

— ეგ კარგია, — თავი დამიქნია.

— როცა აქ მოვედით, ყველანი ისეთი ღვიძლები მეჩვენეთ, თითქოს მუდამ გიცნობდით.

— ეგეც კარგია.

— არ ვიცი, რა უნდა ვქნათ, როცა წასვლა მოგვიწევს.

— წასვლამდე ჯერ უნდა იცხოვროთ. დრო ბევრია.

ჩვენ თავისუფლები ვიყავით სექტემბრამდე. ილუმენს კი ჯერ არ დაუდევს ჩვენი აქ ყოფნის ვადა.

— ეს ისეთი მახეა, მამაო ბენედიქტე, მუდამ მგონია, დრო თავზე საყრელია-მეთქი, მოიხედავ და უეცრად აღმოაჩენ, რომ აღარ გქონია თურმე.

მონასტრის კარიბჭიდან ფართო გზას დავუყევი მთებისკენ. ქვიანი გზა იყო. დახეთქილი ლოდების შვერილებიანი, ჩამონაშალი და საბურავების კვალდამჩნეული, ამ გზით მეორე უღელტეხილის გავლით დადიოდნენ სატვირთო მანქანები და „გაზიკები". მინდა ვნახო, სად მიდის ეს გზა და გავიდე ისეთ წერტილზე, საიდანაც შორი თვალსაწიერი იშლება. ხანდახან ჭალაში გადავუხვევ და მივაბიჯებ მკვდარ ფოთლებზე, რომელშიც აქა-იქ დიდრონი თეთრი და წვრილი იისფერი ზანზალაკები ამოხეთქილა. რამდენიმე მოსახვევის შემდეგ იშლება მინდორი, რომელიც ხეობის გამოღმიდან დავინახეთ, როცა მამა დავითი ჯვარზე მოგვიძღოდა. ახლოდან უფრო შუქიანი და ლამაზი აღმოჩნდა იგი. შეღერებული ბალახი ნაცნობი ბალბის პაწია ფანტელებს გადაეფერადებია, თეთრად და ვარდისფრად აჭყეტენ თვალს. ქვემოთ სამყურა ალერდი ხარობს. მინდვრის პირას გამოსული გზა კიდევ უფრო მკვეთრად მიიკლაკნება მთებში. ბოლო მოსახვევთან ორსართულიანი სახლი დგას — ბაღში ჩაფლული. მთელ შემოგარენში ეს ერთადერთი ხუტორია. შორიახლოს რამდენიმე ახლადშეკრული თივის ზვინი დგას მწყობრად, მიყოლებით ყელყელაობენ ბალახში კარეებივით. მათ შორის კი მწითური ცხენი დადის. ხშირ-ხშირად იქნევს თავს.

ხვატის მსუბუქი ბურუსი ადგილს უცვლის ხეთა ჩრდილებს, დაფრენენ ყავისფერი პეპლები, ფრთებზე თეთრი აშია გასდევთ. დატრიალებენ დამაბრმავებელ დღეში, საკუთარ ხანმოკლე ზაფხულს დღესასწაულობენ.

მინდვრის ნაპირ-ნაპირ სულ უფრო და უფრო შორს მივდგარ. ხეები უცებ ეშვებიან ქვევით. გზაც მკვეთრად ეშვება დამრეცზე, მის ზემოთ კი მრგვალშვერილიანი კლდეა აღმართული. ხეთა მჩხვლეტავ ტოტებს ვეჭიდები, ფეხქვეშ ჩხრიალით იბნევა კენჭები. კლდის შვერილამდე ავცოცდი და ზედ ჩამოვჯექი.

ესაა იდეალური სათვალთვალო კოშკურა. ზემოდან კლდე მიფარავს. მის ქვეშ დარჩა მინდორი და ხუტორი. დაბლა, ხეებს შორის ძლივს ილანდება გზა.

ჩემ წინ და ირგვლივ ისეთი სივრცეა გადაშლილი, რომ თვალს ვერ შემოავლებ ანაზდად.

მიწა იბურცება ხშირი, ულრანი ტყით შეფენილი ნაჭებით, და ბრწყინვალე ნათელში ცხადად ჩანს თითოეული მინდორი, ტაფობი. თითოეული ხევი. მთების ჯაჭვი იმ ხეობის გადაღმა მიიჭიმება, რომელიც ჩვენ უღელტეხილიდან დავინახეთ და რომლის თხემზეც დგას ჩვენ კარავი. ერთ ადგილას ფლატეთა ყვითელი ქვიშრობი ნახევრად დანგრეული ციხის კოშკებს ჰგავს. მე ახლა ყველაზე მაღალ წერტილზე ვიმყოფები და შორეული ქედები ჩემი თვალსაწიერის სიმაღლეზეა; ხოლო ფერდობები იმავე ღელესკენ ეშვებიან, რომელიც აქაც ისეთივე წვრილი და ისეთივე გრძელია.

იქიდან, ტყის ქვედა საზღვრიდან აფრინდა არწივი და ჩემ ქვემოთ დალივლივებს. ფართოდ გაუშლია უზარმაზარი ფრთები. დალივლივებს, ნელა კრავს ირაოს, დაბლა ფართოს, მაღლა და მაღლა სულ უფრო და უფრო ვიწროს და მთების მწვერვალებისკენ მიიწევს. ისე კარგად ჩანს, რომ ფრთებქვეშ ვარჩევ ღია მოყავისფრო ბუმბულს და თავს ნისკარტითურთ, რომელიც ჩემკენაა მობრუნებული. არწივიც მიყურებს და წუთით მისი მტაცებლური მზერა მზარავს. მერე ის იქცევა შავ წერტილად, რომლისთვის თვალის მიდევნება უკვე მიჭირს, დიდხანს გრძელდება ეს ნავარდი, შემდეგ კი წერტილი ქათქათა ცაში ქრება.

რეკენ ზარები და მეჩვენება, რომ მათი რეკვა და ხვატი ეპატრონება სივრცეს.

როგორი სიხარბით ვეწაფებოდი უწინ მიწისა და ზღვის ამ სილამაზეს. ვცდილობდი შემეწოვა, თან წამელო, რამეთუ თვალი ვერ ძღებოდა სანახაობით, ყური კი — ხმებით. მეჩვენებოდა, რომ ეს გამახვილებული შთაბეჭდილებები მიწევდნენ პირადი ბედნიერების მაგივრობას და თუკი ასე დიდხანს შესცქერი მათ, რაღაც გადაიხსნება ფორმათა, ფერთა შუქ-ჩრდილის თამაშის მიღმა, იმიტომ, რომ არ შეიძლება ფუჭი იყოს იგი. მაგრამ წყურვილი მაინც მოუკლავი რჩებოდა ისევ. სილამაზე მხოლოდ მეძახდა და მპირდებოდა, ოღონდ, არსებობდა თითქოს ჩემს ცხოვრებასთან დაუკავშირებლად, ყურადაც არ იღებდა მას. უდაბური, სრულყოფილი, უმიზნო სამყარო დღეცისმარე აელვარებდა საკუთარ ფერებსა და ხაზებს, ხოლო მე არ ვიყავ ჩაწერილი არც მის მარადიულობასა და არც მის სრულყოფილებაში.

და აი, ჯაჭვის ყველა გაგლეჯილი რგოლი შეიკრა, შეერთდა და წუთისოფელმა ზენაარი გამართლება და აზრი შეიძინა. აღარსად იყო არც ესთეტური აღფრთოვანება, აღარც ხახადაფჩენილი სიცარიელე მის ქვემოთ — სულში

სიწყნარემ დაისადგურა. მხოლოდღა ზედაპირზე მსუბუქ ჭავლად დაციმციმებდა ახრი, მაგრამ არ მინდოდა, რომ ესენიც ჩაჩუმებულიყვნენ. და სული გახდა გამჭვირვალე, მზეჩასახლებული წყლის სიღრმესავით.

მთელი ჩემი სიცოცხლე სადღაც მივემგზავრებოდი, მოვისწრაფოდი რამე გამეგო, დამეწერა და ერთთავად მეჩვენებოდა, საჭირო არის-მეთქი კიდევ უფრო შორს გამგზავრება და შემეცნება — და იქ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი აღსრულდება და ჰპოვებს დასასრულს. თუმცა იქნებ ორმოცდაწელიწადს მივდიოდი საკუთრი უდაბნოს გასავლელად, ისევე როგორც ისრაელი ხალხი, იმ აღთქმული მიწისკენ? და აი ჩამოვედი და ვნახე ჯვარი და წასასვლელი აღარსად არის, მინდოდა მეცხოვრა აქ და აქვე მოვმკვდარიყავ.

უკანდაბრუნებულმა ღუმენი დავინახე. ისევ იმ გამოხუნებულ მღვდლის ქვესაცმელში, ჩექმებში, ძველ ჟილეტში და შავ ნაქსოვ ქუდში, რომელშიც განდაგან ყავისფერი ზოლები იყო ჩაქსოვილი, წყაროსთან ბალის ძელსაკმზე იჯდა.

— ისე დასეირნობთ, თითქოს ტვერის ბულვარში იყოთ... — მის კილოში უწყინარი დაცინვა ჭვივის. — თქვენ წარმოიდგინეთ, არის განსხვავება იმაში, თუ რა თვალით უყურებს წუთისოფელს ორი ადამიანიშვილი. ერთი კარეტით მოგზაურობს, მეორე ფეხით მიუყვება გზას, სხვისი კარეტის მტვერში. თქვენ აქ კარეტით ჩამობრძანდით, რათა ისწავლოთ თავმდაბლობა, ყოველ შემთხვევაში, საჭირო არის ჩამოხვიდეთ კარეტიდან.

ძელსკამზე ვჯდები. მახარებს მისი პირდაპირობა.

— თუ გინდათ შეიცვალოთ ცხოვრება, ყველაზე უბრალო რამიდან დაიწყეთ. აქ ყველა ძველ ტანსაცმელს და ჩექმებს იცვამს. თქვენ კი გამომზეურდებით ხოლმე საუცხოოდ შეკერილ თეთრ ბლუზაში, თეთრ ქვედა ტანსა და თეთრ ბოსონოჟკებში...

გამეცინა. გამახსენდა მდინარის ნაპირზე როგორ გადავიცვი ნახი წითელი და ცისფერი ყვავილებით მოჩითული თხელი ჩითის ბლუზა, რომელიც მანამდე მხოლოდ ერთხელ, აღდგომას მეცვა.

აკი ყველაფერს ამჩნევს. მეგონა, ვერ მიხვდება, რა კოხტა შეკერილია-მეთქი.

— აი, ახლაც... — სწრაფად შემავლო თვალი და მიიხედა. — ნახეთ სამონასტრო ტანსაცმელი. ახალგაზრდა ქალს თავსაფარსა და ქვესაცმელში ასაკი აღარ გააჩნია, არქაული სამოსელი ხაზს უსვამს სასულიერო ხარისხისა და არა მამაკაცურ ღირსებას, ყველა წვრილმანი დაფარულია, გამქღავნებულია მხოლოდ დედაარსი. სულიერ ცხოვრებაში არ არსებობს წვრილმანები. აი ბლუზები, ჭრელაჭრულები, თმის ვარცხნილობა, — ეს ყველაფერი საქორწინო ბუმბული გახლავთ.

— მომეცით მონაზვნის ქვედა კაბა — და სიამოვნებით ჩავიცვამ.

— განა არა! რაღა თქმა უნდა, მონაზვნის ქვედა კაბას სიამოვნებით ჩაიცვამთ. კიდევაც იამაყებთ. ისევ უკიდურესობა. აი, უსახურ სადა სამოსელს და თავზე თავსაფარს — ამას როდი ინდომებთ.

აქ კი შიგ კაკალ გულში მომახვედრა. თავსაფარი არასოდეს მიტარებია, იმიტომ, რომ სრულებით არ მიხდება. და ის, რომ ტაძარში ქალი თავდახურული უნდა იდგეს, დიდხანს მეჩვენებოდა ფარისეველობად. თავსაფრის ტარება აქ, მთებში ოცდათხუთმეტ გრადუსიან სიცხეში — ჩემთვის ამაზე უარესს კაცი ვერაფერს მოიგონებდა.

ნახევრად ხუმრობით ვუთხარი ეს, მაგრამ არ ამყვა.

— სამოციქულო ეპისტოლეებში ნათქვამია, რომ ქალი, რომელიც არ იფარავს თმას, თავსლაფს ისხამს თავზე.

— ხოლო ძველ წესდებებში ნათქვამია, რომ ბერი, რომელმაც დედაკაცთან ერთად განვლო ერთი სამოღვაწო სარბიელი, უზიარებელი უნდა დარჩეს.

— სწორედ არის ნათქვამი. ახლა აღარ სრულდება ძველი წესდებები. ამიტომ ნამდვილი ბერებიც აღარ არიან.

მან თვალები დახარა და მისმა სახემ გულჩათხრობილი გამომეტყველება მიიღო.

— ნატებზე ღვთისმშობელს ვერსად ნახავთ უთავსაბუროდ.

— მამაკაცებსაც არ აცვიათ მაცხოვარივით... — შევეკამათე რბილად. არ მინდოდა თავსაფარზე მაშინვე დავთანხმებოდი.

— აი, ხომ სულიერი მორჩილებისთვის მოხვედით აქ, თვითონ კი მხოლოდ იმას სჩადიხართ, რომ თქვენსაზე დგახართ და დავობთ. მე არაფერი მინდა თქვენგან... იმას გეუბნებით, რაც აუცილებლად მიმაჩნია. თქვენი საქმეა— მიიღებთ თუ არა.

— ყველაფერს მივიღებ, მამაო მიქელ, — ილუმენის შეცვლილმა კილომ ოდნავ გამიფუჭა ხასიათი.— ხვალვე გადავიცვამ და თავსაფარსაც ვატარებ. უბრალოდ, ძალზე შეუჩვეველი ვარ ამას.

— მე კი, თქვენ გგონიათ, ამ ტანსაცმელში დავიბადე? — მან მღვდლის ქვესაცმლის კალთა ასწია.

ყოველ შემთხვევაში, მისი ტანსაცმელი მისთვის ბუნებრივი ჩანდა და არც მინდოდა სხვაგვარად ჩაცმული მენახა იგი.

— შეეჩვიეთ. ყველაფერი ქალური, რაც თვალშისაცემია, უნდა მოიშოროთ, მოკლედ შეჭრილი თმა — ძალზე ქალურია.

თვალით შეეხო ჩემს თავს. თითქოს მეყსეული ქესტით მოეფერა და შებრუნდა. მაგრამ მე დამამახსოვრდა მისი მზერა.

მომდევნო წამს ილუმენის სახემ ნაცნობი გამომეტყველება დაიბრუნა. კეთილმოსურნე და ოდნავ დამცინავი.

— ერთი სიტყვით, გადმოდით კარეტიდან. უკვე ჩამოხვედით, ამას იქით ფეხით მოგიწევთ სიარული.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ შეგიძლიათ ჩექმების ნაცვლად უფრო მსუბუქი ფეხსაცმელი ატაროთ?

— რაც უფრო თავისუფალია ხორცი, სული მით უფრო შევიწროებულია. ჩექმებს კი არა, ძველი ბერები თუჯის ფუთიან ფეხსამოსს ატარებდნენ. და ახლაც ატარებენ, ოღონდ ყველა თავისას. თქვენ რაო, გინდათ მსუბუქი ტერფებით შეაბიჯოთ ზეცათა სასუფეველში?

შანდალზე ცვილის სანთელს დამუკნარ ღეროსავით მოსწყვეტია ყინწი. კარავში მშრალი სიცხეა. მონასტრის ეზოში მთვლემარე სიჩუმე დგას. მამა მიქელი საპატრიარქოში გაემგზავრა. ორ-სამ დღეში დაბრუნდება უკან. ტრაპეზის შემდეგ ბენედიქტე გაქრა.

წყაროდან ნახევარწრედ წამოსულ ქვის სკამზე მარტო არჩილი ზის, ძაღლებს კვებავს. თევზის კონსერვის ქილაში აწობს პურს და ლუკმა-ლუკმად აწვდის ხან მურიას და ხან ბრინკას. თანაც ალერსიანად ემასლაათება.

დიდი შავი მურია მაშინვე ყლაპავს თავის ლუკმას. პატარა, თეთრი, ბან-

ჯგვლიანი ბრინკა კი ჯერ მიწაზე ათრევს, მოკლე ფეხებით ლუკმის გარშემო თელავს მიწას და ძაღლის კვადრატული დრუნჩი ბავშვურ უნდობლობას გამოხატავს. არავინ იცის, საიდან მოვიდა. ესეც აიყვანეს კმაყოფაზე. არჩილი ორივე ძაღლს თავ-თავისას აძლევს, ლუკმისთვის ჩხუბი არ სჭირდებათ, ამიტომაც მშვიდობიანად ცხოვრობენ ერთად და ერთად დარბიან. წინ მურიკ ვარბის ხოლმე, ბრინკა უკან მისდევს. ორივე შეეჩვია მონასტრის სამარხვო საზრდოს. მაგრამ ხანდახან ტურისტებს მოაქვთ აქ ხორცი და მაშინ ძაღლებს აძლევენ. პირის ჩასაგემრიელებლად. ძაღლებმა იციან, რომ ტაძარში შესვლა არ შეიძლება და წირვის დროს ზღურბლის გადალმა წვანან ბალახზე. როცა ბენედიქტე ზარებს აგუგუნებს, დრუნჩაშვერილი მურია უკან თათებზე ჯდება და ყეფით აძლევს ბანს.

— გიყვართ ძაღლები? — მეკითხება არჩილი, — გინდათ თქვენ აჭამეთ?

ვეთანხმები და ამასაც ვეუბნები, რომ ახლა საბანაოდ მივდივართ. და ვთავაზობ, წყაროსთან დადგას ორი ჯამი — დიდი მურიასთვის, პატარა ბრინკასთვის. არჩილი მეთანხმება და გამოთქვამს ფრთხილ ვარაუდს, შეიძლება ძაღლები ვერ მიხვდნენ, რომელი ჯამი რომლისაა. ვიცინით. ლუკმის მოლოდინში ბრინკა არჩილს მუხლებზე ახტება და თვალებში შესციცინებს.

არჩილის ტანმორჩილი ფიგურისაგან, შავტუხა, შავწვერიანი სახისაგან კეთილმოსურნეობა და სიმშვიდე ჭვივის. თვითონ არასოდეს გამოგელაპარაკება პირველი, თავაზიანად გპასუხობს, მაგრამ სიტყვაძუნწი კაცია. ხშირად იღიმის. ზოგჯერ მის ღიმილში სული აშუქებს. ასეთი წრფელი, უწყინარი სიყვარულით აღსავსე ღიმილი მხოლოდ წმინდა გულის პატრონებმა იციან.

— დიდი ხანია მონასტერში ხართ? — ეკითხება მიტია.

— სულ ნახევარი წელია. ჯერ მთლად ახალგაზრდა მორჩილი ვარ, შენსავით.

— ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ თქვენ აქ მუდამ ცხოვრობდით,— ვეუბნები.

— მე თვითონაც ასე მომეჩვენა, როცა ჯვარზე ამოვედი.

— მანამდე რას აკეთებდით?

— ძნელი ასახსნელია, — დამნაშავის ღიმილით გაიღიმა, — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში ვმუშაობდი.

ამას კი აღარ ველოდი მისგან.

— ისტორიული ფაკულტეტი დავამთავრე და პარტიული ხაზითაც კი ვაპირებდი მუშაობას. მაგრამ, საბედნიეროდ, შორს როდი გამიშვეს. მერე კი მივხვდი, რომ თუ ცაში არაფერი გაგაჩნია, მიწაზე ვერაფერს შეიძენ. და რომ რასაც აშენებ — ყველაფერი დაგენგრევა...

— „არა თუცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შურებიან მაშენებელნი მისნი“.

— დიახ, დიახ... ადამიანები ხომ ნეტარებისა და ბედნიერებისაკენ დაეძებენ გზებს. მაგრამ ვინ შეიძლება იყოს ნეტარი? „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენენ სჯულსა უფლისასა“, — თავმდაბლად ხსნის არჩილი, — იარეთ ღვთის კანონებით და ყველაფერი რიგზე იქნება. მან ყველაფერი მიგვითითა — გზები, საშუალებანიც, მიზანიც.

მაგრამ ადამიანებს, ადამისა და ევასი არ იყოს, ღმერთის კი არა, მაცთურისა სჯერათ, — ვფიქრობ ჩემთვის. ის გვპირდება გზებს, უფრო მოკლეს, პირდაპირს. რაღა შეაჩერებს ახლა მათ, თუ რომ თვითონვე იქცნენ „ვი-

თარცა ღმერთები"? ვიღა იტყვის: „არა კაც ჰკლა", „არა იმრუშო"? და ყოველივე ნებადართული შენ გვერდითაა, მაგრამ სტაცებ ხელს და — ხელცარიელი რჩები. „მოტყუება", „მონადირება", „მოჯადოება" ნაწარმოებია ძირიდან — „მლიქვნელობა", რაც სლავურად ტყუილს ნიშნავს.

„მაგრამ ღმერთმა ხომ თვითონვე დარგა სამოთხის შუაგულში კეთილისა და ბოროტის ცნობადის ხე! — არ იცოდა განა, რომ ადამიანი ამ სიცრუეზე წამოეგებოდა? — იკითხავს მავანი, რადგანაც არ ესმის, ხალხში ამდენი ბოროტება ქვეყანაზე! რაღა თქმა უნდა, ღმერთს კიდევ ერთი კრავის შექმნა რომ ჰქონოდა განზრახული, ივი მის ბუნებაში არ ჩასდებდა ბოროტის ქმნის შესაძლებლობას.

მაგრამ ადამიანი ამაღლებულია მთელ შესაქმეზე ღმერთსმიმსგავსებული თავისუფალი ნებით, არჩევანის შესაძლებლობამდე: ილოცოს ანდა ჯვარს აცვას ღმერთი.

და ეს ადამიანური თავისუფლების საზარელი ხვედრია: „უღმერთოდ გაიარო თვითდამკვიდრების გზა, უარყოფდე მას,— არის ძე ცთომილის გზა; და მიხვდე, რომ ეს გზა დაბლამდე, სულისა და სამყაროს დაღუპვამდე მიმყვანია", ოღონდაც მიხვდებიან კი ადამიანები ამას იქამდე, ვიდრე დაიღუპებოდნენ?

აი, რა წყდება ჩვენს ამბოხიერ დროში.

ბილიკი მოლით და მინდვრის ყვავილებით არის გადაბურდული. ეს გზა მდინარისაკენ ბენედიქტემ გვასწავლა.

— თქვენც დაიარებით ხოლმე საბანაოდ? — ჰკითხა მიტიამ.

— არა, მე საერთოდ სამი თვეა, არ მიბანავია.

გაგვეცინა. ხუმრობაში ჩამოვართვით. მაგრამ მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ პენედიქტე იხდის ასეთ ღვაწლს თუ ეპიტიმიას, ამგვარად თრგუნავს ხორცს.

მდინარის წყალი კოჭებამდე გვწვდება. წყალი სწრაფად დის. გამჭვირვალედ ელამუნება ქვიან ფსკერს, ბრწყინავს და თვალს ჭრის, იმდენი მზეა ამ დღეებში. ღელე მიიკლაკნება, იმეორებს ხეობის უთვალავ ნადრეკს. და ხევის თითოეული ღუნის მიღმა სხვა პეიზაჟი იშლება, ჩვენ წინ თუ უკან ჩაკეტილი და მხოლოდ ზევით გახსნილი. იქ, ზეციურ სიმაღლეში უძრავად დგანან ხეები. ხეობა იმდენად ვიწროა, რომ ალაგ-ალაგ ღელე უნაპიროდ რჩება და ხეები პირდაპირ წყლიდან მიიწევენ ტინის კედელზე.

შევჩერდით ჩაკეტილ უბეში, პატარა ჩანჩქერი და თითქმის დაკიდული ნაპირები რომ ჰქონდა. გრაფიტივით ბრჭყვიალა ქანები ერთი და იმავე კუთხით მიიწევენ ზევით და უცნაურ გეომეტრიულად მკვეთრ ნახაზს ქმნიან. ფენათა ნაწიბურები ზედიზედ არის დახვავებული. დაკბილული მახვილი კიდეები აქვთ. ხელის შეხებისაგან იფშვნებიან.

ჩვენ ტანთ გავიძრეთ ქვიან კონცხზე, ოროვანდით გადაბურდული კლდის ქვეშ, და წყალში შევედით.

ჩანჩქერის ქვეშ მიტია ზურგით მიეყრდნო ქვას. წყლის ელვარე ჩქერი დასდიოდა თავზე, მხრებზე და წვრილ-წვრილ ცისარტყელებად იმსხვრეოდა. ოროვანდის ბუჩქებში დარჩა მღვდლის ქვესაცმელი და ჩექმები. ჩემი ბიჭი წყალს ადგაფუნებდა და სიცილით იჭაჭებოდა, სულ მთლად გულს გადავარდნოდა მორჩილის სიდარბაისლე. მე კი გავწექი ქვის ფსკერზე. კანის ყოველი უჯრედი ხარობდა წყლის მოძრაობისაგან, ტალღების გამჭვირვალე სიგრილით, მერე ადგილები შევინაცვლეთ.

ასე ორი საათის შემდეგ ავკრიბეთ ტანისამოსი და ფეხშიშველები გავყ-

ყევით ღელეს აღმა, ნაკადული დუდღუნ-ჩურჩულით მიგვაცილებდა. დაჩრდილულ მდელობზე გადავაწყდით დოლაბის ნამსხვრევებს — მონასტრის წისქვილის ნარჩენებს. მერე ხეობა გაფართოვდა, მაგრამ თითქმის ნახევრამდე ამოყორილი იყო მოხეთქილი ქვის ლოდებით. ამ ქვასაცავებზე წყალი ზმაგად დიოდა, შხეფებად და ძაფად გადაქცეული. აქ უკანასკნელად ვიბანავეთ და უკან გავბრუნდით. თან მიგვქონდა სიგრილისა და სისუფთავის შეგრძნება.

სატრაპეზოს ფანჯრიდან მამა ბენედიქტე შეგვეხმიანა.

იჯდა და წინ ედგა ლია-მწვანე პარკი ლობიოთი სავსე დიდი თასი. გვერდით თითო ჯამი კარტოფილი და ბადრიჯანი შემოეწყო. მე კარის ღიობში შევჩერდი. ის კი ჩრდილიდან დაჟინებული ამომცნობელივით შემომცქეროდა, თითქოს დიდი ხანი იყო ერთმანეთი არ გვენახა.

— ქართულ კერძს — აჯაფსანდალს ვამზადებ. თუ გინდათ, შეგიძლიათ ისწავლოთ.

მიტიამ სველი პირსახოცები გასაფენად წაიღო. მე ბენედიქტეს პირდაპირ მივუჯექი მაგიდას და პარკი ლობიოს გარჩევა დავიწყე. დარჩეულ ლობიოს წყლიან ქვაბში ვყრიდი. მალე თვალი ისე შეეჩვია ჩრდილს, რომ დიაკვნის სახეზე თითქოს ნაყვავილარიც შევამჩნიე.

— დაო ვერონიკა... — მან ნელა ასწია თვალები. როგორც ყოველთვის, პირკუშტი ანდა მოჩვენებითად მოქუფრული მზერა ჰქონდა, კუნაპეტი სიშავის თვალის გუგებისა და წამწამებისაგან, — იცით საჭმელების დამზადება?

ისე ჩაფიქრებით დაიწყო, მეგონა, უფრო მნიშვნელოვან რასმე იტყოდა.

— სრულებით არ ვიცი. ჩვენთან, გვერდით ოთახში მარტოხელა ნათესავი ქალი იყო შემოკედლებული, ამ გმირობას იგი ნებაყოფლობით ჩადიოდა. და აი, პირველად მეძლევა შემთხვევა ვინანო, რომ იმისგან არაფერი მისწავლია.

— არა უშავს რა, ჩვენ გასწავლით. იცით, რა არის ნამდვილი მონასტრული საზრდო? ის, რასაც არ გააჩნია არც გემო, არც ფერი და არც სუნი.

მე კარტოფილს და ბადრიჯანს ვფცქვნიდი. ის მოშარიშურე კანს აცლის ისფერ ხახვის თავებს და თანაბარ ნაჭრებად ჭრის.

— ვერონიკა... — უცებ ისევ წამოიწყო მან, — ისე მოხდა, რომ ღღეს ღელეზე დაგინახეთ.

დანა დადო.

— მერწმუნეთ, რომ მცოდნოდა, საბანაოდ მიდიოდით, უკან არ გამოგყვებოდით. მე ცხენს დავეძებდი. ხანდახან შორს წაეხეტება ხოლმე აქედან. მივდიოდი ხევის პირად და უცებ დავინახე მობანავე ქალი.

შევცბი.

— განა არ გინახავთ მობანავე ქალები თქვენს საკურორტო პლაჟებზე?

— წინათ მე თვითონაც პლაჟის ხშირი სტუმარი ვიყავ. მაგრამ როდესაც ადამიანები დიდი ხნით ცხოვრობენ მონასტერში, ისინი ყველაფერს სხვაგვარად აღიქვამენ. ამაში თქვენ არ მიგიძღვით ბრალი, ისევე როგორც მე. აქ. მონასტერში მძაფრდება ბრძოლა ყველა სახის ვნებათაღელვასთან და მე უნდა მეთქვა ეს აღსარება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მაშინვე უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, თუ რამ ჩრდილი ჩამოწვება, რაც უფრო შეყვები, მით უფრო ძნელია მერე. მოხარული ვარ, რომ გითხარით, იმიტომ, რომ მინდა სუფთა ვიყო თქვენს წინაშე.

მან გაიცინა.

როცა კაცი მონასტერში შედის, ეშმაკები სხვადასხვა საცთურს უწყობენ... და კიდევ ერთიც, თუ შეიძლება, თავსაფარი ატარეთ.

დღისით, საბანაოდ რომ მივდიოდი, ცხადია, თავზე არ დამიხურავს თავსაფარი. სამაგიეროდ, ახლა მაშინვე დავებრუნდი კარავში და თავზე ცისფერი აბრეშუმის თავსაფარი წავიკარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა ბენედიქტემ თვალით მომიწონა მორჩილება.

უხერხულობა თანდათანობით იფანტებოდა, თითქმის ძალდაუტანებლად წამოვიწყეთ საუბარი. შევთავაზე, სუფრას მე გავაწყობ-მეთქი. მწვანე ნაჭერი გამონახა. ზედ ერთად გადავაფარეთ გამჭვირვალე მუშამბა. ვინანე, რომ გუშინ არ დავკრიფე მაჩიტების თაიგული; შეიძლებოდა მათით სუფრის დამშვენება.

— იშვიათად ვდგამთ ხოლმე მაგიდაზე ყვავილებს. ზოგჯერ ერთადერთ ვარდს, სახატის წინ. მონასტერში ყველაფერი მკაცრად, სასტიკად უნდა იყოს. რაც უფრო მეტია სილამაზე მით უფრო დიდია საცთური.

ეს განცხადება მე მივიღე, როგორც უკანასკნელი ხუმრობა ამასწინანდელი საუბრის თემაზე.

მაგრამ თავად საუბარმა კი თავზარი დამცა. ასეთ პირდაპირობასა და გულღიაობას არ ვვარაუდობდი ადამიანთა შორის. მჯეროდა, რომ ბენედიქტეს სიტყვებში არავითარი ცბიერება არ ერია.

მონასტრის ოდნავ ქვემოთ ხევის პირად მდელობზე ბაღის ძველი, თუჯისფეხებიანი ძელსკამი იდგა. მწუხრის შემდეგ იქ მივდიოდი, რომ ჩამოვმჯდარიყავი და დაისით დავმტკბარიყავი.

მალე მამა ბენედიქტე გამოჩნდა. მას მოსდევდა ფეხშიშველი ტანადი ახალგაზრდა ქალი.

— დაო ვერონიკა, — წარმომიდგინა იგი. — ეს ლორელეაა, ჩვენი ერთ-ერთი თეატრის წამყვანი მსახიობი ქალი. ამას წინათ მას ინგლისი უკრავდა ტაშს. ლორელეამ თავის მეგობრებთან ერთად შემოგვიარა. ახლა ჩვენ ვივახშმებთ, მერე კი ერთად მობრძანდით სატრაპეზოში.

ლორელეას გარეგნობამ კიდევ უფრო გამაოცა, ვიდრე სახელმა, განსაკუთრებით ამ მივარდნილი ადგილისათვის, მხრებზე ჩამოშლილ წაბლისფერ თმაზე გრეხილი ზონარი შემოეხვია, შუბლზე გადაეჭირა და სამ ადგილას რგოლებად ჰქონდა დამაგრებული. მოკლე, ზოლიანი ვიწრობრეტელებიანი ბლუზა ეცვა, უფრო სწორად, მაისურა, რომელიც საჩინოს ხდიდა მკერდს, სხვა არაფრით რომ არ იყო შეკეწროებული. ბლუზა ძლივს სწვდებოდა მუცელს და ვერ უფარავდა ქამარს, მარლის აქურულ ქვედატანზე რომ ჰქონდა შემორტყმული. ხელში საცობისძირიანი მაღალქუსლიანი ბოსონოშკები და რაღაც მოსახსამის მაგვარი ეჭირა.

ბენედიქტემ დამნაშავის ლიმილით გაგვიღიმა და დაგვტოვა.

ლორელეა ძელსკამზე ჩემ გვერდით ჩამოჯდა და პერლამუტრის პედიკურიანი ფეხები ამოიკეცა.

— უბრალოდ, ლო დამიძახეთ...

იძულებით გამოწყობილს გულდახურულ კაბასა და თავსაფარში, მის თავისუფალ სამოსელზე რაღაც უსიამო გრძნობა აღმეძრა, რაც ნებისმიერ სხვა დროს არ მომიეიდოდა — და რამდენიმე თავაზიანი ფრაზის შემდეგ, ერთ-

მანეთს რომ ვუთხარით, არანაკლებ თავაზიანად შევნიშნე, მამაკაცთა მონასტერში უკადრისი საქციელია-მეთქი მკერდმოშიშვლებული მოსვლა.

მან მკერდზე მექანიკურად დაიფარა ხელისგული და საკმაოდ უდარდელად მომიგო:

— ამას არა აქვს მნიშვნელობა. მე მათთვის სხვა მხრივ ვარ საინტერესო. ჩვენი წინაპრები, ძველი ფრესკების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნახევრად გამქვირვალე სამოსელში დადიოდნენ ანგელოზებივით.

— წინაპრებისა არ ვიცი. მაგრამ ჩემმა თანამედროვეებმა კი დაკარგეს ანგელოზური სიწმინდე და თქვენთვის ეს ალბათ კარგად არის ცნობილი.

— ამასთან მე დიდი ხანია დავდივარ აქ. ზოგიერთებს ბავშვობიდან ვიცნობ... ბენედიქტე ჩემს ქალიშვილთან ერთად სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში.

— განა რამდენისა ხართ?— გავიკვირვე, თუმცალა საკმაოდ თავშეკავებულად.

ეს უცნაური საუბარი ჯერჯერობით ზრდილობის ფარგლებში მიდიოდა.

— ორმოცდა ექვსისა, — არცთუ ხალისით მომიგო მან.

მე კი ვფიქრობდი, ასე ოცდარვის იქნება-მეთქი, და ამიტომაც მივეცი ნება თავს მის ტანსაცმელზე ჩამომეგდო სიტყვა. კარგად რომ დავაკვირდი, აღმოვაჩინე, რომ თმას იღებავდა, სხვა დანარჩენი კი საუცხოოდ შემონახულა.

— ბენედიქტე რამდენიღა წლისაა?

— ოცდაცხრისა.

ესეც კიდევ ერთი მოულოდნელობა. მის ასაკზე მე არ მიფიქრია, მაგრამ რატომღაც იმ შთაბეჭდილებისა ვიყავი, ტოლები ვართ-მეთქი. შემელოტებული შუბლი და წვერი, მაშასადამე, მას თურმე თხუთმეტი წლით აბერებდა.

ჩემს საუბარს ლორელეი არ აუმღვრევია და მეც განვაგრძობდი. იქ, იმ წუთისოფელში, მე მივუთითე ხრამის ციცაბო ნაპირის მიღმა, მით უმეტეს, მსახიობთა წრეში, ეს ტანსაცმელი არავის გააკვირვებდა.

მან ოდნავ აწკიპა წარბები, თითქოს ჩემი ვარაუდი არც მაინცდამაინც ესიამოვნა.

— ხოლო აქ, — სიტყვა გამაწყვეტინა მან, — ამას ვერ შეამჩნევენ, იმიტომ, რომ ბერები წმინდანები არიან.

სისულელე იყო, მაგრამ მაინც არ შემეძლო არ შევპასუხებოდი.

— ადამიანი თავის თავში იტევს მთელ დისტანციას ცხოველიდან ღმერთამდის, — ვეუბნებოდი მე, — „იყავით სრულყოფილნი, ვითარცა თქვენი ზეციური მამა“, — ამაშია ყველა მცნების დედააზრი. ხოლო ეს კი იმდენად მაღალია, ადამიანურ ძალებს არ შეეფარდება. არ ყოფილა და არც არის ამქვეყნად უფრო მაღალი იდეალი და უფრო არისტოკრატული მორალი. ადამიანთა უმეტესობას ქრისტიანობა ვერ ხელეწიფება. ამიტომაც ამბობენ ისინი, ის განუხორციელებელიაო.

— განა შესაძლებელია კი მისი განხორციელება? ვის შეუძლია იყოს სრულყოფილი მამაზეციერივით? — ერთგვარი დაინტერესებით იკითხა მან.

— ქრისტეს მოწაფეებიც კი განცვიფრებულნი კითხულობდნენ: „ვის შეუძლია ცხონდესო“. მან უპასუხა, რომ ადამიანთა მიერ ეს შეუძლებელია, ღმერთისთვის კი შეუძლებელი არაფერია. განა ბერ-მონაზვნობა ზნეობრივი თავდადება არაა ასეთი ამაღლებისათვის, მამაზეციერის მიმსგავსებისთვის. იგი

სცდება ადამიანურ შესაძლებლობათა ფარგლებს და იქ გადადის, სადაც მოქმედებს მადლის სავსება.

— თქვენ აიდეალებთ ამათ... — მან ნეკი ასწია, რომ შევეჩერებინე.

— ვერც მხატვარი და ვერც მსახიობი ვერ გამოხვალ, თუ ღვთიური ნაპერწკალი არ ღვივის შენში. ყველას თავისებურად მიაქვს იგი ადამიანებამდე და სიკეთეს ემსახურება. მღვდელი — ამბიონიდან, მსახიობი — სცენიდან, თანაც მსახიობს ახლა მეტი მაყურებელიც ჰყავს.

ეს ყველაფერი ბევრჯერ მსმენია ინტელიგენციის წრეში, რომელიც საკუთარ თავს შემოქმედებითს უწოდებს. საუბარი შეუძლებელი ხდებოდა, რადგან სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობდით და სიტყვებს „სიკეთე", „ჭეშმარიტება" და „სიყვარული" შეიძლებოდა სრულიად საწინააღმდეგო გაგება ჰქონოდა.

მახსოვს, ერთი დრამატურგი ყვებოდა, პიესა დავწერე ქრისტეზეო. მას არ სწამდა ღმერთი, მაგრამ რატომღაც მიაჩნდა, რომ მისი, დრამატურგის ბაგეებით მამაზეციერი ღაღადებდა. ენისწვერზე მადგა კითხვა: „მაინცდამაინც რატომ ღმერთი და არა პატივმოყვარეობის ჭინკა?" მაგრამ ეს არ იქნებოდა ზრდილობიანი საქციელი და ამას გარდა, დრამატურგს მით უმეტეს არ სწამდა ჭინკების, იმისდა მიუხედავად, რომ ეს უკანასკნელნი გაცილებით ახლოსაა ჩვენი ცხოვრების გარემოსთან.

თანამოსაუბრეთა სერიოზული განზრახვის შემთხვევებშიც კი, იქიდან გამომდინარე, რომ ღმერთი არსებობს, ერთიერთგაგების შესაძლებლობა უფრო ხშირად გამორიცხულია წარმოდგენების შეუსატყვისობით იმაზე, თუ რა არის ღმერთი. უკანასკნელი ხუთი-ექვსი წელიწადი მხოლოდ იმას დავახარჯე, რომ დასმული კითხვის პასუხი შემეტყო, რისთვისაც ქრისტიანობის ორიათასწლოვან კულტურას ვეზიარე. და მხოლოდ მაშინ, როცა სიღრმეში შევტოპე, აღმოვაჩინე, თუ რაოდენ უცნობი არის ეს ზონა ჩვენთვის, თანამედროვე ინტელიგენტებისათვის, ანდა, როგორც ერთი კრიტიკულად მოაზროვნე, ამჟამად საზღვარგარეთ მყოფი მწერალი ამბობდა — „ობრაზოვანცებისათვის". მიეხვდი, რომ ურწმუნოება არცოდნისაგან გვჭირს.

— დადიხართ ეკლესიაში? — ვეკითხები ლორელეას.

— იშვიათად. ჩვენი სამსახური იდეოლოგიურად ითვლება და თუ დაგინახეს...

— ალბათ არც მოთხოვნილება გაქვთ...

არ უარუყვია, თუმცა ამაზე ხშირად პასუხობენ, დრო არა მაქვსო.

— ახლა ვხედავ, რომ რწმენას და ურწმუნოებას გამოიმუშავებს ცხოვრების ორი სრულიად საწინააღმდეგო წესი, ხასიათის წყობა. აქ, საქართველოში, ოდესღაც გიმნაზია დაამთავრა ალექსანდრ ელჩანინოვმა, საოცრად ნათელმა პიროვნებამ, იგი მღვდლად ეკურთხა ნიცაში. ხოლო კვდებოდა პარიზში კიბოსაგან. საშინელი წამებით კვდებოდა, ძილშიც კი ყვიროდა. მაგრამ სანამ გონებაზე იყო, ახლობელმა ადამიანებმა მხოლოდ ერთხელ დაინახეს ცრემლი მის თვალებზე, ვნების კვირაძალი იყო, მას კი არ შეეძლო ტაძარში ყოფილიყო. ელჩანინოვმა ჩანაწერები დატოვა. ნათესავებმა თავი მოუყარეს მათ და გამოსცეს. არავინ იცის ისე ადამიანთა სული, როგორც მღვდლებმა, რომელთა წინაშეც ათასობით ადამიანი აშიშვლებს ყველაზე იდუმალს აღსარების დროს. აი, ამ კაცმა შენიშნა, რომ ნიჭით ცხებული ადამიანი ჰგავს გეიზერს, მის სულში არ რჩება ადგილი, ღმერთმა რომ დაიკავოს, და არც სიჩუმე, ღვთის ხმა რომ გაიგონოს.

მთის გადალმიდან სწრაფად მოცურავდნენ გრძელი, რძისფერი ღრუბლები, მათ ქვეშ მზე სწორ წრედ ჩადიოდა. გრილმა ქარმა დაუბერა და, თითქოს წინარე საუბართან კავშირის გარეშე, ლორელეამ წამოსასხამი მოიხურა, დაიფარა მკერდი და მხრები. ის უცებ დადინჯდა და თითქოს ასაკიც დაუმძიმდა.

— განა ხელოვნებას ღმერთთან არ მივყავართ? განა ტალანტი ღვთიებრივ-ძებული არ არის?

— რატომ? ცაგამთენიაც ღვთაებრივი სილამაზით და სიბრძნით იყო დაჯილდოებული, მაგრამ შესცოდა და ბნელეთის უზენაეს მოციქულად გადაიქცა. რელიგიამ და ხელოვნებამ შეიძლება საპირისპირო მხარეს გაგვიყვანოს. რელიგიური ცხოვრება — არის გზა ზნეობრივი სრულყოფილებისა, საკუთარ თავში ჩაღრმავებისა, პირველ ხატთან მიმსგავსებისა; მიმსგავსებისა ღვთაებრივ წინაგანზრახვასთან ჩვენი შექმნისას. მსახიობობა, მწერლობა უფრო ხშირად რჩება სხვათა ნიღბების მორგების ცდად, ფალსიფიკაციად, თამაშად, ადამიანს რომ საკუთარი ბუნების ამპარტავნულ თვითკმარობას, საკმარისობას გაუმტკიცებენ. ხოლო ეს თამაში მას იმდენად მნიშვნელოვნად ეჩვენება, რომ თითოეულ საკუთარ გამოვლინებაში მზად არის დაინახოს ღვთაებრივი საწყისი...

— ბენედიქტემ მითხრა, რომ თქვენ მწერალი ხართ.

— არ ვიცი. ახლა არ ვიცი. პროფესიით — ვარ, თუმცა კი ცოტას ვწერდი. ხოლო უკანასკნელ წლებში ისევ მხოლოდ და მხოლოდ მკითხველად გადავიქეცი. დავკარგე ინტერესი ლიტერატურისადმი, როცა დავინახე, ადამიანის სულის ყველა ინჟინერზე რამდენად უკეთ გვიცნობენ ჩვენ წმინდა მამები.

— ახლა რას აკეთებთ?

— ვიქრობ იმაზე, რა უნდა ვქნა.

— დიდი ხანია?

— დიდი ხანია.

რამდენადაც მეტად გაუგებდნენ ხოლმე ადამიანები გემოს ჭეშმარიტ სულიერ ცხოვრებას — ღვთისმსახურებით, ლოცვით, — იმდენად ნაკლებ ესაჭიროებოდათ მათ გარეგან ფორმათა შემოქმედება და პირიქით, მდუმარებაში იძირებოდნენ, ხოლო მდუმარების შემდეგ, სული წმიდით დაიწერა რუბლიოვის „სამება“, მეფე დავითის „ფსალმუნნი“, სიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის ღვთაებრივი ჰიმნები...

გვესაჭიროება კი შუალედური ფორმები, როცა ლიტერატურა უკვე აღარ არის წარმართული, მარგამ ჯერ არ შეუძლია გადაიქცეს ლოცვად? ფორმები, რომლებიც ასახავენ ადამიანის გზას ღმერთისაკენ, მის ძრწოლას, ცთომას, პირველ გამოცხადებას ზეციურისას, ჯერ ისევ მიუწვდომელისა და შეუძლებელისა? არ ვიცი.

ამის შემდეგ ერთხელ ვკითხე მღვდელს: რა ვქნა-მეთქი ახლა? მან გადაშალა იოანეს სახარება და წაიკითხა: „ჰრქუეს მას: რაი ვყოთ, რათა ვიქმოდეთ საქმესა ღმრთისასა?“ „მიუგო იესუ და ჰრქვა მათ: „ესე არს საქმე ღმრთისა, რათა გრწმენეს, რომელი-იგი მან მოავლინა“. ამით ვცხოვრობ მე ახლა.

მაგრამ მე არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო ამქვეყნად.

გზისპირი თვალდათვალ იძირებოდა სილურჯეში. სიმშვიდე იღვრებოდა ბინდის ნისლში დაძირულ მთებზე.

ო, სიმშვიდეში რომ ჩაიძირებოდეს, მდუმარებაში გალღვებოდეს ყველა ის სიტყვა, რომელსაც ვამბობ... ამ სიჩუმეში ვისწავლიდი უბრალოდ ყოფ-

ნას ღვთის წინაშე, კი არ ვიმსჯელებდი მასზე, არამედ ვეჭვრეტდი მას, ვისმენდი ხმას — რაღად დამჭირდებოდა მაშინ მეწერა?

მაგრამ მე არ ძალმიძს ვლოცულობდე და ვდუმდე, ამიტომაც ვლაპარაკობ და ვწერ და ამაოა ჩემი სიტყვები.

სუფრაზე, ჯამებს შუა, რომლებშიც ჩარჩენილიყო კერძი, მე და ბენედიქტე მთელ დღეს რომ ვამზადებდით, ჭიქებსა და საზამთროს ქერქებს შორის, ვიწრო ყელებზე ფოლგაშემოჭდობილი ხუთი ცარიელი ღვინეს ბოთლი იდგა.

ბენედიქტე და მსახიობი ქალის ორი მხლებელი სატრაპეზოს ფანჯრის პირდაპირ სიმინდის ყანის პირად ქვის დაბალ ყორეზე სხედან და საუბრობენ ზეაწეულ, მაღალ კილოზე.

ლორელეამ თავისთვის დაისხა ღვინო, უნდოდა ჩემთვისაც დაესხა, მაგრამ უარი ვუთხარ... და მერე აღარც თვითონ გაკარებია ღვინის ჭიქას. სიამოვნება არ მიუნიჭებია მისთვის არც ჩვენს ნახელავ კერძს.

— რა არის ეს? — ზრდილობიანად დაინტერესდა იგი, გემო რომ გაუსინჯა.

მე დავასახელე. მან თავი მოიკატუნა, აჯაფსანდალი მხოლოდ შემთხვევით ვერ ვიცანიო. არ უჭამია.

მალე ისიც თავის მხლებლებს შეუერთდა. ეს ორი დარდიმანდულად ექსტრავაგანტური ყმაწვილი ერთი შეხედვით შვილებად ერგებოდა მას. იგი მათ წინ გრაციოზულად დაეშვა მოლზე და თეთრი ქვედატანი ფართოდ გაშალა. ერთი მათგანი ბალდადით და ბანქოთი ფოკუსს უჩვენებდა. ეტყობოდა, ამ მიზნით საგანგებოდ თან დაატარებდა.

აღგზნებული შეძახილებსა და ხელების ქნევაზე ემჩნეოდა, რომ ბენედიქტე გვარიანად შეზარხოშებულიყო. ჩემს მხარეს იყურებოდა. მერე კარს მოუახლოვდა.

— ჩვენი მხრიდან უსინდისობა იქნებოდა, გაიძულოთ, რომ ეს ყველაფერი აალაგოთ, — იგი პასუხს ელოდა, მაგრამ რადგან არაფერი ესმა, დამპირდა, ჩვენ შეგეშველებითო...

ამ დროს ტაძრის პირდაპირ, მდელოზე, ჩემი შვილი გამოჩნდა.

— დიმიტრი! — იყვირა ბენედიქტემ, — მოდი აქ. სტუმრები გთხოვენ, ფისგარმონიაზე დაუკარი.

გამოცოცხლებული შეძახილებით მთელმა კომპანიამ ტაძრისკენ გასწია.

„დავრეცხო თუ არ დავრეცხო? — ვფიქრობდი მე. ამჯერად ამრეზით. დავხედე მაგიდას, — რისთვის? მონასტერი საამისო ადგილი არ არის, რომ აქ მსახიობმა ქალებმა „ფოკუსნიკებთან“ იქეიფონ. ახლა იქნებ დავრეცხო, ხვალ დილით გამოფხიზლებულმა დიაკვანმა საყვედურით რომ არ აღიქვას მაგიდა და ბოთლები? თავის დამდაბლება ჩემთვისვეა სასარგებლო, ვიდრე ამ ყოყმანში ვიყავ, ყველაფერი თავისთავად გადაწყდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, — სულ მთლად ჩამობნელდა. წყაროსთან კი ფარანი არ ენთო.

განათებული ტაძრიდან ფისგარმონიის ხმამაღალი ხმები მოისმოდა. არ წავედი იქ. არ მსიამოვნებდა, რომ მიტია ართობდა მათ — ჯერ იყო ფოკუსები ბალდადით, ახლა იმპროვიზაცია საეკლესიო საგალობლების თემაზე. სიბნელეში და ქარში ვიჯექი კარავთან ბალახზე და ვფიქრობდი: მაინც სად აპირებენ ღამის გათევას ესენი?

თორმეტს ოცი აკლდა, მიტია რომ გამოჩნდა.

— ისინი მიდიან.

— საით — ამ სიბნელეში?

— მაგათ მანქანა ძველ გზაზე დაუტოვებიათ. ტყის გავლით აქედან იქამდე საათ-ნახევრის სავალია. მამა ბენედიქტე აპირებს გაცილებას. ვეუბნები: „ჩემი აზრით, ჯობს თქვენთვის ამ ღამეში შორს არ წახვიდეთ-მეფეები ის კი შეკითხება „დიმიტრი, შენ მიგაჩნია, რომ მთვრალი ვარ?

— მერე, როგორ მიგაჩნია შენ?

— მე მგონი, ყველანი ცოტა მთვრალები არიან.

— არჩილი არ ყოფილა მათთან?

— სუფრასთან ყველანი ერთად დასხდნენ. მაგრამ იმას არ დაულევია და მაშინვე გაქრა, ხელი რომ არ შეეშალა.

ხეობის გალმიდან მალე ყვირილი შემოგვესმა. დალაციცებდა ჯიბის ფარნის შუქი — ექსპედიცია ღელის გალმა ფერდობის ფორსირებას ახდენდა.

პირველივე დღიდან მიტიამ იღუმენს გამოსთხოვა კურთხევა, პატარა ტაძარში მწუხრის ლოცვები წაეკითხა. ახლა გასაღები ავიღეთ და ტაძარი გავაღეთ. კარი შიგნიდან ჯოხით იკეტებოდა. ჯოხი ლითონის ნალში იყო გაყრილი.

სანთლის ალი, რომელსაც სიოც კი არ არხევდა, შედედებული შუქის ყვავილს ჰგავდა. სქელი კედლების მიღმა ჩამიჩუმი არ ისმოდა. მიტია ზეპირად კითხულობდა ლოცვანს. ქვესაცმელში მისი ჩრდილი მთელ კედელზე სცემდა.

უგულისყუროდ ვლოცულობდი, როცა რიგი ჩამთავრდა, მიტიამ შემოძთავაზა, საგანგებოდ მოვიხსენიოთ მოგზაური მთავარდიაკვანი ბენედიქტე, რამე რომ არ შეემთხვესო.

თავშიც არ მომსვლია ლოცვაში მომეხსენიებინა ოთხივე — ჩემი ქრისტიანული სიყვარული ასე შორს როდი მიდიოდა.

ცისკრის ლოცვას არჩილი ქართულად კითხულობს. მე და მიტია — ფსალმუნებას საეკლესიო სლავურად. მამა ბენედიქტე საწიგნის წინ ზის და დამძიმებული თავი ზედ უდევს. სძინავს, მაგრამ ყოველ ჯერზე კრთება, როცა წესისამებრ წამოდგომაა საჭირო, წამოდგება, პირჯვარს გადაიწერს და ისევ ჩამოსდებს თავს ხელებზე. ერთი-ორჯერ დუნე ნაბიჯებით გამოდის ტაძრიდან და რამდენიმე ხნით იკარგება სატრაპეზოში. მისი აწითლებული ნაყვავილარი სახე აპათიას და დათრგუნვილობას გამოხატავს. საფეთქლებზე თმა შავ ბულულებად დაჰყრია.

როგორც იქნა, ჩაამთავრა წირვა. ისე გაქრა, სიტყვა არავისთვის უთქვამს.

სატრაპეზოს რომ ჩავუარე, ფანჯარაში შევიხედე, სუფრა ალაგებული იყო. მაგიდაზე სუფთა მუშამბა ეფარა. სუფრის შუაგულში დადგმულ წყაროს წყლით სავსე დიდ დოქს ღვინის ბოთლების მოგონებაც კი განუდევნია. მაშასადამე, არჩილი ცისკრამდე ამდგარა, რომ სატრაპეზო მოეწესრიგებინა.

მე და მიტია მდინარეზე ჩავედით. მე მას ვუამბე გუშინდელი საუბრის შესახებ ბენედიქტესთან და ბანაობით ალარ გვიბანავია. მიტიამ ნაპირზე მოიხადა არახჩინი, გაიძრო ქვესაცმელი, ხელ-პირი დაიბანა და დაიწყო „სამწმიდაობის“ კითხვა-ხუცურით.

მწუხრის დაწყებისათვის დავბრუნდით.

ზურგით ჭიშკარს მიყრდნობილი, გულხელდაკრებილი ბენედიქტე სქელ დედაკაცს ემასლაათებოდა. ქალს ჭრელი სინთეტური კაბა ტანზე მჭიდროდ ჰქონდა შემოტმასნილი; ხმამაღლა, ხელების ქნევით ლაპარაკობდა. კაცი გულ-

ლია, თუმცალა უსიცოცხლო, დამჭკნარი ღიმილით პასუხობდა. ჩვენ თვალი შეგვავლო და მაშინვე აგვარიდა მზერა; მღვრიე, შეწითლებული თვალის გარსი ჰქონდა, და მთელი მისი ტანი მღვდლის ქვესაცმელში, რომელიც გამოხუნებულ ხალათს მიუგავდა, პერანგის წვრილი თასმებიანად, ერთობ დაჭმუჭვნილად გამოიყურებოდა.

შვიდის დასაწყისში მივედით მასთან იმის გასაგებად, იქნებოდა თუ არა წირვა.

— უკვე მზადა ხართ? — დაცინვით გამოთქვა, დოქიდან ტოლჩაში დაისხა წყალი.

თვითონ, აშკარად ეტყობოდა, ჯერ არ იყო მზად.

— რა გჭირთ, მამაო ბენედიქტე, — ვკითხე, რომ გამექარწყლებინა გაავებული გაკვირვება, მის დამცინავ კილოში რომ გამოსჭვივოდა, — ავადმყოფს გავხართ.

— სამაგიეროდ, თქვენ საუცხოოდ გამოიყურებით, — იმავე კილოზე მომიგო მან. — ბოდა, რატომაც არ უნდა გამოიყურებოდეთ ასე? აკი კუროორტიდან ჩამოხვედით და აქაც მთელ დღეებს მდინარეზე ატარებთ...

— თქვენ კი დღეს სამონასტრო საქმიანობამ დაგღალათ, არა? — შეეეხუმრე. უნებლიეთ ავყევი მის კილოს.

მან ჭეშმეტ შემომხედა და ფსიტყვოდ გავიდა.

არ მინდოდა მისი განაწყენება: უკვე ვხვდებოდი, რომ ეს ყველაფერი შენთხვევით არ მომხდარა. ეს მისი სისუსტე იყო.

შვიდი საათისათვის წირვა მაინც დაიწყო.

მისმა ტანსრულმა თანამოსაუბრემ კიდევ შვიდი-რვა ქალი და სამი ბავშვი მოიყვანა. ყველა ესენი მთების გადმოვლით მოვიდნენ მწუხრზე. და ბენედიქტე თავის არცთუ მთლიან გამოფხიზლების კომპენსირებას ჭარბი თავაზიანობით ცდილობდა. შემოჰქონდა ძელსკამები. ტაძარში ყველანი ორ რიგად დასხა, ისე როგორც სოფლის კლუბში იციან.

აღგზნებული კითხულობდა. ხან მკვეთრად აღიმაღლებდა ხმას, ხან კი ავიწყდებოდა და დუდღუნს იწყებდა. სამაგიეროდ, როცა კი კითხვა არჩილს შეეშლებოდა, ხმამაღლა აძლევდა შენიშვნებს.

ქალები თავს უხერხულად გრძნობდნენ. არ ვიცი, საერთო დაძაბულობის გამო, არ ვიცი, წირვაზე ჯდომას მიუჩვეველნი რომ იყვნენ, ხმამაღლა ამშვიდებდნენ ბავშვებს, დგებოდნენ, ბავშვები კარში გაჰყავდათ და ისევ ბრუნდებოდნენ. სკამებქვეშ პროვიზიით სავსე ჩანთებს ტენიდნენ. ერთხელ დიაკვანმა ანაფორის ფართოსახელოიანი ხელი აიქნია და იატაკზე დასცა შანდალი, რითაც საერთო დაბნეულობა გამოიწვია. მეორეჯერ ეკტენიის კითხვას შეუდგა, რაც არ ეგებოდა მღვდლის გარეშე. მაგრამ მალე მოეგო გონს და ხმამაღლა წამოიწყო გალობა. ქესტებით აგებინებდა ყველას, ამყევითო.

სქელმა დედაკაცმა აიტაცა მკვეთრი, ყურთასმენის წამლები ხელით. თვალი ბენედიქტესკენ გაურბოდა და მისი მზერა გამოხატავდა, რომ უთანაგრძნობდა და მზად იყო, დახმარებოდა. რითაც კი შეეძლო. ზოგჯერ ქალებსაც გადახედავდა ხოლმე: აქათდა, რა უბედურებაა, მონასტერში ერთი ბერი დაგვხვდა და ისიც მთვრალი. დიაკვნისთვის როგორმე რომ ეცა ნუგეში, ქალმა უეცრად ზურგი შეაქცია კანკელს. მსუქანი იდაყვები მაღლა ასწია და შავ ზონარზე დაკიდებული მედალიონის შეხსნა დაიწყო, გულუხვი ქესტით სურდა იქვე შეება ყელზე ბენედიქტესთვის. ბენედიქტემ იუარა. მერე აიღო მედალიონი და

ბიტიას ჩამოაცვა ყელზე. ამ ფრიად სავალალო წირვის სახსოვრად დაგვრჩა პლასტმასის წმინდა გიორგი, შუბით გველეშაპის განმგმირავი...

ნახევარი საათის შემდეგ ქალები წასასვლელად აიყარნენ, ვინმე რომ არ გაენაწყენებინათ, ერთად კი არ გადიოდნენ, სათითაოდ თითქოს შემთხვევით გადიოდნენ. ერთ-ერთი გადახედავს მამა ბენედიქტეს, სკამქვეშ — ჩანთის დასთრევად მოაფათურებს ხელს და მაშინვე მიაშურებს პარმაღს. დანარჩენები თვალით მიაცილებენ მას და აი, უკვე მომდევნო იძვრის, ვითომ სხვათა, ორის, ძელსკამის კიდისკენ.

ბოლოს ერთი ქალიღა დარჩა. დიდხანს ემზადებოდა, რომ გასასვლელისაკენ დაძრულიყო. იგი ჩემსა და პარმაღს შორის ჩადგა. დაჭიმულ ხელებში ეჭირა ჩანთა, საიდანაც ხახვის მწვანე კუდები იყო ამოჩრილი. კარიდან ასე ათიოდე ნაბიჯში შეჩერებული მისი მეგობრები ენერგიულად უქნევდნენ ხელებს. მაგრამ ქალი რატომღაც უგულებელყოფდა მათ და სულ უფრო და უფრო გაფაციცებით იწერდა პირჯვარს.

— ნინო! — მოთმინების ძაფი გაუწყდათ ეზოში გასულებს.

ნინომ მოიხედა, ხელი აუქნია, მეორეში ხახვის კუდები შეუტოკდა. კიდევ უფრო გამომწვევად გადააქნია თავი და ერთხელაც გადაიწერა პირჯვარი.

— ნინო, ნინო! — ერთხმად გაჰყვიროდნენ ქალები, თითქოს ტყეში გზადაბნეულს ეძახდნენ, თან თითქოს ეუხერხულებოდათ კიდეც, რომ ხელს უშლიდნენ ამ გულმოდგინე ლოცვისას სითამამეს.

დაინტერესებულნი ვადევნებდით თვალყურს, კიდევ რამდენ ხანს გაძლებდა ნინო, მხოლოდ არჩილი წყნარი ხმით კითხულობდა ფსალმუნებას. ბოლოს ნინოც გავარდა და ქალები თავისუფლად აყაყანდნენ. ახლა აღარ ერიდებოდა, აღარც ხმას უწევდნენ დაბლა. ერთად დაიძრნენ ჭიშკრისაკენ.

მამა ბენედიქტემ როგორღაც თითქმის მაშინათვე დაამთავრა წირვა.

— იღუმენი არ არის და ლოცვა არ გამოდის... — დაასკვნა მან რუსულად, მაგრამ მე კი არა, არჩილს მიმართავდა.

— აბა, რა, — წყნარად დაეთანხმა ის.

ამ დროს ჭიშკარში „გაზიკი" შემოსრიალდა.

— აი, მამა იღუმენიც... — განაცხადა ხმაჩავარდნილმა ბენედიქტემ და გახწირულივით მიაშურა.

როცა ტაძარი დავკეტეთ და მათ მივუახლოვდით, დიაკვანმა ზედაც არ შეიოგვხედა, ისე გავიდა ჭიშკრიდან.

მამა მიქელი მღვდლის ქვესაცმელში, ყელზე შებმული კრიალოსანით შემობრუნდა, გაგვეხარდა ერთმანეთის დანახვა, თითქოს თვეები გასულიყო, რაც არ გვენახა. მან გვაკურთხა და კმაყოფილმა თვალით მიგვანიშნა მანქანის ძარაზე, საიდანაც არჩილი უკვე ეზიდებოდა პამიდვრით სავსე ვედროს:

— ნახეთ, რამდენი რამე ჩამოგიტანეთ.

არეულ-დარეულობა დამთავრდა. იღუმენი დაბრუნდა. საძმო გამხნევდა და გამხიარულდა. ყველანი ერთად შევუდექით ვედროებიდან პამიდვრის და კიტრის ამოლაგებას. კარტოფილით სავსე ტომრებს ვეზიდებოდით სამზარეულოში — ტერასის სახურავქვეშ. კიბით რომ იყო შემოღობილი; მაგიდაზე ვაწყობდით მსხლებს და ოდნავ შეჭყლეტილ ატმებს.

მამა მიქელი გულღიად იღიმებოდა. ყველის ვეებერთელა კვერს ქაღალდი შემოხსნა და ჩემკენ გამოსწია:

— კარგად ყარს თუ არა? ოჯახური ძროხის ყველი უნდა ყარდეს... ძა-

ლიან მომენატრა ყველი და თავი ველარ შევიკავე. დიმიტრი, რა ჰქვია ამ ცოდვას?

— მუცელღმერთობა? — ივარაუდა მიტიამ. ილუმენს შეყვარებული თვალებით უმზერდა.

— ვერ ერკვევი. მუცელღმერთობა ის არის — როცა უნდათ ბევრი ჭამონ, გაინებივრონ სტომაქი. მაგრამ თუ ყელის ჩაკოკლოზინება გსურს, ეს ყელის-ჩაკოკლოზინების სიგიჟეა. თითოეულ ჩვენს სურვილს ცოდვის სახელდება შეესატყვისება. ოჰ, ძნელია, ძნელი ეს ქრისტიანული ცხოვრება! საითაც არ უნდა შეტრიალდე, ყველგან ქიში და შამათი გელის.

მაგიდაზე ეწყო ბატონები და პურის მრგვალი, დაბრაწული კვერები, მწვანე და წითელი წიწაკა, ოხრახუშის კონები, სურნელოვანი ტარხუნა, ჩაის ჭიქის ოდენა პატარა ქილებით იდგა თაფლი. ნატურმორტს სამი ვეებერთელა საზამთრო ამთავრებდა.

ასეთი ბარაქა შემდგომ არც ერთხელ აღარ გვღირსებია.

— აი, რამდენი რამ გამოგვიგზავნა ღმერთმა, — უხაროდა მამა მიქელს.

მაშინ ბოლომდე არ მესმოდა მისი სიხარულისა. უბრალოდ, ჩვენ ერთად განვიცდიდით ამ ოჯახურ ფუსფუსს, ვითარცა პატარა დღესასწაულს. ილუმენმა მუყაოს ყუთი გახსნა და მის გვერდით ჩაცუცქული გვირიგებდა საჩუქრად საკანცელარიო ნივთებს, უბის წიგნაკებს, რვეულებს, ბლოკნოტებსა და ფანქრებს: კიდევაც დამავიწყდა, ერთხელ ბენედიქტეს შევჩივლე საწერი რვეულები არა მაქვს-მეთქი თან.

მეორე ყუთიდან მამა მიქელმა ფრთხილად ამოალაგა ლამპის შუშები.

— მალაზიებში არ იშოვება. ქარხანაში შევუკვეთე.

იგი ხის კიბეზე აძვრა და კედელზე ორ ადგილას მიაჭედა ლამპის ჩასადგმელი რკალები. არჩილი ნავთს ასხამდა ლამპებში, ჩვენ ფითილებს ვჭრიდით, მოსალამოებული იყო და შუქიც მქრქალად აინთო. შუშა შეიორთქლა, მაგრამ მალე გამჭვირვალე გახდა. გამახსენდა, უკვე ნანახი მქონდა, როგორ ანათებდა ნავთის ლამპა, დიდზე დიდი ხნის წინათ, ომის შემდეგ. მაშინ ილუმენი არ არსებობდა ამქვეყნად. მე კი რვა წლისა ვიყავი.

ვახშმის თადარიგი დავიჭირეთ. ჩაის წყლისათვის წავედი წყაროზე.

წყაროს წინ, ფიჭვთან, ძელსკამზე მიუსაფარივით იჯდა მამა ბენედიქტე. წყლის ჭავლქვეშ ტაშტი იყო შედგმული, წყალი ზედ გადასდიოდა.

— აი, მინდა ცხენი დავარწყულო... — დიაკვანმა თვალით მანიშნა ტაშტზე.

საძმო ტრაპეზი რომ დასრულდა, მეც ვივახშმე. კამპანიისათვის მიტია მეორედ სვამდა ჩაის. მამა მიქელი ხან დარჩეული ბერძნული ნიგოზით სავსე პარკს გვაწვდიდა, ხან მურაბას, სამლიტრიანი ქილით, გასინჯეთო.

— ასეთი მურაბა არასოდეს არ გაგისინჯავთ? ლეღვისაა. დედაჩემმა გამომიგზავნა. იცის ჩემი სუსტი მხარეები... მერე ქილას თავი დააბურეთ, თორემ ჭიანჭველები დაესევიან.

თაფლში ვაწებდით ნიგვზის ლებნებს და მურაბიან ჩაის ვაყოლებდით. ლეღვი ქარვისფრად აშუქებდა.

უკვე ბნელოდა, როცა მე და მიტიამ წყაროზე ჩავზიდეთ ჭურჭელი.

მამა ბენედიქტე ისევ იმ პოზაში იჯდა. ტაშტიც ისევ ისე იდგა წყლის ქვეშ.

— ტაშტი უკვე აივსო, — შევატყობინე.

— ჰა... — ხელი ჩაიქნია დიაკვანმა, — არჩილს დაავიწყდა წყალი დაელევინებინა ცხენისათვის. მაგრამ არა უშავს რა, არ მოკვდება წყურვილით.

სატრაპეზოში ნავთის ლამპები ენთო. ფანჯრის ხარიხის მიღმა თბილი ღამე დგებოდა. მონასტერში ჩვეულმა სიმყუდროვემ დაისადგურა.

ღამით დედამიწა გამაყრუებელმა გრუხუნმა შესძრა და ჩვენს თავშესაფარზე მაშინათვე დაცვივდა წვიმის საფანტი. მერე თანდათან გაძლიერებული გუგუნით ჩამოიქცა ზეციდან წყლის ნიაღვარი.

— დედა, — გავიგონე გრუხუნში შორეული ხმა, — ადექი. წარღვნაა, ადგომას, სხვათა შორის აზრი არ ჰქონდა.

მალე ჩამოწეული ჭერიდან მაგიდას აწვიმდა. შხაპუნა წვიმის წვეთები ბალიშისაკენ მოფრინავდნენ. სინესტისაგან კანკალმა ამიტანა. ავდექი, რომ ტანსაცმელი ამელაგებინა. კარვის კალთა გადავწიე.

სიბნელე გუგუნებდა, ბღაოდა, ნიაღვრად მიექანებოდა კარვის იქით. ციკი ნესტიანი სუნთქვა და შხეფები შემომახეთქა.

დაიჭექა. ელვამ გრუხუნით გამოსტაცა წყვდიადს ჯვარის ვეებერთელა, შავი სილუეტი. იგი მაშინვე ჩაყლაპა სიბნელემ. მერე ყველაფერი თავიდან განმეორდა. ღვართქაფში დაძირული სივრცე მკრქალი ლურჯი შუქით განათდა. გამოანათა ჯვარდადგმულმა მაღალმა გუმბათმა.

წამით ფიჭვის რტოები სილურჯემ გაკვეთა.

— ასე თუ გაგრძელდა, კარვიანად ჩაგვიტანს ხრამში.

— დავიმარხებით, როგორც წინათ მარხავდნენ გემებზე. მეზღვაური თუ მოკვდებოდა, შეახვევდნენ ბრეზენტში და ქიმიდან გადაისროდნენ, — მხნედ ამიბა მხარი მიტიამ.

იატაკად გაშლილი ბრეზენტი ფეხქვეშ იბურცებოდა, მის ქვეშ წყალი მოედინებოდა. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ლეიბებქვეშ ამოვდე. თვითონ კი საბანში გამოვეხვიე — ეს იყო ერთადერთი, რისი მოქმედებაც შემეძლო თავის საშველად. სიბნელეში ხელის ფათურით მოვძებნე საათი. იელვა და აელვარდა საათის ისრები. ღამის პირველი საათი იყო. დილამდე კიდევ ექვს საათს უნდა გველოდა.

— ხომ შეიძლებოდა შეწუხებულიყო ვინმე, იქნებ ისინი წყალმა წაიღოო.

— რას ამბობ, დედა... ესენი ქალს ასე ვერ მოგადგებიან ღამით, შევწუხდითო. წესი არაა. წყალს რომ წავიღეთ კიდეც, შეწუხება გვიანი იქნებოდა. ხვალ გამოჩნდება, როცა გათენდება.

ჰოდა, ვიწექით ასე, საბნებში გამოხვეულები, ბრეზენტის სახურავქვეშ, ხევის თხემზე, ღამეში, მთებში, ქვეყნიერების დასალიერში და თავს ვიქცევდით ლაქლაქით. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ცუდი არაფერი შეგვემთხვეოდა.

„შენ ახლა საფარველქვეშ ხარ“,—მითხრა ერთმა ნაცნობმა, როცა ვიწამე და ლოცვა ვისწავლე. და მე მართლაც ვგრძნობდა თავს დაცულად. და მას შემდეგ არაფრისა აღარ მეშინოდა.

ჭექა-ქუხილის ჭურვები ზედ ხევის თავზე სკდებოდა. ჩვენს საწოლებს შუა ნიაღვარი მოედინებოდა, ოღონდ წყალი ლეიბებამდე ჯერ არ აღწევდა. განთიადის წინ, როცა ქუხილი და სინესტე ყელში ამოგვივიდა, დაღლილობამ თავისი გაიტანა: თავზე საბანწაფარებულებს მშვიდად ჩაგვეძინა.

განთიადი სველი ნისლით ბოლავდა. იგი ხეობებიდან ამოდიოდა, მის თავზე ფენა-ფენად იყო გაწოლილი. ნაფლეთებად ეკიდა ფიჭვის ტოტებზე. ბურუსის ფენები მთების ჩამონაშალებიდან მოედინებოდა. ასე მეჩვენებოდა, სინათლე ვერ შეძლებს ამ სქელ საფარქვეშ შემოღწევას-მეთქი. ფიჭვებიდან მოწვეთავ-

და და თითოეული წიწვი მქრქალად აშუქებდა ზედ შეკიდულ მთრთოლვარე წვეთისაგან.

ბაზილიკისაკენ მიმავალს სველი ბალახი მუხლებამდე მწვდებოდა. ფეხი მაშინათვე დამისველდა.

როგორც ყოველთვის, წირვის დაწყებამდე, ტაძარში ნახევრად ბნელოდა და სიჩუმე იყო დასადგურებული. ტკაცატკუცი გაუდირდა ხანთლებს, შუქი წრეებად ეფინებოდა საუცხო ძველ შრიფტს საღმრთისმსახურო წიგნებზე. საწიგნებზე ბზინავდა ვერცხლით მოსირმული შავი დაფარნები — ჯვარი ეკლის გვირგვინში, კედელზე ნელა მოძრაობდა ბენედიქტეს ჩრდილი.

— დიმიტრი, იკითხე.

მიტიამ დაიწყო „სამწმიდაო“ ხუცურად, ნახევრად შემოტრიალებული არჩილი მიტიას უყურებდა. წამწამებით ჩრდილავდა წყლიანი თვალების ელვარებას.

მთავარდიაკონი მძიმედ წარმოთქვამდა ექვსფსალმუნებას.

„უფალო! ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი, მიწყალე მე, უფალო, რამეთუ უძლურ ვარ; განმკურნე მე, უფალო, რამეთუ შემიძრწუნდეს ძუალნი ჩემნი. და სული ჩემი შემიძრწუნდა ფრიად. და შენ, უფალო, ვიდრემდის? მოაქციე, უფალო, იხსენ სული ჩემი, მაცხოვნე მე წყალობისა შენისათვის რამეთუ არა არს ვინ სიკუდილისა შინა მოგიხსენიოს შენ, ანუ ჯოჯოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ, დავშვერი მე სულთქმითა ჩემითა, დავბანო მარად ღამე ცხედარი ჩემი, ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტო. განრისხდა გულისწყრომითა თუალი ჩემი, განვკფდი მე ყოველთა ზედა მტერთა ჩემთა. განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისნი, რამეთუ შეესმა უფალსა ხმაი ტირილისა ჩემისა; ისმინა უფალმან ვედრებისა ჩემისა, უფალმან ლოცვაი ჩემი შეიწყნარა. ჰრცხვენოდინ და შეძრწუნდენ ყოველნი მტერნი ჩემნი, მართლუკუნ იქცენ და ჰრცხვენოდინ ფრიად და მხნედ“.

ვიგალობით „უპატიოსნესთა ქერუბიმთასა“ და ჩვეულებისამებრ ახლაც მამა ბენედიქტე მუხლებზე დაეშვა. ანაფორის ქვეშ მოხრილი იყო დიაკვნის მხრები. შიგნით შებრუნებული მზერა უძრავად შეჩერებულიყო ღვთისმშობლის ხატის წინ დანთებული ლამპრის ალის წითელ ენაზე.

— უპატიოსნესთა ქერუბიმ-თა-სა... და აღ-მატებით უზეშთაესსა სერაფიმ-თა-ა-სა.

არსებობს ხმათა ასეთი შეპაექრება ძველ ქართულ სასულიერო საგალობლებში, და იგი ვერაფრით ვერ აისახება ვერანაირ ნოტებში და ვერც დაიწერება, რამეთუ შენ ცხადლივ ჩაგესმის სხვათა შემუსვრილი სულის გმინვა და იგი შენში ნეტარი ტკივილით ჰპოვებს გამოძახილს. გეჩვენება: თუ რომ გალობას შესწევს უნარი ასე მოთქვამდეს, არის ამაში ნუგეშისცემის საწინდარი... მამა ბენედიქტე გალობით ლოცულობდა და დიაკვნის ლოცვა სულის სიღრმიდან მოედინებოდა, შემუსვრილი და დამდაბლებული სული, რომელიც „ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“. ესრეთ სახე ქვითინებდა ალბათ ძე შეცთომილიც, როცა უკვე გაფლანგა მამისეული ქონება, შეიტყო რაა მარტოობა, დამცირება, შიმშილი და მთხოვარასავით მიაშურა მამას, რათა ეს ეთქვა: „ვცოდე წინაშე ცისა და წინაშე შენსა. და არ ვარ ღირს, წოდებად ძედ შენდა“.

და ებრალებოდა მას თავი ამ მონანიებაში, რომელსაც დაედნო გული და ახლა სულ ერთი იყო ყველა სხვა დანარჩენი. შეიძლებოდა სიკვდილიც მშობ-

ლიურ ზღურბლთან, განა შეეძლო მას იმისი დაჯერება, რომ მამა შვილს ამ სიტყვებით მიეგებებოდა: „რამეთუ ძჳ ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედული იყო და იპოვა“...

— უპატ-იოსნესსა ქერუბიმ-თა-აასა..

ლამპრის შუქით ოდნავ განათებული მამა ბენედიქტეს სახე ლამაზი და ზეშთაგონებული იყო.

ეროვნული

დილით თავიანთი ბარგი-ბარხანიანად საბარგო მანქანით ჩამოვიდნენ რესტავრატორები. მე ისინი შორიდანვე დავინახე, მერე კი წყაროსთან შევხვდი მათ: ორი მამაკაცი და ორი ქალი. მათ შორის უფროსი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორია. მას ჰქვია ელი — სრული ელისაბედისაგან. ორმოცდაათს გადაცილებულია. უმცროსი ორმოცს მიღწეულია. ორივეს შარვლები აცვიათ. უმცროსი ეწევა. რესტავრატორებმა მეორე სართული დაიჭირეს სატრაპეზოს თავზე. ისინი აქ თავიანთ სახლად იცხოვრებენ, მონასტრისაგან დამოუკიდებლად და ცალკე გამოიკვებებიან.

მათ ჩამოსვლასთან დაკავშირებული პირველი ცვლილება ის იყო, რომ საძმოსთან დათათბირებულმა იღუმენმა აკრძალა ცისკრის ზარი, რათა რესტავრატორები დილაადრიან არ გაეღვიძებინა.

მონასტერში არსებობს მაღვიძარი მორჩილი — ბერი, რომელიც ყველაზე ადრე დგება და მთელ საძმოს აღვიძებს. დაივლის ყველა სენაკს, ანთებული სანთლით ხელში. მიუახლოვდება კარს ამ სიტყვებით: „ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩუენ“. ხოლო სენაკში დავანებული ძმა დგება, კარს აღებს და თავის სანთელს მოუკიდებს მაღვიძარის სანთლისაგან. დიდ მონასტრებში ეს ძნელი მორჩილებაა: მაღვიძარი ძალიან ადრე უნდა ადგეს, ორმოცდაათი, სამოცი ძმა რომ გააღვიძოს. ტაძრის ყველა ლამპარს ჩვეულებრივ ის ანთებს ხოლმე.

ჩვენთან — სამი ძმისა და ორი ლამპრის პატრონებთან — ბენედიქტეს წინადადებით მაღვიძარად მიტია დაინიშნა. ხოლო მიტიას გასაღვიძებლად ჩვენ მოგვცეს ნამდვილი მაღვიძარა, ზარზე მუშაობდა. მიტია დილიდანვე ღელავდა— ვითუ ჩამეძინოს და საძმო დავაღალატო.

ზედა გზაზე ფლოქვების თქარათქური მოისმის. მერე გამოჩნდა მხედარიც. კოვბოურად ეცვა. წვრილფეხება ჟღალი ცხენი ჭენებით ჩაუვლის წყაროსთან ძელსკამს, მკერდით კინაღამ არ ეხება მამა მიქელს და ჭიშკართან ყალყზე დგება. იღუმენი ზის, ხელი ისევ ისე ძელსკამის ზურგზე უდევს და ღიმილით ადევნებს თვალყურს, როგორ აბამს მხედარი ცხენს და შემდეგ როგორ უკიდებს სიგარეტს.

რამდენიმე წუთის შემდეგ გზაზე ტურისტები გამოჩნდებიან. იღუმენი მიდის. წყაროს წინა მოედანს ავსებენ ყმაწვილი ბიჭები და გოგონები ჯინსებში, შორტებში და სარაფნებში, ზურგჩანთებითა და ტრანზისტორებით, აღჭურვილები. მარშრუტი „ჯვარი“ დაგეგმილია საექსკურსიო ბიუროს საგზურებით, ხოლო შაბათ-კვირას აქ საცხენოსნო ექსკურსიაც ეწყობა. ჩვენ მას ახლა წყაროს გაღმა ვხედავთ. ფერდობზე მეწინავე კოვბოის განიერფარფლებიან ქუდში, ალვირით მიჰყავს ქურანა კვიცი, რომელიც ფრთხილობს ფერდობზე დაშვებისას. მოშორებით — ფეხით მოსიარულეთა ჯაჭვია გაწელილი. ცხენები ალვირით მიჰყავთ. ისინი ძველ გზამდე ამოდიან, თელების მწვანე ჩრდილში ჩამოქვეითდებიან ხოლმე. სოფლის მიღმა გაშენებულია კარვების ქალაქი, სადაც ტურისტები ღამეს ათევენ, იქვეა თავლები ცხენებისათვის.

შაბათ-კვირა ყველაზე მოუსვენარი დღეებია. ტურისტები სამუშაო დღეებშიაც ამოდიან კვირაში ერთი-ორჯერ. შემოგარენ მინდვრებზე მათი აქ მოსვლა აღინიშნება კონსერვის ქილებით, ბოთლებით, საზამთროს ქერქებითა და ქაღალდის ნაგლეჯებით.

ხმაურიან ბრბოს მონასტერში ჩვეულებრივ არჩილი მიუძღვის ხოლმე, იღუმენი და ბენედიქტე უკვალოდ გაქრებიან. ტაძრის წინ ტურისტები ფოტოსურათებს იღებენ ჯგუფურად და წყვილ-წყვილად. ერთმანეთს ჩაბუტებულები ძირს ყრიან ნამწვავებსა და ფოტოფირების სახვევ ტყვიის ქაღალდს. ერთმა ხანში შესულმა მანდილოსანმა ჰკითხა ქალს, რომელმაც ისინი ქალაქიდან ამოიყვანა აქ, ბერები ჩვენი ექსკურსიის წინააღმდეგნი ხომ არ არიანო, რაზედაც ქალმა, ბერებზე საკუთარი უპირატესობის აშკარა შეგრძნებით, მიუგო: „რა უფლება აქვთ წინააღმდეგნი იყვნენ, მონასტერი სახელმწიფო კუთვნილებაა". გამხნევებული სტუმრები იჭყიტებიან ჩვენს კარავში, რეკავენ ზარებს, ვიდრე არ მოუსწრებთ არჩილი თავისი ჭკუა-დარიგებებით.

ეს წუთისოფელი ყოველის მხრიდან უტევს ჯვარს.

თვით წირვის მყუდროებასაც გვირღვევს ტურისტების ჟრიამული: ტაძარში შესასვლელი კარი დანგრეული ქვის გალავნის მაგიერი, მავთულ-ღობის წინ გამოდის. ტურისტების მონასტერში შემოსევებს მე თითქოს მონასტრის მკვიდრი ბინადარის თვალით აღვიქვამ. კოვბოის, რომელიც ახლოდან ერთობ შეჭაღარავებული აღმოჩნდა, განიერფარფლებიანი ქუდი გვარიანად შემელოტებულ თავს უფარავდა, მუხლებზე ეჯდა გასათხოვარი ქალი. მოშიშვლებული მხარ-მკლავი, შიშველი ფეხები, მოკლე ქვედატანები. ხვევნა-პროშნა. ფლირტი, უხამსი სიმღერები გიტარის თანხლებით: ერთი და იგივე, ვხედავ, დილ-დილობით ცულითა და ფოცხით აღჭურვილ არჩილს — მდელოზე ნაგავის ასაკრეფად გამოსულს. ვხედავ, როგორ ეშლებათ ხელი წირვაში, როცა ტურისტების ორი-სამი წყვილი ტაძარში შემოეხეტება და ბერებს მოურიდებელი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს.

ასეთივე თვალით შეჰყურებენ ტურისტი ქალები არჩილს და მიტიას არახჩინში, როცა ესენი წყაროზე მიდიან.

— თუ შეიძლება შვიდი ჭიქა გვათხოვეთ, — მომმართავს მკვირცხლი ყმაწვილი, ოსური ნაბდის ქუდი ახურავს. მოუსწრია წყაროს წყალში ბოთლების ჩალაგება.

— მოიცადეთ, დავრეცხავ.

ვეკითხები არჩილს, ვათხოვო თუ არა ტურისტებს ჭურჭელი.

თავს მიქნევს თანხმობის ნიშნად.

— თუ რამეს გთხოვენ ისეთს, რაც გაქვთ, ყოველთვის უნდა მისცეთ.

— ეგენი რომ ღვინოს სვამენ, მერე ამ ჭიქებით მთავარდიაკვანმა ჩაი უნდა დალიოს?

არჩილს გუნება უფუჭდება. არ მოსწონს შეკითხვა, არც მე მომწონს. მაგრამ სამონასტრო ქონება მე სიწმიდედ მიმაჩნია და მენანება მათი საქვეყნოდ გამოტანა.

— შეიძლება მერე ჭიქები კარგად დაიხეხოს... სოდით, — მირჩევს არჩილი.

— კი მაგრამ, განა არ შეიძლება, საკუთარ ნაგავს თვითონვე მოუარონ?

— ეგენი... სტუმრები არიან... — არჩილი საყვედურით მიცქერის, —

უხერხულია მათთვის ამისი დავალება. ქართული ანდაზა ამბობს: სტუმარი ღვთისაო.

ჩვენცა გვაქვს მაგისი შესაფერისი: დაუპატიჟებელი სტუმარი თათარზე უარესიო, — თათრების შემოსევების დროიდან მოგვდგამს. ვერ ვბედავ ხმამაღლა ამ აზრის გამოთქმას.

ტურისტებს მიაქვთ შვიდი ჭიქა. მერე ორისთვისაც გვაკითხავენ, და ყველანი ცერთს აღარ აბრუნებენ.

— ჩაი სირჩებით დავლიოთ თუ რკინის ტოლჩებით? — ვეკითხები არჩილს, როცა სუფრის გაწყობის დრო მოდის.

— შუშის ქილებითაც შეიძლება... — დაფიქრდა და ისე გადაწყვიტა მორჩილმა.

— სწორედ კარგია უნალექო ჩაის ქილაში ჩაყრა. ჭიქისთვის ბევრია.

თვითონ მიდის წყაროზე სოკოს კონსერვისა და მურაბის შუშის ქილების დასარეცხად.

— სხვათა შორის, — ახსენდება უკან დაბრუნებულს, — გუშინ ბორჯომს ვსვამდით და ხორცს მივირთმევდით — ტურისტების მოკითხული იყო, — ცოტა დაფიქრდა და დასძინა: — ოთხშაბათს საზამთროც მათივე იყო.

გუშინდელ ხორცზე მიტიამ მიამბო. თვითმხილველი და თანამონაწილეც გახლდათ. მონასტერში არავინ ჭამს ხორცს. მაგრამ თუ ტურისტები მოუკითხავენ, მადლიერების გრძნობით იღებენ და სუფრაზეც გამოაქვთ — სტუმრებისათვის. მამა მიქელს მიტიასთვის მიუმართავს და ხორცი შეუთავაზებია, მიტიას უარი უთქვამს. მსუქანი ხორცი იყო, არცთუ ძალიან მოსაწონიო. ესეც არ იყოს, მიტიამ უბრალოდ ითაკილა იღუმენის და ბენედიქტეს თვალწინ მოეკბიჩა ნაჭერი. სუფრაზე არ ეწყო დანა-ჩანგალი და უცებ მამა ბენედიქტემ მთელ მაგიდაზე გაიწვდინა ხელი და ხორცის ნაჭერს დასწვდა. ძვალი ხელით ეჭირა და ისე ჭამდა ხორცს.

მერე მიტიას შეხედა და ჰკითხა:

— დიმიტრი, როგორა გგონია, რომელია უარესი: ერთი ნაჭერი ხორცის შეჭმა თუ ძმის განკითხვა?

— მე ვფიქრობ, უარესია, როცა განიკითხები... — მიუგო მიტიამ და თვალი მოარიდა.

მიტიამ თავი მოიკატუნა, თითქოს ვერ მიუხვდა, რატომ მიმართა ბენედიქტემ ამ კითხვით.

არჩილი იჯდა თავდახრილი და თვალებდაწუხული. დიდი ხანია იღუმენს პირობა ჩამოერთვა მისთვის, ხორცს ნუ შეჭამ, მე რომ კიდევაც შემოგთავაზოო.

იღუმენი სამივეს ადევნებდა თვალყურს. სუფრიდან რომ აიშალნენ, შეაჯამა მომხდარი:

— აი, ვისხედით ჩვენ აქ ჩვენივე თავით კმაყოფილები: აი, რა მარხულნი ვართო! შემდეგ დღეს ბენედიქტემ მილიონი მოიგო, — ჩვენ კი — სამ-სამი წაგებეთ.

დაკარგული ცხრა ჩაის ჭიქაც უფრო იაფი ღირდა, ვიდრე განკითხვა. მაგრამ არჩილის თანდასწრებით მე მაინც ვეკითხები იღუმენს, გავანათხოვრო თუ არა ამის შემდეგ ჭურჭელი, იმ იმედით, რომ მტკიცე განკარგულება გაიცემა.

— განა კიდევ დარჩა? — წარბები აწკიპა დაინტერესებულმა.

— ჩაისა სრულებით აღარ არის, — ვჯერდები მოკლე პასუხს.

— ჰოდა, ჩაისას ნუღარ გაანათხოვრებთ.

ენაგადმოგდებული ბრინკა და მეერია სიმინდის ჩრდილში მიყრილან. მახსენდება, სამი დღის უკან არჩილმა მათი გამოკვება დამავალა. ჩემი რჩევისამებრ წყაროსთან წყვილი ჯამი დადგა, ერთხელ სუფი ჩაესხა შიგ, მაგრამ მაშინ ძაღლები არ იყვნენ შორიახლო. სუფი ალბათ ამჟავდა და ალბათ შესვლიპეს. რა ვაჭამო ახლა ძაღლებს? ჩვენ ბოსტნეულს და კარტოფილს ვჭამთ. ძაღლებისთვის ცალკე კერძი უნდა მოიხარშოს.

ზემოდან კიბეზე ეშვება მამა მიქელი, ცულით ხელში. არც ფილტი აცვია და არც ქუდი ჰხურავს. პარამანული ჯვარი მღვდლის ქვესაცმელზე ზემოდან ჰკიდია.

— ბრინკა! —დაუსტვინა ძაღლს.

ბრინკა ფეხებში შეუვარდა, ეტყობა, ჩირგვებში უგორავია. ჭუჭყიან ბალანზე ერთთავად მჩხვლეტავი ბირკავა აკვრია და საწყალობლად გამოიყურება.

მამა მიქელმა ცული კედელს მიაყუდა, კიბის ქვედა საფეხურზე ჩამოჯდა და ბრინკას ბირკავას ბირკავაზე ფრთხილად აცლიდა. მერე ხელისგულით უბიძგა. ბრინკა ზურგზე გადაკოტრიალდა, ჭმინავს, წკმუტუნებს: უცებ წამოხტა, ციბრუტივით ბზრიალებს მდელოზე და მოჭარბებული გრძნობებისაგან ხმამაღლა ყეფს. მამა მიქელს ხელები გადაეშალა და თავს ისე აჩვენებდა, ვითომდა ლეკვის დაჭერა უნდა და ვერაფრით დაეჭირა.

როცა ცულს მოჰკიდა ხელი, ეკითხე, შეიძლება თუ არა წიგნები დავათვალიერო-მეთქი.

— შეიძლება... ყველაფერი შეიძლება... — თამაშის შემდეგ ჯერ ისევ მხიარული თვალები მომაპყრო, — როგორც ბრძანებს მოციქული, ყველაფერი ნებადართულია ჩვენთვის, ხოლო ყველაფერი სასარგებლო როდია.

სატრაპეზოს გვერდით ოთახში თვითონვე შემომყვა და კარადა გააღო. კარადას კედლის მესამედი ეჭირა. თავიდან ბოლომდე წიგნებით იყო გაჭედილი, ძირითადად ქართულ ენაზე. მე სათითაოდ ვიღებდი მათ ხელში: დამტვერილებს, ტყავის დახეთქილ ყდაში ჩასმულებს. ისეთებიც იყო, სულ რომ არ ჰქონათ ყდები. საუცხოო და მკაცრი ნახატი ძველი შრიფტისა; მოცისფერო, მონაცრისფერო, ყვითელი სქელი ქაღალდი.

ყველაზე დაძაბულმა გაჯერებულმა დრომ ჩემთვის წიგნებს შორის განელო. მათგანვე დაიწყო რელიგიური შემეცნებაც. ინდუსები ამბობენ, ყოველი ჭეშმარიტება გიპოვის შენ, როცა შენ საამისოდ მომწიფდები, იგი არც ერთ დღეს და არც ერთ საათს არ დაიგვიანებს — მოვა და მოგიკაკუნებს კარზე ასეც მოხდა. ჩემი მოთხრობების კრებული გამოვიდა. მე დიდი ჰონორარი ავიღე, შევწყვიტე ყოველგვარი სამუშაო ფულისთვის, რასაც ბოროტად არასოდეს ვიყენებდი და ფანჯრებქვეშ ტახტზე მოვიკალათე. ჩემს კარზე აკაკუნებდნენ ადამიანები და ეზიდებოდნენ ჩემთან წიგნებს, ბიბლიოთეკიდან ამოღებულ და კატალოგებიდან ამოშლილ წიგნებს.

სტუდენტობის წლებში მე ვკითხულობდი შოპენჰაუერს და ნიცშეს და მჯეროდა ჰეგელისეული აბსოლუტური სულისა, რომელიც თავს განახორციელებდა სამყაროში. მოგვიანებით, ეგზისცენტალისტებს როცა ვკითხულობდი, ვიგძენი, რომ მარადიული კითხვები თავისი ფესვებით რელიგიამდე მიმყვანია. მინდოდა გავცნობოდი ყველა რელიგიურ სისტემას, რაც კი ოდესმე ყოფილა ქვეყანაზე, რათა მეპოვა ჭეშმარიტება. „ბჰაგავადვატა“. „დ ხამაპადა“, იოგა, ბუდიზმი, ძენ-ბუდიზმი, ანთროპოსოფია, ბერდიაევი — წიგნების გროვა იზრდებოდა. ყველა ესენი სხვებისა იყო, იმიტომ, რომ ძალზე ძვირად ფასობდნენ. ხოლო მე

არ შემეძლო მეყიდა ისინი და დღეში ორას, სამას ფურცელს ვკითხულობდი, შეუწყვეტელი აღმოჩენების ხანაში ვიყავ.

და მაინც ჭეშმარიტება მე კი არ მიპოვია, მან მიპოვა მე. როცა დავიწყე ეკლესიის მამათა კითხვა და თავიდან, ამ ცოდნის შუქზე სახარებისა, ცოდნის ნაკადი, რითაც იმ დრომდე ვსაზრდოობდი, დაიძრა გულისაკენ და იმ სიღრმეზე გამიტანა, რომ ყველაფერმა, რაც აღრე იყო, ჩაიარა, ამოვარდა თვალწინ-თვალსაწიერიდან. შემეცნება მადლმოსილებად იქცა.

მამა მიქელმა ამოიღო ქვედა თაროზე მუდმივად ჩარიგებული, ლამის დაშლილი ფოლიანტებიდან ერთ-ერთი და ძელსკამზე ჩამოჯდა. ყურადღებით ფურცლავდა.

— რომელ მამებს კითხულობდით? — მკითხა საქმეში ჩაფლულმა.

კეთილსინდისიერად დავიწყე ჩამოთვლა. როცა სვიმეონ ახალ ღვთის მეტყველს მივადექი, იღუმენმა თავი გადააქნია. გავმხნევდი. მინდოდა მეამბნა ჭვრეტაზე ღვთიური შუქისა, რის შესახებაც აღტაცებული ვკითხულობდი. მაგრამ იღუმენმა სიტყვა შემაწყვეტინა.

— ეს საშინელებაა... საშინელებაა, რომ წმინდა მამებს კითხულობთ.

გავჩუმდი. ველოდი, რა მოჰყვებოდა ამას.

— როგორ ვერ ამოიკითხეთ ამათთან, რომ შეიძლება იკითხოთ მხოლოდ ის, რაც შეესატყვისება თქვენს სულიერ მდგომარეობას? და ცხოვრებისეულ ნირს? რატომ კითხულობთ ლესტვიჩნიკს, მონასტრული ყოფის ამ კლასიკოსს, როცა ამქვეყნიური ცხოვრებით ცხოვრობთ? ეს მხოლოდ ზრდის უფსკრულს იმას შორის, რაც თქვენ იცით და რაც ხართ სიმანდვილეში.

მან გადასდო თავისი ფოლიანტი.

—თქვენ თვითონ ამბობთ, რომ არ გადაგიდგამთ პირველი ნაბიჯებიც კი ქრისტიანული ცხოვრების გზაზე... როგორღა ბედავთ იკითხოთ განჭვრეტა ღვთაებრივი შუქისა? წმინდა მამები მთელი სიცოცხლე მარხულობდნენ, ლოცულობდნენ, აკვდინებდნენ ხორცს, ცხოვრობდნენ უდაბნოში, ებრძოდნენ ეშმაკებს, თქვენ კი წამოწექით დივანზე წიგნით ხელში და ფიქრობთ, რომ ეზიარებით მთელ გამოცხადებებს?

ეს საწყენი არ იყო, რადგან ეს იყო სიმართლე, და მე თვითონაც ვიცოდი ეს. მაგრამ სხვა გზა არ გამაჩნდა. ურელიგიო ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტი-პირველ მორწმუნეს ოცდათხუთმეტი წლისა შევხვდი.

— არ ვფიქრობ, ვეზიარე-მეთქი, მაგრამ ვიგებ, რომ არსებობს გამოცხადება ღვთისა, რომ შეიძლებოდა არ გამეგო ეს. ყველაფერი თავს გადამხდა არა ისე, როგორც უნდა გადამხდენოდა. წინათ ბავშვიც მარხულობდა და ეზიარებოდა, სანთლით ხელში ითენებდა აღდგომა ღამეს. მამასთან ერთად დადიოდა ტყეში საზიდრით არყის ხის მოსაჭრელად და ყვავილების დასაკრეფად, რომ სამების დღესასწაულზე შეემკოთ ტაძარი. აღსარებაზე გადიოდა, ისმენდა „ნათელო მხიარულო წმინდისა დიდებისა“... ჩვენთან კი ხატის მაგიერ რეპროდუქტორის ლითონის თეფში ეკიდა და ლოცვის მაგივრად კომუნალურ ბინაში მთვრალი სიმღერები და ლანძღვა-გინება მესმოდა. მადლობა ღმერთს, შევიტყვე რომ ვიღაც ჭვრეტს ღვთიურ შუქს, როცა წავიკითხე ამაზე, მაშასადამე, ღმერთმა დაუშვა ჩემზედ ბედიღბლის ასეთი ფორმულა, და მე აწი ასე უნდა ვიცხოვრო.

— ჰოდა, იცხოვრეთ, გადადგით თქვენი პირველი ნაბიჯები! როდის შეძვრებით თავიდან წიგნების კარადაში? რა გამონახეთ იქ? — მომიახლოვდა და

ხელიდან გამომართვა მაქსიმე ალმსარებლის ს ოცხოო გამოცემა; — ჰო, რას ვამბობდით? — ხელისგულით ეჭირა წიგნი, თითქოს წონას უსინჯავდა — მე როდი გიკრძალავთ მაქსიმე ალმსარებლის კითხვას. მაგრამ მინდა თქვენ თვითონ მიხვდეთ, რომ თქვენთვის არ შეიძლება იკითხოთ იგი.

უკან გავყევი კარადისაკენ, ყოველი შემთხვევისთვის, თვალი მიმედევნებინა, სად დადებდა წიგნს.

— რას მიცქერით ისეთი თვალებით, თითქოს პირიდან ლუკმა გამომეგლიჯოს თქვენთვის? აიღეთ... მაგრამ მე ვისურვებდი, რომ თქვენი ხელით დღეს თუ არა ხვალ უკანვე დაგედოთ წიგნი.

— სახვალიოდ ვერ მოვასწრებ... — დასასრულს ჩავხედე, წიგნში რვაასამდე ფურცელი იყო.

მან წაუყრუა ხუმრობას.

— ერთთავად ის იმედი გამოძრავებთ, რომ წაიკითხავთ კიდევ ას წიგნს და გახდებით ისეთი, როგორც იყო სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი?

— არა. არა მაქვს მაგის იმედი.

თავისუფლად ამოვისუნთქე. მაქსიმე ალმსარებელს ორივე ხელი შემოვხვიე.

— რატომ არ ღებულობთ არაფერს, რასაც მე გეუბნებით? ეს ხომ ინტელექტუალური სიხარბეა... ერთი ოთახს ავეჯით გამოჭედავს, მეორე გამოიჭედავს თავს ცოდნით, რომელიც მისთვის გარეგანია. რა უნდა იმის მიხვედრას, რომ ქრისტიანობა არის არა ცოდნათა ჯამი, არამედ ცხოვრების ნირი...

— უკვე ორი წელია, ჩავჩიჩინებ საკუთარ თავს: ეს უკანასკნელი წიგნია, ამასაც წავიკითხავ და ახალ ცხოვრებას დავიწყებ-მეთქი.

— რატომ არ გამოიცვალეთ ტანსაცმელი?

— აკი გამოვიცვალე, — თავზე თავსაფარი მეფარა, ჩემი კაბებიდან ყველაზე უბრალო, ჩითის გრძელსახელოიანი კაბა მეცვა.

— ეგ არაფრად არ ვარგა,

— მეტი არაფერი გამაჩნია.

— ვიშოვით. ეს რა ცისფერი თავსაფარია? შავია საჭირო და გრძელი საშუშაო ხალათი, არავითარი ბოსონოშკები, ბაშმაკები ჩაიცვით.

ილუმენის სახე ჩემთან საუბარში მისთვის დამახასიათებელ ირონიულ გამომეტყველებას იძენდა. ეს დაცინვა, სხვათაშორის, არ მეხებოდა არც პირადად მე, მითუმეტეს არც საუბრის საგანს. რომელიღაც წამოცდენილმა სიტყვამ მიმახვედრა, რომ მას არ ჰქონია სერიოზული საუბარი რელიგიაზე ქალთან, საუბარს აყოლილს, უეცრად გაახსენდებოდა ეს უცნაური ვითარება და ულვაშებში ეცინებოდა! ერთი ამას დამიხედეთ, ენად არ გაიკრიფა აქა! ეს დაცინვა გულს არ ეკარებოდა.

— რა ძნელია ეს ყველაფერი — განზომო შენი საზომი... ამას წინათ ათონზე ვიყავ. ათონის ბერებს ძალიან გრძელი წირვები აქვთ. ძილს პარავენ დროს. სამ-ოთხ საათს სძინავთ, მერე კი მთელი დღეებით თვლემენ. იწყებ საუბარს და რას ხედავ, ის უკვე გამორთულა. ჰოდა, ვფიქრობდი: განა არ სჯობს, უფრო დიდხანს დაიძინო, ვიდრე მთელ დღეს თვლემდე და აღარაფრისთვის აღარ ვარგოდე?

— რაღა თქმა უნდა, ჯობს, — განვსაჯე მე.

— აჰა... თქვენ რამდენ ხანს გძინავთ?

— მე — ძალზე დიდხანს. მე ყოველთვის მჭირდებოდა ნათელი თავი, რა-

თა ამეთვისებინა ის, რასაც თხულობდი, ანდა რომ მეწერა. რად მინდა ისეთი ეკონომია, თუ თავი აღარ იბუშავებს?

— საინტერესო ცხოვრებაა... მერედა ის, რომ შეიძლება იმუშაო არა მარტო თავით, ამ ნათელ თავში არ დაბადებულა?

— სერიოზულად არ დაბადებულა.

— მაგრამ ადამიანი თავკომბალა არ არის, მას აქვს სხეული, რომელიც ყოველ-ფერ საჭიროებს დატვირთვას, დასაქმებას, ფიზიკური დაღლილობა ზოგჯერ ისეთი სიმშვიდის მომგვრელია, როგორსაც წიგნებში ვერ ამოიკითხავთ. დამიმახსოვრეთ, თუ ადამიანი დაღლილია, ის აღარ გაღიზიანდება. ცუდია უკიდურესობანი. ცუდია, მაგალითად ის, თუ თქვენ მუშაობთ ქარხანაში და მთელს ძალღონეს შეალევთ გამომუშავებას. მაგრამ თუ თქვენში მოქმედებს მხოლოდ ტვინი, არც ეს არ ვარგა არაფრად. წონასწორობა ირღვევა. სამეფო გზა შუა გზაა უკიდურესობათა შორის... და „შეიცან თავი შენი" — ისევ და ისევ არა გონებისმიერზეა ნათქვამი. არა განყენებულ მნიშვნელობაზეა აქ სიტყვა. ჰოდა, საჭირო არის იპოვოთ საკუთარი განზომილებანი — ძილისა და ჭამისა, ყოფისა და ლოცვისა, შრომისა და ჭვრეტისა. საერთოდ, არ უნდა იკითხო იმ დროის ხანევარზე მეტხანს, რამდენ ხანსაც ლოცულობ...

— მაშინ მომიწევს ძალზე ცოტა ვიკითხო.

— გაცილებით მეტი უნდა ილოცოთ. სულიერება — ეს განსაკუთრებული ენერგიაა. და იგი თავს იჩენს სურვილში — ილოცო, სულის მიმართებაში არა ქვეყნიერებისადმი, არამედ საკუთარი სილრმისადმი, ღმერთისადმი...

იგი წამოდგა და უგულისყუროდ, — ჩვეულებად ჰქონდა ხელებით მუდამ რაიმე ეკეთებინა, ქვესაცმელის სახელოზე დამჩნეულ სანთლის გაცლა დაიწყო. შემოიხედა ბენედიქტემ, მაგრამ არაფერი უთქვამს, სატრაპეზოში დარჩა.

— არ ვიცი, არ ვიცი, — ნელა წარმოთქვა მამა მიქელმა, — ღირს თუ არა ყველაფერი ამის თქმა თქვენთვის. რა გზას დაადგებით, თქვენ რომ დაიარებოდეთ ეკლესიაში, დღესასწაულის დღეებში სანთლებს ანთებდეთ მხოლოდ, შეიძლებოდა გვესაუბრა და მერე გამეშვით ღვთის ანაბარა. მაგრამ თქვენ მაქსიმალური განაზრახი გაქვთ. უცნაური ზნე გჭირთ, აგერ სვიმეონ ახალ ღმრთისმეტყველამდეც მიხვედით. სვიმეონ ახალ ღმთრისმეტყველს უყადრებთ თავს...

— ეგ არ ვიცი, რა გზას დავადგები და რა შორს წავალ, ისიც კი არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო დღეის ამას იქით, საით მივყავარ ამ ჩემს ამორჩეულ გზას. მხოლოდ ის ვიცი, რომ ახლა სხვა არაფერი მესაჭიროება. — მან თვალი თვალში გამიყარა.

— ეგ გზა შემონაზვნებამდე მიმყვანია. რაც უფრო ადრე მიხვდებით ამას, მით უკეთესია თქვენთვის.

ის გავიდა და ცელის პირის ლესვა დაიწყო.

მე ფანჯრის რაფაზე ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ მოცელა მან პირველი რიგი სიმინდის ღეროებისა ჩვენი კარვისაკენ. მის უკან ბალახზე რჩებოდა სწორი ბილიკი და ბალბის მოცელილი ღერები. ყვითელი ციცინათელები ბალახზე ეცემოდნენ და ქრებოდნენ.

კიდევ ერთი მეხთატეხა გადავიტანეთ. არც იმ ღამით შეუწუხებია ვინმეს თავი ჩვენთვის. როცა დავიჩივლე, თითქმის მთელ ღამეს თვალი არ მოგვიხუ-

ჭავს-მეთქი, ბენედიქტემ მარტო ის მკითხა, განსაცდელისათვის ღმერთს მადლობა თუ შესწირეთო.

— დიახ, როდესაც ყველაფერმა ჩაიარა და ცოცხლები გადავრჩით.

— მაგას არ გეუბნებით. საჭიროა განსაცდელისთვის მადლობა შესწიროთ ღმერთს. სჩადიხართ თქვენ ამას?

— მიწევს ხოლმე, უარესი რომ არ შემემთხვეს.

სალამოს მთებში ისევ გაისმა შორეული ქუხილის ექო. ქარი ტანჯვამოსჭარბდა და წვეთებად ცვიოდა.

წირვის შემდეგ მამა მიქელი მომიახლოვდა და მითხრა:

— შეგიძლიათ სენაკში გადაბარგდეთ.

თითქმის გულგრილი კილო ჰქონდა, თუმცა იღუმენმა იცოდა, თუ რა საშიხარულო იყო ეს ჩვენთვის. კარავი არა მარტო ზემოდან თუ ქვემოდან ატარებდა წყალს, არამედ კიდევაც შეგვახსენებდა ჯვარზე ჩვენს დროებით ყოფნას. სულ სხვა იყო სენაკი. იქ ჩასახლებულნი თითქმის ვუტოლდებოდით უკვე საძმოს.

ხევის ახლოს ტყეში სამი ფიცრული მომცრო სახლი იდგა, ბოძებზე შეყენებულნი, რათა გაზაფხულის კოკისპირული წვიმის წყლებს საძირკველი არ გამოეთხარათ მათთვის. იღუმენის სახლს სამკუთხა სახურავი შვენოდა, ხევში იყო ჩარგული ორსართულიანი ზამთრის რეზიდენციის მახლობლად. ჩვენი ეარვის უკან, ხრამზე ბენედიქტეს სენაკია — ბრტყელსახურავიანი, ტოლით გადახურული. მათ შორის ტყეში კიდევ ერთი სახლი მდგარა, რომლის არსებობა აქამდე არც ვიცოდით. იქ მცირე ხნით უცხოვრია მთავარდიაკვან ილარიონს. სამი თვის უკან სამკურნალოდ წასულა ქალაქში და, როგორც იღუმენი ვარაუდობდა, დაბრუნებას აღარ აპირებდა: „ჩვენი ცხოვრება ყველასათვის არაა, ილარიონს აქ საზოგადოება აკლდა“. იღუმენმა ჩვენ სწორედ მის სენაკში შესვლის კურთხევა მოგვცა.

კარვის მერე სახლი ჭერმაღალი და ფართე გვეჩვენება, იგი ბენედიქტეს სენაკს ჩამოჰგავს: ესეც ბოძებზეა შეყენებული და ბრტყელი სახურავით დახურული. სახლს ორი ფანჯარა აქვს, ოღონდ, მინების მაგიერ ჩარჩოებში პოლიეთილენის გამჭვირვალე აფსკია ჩასმული. კარის პირდაპირ კედელთან რკინის საწოლია მიდგმული. საწოლის ჟანგმოკიდებულ სასთუმალთან სანახევროდ დამწვარი ნაღვენთშერჩენილი კელაპტარია დამაგრებული: მაშინ ლამპის შუშები არ ჰქონდათ, ილარიონი სანთლების შუქზე კითხულობდა. კუთხეში ღვთისმშობლის ხატქვეშ წირთხლზე დამაგრებულია დიდი ხნის ჩამქრალი ლამპარი. მის გვერდით ჰკიდია ოლარი და შაი დაფარნა, ზედ სქიმოსანი ჯვარით წითელი გოლგოთაა ამოქარგული.

კარვიდან მეორე საწოლისა და მაგიდის გადმოტანაში ბენედიქტე შეგვეშველა. ესენი განიერები იყვნენ, დაბლები და იმით გამოირჩეოდნენ, რომ მაგიდა სკის ერთ ყუთზე იყო დაჭედებული, ხოლო საწოლი თავსა და ბოლოში ორ სკაზე ეჭიდებინათ, რაც ურყეობას და გამძლეობას სძენდა. მაგიდა პირით კარებისაკენ დავდგით, მიტიას საწოლი — კედელთან, ფანჯრის ქვეშ. კართან მდგარ საკიდზე დავკიდეთ მღვდლის ქვესაცმელი. ლეიბებს, საბნებს და სხვა ბარგს მე და მიტია უკვე სიბნელეში ვეზიდებოდით, გზას ჯიბის ფარანით ვინათებდით. სველ ბალახს ფერდობზე ვიწრო ბილიკი დავამჩიეთ.

სახურავზე თანაზომიერად სცემდა წვიმა, ჩვენთან კი სითბო და სიმშრალე იყო. ფანჯრებზე ფარდები დავკიდეთ და ორ კელაპტარს მოვუკიდეთ. მაგიდა-

თან ხის სკამზე ვისხედით და ვკვირობდით, რომ ამ ზაფხულს ყველაფერი კარგად აეწყო.

— დარჩებოდი აქ სამუდამოდ? — მკითხა მიტიამ. კელაპტრებს ნაღვენთს აცლიდა.

— დავრჩებოდი, ოღონდ შენთან ერთად.

— მე შემიძლია დავრჩე. შენთვის კი არ შეიძლება.

— ეგ ხომ ისედაც ვიცი. ოღონდ სახლი არასოდეს მქონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ჩემი სიცოცხლე მდევდა სევდა სიწყნარისა და განმარტოებისა. ცხოვრებით კი ვიცხოვრე საერთო საცხოვრებლებსა და კომუნალურ ბინებში. უცხო ხალხთან ერთად. და აი, ვსხედვართ ორნი, მე და მიტია. ეს ერთადერთი ლვიძლი ადამიანი მყავს, ჩვენ ორნი ერთად თავს მუდამ კარგად ვგრძნობთ. ირველია კი წვიმა, ტყე და მთებია.

დილით, ტაძრიდან სენაკში დაბრუნებული ჯერ ისევ აღსავსე ვარ ღმერთისმსახურებით. ბილიკი ხეებს შორის მიიკლაკნება ციცაბო ფერდობებზე, მონასტრის ეზოს ზემოთ, სამრეკლოს სამი გამწვანებული ზარის იქით. კიდევ ერთი ძლივს შესამჩნევი წყაროა გზაზე, რომლის წყალიც მცირე აუზში გროვდება. ღამ-ღამობით იქ დაბუდებული ბაყაყების ყიყინი მთელ ეზოში ისმის.

ჯვარის გუმბათზე შეყრილი ნაზი, მოწითალო ლრუბლები შუქით არის გამსჭვალული. შუქს ასხივებს გუმბათს აცდენილი ფიჭვის ტოტებიც. ტაძარი ჩემკენ ფასადის მხრივ არის გაშლილი და ყოველ ამოვლაზე თითქოს ახლოდან ვხედავ გუმბათს, რომელიც სანახევროდ გაშლილ ქოლგას ჰგავს; მის ქვეშ მრგვალი ბარაბანია, შიგ გაჭრილი თორმეტი სარკმლით. ტაძრის პირდაპირ თუ დადგები, შუათანა ორი სარკმელი ერთდება შენს თვალში და ბარაბანს შიგნიდან ეცემა მზის სხივი. სარკმლები სადღესასწაულოდ არის შემკული თაღებიანი რელიეფებით, სადაც შიგნიდან შემონახულია ძველი ორნამენტი. მთელი ტაძარი ბაცი ქვიშნარი ფილებით არის მოპირკეთებული და თითოეულ ქანს საკუთარი ნახატი და საკუთარი ელფერი აქვს შენარჩუნებული, ყველაფერი ეს კი ერთად აღებული თავისუფალია, სრულქმნილი, ცოცხალი და ეს ყველაფერი მე უკვე მიყვარს.

ისე მიყვარს ჯვარი, ეს მთები, შემოგარენი ხეობა, ჩემი სენაკი, მონასტრის ბინადარნი და მიტია, რომ მინდება მადლობა შევწირო ღმერთს და ვილოცო.

მე ჯერ არასოდეს დამდგომია შუქით, მადლიერებითა და ლოცვით ესოდენ აღსავსე დღეები.

ერთხელ მე, მიტია და არჩილი თბილისში ჩავედით. იღუმენმა არჩილი მიავლინა, რათა სეფისკვერების გამოცხობა ესწავლა; აქამდე მხოლოდ კვირაობით გვიგზავნიდნენ ხოლმე, წირვის დაწყებამდე. ახლა გადაწყვიტეს, უფრო იოლია თვითონ ვაცხობდეთო. ჩვენ ჩვენი ნივთები უნდა წამოგვეღო, რომლებიც მამა დავითის ნათესავებთან გვქონდა მიბარებული. როცა ჯვარზე ერთად ამოვდიოდით და დავითმა მითხრა, არ უნდა გქონდესო ჯვარზე დარჩენის იმედი, მე მაინც წამოვიღე ჩანთა, პირველ დღეებში ყველაზე აუცილებელი წვრილმანით. მაშინ ამით დავკმაყოფილდით. ახლა კი, რადგან სენაკში დავბინავდით, შეგვეძლო დანარჩენის წამოღებაც.

ხუთნი წამოვედით. წინ მირბოდნენ ბრინკა და მურია, რომლებიც ყველას შიაცილებდნენ ხოლმე. მონასტრიდან ზემოთ ღელეების დაშშრალი კალაპოტებით მივიწევდით. სულ რამდენიმე დღის წინ ამ გზით ვეშვებოდი მონასტერში. ძაღლები ასე ათი მეტრით წინ გვისწრებდნენ. და ენაგადმოგდებულები გვე-

ლოდნენ ხოლმე. ალბათ გაოცებას იყვნენ, რატომ მოვიწევდით ჩვენ ასე ნელ-ნელა, როცა შეიძლება სწრაფად ირბინო.

— სთხოვეთ მაგათ, შეგვხვდნენ ხვალ, გზა რომ არ დაგვებნეს, — შესთავაზა არჩილს მიტიამ.

— საჭიროა იესო ქრისტეს ლოცვით დაბრუნება და მაშინ აღარ დავიბნევით, — მოუჭრა არჩილმა.

შესასვენებლად ნაცნობ უღელტეხილზე შევჩერდით, დავანთხეთ ნაცრისფერი ხვლიკები. აქ მზეზე გასათბობად გველებიც დასრიალებდნენ და გადავწყვიტეთ, რომ ჯობდა დიდხანს აღარ დავრჩენილიყავით. მაგრამ არჩილმა თქვა, არც გველებისა არ უნდა გეშინოდეს, მონასტრიდან გამოსვლისას იღუმენმა თუ დაგლოცა და პირჯვარი გადასახა გზასო. მღვდელისუქვესაცმელოდ, სიცხის მიუხედავად შალის შავ შარვალ-ხალათში გამოწყობილი არჩილი უმწეო ვინმე გვეჩვენებოდა — ტანდაბალსა და მხრებვიწროს დიდი თავი ება — რომ არა მისი რწმენის ეს სიცხადე, რომელიც მორჩილს თითქოს სიმაღლესა და სიძლიერეს მატებდა.

არჩილთან ყველაფერი აეწყობოდა ხოლმე, გზაც ადვილად გავლიეთ ახლა. გზატკეცილზე მაშინვე წამოგვეწია სამარშრუტო მანქანა. სამივენი უკანა სავარძელზე მოვთავსდით. ძაღლებმა დიდხანს გვდიეს ყეფით — არა იმიტომ, რომ დაგვეწეოდნენ, არამედ უკანასკნელ ძალ-ღონემდე გამოეჩინათ ერთგულება.

ხიდზე გადასვლისას უმალ მანქანების ხმაურმა და გამონაბოლქვმა მოგვიცვა. ხალხი ყაყანებდა, გამდნარ ასფალტს მხურვალება ასდიოდა. ჯვარის შემდეგ ქალაქი საცხოვრებლად აუტანელი ჩანდა.

დეიდა დოდო აივანზე შლიდა სუფრას. მაგიდაზე აწყობდა პიტნის მწვანე წყლით სავსე ბოთლებს, ლობიოს, სალათას და მწვანილს. მე მას აივანზე ლიად დარჩენილი კარიდან ვხედავდი.

ვისხედით ორნი, მე და დავითის მეუღლე თამარი და ვსაუბრობდით ორივესთვის საინტერესო თემაზე—მასზე, დავითზე, ფარული სიამაყით მიყვებოდა, რომ მისმა ქმარმა გეოლოგიის ინსტიტუტი დაამთავრა. წამყვან სპეციალისტად ითვლებოდა. დარდიმანდი კაცი იყო, საზოგადოებაში გამოსული. და უეცრად, წარმოგიდგენიათ, ტაძრის სარემონტო სამუშაოებზე შავ მუშად წავიდა! მერე კი სულაც — მონასტერში! ქალი მაშინ თვლიდა, რომ მისი ქმრის ცხოვრება დაღუპა ვიღაც იღუმენმა; ოცნებობდა, ღერა-ღერა დაეპუტა მისთვის წვერი.

ტანმორჩილი, ძვალწვრილი, ქერათმიანი და თაფლისფერთვალება ესტონელი ქალი, რომელსაც სანდომიან სახეს სანახეროდ უფარავდა მოცისფრო შუშის სათვალე, სამი შვილის დედის პირობაზე ერთობ ახალგაზრდა ჩანდა. საკუთარ სისხლისმსმელურ გაზრახვას ოდნავი აფეთქებით აფერადებდა და იუმორით არბილებდა. ახლა მას ერთნაირად ეამაყებოდა ისიც, რომ დავითი საზოგადოების სული და გული იყო და ისიც, რომ ცოტა გაწყდა, ბერად არ აღიკვეცა.

მე კი ვიცოდი, რომ ახალგაზრდობიდან მოკიდებული დავითი ღრმად განიცდიდა სიკვდილზე ფიქრს. ადამიანები უფრო ხშირად ცდილობენ არ ახსოვდეთ სიკვდილი, თავს იკატუნებენ, რომ ის არ არსებობს და არც დადგება და ამგვარად უკუაგდონ მასთან დაკავშირებული ყველა კითხვა, მათთვის მარადიული ღამის აჩრდილი როდი აუფერულებს ცხოვრების სიამტკბილობას. პირადად ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია სიამენი, ესოდენ გამოუღვიძებლივ რომ შეიძლება დატკბე. ხოლო დავითი მიეკუთვნებოდა იმ უმცირესობას, ვისთვისაც ყოფა ზენარმა აზრმა უნდა გაამართლოს. იღუმენ მიქელთან მისი შეხვედრა არ ყოფილა შემთხვევითი, ისევე, როგორც არ არის შემთხვევითი არც სხვა დანარჩენი.

აქ, ნეიტრალურ ზონაში, დეიდა დოდოსთან, თამარი პირველად შეხვდა იღუმენ მიქელს. იგი აქ დავითთან ერთად მოვიდა ჯვარიდან, ხოლო ქალი კი მოიჭრა აქ „ვითარცა გამძვინვარებული ძუ ლომი“.

— წინათ, ჩემი სისულელით მეგონა, რომ მორწმუნედ იქცევიან რაიმე უმარობის გამო. ვხედავ, მამა მიქელი წელგამართული დაიარება, მაღალი, ძლიერი, ჭკვიანი... ვხედავ, ყველაფერი იცის ჩემზე. კიდევაც ვგრძნობდი, რომ ეს ასეა, იცოდა, გულში რა მედო, და საუბრობს მშვიდად, რბილად:

— დავითი კარგი ბერი დადგება. მაგრამ რანაირად შეძლებთ თქვენ მარტომ აღზარდოთ კარგი შვილები? იქნებ ცხელ გულზე გადაწყვიტეთ? კარგად დაფიქრდით. — მას შეეძლო აღეკვეცა იგი და მორჩა, ეყოლებოდა კარგი ბერი. მე ვზივარ აქ მორცხვად, მძვინვარე ძუ ლომი მოჯადოებულ წრუწუნად გადავიქეცი... ვერ დამეჯერებინა, რომ ქმარი შინ მომგვარა.

— უფრო სწორი იქნება ვთქვათ, მე თვითონ დავბრუნდი, — ჩაერია ჩვენს საუბარში მამა დავითი და შეგვთავაზა, სუფრასთან მობრძანდითო.

სამუშაოდან დაბრუნდა დავითის უმცროსი ძმა გიორგი და ჩვენი სერობა გვიან საღამომდე გაგრძელდა.

გასაოცარი სამყარო გვეკრა ირგვლივ ამ ოჯახში. გიორგი დავითის ღვიძლი ძმაა, მაგრამ იგი დეიდა დოდოს ვაჟია. ეს შესაძლებელი ჩანდა მხოლოდ იმ უჩვეულო სიყვარულის ძალით, ამ ნათესავებს რომ აკავშირებდათ. ოცდარვა წლის წინ დავითის დედა მესამე შვილს ელოდა. დავითის თვინიერი დეიდა დოდო და ამისი ქმარი კი უშვილონი იყვნენ. ქალი სულ ცრემლებით შესთხოვდა უფალს, დედობის ღირსი გამხადეო. როცა ცხადი გახდა, რომ დოდოს აღარ ეყოლებოდა შვილი, დავითის დედ-მამამ გადაწყვიტა, ბუნების ულმობლობა ადამიანური გულმოწყალებით აენაზღაურებინათ და გაეჩუქებინათ შვილი, რომელსაც ელოდნენ, ამრიგად შეივსო დეიდა დოდოს ცხოვრების ფიალა, როცა გიორგი გაიზარდა და შეიტყო საკუთარი წარმოშობის ნამდვილი ამბავი, — არ დანაღვლიანებულა, — ყოველ შემთხვევაში, საკუთარი ისტორია მე ასე გამანდო. პირიქით, მას ასეც კი მიაჩნდა, ბედმა გამიღიმაო. თითოეულ მის ამხანაგს მხოლოდ ერთი დედა ჰყავდა, მას კი ორი და ბიჭი ორივეს ძალიან უყვარდა. ერთს იმ მიზეზით, რომ ანაზდეულ და დაგვიანებულ საჩუქრად ერგო იგი, მეორეს იმიტომ, რომ სიყვარულის ზვარაკად მოიგლიჯა შვილი მკერდიდან.

ჰოდა, დაიარება დავითი ძმასთან და დეიდასთან, როგორც საკუთარ ოჯახში, ეპატიჟება აქ თავის მეგობრებს სადილად. ასე მოგვიყვანა აქ საქართველოში ჩვენი ჩამოსვლის პირველ დღეს.

ჩვენ კათედრალურ ტაძარში გავიცანით ერთმანეთი. დავითი იქ შავ მუშად მოვიდა. იქ მიიღო ხელდასხმა და დასტოვეს ღვთისმსახურებისათვის. მას ნაცნობობის რამდენადმე დაშორიშორებული რგოლის მეშვეობით ჩვენ მხოლოდ სახელით ვიცნობდით. ვისხედით ერთად ტაძრის ეზოში ძელსკამზე და ღმერთზე ვსაუბრობდით. მერე დაიწყო და დამთავრდა მწუხრის წირვა. წირვა რომ ჩაატარა, მამა დავითი გამოვიდა ჩვენთან ქვესაცმელში, ჯვრით ხელში და გვითხრა: „აბა, წავიდეთ“. არ გვიკითხავს, სად მივყავდით. ჩვენს ხანმოკლე რელიგიურ ბიოგრაფიაში ჩვენს შესახვედრად ღმერთმა მხოლოდ და მხოლოდ თავისი საუკეთესო მსახურები გამოგვიგზავნა — თავისი დიდი გულმოწყალეობის გამო. და ჩვენ შევეჩვიეთ, რომ საჭიროა ყური ვუგდოთ მღვდელს, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. ასე მოვხვდით დეიდა დოდოსთან. მას შემდეგ ყოველდღე დავდიოთ იქ, ვიდრე ჯვარზე ამოვიდოდით.

საქართველო დაიწყო ჩვენთვის ვითარება სასწაული და დღესასწაული ყველაფერი გრძელდებოდა.

დეიდა დოდომ გვიჩვენა, რაც იყო აჯაფსანდალი. ჩვენ აქ ვიგემეთ ეს ნუგბარი შენელებული კერძიც და სამარხვო ღვეზელებიც. სიცხეთ დარგუნეილებმა ექვს-ექვსი ფინჯანი ჩაი დაცალეთ ალუბლის მურაბით. ლეიდა ლიდოს ელიმებოდა, მიჰქონდ-მოჰქონდა კერძები და ჩუმი სიხარულით ისევ გვიყურებდა, ჩაი კიდევ ხომ არ დაგისხათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღეს ერთად კარგად ვგრძნობდით თავს, ადრინდელივით ვსაუბრობდით რწმენაზე. მღვდლობაზე. მამა დავითი გვიამბობდა, რომ მას წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ მღვდლობა ფიზიკურადაც ძალზე ძნელი ასატანია — კვირაში ერთხელ მორიგეობა ტაძარში, მთელ დღეს ნათვლა, ჯვრისწერა, წესის აგება. ეს მსახურება შენგან მოითხოვდა მთელ შენს ძალ-ღონეს და თუ მას შეალევდი, როგორი მშვიდობა ისადგურებდა შემდგომ ამისა.

გიორგი, კინომცოდნე და კინოკრიტიკოსი, საკუთარ სამსახურს უნებლიეთ ადარებდა ძმისას, მეკითხებოდა, როგორ მიგაჩნიათ, შეიძლება თუ არა ემსახურო სიკეთეს ამქვეყნიური ხელოვნების საშუალებებითო. მე ვპასუხობ, უფრო ხშირად კინო არასერიოზული საქმეა-მეთქი. ხოლო ცოდნა იმისა, თუ როგორ ფლობენ სხვები ამ ხელოვნებას, კიდევ უფრო ნაკლებ სერიოზულია და მე რომ მამაკაცი ვიყო და გამჩენოდა იმედი მღვდლის ხარისხის მიღებისა, ყოველგვარ ხელოვნებას თავს მივანებებდი, ერთი წუთითაც არ დავფიქრდებოდი-მეთქი. იმიტომ, რომ ნებისმიერი ჩვენი საქმიანობა საეჭვო ღირებულებისაა; მღვდელი კი შემაერთებელია ცისა და მიწისა, ღმერთისა და ადამიანისა — ევქარისტიის საიდუმლოში.

— ჰოდა, ადამიანიდან მღვდლამდე, — როგორც მიწიდან ცამდეა, — ვუთხარი ნახევრად ხუმრობით.

— ადამიანიდან — ჭეშმარიტად ქრისტიანობამდე, — შემისწორა მამა დავითმა. — ჭეშმარიტ ქრისტიანად ქცევა ძალიან ძნელია. ესაა ღვაწლმოსილება და მსხვერპლი.

ადრიანი დილით მე და მიტია ორნი მივაბიჯებდით ბებერი თელების მწვანე თაღებქვეშ. შარშანდელი ფოთლების ნოტიო საფანელი უხმაუროს ხდიდა ჩვენს ნაბიჯებს. ხანდახან წამოიჭიკჭიკებდნენ და ერთმანეთს შეეხმიანებოდნენ ხოლმე ფრინველები. ხშირ ფოთლებში მზის მოცახცახე შუქი გამოსჭვიოდა, ჩვენ გამოვედით მამა დავითის კერთხევით და პირჯვარი გადავწერეთ გზას. გზა სასიამოვნო იყო. მოსახვევი გამოგვრჩა, ავცდით და თავი მონასტრის მობერდაბერე ხეობაში ამოვყავით. მაგრამ გვჯეროდა, რომ აქედან ღმერთი გაგვიყვანდა, და ასეც მოხდა.

ჯვარში ისე დავბრუნდით, როგორც მშობლიურ სახლში, რომელიც უკვე მოგვენატრა, ყველაფერი თავის ადგილზე იყო, ოღონდ მოთიბული ბალახი ეზოში ზვინად დაედგათ. მშრალი თივის სუნი ტრიალებდა.

ჩვენი ჩამოსვლის აღსანიშნავად იღუმენმა თავისი ხელით დაბრაწა დიდი ტაფით კარტოფილი.

ბენედიქტემ კიდევ ერთხელ გადმომიკრა სიტყვა, რომ შემდგომი ტრაპეზისთვის მეც შემეძლო რაიმე მომემზადებინა. დიდი ხანია მმართებდა, საჭმლის კეთება მესწავლა. ისევ ვთხოვე იღუმენს ასეთი მორჩილების კურთხევა მოეცა ჩემთვის. ამჯერად ჩემთვის გაუგებარი უხალისობით დამთანხმდა.

მანდილოსან-რესტავრატორებს მივმართე პირველი შემოქმედებითი კით-

ხვით: როგორ მოვუხარშო ამათ ბორშჩი? მეორე სართულზე მარტო ნონა დამ-ხვდა, რომელიც მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო, დამძიმებული და ოდ-ნავ შესიებული სახის პატრონი. ასევე ოდნავ შესიებულ ქუთუთოებსქვეშ მა-ყვალივით შავი თვალები უელავდა. სიგარეტს ეწეოდა. მას გაუკვირდა და მა-შინვე როდი დაიჯერა, რომ არ ვიცოდი ისეთი უბრალო რამ, რაც ყველამ იცის. მაგრამ ჩასატარებელი ოპერაციების თანმიმდევრობა გასაგებად ამიხსნა.

სიცოცხლეში პირველად ნაშუადღევამდე ვიყავ სამზარეულოში. ... ლიან მომეწონა. ვშუშავდი ჭარხალს, სტაფილოს, ხახვს. ვჭრიდი კარტოფილს, კომბოსტოს. კვალზე კამას ვკრეფდი. გამომივიდა ბორჩში — უზარმაზარი ქვაბით. ჩემი აზრით საჭმელად ყოვლად ვარგისიანი იყო. შიგ ჩავუშვი დაჭრი-ლი პამიდორიც და ყველა სახის ცხარე საწებელი, იმ ქილებიდან, რომლებიც კი ალმოვაჩინე. საუზმედ სალათა მოვამზადე, მეორე თავად — მოხალული წი-წიბურის ფაფა, ხახვით და მწვანილით.

ტრაპეზის დროს ბენედიქტემ, პირველად ამ ბოლო დღეებში, გულიანად გამიღიმა.

— გამოტყდით, უბრალოდ არ გინდოდათ დიასახლისობა.

არ გამოვტყდი. ვუპასუხე, რომ არ ვიცოდი, მაგრამ ვისწავლე.

მაშინ ილუმენმა ტუჩი აიბზუა და თქვა, ადამიანს შეუძლია იამაყოს რითაც გნებავთ, ასე განსაჯეთ, იმითაც, კერძების მომზადება არ ვიცოდიო, — უცნაუ-რია სწორედ. არადა, ჩვეულებრივი საჭმელია, მონასტრული; მე უკვე ვიცოდი, რომ ისინი ასე ეძახიან იმ საზრდოს, რომელსაც არ გააჩნია არც ფერი, არც გემო, არც სუნი. მაგრამ არ მწყენია, იმიტომ, რომ ეს აშკარა ტყუილი იყო. უბრა-ლოდ, მამა მიქელს არასდიდებით არ სურდა შევექე, რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო.

პირიქით. ტრაპეზის შემდეგ დიდი ხნის მუქარა შემისრულა. გამომიტანა ფლანელის ხალათი და წინადადება მომცა, გადაიცვითო. ძველი, გამოხუნებული ხალათი იყო, ისეთივე, როგორიც ბენედიქტეს ქვესაცმელი. ზურგზე თეთრი საღებავის ლაქები ეცხო. სავსებით შეეფერება მთის უღელტეხილებზე სეირნო-ბით გაცვეთილ ჩემს ფეხსაცმელებს, პირი რომ ჰქონდა დაფჩენილი.

— საუცხოოა. ის არის, რაც გჭირდებათ, — დამცინოდა მამა მიქელი, — საშინლად გამოიყურებით ამ ხალათში. კიდევ რა დაგმართოთ? აი, სათვალე ერ-თობ ინტელიგენტური იერის მომნიჭებელია... კარგი იქნებოდა, შიგ ცალი შუ-შა გამოგემტვრიათ, ცალი კი უმარილით შეგეთითხნათ. ბაშმაკები კი არ და-აწებოთ. ბაწრით ამოიკარით.

ჩემთვის ახლა სულ ერთი იყო: ხალათიო და იყოს ხალათი. ბაწარიო და იყოს ბაწარი.

ტურისტების მოძალების გამო მწუხრი ცხრა საათისთვის გადაიტანეს. ვა-ხშმობაც მოვასწარით და ჭურჭლის დარეცხვაც.

მწუხრის დაწყების წინ ანაფორიანი და კუნკულიანი მამა მიქელი ტაძარ-ში მომიახლოვდა და უსიტყვოდ გამომიწოდა შავი თავსაფარი.

და იმ წუთს, როცა ის ჩემ წინ შეჩერდა, სახეზე შეყინული ღიმილით და გამოწვდილი ხელით, თითქოს ცხელმა ტალღამ გადამიარა. მთელი ჩემი არსე-ბით — კანით, ნერვებით, გულით — მივხვდი იმის აზრს, რაც ხდებოდა. ფერ-დაკარგული ყვავილებით მოჩითული ამ შავი თავსაფრით, უხეში ხალათით და კიდევ თავისი ირონიით და დაცინვით იცავდა იგი თავს ჩემგან!

ჩვენ მწუხრის შემდეგ გამოვედით. თბილი, სქელი წყვდიადი გარს გვეკვროდა და გვხვევდა მოტკბო, ტყის და ბალახის გამაბრუებელ სურნელში. შავი დედამიწის, ხეებისა და მთების კონტურებს თავს დაჰნათოდა ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა. მანათობელი დრაკონი, რომელსაც თითქმის ცის მთელ ტატნობზე განერთხა გიგანტური კუდი, ჩვენს თავზე იყო ჩამოკიდებული სამკუთხედად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყდა და ძირს ჩამოვარდა ვარსკვლავი. თრთოდა და ციმციმებდა, როგორც ანთებული და ზემოდან ჩამოვარდნილი ბენგალური ცეცხლი.

არჩილმა სატრაპეზოში ლამპას მოუკიდა და ყველას შუქისაკენ გაუწია გულმა.

შემოვიდა რესტავრატორი გურამიც — დღეს პირველად დაესწრო წირვას. პირჯვარს იწერდა, როცა ყველანი ვიწერდით პირჯვარს. იღუმენთან დაწყებული საუბარი განაგრძო.

— ჰო, მაგრამ, როგორ, როგორ გადაიქცევა პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად? მე არ შემიძლია ამის გაგება და ამიტომაც...

ფანჯრის ხარიხიდან და ღრიჭოდ დატოვებული კარიდან იღვრებოდა წყვდიადი და ოთახში ნახევრად ბნელოდა. ბენედიქტე, არჩილი და მიტია მაგიდის მიყუჩებულ კუთხეში იყვნენ მიმსხდარნი, მე კუთხეში — ძელსკამზე.

გურამი იდგა, კარის წირთხლს მიყრდნობილი, მხოლოდ მამა მიქელი იჯდა ნავთის ლამპის შუქის წრეში. ხელები მძიმედ დაეწყო მაგიდაზე. თვალები დაეხარა. შუქი მარცხნიდან და მაღლიდან ეცემოდა და თვალის უპეებში ჩრდილი ჩასწოლოდა. ლამპის შუშას ქინქლა ედებოდა, მათი ჩრდილი დარიალებდა ჭერზე.

— იმიტომაც არის ეგ საიდუმლო, რომ ჭკუით მიუწვდომელია... — ამოთქვა იღუმენმა, თითქოს ძალისხმევით სძლია მდუმარებას. გურამი ელოდა. დანარჩენები დუმდნენ. მაშინ იღუმენმა განაგრძო:

— გახსოვთ ლუკა მახარებელი? ქალწული მარიამი ეკითხება მთავარანგელოზს: „ვითარ არს ესე?“ ესე იგი, როგორ შობს იგი ძე ღვთისას. ის კი მიუგებს: „სული წმიდა მოვიდეს შენზედა და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ“. აი, ყველაფერი, რისი თქმაც შეიძლება, სული წმიდა გადმოვიდა ქალწულზე, რომ შექმნილიყო ქრისტეს სხეული მარიამის საშოში. და ისევ გარდააქცევს წირვაზე წმიდა ბარძიმში პურსა და ღვინოს ქრისტეს ხორცად და სისხლად. ხოლო თუ როგორ — აქაც და იქაც, ღმერთის საიდუმლოა...

მე ვისმენდი მის ოდნავ ყრუ, მშვიდ ხმას და შევიცნობდი ღვთის ამ საიდუმლოს ჩვენ ირგვლივ განფენილ ამ ლუსკუმ ღამეში, მისი წყვდიადით და შუქით, და თვით ჩვენშიც, ჩვენეულ უნარში ვეჭვრეტდეთ, ვაზროვნებდეთ, ვსუნთქავდეთ, ვიტანჯებოდეთ, ვნაღვლობდეთ სიყვარულზეც და დედამიწაზე ვერცა რის ფლობით ვერ ვკმაყოფილდებოდეთ. საიდუმლოა სამყაროს შესაქმეშიც, დაბადებაში პირველი და სათვალავით ნებისმიერი ადამიანიშვილისა; ყაყაჩოს თესლის გაღივებაში და ჭვავის თავთავის დაბჟიებაში! ზედაპირული აზროვნებისათვის წუთისოფელი ახსნადია, რამეთუ მას შესწევს უნარი თვალი მიადევნოს საიდუმლოს აღსრულებას, მონათლოს იგი სიტყვებით, გააბას იგი განსაზღვრებათა მახეში. ასე იჭერენ ჩიტს — კაკანათით, მაგრამ ჩიტი ჩიტად რჩება, კაკანათი — კაკანათად, ისინი არასოდეს ერევიან, ხოლო დარჩენაში კი დის ცხოველი სიცოცხლე.

კაცობრიობა, ვითარცა პილატე, იუდეის პროკურატორი, მარად სვამს კითხვას: რა არის ჭეშმარიტება? და ვითარცა პილატე იჩეჩავს მხრებს და პირს იბრუნებს ცოცხალი ჭეშმარიტებისაგან, რომელიც დგას მის წინაშე დაუცველი, მისგან ჯვარცმამისჯილი, ამ მარადიულ კითხვაზე ქრისტემ უპასუხა საიდუმლო სერობაზე თავის მოწაფეებს, რამეთუ იესო ქრისტემდე არავის ჰქონია უფლება მიეგო ასე: „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ“ — და ეს არის გულისგული ჭეშმარიტებისა, რითაც არის ნაქსოვი სამყარო.

იწამო ღმერთი, მიიღო ეს ჭეშმარიტება, ამბობდა მამა მიქელი, შეიძლება მხოლოდ მთელი არსებით, როცა არ რჩება ურწმუნოების ნატამალიც. გულით, ნებით, გონებით, ცხოვრების წესით. რა შეუძლია მხოლოდ გონებას? მხოლოდ განვლოს შეუცნობელის ზონა და ჩამოიშოროს წინააღმდეგობანი რწმენის გზაზე, იმიტომ, რომ თვითკმაყოფილი მცირე ცოდნა გაშორებს რწმენას; დიდი — გაბრუნებს მასთან.

წინათ არასოდეს მინახავს იღუმენის ასეთი სახე. იქნებ მაშინ უხდებოდა ასეთი სახე, როცა აღსავლის კარებს სტოვებდა. თვალები ზეაღაპყრო, მათში მომეჩვენა სულის წყნარი ფოფინი, გულისყურიანი და ჩაღრმავებული. ჩვენ ვსვამთ კითხვებს: როგორ? რანაირად? ხოლო ყოველგვარი გონებითი ცოდნა, ლოგიკა, თუნდაც ღვთისმეტყველური მხოლოდ და მხოლოდ მკვდარი ფორმულაა ცოცხალი ჭეშმარიტებისა; მხოლოდ და მხოლოდ საშუალებაა. ხოლო მიზანი, საწყისი დასასრული, ანი და ჰ — თავად ღმერთია! მ ი ს ი ჭვრეტა, მასთან ზიარება, მისი მსგავსება, ზიარება ღვთაებრივ მარადიულ სიცოცხლესთან.

ადამიანი არ გახლავთ თვითმყოფადი სიცოცხლე, ის მხოლოდ არსებაა, სიცოცხლეს ნაზიარები.

ღმერთი არის სიცოცხლე მარადიული, საწყისი სიცოცხლისა, ადამიანს რომ ასაზრდოებს. ძელი სიცოცხლისა, სამოთხის შუაგულში რომ ხარობს. ჩვენ ამ ხის ცოცხალი რტოები ვართ, ხოლო თუ რტო მოიკვეთა ხიდან, გახმება.

ჩვენ ყველანი ულმერთოდ — ვართ მოკვეთილი რტოები, ვითარცა ადამი, რომელიც ცოდვითდაცემის შემდგომ აღარ საზრდოობდა სიცოცხლის ხის ნაყოფით. ჩვენ ნელ-ნელა ვკვდებოდით და კიდევ დიდხანს შეგვეძლო კვდომა — კვლავ დამყნობა ძელზე სიცოცხლისა — რათა კვლავ დაგვიაროს სიცოცხლის ცხოველმა წვენმა, ხოლო ეს შესაძლებელია არა მარტო გონებით, არამედ აგრეთვე ერთობლივ სხეულით, სამშვინველით და სულით და ასევე ხდება ღვთის საიდუმლოებებში: უბრალო და რთულ ფორმებში გვიმხელენ ისინი ჩვენი თვალისთვის უხილავ მადლს. „მე ვარ ვენახი, და თქვენ რტონი“... და ეს სიმბოლოა. იმადაც ვლოცულობთ და ვეზიარებით ღმერთს, რათა მოგვმადლოს ეს რეალური ძალა. მხოლოდ ტაძარში, ღმრთისმსახურებაში ღმრთისმეტყველური შემეცნება იქცევა მადლშემოსილად ცხოველმყოფლად, გარეშე ეკლესიის და საიდუმლოებათა არ არის ქრისტიანობა.

ხოლო თუ შენზედ გადმოვიდა სულიწმიდა და ზეგარდმო ძალი გაგანათლებს, შენ უთუოდ გაიგებ, როგორც და რანაირადაც. და ეს იქნება გამოცდილება შენი ცხოვრებისა ღმერთში; და არა გარეშემოთა სიტყვები მასზე...

ამაღამაც ჩემს სენაკში, როცა მიტიამ დაიძინა, მე ისევ მაგიდას ვუზიეარ სახარებით ხელში და სანთლის შუქზე ისევ ვკითხულობ იოანეს იმ თავს, სადაც ქრისტე ლაპარაკობს საკუთარ თავზე, როგორც სიცოცხლის პურზე.

მან ეს-ეს არის ხუთი ათასი კაცი ხუთი პურით დააპურა. და ხალხი ეძიებდა მას, რათა მის უნებლიეთ ეკურთხებინათ იგი მეფედ.

„მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, გეტყუ თქუენ: „მეძიებთ მე, არათუ იხილენით სასწაულნი, არამედ რამეთუ შჭამეთ პურთა მათგან და განსძღეთ. იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხოვრებად საუკუნოდ, რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქუენ: რამეთუ ამას მამამან დაჰბეჭდა, ღმერთმან“.

ხოლო ესენი ითხოვენ მისგან ახალ ნიშნებს, იგონებენ მანანას, რომელიც ციდან ათოვა უდაბნოში მოსეს დროს, ელიან პურს და ახალ სასწაულს. „ჰრქუა მათ იესუ, ამენ, ამენ, გეტყუ თქუენ: არა მოსემ მოგცა თქუენ პური ზეცით, არამედ მამამან ჩემმან მოგცა თქუენ პური ჭეშმარიტი ზეცით. რამეთუ პური ღმრთისით არს, რომელი გარდამოვიდა ზეცით და მოსცა ცხოვრებაჲ სოფელსა. ჰრქუეს მას: უფალო, მარადის მოგვეცა ჩუენ პური ესე. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ პური ცხოვრებისა, რომელი მოვიდეს ჩემდა არა ჰშიოდეს, და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არა სადა სწყურიოდის“ და შემდეგ ის ამბობს სიტყვებს, რომლებიც ვერ დაიტია მათმა გულებმა: ამენ, ამენ, გეტყუ თქუენ; რომელსა ჰრწმენა ჩემი, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ. მე ვარ პური ცხოვრებისა. მამათა თქვენთა ჭამეს მანანა უდაბნოსა ზედა და მოსწყდეს. ესე არს პური რომელ ზეცით გარდამოვიდა, რათა უკეთუ ვინმე ჭამოს მისგანი, არა მოკუდეს. მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვედ. უკეთუ ვინმემ ჭამოს ამის პურისაგან, ცხონდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე ხორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ ცხორებისათვის სოფელსა“, „— ჰკითხვიდეს ერთიერთს ჰურიანი იგი და იტყოდეს: ვითარ-მე ხელეწიფების ამას მომცემად ჩუენდა ხორცი თვისი ჭამად? ჰრქუა მათ იესუ: ამენ, გეტყუ თქუენ: უკეთუ არა შჭამოთ ხორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავისა თქუენისაჲ. ხოლო რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ. და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა დღესა. რამეთუ ხორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს. და რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მე მის თანა. ვითარცა მომავლინა მე ცხოველმან მამამან, და მეცა ცხოველ ვარ მამისა მიერ, და რომელი ჭამდის ჩემგან, იგიცა ცხოვნდეს ჩემ მიერ“.

და ბევრი მის მოწაფეთაგან ამბობდა: „ფიცხელ არს სიტყუაჲ ესე. ვის ხელეწიფების სმენად ესე?“ — და განუდგნენ. „მაშინ ჰქუა იესუ ათორმეტთა მათ: ნუუკუე თქუენცა გინებს წარსვლაჲ?“ „მიუგო მას სიმონ-პეტრე და ჰრქუა: უფალო, ვისა მივიდეთ ჩუენ? რამეთუ სიტყუა ცხორებისა საუკუნოთასა გაქუს შენ. და ჩუენ გურწმენა და გვცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა“.

რამდენჯერ წამიკითხავს ეს სიტყვები, მაგრამ მათ აღვიქვამდი განყენებულად. და აი, ახლა მათ ხორცი შეისხეს ჩემი შემეცნებისათვის — აღსრულდნენ საიდუმლო სერობაზე. „და მოიღო პური და ჰმადლობდა, განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ხორცი ჩემი თქუენთვის მოცემული, ამას ყოფდით მოსახსენებლად ჩემდა და ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობის და თქუა, „ესე არს სისხლი ჩემი ახალი შჯულისა, მრავალთათვის, თქვენთვის დათხეული“.

და ამავე სიტყვებს წარმოთქვამს დღეს მღვდელი წირვაზე წმინდა ზიარე-

ბის კანონის აღსრულების დროს, ღვთისთვის მადლობის შეწირვისა და საიდუმლო ლოცვის შემდგომ: „და ჰამდეს რაჲ იგინი, მოიღო პური, აკურთხა და განტეხა და მოსცემდა მათ და ჰრქუა: მიიღეთ, ესე არს ხორცი ჩემი და მოიღო სასუმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ, და თქვეს მისგანი ყოველთა და ჰრქუა მათ: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა სჯულისა, მრავალთათვის დათხეული“.

გულზე ხელებგადაჯვარედინებული დიაკვანი საკურთხევლის [illegible] ლა სწევს ღვთის ნობათს, ვითარცა სიყვარულისთვის გაღებულ [illegible] მადლობას სწირავს ღმერთს. საიდუმლო ლოცვით შესთხოვს, გარდმოავლინოს ამათზედ სულიწმიდა.

ესე სიტყვები წარმოითქვა ასეთსავე ნობათზე, რომლებიც ქრისტეს მოწაფეებმა უფლის ხელიდან მიიღეს. ხოლო ჩვენ ვეზიარებით მათ წმინდა ბარძიმიდან, რადგანაც არა მღვდელი, არამედ იგი, ვინაც ორი ათასი წლის წინ საიდუმლო სერობის ევქარისტიაზე წმინდა ჰყვნა ესენი, თვით აწმინდავებს და აკურთხებს წმიდათაწმიდა ნობათს.

გარდამოდის სულიწმიდა და აღსრულდება საიდუმლო სერობა, მოზიარენი ახალი აღთქმის სისხლსა და ხორცს ეზიარებიან.

ამ მომენტში თანაზიარობა მონანიე ადამიანის ღმერთამდე სიყვარულით ამაღლებისა და მიმტევებელი და გულმოწყალე ღმერთის ადამიანამდე დამდაბლებისა — დროისა და მარადიულობის გადაკვეთის წერტილია; ეს ყოფის ცენტრალური წერტილი გახლავთ.

მე ისევ ვკითხულობდი. როცა კარს მიღმა არჩილმა დამიძახა. მითხრა. ფანჯარაში შუქი დავინახეო. რესტავრატორებთან ერთი ქალი ცუდად გახდა და გთხოვთ, წამოხვიდეთო.

არჩილმა არ იცოდა, რა ერქვათ ქალებს. უნებლიეთ გამახსენდა ამას წინათ გარდაცვლილი წმინდა მამის ნაამბობი. დადის მასთან რჩევის საკითხავად ერთი ბერი — ეს მერამდენედ სთავაზობს ქალი თავის სამსახურს — და რა უნდა ვუპასუხოო. „შენ რას პასუხობ“? — ეკითხება წმინდა მამა. „ეპასუხობ: „მიხსენ, უფალო“. „მერე ის?“ — ეკითხება დაყუდებული“. „მიდის და ისევ მოდის“. „დიდი ხანია ასე იქცევა?“ „მესამე წელი იქნება“. „ახალგაზრდაა ქალი თუ ხანში შესული?“ „არ ვიცი, არ შემიხედავს მისთვის“.

ტერასის მოაჯირთან სიბნელეში იდგა ელი და შალში იფუთნებოდა. ამ საღამოს მათ სტუმრები ჰყავდათ. ნონამ ცოტა ღვინო დალია. მერე უეცრად ფეხები მოეკვეთა. დაეცა, დაეწყო შეტევა. უკვე ორი საათია უგონოდ წევს. ელიმ არ იცოდა, რა სჭირდა, ეშინოდა, ნონა მოკვდებაო.

იატაკზე დაგებულ ლეიბზე ბორგავდა თვალებდახუჭული ნონა. კრიჭამეკრული კვნესოდა.

საშინელი სანახავი იყო. ელი ჩემგან ელოდა შველას. მე კი შიშის ზარი დამეცა ბნელი ძალისადმი, რომელიც გვემდა ნონას სხეულს.

სატრაპეზოში შუქი ენთო და მე არჩილთან ჩავედი. სამედიცინო საშუალებათაგან მონასტერში მხოლოდ თერმომეტრი და ასპირინი აღმოჩნდა. მე ვთხოვე არჩილს გაეგო, ეღვიძა თუ არა იღუმენს.

იღუმენს თურმე არ ეძინა და მაშინათვე მოვიდა. ნონას გვერდით კედელთან ჩაცუცქდა და ერთ-ორ წუთს ელის ქართულად ელაპარაკა:

— იქნებ გავალვიძოთ ჩვენი კაცები და მანქანისთვის გავგზავნოთ...

— არ არის საჭირო. საჭიროა მხოლოდ ლოცვა, — იღუმენი სავსებით მშვიდი იყო, — გაუვლის.

— რა დაემართა? — ელის ხმა გაუბედავად ქღერდა.

— არ ვიცი. მე ის ვიცი, რომ აქ ისეთი ადგილია, სადაც ცუდი არაფერი არ შეიძლება მოხდეს.

მეტი არაფერი უთქვამს. მაგრამ ორივენი მაშინვე დავწყნარდით.

ბილიკების გასაყარამდე იღუმენთან ერთად ვიარე. ერთი ჩემს სენაკამდე მოიკლაკნებოდა, მეორე — იმისამდე. აუზთან წუთით შევდექით.

ჩვენ ზემოთ ისევ ის ვარსკვლავებით სავსე ზეცა ციმციმებდა, ყიყინებდნენ ბაყაყები და მოძრავ წყალში მთვარის მბრწყინავი ნამგალი დაცურავდა. იღუმენის სახეს ვერ ვხედავდი. ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მხოლოდ ქუდი აჩნდა შავად. იგი თითებით სრესდა ფოთოლს და ვგრძნობდი არყის ხის ნაზ სურნელს.

— ეს სასჯელია... — წყნარად ჩაილაპარაკა მან. — უნდა მიიღო და აიტანო.

— სასჯელი? რისთვის?

— ღვინო ხომ არ დალია?

— სულ ცოტა.

— არა აქვს მნიშვნელობა იმას, ადამიანმა ცოტა მოიპარა თუ ბევრი. შეიძლება მხოლოდ ფიქრში შესცოდო — ეს სავსებით საკმარისია.

მან ხელი მოაფათურა აუზთან დაყრილ ხვინჭში, კენჭი ისროლა და გატეხა მთვარის ანარეკლი.

მეტისმეტი მეჩვენება ეს სასტიკი მომკითხველობა — ოდესღაც ქრისტემ აკი თვითონ გადააქცია ღვინოდ წყალი.

მაგრამ შესაძლოა მამა მიქელი სხვა რასმე ვარაუდობდა.

მე ელისთან დავბრუნდი.

ნონა ჩაწყნარებულიყო.

ჩვენ მოაჯირთან ვიდექით. ცას ავყურებდით. მონასტრის ეზოს გავცქეროდით. მთვარის სხივი ტაძრის გუმბათს ეცემოდა და მის მიღმა უხმაუროდ დაქანაობდა. ფიჭვის შავი ზრო ხან ეფარებოდა და ხან გამოაჩენდა ვარსკვლავებს.

— მოგწონთ მამა მიქელი?

— ძალიან... — მომიგო ელიმ, — ჩვენ ხომ მთელი შარშანდელი ზაფხული ვიცხოვრეთ აქ. შარშანს მერეც კი ძალიან შეიცვალნენ ესენი: ბენედიქტე უფრო სულიერი გახდა, მამა მიქელი, თუნდაც გარეგნულად, ნაკლებად გულჩათხრობილი. შარშან ესენი ჩვენ საერთოდ არ გველაპარაკებოდნენ.

— ეკლესიაში არ დადიხართ?

— არა...

— არა გწამთ ღმერთი?

— მწამს... მაგრამ მე ორმოცდათორმეტი წლისა ვარ; გვიან არის ცხოვრების შეცვლა.

— რატომ? სად გაგვიანდებათ? გახსოვთ, არაკი, მეთერთმეტე საათის მუშაკებზე? ვენახის პატრონი ყველას თანაბარწილად მიუზღავს — იმათაც, ვინც დილიდან მუშაობდა და იმათაც, ვინც მწუხრისას მოვიდა.

— მე არასოდეს არ შემეძლო ამის გაგება, — გაიღიმა ელიმ. — განა სამართლიანია ეგ?

— ეს სამართლიანობაზე გაცილებით მეტია — ეს გულმოწყალებაა. სამართლიანობა საწყაულისთვის საწყაულითვე მიწყვაა. როგორც ძველ აღთქმაში, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წინ, ხოლო ღვთის გულმოწყალებაში მთე-

ლი ჩვენი ბოროტება იძირება, როგორც ოკეანეში ერთი მუჭა ქვიშის მარცვალი.

— სიკეთე?

— სიკეთეც. ამიტომ ვერაფერს გამოვიმუშავებთ, დილით გამოვალთ, თუ საღამოს. არა სამაგიეროდ გვეძლევა ყოველივე, არამედ უფასოდ, საჩუქრად... როგორც წმინდა ნიჭი, როგორც თვითონ სიცოცხლე.

— მაგრამ თქვენ ხომ დიდი ხანია მოხვედით?

— სრულებითაც არა. ადრე ძალიან ვნანობდი, გვიან მოვედი-მეთქი. მეგონებოდა ჩავლილი ორმოცი წელი. ახლა კი ვიცი, რომ რწმენა ამ საზღაურით ვპოვე. ასე დიდი ხნის წყურვილი რომ არა, არ იქნებოდა წყურვილის მოკვლა.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ახლა უკვე აღარ შეგიძლიათ დაკარგოთ რწმენა?

— მირჩევნია სიცოცხლეს გამოვეთხოვო, რაში მესაჭიროება იგი უღმერთოდ?

მიტიას იშვიათად ვხედავდი ხოლმე. მხოლოდ წირვაზე და გვიან ღამით.

თითქმის მთელი დღეობით დაკავებული ვარ სატრაპეზოში — ვასუფთავებ, ვჭრი, ვწვავ, ვხარშავ. მერე ჭურჭელს ვრეცხავ წყაროზე. არჩილი ძალზე მოხარულია, რომ მისი ვალდებულებანი ჩემზე გადმოვიდა: რაც გნებავთ, ოღონდაც ქალის სამუშაო არა. მე სულითა და გულით მივულოცე. მან კი სულითა და გულით მითანაგრძნო. მართალია, დიდი გასაქანი არა მაქვს, სანოვაგე დღითი დღე მცირდება: წვრილი კარტოფილით სავსე ბადია სარდაფში, თავად ორბელიანის სენაკთანაა. იქვე მიწაზე ყრია ჭარხალი, ხახვი. მე მათ ხელის ფათურით ვარჩევ.

კარადაში — ჩაი, ვერმიშელი, ბურღული და მურაბა. ხანდახან რესტავრატორები მოგვიკითხავენ ხოლმე ქილებით ბულგარულ სალათას ანდა წიწაკას. ხან ლურჯი თასით ყვითელ ატამს, ხანაც — ორ-სამ კვერ ახალგამომცხვარ პურს — მათთან კვირაში ერთხელ ამოდის მანქანა.

მიტია კი მთელ დღეებს საძმოსთან ატარებს.

ყოველ ცისმარე წირვაზე ზეპირად კითხულობს „მეუფეო ზეცათაო“-ს, „საშწმიდაო“-ს, „მამაო ჩვენოს“-ს და ორმოცდამეათე ფსალმუნს ხუცურით: ადვევებს და მიართმევს ხოლმე სასაკმეველეს. მოსწონს საკურთხეველში ყოფნა. საკურთხეველი ერთი ბეწოა. ჩვენგან ტილოს კანკელით არის გადატიხრული. იღუმენის იქ ყოფნა სრულიად უხმაურო. ჩვენამდე თითოეული დაჩურჩულება და გაფაჩუნებაც აღწევს. როცა მიტია საკურთხეველში ყოვნდება, ბენედიქტე ეჭვიანად ქირქილებს. ერთხელ როგორღაც უკმაყოფილოდ წარმოთქვა: „დიმიტრი, ნუ ხმაურობ!“ მაშინ იღუმენმა მე და მიტია ტაძარში დაგვტოვა და გვიამბო არაკი იმის შესახებ, თუ როგორ ეწვია ერთხელ განდეგილს მეფე. განდეგილი ესაუბრა მეფეს და მეფე დარჩა მთებში, რათა მეორე დღესაც მოსულიყო. მაგრამ დილით სენაკში აღარავინ დახვედრია, განდეგილმა სამუდამოდ მიატოვა იქაურობა. ასე უნდა გეშინოდეს პრივილეგიებისა, უნდა უფრთხოდე და თავიდან ირიდებდე მათ. ამის შემდეგ მიტიამ აკრძალა საკურთხეველში შესვლა.

ხანდახან ისინი ერთად მღერიან ფისგარმონიის თანხლებით. მიტია უკრავს, ხოლო საძმო მღერის — იღუმენი ფისგარმონიას იდაყვებით ეყრდნობა, თითქოს დაკიდებულია ზედ, ხელები ზურგს უკან შემოუწყვია. გულგრილი სახე აქვს. არჩილი დაძაბულია და რამდენადმე შიშნეულ შზერას არ აშორებს ბე-

ნედიქტეს, რომელიც ბანს აძლევს საძმოს. მცდარად მღერის ხან ბენედიქტე, ხანაც არჩილი, რადგანაც მონასტერში მოსვლამდე არც ერთი არ მღეროდა. არ იციან ნოტები, მაგრამ ბენედიქტე მაინც ითხოვს შექებას — გამბედაობისთვის დააპირეს წირვისათვის დაესწავლათ „უპატიოსნესთა ქერუბიმთასა“, მაგრამ არ გამოუვიდათ.

მე და მიტია ვუზიარებდით ხოლმე ერთმანეთს შეგებებულებს, მისგან ვიტყობდი მონასტრული ყოფის წვრილმანებს, რასაც ჩემგან ... ვხედავდი.

მაგალითად, იღუმენი ხშირად პირველი მიუჯდება ხოლმე მაგიდას. დიდხანს უყვარს ჭამა. მიტია მის გვერდით ზის და შემჩნეული აქვს, რომ მამა მიქელი თავიდან ჯამში ნახევარ ჩამჩა სუფს დაისხამს ხოლმე, შიგვე მეორე თავსაც გადაიღებს და ჩასაც დააყოლებს. მოწიფული მამაკაცისათვის ეს საერთოდ არც არის ჭამა, ის კი სუფრიდან ადგომისას აუცილებლად იტყვის: „აი, პირველი მოველ, უკანასკნელი მივდივარ და ისევ ზედმეტი მომივიდა. როგორც კიბის ალმწერელი ამბობს უძღები მუცლის შესახებ: ნამეტნავი სმა-ჭამისაგან სქდება, ის კი ისევ გაჰყვირის: მშია!“

ასეთი ეშმაკობანი მონასტრული ცხოვრების სტილშია. ოდესღაც მონაზონს ერთი წლით ჭიშკართან გაამწესებდნენ, რათა ყველას ამნაირად მისალმებოდა: „მომიტევეთ, ქურდი და ყაჩაღი ვარ“. აღიარება იმისა, რომ ზარმაცი და ღორმუცელა ხარ ანდა საძი თვეა, არ გიბანავია — ესეც სიამაყისაგან განკურნების საშუალება გახლავთ. რას უნდა აკეთებდეს ბერი? უნდა ლოცულობდეს, ებრძოდეს საკუთარ გულისთქმას და სიამაყეს. ვიდრე აღსავსე ხარ საკუთარი ღირსების გრძნობით, ფარისევლურად გახსოვს საკუთარი სათნოება, საკუთარი ნაჭიერება, ჭკუა, სილამაზე — შენთვის დახშულია გზა ღვთისაკენ. საცოდავ ადამიანურ ღირსებათა დონეზე არა აქვს ადგილი ღვთიურს. მაგრამ როცა კი მთელი შენი არსებით შეიგრძნობ, რომ არაფერი შეგიძლია უღმერთოდ, არ ძალგიძს ერთი წყრთის მომატებაც საკუთარი სიმაღლისათვის და არც ერთი ცოდვისაგან გათავისუფლება, აი მაშინ მოუხმობ ღმერთს გულის სიღრმიდან. და მაშინ მოვა იგი და მთელ შენს ზადს შეავსებს თავისი სისადავიდან და საკუთარი სიყვარულიდან.

მიტიამ უნებლიეთ გამიმხილა იღუმენის კიდევ ერთი საიდუმლო. — როდესაც საკმევლით ხელში საკურთხეველში შევდივარ ხოლმე, მამა მიქელი ყოველთვის იქ ზის უკვე. ერთხელ ფანჯარი გამივარდა ხელიდან, დავიხარე და რას ვხედავ, ჭუჭრუტანაში, აღსავლის კარქვემოთ — დიდი ლანჩები ქუსლებით ზემოთ აშვერილები დგას. ერთი საათის შემდეგ ისევ გამივარდა ფანჯარი და ისევ შევიხედე ჭუჭრუტანაში. ლანჩები ისევ იმავე მდგომარეობაში დავინახე. მაშასადამე, ის იქ დაჩოქილი ლოცულობს...

ერთხელ მიტია იღუმენის სენაკში იყო. ჩვენსაზე ოდნავ მოწყობილი ყოფილა. მწვანე ფერდობის მხარეს ერთი ფანჯარა ჰქონია დატანებული. ფანჯრის ქვეშ მაგიდა უდგას. სკის ყუთებზე დაჭედებული განიერი ფიცრის საწოლი აქვს. კედელზეც ხის სკა არის მიჭედებული. წიგნის თაროს მაგივრობას ეწევა. აქვს წიგნების კარადა და ზედ ჩამოფარებულია სუდარა — ნიადაგ შესახსენებელი. წითელ კუთხეში, საწიგნეზე ღვთისმშობლის ნატიფად შესრულებული ხატი ჰკიდია. ხატის წინ ლამპარი ღუის. უფრო სადა და უფრო მკაცრი სენაკის წარმოდგენა შეუძლებელი იყო.

— ეს სენაკი ჩემთვის სამყაროზე ძვირფასია და ყოველივე იმაზეც, რასაც

მოიცავს სამყარო, — თქვა იღუმენმა, — აი, გარეშემო ვერანდას შემოვაშენებ, ყველაფრისაგან გავიმიჯნები. სტუმრები კი დაე გაისტუმრონ: იღუმენს სძინავსო.

მიტია ხმელი საწოლის კიდეზე ჩამომჯდარა, მამა მიქელი—კედელთან მიდგმულ დაბალ სკამზე. იმ სიმაღლე იყო, რომ თავს ძალას ატანდა, თანამოსაუბრისთვის ზემოდან ქვემოთ არ ეცქირა. ბიჭი კი ცდილობდა როგორმე წამოდგარიყო ანდა უფრო დაბალზე დამჯდარიყო, ფეხის წვერებზე ბალანსირებულიყო, კედელს მიყრდნობილი, და ქვემოდან ეცქირა მისთვის.

იღუმენი ბერობაზე ესაუბრებოდა. იმაზე, რომ ესაა სრულიად განსაკუთრებული მოწოდება.

— თუ კაცს გული მიუწევს მონასტრული ცხოვრებისაკენ, მაშასადამე, ღმერთი მოუწოდებს იმ კაცს. ბევრმა შეიძლება მღვდელთმთავრობასაც კი მიაღწიოს, ხოლო ჭეშმარიტი ბერობა ერთეულებს ხელეწიფებათ მხოლოდ. „დასახლდი სენაკში და იგი ბევრს გასწავლის", — ამბობენ წმინდანები. საჭიროა შეიყვარო ეს განმარტოება, სიწყნარე, ღრმა მონასტრული ცხოვრება—ეს არის სწორედ ცხოვრება რეალური და არა ის, რასაც დღეს ეძახიან ამ რიტუალს...

გარეთ რომ გამოვიდნენ, ბილიკზე მამა მიქელს გამოუხედავს მაღალი ოდისკენ: აი მაგარი ჯანმრთელობა რომ მქონდეს, ისეთი, უწინდელ ბატონებს რომ ჰქონდათ, და შემეძლოს სიცხისა და სიცივის ატანა, ბალახით საბრდოობა, საერთოდ წავიდოდი შორს, ძალიან შორს და იქ მარტოკა ვიცხოვრებდი.

მამა მიქელზე მიტია თვალებანთებული ყვება:

— ასე ამბობს: თუ შენ გაგაჩნია ქველმოქმედების მადლი და ამის შესახებ თუნდაც ერთი კაცი შეიტყობს, ღმერთის თვალში ის უკვე გაუფასურებულია, იმიტომ, რომ მის გამო შენ უკვე დაჯილდოებული ხარ აქ, დედამიწაზე. თუ კეთილი საქმე ჩაიდინე და ამის შესახებ უამბე ვისმე, ამაოდ ჩაგიდენია.

კიდევ ჩვენ ხშირად ვიგონებთ იმას, თუ რა უსახელოდ დამთავრდა მიტიას მაღვიძარა მორჩილად ყოფნა. მეორე დღეს არჩილმა გაგვაღვიძა. ჩვენმა მაღვიძარა საათმა ორმოცი წუთით დააგვიანა დარეკვა.

— თუ რამე კარგი მოგიმოქმედებია, უკეთესია, თუ სხვას მიაწერ იმას, — თქვა იღუმენმა, — და თუ ცუდი შეგემთხვა, მაშინ ჯობს, საკუთარი ბრალი ეძიო.

— აბა როგორ დავიბრალო ის, რომ საათი ჩამორჩა? — გაეცინა მიტიას.

— იქნებ დაქოქვა დაგავიწყდა?

მეორე დილით მაღვიძარა ისევ ორმოცი წუთით ჩამორჩა და მოზეიმე მიტიამ საათი იღუმენს წაუღო.

— თავს იმართლებ? საკუთარი სისწორე გინდა დამიმტკიცო? — თავი გადააქნია იღუმენმა. — უკვე ამიტომ აღარა ხარ მართალი.

მაღვიძარად ისევ არჩილი დადგა. იგი უსაათოდ გვაღვიძებდა.

ხოლო იღუმენმა გვიამბო ამბავი საკუთარი ცხოვრებიდან. ჭკუისასწავლებელი ამბავი იმის შესახებ, თუ რა სახიფათო რამაა სხვათა დადანაშაულება. ის თურმე მორჩილად მსახურობდა მონასტერში. სენაკის მეწყვილესთან ერთად საუცხოო ნაბდის ჩასაფენები გამოჭრა. მეზობელს ჩექმებში წყალი შესდიოდა და ზოგჯერ მამა მიქელს ეთხოვებოდა ხოლმე. ერთხელაც ჩაიცვა თურმე თავისი ჩექმები და შენიშნა, რომ საფენები დაპატარავებულიყო. „შენ რაო, — ჰკით-

ხა მეწყვილეს, — ჩასაგებები შემიცვალე"? „არაო, იუარა მეზობელმა, — მე არ შემიცვლია". „როგორ თუ არ შეგიცვლია? შეხედე შენ თვითონ, დიდრონი ჩასაფენები იყო, დაპატარავებულან. იქნება შენი ფეხის ზომაზე დააპატარავე?", „არაფერი არ შემომიჭრიაო", — მიუგო თურმე. მამა მიქელი სულ მთლად აღშფოთებულა: წელიწადია გვერდიგვერდ ცხოვრობენ და ასეთი წვრილმანის გამო ატყუებენ ერთმანეთს! გადაყარა ჩასაგებები და სხვები გამოჭრა. გაწვიმდა. ჩექმა წყალში დაუსველდა. კვირის თავზე, ჩასაფენებს ბატარეებზე რომ ამრობდა, ხედავს, დაპატარავებულან. მაშინ მიხვდა, რომ საფენები წვიმის წყალში დასველებულა და შემდგარა. ის კი ამის გულისთვის სულიერ ძმას წაეჩხუბა.

— ვისი ბრალია? — კითხულობს და ეშმაკურად ქირქილებს, — საფენებისა?

— საფენებისა, — მხიარულად უკრავს კვერს მიტია.

— მისტიკური აზრით,—განმარტავს იღუმენი,—ჩვენ ყველანი ერთმანეთის წინაშე დამნაშავენი ვართ, მაშინაც კი, როცა არავითარ ბრალს არა ვგრძნობთ. ღრმად რომ ჩავიხედოთ ჩვენს საკუთარ გულში, ბრალსაც აღმოვაჩენთ. ამიტომაც არის დაწესებული ეკლესიებში მიტევების კვირა, როცა ყველა ერთმანეთს სთხოვს მიტევებას. არის მონანიება. აღსარება, როდესაც ყველას მიეტევება ბრალი. წუთისოფელში კი ადამიანის ბრალი იზრდება, გროვდება, როგორც ელექტროობა ღრუბლებში და განიმუხტება ხოლმე კომუნალურ დონეზე — ჩხუბით, გლობალურზე — ომით.

იღუმენი სულ უფრო და უფრო ძლიერ ეუფლება მიტიას სულსა და გულს. ზოგჯერ ვეჭვიანობ მათზე, ვეჭვიანობ შვილის გამო. იქნებ იღუმენიც ოდნავ ეჭვიანობს მიტიას გამო ჩემზე, იმიტომ, რომ მე და მიტია ორნი ვართ, ისინი კი მარტო კაცები არიან. სიტყვა „მონაზონი" ხომ მოდის კიდეც ბერძნული სიტყვიდან „მონოს", რაც მარტოხელას ნიშნავს.

ერთხელ წყაროსთან ვიჯექი და მიტიამ წირვაზე დამიძახა. შემომხვდა კიდეც, ძალზე დარცხვენილი სახით.

— რატომ შენ თვითონ არ მოდიხარ? მოდი ხოლმე შენ თვითონ, თვალყური ადევნე დროს. თორემ გეძახი ხოლმე. მამა მიქელი ტაძრიდან გამომხედავს და მაჯავრებს: „ერთი ამას დამიხედეთ! დგას მონასტრის ეზოში ყმაწვილი მორჩილი არახჩინსა და ანაფორაში და ტირის: „დე-და-ა-ა!"

მიჩვეული ვარ, ჩემი ვაჟი ბიჭად მიმაჩნდეს. ახლა შევხედე და ვირწმუნე, რომ დაჭაბუკებულიყო. დღე დღეზე თექვსმეტისა ხდებოდა. არახჩინის სამგლოვიარო გუმბათდადგმული მაღალი ჩანდა. სახის ნაზი, სუფთა ნაკვთები გამოკვეთოდა, წარბები დამჩნეოდა... გარეშე თვალისთვის ყმაწვილი ბერი იყო, როცა ხევს გაღმა არჩილს შველოდა თივის ზვინის დადგმაში, ანდა ჩვენს ცხენს აბალახებდა.

ერთხელ იღუმენმა ნახევრად ხუმრობით მეც მითხრა:

— დროა, თქვენმა ვაჟმა საკუთარი გზით იაროს: დატოვეთ ჩვენთან. თვითონ კი წადით ქალთა მონასტერში; აქვეა, მცხეთასთან.

— მაგრამ თქვენ აკი ორივეს დაგვრთეთ აქ ცხოვრების ნება. რაღად გვართმევთ ახლა თქვენგანვე ნაბოძებს? ჯერ კიდევ ვჭირდები შვილს.

— შვილს დედა მუდამ სჭირდება. მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც სტოვებს მას.

— ჯობს, გვიან მოხდეს ეს... და იცით, ერთმა მწერალმა მითხრა, მან ბევრი

ცოლი გამოიცვალა, სულიერად ყველაზე მახლობელ ადამიანად ჩემთვის მუდამ დედა რჩებოდაო.

— ალბათ შეუძლია დედას იყოს ცოლზე ახლობელი. მაგრამ ღმერთზე ახლობელი კი არ უნდა იყოს. ასევე შვილიც — დედისთვის. „რომელსა უყუარდეს მამა ან დედა უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს. რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული თვისი უფროს ჩემს, იგი არა არს ჩემდა ღირს". აი, მე კი მეჩვენება, რომ ჯერჯერობით მიტია ღმერთზე მეტად გიყვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე, უბრალოდ, არ განვასხვავებ ამ ორ სიყვარულს.

— ჰოდა, მაგას გეუბნებით სწორედ. დროა, განასხვაოთ.

მე არ დავეთანხმე მას, მაგრამ ამ საუბრის შემდგომ ძალზე დავნაღვლიანდი.

ბენედიქტეს თავს რაღაც ხდება. მთვრალი ის აღარ გვინახავს, საერთოდ კი, უკანასკნელ დღეებში იშვიათად თუ შევხვდებოდით ხოლმე. მხოლოდ წირვაზე და ტრაპეზზე. თუ რომ ერთმანეთს ბილიკზე შევეყრებოდით, ნაბიჯით დაიხევდა უკან და უხმოდ გამატარებდა. ანდა მიმზერდა გამჭოლი, ცივი მზერით. მეჩვენებოდა, რომ მასა და იღუმენს შორისაც ჩაწვა გაუცხოების ჩრდილი.

ერთხელ მიტია ბენედიქტეს სენაკში შესულა: დაპირდა თურმე, ჯვარის გამოთლას გასწავლიო. დამსხდარან, უსაუბრიათ. პატრიარქის ანგელოზის დღისთვის დიაკვანი ხის პანაღიას თლიდა. დაბნეული სახით უსმენდა თურმე ბიჭს, მერე უთქვამს: „მაპატიე, დიმიტრი. ახლა მე ღვთისმშობლის მადლქვეშ ვიმყოფები, ხელს მიშლი". მიტია გასულა სენაკიდან. ბენედიქტემ მიაძახა: „უცებ რომ გამინაწყენდეს, შენ რომ დაგპირდი და არ შეგისრულე, და დამტოვოს?"

ჯვრებს ღვიისას, ვაშლის ხისას, ცაცხვის, მსხლის ხისას ჭრიდა. მსხლისას ზეთში თუ გამოხარშავ, კეთილშობილურ მუქყავისფერს შეიძენს. მინახავს პარამანული საბერო მონასტრული ჯვრები მსხლისა; ძველებურებს ჰგვანდნენ. ჩვენი ჩამოსელისთანავე შეგვპირდა ბენედიქტე მე და მიტიას, გამოგიჭრით ასეთებსო. გვიჩვენა საკმაოდ მოზრდილი ზომის ჯვრები, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ ქართული ასომთავრული მრგვლოვანი ასოები ამშვენებდა. ზოგჯერ იგი ბაცი ხისაგან გამოთლილ ჯვარცმას მუქი ხით შემოსალტავდა ხოლმე, ასე, რომ ერთი ჯვარი მეორეში იყო ჩასმული.

— რას უშვრებით ხოლმე ამათ? — ვკითხე.

— ფულს მიხდიან ხოლმე ამაში, ვისაც რამდენი სურს.

— მაინც რამდენს?

— ოცდაათსაც, ხუთასსაც.

საჩქაროდ გავაფრთხილე, რომ ჩვენთვის ჯვარი არ გამოეჭრა: ოცდაათის მიცემა ცოტა იქნებოდა, ხუთასის გადახდა კი ჩვენ არ შეგვეძლო. და ამას გარდა, ბენედიქტესაგან ასეთ ძვირფას საჩუქარზე პრეტენზიის გაცხადება არ მინდოდა.

ამას გარდა, ჯვარი, რომლის ყიდვაა შესაძლებელი, ჩემთვის თუ არ უფასურდებოდა, აღარც წმინდა იყო. მე და მიტიას ალბათ ძალზე გულუხვად გვასაჩუქრებდნენ ხოლმე. ყველაფერი აუცილებელი საჩუქრად მივიღე: ბიბლია, ახალი აღთქმა, ლოცვანი, ბრინჯაოს ჯვარცმა. ზედიზედ მოგვივიდა სამი ხატი: მხსნელისა, ღვთისმშობლისა და წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა. და ყველაფერს თავის დროზე ვიღებდით. ლოცვას შევუდექით და გვაჩუქეს ლოცვანი, დავიწყეთ წირვის შეთვისება, გააზრება ეკლესიური დღესასწაულის წლიური

ციკლისა — გვაჩუქეს ღმრთისმსახურების სამაგალითო წიგნი... ღმერთი გვიპოძებს პარამანულ საბერო ჯვარცმასაც, თუ რომ ოდესმე ღირს მყოფს ვატარო იგი.

ასე ორიოდე დღის შემდეგ ბენედიქტემ მაინც მოგვიტანა ტვიფრები და რამდენიმე მომცრო ხერხი. ტვიფრები ცარიელ სკამზე დაამაგრა ჩვენი სენაკის ახლოს და გაუცხოებული სახით ჩვენი თანდასწრებით რამდენიმე წუთში გამოთალა ჯვარი. მე და მიტიამაც მოვინდომეთ გვესინჯა: ხე ცალკე გვიხლტებოდა ხელიდან.

— ეს ქალის საქმე არაა, — არ მომიწონა ბენედიქტემ.

ასე გადამასხავდნენ ხოლმე ცივ წყალს ნებისმიერი ჩემი წამოწყებისას, ყმაწვილქალობაში ჭადრაკის გამო, ახლა — ღმრთისმსახურებისა.

— ნამეტანი ცნობისმოყვარე ხართ, — განაგრძობდა დიაკვანი იმავე ცივი კილოთი, გინდათ ყველაფერი გაიგოთ, ყველაფერი ისწავლოთ... სულიერი ცხოვრებისათვის უზომო აქტუალობა სასარგებლო არ არის: ევამ ცნობისმოყვარეობის გამო იგემა აღკვეთილი ხილი.

ამაში ალბათ იყო თავისებური სიმართლე.

ხოლო მეჩვენებოდა, რომ ამით როდი იყო იგი უკმაყოფილო.

იღუმენმა დიდი ხნის სურვილი შემისრულა და მიჩვენა, როგორ წნავდნენ კრიალოსანს.

მიტიამ იმთავითვე უარი განცხადა: ერთი ბურთულა რომ მოგექსოვა, ჩვიდმეტი ოპერაცია უნდა შეგესრულებინა. ხეტიშის ძაფი თითებზე უნდა შემოგვხვია და ლილკილო გამოგვნასკვა — ჯვარის სახედ, ღილკილო ღილკილოში უნდა გამოგეყვანა. მეჩვენებოდა, ყველაფერ ამის დამახსოვრება შეუძლებელიამეთქი.

— მე თვითონაც მეშლება ხოლმე დღემდის, — მითხრა მამა მიქელმა. თან ჩემს ხელისგულზე გაშლილ ძაფს მაკრატლით ასწორებდა. — მთელი კვირა ყველაფრის თავიდან ახსნა მომიწევს თქვენთვის... თვის თავზე კი კრიალოსანს თქვენი ხელით დაგვიწნავთ. შეხედე, დიმიტრი, დედაშენი შენზე ნიჭიერია, თუმცა მიაჩნია, რომ პირიქითაა საქმე.

მეშლებოდა და თავიდან ვიწყებდი. ეს რომ იღუმენის თვალწინ არ მექნა, შევთავაზე, ტექნოლოგიას ჩავიწერ-მეთქი. მან და მიტიამ გულიანად იცინეს.

— როგორ აღიწერება სიტყვიერად, მაგალითად, აი ეს ნასკვი? — მხიარულობდა მიტია.

— ნასკვს კი არ ჩავიწერ, არამედ — თანმიმდევრობას: ძაფი ორად უნდა მოტოლო, ბოლო უნდა გამონასკვო, მერე საჩვენებელ და შუა თითზე გადმოიტან და... — არ ვნებდებოდი.

„ტექნოლოგია“ მე მაინც ჩავიწერე. მერე ავითვისე კიდეც და მეორე დღესვე დავწანი კოიალოსანი, ასე გასინჯეთ, ქვემოთ ჯვარით და ფუნჯით, იმავე თეთრი სუტაშისაგან: შავი მონასტერში არ აღმოაჩნდათ. კრიალოსანი სრულყოფილი მეჩვენებოდა — ყველა ნასკვი თანაბარზომიერი იყო და გვერდიგვერდ დამჯდარი.

ეს ხელსაქმე ძალზე მომეწონა. რთული შრომა გაშორებს ღმერთს, ხოლო შარტივს — არა უშავს რა, — ასე ამბობენ წმინდა მამები.

მიტია მამა მიქელის მოსაყვანად გაიქცა.

— სამი ბურთულა მოქარგა და უკვე თავის მოწონება სწადია? — მიხვდა

იგი. მაგრამ როცა ჩემს ნახელავ კრიალოსანს დახედა, უკან მაინც არ დაიხია: — ყველაფერი გულიანად უნდა მოიმოქმედო. შენებისთვის კი არა, ღვთის სადიდებლად. სამჯერ მთხოვეთ, მესწავლებინა თქვენთვის ეს საქმე — აბა რას ჰგავს ეს? სურვილი შეიძლება ერთხელ გამოთქვა და მერე ყველაფერი ღვთის ნებას უნდა მიანდო. ჰოდა, კრიალოსანს ნშვიდად ქსოვენ, იესოს ლოცვაში, იმიტომ, რომ ესენი საწყისიდანვე კურთხეულნი არიან, ამ კრიალოსანში კი ჩაქსოვეთ თქვენი მგზნებარება და სიამაყე.

კრიალოსანი მაინც აკურთხა და იგი საჩუქრად გაუგზავნე მამა დავითს.

ჩარდახქვეშ ჩრდილში ვისხედით და ძველ ალბომს ვათვალიერებდით.

ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის წინ ჯვარზე ორი ბერი ყოფილა — ათონიდან იყვნენ ჩამოსულები — იოანე და გიორგი. მათგან აქ რაღაცები შემორჩენილიყო, ახლაც შეიძლებოდა მათ ხელით შეხებოდი. ამ ორსართულიან სახლში ცხოვრობდნენ. დაშლილი სკები იმათი საფუტკრისა იყო.

ირგვლივ მდელოზე გაფენილი ვაშლის ხეები — იმათი ხეხილის ბაღისა იყო.

ამ ზნესრულ მამებს, სიცოცხლის დასამხარს აღარ შეეძლოთ თავად გასძღოლოდნენ მეურნეობას. დადიოდა ხალხი მონასტერში ლოცვად და შველოდა მათ ვენახის დაკრეფასა და პურის გამოცხობაში.

— რითი განისაზღვრება ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის მდგომარეობა? — სვამს კითხვას მამა მიქელი და დასცქერის გამოხუნებულ ფოტოსურათს, — არა არქიელური წირვების ზარზეიმურობით, არა იმ მლოცველთა რაოდენობით, დღესასწაულზე რომ ანთებენ სანთლებს, იგი განისაზღვება მონასტრებით. და ისევ არა მათი სიმდიდრით, არა იმით, თუ რამდენი ბერია იქ დაყუდებული, არამედ იმით, თუ როგორები არიან ეს ბერები — როგორი სულიერი ცხოვრების ლირსნი.

გამოხუნებულ ფოტოსურათზე აღბეჭდილია მაღალი, თეთრწვერიანი ბერი — ნაქსოვ ქუდსა და ბრტყელშუშებიან სათვალეში — ეს მამა გიორგია. ძალზე გამხდარია. მოკლე ანაფორა აცვია და ზედ გრძელი, ნაქსოვი ჟილეტი, როგორც მამა მიქელს. ნახმარი ჩექმები. გაზაფხულის მზეს თვალებს უჭუტავს. ჩრგვალი სათვალე ცხვირისძვალზე გადახრია. მის გარშემო კი ღარიბი, ფოტოსურათის გადაღებას შეუჩვეველი ხალხია თავშეყრილი, მამაკაცები სამხედრო ჯაიდს ჩექმებსა და ფარაჯებში, დედაკაცები შუბლზე წაკრულ თავსაფრებში, წინა პლანზე მივიწყებული ფოცხი გდია.

აღარც მათი სახის გარჩევა შეიძლება და აღარც მათი ხმის გაგონება... ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ მის სახლში, ვილოცოთ მის ტაძარში, მაგრამ მის იდუმალებით მოცულ საკრალურ ცხოვრებაზე ველარაფერს შევიტყობთ.

— იყო ჩვენთან ბერომონახი გაბრიელი, — განაგრძობს იდუმენი, — მორჩილად მსახურობდა ჯვარზე უკანასკნელ წლებში, როცა იოანე მიიცვალა და გიორგი მარტო დარჩა. გაბრიელი ამბობს: „მონასტერი არსებობს, თუ მასში სუფევს სიყვარული. იყოს სულ ორად ორი ბერი და მათ შორის ქრისტიანული სიყვარული, ეს უკვე მონასტერია“. მაშინ ადამიანები უბრალოდ რიდი ივლიან აქ. ყველა ხე ნაყოფს გამოიღებს თავის დროზე, ჩვენ ყველანი მხოლოდ იმაზე უნდა ვზრუნავდეთ, რომ მცნებების მიხედვით ვიცხოვროთ და ვილოცოთ, ხოლო იმაზე, რათა მოგვენიჭოს საზრდო, იზრუნებს ღმერთი. მაგრამ განა აგრე ვცხოვრობთ?

— მერედა, არ გიამბობდათ გაბრიელი მამა გიორგიზე?

— კი. ამბობდა, ის იყო ერთადერთი წმინდანი, ვინც კი მინახავსო სასწაულებს ყვებოდნენ.

...სიცოცხლეში მამა გიორგი კრძალავდა ამის გახსენებას, ახლა კი შეიძლება. სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე მას ისე ძალიან ატკივდა გვერდი, რომ ადგომა აღარ შეეძლო... ჰოდა, წევს ერთხელ იგი [illegible] სენაკში და ლოცულობს და უცებ შედის მასთან ღვთისმშობელი, თან [illegible], მოციქულები. მან გაიფიქრა: „რა ცუდია, დედა ღვთისა მოვიდა, მე კი ადგომაც არ შემიძლია.“ ღვთისმშობელმა კი გაუღიმა და ხელი დაადო სატკივარზე. ბერი თითქოს ელვამ დადაღა — არასოდეს განუცდია ასეთი ტკივილი. ტკივილმა წამსვე გაუარა და აღარ განმეორებულა.

მეორე ფოტოსურათზე ორივე ბერი აივანზე ზის, ჩაის შეექცევიან, ჩვენსავით პურსა და თაფლს ატანენ.

იგი სიცოცხლეშივე სხვა სამყაროს მიეკუთვნებოდა. მას საკუთარი ნება კი არა, არამედ სულიწმინდა ღმერთი ამოძრავებდა. ამიტომაც ყველაფერი მშვენიერი ჰქონდა — სიტყვები, საქციელი... ერთხელაც მამა გაბრიელი თბილისს იყო, სამონასტრო საქმეებზე, და თქვა უეცრად, თითქოს ხმა შემომესმაო: „ჩქარა, დაბრუნდი ჯვარზე“. ფიქრობს, როგორ დავბრუნდე, როცა სამისოდ გამომგზავნეს, რომ ესა და ეს ვიყიდო, ესა და ეს ჩავიტანო, მე კი ჯერ ვერაფერი მოვასწარი. თვითონ კი ადგილს ვეღარ პოულობს. საითაც არ გაიხედავს, ყველა მხრიდან ეს ესმის: „წადი ჩქარა მონასტერში“. სირბილით დაადგა უკან დასაბრუნებელ გზას. ისიც კი აღარ წაუღია თან, რაც უკვე ნაყიდი ჰქონდა. ჩამოვიდა. მამა გიორგი კრიალოსნით ხელში საწოლში მწოლიარე დაუხვდა. ღია ფანჯრიდან ცას გასცქეროდა. გაბრიელი ფიქრობს: „რისთვის მოვედი? რა ვუთხრა?“ ის კი ეუბნება: „მადლობა ღმერთს, რომ ჩამოხვედი, მაშასადამე, შეისმინა ჩემი ლოცვა ღვთისმშობელმა. ხვალ წავალ...“ გაბრიელი ფიქრობს: „საით აპირებს წასვლას ასეთი ავადმყოფი? რა დარჩენია ქალაქში?“. „თბილისში კი არ მივდივარ, — ეუბნება მამა გიორგი, — სამუდამოდ მივდივარ თქვენგან... ხორცით. ჩემი სული კი სამუდამოდ აქ დარჩება“. გაბრიელს არ უნდოდა ამისი დაჯერება. მამა გიორგი ეუბნება: „დღეს მოემზადე. ხვალ კი წირვაზე მიიღებ აღსარებას და მაზიარებ“. დილითვე ეზიარა. სეფისკვერს შემთბარი ღვინო დააყოლა. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე იყო. სწორედ ამ დღეს აღკვეცეს მამა გიორგი სქემონად. გაბრიელი ეკითხება: „მოვამზადო რაიმე?“ „არა, — მიუგო, — მეტი აღარაფერი მესაჭიროებაო, წადი ახლა და დაისვენე“. გაბრიელმა ეს არ გაუგონა. იფიქრა, დასაძინებლად რომ წავიდე, იქნებ წყლის მიწოდება დასჭირდესო. მამა გიორგი იწვა წყნარად, ისევ ისე გაჰყურებდა ცას, ლოცულობდა და კრიალოსანს მარცვლიდა. და უეცრად გაბრიელს თითქოს ძილქუში დააწვა, უჩვეულო ძილმა წაიღო. არ იცის, რამდენ ხანს ეძინა მჯდომარეს, იქნებ სულ ხუთ წუთს! როცა გამოეღვიძა, გიორგი ისევ ისე იწვა, ხელში კრიალოსანი ეჭირა, მაგრამ სული გაყროდა უკვე... დიდი ხანი იყო, მონასტერში აღარავინ შოსულა. ამ დროს კი ორი რუსი შემოვიდა. ერთად აუგეს წესი. ერთად გაუთხარეს სამარე. ფიჭვქვეშ დამარხეს, მთავარი ტაძრის საკურთხევლის ნაწილში, მამა გიორგის საფლავის გვერდით.

აქ დღემდის გვერდიგვერდ ძევს გრანიტის ორი საფლავის ფილა. მათ

ქვეშ განისვენებს საქართველოში ათონიდან ჩამოსული ორი უკანასკნელი ბერის ნეშტი.

მონასტერი კი მათი სულით ცხოვრობს. მათგან არის ეს მკაცრი, ღარიბული, სავანისებური შინაგანაწესი, ათონის საუკუნოებრივი ტრადიციებით წმინდაქმნილი.

— წმინდა ბერებმა ხშირად უწყიან საკუთარი სიკვდილის ჟამი, — ამბობს ილუმენი. — ამ დროს ზოგჯერ ისინი ღირსნი ხდებიან ზენარ გამოცხადებათა ან გარდაიქმნებიან სულსა შინა. ამიტომაც არ ინდომა მამა გიორგიმ, რომ გაბრიელი მოწამე ყოფილიყო მისი უკანასკნელი წუთებისა, მე ასე ვფიქრობ.

მამა მიქელს უყვარს ამბავი წმინდა მაკარი მეგვიპტელისა, ვინც მთელი სიცოცხლე ებრძოდა ეშმაკეულთ და არაფერი დაუთმია მათთვის. და აი, მიცვალა იგი. ცალი ფეხი შედგა სამოთხის ზღურბლზე. მაშინ ეშმაკებმა ტაში შემოკრეს და იყვირეს: „დიდება შენდა, მაკარი დიდო! შენ გვაჯობე!“ წმინდა მამა მოუბრუნდათ მათ და თქვა: „ჯერ არა!“ და გადააბიჯა ზღურბლს. ყოველ საათს, ყოველ წამს მიმდინარეობს ბრძოლა ადამიანის სულისათვის. შეიძლება უკანასკნელ წუთს დაკარგო ყველაფერი.

— აი, მოხვედით აქ და იგრძენით, რომ ეს ადგილი განსაკუთრებულია, ჰაერში მადლია დალვრილი... ისიც მართალია, რომ ბევრი ვერაფერს აღიქვამს. როცა მორჩილად ვმსახურობდი, ილუმენს უყვარდა ამისი გამეორება, რომ უკანასკნელ ხანს მომრავლდება ისეთი ხალხი, რომლებიც თითქოს ხის ფისით არიან გაჟღენთილები, შეუღწევადი არიან მადლისთვის... ფისით, სპირტით, ყალბი მიწიერი სიბრძნით, უბრალოდ, სიცრუით — სულ ერთია, რამეთუ ეშმაკი ცრუა და სიცრუის მამაა და კაცთა მკვლელიც. ხოლო ეს ამჟამინდელი ტყუილით შეცული ყოფა სიკვდილზე ნაადრევი სიკვდილი გახლავთ. ჩვენი წმინდა მამები ახლაც გვშველიან ჩვენ თავიანთი მადლშემოსილი ლოცვით.

— ამიტომაც თქვით არა, აქ არ შეიძლება ცუდი რამ მოხდესო?

— მე ასე მჯერა.

იქნებ, როცა ნონა ცუდად შეიქნა, მამა მიქელმა მაშინაც ილოცა წმინდა მამების საფლავებზე? ალბათ იმიტომაც ქალს მალე ჩაეძინა, მთელ ღამეს მშვიდად იძინა და დილით ჯანმრთელი ადგა. მას შემდეგ ელისთან ერთად ხშირად მოდის ხოლმე მწუხრის წირვაზე. ღია კარებში დგანან, ზღურბლს არ გადმოაბიჯებენ ხოლმე. შარვლები აცვიათ, თავზე არაფერი ახურავთ, — მაგრამ წირვას ბოლომდე ესწრებიან.

— ორი წლის წინ მამა გაბრიელი მოვიდა, მაშინ, როცა ის იყო, ფუტკარი აიყარა. გვითხრა: „დამაცადეთ, იქნებ მე გიშველოთ“. რითი გინდა უშველო ამ საქმეს? არასოდეს გინახავთ, როგორ გამოფრინდება ხოლმე სკებიდან ფუტკრების გუნდი? შავი ქარაშოტი — ბზ-ბზ-ბზ-ბზ! — საშინელებაა... არავითარ ძალას არ ხელეწიფება მათი უკანვე სკაში შერეკვა. არ ყოფილა ამისი შემთხვევა, რომ აყრილი ფუტკარი სკაში მებრუნებულიყო. წავიდა მამა გაბრიელი და მოილოცა საფლავები. ვხედავთ ისევ ის — ბზ-ბზ-ბზ-ბზ! — ცოცხალი ქარაშოტი სკაში მებრუნდა.

— თვითონ მამა გაბრიელს თუ მოეცხო რაიმე იმ წმინდა მამებისა, კარგი ბერია?

— ცუდები ვართ თუ კარგები, ამისი თქმის უფლება არავისა აქვს. იმიტომ, რომ ადამიანი ხედავს სახეს, სულისა კი ერთმა ღმერთმა იცის. გაბრიელი ამბობს: „თუკი მე და შენ, ღმერთზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ჩვენ შორის

არ სუფევს სიყვარული, ყველა ჩვენი სიტყვა — ლიტონი ბგერაა". მე მგონია, გაბრიელისთვის რომც ეცემათ, მაშინაც სიყვარულს გამოასხივებდა იგი.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში მამა მიქელმა ათ დღეს დაპყო ათონზე, იქიდან ჩამოიტანა თავისი ბრტყელი ჯუნკული, ბერძნული ანაფორა — რომელსაც თუ გაშლიდი, ჯვარი გამოდიოდა, — მალის ძაფის კრიალოსანი, დიდი ჯვარით და ფუნჯით, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა წმინდა წყლის სხურების დროს. ჩამოჰყვა ჩვეულებრივ, არ ეტანებინა ჯვარი ღმერთის მსახურების დროსაც კი. სამაგიეროდ, პარამანულს ახლაც ატარებს, ანაფორის ზემოდან. ალბათ ათონზე მიღებული წესისამებრ, არავის რთავდა ნებას, კურთხევისას ხელზე ეკოცნათ, მისთვის. უფრო ხშირად პირჯვარსაც აღარ გარდასახავს ხოლმე კურთხევისათვის მოახლებულს, არამედ უბრალოდ ამბობს: „ღმერთი გაკურთხებთ". მაგრამ ყველა ეს გარეგანი ნიშნებია. ლოცვით ალსავსე იღუმენის ცხოვრება დაფარულია ჩვენი თვალისთვის ისევე ღრმად, როგორადაც წმინდა მამების სულიერი ცხოვრება.

როდესმე, რამდენიმე წლის შემდგომ, როცა აღორძინდება, მომძლავრდება ჯვრის მონასტერი, მამა მიქელს სწადია სამუდამოდ წავიდეს ათონზე, ივერიის ჯვრის მონასტერში.

— კარგია იქ... — ამბობს ფიქრიანად და მის სახეს ეფინება განყენებული გამომეტყველება, თითქოს იგი უკვე იქედან, ათონის სივრციდან იმზირებოდეს.

როცა ათონიდან საქართველოში ჩამოვიდნენ მამები, პატრიარქმა ნამა დავითს დაავალა დახვედროდა მათ. იმან კი, რაღა თქმა უნდა, ისინი ჯვარზე ამოიყვანა.

შემონახულია რამდენიმე ფოტოსურათი, რომლებზეც აღუბეჭდავთ ეს ვიზიტი. აი, მამები დგანან ჯვარის პორტალთან, მოჩუქურთმებულ ჯვარქვეშ. დიდ ჯგუფში ადვილი ამოსაცნობნი არიან — არახჩინები ჰხურავთ: ორი ხანში შესულია, მაგრამ ძვალმსხვილი და მაგრები, სახის მსხვილი ნაკვთებითა და თეთრი წვერით ერთმანეთს ჰგვანან. მესამე ძალზე ახალგაზრდაა. ვიწრო ჩარჩოში ჩასმული სათვალე უკეთია, პირხმელია. წინა პლანზე ჩაცუცქულან მამა დავითი და მისი ძმა გიორგი. მეორე ფოტოზე მამა მიქელი და ათონელი ბერები სუფრას უსხედან, ჩვენს სატრაპეზოში, ოღონდ მაგიდა უხვად არის გაწყობილი საუზმეულით და ღვინის ბოთლებით. ყვავილების გვირგვინის მოყვანილობის შანდლებში ყელყელაობენ ანთებული კელაპტრები. და მამა მიქელსაც სახის გამომეტყველება განშორებული, ჩაღრმავებული აქვს, ისეთი, ათონზე ლაპარაკისას რომ ადევს.

მიტიამ ფოტოსურათი სახსოვრად ითხოვა.

— წაიღეთ, თუნდაც სუყველა, — ხელი ჩაიქნია მამა მიქელმა.

გაგვეხარდა და შევარჩიეთ რამდენიმე. ერთი — სუფრასთან, ორი ჯგუფური, ათონელ ბერებთან ერთად და კიდევ სხვაც. — მამა ილარიონის, რომელიც არასოდეს გვინახავს. კიდევ იღუმენისა, ბენედიქტესი და ნეტარად მოლიმარი არჩილისა, რომელთა ნახვა ჩვენთვის მუდამ სასურველი იყო, სამიც ბეიზაჟური. ჯვარი — ბახლობელი და შორეული პლანით.

ჩემი ცხოვრების საუკეთესო წუთებში ფოტოსურათებს ხავსივით ვეკიდები, ისევე, როგორც ნებისმიერ წვრილმანს, რომელიც შეიძლება შემოინახო და ურომლისოდაც ძნელი დასაჯერებელია, რომ იყო ის დღეები. თუმცა კი დიდი ხნის ჩავლილია ახლა.

— ჩვენც გამოგიგზავნით რაიმეს სახსოვრად, — შეპირდა მიტია.

— სახსოვრად? ბერებს? არ გინდა. — მამა მიქელს ჩაეცინა. შემომხედა. — ჩვენ შევეცდებით, თქვენი გამგზავრებიდან მეორე დღესვე დაგივიწყოთ.

ჯვარით მოგვრილი ჩემი სიხარული უკვე ალარ იყო ისეთი ნათელი, როგორც პირველ დღეებში. მას ნისლავდა შეშფოთება, წინათგრძნობა, რომ ეს დიდი ხნით არაფრის გადადება არ შეიძლებოდა.

ხშირად შევდიოდი დიდ ტაძარში, რომ გული მეჯერებინა ფრესკების ცქერით, რათა დიდი ხანს დამხსომებოდა.

დამრეც ფიცრებზე დაჭედებული საფეხურებით ავდიოდი დასავლეთ კედლის ქვედა ფიცარნაგზე, სადაც სამოთხის კარებში ჩამდგარიყო წითელფრთებიანი ანგელოზი. ფერები ცუდად შენახულიყო. ჩამქრალიყო. ოღონდ ჯერ კიდევ მოციმციმებდა ლურჯი-ლურჯი მდინარე, მისი შემოგარენი თვალისთვის უხილავ ფოთლებს დაეჩრდილა.

ოდნავ მოშორებით წარღვნას გადარჩენილი მართალი ნოე ალთქმის კაშკაშა ცისარტყელის რკალქვეშ იდგა მხეცებითა და ფრინველებით გარსშემოჯარული.

ფრესკებზე შეიძლებოდა თვალი მიგედევნებინა, თუ როგორ მაღლდებოდა ადამიანი ღმერთამდე რწმენით და სიყვარულით და როგორ მდაბლდებოდა ღმერთი ადამიანამდე. იმას, რაც ურწმუნობით დაკარგა ადამმა, ღმერთის რჩეულნი ადამიანს უბრუნებდნენ თავდადებული რწმენით. ასეთნაირად ირწმუნა აბრაამმა ღმერთის მოწოდება, ჩასახლებულიყო ალთქმულ ქვეყანაში და ისე წავიდა, გზაც არ იცოდა. ასე იყო მზად იგი ღმერთისთვის შეეწირა სიბერის პირმშო — ალთქმული თესლი — ისააკი — ერთადერთი შვილი. ელვის ბრწყინვალებასა და მეხთატეხაში სინას აკვამლებულ მიწაზე ციდან გარდამოვიდა ღმერთი, რათა მოსესთვის გადაეცა მცნებანი, ისააკის შთამომავალთ რომ ერწმუნათ.

მეწამულ მსუბუქ სამოსელში გამოწყობილი მეფე დავითი ცხენს დააგელვებს კარვის წინ; სიყვარულის ცეცხლოვანი ქარაშოტით და დიდების მოზეიმე ჰიმნით იგი მიწის ზემოთ არის ატაცებული. მის სამოსელს ქარი აფრიალებს.

აქედან, გადავაბიჯებდი თუ არა ღობეს ფიცარნაგის ბილიკებს შორის საკურთხევლის ნაწილში აღმოვჩნდებოდი ხოლმე. ვუმზერდი, როგორ იღებდნენ წინასწარმეტყველთა უზარმაზარი ფიგურების ასლებს წმინდად თავგადაპარსული გურამი და მისი თანაშემწე შალვა, კალკის გრძელ ჩამონაჭრებს ლეიკოპლასტირით ამაგრებდნენ კედელზე, ფიგურის კონტურებს ფერადი ტუშით შემოხაზავდნენ. ის, რაც მჭრელი იყო და კედელს ნახევრადწაშლილ ლაქად შემორჩენოდა, იძენდა პლასტიკურობას და გრაფიკულ სიმკვეთრეს.

ცხრა წინასწარმეტყველს, ძველი ალთქმის რწმენის მძლავრ ბურჯებს, ეჭირათ აბსიდის თაღი საკურთხევლის ზემოთ. ესაია, იერემია და ეზეკიელი დგანან თავიანთ გამოცხადებათა გრაგნილებით. გამოცხადებებით ღმერთისა — სასჯელის მიმგები მსაჯულისა და მიმტევებელი მამისა. მჭამელი ცეცხლისა ეკიდეგანო სიყვარულით წმიდა და მიუწვდომელ ნათელში დავანებული ღმერთისა; და ყველა მათიეული გამოცხადება გარდასახავდა ღმერთშემოსილების უდიადეს საიდუმლოს, იესო ქრისტეს — ღმერთის ძის საიდუმლოს.

ჩრდილოეთი კედლის ზედა ნაწილი კი მაცხოვრის მთელ მიწიერ ცხოვრებას იტევდა. აქ ტაძრის მოცულობა ვიწროვდებოდა და ბრტყელ ნიშში ორი სარკმელი იყო გამოჭრილი. ამ ვიწრო სიბრტყით იყო სწორედ ნაკარნახევი ფრესკების ვერტიკალური კომპოზიციები. სამმა მათგანმა გამაოგნა.

ერთ-ერთ მათგანზე ქრისტე ფეხებს ბანს მოციქულებს. სულ ახლახანს მოწაფეები დავობდნენ შესახებ იმისა, თუ მათ შორის ვინ უფრო მაღლა იდგება მაცხოვრის საუფლოში. და აი, აქ სხედან ისინი ერთი მეორის გვერდიგვერდ, ზემოთ აწვდილი ოვალის ორსავე მხარეზე, თითოეული საკუთარ მაღალზურგიან სკამზე. ხოლო იგი, მათი ღმერთი და მოძღვარი, ვიდრე განეშორებოდა მათ, უტოვებს მათ ხატს ჭეშმარიტი სიყვარულისას — ბოროტისის მსახურებაში თვითდამდაბლებისა. წელზე პირსახოცშემოკრულმა, ხელში ლაგანი ეჭირა, ის დგას, დახრილი პეტრეს ფეხებთან—პატარა ფიგურა ფრესკაზე ქვედა კუთხეში.

ასე განჭვრიტა ფერმწერმა ღმერთის ადამიანამდე დამდაბლების საიდუმლო.

ფრესკები ქვემოდან ზემოთაა განლაგებული, და ბაგაში დაბადება იყო დასაწყისი ჯვარცმის გზისა, გოლგოთაზე ამაღლებისა, ხოლო ჯვარცმა — მისი მწვერვალია. იმიტომ, რომ ღმერთის მოსვლა ადამიანად იქცა თვით განსაზღვრებად მარადიულის, ყოვლისშემძლისა და უსასრულისა დროებითში, სუსტში, ხორციელში. ხოლო ეს ნებაყოფლობითი თვითგვემა შემდგომ სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა ჯვარი, ტანჯვა უსასრულისა სასრულში — მსხვერპლად შეწირვით სიკვდილამდე, უნაპირო თავგანწირვამდე და უკანასკნელ სატანჯველამდე.

„საიდუმლო სერობა“ კომპოზიციურად იმეორებს იმავე ვერტიკალურ ოვალს: მაგიდის გარშემო მსხდარი მოწაფეები. მის თავში ქრისტეს წელამდე ფიგურა — ამჟამად ოვალის მწვერვალზე. მაცხოვარი კეტავს მოციქულთა დასს, ოღონდ ის ახლა უკვე შესამჩნევად ამაღლებულა მათზე. ამ რიტუალურ ტრაპეზზე ძველთაძველ ღვთისმსახურებაზე იგი გარდატეხავს და აკურთხებს პურს, როგორაც აღესრულებოდა ეს მის მოსვლამდეც. ხოლო ღმრთისადმი მადლობას, ლოცვებს დაურთავს ახალი აღთქმის სიტყვებს: „და მოიღო პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ხორცი ჩემი თქუენთვის მოცემული, ამას ყოფდეთ მოსახსენებლად ჩემდა“ და წმიდა ტრაპეზის ძველი რიტუალი, იქცევა პირველ ევქარისტად (წმიდა ზიარებად).

„გეთსამანია“ ვნების ციკლის მესამე საუცხოო ფრესკაა. ქვემოთ მძიმე ნაღვლისაგან მძინარენი — მოწაფეები; ზურგით კედელს მიყრდნობილები ისინი მჭიდრო ჯგუფად შემჭიდროვებულან. თავი მკერდამდე დაუხრიათ ან და ერთმანეთისთვის მიუყრდნიათ მკერდზე. ხოლო მათ ზემოთ, პირობითად მონიშნულ გეთსამანიის ბაღში — მუხლმოდრეკილი ეული ქრისტეს პატარა, მოწაფეების სიმაღლის ფიგურა მუქ ქიტონში. თავი მიწამდე აქვს დახრილი.

ქრისტე პროფილშია დაწერილი. თვალი კი, როგორც ძველ აღმოსავლურ რელიეფებზე, მთელი სისავსით არის ამოწერილი. დაგრძელებული, გუგის შავწერტილიანი, მთელ ფრესკაზე ერთადერთი მზირალი თვალი: „და ჰრქუა მათ: მწუხარე, არს სული ჩემი, ვიდრე სიკუდილამდე“. „დადეგით აქა და იღვიძებდეთ“.

მე უკვე აღარსად შემიძლია წასვლა მისი ამ მზერისაგან. მაგრამ ჯერ არ ძალმიძს დგომა მასთან ერთად.

მიტიას თექვსმეტი წელი შეუსრულდა. დილით, როდესაც მივულოცე, ნაღვლიანად ვფიქრობდი, რომ ჯვარზე გატარებული მთელი ამ დღეების მანძილზე ყველაფრისათვის, რაც მას ახლა ეძლევა, ადრე თუ გვიან დიდი საზღაურის გარდახდა მოუწევს საკუთარ ჯვარცმის გზაზე და მაინც ვუსურვე ის, რაც თვითონ სურდა — მღვდელი გამხდარიყო.

„მერედა, როგორი უნდა იყოს სასულიერო პირი?“ — სვამდა კითხვას ერთი რუსი აქიმანდრიტი სამღვდელო ღვთისმეტყველების ლექციაზე და თვითონვე უპასუხებდა: „სასულიერო წოდება უნდა იყოს სულიერი, მღვდლობა — წმინდა“.

ცისკრის ლოცვის შემდეგ თვალებგასხივოსნებულმა არჩილმა მიტიას ქართულად წაუკითხა ლექსი, რომელიც მისი დაბადების დღის აღსანიშნავად დაწერა სიუხვისაგან თავისი გულისა. მიტიას ამოცანას შეადგენდა ის, რომ უნდა ეთარგმნა ლექსი, — ჯერჯერობით კი მხოლოდ ერთი სიტყვა გავიგეთ, რომელიც მეორდებოდა: „ილია“, „ილია“, ალბათ არჩილმა მიტიას უსურვა, მიემსგავსეო წინასწარმეტყველ ილიას, რომელიც გზავნიდა დედამიწაზე დარსა და წვიმას, ჩამოჰქონდა ზეცით ცეცხლი, ფერფლად აქცევდა ცრუწინასწარმეტყველთ, ბოლოს ცეცხლის ეტლით ცოცხლად იქნა ატაცებული ზეცად. მაგრამ ალბათ უფრო, როგორც ჰეშმარიტ ქართველს, არჩილს ეწადა, რომ მიტია დამსგავსებოდა უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორეს. ჩვენ აგრეც ვერ განვიმარტეთ ეს. ბენედიქტე დამცინავად გვიხსნიდა, უხეირო ლექსიაო, სულელურიო, უსიამოო, იღუმენის ლოცვა-კურთხევის გარეშეა დაწერილიო; ესეც არ იყოს, ბერები დაბადების დღეებს არ იხდიანო, და ფურცელი ჩამოგვართვა. არჩილი დამნაშავის ღიმილით იღიმებოდა, მაგრამ როცა ბენედიქტე წავიდა, მიტიას მიუტანა სამი გაშალაშინებული ფირფიტა, რომელთაგან შეიძლებოდა ჯვრების გამოთლა და ზედ გასაწელი წინდებიც მოაყოლა. ის აჩუქებდა ყველაფერს, რაც კი გააჩნდა, მაგრამ ამის მეტი არჩილს არაფერი ჰქონდა.

მალე ჩვენი სენაკისაკენ მიმავალ ბილიკზე გამოჩნდა გიორგი. საგზალ ხელჩანთა მოჰქონდა. ჩანთა სავსე იყო ნამცხვრებითა და ტკბილი ღვეზლებით, რომლებიც დეიდა დოდოს მიტიასა და საძმოსთვის დაეცხო.

სენაკში სამნი შევეფცეოდით ჩაის. გიორგის წვერი მოეპარსა და მისი გაახალგაზრდავებული პირისახე კმაყოფილებას გამოხატავდა, ხოლო მის საკუთარ სახლში რომ შევხვდით, მაშინ ოდნავ გუნებაწამხდარი ჩანდა.

— რაიმე კარგი თუ მოხდა? — შევეკითხე.

— მოხდა... — თავი დამიქნია მან. — სამუშაოდ საპატრიარქოში გადავედი.

აი ასე ხდება ეს. მეხუთე წელია ვფიქრობ, გამუდმებით ვლაპარაკობ ამაზე, მაგრამ იმავე ადგილზე ვრჩები — ორ სკამს შუა. რა შეუძლია ქალს ეკლესიაში? იმღეროს გუნდში და დაანთოს სანთლები. ეს კი ერთი კვირის წინ კინოკრიტიკოსი იყო — ახლა ექსპედიციისათვის ემზადებოდა მეგობარ-ისტორიკოსთან ერთად, რომელიც საპატრიარქოში შარშან გადავიდა, შემოიცვლის საქართველოს ყველა ტაძარსა და მონასტერს, მოქმედთაც და მიტოვებულთაც და შეადგენს მათ დაწვრილებით აღწერილობას. მოგზაურობდნენ ცხენებით, კარვებით აღჭურვილები, ანდა მანქანით, დაბოლოს — ფეხით, სად როგორ მოეხერხებათ. ჩვენ ყველამ გავიხარეთ გიორგისთან ერთად.

გიორგი — მამა მიქელის სულიერი შვილია და მისი ბედის ეს ცვლილება, რალა თქმა უნდა, იღუმენის კურთხევით მოხდა.

— მაგრამ არც თქვენს ჩამოსვლას ჩაუვლია უკვალოდ, — შემომღიმა გიორგიმ.

გიორგისთან ერთად ჯვარზე რამდენიმე ახალგაზრდა კაციც გაჩნდა და მამა მიქელი ტაძართან, ფიჭვქვეშ მდელობზე იჯდა მათ შორის, ვითარცა მო-

ციქული მოწაფეთა წრეში. ოღონდაც მოწაფეებს სეზონის მიხედვით მოდაზე ეცვათ, მამა მიქელი კი განუყრელ ანაფორასა, ჟალეტსა და ჩექმებში იყო. ისევ ის მოთხილამურის გვერდზე მოქცეული ქუდი ამშვენებდა მის მაღალ შუბლს. ამინდი და სწრაფად მსრბოლი დრო ვერ უფლებდნენ ბაბა მიქელზე.

ტაძრიდან ფისგარმონიის ხმები ისმოდა.

გუშინწინ მიტია გვიან დაბრუნდა სენაკში, აღელვებული იყო. მიამბო, როგორ ბჭობდნენ ის და იღუმენი სატრაპეზოში იმის თაობაზე, თუ რა შეიძლებოდა ეჩუქებინათ პატრიარქისთვის მისი ანგელოზის დღისათვის, მონასტრის სახელით.

— ბენედიქტე პანალიას კვეთავს... ჩვენ რა მოვიფიქროთ? აი, შენ, დიმიტრი, გინდა აჩუქო რამე?

— მე? — გაეცინა მიტიას, — რომ არაფერი გამაჩნია მისი საკადრისი!

— შენ შეგიძლია, მაგალითად, მუსიკა დაწერო მისთვის?

— არ ვიცი.

— მოგეწონა პატრიარქი? — მიკერძოებით ჩაეძია იღუმენი, — როცა ნახე?

— ძალიან მომეწონა, — გულწრფელად გამოტყდა მიტია, — ასე მომეჩვენა, რომ ცოცხალი მაკურთხებელი ვნახე.

— კარგად მოგჩვენებია.

მამა მიქელმა კარადიდან ჟურნალი „ჯვარი ვაზისა" გადმოიღო. გამოქექა ერთი მთავარეპისკოპოსის მიერ პატრიარქისადმი მიძღვნილი ლექსები: „შენი სიცოცხლით ხარობს ერი, რამეთუ წაუძეხ მას ქრისტეს გზით".

— სცადე მუსიკის დაწერა ამ ლექსზე — ოღონდ საჭიროა ამქვეყნად სხვა ყველაფერი დაივიწყო, არ დაუშვა პატივმოყვრული ზრახვები. თუ შენ იფიქრებ: ვაჰ, ვაჰ, რა ნიჭიერი ბიჭი ვარ, ვზივარ და ჰიმნსა ვთხზავ... რას გავაოცებ სუყველას!" — მაშინ ჯობს, სულ არ დაწერო. მაგრამ თუ ყურთ ჩაგესმის მუსიკა, რომელიც ამ სიტყვებს მიესადაგება — არ ვიცი, სად ჩაგესმის ის შენ: გულში, ჰაერში, — დე მთელ სხეულში დაგიაროს მან და გამოვიდეს შენგან, როგორც ის, რაც შენ არ გეკუთვნის... ჩვენ ყველაფერი უნდა ვაკეთოთ ღმერთისთვის, ღმერთის სადიდებლად, უნდა ვიცოცხლოთ საქმით და არა ნაყოფის მომკის ლოდინით. ხოლო თუ როგორ ნაყოფს მოვიმკით, მეავეს თუ ტკბილს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს განზრახვაზე როდი ჰკიდია. ადამიანი მხოლოდ წერს, სთესს, ხოლო ნაყოფი ღვთის ნებით მწიფს.

მთელ გუშინდელ დღეს მიტია ფისგარმონიას უჯდა. ყურები გამოუჭედა რესტავრატორებს, ზედა იარუსზე რომ მუშაობდნენ. საღამოსთვის დაამთავრა ჰიმნი მამაკაცთა ექვსხმიანი გუნდისთვის.

ახლა ბიჭი ელოდა, როდის განთავისუფლდებოდა იღუმენი, რომ მისთვის მოესმინა. მიტიას სასიხარულოდ იღუმენმა ძალიან მოუწონა ჰიმნი.

— საკვირველია, რომ ქართული გამოგივიდა. მეშინოდა, რომ შენ ისეთ რასმე შეთხზავდი... პომპეზურ-იტალიურს. როდის მოასწარი მუსიკაში ქართული სულის შეგრძნება?

ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე ერთი ხუთჯერ დაესწარით წირვას კათედრალური პატრიარქი წირავდა. არასოდეს გვსმენია სიონის მამაკაცთა გუნდის მსგავსი რამ, რომელიც ძველ საეკლესიო ჰიმნებს გალობდა. მათ სხვებში ვერაფრით აურევდით, შეუძლებელი იყო მათი მიბაძვა.

პატრიარქისთვის უნდა მიელოცათ საკვირაო მწუხრის წირვაზე სიონის ტაძარში; რჩებოდა კიდევ ღამე — ნოტების გადასაწერად.

გვიან, ტრაპეზამდე სტუმრებთან ერთად და მას შემდეგაც მიტია და ბენედიქტე გულმოდგინედ წერდნენ. მაგიდაზე გაშლილი იყო ნოტების ფურცლები. ბენედიქტემ ტექსტი მრგვალი ლამაზი შრიფტით დაწერა, ყდაზე კი ტუშით დახატა ძველი ბოლნისის ჯვარი.

მწუხრის ლოცვა მეათე საათზე დაიწყეს, როცა ყველა სტუმარი გაეცალეს. მიტია არ გაჰყოლია მათ, რადგან დილით უნდა ვზიარებულიყავით. აქამდე ჩვეულებრივ ერთად ვეზიარებოდით ხოლმე.

რარიგად გარდაისახება ხოლმე ჩვენი პატარა ბაზილიკა მწუხრის წირვაზე. მთელი კვირა ელი იმ წუთებს, როცა მუყაოს დაბალ, ბუტაფორიის მსგავს აღსავლის კარიბჭის ქვეშ, ჭრილში მამა მიქელის თავი გამოჩნდება. მერე გაინახვნება კარიბჭის ბჭენი და დაინახავ საკურთხეველს მის სიღარიბესა და სიკაშკაშეში.

კუთხეშეტეხილი მაღალი სარკმლის შუშის მიღმა უკვე ღამე დგას. გაცვეთილ ფილონსა და ოლარში გამოწყობილი იღუმენი ჯვარის სახედ აკმევს საკმეველს საკურთხეველში. მოცისფრო-მოყავისფრო სამსხვერპლო კვამლი ირხევა და ტაძარში საკმევლის სურნელი იღვრება, საკურთხეველი ისე ვიწროა, რომ განიერი ფილონით შემოსილი იღუმენის ფიგურა ძლივძლივობით ეტევა კარიბჭესა და საკურთხეველს შორის. მაგრამ აი, ის ნაბიჯით იხევს უკან, რათა უკმიოს სამსხვერპლოს და შენ თვალწინ გადაიშლება საკურთხეველი.

შემაღლებული ადგილი სულაც არ არის. საკურთხევლის მაგივრობას სწევს კედლის ქვის შვერილი, რომელზეც ვერცხლის სირმით ნაქარგი წითელი დაფარნა აფარია. ანთებულია შვიდსანთლიანი შანდლები, ყვითლად ღუის ლამპიონები, კედლებზე კიდევ ორი კელაპტარი ანთია. ნახევრადბნელ ტაძარში საკურთხეველის ეს ნათება ძალზე კაშკაშა ჩანს, — დევს წყვილი საკურთხეველის ჯვარი და მათ შორის ნატვიფრი ტყავის ყდაში ჩასმული ახალი აღთქმა.

— „დიდება წმიდასა ერთარსსა, ცხოვლისმყოფელსა და განუყოფელსა სამებასა"... — ხმადაბლა შეაწევს იღუმენი საწყის ლოცვას.

სამონასტრო გუნდი — მამა ბენედიქტე, ძველ ანაფორაში შავ ტოგასავით გამოხვეული, არჩილი და მღვდლის ქვესაცმლიანი მიტია ეხმიანება საწიგნედან:

— მოვედით თაყვანი ვსცეთ მეუფესა ჩუენსა ღმერთსა, მოვედით თაყვანის ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მიტია ხუცურით კითხულობს პირველდაწყებით ფსალმუნს, რომელიც ადიდებს ღმერთს, სიბრძნით შემქმნელს ამ საუცხოო სამყაროსი, აღსავლის კარი იხშვება მსგავსად სამოთხის კარისა. დიდ კვერექსს გუნდი ეხმიანება მონანიე „უფალო შეგვიწყალეთი" და აი მწუხრის შესვლაზე სანთლებით იგალობენ ერთს ყველაზე მშვენიერთაგანს უძველეს ლოცვებში:

— ნათელო მხიარულო წმიდისა დიდებისა უკვდავისა მამისა ზეცათასა, წმიდისა ნეტარისაო, იესუ ქრისტე, მოსრულნი დასლვასა მზისასა, მხილველნი ნათლისა საშუხროისა, ვაქებთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა...

წირვა სრულდება ქართულ ენაზე, მაგრამ ყველაფერი ნაცნობია და საცნაური. ზოგჯერ მას მიეყვები ეკლესიურ სლავური ანდა რუსული ტექსტით და ლოცვისა და ფსალმუნის სიტყვები გულის სიღრმემდე ჩამწვდომია, თითქოს გულისძგერით იბადებიან.

მერე ცისკრად ექვსფსალმუნება დაბალი და წყნარი ხმით:

— ღმერთო! ღმერთო ჩემო. შენდამი აღვიმსთობ, სწყურიან შენდამი სულსა ჩემსა. რაოდენჯერმე არს ხორცი ესე ჩემი ქვეყანასა ამას შინა უდაბნოსა, უგზოსა და ურწყულსა.

ახლა კი ვიცი, რომ შენ შეჰქმენ სული ჩვენი, ესოდენ უნაპირო, ესოდენ ღრმა, რომ დედამიწაზე მისი აღვსება არ შეიძლება ერთ-ერთ ... ყოველი სიხარულის მიღმა ჩნდება სურვილი კიდევ უფრო წმიდა სიხარულისა: მიღმა ყოველი სიყვარულისა — ზენაარი სიყვარულისადმი სწრაფვა.

ჩვენი დაუცხრომლობა, მოუკლავი წყურვილი ქამის ნაღველია შენზედ, დაუსრულებელ სიხარულსა და მარადიულ სიყვარულზე და ყოველი ჩვენი სურვილი, უკიდურესი, ესაა მონატრება ღვთისა.

წირვა მთავრდება ნაშუალამევს, მეორე საათისათვის, აღსარებაზე ამის შემდგომ გავდივართ. ტაძრიდან ჯერ მე გამოვდივარ და მიტია მძიმე კარს შიგნიდან რაზავს.

სიბნელეში კედლის შვერილზე ვზივარ, მიყრდნობილი ხორკლიან თბილ ქვას, და შევცქერი, როგორ ანთია ჩემ ზემოთ ვარსკვლავთა აურაცხელი სანთელი. ახლა იქ მწუხრის ლოცვა გრძელდება და ანგელოზთა გუნდი გალობს დიდება მაღლოანს;

— დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. გიგალობთ შენ, გაკურთხებთ შენ, თაყვანს გცემთ შენ, დიდებას გმეტყველებთ შენ და გმადლობთ შენ დიდის დიდებისა შენისათვის...

მისი ამ დიადი დიდებისათვის აღმოხდება ხვალ დილით მზე, გაიშლებიან ყვავილთა კვირტები, აყლურტულდებიან ფრთოსნები და დღე გადაიხსნის გულს. ვითარც შესაქმის წიგნის ახალთახალი თავანკარა ფურცელი. ფურცელი წიგნისა აბსოლუტურზე, დაწერილისა ჩვენთვის გასაგებ ენაზე ფარდობითობისა.

დროის მიღმა მდგარი ლექსიკონი ამ წიგნისა ჩვენსაზე შეუდარებლად მდიდარია. არა მხოლოდ ფერები, სუნი, ხმები — ის, რასაც ჩვენ აღვიქვამთ გრძნობით, თვით გრძნობები და აზრები, მათი მოძრაობა და ფერიცვალება, არამედ თვითონ ადამიანიც, მხეციც, ხეც, ვარსკვლავიც, მთაც, წვიმაც — ესაა ცოცხალი ღმერთის ცოცხალი სიტყვა — ჩვენთვის ნათქვამი, რას ნიშნავს თავისთავად რაიმე ყვავილი, ყაყაჩო ანდა ღიღილო თავისი ლურჯი გვირგვინიანად? მინდვრის შალახი, რომელიც დღეს ხარობს, სახვალიოდ კი დაჭკნება ისევე, როგორც ჩვენ ყველანი. და მთელი სამყარო, თავისთავად ასე საამური — წარმავალი, მიმდინარე, მომაკვდავი, — არაფრით არის ნეშტზე უმეტესი. რომელსაც შებერვით გაჰფანტავს ქარი. მაგრამ აი, შენ იღებ ყვავილს, ვითარცა ღმერთის სიტყვას, შენდამი მომართულს, ნიშნად სიყვარულისა, შენ იღებ სამყაროს, ვითარცა ღვთიურ ნობათს, დაუმსახურებელს და დიდს და გული მადლიერებითა და საპასუხო სიყვარულით აღივსება. „აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ყოველნი ვარსკვლავნი და ნათელნი. აქებდით მას ცანი ცათანი და წყალნი ზესკნელს ცათანი. აქებდით სახელსა უფლისასა, რამეთუ მან თქუა და იქმნეს, ოვადმან ბრძანა და და დაებადნეს“.

ცოდვა რაღაა?

ის, რაც გვაშორებს ღმერთს.

ჩვენი დანაშაული მისი სიყვარულის წინაშე.

აღკვეთილი ნაყოფი, პირის ჩასაგემრიელებლად შეჭმული, როდი გვანაყ-

რებს ჩვენ. ღმერთისგან გამოცალკევებული სიყვარული ვერ გაუძლებს გაუსაძლისი მოლოდინის ტვირთს, ვერ მოგვიკლავს მოუკლავ წყურვილს.

რარიგ ნაღველით დავეწაფებოდი ხოლმე წინათ ნებისმიერ წყაროს, თავიდან ყოველ ჯერზე მოიმედე, დროთა განმავლობაში წინასწარ მცოდნე, რომ ესაც როგორც წყურვილის მოკვლა სიზმარში, რის შემდეგაც ხახაგამშრალს გეღვიძება. ამის შესახებ ეუბნება იგი სამარიტელ ქალს:

„მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ყოველი, რომელი სუამს წყლისა ამისგან, სწყუროდეს კუალად, ხოლო რომელმან სუას წყლისაგან რომელ მე მივსცე მას, არღარა სწყუროდეს უკუნისამდე, არამედ წყალი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის წინა წყარო წყლისა, რომელი ვიდოდეს ცხოვრებად საუკუნოდ".

„სული და პატარძალი ამბობენ: მოდი! მომსმენმაც თქუას მოდი! მწყურვალი დაე მოვიდეს და მწყურვალმა დაე უსასყიდლოდ აღიღოს სიცოცხლის წყალი" — ასე მთავრდება გამოცხადება.

ანთია ერთადერთი სანთელი, ანათებს სახარებას, ჯვარს საწიგნეზე და მამა მიქელს, მის წინ მჯდომარეს. მე იქავე ვჩერდები, კედელს მიყრდნობილი, და სული მეკვრის ახლაც, როგორც ყოველთვის, აღსარების პირველი სიტყვების წინ.

— რა არის, რომ ყოველთვის ღელავთ, მძიმედ სუნთქავთ, თითქოს თექვსმეტი წლისა იყოთ? — ამბობს იღუმენი, ჩემკენ სანახევროდ შემობრუნებული, მომლოდინე, ნაღვლიანი და დამცინავი ღიმილით. — ერთთავად იმის იმედად ხართ, რომ საკუთარ თავს საკუთარივე ძალებით გაუმკლავდებით? გულწრფელად უნდა წარსდგეთ ღვთის წინაშე იმ შეგნებით, რომ შენ თვითონ არაფერი შეგიძლია, და ილოცოთ, რომ შეგეწიოთ ღმერთი. ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი. „მიუტევე უფალსა ზრუნვა შენი და მან გამოგზარდოს შენ".

იგი ქართულად კითხულობს ლოცვანს. ქრისტე უჩინარად დგას, იღებს ჩემ მიერ აღსარებულს. მე ვიხრები საწიგნეზე და თავს სახარებაზე ვდებ. იღუმენი თავზე მაფარებს ოლარს და მის ზემოდან მძიმე ხელისგულს მადებს.

ბერე ჩვენ ვისაუბრეთ ბერმონაზვნობაზე, ღმერთზე, სიყვარულზე. საღსარებოდ გადაშლილი ჩემი გული ღვივდებოდა მომეტებული გულწრფელობისაგან, ლამობდა განწმენდას სულიწმინდის მადლით. მე მას ვუამბობდი ჩემს ბავშვობაზე, დედაჩემსა და მამაჩემზე, მათ შორის არსებულ სიძულვილსა და სიყალბეზე — იმ პირველ ადამიანებს შორის, რომელთა სიყვარულშიც განხიბლვა მეწერა ბედად. ვუამბობდი ამ ჩემს ნაადრევ წამებაზე, უსიყვარულოდ რომ ვცხოვრობდი, ვუამბობდი, როგორ ვნაღვლობდი ამაზე, როგორ ველოდი სულიერი ცხოვრებისათვის გამოღვიძებას... არ იყო ღმერთი, არ იყო არც ვაგება ცოდვისა, ყველაფერი გულწრფელი სასურველი და ნებადართული ჩანდა. განა შემეძლო მცოდნოდა, რომ სულიერი და საამური ცხოვრება ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხველია? რომ ცოდვილი სურვილებიც გულწრფელია ჩემში და რომ ნებისმიერი სიყვარულის, სინაზის განცდა თავისი ბუნებით წარმავალია, რომ ეს არის სწორედ მსწრაფლწარმავალი ხორციელი სილამაზე და „საცთური".

— რა სიყვარული, რა სინაზე...— ოხვრით ამბობდა მამა მიქელი, — ეგ სიგიჟეა. არსებობს ზუსტი სახელწოდება ამ პოეტური მდგომარეობისა: მრუშული ვნება.

— ახლა კი სული აღარ ღებულობს არაფერს დროებითს, მე ვცდილობ

შევიგნო აბსოლუტური ადამიანებთან დამოკიდებულებაშიც, გავიდე უტყუარზე სულიერი სიახლოვისკენ.

— მამაკაცსა და ქალს შორის არ შეიძლება არსებობდეს სულიერი სიახლოვე. აქ ყველაფერი ვნებაზეა აგებული.

— თქვენ აგრე გგონიათ?..

და მე დავიწყე ამბის მოყოლა ჩემთვის და მიტიასთვის ფენელაზე ახლობელ ორ ადამიანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მღვდელი იყო — ჩვენი სულიერი მამა. მეორე — მთავარდიაკვანი. ჩვენ იგი მოვინახულეთ ზამთარში, როცა მას ის-ის იყო ოთხი მიტოვებული სამწყსო ჩააბარეს. ყოველდღიურად იგი წირავდა გაუთბობელ, გაყინულ ტაძრებში მონასტრული წესდებისამებრ, გამოუტოვებლად. დიაკვანიც თვითონ იყო, მეფსალმუნეც, მგალობელიც და გუნდიც. ზიარების დროს ბარძიმის კიდეტუჩი ზედ ეყინებოდა.

— ყოველდღიურად? — უნდობლად გადააქნია თავი მამა მიქელმა, — იოანე კრონშდატელივით?

ახლა საეკლესიო წესი — ნათლობა, წესის აგება, ავადმყოფთა ზიარება... შინ ფინჯან ჩაისთან ლღვებოდა, იღიმებოდა. ტრაპეზზე თავს იყრიდა მრევლი და თითოეულ მათგანზე იმისი თვალებიდან იმდენი სიყვარული და სინათლე იღვრებოდა, რომ მასში მამაკაცს კი აღარ ხედავდი, არამედ ქრისტეს ცოცხალ სახეს, ვის წინაშეც მუხლებზე დგომა გინდება.

— ცოლშვილიანი მღვდელი, სულიერი მამა — არ ვიცი, შესაძლებელია... ჰოდა, დაუბრუნდით იმას... ბერებს კი, ჯობს თავი დაგვანებოთ.

მამა მიქელი წელში გამართული იჯდა. თავი უკან გადაეგდო და კედელს მიჰყუდებოდა. შესცქეროდა, როგორ იღვენთებოდა ცვილად დამდნარი თაფლის სანთელი ალის ყვავილქვეშ. მის ჩვეულ დაცინვაში ახლა აღარ ქღერდა არც ირონია, არც სიმსუბუქე, არამედ — ფარული და ყრუ ნაღველი.

მე სულ ახლოს ვხედავდი მის მაღალ შუბლს, ჩავარდნილ საფეთქლებს, რომლებზედაც ამობურცული სისხლძარღვები უფეთქავდა. ვხედავდი სანთლის უძრავი ალის ანარეკლს მის გუგებში, ჭაღარაშერეულ წვერს და ტუჩებზე შეყინულ დაცინვას. როცა ვჩუმდებოდით, ჩვენ შორის ჩამომდგარი სიჩუმე შექისა და წყვდიადის უჩინარი დენით იჟღინთებოდა და მე მეუფლებოდა საუბრის სურვილი; ჩვენ ჯერ არასოდეს გვისაუბრია სანუკვარზე.

— ამ მთავარდიაკვნის შემხედვარე მივხვდი, რომ ჩემთვის ბერმონაზვნობა გაუსაძლისი დღეისმარე თავდადებაა სიყვარულის სახელით და რომ მადლი იქ მოქმედებს, სადაც დახარჯულია საკუთარი ძალები. მათ საზღვრებს მიღმა.

— თქვენ არაფერი შეგიძლიათ გაიგოთ ბერმონაზვნობისა, არაფერი. თავში არ მოგსვლიათ, რომ ხანგრძლივი ღმრთისმსახურება, დღეღამეში სამი საათის ძილი და მკაცრი მარხულობა ეს იმ თქვენი მთავარდიაკვნის საზღაურია ამდაგვარი სულიერი ურთიერთობის გამო?

— არა, არ მომსვლია.

— და არა მხოლოდ ამისა, ცხადია... მაგრამ გახდებით მონაზონი და შეიტყობთ, რადაც ღირს ვნებათუქონლობა.

მან თქვა, რომ თუ კაცი დაუცხრომელი ვნებებით მოდის მონასტერში, ისინი ასევე გააწამებენ იმას აქ, ოღონდაც გაათკეცებული ძალით. ხოლო თითოეულ ჩვენთაგანს საკუთარი დაუცხრომელი ვნებები გააჩნია. წუთისოფელში

შესაძლოა გეჩვენებოდეს, რომ აღარაფერი აღარ გაღელვებს, იმიტომ, რომ შე საძლოა დაიკმაყოფილო ნებისმიერი სურვილი, მაგრამ როგორც კი დადებულია ალთქმები — ბრძოლა მძაფრდება. ეს ბრძოლაა სულისათვის და ამ ბრძოლაში მოგება — მარადიულობაა. ამიტომ ჯობს, რომ ბერმონაზონნი მუდამ ფხიზელ დმყოფობდნენ. შენ გდევნიან არა მარტო სურვილები, არამედ ადრინდელი სურვილების, სიზმრების, მოგონებათა აჩრდილებიც. მაგრამ თუ მოგონებათა აჩრდილები კი არა, ცოცხალი ვნება დაგატყდება თავს?

— მე მესმის. — დავარღვიე ძალზე გრძელი დუმილი. — ცოდნა იმისა, რომ არაფერი არასოდეს არაა შესაძლებელი, მაგრამ განიცადო ეს წამება... ეს სასიკვდილო ნომერია.

— გუმბათქვეშ თოკზე სიარული...

მას გაეღიმა და ნელ-ნელა დაუშვა თავი საწიგნეზე. საფეთქლით შეეხო ჯვარცმას და თვალები დახუჭა...

— ოჰ, ძნელია...

„საწყალი, — გავიფიქრე, — საყვარელი და საწყალი..."

ფიქრში ხელი გადავუსვი მის წვრილ ხუჭუჭა თმას, უკვე შეთხელებულს საგოჩრეზე და კეფისქვეშ გამონასკვულს. ვიცოდი, რომ სინამდვილეში არა სოდეს გადავუსვამდი ხელს თავზე და რომ ეს ის არასოდესაა, რაზედაც ჩვენ ეს-ეს არის ვსაუბრობდით.

— რამდენი წლისა ხართ? — შევეკითხე.

— ოცდათექვსმეტისა. რაში გესაჭიროებათ თქვენ ეს?

— მე კი ორმოცდათხისა. თურმე ყველა თქვენგანზე უფროსი ვყოფილ ვარ.

მან თავი ასწია. თავიდან ძალდატანებით, მაგრამ მაშინვე გასწორდა წელში და ჩაიცინა.

— და მაინც თქვენ არაფერი გაგეგებათ. და ის, რაზედაც ჩვენ ახლა ვსა უბრობდით, თქვენთვის ლიტერატურაა, თქვენი სულიერი სიახლოვეც ბერისა და ქალისა — თავის ცთუნებაა, თავის „მოტყუებაა, რაც უფრო მეტია გაგება, ურთიერთგამსჭვალვა, ამაღლებული სურვილი მუხლებზე დაცემისა — მათ უფ რო გულში ჩამარხული და ღრმაა სევდა ნამდვილ სიახლოვეზე, — მას ოდნავ ყრუ, თანაზომიერი ხმა ჰქონდა. — ამიტომაც ყველა დროში მამაკაცები და ქალ ები ცალ-ცალკე იბრძოდნენ ხსნისათვის. ამიტომაც არ ვუშვებთ მონასტერში ქალებს. და თქვენ თვითონაც არ უნდა გრძნობდეთ აქ თავს სრულ უსაფრთ ხოებაში.

მე მომაგონდა მამა ბენედიქტეს შუბლქვეშა წარბებშეკრული გამოხედვა; ამ ბოლო დროს შეხვედრისას თვალს მარიდებდა ხოლმე, მაგრამ გავიფიქრე, რომ იღუმენის შიში ნაადრევია: ალბათ პირველი მე ვიგრძნობდი საშიშროებას, თუ რომ დამემუქრებოდა იგი.

— რაზე მელაპარაკებით... აქ სხვა ქალებიც ცხოვრობენ და არაფრი ეშინიათ.

— ეს სხვა ქალები არიან, — მომიგო მამა მიქელმა, და ნამწვი შემოაცალა სანთელს, თითქმის დაძირულს ნაღვენთში. — ისინი ჩვენთვის უცხოები არიან. ხოლო ჩვენ და თქვენ საერთო ცხოვრებით ვცხოვრობთ, ეს გვაახლოებს... — მან ორი მსუბუქი მოძრაობა გააკეთა, ხელისგულები ერთმანეთს მიუახლოვა, მაგრამ მათ შორის მაინც დატოვა ვიწრო მანძილი, — თქვენ ძალიან ახლოს მო ხვედით.

მე არ მიმაჩნდა, რომ ძალიან. ამიტომაც ჩემს ამ სიახლოვეში არ იყო შიში. მე კიდევ უფრო ახლოს მინდოდა მისვლა. მინდოდა სიახლოვე უფრო უბრალო, ღვიძლი, ნათესაური გამხდარიყო, როგორც ჩემსა და სულიერ მამა შორის, ჩემს ნათესავს შორის. გაივლის კიდევ ერთი-ორი კვირა და დაძაბულობა ყველა ჩვენთაგანს შორის შესუსტდება — ორმხრივი გულწრფელობისაგან, იმიტომ, რომ ქრისტიანული სიყვარულისთვის არ უნდა იყოს „არცა მამაკაცება, არცა დედაკაცება".

ბიბლიოთეკა

დაახლოებით მეორე საათი იყო, როცა გამოვწიე ურდული, რომელიც ტაძარში შიგნიდან გვკეტავდა.

ისევ ის თბილი და ვარსკვლავებით მოჭიქული ღამე გვერტყა გარს. სატრაპეზოს ფანჯრის რაფაზე ანთებული ფანარი იყო შემოდგმული.

ეს არჩილი ანდა ბენედიქტე მოთმინებით მიანიშნებდნენ იღუმენს, რომ საძმოს ახსოვდა იგი, მიუხედავად იმისა, რომ თავად განერიდა საძმოს.

მამა მიქელმა უსიტყვოდ აიღო ფანარი და ბილიკით გამიძღვა ჩემი სენაკისაკენ, ორივეს მიგვინათებდა გზას. სენაკამდე რამდენიმე ნაბიჯზე შედგა და მშვიდობის ღამე მისურვა.

მიტიას ეძინა. თანაბრად სუნთქავდა, როგორც სძინავთ ხოლმე დაღლილ ბავშვებს.

იქამდე, ვიდრე არჩილი ჩვენს გასაღვიძებლად მოვიდოდა, ორი საათიღა რჩებოდა, წირვამდე — სამი.

მე, როგორც ყოველთვის, არ მჯეროდა, რომ ცოცხლად მივატანდი ზიარებამდე. საკურთხევლის თავზე მზის შუქზე გამჭვირვალედ კაშკაშებენ სანთლები და ალის ენები — დაციალებდნენ შვიდსანთლიანი შანდლის ყვითელ ლამპრებში. კანკელის ნაჩვრეტიდან მაცხოვრის გამოსახულების თავზემოთ მოცურავე ღრუბლიდან წვრილი სხივი ჭიატებს; უფალი ფეხშიშველი დააბიჯებს დედამიწაზე.

იღუმენი მწვანე ფელონშია. აღსავლის ბჭეთა წორისი სივრცე ამოუვსია და ღვთისადმი სამადლობელ ლოცვას აღავლენს ისევე როგორც მადლობდა ღმერთს ქრისტე მოწაფეებთან გამოსათხოვარ სერობაზე, ვიდრე წმინდა ზიარების საიდუმლოთ დაადგენდა. ერთხელ, ორი ათასი წლის წინათ, ისტორიის გულისგულში დაიბადა ქრისტე. მაგრამ მის ცხოვრებაში, სიკვდილსა და აღდგომაში ყველა დროისთვის გვეგზავნა ჩვენ მისმიერი ზეცათა საფუძველი და ქრისტეს ეკლესია, დედამიწაზე იმისათვის დატოვებული, რათა გააზრებული და გასულიერებული იქნეს სიცოცხლე ამქვეყნად.

მარადიულობა სულიწმიდად ჩამოდის მისთვის გამჭვირვალე დროებაში. წმინდა ზიარების ნიბათი ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაიქცევა. ისტორიის გულისგული აქ თანხვდება დღეისმარისას და ჩვენი ცხოვრების გულისგულს, იმიტომ, რომ; რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, ჩემ თანა დადგომილ არს, და მე მის თანა.

მან მოიღო არა აბსტრაქტული ხორცი პირობითი ადამიანისა—არამედ ეს არის „მე ვარ მასში" და ნიშნავს რეალურ ხორცშესხმას ქრისტეში თითოეული ზიარებულისა, მის ყოფნას ჩვენს ხორცსა და ჩვენს სისხლში. იგი გარდაისახება ჩვენში, რათა გვიხსნას და ღმერთის მიმსგავსებით აგვამაღლოს ღმერთამდე. ჯვარს ეცვას ჩვენის ცოდვებისათვის და აღდგეს მკვდრეთით ჩვენში.

ამიტომაც სიტყვით ხოტბას ვასხამთ და ვმადლობთ უფალს და გუნდი გალობს:

— ოსანა მაღალთა შინა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისჲთა! ოსანა მაღალთა შინა!

იღუმენი წმინდა ღმრთისმსხურებისათვის დადგენილ სიტყვებს იმეორებს: — მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი თქუენთვის განტეხილი, მოსატევებლად ცოდვათა. სუით ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, თქუენთვის და მრავალთათვის დათხეული მოსატევებლად ცოდვათა.

მარჯვენა ხელით იღებს ფეშჰუმს, მარცჭენით ბარძიმს და საკურთხეველი ზემოთ ჯვარის სახედ აღამაღლებს მათ.

— შენთა, შენთაგან შენდა შემწიرველნი ყოველთა და ყოვლისათვის. უფალო, პურსა და ღვინოს, რჩეული შენივე უთვალავ ნიჭთაგან დედამიწაზე, გწირავთ ჩვენ შენ სამადლობელად და მსხვერპლად ყველასა და ყველაფრისათვის. — შემდეგ იღუმენი საიდუმლო ლოცვით შესთხოვს ღმერთს, სულიწმინდის ძალით პური გარდააქციოს ქრისტეს ხორცად, ღვინო კი... მისსავე სისხლად... და მაცხოვრის აღთქმის თანახმად აღსრულდება ეს მისტერია.

...საკურთხევლის წინ ლოცვით ხელაპყრობილი მღვდელი, — აი, ადამიანის სახის უმაღლესი გამოვლინება და მისი წინასწარდანიშნულების სიმბოლო. მღვდელი იღებს სამყაროს ღვთისაგან და ღვთის თითოეულ ქმნილებას, ვითარცა ნიშანს ღვთის სუფევისას, ვითარცა ნიჭს უბრუნებს, უძღვნის მსხვერპლად ღმერთსვე მადლობით და სიყვარულით.

ფუჭი, თავისთავად უძღები ქვეყნიერი ხორცი ამ მსოფლიო ევქარისტიაში გარდაიქცევა ღმერთთან მიახლოების საშუალებად, სიცოცხლე მასში მარადიულ სიცოცხლედ გარდაისახება.

— სერობასა საიდუმლოსა შენისასა, დღეს, ძეო ღმრთისაო, ზიარებად შეიწყნარე, რაჲთა არა მტერთა შენთა უთხრა საიდუმლო შენი, არცა ამბორსგიყო, ვითარცა იუდა, არამედ ვითარცა ავაზაკი, აღგიარებ შენ: მომიხსენე მე, უფალო, საუფეველსა შენსა. რაჲთა არა საშჯელად გინა დასაშჯელად მექმნეს მე ზიარება წმიდათ საიდუმლოთა შენთა, არამედ საკურნებელად სულისა და ხორცისა.

ამ სიტყვებს იღუმენი წარმოთქვამს რუსულად, რადგანაც დღეს მხოლოდ მე და მიტია ვეზიარებით და ჯვარის სახედ გულხელდაკრეფილი მეც, შვილის კვალდაკვალ მივეახლები ბარძიმს.

— ეზიარება მხევალი ღვთისა ვერონიკა... მოსატევებლად ცოდვათა მისთა და ცხოვრებად საუკუნოდ...

და რა ვეზიარები, ვემთხვევი ბარძიმის ვერცხლის კიდეს.

ჩვენი სენაკის უკან, ფერდობზე ტყით შემორაგული მინდორია. წირვის შემდეგ მე და მიტია გავედით იქ და ოდნავ შორიშორ მოვთავსდით, რომ ერთმანეთისათვის ხელი არ შეგვეშალა.

მე არყის ხის ქვეშ დავიგე სენაკში ილარიონის მიერ დავიწყებული ცხვრის ძველი უსახელო ტყაპუჭი და თავქვეშხელებამოდებული გავწექი. მიტიაც და ნონასტერიც მაშინვე ჩაიკარგნენ ბალახში.

ასე იყო წინათაც: ზიარების წინ დაძაბულობა იზრდებოდა და იზრდებოდა — ნამწუხრევს, მაზიარებელთა კანონებისა და ლოცვების ჩამთავრების შემდეგ, შუაღამემდე რომ გასტანდა ხოლმე, აღსარებისა და წირვის შემდგომ, უკანასკნელ ძალ-ღონეს ვიკრებდი ბარძიმთან მისაახლებლად; მერე კი ძალა საერთოდ აღარ მქონდა და აღარც მესაჭიროებოდა, რამეთუ ყველაფერი შემისრულდა და აღსრულდა.

მცხუნვარე მთვლემარე სიჩუმე მეფობს ჩემშიც და ირგვლივ. რტოებსა და პრიალა ფოთლებს მილმა ვეფვრეტ ცის ლრმა წმიდა სილაჟვარდეს და იქ თეთრ ქულა ლრუბელს. მზე ჩემთავზემოთაა. ქუთუთოები რომ დავხუჭო, იგი მათ მილმა ნაზ, მოწითალო შუქად აინთება. ბალახის თითოეული ღერო — ანდა სამყარა ფოთოლი მზითაა გაჟღენთილი. დავცქერი ძარღვების ჩახლართულ ქსელს გამჭვირვალე მწვანე ოვალში, დაკბილულ კიდეებიანში, ფრთიანს ყვავილის იასამნისფერ ვარსკვლავისებურ გვირგვინს, ბალახში თვალისთვის შეუმჩნეველს. ტყის ჭიანჭველა ფიქვის მოწითალო წიწვს ეზიდება. წიწვის ბოლოს ფიქვის ფისი ჰკიდია. ჩაიქროლა ნიავმა — არყის ხის მშრალი შრიალით, ბუზღუნით, უსაკოთა და უსულოთა საუფლოში ყველაფერი ისევ ჩაწყნარდა.

იღუმენთან წუხანდელი საუბრის სიტყვები და აზრები ნაწყვეტ ნაწყვეტ ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში და ხელს მიშლის. „უფალო მიხსენ ყველანაირი სიტყვებისაგან, ქმენ ისე, რომ თუნდ სულ მცირე ხნით გავითქვიფო შენს კურთხეულ ქვეყნიერებაში...“

მიტიას გამგზავრების დროა. იდაყვზე წამოწეული თვალით დაგეძებ შვილს. აქვე, ბალახში წევს მღვდლის ქვესაცმელსა და ჩექმებში და სძინავს. ლოყის ქვეშ არახჩინი ამოუდევს და ძილში მისი სახე წმინდა და ნათელია.

მას თავს დასტრიალებს, მხარზე აჯდება და აფრინდება მტვრის ცისფერ კორიანტელში გახვეული ქინქლა. მიუწვდომელ არს ნიჭნი ღვთისანი — ჯერ ისევ განვიცდიდი საკუთარ ობლობას. ამასობაში კი მომესწრო, გამეზარდა ვაჟიშვილი და ჩვენმა ღვიძლმა ნათესაობამ ჩემთვის დაჩრდილა ნათესაობის ყველა სხვა სახეობა და კიდეც დააჭარბა მათ. ვერასოდეს შევძლებდი სხვისთვის მიმეძღვნა სული და ცხოვრება ესოდენი სისავსით... ეს რომ ჩემი დღეების დასასრულამდე გაგრძელდებოდეს!..

ტრაპეზი დავამთავრეთ თუ არა, „გაზიკი“ შემოსრიალდა. თურმე მიტიას თან ერთად მიემგზავრებოდნენ ელიც და ნონაც. უკან დაბრუნებას ორი დღის შემდეგ აპირებდნენ ამავე მანქანით.

მიტია მხიარული ჩანდა. ქვესაცმელი და ჩექმები თეთრ პერანგსა, ველვეტის შარვალსა და სანდლებზე გაეცვალა. მანქანის საფეხურზე შემდგარმა ნოტების თხელი ყდა დამიქნია. კარები მოიჯახუნეს. გზის აღმართზე საბურავებისაგან მტვერი ავარდა და ისევ დაჯდა. ბრინკა და მურია ყეფით დაედევნენ.

ბენედიქტემ პირი იბრუნა, ყურებზე მოქსოვილი ქუდი ჩამოიფხატა და თავისი სენაკისაკენ გასწია.

უეცრად აღმოვაჩინე, რომ მარტო დავრჩი — იღუმენის მოიარებით ნათქვამმა პირველად გამიღვიძა შიში.

თითქმის უძილო ღამის შემდეგ დავიღალე და სენაკში დაბრუნებული მაშინვე დასაძინებლად დავწექი, ოღცა კარი საგდულით ჩავკეტე და შევამოწმე კიდეც, კარგად დაიკეტა თუ არა.

უკანასკნელი დღეების წვრილმანები მახსენებდნენ თავს. ახლა მეც მეჩვენებოდა, რომ ჩემს თავს რაღაც ხდებოდა და სხვა შთაბეჭდილებებით პირთამდე აღსავსე ამას აქამდე ვერ ვამჩნევდი.

ავიღოთ, მაგალითად, ასეთი ეპიზოდი.

თავიდან სატრაპეზოში ვსადილობდი და ვვახშმობდი ხოლმე საძმოს 'ა-დგომ. მაგრამ ზოგჯერ მწუხრამდის ველარ ვასწრებდი ჭურჭლის დარეცხვას, რადგანაც სიბნელე ისადგურებდა. იღუმენს ვთხოვე, არ შეიძლება თქვენთან ერთად რომ ვისაზრდოო-მეთქი, ოღონდაც საკუთარ სენაკში, მან გულგრილად

ამჩეჩა მხრები და ასე მიპასუხა: „კი ბატონო, როგორც მოგეხერხებოდეთ". და ეს, ერთხელ, ბორშჩიანი ქვაბი რომ მიმქონდა, ამობრუნებულ სახურავზე კი— თეფშით პური, საზამთროს ნაჭერი და ალუბლის მურაბის დაწყებული ქილა, ბილიკზე ბენედიქტეს შევხვდი. მან გზა მიტია. ჩემს თეფშს ისე დახედა, თით ქოს ნაპარავის ჭამის ცოდვაში დამიჭირა. მაგრამ არაფერი უთქვამს და არც ენ მქონდა სათქმელი რამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ, მეორე დღეს მიტიასთვის უთქვამს:

— დედაშენი წინაურდება.

— რანაირად? — დაინტერესებულა მიტია.

— საზრდოს საკუთარ სენაკში ეზიდება.

— ეგ იმიტომ, რომ თქვენ აღარ გელოდოთ. უფრო სწრაფად აალაგოს და ცარეცხოს ჭურჭელი.

— მაგრამ ხომ იღუმენის კურთხევის გარეშე სჩადის ამას?

— არა, კურთხევით.

საქმე ის როდი გახლდათ, რომ ბენედიქტეს ჩემთვის დაენანა ბორშჩი, რომელიც ის იყო მოვხარშე ყველასთვის ვედროს ოდენა ქვაბით ან კიდევ ერთი ნაჭერი საზამთრო! არც ის, თითქოს ეშვი აეღოს, რომ პროდუქტებს შავი დღისათვის ვიმარაგებდი. აქ თავი იჩინა რაღაც ქვეშეცნეულმა გაღიზიანებამ ანდა უკმაყოფილებამ.

მაშინ, როცა ჯვარში მეგობრების თანხლებით ამოვიდა გიორგი, ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც სუფრის აალაგებაში მეშველებოდა, ქართულად რაღაც ფამფინავად გადაულაპარაკა ბენედიქტეს. სიტყვა აშკარად მე მეხებოდა და კითხვით აღსავსე ჩემი მზერის პასუხად ყმაწვილმა კაცმა ამიხსნა:

— ვეუბნები, შენ რანაირი ქართველი ხარ, ქალმა გთხოვა, ჯვარი გამომიმალეო, და შენ კი მაგ საქმეში ფული სთხოვე მეთქი?

არ ვიცი, ვისგან შეიტყო ამის შესახებ. საიმდროოდ მე და იმას ერთმანეთისთვის ჯერ ორი სიტყვაც არ გვქონდა ნათქვამი.

— მე არ მითხოვია.

— მით უმეტეს, თუ თვითონ შემოგთავაზათ.

— მე კი ვამბობ, რომ შენ სხვის საქმეში ნუ ერევი, — ზომიერი ხმით, მაგრამ დაჟინებული მზერით მიუგო მას ბენედიქტემ. მასში ცივი მტრობა გამოსჭვიოდა და ასეთივე თვალით შემომხედა მეც.

ხომ არ იყო დაკავშირებული ჩემთან ისიც, რომ ის ახლა მთელი დღეებით გაკრებოდა ხოლმე? მესამე დღეა, რაც ვიგრძენი დაძაბულობა იღუმენისადმი ამის დამოკიდებულებაში.

არჩილი რომ წავიდა, ბენედიქტეს, რა თქმა უნდა, არ უნდოდა ხელი მოეკიდა სამზარეულო საქმისათვის; იღუმენს კი ჯერ არ გადაეწყვიტა საძმო ყოფასთან ჩემი ასე ახლოს მიშვება, — იქნებ ჩემი და მიტიას გულისთვის წაეჩხუბნენ ერთმანეთს?

ან იქნებ მაშინ გავანაწყენე ძალიან, როცა დათვრა? არადა, ეს ყველაფერი ფრიად უმნიშვნელო იყო იმ ხაზგასმულ განდგომასა და მტრობასთან შედარებით, ამის მზერაში რომ დავიჭირე.

როგორ არ მინდოდა ბოლომდე გამეთავისებინა ეს ყველაფერი „იქნებ... ან იქნებ... " რაც არ უნდა ყოფილიყო უთანხმოების მიზეზი, მე ის უნდა გამომერკვია და აქედან გამგზავრებაზე მეფიქრა.

მე კი ვიცოდი — რომ ჯვარზე გატარებული ეს დღეები ჩემი ცხოვრების

საუკეთესო დღეებია და იმისათვის, რომ გამეხანგრძლივებინა ისინი, ახლა ცხელ გულზე, მზად ვიყავი სიცოცხლის რამდენიმე წელი გამეღო.

უკვე ვიძინებდი, როცა ფანჯრის მიღმა არჩილი შემეხმაურა: რესტავრატორებისათვის სოკო ეჩუქებინათ და შეწვა იყო საჭირო.

— არჩილ, შეიძლება მოგვიანებით, ტრაპეზისათვის შევწვა სოკო?

— რა თქმა უნდა, — შემომეხმიანა უკვე წასასვლელად ჩაცმული.

აგრეც ველარ დავიძინე. წამდაუწუმ საათს დავცქეროდი, ველარ მოვასწრებ-მეთქი სოკოს მომზადებას, მით უმეტეს, რომ სოკო არასოდეს გამიკეთებია.

ხელ-პირი დავიბანე, გადავიცვი ჩემი გამოხუნებული ხალათი, თავსაფარი წავიკარი და გადავწყვიტე, რომ თვლემაში შემოპარული ჩემი შიში სისულელეა და საჭიროა ახლავე გამოველაპარაკო ბენედიქტეს. მისთვის მე ცუდი არაფერი გამიკეთებია და, ამდენად, არც მისგან უნდა მქონოდა რაიმე ცუდის მოლოდინი.

სოკოთი სავსე მოზრდილი ჩანთა წყაროსთან იდო. მას შემოდგომის ობმოკიდებული ფოთლებისა და წვიმის სუნი ასდიოდა. აქ იყო ნიყვი, ყვითელი მანჭკვალა, ყველაზე მეტი კი ფითლიო, ქუდებზე იისფერ და წითელი სლიკინაკანით, და კიდევ რაღაცნაირი სხვა სოკოც, ქუდის ნაოჭებში ტიხრებჩაყოლებული. არ მგონია საკვებად ვარგისი ყოფილიყო.

— სოკო რესტავრატორებისათვისაც უნდა მომზადდეს, — მომიახლოვდა არჩილი. ჭრელ გროვას კმაყოფილი დასცქეროდა.

როცა მათ აივანს ჩავუარე, გურამი და შალვა ახალგაზრდა ქალებთან ერთად ბაგიდას უსხდნენ და იცინოდნენ.

— იქნებ გაგვეყო სოკო? იმათ ქალები ჰყავთ და თვითონვე შეიწვავენ? — ფრთხილად შევთავაზე — ბერმონაზვნურ ტრაპეზამდე ნახევარი საათიღა რჩებოდა. ველარ ვასწრებდი რვა კაცისათვის ვახშმის მომზადებას.

— ქალები კი არა ქალიშვილები არიან, — რატომღაც განაწყენდა არჩილი. — დილით შემთხვევით შემოიარეს და შემორჩნენ.

— რას ამბობთ, არჩილ, ჩემთვის ეგ სულერთია.

— ჩვენთან როდი ვეპატიჟებით მაგათ. ბერები ქალებთან ერთად არ უსხდებან სუფრას. ეს თქვენ გაგიღიმათ ბედმა აგრერიგად...

— კარგით. მაგრამ ფითლიოს არ წვავენ. დანარჩენი სოკო კი უბრალოდ არ არის ყველას სამყოფი.

— კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების, გამიგეთ?

გავუგე. და მაშინათვე კიდევ უფრო დამიმძიმდა გული. რაღაც, ჩემთვის ისეთივე გაუგებარი, როგორიც ბენედიქტეს საქციელი იყო, იმალებოდა არჩილის უეცარ და უსამართლო აფეთქებაში. გაღიზიანებული იყო ჩემ მიმართ და ეს მთრგუნავდა.

— მაგრამ ფითლიოს მაინც არ წვავენ.

— რატომაც არ წვავენ? — ღელავდა არჩილი — თუ გიჭირთ, მე მოგეშველებით. ქრისტიანული სიყვარული ის არის, კეთილი უყო სხვებს...

— ეს იგივეა, კიტრი რომ შეიწვას, მაგრამ თუ გინდათ, რაც გნებავთ ის უყავით.

წაჩხუბებისთვის უფრო სულელურ მიზეზს ვერ იპოვიდი. წყენა კი ნამდვილი იყო. ვარჩევდი, ვრეცხავდი, ვკეპავდი სოკოს, ვყრიდი ცხელ ტაფაზე მდუღარე ზეთში და ხელები მიკანკალებდა.

როდესაც სოკო ჩემი აზრით უკვე მზად იყო, არჩილი მომიახლოვდა და დამოუკიდებელი სახით შემატყობინა, ფითლიო სოკო გადავყარეო.

— ქრისტიანული სიყვარულიდან გამომდინარე ამისი გაკეთება მეც შეშეძლო.

— მატლი ჰქონდა დახვეული.

ვთხოვე, გაესინჯა სოკო. მითხრა ალბათ ცოტათი კიდევ უნდა შეეწვა სოკო. ექვსი საათისათვის ტრაპეზზე არავინ მოსულა. არჩილმა ილუმინს მიაკეთა, მაგრამ მარტო დაბრუნდა.

— მამა მიქელი სად არის?

— ცუდად გრძნობს თავს... — არჩილი თავს იკავებდა, მაგრამ ისეთივე გაეცხოებული იყო, როგორც ბენედიქტე, — მოგვიანებით ივახშმებს.

სუფრა გაშლილი იყო. ვერმიშელის სუფი და ხახვით შემწვარი კარტოფილი მაგიდაზე ცივდებოდა. სოკო ჯერ ისევ იწვებოდა, მინდოდა ცხლად მიმერთმია. როცა სახურავი ავხადე და ჩავხედე, ძალიან შეცოტავებული მეჩვენა. ჩემს კარტოფილის ჯამში სუფრის კოვზით სოკო გადავიღე და ტაფის ქვეშ ცეცხლი გამოვთიშე.

ამ დროს სამზარეულოში ასანთისათვის შემოიხედა ქენედიქტემ: ვიცოდი, რომ ეწეოდა, თუმცა ჩემთან და მიტიასთან მალავდნენ ამას.

— მამაო ბენედიქტე, მინდა მოგელაპარაკოთ.

ჩემს აწეწილ მდგომარეობაში არ მმართებდა ასეთი საქციელი, მაგრამ მე ახლა საქმის ბოლომდე მიყვანას ვსაჭიროებდი.

მამა ბენედიქტემ ჩაიცინა, ასანთი ააჩხაკუნა და სატრაპეზოში გავიდა. როცა რამდენიმე წუთში იქ ჩავედი და ჩაიდანი შევიტანე, ის და არჩილი გვერდიგვერდ ისხდნენ. კოპებშეკრულმა ბენედიქტემ მოღუშული თვალებით შემომხედა:

— თქვენ გინდოდათ რაღაცაზე გელაპარაკათ ჩემთან?

დავიბენი.

— ჰო, მაგრამ ახლა ხომ ვახშმობის დროა...

სავახშმოდ ჩემი ჯამფილიანად სენაკში განვმარტოვდი. დახრუკული სოკო ყელში არ გადამდიოდა. გამახსენდა დილა, მზით მოფენილ მინდორზე მძინარე მიტია და ისიც, თუ რანაირი სიმსუბუქე და სინათლე სუფევდა მაშინ ჩემში. ახლა ტირილი მინდოდა, ჩემი არაკეთილი გული დათრგუნული და ცარიელი რომ არ ყოფილიყო.

როცა ჭურჭლის დასარეცხად დავბრუნდი, არჩილმა სოკოიან თეფშზე დამახედა. ორჯერ უფრო ცოტა იყო, ვიდრე ტაფაზე ჩანდა.

— ჩვენ სოკო არ გვიჭამია. რესტავრატორებს შევუნახეთ. აქ სოკო დელიკატესია.

— მაშასადამე, სოკო ტაფაზევე გამომშრალა, — მივხვდი მე.

— ეს იმიტომ, რომ თქვენ სოკო თავიდანვე დაგენანათ სტუმრებისათვის, — ვითომ იხუმრა არჩილმა.

არ დამნანებია მე ის სტუმრებისათვის. მაგრამ ახლა ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.

მწუხრის წინ მამა მიქელი სატრაპეზოში იჯდა. ქალის ნაქსოვ შალში იყო გამოხვეული და ზემოდან დაბამბული ჯუბა ჰქონდა წამოსხმული.

ვკითხე, სიცხე ხომ არა გაქვთ-მეთქი, და ვიეტნამური მალამო „ოქროს ვარსკვლავი“ შევთავაზე.

— არ მინდა, თქვენთვის დაიტოვეთ, — მომიგო დამცინავი კილოთი და გადახედა ბენედიქტეს, რომელიც ჯაყვადანით რაღაცას ჩორკნიდა. თავი არ აუწევია. და იმიტომ, რომ ის, რაც ითქვა, უხეშად ეღერდა, იმავე გამომეტყველებით დასძინა, — აკი ვამბობ, ბერი უნდა ავადმყოფობდეს-მეთქი...

სოკოს თეფში ჯერ ისევ იდგა მაგიდის შუაგულში, როგორც შეხსენება და საყვედური. ზემოთ ქალის სიცილი ისმოდა.

მწუხრის შემდეგ იღუმენი, ბენედიქტე და არჩილი ერთსულოვნად ქართულად ალაპარაკდნენ.

მე კურთხევა ვითხოვე და გამოვედი.

დაღლილობამ და დათრგუნვილობამ ფეხები მომკვეთა და მაშინვე ჩამეძინა.

მეორე დღეს დაველოდე, როცა ბენედიქტე სატრაპეზოდან გამოვიდოდა და ბილიკზე დავხვდი.

ველელავდი. გამოდიოდა, რომ დიაკვანი თავს არიდებდა ჩემთან საუბარს, მე კი ჩემსას ვაღებდი. ეს დამამცირებელი და უსიამოვნო იყო.

ბენედიქტე ჩემ მიღმა იცქირებოდა. ჩამქრალი მზერა ჰქონდა, უძილობის შემდეგ რომ იცის, ისეთი.

ვკითხე, როგორ უყურებთ მეთქი მონასტერში მე და მიტიას ყოფნას. ხელს ხომ არ გიშლით-მეთქი ეს. ის სიტყვას ბანზე მიგდებდა და უხალისოდ მპასუხობდა, მონასტერში ქალის ყოფნა ნიადაგ საცთურიაო.

— გინდათ, რომ ჩვენ აქედან წავიდეთ?

— ჩემს სურვილებს არა აქვს მნიშვნელობა. თქვენ აქ იღუმენის კურთხევით ცხოვრობთ. ეს მისი საქმეა. ბერს საკუთარი ნებისყოფა საერთოდ არ უნდა გააჩნდეს.

ვიდრე ბორცვის ფერდობზე ვიდექით, მონასტრიდან მომავალ ბილიკზე ქვემოთ იღუმენი გამოჩნდა. ფიქრიანად თავდახრილი ბენედიქტეს სენაკისაკენ მიაბიჯებდა. უეცრად დაგვინახა და უკან დაბრუნდა, მიმოიხედა, ნაბიჯი შეანელა, ისევ იცვალა მხარი და ფერდობს შეუდგა.

ბენედიქტემაც შენიშნა იგი და მიაშურა.

არჩილი მინაშენის საფეხურებზე იყო ჩამომჯდარი, საკუჭნაოს გამოღებული კარის წინ. მის ფეხებთან სანთლის ნატეხებით სავსე დიდი ქვაბი იდგა. სანთლის ნატეხებს იგი დანით ფხეკდა და ბალახზე აწყობდა. იღუმენმა შესთავაზა, შემონახული ცვილიდან სანთელი ჩვენ თვითონვე დავამზადოთო. სამი დღის წინ დამავალა, თავისუფალ დროს ცვილი გაასუფთავეო. დრო აღარ მეყო, მაგრამ ახლა მეჩვენებოდა, არჩილმა ცვილს იმიტომ მოჰკიდა ხელი, რომ ჩემთვის ნიშნი მოეგო.

— არჩილ, — მივუახლოვდი. სუნთქვა მეკვროდა, — მონასტერში ჩემი ყოფნა ხელს ხომ არ გიშლით თქვენ?

— პირადად მე არა, — ის თითქოს ელოდა ამ კითხვას და ახლა მზად იყო გამოწვევისთვის.

— მაგრამ ბერებს განმარტოება ესაჭიროებათ. ეს თქვენ თვითონაც გესმით. იქნებ თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იყოს, საჭმელი წყაროსთან დაამზადოთ?

„აი, მორჩა და გათავდა", — გავიფიქრე.

ისლა დამრჩენოდა. ვაჟს დავლოდებოდი. ბედს სამოთხეში კიდევ რამდენი მე დღე გამოვთხოვე, მაგრამ დრო იწურებოდა.

სუფრა ავალაგე. ჭურჭელი წყაროზე დავრეცხე და ახლა დარეცხილი ჭურ-

ჭლიანად ვბრუნდებოდი. დაბამბულჯუბაწამოხურული მამა მიქელი არჩილის გვერდით ბალახზე იჯდა დახვავებულ ცვილის გროვასთან.

მე თვალებით არ შევხვედრივარ მას, მაგრამ ყოველ წამს ვგრძნობდი, რომ თვალს მადევნებდა.

დილით ვთხოვე, ტრაპეზის შემდეგ შემიძლია თუ არა მონასტრიდან გავიდე-ბეთქი. მინდოდა შემოგარენ მთა-გორებში მეხეტიალა, ერთხელაც მომენახულებინა ისინი გამოთხოვების წინ. მაგრამ ახლა ველოდი, რომ იღუმენი მოშიბ-ლოვდებოდა.

და აი გამოჩნდა ისიც. დამოუკიდებელი და დაძაბული სახით გაიარა სატ-რაპეზოს გვერდითა ოთახისაკენ მიმავალმა, მაგრამ მალე კარებში შეჩერდა:

— თქვენ, მგონი, სადღაც აპირებდით წასვლას?

— კიდევაც ვაპირებ.

— სად?

— მინდოდა მარტო დავრჩენილიყავ.

— აი თურმე რა...

— მაგრამ თუ თქვენ შეგიძლიათ ჩემთან საუბარი (ვუთხარი თუ შეგიძლიათ მეთქი, რადგანაც ხომ არ შეიძლებოდა მას ქალთან საუბარი სდომებოდა!), ვთხოვთ, ვილაპარაკოთ, როგორც ჩანს, დრო ცოტაღა დაგვრჩა.

— მაშასადამე, რაღაც იგრძენით...

— ვიგრძენი და მეტი არა?!

მამა მიქელი ტუმბოსთან საწოლზე ჩამოჯდა, — მე — ძელსკამის კიდეზე და სკამის საზურგეს მივეყრდენი. მან საეკლესიო წიგნი გადაშალა, გადაფურცლა, ტუმბოში საშლელი იპოვნა, გულმოდგინედ შლიდა მინდვრებზე ფანქრით მინაწერ შენიშვნებს — ჩემგან განსხვავებით ის საქმით იყო დაკავებული.

— რაზე გინდოდათ გველაპარაკა?

— უპირველეს ყოვლისა მინდა გელაპარაკოთ, როგორც სულიერ მამას, თქვენ საკმაოდ დიდხანს გვადევნებდით თვალს მე და მიტიას. თქვენთვის ჩვენ გამჭვირვალენი ვართ — ვილაპარაკოთ ჩვენს ნაკლოვანებებზე.

მას გაელიმა. წარბები ოდნავ აწკიპა და იმავდროულად თავი ოდნავ დახარა. მისი მიმიკა, ჟესტები, ინტონაცია — ყველაფერი უკვე ესოდენ ნაცნობი იყო... ვერ გამეგო, თვიდან რად მეჩვენა მისი სახე ულამაზო: ახლა ჩე მომწონდა მისი თითოეული ნაკვთი — ეს მოკლე წარბები, წვრილი თვალები, მოგრძო ცხვირი — კეფის ქვეშ გამონასკვული თმაც მომწონდა და დიდრონი ხელების გრძელი თითებიც. და იმაში, თუ რა დაჟინებით ვუჭვრეტდი ახლა მას, იყო გამოთხოვების სინაზე.

— ჩვენი ნაკლოვანებანი — ამოუწურავი თემაა. საითაც არ გაიხედავ — ყველგან ნაკლია. აი მუხლებზე მიდევს წიგნი — მე იგი ბიბლიოთეკიდან მოვიპარე — გადავწყვიტე, რომ ის იქ არ იყო საჭირო. თქვენ კი რამეს გეტყვით და მაშინვე გაგვინაწყენდებით...

— იქნებ კიდეც გაგინაწყენდეთ.

— როგორც გენებოთ... — მან წამით დამცინავად შემომხედა, თითქოს შემოსატევად ემზადებოდა, — საოცრად ამაყი ადამიანი ხართ. ღმერთს შეუძლია მოგვიტევოს ყველაფერი: ჭურდობა, — მან ოდნავ ასწია წიგნი, — მრუშობა, ყაჩაღობა... ხოლო სიამაყე — ეს ადამიანსა და ღმერთს შორის აღმართული სპილენძის კედელია. „ღმერთი ამპარტავანთა შემუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცეს მადლი"; თქვენს ყოველ გამოხედვაში, ჟესტში კი — ისეთი სიამაყეა... რითი

ამაყობთ? თქვენ რა, ჰემინგუეი ხართ? ანდა იქნებ ყველაზე ქველმოქმედი ქრისტიანი!

გამეცინა.

მაგრამ მისთვის ეს უკმარი იყო.

— იქნებ თქვენა ხართ ყველაზე ლამაზი ქალი?

ეს იყო სახეში გალაწუნებული სილა. მე სრულებითაც არა ვარ ლამაზი ქალი. ეს მუდამ მახსოვდა და ახალგაზრდობაში ლამაზებს ბედის, რჩეულად ვთვლიდი. ახლახანს ელჩანინოვიდან ამოვიკითხე: „ნეტარ არიან ულამაზონი, ყნიჭონი, ხელმოცარულნი, ისინი საკუთარ თავში არ ითავსებენ მთავარ მტერს — სიამაყეს“.

ეს ისევეა, როგორც „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა“. „ნეტარ არიან მტირალნი“... უბედურება მხოლოდ ის არის, რომ, როგორც იღუმენი ამბობს, რით ალარ ამაყობს ადამიანი! თუ ლამაზი არ არის, ამაყობს ჭკუით. თუ ჭკუა არა აქვს — თანამდებობით ანდა სიმდიდრით. ამაყობს სიხარულით და უბედურებითაც კი.

— თქვენ აქ ძველი ხალათი ჩაგაცვეს, ჭურჭელს გარეცხინებენ — თვინიერების ნიშანწყალი არც აქ დაგეტყოთ: თითქოს როლს თამაშობდეთ... კონკიასა ხომ არა? ოლონდაც იმ კონკიასი, ვინც იცის, რომ ჭიშკრის გადალმა ოქროს კარეტა ელის... — იგი სულ უფრო მეტი გულმოდგინებით შლიდა ყუაზე შენიშვნებს. — რითა ხართ საერთოდ ახლა დაკავებული? ლოცულობთ იესოს ლოცვას?

— არა... მე სამზარეულოში ვარ დაკავებული...

— აჰა. გამოქვაბულშიც შეიძლება ლოცვა, სამზარეულოში კი თურმე არ შეიძლება. მონასტერში კი საზრდო ლოცვაში უნდა მზადდებოდეს. ლოცვა, საერთოდ, პირველი საქმეა. ყველა სხვა დანარჩენი კი მერეა. და მერე, რას წერთ თქვენ აქ გამუდმებით? ზიხართ სენაკში რვეულით ხელში და წერთ. იქნებ რომანის დაწერას აპირებთ მონასტრულ ცხოვრებაზე?

ალბათ ისიც მჭვრეტს მე მეტი გულისყურით, ვიდრე ვვარაუდობდი.

— მონასტრულ ცხოვრებაზე წერა არ შემიძლია. მე მონაზონი არა ვარ.

— მე კი მეჩვენება, რომ მაინც აპირებთ.

— თქვენ გეჩვენებათ, რომ მე ვტყუივარ?

— არა... — ამ არგუმენტმა იგი წუთით სახტად დასტოვა. — ჩემი აზრით თქვენ საერთოდ არ ცრუობთ. — უკანასკნელი ფრაზა რამდენადმე გაკვირვებული და პატივისცემით სავსე კილოთი წარმოთქვა.

—ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ არ ვიცრუო. არ ვიცი ისეთი არაფერი, რისი მოპოვებაც ღირდეს სიცრუის ფასად.

— ჰოდა, ეგეც თქვენ, სიამაყის საგანი. მაგრამ მაინც რას წერთ? გრძელ წერილებს?

— ჩავიწერე ის, რასაც თქვენ მიამბობდით წმინდა მამებზე.

— რისთვის? მაშასადამე, თქვენ მაინც... ემზადებით დასაწერად? — აღშფოთებისაგან მან წიგნი დახურა და საწოლზე მოისროლა. — ეს ხომ დანამდვილებით სხვათა და არა — თქვენი ცხოვრებაა... თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ მასზე... ეს ისევეა, როგორც ღვთაებრივი ჭვრეტა. რამდენიც არ უნდა გამოგვკითხოთ ამის თაობაზე... სასაცილოა, როცა თქვენ ციტატები მოგყავთ წმინდა მამებიდან. ასე ბავშვებს უჭირავთ ხელში წიგნები თავდაყირა. აყოლებენ ციფრებს ბწკარებს და თავისთვის ბუტბუტებენ, თითქოს კითხულობენ. როგორ-

დაც არ უნდა ეცადოთ, თქვენ ვერაფერს დაინახავთ. ესე იგი დაინახავთ მღვ
დლის ქვესაცმელს, ჩექმებს, კანკელში დატანებულ ნაჩვრეტს... — მისი ტონი
ანაზომიერი ხდებოდა.

— თქვენს გულში გადაწყვიტეთ ახლავე: რა გინდათ თქვენ. წეროთ ქრის
ტიანობაზე თუ ქრისტიანულად იცხოვროთ. და თუ ცხოვრება — დატოვეთ
ყველაფერი და, ვიდრე გვიან არ არის, წადით მონასტერში.

— მე ცხოვრებას ვინდომებდი. და როცა ჩვენ წავალთ ჯვარიდან, მე
ვინაღვლებ ამ სხვა ცხოვრებაზე, დავიწყებ ჩემთვის შესასვლელის ძიებას მას
ში. მაგრამ თუ ვერ მოვახერხებ პოვნას, იქნებ, უკეთესი აღარაფერი დამრჩეს
ვიდრე დავწერო ამაზე — მეტი არაფერი შემიძლია.

— წერა კი შეგიძლიათ?

— უკეთ, ვიდრე შემიძლია ვიცხოვრო ანდა ვილოცო.

— ჰოდა, ისწავლეთ ცხოვრება მცნებების მიხედვით და ლოცვა, თორემ
მე ვშიშობ, რომ რწმენა გატაცებაა თქვენთვის, თქვენ აქ ახალი სამყაროს აღმო
ჩენას ცდილობთ.

— რწმენაშია ჩემთვის ხსნა: მე მარადიულ ცხოვრებაზეც კი არ ვლაპა
რაკობ — არ ვიცი, როგორ შეიძლება რწმენის გარეშე იცოცხლო ჩვენსაში,
დროებითში.

— კარგია, თუ აგრეა...

— მე მესმის, როგორ ცოცხლდება სული, როგორ აღდგება მკვდრეთით.
ხოლო წერისაგან როდი აღდგება იგი. მაგრამ მონასტერში არ წავალ — მე ვა
ლიშვილი მყავს.

— აცადეთ იაროს საკუთარი გზით.

— ის კიდევაც მიდის საკუთარით. მაგრამ ჯერჯერობით მე მას ვჭირდები.

— ხომ ხედავთ ერთ ადგილზე ვიტკეპნებით. ჩვენ ხომ უკვე ვისაუბრეთ ამ
ის შესახებ. თქვენ თხოულობთ ჩემს რჩევებს, მაგრამ არ ასრულებთ მათ.
შვილს დედა ყოველთვის დასჭირდება, მაგრამ ნახევარი წლის წინათ, როცა
თბილისში დავბრუნდი, რომ პასპორტი ამეღო და მონასტერში ჩავწერილიყა
ვი, დედასთან არც კი შემივლია.

— იქნებ არ გიყვარდათ იგი...

— აი, აი, სწორედ ეს მითხრა იმანაც. თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენი
შვილია ასეთი კარგი, სხვისები კი ცუდი შვილები არიან?

— ის კი არც მაგდენად კარგია?

— დიმიტრი? შეხედეთ ერთი, როგორი ამაყია. რა მაღალი აზრისაა საკუ
თარ თავზე. ასეთი ხალხისაგან ცუდი ბერები დგებიან. მაგრამ მათ შეუძლიათ
მიაღწიონ მღვდელმთავრობას. მართონ ეკლესიები. ღმერთის გარდა მათ ესაჭი
როებათ საზოგადოებაც. თუ ასე გაგრძელდა, ორი წლის შემდეგ თქვენ მას
ხელს შეუშლით.

— ჰოდა, მაშინ წავალ...

— ის თექვმეტი წლისაა. მან ჰიმნი დაწერა... რა უნდა მოემოქმედა შემ
დგომ ამისა? გადაეცა ილუმენისათვის და მორჩა. ის კი შემდეგ თვითონ მოქმე
დებდა. ისიც კი მოიფიქრა, ვისთვის უნდა მიემართა, რომ პატრიარქთან წარ
ედგინათ.

— მას მიაჩნდა, რომ ეს შედის ამოცანაში.

— ხედავთ, რას ჩადიხართ თქვენ ახლა? მეკამათებით. მაბათილებთ — პი
რში ბურთს მჩრით.

— მე მომყავს შემამსუბუქებელი გარემოებანი — ეს საყვედური უმარ-თებულო მეჩვენა, ისევე, როგორც არჩილის ამასწინანდელი საყვედური სოკოს თაობაზე.

— არ არის საჭირო შერბილება, თუ სიმართლის გაგონება გინდათ. პირიქით, უნდა მეთანხმებოდეთ, უნდა ამბობდეთ: „დიახ, იყო კიდევ ასეთი შემთხვევა“... თქვენ კი გაწყობთ, რომ თქვენს აზრზე დარჩეთ. ამაში რაღა საჭიროა ჩვენი საუბარი? აბა, კიდევ რისი თქმა გსურთ?

ჰოდა, მთელი მატარებელი ლიანდაგს ასცდა. მის ამ გაქანებაში ანაზდად ამოტივტივდა არჩილსა და ბენედიქტეს საუბრის შედეგად დარჩენილი ნალეჭი.

— რა სიმაღლიდან გვსჯით ჩვენ...

—თქვენ ასე ისურვეთ.

— მე ასეც მინდა. მაგრამ აი, ბენედიქტე მიხსნიდა დღეს, რომ ქალი — ეს არის საცთური. როგორ აფასებთ ამას თქვენი სიმაღლიდან?

მან თვალები დახარა.

— მოგწონთ თუ არა თქვენ — ბერები ასეთად რომ ხედავენ ქალებს?

— თუ ეაცობრიობის მოდგმის ნახევარში დაინახავთ არაქრისტიანებს, არა ადამიანებს საერთოდ, არამედ მხოლოდ საცთურს... სიტყვაც როგორი არაწმიდაა. როგორ შევუერთოთ ეს ღმერთსა და ქრისტიანულ სიყვარულს?

— თქვენ გავიწყდებათ, რომ არის ეშმაკიც... საკმაოდ ვერ შეგიფასებიათ მისი როლი. — მამა მიქელის სახე ახლა დახურული იყო, როგორც სახლი, დარაბებჩამოშვებული. — თქვენ თითქოს ფიქრობთ, რომ ქრისტიანობა — ეს მხოლოდ დღესასწაულია მზითა და სანთლებით. ხოლო გოლგოთა სწორედ იერუსალიმში შესვლას მოჰყვა. ეს სიყვარული უსასყიდლოდ რომ გვეძლეოდეს, ვინ არ დათანხმდებოდა ქრისტიანი გამხდარიყო? მაგრამ რაც უფრო ხშირად ცდილობს ადამიანი ამაღლდეს, მით უფრო მეტ ბოროტებაზე უნდა გაიმარჯვოს მან საკუთარ თავშიც და ირგვლივაც. და ბოროტება შურს იძიებს მასზე. ესაა სისხლიანი ომი, არა სასიცოცხლოდ, არამედ — სამკვდროდ. იმიტომ, რომ დიდია საგადასახადო თამასუქი: ხვედრი სულისა და მარადისობისა. და ამ ომში ქალიც შეიძლება მახე გამოდგეს და თვითონ ადამიანური ბუნებაც...

ჩვენ ჩუმად ვისხედით ერთმანეთის პირისპირ, როცა ბენედიქტე შემოვიდა და გამკილავი მზერით აგვხედ-დაგვხედა.

ილუმენს ჩაეცინა, როგორც კაცს, რომელსაც დანაშაულზე წაასწრეს, და დიაკვნის შესახვედრად წამოდგა.

მე ვიჯექი, ზურგით თივის ზვინს მიყრდნობილი. მდელობის ქორფა სიმწვანეში ისევ ისე ანათებდა ბალბის პაწია ფანრები. გამჭვირვალე სილურჯეში გამჭვირვალე ფრთებით დაციმციმებდნენ ჭრიჭინობელები. ყელები ზუზუნებდნენ. ახლო მანძილზე ყველაფერი დამაბრმავებელი ოქროსფერი შუქით იყო წალეკილი. მზით გაშუქებულ მწვანე ფერდობზე რელიეფურად, მკვეთრად გამოიკვეთა ხეები, ტოტები, თითოეული ფოთოლი. დაეხეტებოდა. მძიმედ დაბიჯებდა, მზეზე ბზინავდა მწითურ-ყავისფერი ცხენი. კუდით იგერიებდა ბუზანკლებს. მის უკან, ხრამისა და ხეობის ხეებს გადაღმა, მკვეთრად გამოცალკევებულ და შორეულ მეორე პლანზე, სქელი რძისფერი მირაჟის მიღმა ილანდებოდა მთები. კამარად დიოდა ხვატი. დღე აღსავსე იყო სინათლით, როგორც ღვთის კურთხევა.

მე კი ძალა არ მქონდა, წამოვმდგარიყავ და გავცლოდი ჯვარს. მეტისმეტად მკვეთრად დამთავრდა ყველაფერი და ამან მომცელა.

შეიძლებოდა მდელობზე ვინმე გამოსულიყო. მე კი აღარავისი დანახვა აღარ შემეძლო. წამოვდექი და ბილიკით გავსწიე ტყისკენ, მონასტრული ნაგნახელების მხარეს. ოდესღაც ბერები აქ თვითონვე აყენებდნენ ყურძნის ღვინოს. აქ ჯერ კიდევ შემორჩენილიყო მიწაში დამარხული ქვევრების ნეკერჩხედილი თავსარქმელი და ლემნამოდებული მცირე ჭაობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ უკან ძლივს შესამჩნევი ბილიკით დავეშვი ხრამისკენ და ბალახში ჩავწექი.

დაბლა მდინარე ხმაურობდა. ირგვლივ უძრავად იდგნენ ხეები. აღარ გამაჩნდა აღარც ძალი და ღონე, აღარც ნაღველი, აღარც აზრები, ცრემლი კი მდიოდა და მდიოდა ღაპაღუპით. და არც მინდოდა თავი შემეკავებინა. მზით გამთბარი წიწვისა და ხმელი ფოთლების სურნელი იღვრებოდა. „ჭიკ-ჭიკ!...“—ყღურტულებდა ჯაგნარში უჩინარი ჩიტი და ეს სუფთა, კამკამა, წკრიალა ხმაც ჩემში ცრემლებად პოულობდა გამოძახილს. ჯაგნარის მილმა ვხედავდი ბალახის ღეროებს, გალმა ნაპირის ყვითელ ხრამს, ღრუბლებს მის თავზე.

მერე ცრემლი დამიშრა.

ისეთი ღრმა სიწყნარე დამეუფლა, როგორიც წინათ არასოდეს მსმენია ჩემში. შორეული და მახლობელი წარსული, სიტყვები, ცრემლი — ყველაფერი სიჩუმეში დაიძირა. დარჩა მხოლოდ ის, რაც აქ იყო და ამჟამად არის. ხოლო ეს აქ და ამჟამად გამჭვირვალე შეიქნა სინათლისა და ღვთისათვის.

ძირს ნელა მოხმაურობდა მდინარე. ბეჰელა, ფრთისქვეშ მოხატული შავი და ოქროს ორნამენტით, ხრამზე დაკიდებული ბალახის წკირზე ამობრუნებული, თვით ბალახის წკირი, ჩემი ხელის თითები ატარებდნენ მზეს და ბალახზე მზის ლაქები იყო გაწოლილი. მე დავცქეროდი ხაზების ნახატს საკუთარ ხელისგულზე, ერთმანეთში ჩაწნულ გადამკვეთ ხაზებსა და შტრიხებს, რომლებშიც შეიძლებოდა მეპოვა ხაზი ცხოვრებისა, ხაზი ნაღველისა, სიყვარულისა... გუშინ ამ სუსტ ხორცში შემოვიდა ღმერთი და ჯერ კიდევ ცოცხლობდა მასში. ჩემი ნამტირალევი თვალებით ის დასცქეროდა ბეჰლის ფრთებს, მერქნის ნახატს, თვით მის მიერ შექმნილ დღესა და ტყეს. და ღმერთს და ქვეყნიერებას შუა აღარ იყო აღარც მიჯნა და აღარც მანძილი, ის იყო ჩემში, ბალახში მწოლიარეში, და ჩემს ირგვლივ, მე კი ნათლად, მადლიერებითა და სრული სისავსით ვგრძნობდი, რომ ის აქ არის.

ზოგჯერ მე მას ვეუბნებოდი სიტყვებს, რომელთა გამეორება შეუძლებელია. სხვა დროს მე და ის ვდუმდით. მაგრამ ამ მდუმარებაში მეთქვა ის, რის გარეშეც ჩემი წინანდელი ცხოვრება, საკუთარი და სხვათა სიტყვებით წალეკილი, ცარიელი რჩებოდა.

ასე განელო სამმა-ოთხმა საათმა.

და თუ რომ ცხრამეტი დღე ჯვარზე — საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში, მაშინ ეს საათები იქ გატარებული ცხოვრების გულისგულია.

მზე ჩადიოდა. მე ფეხშიშველი მივყვებოდი მდინარის ქვის კალაპოტს. თან მიმქონდა ჩემში ჩაბუდებული სიწყნარე და ვშიშობდი, არ მომერიალებინა იგი. მინდოდა ასე, მდინარის კალაპოტით, წავსულიყავი მონასტრიდან და აღარ დავბრუნებულიყავი. ვისიმე დანახვა და არასაჭირო სიტყვების წარმოთქმა ჩემს ძალას აღემატებოდა.

რჩებოდა კიდევ სამი საათის ლოდინი, დაბრუნება, როცა დაბნელდებოდა. ხვალ კი დაბრუნდებოდა მიტია და ერთად წავიდოდით.

სიბნელის დასადგურებამდე ხის ძირში თბილ ქვაზე ჩამოვჯექი, ბილიკთან, მონასტერში რომ მიდიოდა. ზურგით ხის ტანს მიყრდნობილმა ხელები მუხლებზე შემოვიხვიე.

დაღამდა. შემოგარენში შემაძრწუნებელი სიწყნარე ჩამოწვა. აცივდა. უფერულ ცას ვარსკვლავები დააჩნდა. ცა სილურჯით [illegible] სილურჯე დედდებოდა. მე მსიამოვნებდა მეცქირა, როგორ ამოდიოდა მთებში მთვარე, ფოსფორული შუქით აღვსილი.

მეთერთმეტე საათი იყო, როცა გავედი თივის ზვინიან მდელობზე, რომელიც მწვანე შუქში ლივლივებდა. შუაგულ მინდორში თივის ზვინი და ხეები შავ ჩრდილებს ფენდნენ. და ირგვლივ შავი ცხენი დაეხეტებოდა და ხმამაღლა დაფრუტუნებდა.

მონასტრის მხრიდან ყვირილი მოისმა: „ა-ა-ა-ა-ა!..."

ყვირილი უსიამოდ გახმიანდა ჩემში: მაშასადამე, მე დამეძებდნენ და მელოდა კიდევ საყვედურები და ახსნა-განმარტება.

ზედა ბილიკი ისე ავლილ, არავინ შემხვედრია. მაგრამ ჩემს სენაკთან ორნი იდგნენ. სიმაღლითა და ქუდით ვიცანი ილუმენი.

— ვინა ხარ? — თითქმის წამოიყვირა მან, როცა მივუახლოვდი. — ვინა ხარ? — მე საკმაოდ ახლოს მივედი, რათა არ მეპასუხა მისთვის, მაგრამ ვუპასუხე:

— მე ვარ.

— სად იყავით? არავინ შეგხვედრიათ?

— არა.

ილუმენი სწრაფად წავიდა სახლის მხარეს.

—რესტავრატორები და არჩილი თქვენს საძებნელად წამოვიდნენ, — ამიხსნა ბენედიქტემ.

მონასტრის თავზე ზედიზედ იჭრებოდა და ქრებოდა წრიული შუშხუნები. შემრცხვა. რომ ეს თოფისცემა და განგაში ჩემს გამო ატყდა, მაგრამ რაღაცნაირად სულ ერთიც იყო.

— ასანთი თუ გაქვთ? — ბენედიქტე სენაკში შემომყვა, სანთელს მოუკიდა.

— მადლობა ღმერთს, რომ მოხვედით... თორემ აქ ერთი დიაკვანი, თქვენსავით გვიან გავიდა აქედან და აღარც დაბრუნებულა.

მის კილოში აღარ ჟღერდა აღარც განრიდებულობა, აღარც მტრობა.

ილუმენის ხმამ ბენედიქტე იხმო. ის გავიდა. მეც გავყევი.

ახლა ჩვენ გამოღებული კარის წინ ვიდექით და მათ სახეები უჩანდათ. ილუმენი ჯერ კიდევ მძიმედ სუნთქავდა.

— სად იყავით?

— მე ხომ გაგაფრთხილეთ, რომ წირვისთვის არ დავბრუნდებოდი.... — სიტყვების გამოთქმა ფიზიკურად მიჭირდა. ამიტომ წყნარად ვლაპარაკობდი.

— მთელი დღე არაფერი გიჭამიათ... წამოდით, ჩაი დალიეთ, — ოდნავ დაუწია ხმას იმანაც, მაგრამ ჯერ ისევ აფორიაქებული ლაპარაკობდა.

— მე არ მინდა ჭამა.

— რა მოგდით? მოხდა რამე?

— არა, არაფერი მომხდარა.

მთელი ამ გრძელი დღის მანძილზე მე ვეთხოვებოდი ჯვარს და მის ბინადართ. მე უკვე გამოვიტირე ისინი და აი, ისინი დაბრუნდნენ და ახლა გვერდიგვერდ იდგნენ. მე კი მქონდა უცნაური გრძნობა, რომ უკვე წავედი და რომ უკვე აღარა ვარ აქ... მე ველოდი, როდის წავიდოდნენ ესენიც.

— წადი, არჩილი მოძებნე, — უთხრა იღუმენმა ბენედიქტეს.

ბენედიქტე წყვდიადმა ჩაყლაპა.

— ჩვენ შეგვეძლო გვეღელვა თქვენზე, — უკვე სავსებით მშვიდად მითხრა მამა მიქელმა.

მე მახსოვდა კილო, რომელზედაც ორივე მელაპარაკებოდა დღეს დილით.

— თქვენ შეგეძლოთ გეღელვათ, ვინიცობაა ჩემ გამო უსიამოვნება არ შეგხვედროდათ, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ არაფერი მოხდებოდა.

— მასხრად მიგდებთ? — გაოცდა მამა მიქელი: აქამდე მე მას ყოველთვის მოწიწებით ველაპარაკებოდი.

— მაპატიეთ, მინდოდა _ წავსულიყავი.

იგი დაბნეული შეჩერდა.

— მე კი ჩემსას ვადგივარ, მოვითხოვ, მითხრათ, რა გემართებათ, — ხმაზე შევატყვე, მსუბუქად ჩაიღიმა, — ახსნა-განმარტებას მოვითხოვ.

მეც ჩავიცინე. მას აღარ გააჩნდა ჩემზე ძალაუფლება.

— წავედით. თქვენ ისამხრეთ და მომიყვებით, სად იყავით. — მის კოლოს დამოკიდებულების ელფერიც კი დაემჩნა, — იქნება ვიღაცამ გაგანაწყენათ? იქნებ ბენედიქტემ მოგაყენათ შეურაცხყოფა?

აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე. მას შეურხაცხყოფის მოყენებაც კი შეეძლო!

— რას დუმხართ?

— უბრალოდ, არაფერი მაქვს სათქმელი.

— მით უმეტეს გჭირდებათ ახლა ვახშამი. წავიდეთ... მე ხომ არ შემიძლია ხელი მოგკიდოთ...

მიჭირდა ამ კინკლაობის გაგრძელება და თან მეშინოდა, ისევ არ ავტირებულიყავი. ძალიან მინდოდა წასვლა.

— მაპატიეთ, მამაო მიქელ. ახლა ძალზე მიმძიმს თქვენთან საუბარი. ხვალ ყველა თქვენს კითხვაზე გიპასუხებთ.

— იქნებ ეს... ლიტერატურაა?

ასე ეძახდა ის ყოველგვარ ემოციებს.

იგი შეტრიალდა და ისე წავიდა, არაფერი უთქვამს.

მე კარი ჩავკეტე და ფანჯრებზე ფარდები ჩამოვუშვი. ცოტა ხანს ვილოცე ღვთისმშობლის ხატის წინ და სანთელი ჩავაქრე. თითს ვერ მიიტანდი თვალთან — სრულიად შავი იყო ყველაფერი. მერე ფარდის კიდეს ლურჯი ჭუჭრუტანა დააჩნდა. ღამეს და ტყეს მხოლოდ პოლიეთილენის აფსკი მაშორებდა. ფანჯრის მილმა მდგარ ამ სიშავეში უეცრად მუქარა მომეჩვენა.

ტანთ გავიძრე, შევწექი და ჩემი თავი ვიხილე ხრამის პირად, ბალახზე და, თითქოს სიზმარში, ამ მდგომარეობაში წყნარად ვიწყე ჩაძირვა — ხანგრძლივი ცრემლთადენისა და გამოფიტვისაგან, მერე კი სივრცე მაღლიანი და ნათელი გახდა.

შიშმა გამომაღვიძა. ვიწექი და სიბნელეს ვაყურადებდი. მხოლოდ საკუთარი ყრუ გულისცემა მესმოდა, მაგრამ ასე მეჩვენებოდა, თითქოს კარს უკან

ვიღაც იდგა. არ ვიცოდი, რამდენ ხანს მეძინა, რამდენიმე წუთს თუ საათს. ვერ გავბედე ასანთის ანთება და სიბნელეში უხმაუროდ ჩავიცვი.

ხელის ფათურით ჩამოვხსენი ხატი, მკერდში ჩავიხუტე და მუხლებზე დავეშვი. ვიდრე არ ინათა, ლოცვით ვევედრებოდი ღვთისმშობელს საკუთარ თავზე, იღუმენზე და ბენედიქტეზე. ხატს შევთხოვდი, თვისი პატიოსანი კალთით დავეფარეთ ყოველგვარი ბოროტისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს არჩილს არ გავუღვიძებივარ. დილის წირვა გამოვტოვე და დაბლა ტრაპეზისათვის ჩავედი.

წყაროსთან რესტავრატორი შალვა შემხვდა. მას გადაპარსულ თავზე ნავი ჯაგარი ამოწვეროდა და შალვას რცხვენოდა ამისი. ის ბერთან ერთად გუშინ ჩემს საძებნელად წამოსულიყო დაბაში და უფრო შორსაც, ნასოფლარამდე და ახლა მე მას ბოდიში მოვუხადე შეწუხებისათვის.

— დიდი ხანია მინდოდა მესაუბრა თქვენთან რწმენაზე, — მითხრა შალვამ.

— ვშიშობ, ველარ მოვასწრებთ... ესეც არ იყოს, რატომ მაინცადამაინც ჩემთან? ღმერთზე ჯობს იმას ესაუბროთ, ვინც მთლიანად მას მიუძღვნა თავი... იღუმენს ელაპარაკეთ...

თურმე ის და მამა მიქელი ერთხელ უკვე მსხდარან მინდორში შუადამემდე. მერე იღუმენს შალვასთვის კატეხიზმო მიუცია, ელისთვის კი წიგნი — ლიტურგიის მისტიკურ დანიშნულებაზე.

კიდევაც შევნიშნე, რომ ყველამ მოუხშირა წირვაზე დასწრებას: გურამი და შალვა ტაძარში იდგნენ, ელი და ნონა — ზღურბლს გადაღმა „სული — თავისი ბუნებით ქრისტიანია", იგი შეიცნობს ჭეშმარიტებას, ოღონდაც ახლოს უნდა მიხვიდე.

იღუმენმა შემომხედა. კარებშივე გამოვთხოვე კურთხევა და საუზმის გასაცხელებლად გავეშურე.

ტრაპეზის დასასრულს მანქანას ამოჰყვა მიტია — ქალები ერთი დღით დარჩენილიყვნენ.

იღუმენის თანდასწრებით მიტიას რცხვენოდა ალერსიანი ყოფილიყო, მაგრამ სიხარულისაგან დაავიწყდა ეს და ლოყაზე მაკოცა. მოვიდა ჩემი საყვარელი ბიჭი, მადლობა ღმერთს...

ყველანი სატრაპეზოს უკან ვისხედით და მიტია გვიამბობდა დღესასწაულზე სიონში, რომელსაც თორმეტი მთავარეპისკოპოსი ესწრებოდა — საქართველოს სინოდი შემდგარა მეცამეტე ეპისკოპოსის, ჩვენი იღუმენის თახატოლისა და მეგობრის ხელდასასხმელად.

მიტია სტიქარით შემოსეს თურმე და ისე მიართვა უწმინდესს ჰიმნი. მერე კი ისიც გამოდიოდა კელაპტრით ხელში და პატრიარქს ორხელს აწოდებდა.

— ჰო, დედა, პატრიარქმა მკითხა, როგორ მოგწონთ ჯვარიო, და გვაკურთხა, რომ აქ ზაფხულის ბოლომდე დავრჩეთ.

ჩემს ბიჭში დუღდა და გადმოდიოდა სიხარული, მე კი დათრგუნვილი ვიყავი იმით, რაც უნდა შემეტყობინებინა მისთვის.

ნასადილევს ჩვენს სენაკში მიტია ნეტარებით გაიჭიმა საწოლზე. ამ ორდღიანი დღესასწაულის მანძილზე დაღლილიყო. მაგრამ მაინც მიამბობდა იმაზე, რაკ ნახა, ღმრთისმსახურებაში არ გამოუტოვებია არც ერთი საშახსოვრო წვრი-

ლმანი, ჩვენთვის ამჟამად, აზრით ესოდენ აღსავსე. მეცოდებოდა. არც ერთხელ არ შემიწყვეტინებია, დილამდე დიდი დრო რჩებოდა.

გამოღებული კარის წინ ვიჯექი, როცა მწვანე და ყვითელი კარის ლიბაში ილუმენის მუქი ფიგურა გამოჩნდა. წინათ ის ჩვენთან არასოდეს მოსულა. მისი აქ გამოჩენა რაღაც მნიშვნელოვანს მოასწავებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერონიკა, მე თქვენთან საუბარს ვსაჭიროებ.

— შემოდით, მამაო მიქელ.

— არა, მე არ შემოვალ, თუ შეიძლება, თქვენ გამოდით, გეთაყვა.

სარაფნის ზემოდან ხალათი წამოვისხი, თავსაფარი გადავიკარი და უკან კეფაზე გამოვინასკვე.

ესიტყვოდ დავეშვით ფერდობზე.

იმ ფერდობზე ვისხედით, რომელიც ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ მამა მიქელმა გათიბა. მაშინ მინდოდა ვმჯდარიყავი იქ მასა და მიტიასთან ერთად და აი, ახლა ორნი ვართ აქ. ოდნავ ქვემოთ ხრამისპირად იდგა ჩვენი ცარიელი, მზეზე გამოხუნებული კარავი. ქვემოთ მინდორზე ისევ ამოჯეჯილებულიყო ბალახი. მის ახლოს, მარცხნივ თეთრად ქათქათებდა ფართოაივნიანი სახლი. იქ ბენედიქტე ბოლთას სცემდა და ჩვენც კარგად გვხედავდა.

ჩვენ წინ აღმართული იყო ტაძრის ნათელი ტანი და მთაგორიანი სივრცე ხვატით ბოლავდა.

ჩვენ ზემოთ ცის სილურჯეში ქულა ღრუბელიც კი არ ჩანდა. ხოლო იქ, გადაშლილ სიმაღლეში მიმდინარეობდა რაღაც ნელი შენაცვლება, მოძრაობდა ლაჟვარდი და ნათელი და ურთიერთით იმსჭვალებოდა. სული ამ ცოცხალი უძიროების ჭვრეტით ვერ ძღებოდა.

— ვერონიკა... მე მგონი, გითხარით, რომ მხოლოდ ექვსი წლის წინ მოვინათლე, — დაიწყო მძიმედ ილუმენმა, — ყმაწვილკაცობაში მეტისმეტად თავისუფალ ცხოვრებას ვეწეოდი. ჰოდა, როდესაც მოდის ადამიანი მონასტერში, ეს აწვალებს მას აქ. ყველაზე ცუდი — ამოუძირკვავი წარსულია. თქვენ ერთხელ მკითხეთ, რა არისო თქვენთვის ყველაზე სამძიმო ბერობაში... ერთ დროს აღსარებაზე ჩემთან გზავნიდნენ ხოლმე ყველას — ქალიშვილებსაც და ყმაწვილ ქალებსაც, მე ვთხოვე უწმინდესს, აქ ამოსასვლელად აღარავისთვის აღარ მიეცა კურთხევა.

მუხლებზე ხელებშემოხვეული ილუმენი წელში გამართული იჯდა, პირდაპირ იცქირებოდა და მძიმედ, სასტიკად ლაპარაკობდა. განუყრელი შავი ქუდი შუბლზე ჰქონდა ჩამოფხატული.

— და აი... თქვენდამი მე ამ მდაბალ ვნებას განვიცდი.

ეს უცნაური აღიარება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ არ დავუჯერე. პირველ წუთებში ისიც კი გავიფიქრე, სხვას გადაეფარა, საკუთარ თავზე აიღო სხვისი ცოდვა-მეთქი.

— მე რამდენჯერმე მიგანიშნეთ ეს. მაგრამ თავი აარიდეთ ანდა ვერ მიმიხვდით.

— რატომღაც ამ მოიარებით ნათქვამს არამც და არამც თქვენ არ მოგაწერდით და ბოლომდე აქ არავისთვის არ შემეძლო მიმეწერა ეს. უმალ ვიღებდი ისე, როგორც განყენებულ საუბარს... სულიერი ურთიერთობის საშიშროებაზე.

— მე კი საკმაო სიცხადით ვლაპარაკობდი ამაზე: ჩემსა და თქვენს შორის არ შეიძლება არსებობდეს სულიერი სიახლოვე. შესაძლებელია სხვა შე-

მთხვევები... მაგალითად, დამოკიდებულება ჩემსა და დავითს შორის, ჩემი მხრივ, გულისხმობს გარკვეულ გრძნობას მისი ცოლისადმი.

— მე ალბათ მიმაჩნდა, რომ ჩემი და თქვენი დამოკიდებულება გამორიცხავს ამას.

მეც ვცდილობდი მშვიდად მელაპარაკა. მაგრამ ახლა ვბრალობდი უცაბედ, არა ყველაზე შესაფერის სიტყვებს.

სინამდვილეში რატომ ვერ ვამჩნევდი იმას, რაც მას აშკარად მიაჩნდა? ეს „რატომ" მოიწევდა სიღრმეში, რომელსაც შეგნებაში ჯერჯერობით ჩქმალავდა ჩვენ მიერ ეს-ეს არის წარმოთქმული სიტყვები.

— ოქმა არ უნდა, გამორიცხავს. მე ეს ვიცი, ისევე, როგორც იცით თქვენ. მაგრამ კაცს ხორცი ასხია, ხორცი ვნებიანია. საქმით თუ არ შესცოდავს, გუნებაში შეცდება. ბერობა სწორედ ეს უხილავი ბრძოლაა საკუთარ ვნებიან ბუნებასთან. ღმერთის სიტყვა ორლესული მახვილივით აღწევს. სულსა და სამშვინველს, ტვინთა და სახსართა გათიშვამდე, — როგორც პრძანებს მოციქული, — და სჯის გულისთქმათა და ზრახვათა — თქვენ გესმით, რა საშინელება იმალება აქ თავს? და რაოდენ მტკივნეული...?

მე მეჩქმოდა — ახლაღა. წინათ კი, სრულიად სხვა დროს, თითქმის წარსულს ჩაბარებულ დროს, მეც განმიცდია ეს ტკივილი.

— მე არ მრცხვენია, გითხრათ ეს ყველაფერი...

იგი უფრო წყნარად, უფრო რბილად ალაპარაკდა.

— არ არის არაფერი დაფარული ღვთის წინაშე, ღვთის თვალთა წინაშე ყოველივე განშიშვლებულია. რა შემიძლია ვუპასუხო მას ახლა, ჩემთვის რომ ეკითხა: „ადამ, სადა ხარ?". ალბათ მეც მოვინდომებდი დავმალოდი მას ტაფჭალაში, იმიტომ, რომ გუშინ განვუდექი მას. — მე ვდუმდი და მან მკითხა: — ეს აღსარება თქვენს თავმოყვარეობას ესალბუნება?

— აბა რანაირად? მე მგონია, რომ აღსარებითაც კი გინდათ დამჭრათ — რაც შეიძლება მტკივნეულად.

— ვინ იცის, ვინ იცის... — ჩაიცინა მან. ისევ თავის წინ ანუ თავის თავში იცქირებოდა; არც ერთხელ არ შემხებია მზერით,—მინდოდა რაც შეიძლება უხეშად გამომეთქვა; ასე უფრო იოლია. ესეც სიამაყისგან გვჭირს... ჩვენ ყველანი ძალზე ამაყი ხალხი ვართ. ღმერთთან მიახლოების გზაზე არაფერია იმაზე ძნელი, ვიდრე საკუთარ სისუსტეთა თვინიერი შეგნება... და მონანიება. მაგრამ არ მინდა, პრეპარირება გავუკეთო ამ ჩემს გრძნობას თქვენდამი. ვინ იცის, ბოლომდე რას აქვს და რას არა აქვს მნიშვნელობა?

ახლა ის ღრმა, სანუკვარი, რასაც ჩავწვდი მასში ტაძარში ჩემი აღსარების შემდგომ, კვლავ ყრუდ ისმოდა მის თანაბარზომიერ კილოში:

— საიდუმლო იქნებ ჩვენს სულიერ თვისებებში იმარხავს თავს... — ჰო, არ მივარაუდია — შთაბეჭდილებებით მდიდარ ჩემს ბიოგრაფიაში არ მქონია ასეთი შემთხვევა, თურმე შესაძლებელია შინაგანად ახლოს იყო ქალთან, და ეს მაშინ, როცა მისგან ასე შორსა ხარ... მთელი ბედ-იღბლით, წარსულით, აწმყოთი და ყველაზე მეტად — მომავლით: მარადიულობაში როდი შევხვდებით. ერთად ხსნა საერთოდ ძალზე ძნელია. მე კი თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მე ეს არ გამომივა. „მალე მოვკვდები და ჩემი დაწყეველილი სული ჯოჯოხეთში დაინთქმება"... თქვენ კი უკეთეს ხვედრს გისურვებთ.

რაც უფრო ნაკლები რჩებოდა ახლა მასში ადრინდელი პოზა, თამაში, მით უფრო იძაბებოდა სივრცე ჩვენ შორის.

— და მაინც მე ვიცი, რომ ეს ცეცხლია... — მშვიდად თქვა მან. — შეიძლება ის თქვენც მოგედოთ. და მაშინ ყველა დაბრკოლებას აღგვის.

ნაღველი, რომელიც გავიგონე მის თანაზომიერ ხმაში, მწვავედ მისწვდა ჩემს გულს და გული დამწყდა, რომ არაფერი ვიცოდი არც მის წარსულზე და არც მომავალზე. განა რა არის ამოუშანთავი ვნებები? ეს ისიც არის, როცა ადამიანმა ვერ მოასწრო შეეყვარებინა, ვერც დასწვა სულ, ვიდრემდე სიკვდილის ცელმა არ განაცალკევა ხორცისაგანაც და ვნებათუქმნელი სულისაგანაც.

— თქვენ ალბათ ელით გითხრათ, რომ ჩვენ მივემგზავრებით.

— სხვა რა გზა დაგვრჩენია! — შემეხმიანა იგი, — ჩვენ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ გვერდიგვერდ. — მით უფრო ამ საუბრის შემდგომ... მე არ მინდოდა ეს. ვდუმდი უკანასკნელ ზღვრამდე, გუშინ, როცა თქვენ დაბრუნდით, მე ლაპარაკი მინდოდა თქვენთან და ყველაფერს სხვაგვარად ვიტყოდი.

აქ კი თავში რაღაცამ გამკრა:

— წუხელ, გვიან... ეს თქვენ მოხვედით?

იგი იდაყვზე დაეშვა. მერე სულაც გაწვა ბალახზე, თითქოს ზამბარა, რომელსაც აქამდე იგი სწორად და წელგამართულად ეჭირა, გაუწყდა, ხელები თავქვეშ ამოეწყო, იწვა და უცქერდა ჩვენ ზემოთ მფეთქავ სილურჯეს.

— კი. მე ვიყავი.

ხმელი ღერო მოწყვიტა. დუმდა და ღეროს წიწკნიდა.

ოდნავ შებრუნებული ვხედავდი მის გულღია სახეს, რომელსაც ახლა ჩვეული ირონია არ ედგა ფარად და იღუმენის თვალებში ციური ნათელის ანარეკლს ვჭვრეტდი.

— კი მაგრამ, თქვენ საიდან იცით? ჩემი დანახვა თქვენ არ შეგეძლოთ. არც გაგონება.

— მე თქვენ გიგრძენით.

— აჰ, აი, თურმე რა... — თითქმის ჩაიცინა. — მაშ ამაოდ გამოგტყდომივართ. თუმცა ახლა სულ ერთია. ვე-რო-ნი-კა... მე თქვენთან აღსარებაზე მოვედი.

— მგონი, ძალიან გვიან იყო.

—მგონი. თუმცა საათზე არ დამიხედავს. მე მარტო ის ვიცოდი, რომ სხვა დრო ჩვენ არ გვექნებოდა. ასე ხდება ხოლმე — შენში რაღაც თავს იმალავს, დულს, იზრდება... უცებ — აღსრულდა... სად იყავით მთელი დღე? მაინც სად დაიკარგეთ?

— მდინარის პირას.

— რას აკეთებდით, იქ, ბანაობდით?

— არა. ვტიროდი.

მან ფრთხილად დაუშვა ხელი და იგი უძრავად იდო ბალახზე, ჩემკენ ოდნავ გამოწვდილი.

— რაზე?

— იმაზე, რომ ყველაფერი ასე მალე დამთავრდა ჩემთვის... ჯვარზე.

— ა-ა... — ამოთქვა მან, თითქოს რაღაც სხვას ელოდა.

იწვა ასე ცოტა ხანს, თვალებმილულული. ნელ-ნელა გაახილა თვალები, წამოჯდა, ხელები მუხლებზე დაიკრიფა, ალაპარაკდა. გუშინდელი მღელვარების გამოძახილი ალაპარაკებდა.

— სიბნელის დასადგურებისთანავე ძალიან შემაშინა თქვენმა გაქრობამ. ჩვენს ყრუ მთა-გორებში შეიძლება ერთნაირად გეშინოდეს ადამიანთან და

მხეცთან შეხვედრისა. ზამთრობით მონასტერთან მგლები ახლოს მოდიან, თოვლზე ნაკვალევს ვამჩნევთ ხოლმე... ყველანი ღელავდნენ თქვენ გამო.

— მაპატიეთ.

— არჩილმა მურია წაიყვანა და ტყე-ღრე შემოირბინეს... თქვენ დგეძებდნენ. ამბობდა: ეს მე ვატკინე გული და წავიდაო. მეც... ვეტანებოდი, ეგ მაინც ვერ გავბედე შემოგხმიანებოდით, როცა დავრწმუნდი, რომ შუქი არ გენთოთ; თავს ვერ ვიმართლებ...

— მე კი სურვილიც არ მაქვს გისაყვედურთ... თქვენი ჯვარი გაუსაძლისია ჩემი ძალ-ღონისათვის, და მე არა მაქვს უფლება განგსაჯოთ. ამას გარდა, მე და მიტიამ ძალზე ღრმად ჩაგიბეჭდეთ გულში.

— რატომ მეუბნებით ამას, ვერონიკა? — სახეზე ჩრდილმა გადაეარბინა.

— რატომ? — სიმართლე რომ ითქვას? მაგრამ განა შესაძლებელია თქვა მთელი სიმართლე, დაიჭირო საკრალური სიღრმისეული, ცოცხალი — სიტყვების ქსელით? ყველაზე გარეგან ფენაში იმისა, რასაც მე ახლა განვიცდიდი, იყო დიდი ხნის დაღლილობა ყოველგვარი სიტყვების — ცხოვრების მათით გადატვირთვის, გადაღლილობა საკუთარი არათავისუფლებისა და პოზის დაძაბულობისგანაც კი — მე დამრეც ფერდობზე ვიჯექი, ილუმენისკენ სანახევროდ შებრუნებული, გაწვდილ ხელზე ვიყავ დაყრდნობილი, ისე, რომ გაწითლებულ ხელისგულზე ხმელი ღერების ანაბეჭდი მქონდა დაჭდეული. ამ სულელურ ხალათში მცხელოდა, მინდოდა გამეძრო და სარაფნის ამარა დავრჩენილიყავი, რათა მზე შემხებოდა მკლავებზე; მინდოდა მომეძრო თავსაფარი და გაგწოლილიყავი ბალახზე, როგორც ახლახანს მაშა მიქელი, და მხოლოდ მეცქირა ლურჯი სიმაღლისათვის. და კიდევ, თუმც არც ასე მალე, მეკითხა მისთვის, როგორ ცხოვრობდა ის წინათ, სულ თავიდან, უყვარდა თუ არა იგი დედას, რა მოსწონდა, რას აკეთებდა და რა გადახდა თავს მერე. ის მიყვებოდა იმას, რაც იყო, მე კი შევიტყობდი, როგორი იყო, რა სტანჯავდა, როგორ მოვიდა მონასტერში. დრო გავიდოდა და სივრცე ჩვენ შორის თანდათან ივსებოდა ნდობით, სიკეთით... და სინაზის წადილით.

ამიტომაც ეს ყველაფერი შეუძლებელი იყო.

და კიდევ, ახლა რომ შევყურებდი ილუმენის გულღია სახეს, რომელსაც თითქოს ჩამორეცხოდა წინანდელი დაძაბულობა, ეს ნაცნობი და მხოლოდ ახლადდანახული სახე, ჩაწერტებული და ღრმად ნაღვლიანი, მივხვდი, რატომაც არ უნდა მივახლოვებოდით ჩვენ ერთმანეთს ასე ახლოს.

ხოლო სანუკვარი და გამმსჭვალავი სხეული საკუთარი თავის შეცნობაა. მიუწვდომელი შეცნობა თავისა, სიტყვებისა და მოვლენების მიღმა. გულის სიღრმემდე წვდომის, ბედისწერის მთავარი თემის მიხედვით, მისი ტკივილის მიხედვით...

მე ის ახლალა აღვიქვი. მან კი ადრევე იგრძნო. როდის? მჭრეალი ყვავილებით მოჩითული თავსაფარი რომ მომაჩეჩა? თუ იმ ღამით, როცა ელისაგან გამოვედით! ნამგალა მთვარე დაცურავდა მაშინ აუზის ტუფრ წყალში და მისი გამოსახულება ილუმენმა კენჭით დაამსხვრია, როგორც პირველი გულისწადილი, ჯერ ისევ გამჭვირვალე და ნათელი? თუ იმ ღამით, ალსარებაზე, მცირე ტაძარში, როცა ვსაუბრობდით ღმერთზე და სიყვარულზე და მან მძიმედ დაუშვა თავი ჯვარცმაზე?

ხოლო ჩვენ ჯვარზე გატარებული მხოლოდ და მხოლოდ ეს ოცი დღე როდი გვაერთებდა. ეს გაცილებით ადრე დაიწყო; იქნებ, დროის მიხედვით

დაუმთხვეველ ჩვენს ბავშვობაში, მარტოობისგან, იმ ყველაფრისგან გადაღლილობით, რაც გვპირდებოდა სულის აღვსებას და აგრეც არ აღავსებდა ჩვენს სულებს, და კიდევ განვიცდიდი უაზრო ნაღველს ჩვენი მიწიური ხვედრის გამო, რომელშიც უფლის სიტყვამ — ქერუბიმთა ცეცხლოვანმა მახვილმა — მოგვკვეთა ჩვენ ძელს ცხოვრებისას, სამოთხის შუაგულში მდგარს! და ჩვენ უკვე ვეღარ ვხედავთ ღმერთს და დრო მარადიულობიდან ამოვარდა, და მის გარშემო ჩაქრა მადლიანი შუქი. ამიტომაც ჩვენეულ ჰაერში, ნაყინ[illegible] თაც შიმშილს ვიკლავთ, წყალში — სასიკვდილო ძირმწარაა გარეულ[illegible] განაა, რომ თითოეულ ჩვენთაგანში ტირის და ლოცულობს უკვდავი სული, წარუხოცველი გულისკვნესით, და შეჰღაღადებს ღმერთს: „აბბა, მამაო!" — ხოლო ყოველივე ამის მისთვის თქმა შეუძლებელი იყო და მე ვუთხარი:

— რას ვიზამთ... ხვალ დილით ჩვენ წავალთ აქედან.

ის კი წყნარად, მაგრამ მაშინვე შემეხმიანა:

— რატომ ხვალ? წასვლა შეიძლება დღესვე. ახლავე. მანქანა, რომლითაც მიტია ამოვიდა, ჯერ აქ არის. მე ვკითხე მძღოლს. ამაღამ აქ აპირებდა დარჩენას.

შესანიშნავია... მას უკვე გამოუკითხავს მძღოლის გეგმები. მე კი მინდოდა ყველაფერი ამეხსნა მიტიასთვის, მიმეცა მისთვის საშუალება სული მოეთქვა... მაგრამ ფეხით ხომ არ მივდივართ! გზაში ავუხსნი.

— რად უნდა ამას გადადება? — ძალისძალად ამოღერღა მან. — რაც უფრო მალე იქნება, მით უკეთესი.

პირველად გავუსწორეთ ერთმანეთს თვალი. და იქნებ ამ ხანგრძლივ მზერაში იყო ყველაფერი, რისი გამოთქმაც არც მე და არც მას სხვაგვარად არ შეგვეძლო!

— და აი, დროც აღარ გვრჩება, მამაო მიქელ...

— საერთოდ არც უნდა ყოფილიყო. ხომ ხედავთ! გადავუხვიე ძველთაძველ წესდებას და... მაშინვე დავისაჯე. მაგრამ ამბობენ, ბერისთვის სასარგებლოა, თუ საცთურს გაუძლოო.

— იმისთვის ვისაც უყვარს ღმერთი, ყველაფერი საკეთილდღეოა.

— ვისაც ღმერთი უყვარს... — ფრთხილად გაიმეორა მან. — დიახ, არსებობს მხოლოდ ერთი სიყვარული. უსამანო და უვადო — ღმერთის სიყვარული. მისი გულისთვის უნდა უარყო ყველა სხვა სიყვარული და გაიმიჯნო მთელი ქვეყნიერებისაგან. ცხოვრება ერთ წერტილად უნდა შეიკუმშოს, რომ ყველა რადიუსი წრის ცენტრში შეერთდეს. და ცხოვრების ეს ცენტრალური წერტილი ღმერთია.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ დღესვე გამგზავრება არ გამოდიოდა. როცა მე და მამა მიქელი სატრაპეზოში მივედით, არჩილმა გვითხრა, მძღოლი აქ ღამის გათევას აპირებდა, იჯდა ძელსკამზე წყაროსთან მარტო. მოსწყინდა და გადაწყვიტა წასვლაო. ხვალ, სადილობისას, რესტავრატორებიანად დაბრუნდებაო.

— აი თურმე რაში ყოფილა საქმე... — გაურკვევლად ჩაილაპარაკა იღუმენმა, როგორც ჩანს, მაშინვე ვერ შეურიგდა ამას. — თუმცა, ვინ იცის, იქნებ ასეც ჯობდეს... ხვალ ადრიანად ვილოცოთ. ისაუზმებთ, ყველას გამოეთხოვებით. იყოს ასე, თუ სხვაგვარად არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

მიტია იწვა საწოლზე ქვესაცმელში და კითხულობდა. იგი ჩემს შესახვედრად წამოდგა:

— რაზე ელაპარაკებოდი ამდენ ხანს იღუმენს?

— იმაზე, რომ ჩვენ უნდა წავიდეთ.
— როდის?
— ხვალ!
— ასე უცებ, ხვალვე?
— კარგია, რომ დღესვე არა...
— მერედა რატომ? რა მოხდა?
— აგიხსნი, მერე. მოდი, ახლა მოვემზადოთ. მიტიამ არახჩინი ალო მაგიდიდან.
— არახჩინი მაჩუქეს და, რაღა თქმა უნდა, თან წამოვიღებ.
— შენ გიკვირს? !

ის შეჩერდა, არახჩინით ხელში, კარის წირთხლს მიყრდნობილი. კარს ქილმა იყო სიმწვანე, სინათლე, ჩიტები საამურად ეჭღურტულებოდნენ ერთმანეთს.

— იცი, რა გითხრა, არც ისე ძალიან. გული დამწყდა, რომ ასე მალე და მოულოდნელად, მაგრამ თითქმის არა ვარ გაკვირვებული.
— მაინც რატომ?
— ჩვენ ისე საუცხოოდ მოვხვდით ჯვარზე... ვცხოვრობდით აქ... და აი, ახლა ასე უცნაურად მივდივართ. — მან გაიღიმა, თუმცა ტუჩის კუთხეები აუცახცახდა. — ღმერთმა მოგვცა და ღმერთმავე წაგვართვა. კურთხეული იყოს სახელი უფლისა.

ვიდექი და შევყურებდი შვილს. თმა მოზრდოდა, გამოხუნებოდა. მზეზე ოქროსფრად ულივლივებდა. სახე ოდნავ შერუჯოდა. ხოლო ნაზ, ჩემთვის უზომოდ საყვარელ ნაკვთებში გამოსჭვიოდა სიმტკიცე; მზერა ნათელი და პირდაპირი ჰქონდა.

— მას შემდეგ, რაც ჩვენთან მოვიდა რწმენა, ყველაზე უჩვეულო მოვლენები გარდაგვხდა თავს. აგერ ახლა დღესასწაული სიონში, სადაც სასწაულით მოვხვდი... ყველაფერი წინასწარ ამოუცნობია, და ამავდროულად — ეს მე მხოლოდ ამას წინათ ვიგრძენი — ჩვენს თავს გარდაგვხდება იმ ერთადერთი სახით, როგორც შეიძლება და როგორც უნდა მოხდეს... როგორც დავატარებს ღმერთი, ასე დის მდინარე. ხომ არ შეიძლება კალაპოტი შევუცვალო მას — და ყველაფერი ისე ღრმაა. არაფერი ხდება შემთხვევით. ყველაფერს თავის აზრი აქვს.

ის ზღურბლზე ჩამოჯდა.

— რამდენიმე წლის წინათ ჟურნალში წავიკითხე კათალიკოსის ინტრონიზაციაზე — სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია მეორისა და მისი ფოტოსურათი ვნახე. — აქამდე მახსოვს: აღსავლის ლია კარის წინ პატრიარქი ორხელით და სამხელით აკურთხებდა მრევლს, მე დიდხანს დავყურებდი მის სურათს და ვფიქრობდი, როდესმე კდევაც რომ მოვხვდე საქართველოში, ახლოს მაინც ვერ ვნახავ-მეთქი. და აი, ჩვენ ჩავედით. შევედით კათედრალურ ტაძარში... დავინახე პატრიარქი ლიტურგიის დაწყებამდე, როცა ის საკუთარი ხელით აწვდიდა ყველას სეფისკვერს. მეც მომცა და რუსულად დამლოცა.

მიტია არახჩინის კუთხეებს აწვალებდა თითებით. წყნარი შუქით იყო სავსე და ის შუქი თანაბარზომიერად ანათებდა მის თვალებში.

— მერე ჩვენ ჯვარზე მოვხვდით. მამა მიქელმა მაკურთხა ჰიმნი დამეწერა. მე და შენ ხომ ჯერ არ გვილაპარაკია ამაზე. რამდენი რამ მოხდა. მაგრამ ესეც სრულიად გასაოცარი იყო. როგორ ვწერდი ხოლმე წინათ, როცა ვთხზა-

ედი მუსიკას. დიდხანს ვიჯექი როიალის წინ და თითქოს ჩემგანვე ვიწერდი რაღაცას. უნდა შემეთხზა. მინდოდა შემეთხზა. ძალებს ვიკრებდი. აქ კი მსგავსი არაფერი მომხდარა. მან მაკურთხა და მე დავწერე. თითქოს თავისთავად გადმოიღვარა მუსიკა. მინდოდა ლოცვა და ვლოცულობდი... გახსოვს, ... მენმა თქვა: „დაე გაიაროს მან შენში, როგორც ამან, რაც შენ არ გეკუთვნის".

„ჩვენც ასე უნდა ვწეროთ", — გავიფიქრე მწუხრის ღამისთევაზე.

— მერე სიონის ტაძრის საკურთხეველში წითელი სტიქარიდ... — თორმეტი მთავარდიაკონი ესწრებოდა. უწმინდესი თავის მოჩუქურთმებულ ხის ტახტზე იჯდა, მაღალ ზურგიანზე. მასთან მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა მიმიყვანა, იმან, ვინც სიტყვები დაწერა ჰიმნისათვის.

მუხლზე დავიჩოქე და პატრიარქს ჩემი საჩუქარი მივართვი... და მთელი წირვის მანძილზე მეც, ისევე, როგორც მის ჰიპოდიაკვნებს, მეჭირა პატრიარქის კვერთხი ანდა ვიდექი პრიმიკირიით ხელში — ეს დიდი კელაპტარია — ლავლის კართან. ქართულად მიხსნიდნენ, ესა და ეს გააკეთეო და მე ყველაფერს სწრაფად ვაკეთებდი, იმიტომ, რომ ვიცი წირვა. ზოგიერთები ვერც ხვდებოდნენ, ენა რომ არ ვიცი...

ჩვენ გავჩერდით. მერე მან მკითხა:

— ასე რომ, ყველაფრისათვის მადლობა უფალს.

იღუმენი არ გამოვიდა სავახშმოდ.

მწუხრის შემდეგ კი მთხოვა, ჩაი დაგვალევინეო. არჩილმა და ბენედიქტემ ერთმანეთს გადახედეს და ჩაიზე უარი თქვეს; მიტია კი, რაღა თქმა უნდა, გამოგვყვა.

ნავთის ლამპას მოვუკიდეთ.

იღუმენმა თავის ხელით გამოიღო ლეღვის მურაბა, პური.

გაღებული ფანჯრების მიღმა თბილი ღამე იდგა. გამოსათხოვარი დაჟინებული მზერით ვაკვირდებოდი მის მოძრაობებს, ჩაის სუფრას, ფიცრულ სკამს, ფანჯრის ხარიხას. გამახსენდა, რა კარგი იყო, როგორ გვიხაროდა ყველას, როცა ის ჩამოვიდა, ჩამოგვიტანა ლამპის შუშები, აი, ეს მურაბა და კიდევ სხვაც ბევრი რამ. და ის შორეული მეხთატეხაც ახლა ასევე მშვენიერი მეჩვენებოდა.

— სრულებით არ მეძინება. ეს ღამე ხომ უკანასკნელია ჩვენთვის... — თქვა მიტიამ და მამა მიქელს გაუბედავი იმედით შეხედა.

— რა გინდა შენ, დიმიტრი? — ოდნავ გაულიმა მას.

— ვილაპარაკოთ... თორემ ვინ იცის, კიდევ როდის შევხვდებით?

— რაზე ვილაპარაკოთ?

— ბერობაზე... — წყნარად და რაღაცნაირად ძალზე ნაღვლიანად წარმოთქვა მიტიამ, — როგორ ხდება ეს?

— რა გინდა იცოდე?

— აი ცხოვრობს ხალხი... ყველა სხვადასხვანაირად, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ჩვეულებრივი ცოვრებით. და აი, უეცრად კაცი მიდის ამ ცოვრებიდან სულ, სამუდამოდ... რატომ?

გულში რაღაც ჩამწყდა მისი ამ კითხვის ფარული სერიოზულობის გამო. თითქოს სულრმეში წინათგრძნობის აჩრდილმა დაიბუდა.

— შეუცნობელ არიან გზანი უფლისანი, — ამოიოხრა იღუმენმა.

ჩაი დავაყენე და მომინანქრებულ ტოლჩებში დავასხი. ლამპის შუშა მსუბუქად შეიორთქლა. მაძმა მიქელმა გასწია ლამპა. მერე სულაც აიღო მაგიდიდან და კედელზე მიჭედებულ რგოლში ჩადგა. შუქი უფრო ზომიერი და რბილი გახდა.

— თითოეული სულის მიმართ არსებობს ღვთიური წინასწარგანზრახვა... — თქვა ფიქრიანად იღუმენმა, — ადამიანმა არაფერი იცის ამის შესახებ და ბრმად ცხოვრობს. მაგრამ როცა იგი მის თაობაზე ღვთის წინასწარგანზრახვას უახლოვდება, კარგად გრძნობს თავს, როცა შორდება — ცუდად. ბევრია ისეთი ხალხი, ვინც ცხოვრების ბოლომდე საკუთარი ცხოვრებით არ ცხოვრობს და ვერ ხვდებიან ამას. არადა, იტანჯებიან, თავს ცუდად გრძნობენ, ხელიდან არაფერი გამოუდით... არავინ ჩააგონა მათ ბავშვობიდანვე, რომ საჭიროა იპოვო საკუთარი თავი. ხოლო უამისოდ სხვას ვერაფერს იპოვი, მხოლოდ დაკარგავ ყველაფერს... — მან არახჩინი მოიძრო და ცხელი ჩაის რამდენიმე ყლუპი მოსვა. — ღვთის წინასწარგანზრახვა... ანდა ეს გაგება რომ დაეკარგოთ... მოწოდება, მოწოდებაში ჩვეულებრივ იგულისხმება ნიჭი რომელსამე ერთს სფეროში, მაგალითად, მუსიკაში. შენ რვა წელიწადი სწავლობდი ვიოლინოზე დაკვრას... შეგეძლო მთელი ცხოვრება ამ საქმეს გაჰყოლოდი?

— ალბათ არა. მე მომწონდა მომესმინა მუსიკა, მეგრძნო იგი, შემეარულებინა. პროფესიონალს კი ვირტუოზობა ესაჭიროება... თვეობით უნდა იწაფებოდეს — ჩემთვის ეს მოსაწყენი იყო. ვიფიქრე, მუსიკის შეთხზვა უფრო საინტერესოა-მეთქი, ეს როგორღაც უფრო ფართოა და... უფრო მაღალი.

— იქნებ იყოს კიდევ უფრო მაღალი რამ?

— არ ვიცი, — ცოტა ხანს დაფიქრდა და მიუგო მიტიამ, — უფრო მაღალი ჩემთვის ჯერჯერობით სხვა არაფერი ვიცი.

—მე კი ვიცი. ყველაფერზე მაღალი არის ცხოვრება ღმერთში. ესაა უზენაესი შემოქმედება. იმიტომ, რომ ადამიანი ქმნის არა რაიმე გარეგანს, არამედ საკუთარ მეს. იგი საკუთარ სულს ააღორძინებს... „იყავით სრულყოფილნი, ვითარცა თქვენი ზეციური მამა“... რა არის წმინდანობის იდეალზე უმაღლესი? მხოლოდ და მხოლოდ თვითონ ღმერთი.

— მაგრამ ეს განსაკუთრებული მოწოდებაა... როგორ უნდა მივხვდეთ, გაგვაჩნია თუ არა იგი?

— მამა ლავრენტი ამბობდა: თუ ადამიანი მიდის მონასტერში და იქ მას ყველაფერი მოსწონს, თავისად ესახება და რაც უფრო მეტ ხანს ცხოვრობს, მით უფრო მოსწონს, — მაშასადამე, აქვსო მოწოდება. მაგრამ თუ ყველაფერი ეუცხოება, ორგუნავს, აღიზიანებს, — მაშასადამე, არ გააჩნია.

— თქვენს შემთხვევაში სწორედ აგრე იყო?

— ჩემსაში? შენთვის, დიმიტრი, იქნებ, არც იყოს სასარგებლო, ყველაფერი რომ შეიტყო ჩემზე. თუ ადამიანები მღვდლებზე რაიმე საძრახისს შეიტყობენ, ეს საცთურივითაა მათთვის — რამეთუ ეძლევათ საბაბი შეკრთომისა. და ალბათ დედაც გიფრთხილდება, უარყოფითი შთაბეჭდილებები რომ არ შეგექმნას ცხოვრებაზე, რომ შეინარჩუნო არცოდნა.

მან წამით ჩემს მხარეს მოიხედა:

— არა, მე უფრო ფხიზელი მიდგომის მომხრე ვარ.

იღუმენმა ჩრდილში გადაინაცვლა და კედელს მიეყრდნო. იჯდა. მუხლებზე შემოხვეული ხელები ერთმანეთში ჩაეწნა. ჩვენ მილმა იცქირებოდა. ფანჯრის ხარიხის მილმა. ლამის სიბნელიდან ფარვანა შემოფრინდა და ლამპას დაფარფატებდა.

— შენ თამბაქოს მოწევა თუ გიცდია დღემდე? — მამა მიქელმა ეს ისე ჰკითხა მიტიას, სახეზე არ შეუხედავს.

— არა, არასოდეს... — რატომღაც შვილის მაგიერ ვუპასუხე.

— აგრეც არ გაგისინჯავს, არც ერთხელ? — ხუმრობანარევი უნდობლობით შემობრუნდა ილუმენი წამით.

მიტიას გაეცინა და თვალები დახარა.

— მაშ, კარგი. მაშასადამე, ერთხელ გასინჯე და მერე მიატოვე. აი, მე კარგად მახსოვს რომ არც ერთი სიგარეტი არ მომიწევია. თხუთმეტი წლისამ პირდაპირ ნარკოტიკით — პლანით დავიწყე... მე, როგორც ბრალმდებლები ამბობენ, ცუდ წრეში გავიზარდე: ღვინო, ნარკოტიკები, ჩხუბი... ჰოდა, სხვა დანარჩენიც, რაც კი თითოეულ თქვენთაგანს შეუძლია წარმოიდგინოს. განვაგრძო?... — თვალი გამისწორა მან, — თუ საკმარისია?

უსიტყვოდ დავუქნიე თავი.

— დედაჩემი ინგლისურს ასწავლიდა... მოსწონდა მაღალ საზოგადოებაში ტრიალი, — მან ეს ხელით გვაჩვენა, — პროფესორები, დოქტორები... მე ამ თავლაფისდასხმად ვიქეცი. ის მე მათავსებდა ნარკოლოგიურ სამკურნალოებში, მაგრამ ვერაფრით მშველოდა, ნარკომანობისაგან მე თანდათანობით ვიკურნებოდი, უკვე ციხის კამერაში.

ისევ ისე თანაზომიერად ლაპარაკობდა, როგორც ფერდობზე. თითქოს ყოველწყვიტა, ყველაფერი ეთქვა და მე ვგრძნობდი, რომ ის არამარტო მიტიასთვის ლაპარაკობდა, თუმცა აგრეთვე მისთვისაც.

— მე მინდა, რომ თქვენ დაიმახსოვროთ და კარგად გაიგოთ ერთი რამ: ეს ტიპიური ბერი არა ვარ. სახელოვან საძმოში მე უფრო მძიმე გამონაკლისად შეიძლება ჩავითვალო. თქვენ წაგიკითხავთ წმინდანთა ცხოვრება: თითქოს ყველა მათგანი ღვთისმოსავი მშობლების შვილია და ყველანი ადრეული ასაკიდან ნასაზრდოებნი არიან სუფთა რწმენით. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ეს, შემონაზვნების მეფური გზა: სიწმინდისაგან — წმინდანობისაკენ. ცხადია, ადამის თვინიერ ამ გზას ვერ გაივლი, მაგრამ დაცემაც არის და დაცემაც. ისინიდროვე ადამიანი კი საერთოდ დამახინჯებულია. მანკიერია, პირუკუღმა ამობრუნებული... მე კი, ჩემო კარგებო, თვით ჯოჯოხეთი გამოვიარე და ეს ჯოჯოხეთს ჯერ კიდევ ვატარებ ჩემში. დაიმახსოვრეთ ეს, რათა ჩემი შავი ბედი თქვენს თვალში მთელს სასულიერო წოდებას არ გადასწვდეს. გესმის, დიმიტრი?

— დიახ... — ჩუმად მიუგო მიტიამ.

— და ღმერთსაც პირველად ფსკერზე დაშვებულმა შევღაღადე... და ახლაც ფსკერიდან ვუხმობ, — მან კიდევ რამდენიმე ყლუპი მოსვა და მერე ფერ გაკარებია ტოლჩას, — ჩვენ ჯგუფური ჩხუბისთვის ჩაგვსვეს: ჩვენი კომპანიიდან ვიღაცამ მეორე კომპანიის ვიღაცა დანით დაჭრა. მაშინ ოცდახუთი წლისა ვიყავი. ყველას ხუთ-ხუთი მოგვისაჯეს. რა იყო შემდეგ, თქვენ სიზმარშიც არ გინახავთ... ციხეში მე არავის არ ვემორჩილებოდი იმიტომ, რომ მიჩვეული ვიყავი დაუმორჩილებლობას და კიდევ იმიტომ, რომ დანა მე არ დამტყამს, თავს დამნაშავედ არ ვთვლიდი და შურს ვიძიებდი. და იმიტომაც, რომ მთელი ეს კოლონიური სისტემა ადამიანს კი არ ასწორებს, არამედ სრისავს. მაგრამ მე არ მინდოდა მას გავესრისე. კარცერი რაღა არის? ცემენტის ნესტიანი კამერა, ცივი, უკარ-უფანჯრებო, დღეში ერთხელ — პური და წყალი. კარცერში გაჩერება თხუთმეტ დღეზე დიდხანს არ შეიძლება. მე მეთექვსმეტე დღეს მიშვებდნენ და მეჩვიდმეტეზე ისევ უკანვე მსვამდნენ. წლის ბოლოს სისხლიან ნახველს ვიღებდი, მერე კი ექიმებმა ყოველგვარი სამუშაოსაგან გამათავისუფლეს.

იქ იყო კიდევ ერთი ქართველი, — განაგრძობდა ილუმენი, — თავის

დროზე ცნობილი რეჟისორი. მას შევმთხვა უბედურება — ცოლად ძალიან ლამაზი ქალი შეირთო. იგი თხუთმეტი წლით ჩასვეს ეჭვიანობის ნიადაგზე მკვლელობისათვის. ერთხელაც მომიახლოვდა. „მოდი, გავცვალოთ, შენ შენი ავადმყოფობა მომეცი, მე ჩემს პატიმრობის ყავლს მოგცემ“. „არა-მეთქი, ვუთხარი, არა ვარ თანახმა. ეგ ნიშნავს, აქედან ვადამდე ადრე გამიტანონ კუბოთი“. მან მხოლოდ ხელი ჩაიქნია: „შენი ავადმყოფობა ჩმახია. მე მაგას ოოლად დავაღწევდი თავს“.

და მან მიჩვენა ხათხა-ოოგის სასუნთქი ვარჯიშები. ზოგიერთი ასანები ჩემ წინაშე იყო არჩევანი: განეკურნებულიყავი ანდა მოვმკვდარიყავი. რამდენიმე თვეს ღრმა შესუნთქვაში ვვარჯიშობდი და ყველა ავადმყოფობა გაქრა. ტუბერკულოზის გარდა მე მჭირდა ხერხემლის მალების შერევა. მუდმივი მწვავე ტკივილით: თექვსმეტი წლისას პარაშუტით სიმაღლის ზე ზღვარიდან გადმოხტომისას მარცხი მომივიდა, მე სპორტის ოსტატი ვიყავი. ამაყი ადამიანები იმისკენ ისწრაფვიან, რომ ყველაფერში ზღვარს მიაღწიონ, ხშირად — გადააბიჯონ კიდეც. ....ექიმები ამბობდნენ, რომ მე სულ მუდამ კორსეტი უნდა მეტარებინა, მე კი, ცხადია, არ ვატარებდი და აი, ყველა ავადმყოფობა მოვიშორე თავიდან. შემეძლო ფეხი თავს უკან ამომედო. ხერხემალიც გამისწორდა, ალარც რენტგენი უჩვენებდა არავითარ დაჩრდილვას. როცა მათავისუფლებდნენ, ექიმები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ.

ციხე, როგორც ცნობილია, საზოგადოების ფსკერია. იქ ზემოთ რომ მოექცე, კიდევ უფრო უარესი, სასტიკი უნდა გახდე, ვიდრე სხვა დანარჩენები არიან იქა. როცა ქვეყნიერებას დავუბრუნდი, ყველა ადამიანი ერთნაირად მძულდა.

მაგრამ ხომ უნდა მეცხოვრა! შემეძლო აღმედგინა თავი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ექვსი წელი ვსწავლობდი, მაგრამ მოწყენილობისაგან ვერაფრით ვერ დავამთავრე. ჰოდა, ამას ახლა მთლად დაეკარგა აზრი.

ერთ ჩემს ნაცნობ მხატვარ ქალს იოგებზე დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა და მე კითხვას შევუდექი. უკვე კარგად მესმოდა რომ იოგა რელიგიაა. რომ ჩვენი შესაძლებლობები სულაც არ არის გამომჟღავნებული და დანამდვილებით შეიძლება ისწავლო ყველაფერი, ჰაერიდან საგნების მატერიალიზებაც კი და წყალზე სიარულიც. მაგრამ რისთვის?

ხელში ჩამივარდა ლოდიჟენსკის წიგნი ქრისტიანობაზე. გავვოცდი — რა არის ეს? იოგები ისეთი.... — იღუმენი მხრებში გასწორდა, გაიშალა, მკერდი ღრმა ჩასუნთქვამ გაუფართოვა, მისმა სახემ მნიშვნელოვანი და განყენებული გამომეტყველება მიიღო, — ჯანმრთელნი, ძლიერნი, წმინდანნი არიან... და მათგან სიცივე, უბერავს. ქრისტიანები კი თითქოს პირიქით: დამცირებულნი, დამდაბლებულნი არიან. იოგა სულ მუდამ საკუთარი თავით არის დაკავებული, საკუთარი სხეულით; სულ მუდამ იბანება. იბანს არა მარტო სხეულს, პირს, ცხვირს, ყურებს, კუჭსაც ამოირეცხავს ხოლმე. განდეგილები კი ყველანაირი ხერხით გვემენ სხეულს; თავს გამოქვაბულებში იმარხავენ, როგორც ცოცხალი მსხვერპლნი. და ამავე დროს თითქოს სითბომ დამიარა... დიახ, მე არ ვიცოდი, რა იყო ეს, ოღონდ რაღაც თბილი, რაც ადრინდელ ცხოვრებაში არ მიგრძვნია, ჩამელვარა.

მერე საბარეგა წავიკითხე.

ამან კი შეძრა მთელი ჩემი არსება. ხოლო ამის თქმა იმას უდრის, სრულებით არაფერი თქვა.

რა იყო ეს მაშინ ჩემთვის? ნაწილობრივ ეს ჰგავს ციხიდან გამოსვლას,

ილინდ ნაწილობრივ. თავისუფალი რომ გავხდი, მე ხომ მაინც ისეთად ვრჩებოდი, როგორიც ციხეში ვიყავი. ჩემს რაობას მე ჩემში დავატარებდი, გაჟღენთილი ვიყავი მით. გაჟღენთილი ვიყავი სიძულვილით, ჭუჭყით, მახსოვრობით ადამიანიშვილის დამცირებისა და თავლაფდასხმისა და მთელი ეს სიძულვილი იდგა ჩემში, შიგნიდან მგლეჯდა, ყელში მებჯინებოდა.

და უცბად... ანდა მაშინვე, როგორც ხშირად ამბობს მახარებელი მარკოზი. „მესმა". წავიკითხე სახარება და მივხვდი პილატეს სიტყვებს: „აჰა, კაცი!" წინანდელ უგვან ცხოვრებაზე გადამეხსნა **ღვთაებრივი** სიმაღლე ადამიანის ღირსებისა და ეს ადამიანი — აგრეთვე მეც ვიყავი!

სახარებასთან ერთად იმავე დღეს, ანდა იმავე ღამით, ან კიდევ დღეღამის ერთ უძილო წრეში მე წავიკითხე საუბარი ღირსი სერაფიმე საროვსკისა ციმბირელ მემამულესთან, მოტოვილოვთან, რომელიც წმინდანმა განკურნა დამბლისაგან. როგორ სხედან ისინი ტყისპირა თეთრ მინდორზე. ციდან თოვლის ფიფქები ცვივა... მოტოვილოვი სულ ამას ეკითხება — მაინც რა არის სულიწმინდის მადლი? და ღირსი მამა სერაფიმე მას ეჩვენება ზეპირ შუქში, როგორშიც ეჩვენა ქრისტე მოციქულებს ფერიცვალების დროს... და ეს ახალგაზრდა აზნაურიშვილი, სულ ახლახანს ავადმყოფობით სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული, ახლა კი განკურნებული, წმინდანის სახეს ხედავს მზის ათინათში — შუქმფინარეს. იგი განიცდის მოწიწებულ შიშს და თან გამოუთქმელ სიხარულსაც, იმას, რაც მას ადრე არასოდეს განუცდია და რისი წარმოდგენაც კი არ შეეძლო. ღრმაზე ღრმა ქვეყნიერება, ნეტარება, სითბო, კეთილსურნელება, სიტკბოება — **ფერიცვალება, ალორძინება** სულისა, ყველა სურვილის აღსრულება და ყველა გრძნობით მაძღრობა, ხოლო სერაფიმე საროვსკი ეუბნება მას, რომ სწორედ ეს არის ცოცხალი თანასუფევა სულიწმიდის მადლისა, მასზე გარდამოსული ღმერთის ძალი. ეს იყო პირველი დღე ჩემს ცხოვრებაში, როცა თავი ბედნიერად ვიგრძენი. მე მივხვდი, რატომაც ვცოცხლობდი, იქნებ მე ის განვიცადე, რაც მოტოვილოვმა, თუმცა სხვა დონეზე, ჭეშმარიტად შევიტყვე, რომ არის ღმერთი... და ვიწამე, მაშინვე, უსიტყვოდ და უეჭველად, მთელი სულით, რომელიც კვდებოდა და აღსდგა მკვდრეთით.

მაშინვე მოვინათლე.

რამდენიმე დღეში კი გავემგზავრე ოდესაში სემინარიაში შესასვლელად. ვერ ვბედავდი ფიქრსაც კი მღვდლობაზე. ჯერ თავშიც არ მომდიოდა, რომ სემინარიაში შესვლა განიჭებს ასეთ უფლებას, მაგრამ ჩემთვის აუცილებელი იყო გამეგო ბოლომდე, ჩავწვდომოდი არსს, მიმეღო სისტემატიზებული ცოდნა ქრისტიანობაზე.

შემდეგ... ჩავედი ოდესაში, ინსპექტორთან ნასვამი გამოვცხადდი. მე მუდამ ნასვამი ვიყავი. ერთი მეორეს თითქოს არ გამორიცხავდა. მხოლოდ და მხოლოდ გონებამ, სიცოცხლის მწვერვალმა იცვალა ფერი, სხეული კი ჯერ-ჯერობით იგივე რჩებოდა... ინსპექტორი გან-გან სუნთქავდა, გან-გან იმზირებოდა და ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის თვალებში. ეკონომთან გამგზავნა, რათა მეთხოვა მორჩილის ადგილი სამზარეულოში ანდა სამეურნეო ეზოში. ეკონომი უფრო გულითადად შემხვდა, მაგრამ მითხრა, ყველა სამუშაოს აქ სემინარიელები ასრულებენო. „ჯობსო, — მითხრა,—გაისად ჩამოხვიდეო". მერე გაისად სემინარიელები სად წავიდოდნენ?

მივხვდი, რომ სემინარიაში ვერ მოვხვდებოდი.

ისევე დავლიე. ბუკინისტებში ვიყიდე წიგნი ლაო ძიზე, წავედი სადგურ-

ში, სხვათა ჩემოდნებს შორს მოვკალათდი ძელსკამზე და კითხვას შევუდექ. შინ წერილი მქონდა დატოვებული, დიდი ხნით მივდივარ და უკან დაბრუნებას ალარ ვაპირებ-მეთქი.

ჩემ პირდაპირ ჩემსავით იჯდა ძელსკამზე მწითური გლეხკაცი. ისიც ძველ წიგნს კითხულობდა და ეტყობოდა, არსად არ ჩქარობდა წასვლას. „აი, საინტერესოა, — ვფიქრობ, — რა წიგნი უნდა ჰქონდეს ამ კაცს?". აღმოჩნდა, რომ კაცი წმინდა მოციქულთა საქმენს კითხულობდა. არ დაიხარა, ხმამაღლაც კი წამიკითხა. მართლა ძალიან დამაინტერესა. იმანაც ჩაიხედა ჩემს წიგნში, მაგრამ მაშინვე უკან დამიბრუნა.

„შენ, — მითხრა, — ეს ჩინური ტარაბარა გადააგდე, ეგ ჩინელებმა იკითხონ. შენა გგონია, ჭეშმარიტება აქაც არის, მანდაც და სხვაგანაც? გინდა, ყველა მხრიდან მობოჭო? ჭეშმარიტება კი ერთია. შენ რა, ულმერთო ხარ?" „არა, მე მონათლული ვარ..." „ჯვარს ატარებ?" „ჯვარს არ ვატარებ. სემინარიაში ვაპირებდი შესვლას, მაგრამ სამხარეულოშიც არ შემიშვეს". სრულებითაც არ მითანაგრძნო: „ჰოდა, ალბათ ეგრე სჯობდა. შენც ადექი და მონასტერში წადი. იქ ყველა მეცნიერებას შეგასწავლიან". მისამართი მიჩვენა. ხვალ მე თვითონ მივემგზავრები ამ მიმართულებით და თუ გინდა, ერთად წავიდეთ. ოღონდ მეტს ნუღა დალევ, თორემ ღვინის სუნად ყარხარო.

ისეთი შეუხედავი გლეხკაცი იყო, ზურგჩანთიანი, სიმაღლით მკერდამდე მწვდებოდა, ბოტები ეცვა... მაგრამ ასეც მითხრა: ჭეშმარიტება ერთიაო... ღვინის სუნად ყარხარო. თითქოს კიდეც გამიკვირდა და კიდევაც მეწყინა. მაგრამ სადგურში მეორე დღესაც მივედი.

მეკითხება: ჯვარი იყიდე? ვიყიდე-მეთქი. გიკეთიაო? — მიკეთია-მეთქი. მიჩვენეო. ვუჩვენე სპილენძის ჯვარი.

ეს მოეწონა.

აღმოჩნდა, რომ დღესვე მიდიოდა მონასტერში, ოღონდაც არ უნდოდა მაშინვე გამომტყდარიყო ამაში. მაკვირდებოდა. ჰოდა, წავედით ერთად. მატარებელში ჭკუას მარიგებდა, ასე და ასეო. მასწავლიდა, როგორ მივდგომოდი ბლაღოჩინს. „ეტყვი, სალოცავად ჩამოვედი და, თუ მაკურთხებთ, მორჩილად დავდგები", ჩავდივართ მონასტერში. ჩემს თანამგზავრს იქ უკვე იცნობდნენ. მამამთავართან მიმყვა, ეუბნება: „თქვენ, მამაო, იმას ნუკი შეხედავთ, ასეთი სახე რომ აქვს... მაგას უნდა მართლმადიდებელი ქრისტიანივით იცხოვროს".

მე ისევ გაკვირვებას ვარ: მაინც რანაირი სახე მაქვს?

ჰოდა, მომცეს პირველი მორჩილება სატრაპეზოში: სამნი ვშლიდით სუფრას, ასე ას კაცზე. ვაწყობდით. ვალაგებდით, ჭურჭელს ვრეცხავდით. ისევ ვშლიდით. მე ბლაღოჩინს ვეუბნებოდი: მინდა წიგნები ვიკითხო-მეთქი. ის კი მხრებს აიჩეჩავდა ხოლმე და ისე გამშორდებოდა, არაფერს მიპასუხებდა, ისე ჩანდა, თითქოს ბერები ყურადღებას არ მაქცევდნენ, ტრაპეზის შემდეგ ილოცავდნენ და წავიდ-წამოვიდოდნენ ხოლმე. რა ხალხია-მეთქი, — ვფიქრობდი. მერე სატრაპეზოს სამ მორჩილს შორის უფროსად დამნიშნეს. უარეს დღეში აღმოვჩნდი. ძალიან ვცდილობდი მესიამოვნებინა ბერებისათვის და დავკარგე ის განწყობა, რაც თავიდან მქონდა, — — არ ვიცი, რა დავარქვა ამას... თითქოს სიგრილისა. ვუთხარი ამის შესახებ ჩემს სულიერ მამას, ბებერ არქიმანდრიტს — ლავრენტის. მეუბნება „ეგ არ ვარგა. შენ ისედაც ძალიან ამაყი ხარ. გამოქვაბულში გადაგიყვანთ, ლირს მამასთან". ძალიან კარგი მორ-

ჩილებაა—დგახარ მთელ დღეს წმინდა ნაწილების წინაშე. მოდის ხალხი, თაყვანს სცემს მათ... მაგრამ გამოქვაბული პატარაა, ხალხი ბევრია, ჰაერის უკმარისობაა. ისევ დამაწყებინა ხველა. ეუბნებიან იმას: „შენ ვერ ამჩნევ, შენი მორჩილი კი მთლად გაყვითლდა. ცუდად არის“. მაშინ საკუჭნაოების გასაღებები ჩამაბარეს. გააღე, დაკეტე და იჯექი სუფთა ჰაერზე. აი, აქ კი გულიანად ვჯერე კითხვით...

როცა ფილტვების მდგომარეობა მაინც გამიუარესდა, ყოველგვარი მორჩილება მომიხსნეს და რამდენიმე თვეს მხოლოდ მმკურნალობდნენ, მიხარშავდნენ რალაც მცენარეულ კვირტებს, ბალახებულახს. წინათ ვფიქრობდი, ამათ არაფერში ვენაღვლები-მეთქი, ახლა კი ვიგრძენი სიკეთე.

ეს უნდა გამოსცადო... აი, თქვენ ესწრაფვით განმარტოებას, სიწყნარეს, არადა, განსაკუთრებით გესაჭიროებათ შეიგრძნოთ ეს **საერთო ცხოვრება.** ის, რომ თქვენ გიცხოვრიათ საერთო საცხოვრებელში ანდა კომუნალურ ბინებში, არ არის ანგარიშში ჩასაგდები. ეგ სულ სხვაა, იქნებ საპირისპიროც კი. ოღონდაც წინათ ასე კეთდებოდა, ყველაფერი აუცილებელი თანმიმდევრობით. თავიდან ადამიანს მონასტრის გალავნის გარეთაც კი დაასახლებდნენ ხოლმე. მერე მორჩილად გაამწესებდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ კაბას უკურთხებდნენ. მას ეძლეოდა უფლება ეტარებინა ბერის სამოსელი. ხოლო როცა ისწავლიდა ბერულ ცხოვრებას, აღიკვეცებოდა ბერად. ღმერთს აღთქმებს აძლევდა და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მონასტერში არსებობისა გვიან სიმწიფეში შესული, შეეძლოთ ეკურთხებინათ განდეგილობაზე. ბერი ადამიანებისაგან მიდის არა იმიტომ, რომ ისინი აღიზიანებენ მას, არც იმიტომ, რომ არ იცის, როგორ იცხოვროს სხვებთან ერთად. პირიქით, მან ჯერ უნდა ისწავლოს ყველას სიყვარული და მერე შეუძლია გამოიკეტოს მონასტერში ამ სიყვარულიანად, იმიტომ, რომ მას აქვს კიდევ სხვა საქმე, უფრო მნიშვნელოვანი.

ახლა ასე ხდება. ადამიანი ვერ მოასწრებს შეიტყოს ნამდვილი ბერ-მონაზონობის გემო და ის კი უკვე იღებს არქიერულ ღირსებას, ეპარქიას განაგებს. სიტყვაც როგორი მიუსადაგეს: „მმართველი“—ინგლისურად; ღვთიური სულის მაგივრად ბერი მენეჯერულ აქტივობას იძენს. მიმდინარეობს სასულიერო წოდების გაამსოფლიანება, ეკლესიის გაამსოფლიანება, ხოლო ამისი შედეგები ძალზე მძიმეა — მცირედმორწმუნეობა, კომპლექსებიც, და შინაგანი განხეთქილებაც. როცა გრიგოლ ღმრთისმეტყველი კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსად მსახურებდა და ამ საკურთხევლის გამო ატყდა შუღლი, მან თქვა: „მე ეონაზე მეტი რითა ვარ, თუ ეს ვნებათა ქარიშხალი ჩემ გამო ატყდა, გადამაგდეთ ზღვაში, რათა იგი დაწყნარდეს.“ და რომ წაგვრა საკურთხევლისა ვერ გაყრის ღმერთთან. ესაა ქრისტიანობა და არა ძალაუფლებისათვის ბრძოლა. და არა ურთიერთისადმი პრეტენზიების წაყენება და ეჭვები...

მაგრამ მე გადავუხვიე. შემდგომ კი აი, რა გადამხდა თავს. საეკლესიო კონფერენციაზე ჩვენი თანამოსაყდრე ქართველ მთავარეპისკოპოსის გვერდით იჯდა. სიტყვამ მოიტანა და უთხრა: „ჩვენთან მონასტერში ერთი ქართველი არის“. იმას კი უთქვამს: „გამოგვიგზავნეთ ეგ საქართველოში, პატრიარქ ილიასთან, ჩვენ ბერები გვჭირდება“, და მამა ლავრენტიმაც მაკურთხა საქართველოში დასაბრუნებლად.

ფული შემიგროვეს, რომ მთებში მეცხოვრა და ფილტვები გამომჯანსაღებოდა. ასე დამასვენეს ორ თვეს.

მერე ვეახელი პატრიარქს.

მკითხა: „რა გინდა?“, „მინდა მონასტერში ვიცხოვრო“. „იპოვე ერთიც ბერად აღსაკვეცი, და წადით ნახეთ ჯვარი“.

მე მონასტრის ნახვა არც მინდოდა, წინასწარვე თანახმა ვიყავი. მაგრამ პატრიარქი თავისას ადგა. სექტემბრის ბოლოს ჩამოვედით აქ მე და ილარიონი. ეს საუკეთესო დროა ჯვარზე. არ შემიძლია იმის გადმოცემა, რა თვალით დაეინახე ჯვარი... ნაწილობრივ მიხვდებით ამას, მაგრამ ძალიან ნაწილობრივ — თქვენ სხვა წარსული გაქვთ.

პატრიარქს ორი პირობა დავუდე: პირველი: რომ არასოდეს გამოვალ მონასტრიდან. მეორე: არ მივიღებ წმინდა წოდებას.

— ბერი — მონანიე კაცია. თავის ცოდვებზე მოტირალი კაცი. ბერი ის არის, ვინც უკანასკნელი ძალ-ღონის მოკრებით ცდილობს აღასრულოს მცნებები. ხოლო მღვდელს უფლება არა აქვს არ აღასრულებდეს მათ. ასე მიმაჩნდა მე. მღვდელი ღირსი უნდა იყოს საკუთარი წოდებისა. სამღვდელოება სულიერი უნდა იყოს, სასულიერო წოდება — წმინდა. ამას გარდა მღვდლობა და ბერობა საერთოდ ცხოვრების სხვადასხვა გზა და ყაიდაა. არა არის რა ღმერთის მსახურებაზე უფრო მაღალი, მაგრამ ბერი მხოლოდ და მხოლოდ მონაწილეობს მასში, მღვდელი კი აღასრულებს მას—ეს სრულებით არ არის სულერთი. მეხუთე საუკუნეში ეგვიპტურ ლავრაში ხუთი ათასამდე ბერი იყო, ხოლო მღვდლის წოდების მიღება მხოლოდ საბამ გაბედა — ეს ისეთი მოვლენა იყო, რომ იმ დღიდან მას განწმენდილს ეძახდნენ...

მღვდელი ვალდებულია იზრუნოს ტაძარზე, მრევლზე, ესაუბროს ხოლმე ხალხს, შეიჭრას სხვის ცხოვრებაში, მე კი მარტო დარჩენა მწადია ღმერთთან.

მაგრამ პატრიარქმა თქვა: „არა“.

მეც ვუთხარ: „არა“, და ჩემს მონასტერში დავბრუნდი. იქ მამა ლავრენტიმ დამარწმუნა, რომ უფლება არ მქონდა პირობა ჩამომერთმია პატრიარქისთვის. და მე უკან დავბრუნდი, რათა დავთანხმებულიყავი მის წინადადებაზე. მაშინ მან მითხრა: „იერომონახი ძალიან მძიმე ჯვარს ატარებს. მაგრამ შენ უნდა იტვირთო იგი — ადამიანებისათვის. და მონასტერიც არ შეიძლება არსებობდეს ღმერთისმსახურების თვინიერ“.

ასე, ოცდათორმეტი წლისა აღვიკვეცე ბერად და მალე იღუმენი გავხდი. მაგრამ ჩემი ნება რომ ყოფილიყო, სამუდამოდ დავრჩებოდი უბრალო შავანაფორიანად.

ფანჯრის ხარიხის მიღმა ცა უკვე ნათდებოდა. ლამპა თავისით ჩაქრა — ნავთი გამოილია. რიჟრაჟის სალუქ ბინდბუნდში მე ვხედავდი იღუმენის ფიგურას, რომელიც დაღლილი უძრავად მიყრდნობოდა კედელს. მიტია დიდი ხანია თექაზე იყო მოკალათებული. იჯდა, ძველ ანაფორაწამოხურული; იჯდა ძალიან წყნარად, ჩემსავით; ვშიშობდით, გაუფრთხილებელი მოძრაობით მამა მიქელისთვის სიტყვა არ შეგვეწყვეტინებინა.

ის დიდი ხნით გაჩუმდებოდა და მერე ისევ იწყებდა ამბავს. მათზე, ვინც იმ წლებში მის ტაძარში დაიარებოდა, რა გზებს მოჰყავდა აქ ისინი, რა კარგია ზამთარი ჯვარზე. მთები და ტყე, ირგვლივ ყველაფერი სუფთა თოვლით იფარება, ისე ბევრი სინათლე და სიქათქათეა... გზები თოვლში იკარგება. ალარავის ალარ შეუძლია გზამდე გაღწევა — ალარც რესტავრატორებს, არც ექს-

ჟურნალისტებს, არც მომლოცავებს და მაშინ იწყება ნამდვილი მარხულობა და ლოცვით აღსავსე ცხოვრება. სული თავისუფლდება ყოველივე გარეგანისაგან, იძირება სიჩუმესა და ლოცვაში...

გამახსენდა, რომ ოდესღაც მომწონდა ამ სიტყვების გამეორება: „ვაზრობ-ვ
 — მაშასადამე, ვარსებობ“. მერე მე განვიცადე სხვაგვარი განსაზღვრება: „ვიტანჯები, მაშასადამე, ვცოცხლობ“. რწმენის გაღრმავებასთან ერთად ჩემთვის გაიხსნა ამ სიტყვების ძალა: „რამდენადაც გვიყვარს, ვცოცხლობთ“. სულ ახლახანს კი ჩვენს თანამედროვესთან წავიკითხე: ვიდრე ვლოცულობ — ვცოცხლობ; ამის თვინიერ არის რაღაც ზადი, რაღაც უკმარი.

მამა მიქელი მპასუხობდა, ლოცვა სიყვარულის სკოლაა. ისიტომ, რომ ლოცვა გზაა ღმერთისკენ და ურთიერთობა ღმერთთან, ერთობა ღმერთთან. ღმერთის თვინიერ კი ჩვენ არაფრის და არავის სიყვარული არ ძალგვიძს.

წირვის დაწყებამდე ორიოდე საათით ადრე იღუმენმა მაინც გაგვისტუმრა დასასვენებლად. დაგვპირდა, არჩილი გაგაღვიძებთო.

ჩვენს პაწია სახლში სითბო და სიწყნარე სუფევდა და აქაც იდგა მშრალი თივისა და წიწვის მსუბუქი სურნელება. მიტია ტანთგაუხდელად კვნესით გაიჭიმა საწოლზე.

— ეცი რა, დედა, ამ ღამეს ჯვარზე და მამა მიქელს მე ველარასოდეს დავივიწყებ. რატომ ლაპარაკობდა ასე? და რატომ უნდა წავიდეთ აქედან?

როგორც შემეძლო, ისე ავუხსენი! ის, როგორც შეძლო, თვითონვე მიხვდა და მიიღო.

მერე მას ჩაეძინა. მე კი თვალებდახუჭული ვიწექი. ჩემს მეხსიერებაში ჯერ კიდევ ქღერდა იღუმენის სიტყვები და ჩემი გული მისი ბედით იყო აღსავსე. და კიდევ, მე მინდოდა ბოლომდე გამეაზრებინა ის „რატომ“? ჩვენი ახსნა-განმარტების თავში რომ დაიბადა: რატომ ვერ ვხვდებოდი იმას, რაც უკვე ყველასათვის ნათელი იყო? რატომ არ შემცირდა მიწიერი მანძილი ჩვენს შორის, არც ახსნა-განმარტებისა და არც მისი ნაამბობის შემდეგ და არც არასოდეს აღარ შემცირდება?

ეს მანძილი ჩვენ შორის — ეფრო ზუსტად ჩვენშივე — იყო, მანძილი წუთისოფელსა და ეკლესიას შორის, ერთობლივი სამუდამო ჯვარი.

არსებობს ცხოვრება რწმენის გარეშე, ქვეყნიური ცხოვრება. იგი ჩაივლის ჩვენ მიღმა ანდა ჩაგვითრევს თავის ორომტრიალში, იგი შეუსვენებლივ აგებს ბაბილონის გოდოლს და შეუსვენებლივ ამსხვრევს მას, აღმოაჩენს რა, რომ ის თურმე ცას ვერ სწვდება. იგი გვპირდება ბედნიერებას ახლავე, აქვე, ოღონდაც ხელი გაიწოდე, ან გამოუცნობ შორეთში, საითკენაც გზა უნდა გაისწრაფო, უკუაგდო რა საუცხოო ვითომურობის წინაშე გაუფასურებული წარსულიცა და აწმყოც. იგი გაცთუნებს, გახელებს, გეძახის, იტაცებს სულსა და გულს, მაგრამ არასოდეს აღავსებს მათ, თუმცაღა ერთთავად გპირდება აღვსებას — სახვალიოდ, სამერმისოდ.

ამ წუთისოფლად არ არსებობს არავითარი საიმედო დასაყრდენი, მას გამოაცალეს ჩონჩხი — ხერხემალი. არ არსებობს არც ზენარი აზრი, ყველაფრის გამამართლებელი, არც მკვეთრი, მაჯნა არ არსებობს ბოროტსა და კეთილს შორის, არ არის მონიშნული გულისგული. და ამიტომაც მიმზიდველი, არა თანმიმდევრული, ბუნდოვანი პასუხებით მოციმციმე ამ სხვა რაღაცის სხეუ-

ლი ცარიელია. ამ უმიზნო წუთისოფელში გადმოსროლილი ადამიანი იქცევა მსხვერპლად საკუთარივე თავისუფლების, რომელსაც განაგებს მხოლოდ და მხოლოდ მისი გონება, სურვილები და ვნებები — ასევე ცარიელი.

დახვეწილი გონება ცდილობს ამ სიცარიელეში დაიჭიროს ერთადაც ეკზისტენცია, არსი, ხოლო ის უცილობლად უსხლტება ხოლმე ხელიდან. უუნაროობა ყოფისა — იქნებ შეიძლება ასე ეწოდოს ჩვენი ავადმყოფი დროის ამ მთავარ სენს.

ყოვლისნებადართულობა — და უუნაროობა ყოფისა... იმიტომ, რომ ყოველგვარი მყოფობა ფესვგადგმულია მხოლოდ მასში, ვინც ძველი აღთქმის გამოცხადებაში გაგვიცხადა საკუთარი სახელი: „მე ვარ მყოფი" — ყოფა ბუნებისა და თვითმყოფობაც.

ამ ყოფასთან ზიარება აღსრულდება მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიის საიდუმლოებებში.

აქ ყველაფერი წუთისოფლის საპირისპიროა. არსებობს კოორდინატების ზუსტი სისტემა, სასწორი და საზომი, მცნებები. ყოველივე უზესთაესი აზრით არის პირობადებული.

ღმერთი არის ჭეშმარიტება. ამქვეყნად მისი განსახიერება არის მშვენიერება. ღვთის მიზანთა აღსრულება არის სიკეთე, აი, მთელი ფილოსოფიის, ესთეტიკის და ეთიკის საფუძველი.

ამით ცხოვრებაში შემოტანილია ცნება წმინდისა.

ამგვარად ტაძარში ადამიანთათვის მისაწვდომი სივრციდან გამოაცალკევეს საკურთხეველი, სადაც შესვლა არ შეიძლება. ჩემთვის იღუმენი იყო და დარჩა განწმენდილად, საკურთხევლის კანკელით გამოცალკევებულად.

წირეს უკანასკნელი წირვა. შვიდსანთლიან შანდლებში კელაპტრები ენთო და კიდევ ორი ლამპარი — საკურთხეველში. არჩილი, ბენედიქტე და მიტია ეს-ეს არის შესწავლილ „საქერუბიმოს" გალობდნენ.

— რომელნი ქერუბიმთა საიდუმლოსა ვემსგავსებით და ცხოველისმყოფელისა სამებისა სამ-წმინდა-არსობისა გალობასა შევსწირავთ, ყოველივე მსოფლიო დაუტევოთ აწ ზრუნვაჲ....

გამოვთიშოთ, დავტოვოთ ახლა ჩვენი ყველანაირი ამქვეყნიური ნაღველი.... და ვითარცა ქერუბიმნი საიდუმლო ზეციურ ევქარისტიაში (ზიარება) წარვსდგეთ ღვთის წინაშე გალობით: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შემიწყალენ ჩვენ..."

ცრემლებს მიღმა ეხედავდი ლამპრების ყვითელ ცეცხლს შვიდსანთლიან შანდალზე; წყვილ ანთებულ ლამპარს და ჯვარს საკურთხეველზე, მერე იღუმენს ოქროს ფელონში, ჯვარის სახედ რომ აღემართა წმიდა ძღვენი. და მინდოდა ჩვენი ეს ბოლო ღმრთისმსახურება ჯვარზე გაგრძელებულიყო და გაგრძელებულიყო — მარად.

მაგრამ წირვა დამთავრდა. დაიგმანა აღსავლის კარი.

იღუმენი საკურთხევლიდან გამოვიდა და უსიტყვოდ შემაბა ყელზე აბრეშუმის ძაფი, მრგვალ ხის ჩარჩოში ჩასმული ჯვარით.

ხელისგულით ფრთხილად ავწიე ჯვარი.

— ქართული ტიხრული მინანქრისაა, — მითხრა ბენედიქტემ, — ასეთი

წრეში ჩასმული ჯვარი აქ პორტალის თავზეა გამოკვეთილი. ეს შეიძლება ჯვარის გერბი იყოს.

თვალით მივაცილებდი იღუმენს, რომელიც ბილიკით მიდიოდა.

ბენედიქტე კი განაგრძობდა:

— ხედავთ ამ წვრილ ოქროს ძაფს? იგი გარეშემოწერს ჯვარს და აცალკევებს მას ფონის მუქ-ლილისფერი მინანქრისაგან. ტიხრული მინანქრით [illegible] შესრულებული ჩვენი ძველი ჯვრები და ხატები. ამქვეყნად მსგავსი [illegible] მოიძებნება. თქვენი ჯვარი ძველი არ არის, მაგრამ იგივე ტექნიკით არის დამზადებული იმ კაცის მიერ, რომელმაც ამოიცნო ჩვენი წინაპრების ეს საიდუმლო.

მომიახლოვდა არჩილიც. მიტიაც შეეხო თითებით ჯვარის კიდეს, დაიხარა მასზე და ოდნავ მიატრიალა თავისკენ.

მართლა ძალიან ლამაზი იყო: ოქროს ძაფით ნატიფად შემოწერილი ტოლმკლავებიანი ჯვარის ოქროსფერი მინანქარი და მუქი ლილისფერი ფონი.

— ამ რამდენიმე დღის წინ მამა მიქელმა მთხოვა დამემზადებინა ხის მოჩუქურთმებული ჩარჩო, უბრალო და დახვეწილი... მაგრამ არ ვიცოდი, თქვენთვის თუ უნდოდა. უნდა ატაროთ?

— აუცილებლად... გმადლობთ, მამაო ბენედიქტე.

— უკანა მხარეზე ქართული ასოებით ამოვკვეთე: „ჯვარი"... — იგი ღიმილით შემომცქეროდა. დიდი ხანია აღარ მინახავს ეს ღიმილი მის სახეზე. — და მადლობა ღმერთს, რომ ასე ვშორდებით. ვილოცებთ ერთმანეთისთვის.

— დიმიტრი, შენა, არ გინდა სამუდამოდ ჩამოხვიდე აქ ჩვენთან? — ალერსიანად ჰკითხა არჩილმა, რომელიც თვალების ნამიან ბზინვარებას წამწამებით ფარავდა, — მიგიღებთ....

მიტია ბედნიერი თვალებით შეჰყურებდა მათ, ახლა სიტყვა უძლური იყო.

გამოთხოვებისას ბენედიქტემ პანაღეაც გვიჩვენა. იღუმენს ვერ მოესწრო მისი ჩატანა პატრიარქისთვის. დიაკვანმა ყოვლადწმიდა თავისი ძველი ქვესაცმლის გულჯიბიდან ამოიღო. გაშალა თეთრი ხელსახოცი.

ეს იყო კარგად ნაკვეთი ოვალური მცირე იკონოგრაფია ვედრებისა. ყოვლაწმიდა ღვთისმშობელი ლოცვით ხელაპყრობილი თითოეული ჩვენთაგანისათვის, ცოდვილთათვის, მიწიერთათვის და მაინც ზეციური დედა-მშობლის მაძიებელთათვის.

ნასაუზმევს იღუმენთან ერთად გავისეირნე მონასტრის ირგვლივ გაშლილ მდელობზე. ხელისგულით ვეხებოდი ტაძრის თბილ, ხორკლიან კედლებს. თაყვანი ვეცი ათონელი ბერების საფლავებს და გამოვთხოვე მათი წმინდა ლოცვანი.

საფლავებთან ცოტა ხანს ჩამოვსხედით ბერძნული კაკლის შემეჩხერებულ ჩრდილში.

— სხვა აბა რა გითხრათ... მომიტევეთ... — თქვა იღუმენმა.

— ღმერთმა მოგიტევოთ... მეც მომიტევეთ... — მივუგე გამოთხოვებისას ბერმონაზვნური წესისამებრ.

რამდენიმე წუთით ისევ გამიჭირდა სუნთქვა. როგორც მაშინ, ტაძარში, როცა ჯვარი შემაბა ყელზე.

— მე მხოლოდ და მხოლოდ თქვენდამი მადლიერების გრძნობა მიმყვება თან.

— რისთვის? — მომეჩვენა, რომ მის ღიმილში შეფარული გაუბედაობა გამოსჭვიოდა. ადრე რატომ არ დამინახავს ეს ღიმილი მის სახეზე? და მასაც უნდოდა ცოდნოდა — რისთვის.

— თქვენს მონასტერში გატარებული თითოეული დღისთვის... ყოველი დღისთვის, რომელიც არ უნდა ყოფილიყო. ამ ჯვარისთვის, იმისათვის, რომ ხართ ისეთი, როგორიცა ხართ. ღვთისადმი თქვენი სიყვარულისთვის. უბრალოებისთვის, რომლის წყალობითაც, ბოლოს და ბოლოს ვსაუბრობთ ახლა...

— ბოლოს და ბოლოს ეს შესაძლებელი შეიქნა.

— ნებისა მართავთ, როდესმე მოგწეროთ? ერთი წლის შემდეგ?

— არა... — თითქმის ნათელი ღიმილით შემომღიმა. — შემიძლია ხელი მოვიჭრა, მაგრამ არ შემიძლია მოვიხერხო. ეს გაუსაძლისი იქნებოდა ჩემი ძალისთვის.—იგი გაჩუმდა, ბალახს დააცქერდა.—შეხედეთ ამ კაკალს. ფოთოლი შეყვითლებია... ისინი უკვე აღარ არიან საჭირონი, ნაყოფი მწიფს ანდა გინახავთ, როგორ მწიფს ხურმა? ყველა ფოთოლი დასცვივა. ხეს შერჩება მხოლოდ და მხოლოდ ნაყოფი. ხურმას არ კრეფენ, ელიან, ვიდრე საბოლოოდ არ დამწიფდება. ხეც დგას, ფოთლებშემოძარცული, მძიმე, ნარინჯისფერი ნაყოფით დახუნძლული...

ჩვენ ზემოთ წყნარად გაიშრიალა რაღაცამ. დაუბერა ნიავმა და დიდი ფოთოლი, ოდნავ სიყვითლეშეპარული, საფლავის ფილაზე დაეცა. ქვის მუქ გრანიტზე.

— მე და თქვენ ბევრი ვისაუბრეთ მარხვაზე, ლოცვაზე, ასკეზზე... განდეგილობაზე. ხოლო ეს ყველაფერი მხოლოდღა ფოთლებია, ნაყოფის დამწიფებისთვის საჭირო. როცა ჩვენ მივალთ იქ... — მან თვალით ტაძრის ზემოთ გაშლილ სიმაღლეზე მანიშნა, — აღარავინ შეგვეკითხება, რამდენი ვიმარხულეთ ანდა, როგორი მსხვერპლი გავიღეთ. მაგრამ ჩვენ ჩვენეული ნაყოფით შევიცნობით.

და მე მას დავუსვი კითხვა, რომლის პასუხიც თითქმის შეუძლებელია. იცის თუ არა მან ყველა ნაყოფის გემო.

მიპასუხა, როგორც შეძლო.

— მე მარტო ის ვიცი, რომ მონასტერში გატარებული ეს ოთხი წელი საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში. ხოლო ერთ დიდ ღვაწლმოსილს შეეძლო ეთქვა საკუთარ თავზე: მას, ვინც გემო გაუგო მადლს, სძაგს ყველა ვნება და ჩალად ულირს თვითონ სიცოცხლე იმიტომ, რომ ღვთაებრივი სიყვარული სიცოცხლეზე ძვირფასია.

მოვიდა მიტია და ჩვენ როგორღაც ერთად გადავწყვიტეთ, რომ არ იყო საჭირო გვეცადა მანქანისათვის. ჯობს, ფეხით დავადგეთ გზას. ჩვენ ახლა აღარსად გვეჩქარებოდა. ჩვენი ქონება არ იყო დამამძიმებელი — ხელჩანთა და საკვოიაჟი.

გვინდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო აქედან ჩვენი წასვლა, რათა ხეობის გალმიდან დიდხანს გვემზირა ჯვარისთვის და მერე უღელტეხილიდან უკანასკნელად შეგვევლო მისთვის თვალი.

გამოვეთხოვეთ ჩვენს სენაკს. სატრაპეზოში ჩავიტანეთ და დავტოვეთ წაუკითხავი წიგნების დასტა...

გამოვედით წყაროსთან — იღუმენი, ბენედიქტე და არჩილი ძელსკამზე ისხდნენ მოთმინებით აღსავსე მოლოდინის პოზაში.

ითქვა უკანასკნელი სიტყვები. დავაბარეთ მოკითხვა რესტავრატორებთან. მერე მამა მიქელი მომიახლოვდა და ნელა გადამწერა პირჯვარი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაკურთხენინ თქუენ ღმერთმან.

მინდოდა დამეკოცნა მაკურთხებელი მარჯვენა, მაგრამ მან მხოლოდ წამით დამადო თავზე ორივე ხელისგული.

ასევე დამილოცა შვილიც.

— დიმიტრი, ჩამოხვალ ჩვენთან?

— დიახ, — მიუგო წყნარად მიტიამ, — მე ჩამოვალ.

გზას დავადექით.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შემოვბრუნდით. იღუმენი, ბენედიქტე და არჩილი მონასტრის ჭიშკარში გვერდიგვერდ იდგნენ და თვალებით მიგვაცილებდნენ.

მათ ზურგს უკან, სანახევროდ დანგრეულ გალავანში ძველთაძველ ტაძარს ცად აეზიდა მზით მოვარაყებული ჯვარი.

1992 წ.

□

რუბოკო შო

ლექსები

თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო

შოთა იათაშვილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1985 წელს მულტიმილიონერმა და ბიბლიოფილმა **კი-ნო კავაბაკიმ** გამოაქვეყნა კიოტოში წიგნების ბაზარზე შემთხვევით ნაყიდი X საუკუნის პერგამენტის ტექსტი. ეს იყო აქამდე უცნობი პოეტის, რუბოკო შოს (980-1020?) წიგნი „კომატის ლამეები, ანუ ჭრიჭინობელათა ჟამი". პუბლიკაციამ ნამდვილი აჟიოტაჟი გამოიწვია იაპონიის სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეებში. უპირველეს ყოვლისა, გაოცებას იწვევდა ჟანრი — ეროტიკული ტანკა, აქამდე უცნობი შუა საუკუნეების იაპონურ ლიტერატურაში.

რუბოკოს ტანკები გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული სუბიექტური შეფერილობით. პოეტს აქვს საკუთარი სიმბოლიკა, რომელიც ზოგ შემთხვევაში ძველი აღმოსავლური რელიგიების სიმბოლიკას ეყრდნობა. რამდენიმე სიმბოლო მას ტანკიდან ტანკაში გადაქვს, რითაც კიდევ უფრო მძაფრდება ციკლის მთლიანობის განცდა. რუბოკო პირველ სამ სტრიქონში ძირითადად ხატავს რეალურ სინამდვილეს სიტუაციებს მთელი თავისი მომხიბვლელობით და მგრძნობელობით. ბოლო ორი სტრიქონი კი უფრო განყენებული და ჭვრეტითი ხასიათისა აქვს, ეს კი მთლიანად ტანკას უფრო განზოგადოებულ და ტევად სახეს აძლევს.

თავად რუბოკოს შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ნახევრადლეგენდარულია, ცნობილია მხოლოდ, რომ მას სასახლის კარზე მაღალი თანამდებობა ეკავა, მაგრამ რიღაც მიზეზის გამო შერისხულ იქნა და გარდაიცვალა დედაქალაქიდან შორს, კუნძულ ცუკუსიზე (ახლანდელ კიუსიუზე) მდებარე მონასტერში.

ცნობილია, თუ რატომ დაარქვა პოეტმა თავის ციკლს „კომატის ღამეები". IX საუკუნეში ცხოვრობდა ცნობილი პოეტი ქალი ონო-ნო კომატი, ტანკას კლასიკური ტრადიციის დამფუძნებელი, რომელიც განთქმული იყო აგრეთვე თავისი ოსტატობით სასიყვარულო გართობებში. X საუკუნის მწერლის სეი სონაგონის წიგნში „ჩანაწერები სასთუმალთან", აღწერილია კომატისა და მისი პირველი საყვარლის, პრინც ფუ-კა-კოსის ურთიერთობის ტრაგიკული ისტორია. კომატიმ პირველი ღამის საფასურად პრინცისაგან მოითხოვა კიდევ ზედიზედ 99 ღამე. ფუ-კა-კოსის აორტა გაუსკდა და გარდაიცვალა მაშინ, როცა დათქმული ასი ღამიდან მხოლოდ ერთი ღამეღა იყო დარჩენილი. კომატის სიკვდილიდან თითქმის ასი წლის შემდეგ კი რუბოკო შო განიმსჭვალა მისდამი მისტიური ვნებით და შექმნა 99 მშვენიერი ტანკა, დროთა განმავლობაში თანდათან დავიწყებული, მაგრამ XX საუკუნის ბოლოს ბედნიერი შემთხვევის წყალობით „ფერფლიდან აღმდგარი" და იაპონური ლიტერატურის მნიშვნელოვან ძეგლად ქცეული.

კომატის ღამეები ანუ ჭრიჭინოგბელათა ჟამი

●

ყველაფერი გაჩუმებულა
მხოლოდ დარაჯთა გადაძახილი
სარაკუნოთა რაკარუკი და მწველი
ოხვრა
სასტუმროში გამეფებულ მყუდროებას
ხანდისხან არღვევს

●

ეგ სახელი ვინ შეგირჩია
ცუგრუმელავ სიმატის უბნის[1]?
ბაგეებით მარჯანს ასე
ოსტატურად რად ეფერები?
ო სიამევ ზღვარდაუდებო!

●

გადასწიე შენ
ქარიან ღამით ფარდები
მიმიტყუე ღამის სათევად
და მაშინ ციურ მდინარიდან ჩემს
სახელოზე
ნელ-ნელა დაეშვა მთვარე

●

ი ტრფობისაგან მოთენთილი
ლმეული ფარვანა ორი
ბაკი მთელი ფერადოვნებით[2]
სამოსთან ერთად
მოიშორე სიმორცხვეც შენი

●

ახალი ნავი[3] მიცურავს
ქანაობს ნოძაკის მხარეს[4]
მდინარის გასწვრივ ქრის გრილი ქარი
ნოტიო გაზაფხული — ამბობს ამბორი
ნოტიო გაზაფხულზე მოვკვდები

●

ალტყელს იხსნის
და გრძელ თასმას იძრობს[5]
ყლავ ინახავს თასმა სურნელებას
ნაზს
ი ბეწვის ხიდი
ორ სამყაროს შორის

●

გადაიძრე კიმონო და
ჩაჭექი ნავში
ბოკი დავკარი ნაპირს მოვცილდი
ვცურე ხუთი ტბის
შორეული კუნძულებისკენ

●

ძალი გაიბნა
გამოხუნდა ჭიაფერი და საოლავი
შენი ტუჩები დაკბენილია
ოლო ოდესლაც ფუმფულა მკერდი
დაკაწრული არის ფრჩხილებით

●

დაიყვირე
ხელით კვერთხი მოძებნე და
ყლავ ღრმა
ალჩუქე
ან ისმის ჩქამიც

●

საბედისწერო შერკინება ვინ გააჩაღა
ვინ გააღვიძა მრისხანება იმპერატორის
გოგონას მუხლებს
ვკოცნი ცვარმა გაუმუქა
აბრეშუმის ფეხსაცმელებიბიბლიოთეკა

ეროვნული

●

სამწუხაროდ არც ისე ხშირად
ვეძლეოდით ჩვენ
გიჟურ ალერსს
ჩამოვიბერტყავ
მტვერს სამგზავრო ტანსაცმელიდან

●

ხვევნა-კოცნაში უკვე ძალზედ
ღრმად შევიჭერით
შენი სამოსი გაღეღილია
ო რა სუსტია ის ძაფები
მეუღლეებს რომ აკავშირებთ

●

მის სულს ჭრილობას ნუ მიაყენებ
ის ხომ ნაზია
ნუ დააჩქარებ რომ შეგერწყას
შეეცადე რომ ალერსით
მოუგო გული

●

მზეთუნახავი ტაიუ[6] ღელავს
შეეძლებ თუ არა საკადრისად
გადავუხადო?
იქნებ ამიტომ ახშირებ სუნთქვას
ქარი ტუჩებით ეფერება
მუქწითელ ნახვრეტს

●

ყლავ ავრბივარ ბაგეებით
შენს თეძოებზე
შენი ტანის გიჟურ ალერსში

მერცხალი სწრაფი ფრთების
თრთოლვით
გაიფრთხიალებს

●

საწყალი ჩემსკენ მივიზიდე
ვაი რომ ტრფობა მოახლისა
წამიერად ბამბუკის ფოთლის
წვერზე მბრწყინავი
ცვარია მხოლოდ

●

აკაციებში გელოდებოდი
თითოეული
მაკრთობდა ჩქამი
კვლავ თეთრი-თეთრი ყვავილების
ფურცლები ცვივა

●

გუშინ შუადღით
ნეტარების ფიალა შევსვით
ზამთრის მზე
მარტო
დგას ფუძის თავზე

●

ნოტიო ვარდი
ისევ ნისლში
გადაიფურჩქნა
ბედნიერება ენის წვერს
შერჩა

●

მეწამული ცა
გაზაფხულის ავდრით გაჯიჯვრდა
მერცხლებმა შეკრეს წრე ერთმანეთში
ასე მძიმდება ნეფრიტის ღერო[7]
სატრფოს თითებში

●

ეჩეჩულები რაღაცას
ყურში მეუღლეს და
ნაზად ეკრობენ
გამაგებინე გაწითლებას
რად მაიძულებ?

●

გაზაფხულზე
დამრეც ნაპირზე
ერთმანეთი ნახეს ლელქაშში
მოციმციმე მარაოსავით
სხეულები მათი წყალში ირეკლებოდა

●

უყოყმანოდ
გასცემ შენს თავს
კისრისტეხით წვები ლოგინში
სხეულს მოსწყდა კაბა ისე
როგორც ტოტს ჩიტი

●

ახლა შენში
მონჯღრეული ნავით ვცურდები
ნუ იჩქარებ
კაცურაკის კიმონოს ქვეშ[8]
შენ გაცინებას

●

მთა ეძებს
თუნდაც ერთი წამით
თუ ვის მიეყრდნოს
რათა მარჯანი
მწვანე წყალში ირეკლებოდეს[9]

●

პეპლები
ცოცხალი ყვავილებივით
ყვავილების ზღვას დაფარფატებენ
მზეთუნახავი კუმა-ნოს ტანი
გაიღუნა ცვრის საგროვებლად

•

ჭიანებში ღვინო ბრჭყვიალებდა
ბუგბარისაგან მაგიდები იასპისა
ილუნებოდა
ეიტჭვირეალე ფარჩის კაბაში
ქალწულები ცეკვავენ როგორც
დამსხვრეული შუქი მთვარისა

•

ბამბუკის ტევრის იქითაც კი
არ მეშვებოდი
ვარიერაქდა
ბნაია იხსენებდე სულ პირველად
სად და როდის შეკრთა მარჯანი

•

რა ტკბილია
მიეცე ტრფობას
ომში სადგურ ისიბეზე[10]
დაივიწყე ფული
ბოგონა-ძერო[11]

•

ფეძოები თრთიან ისე
როგორც თევზები მინაკუტიში
ერთი ხელით გაგიშლი ფეხებს
მეორით ვცდილობ
ვიგილელო ტანისამოსი

•

საბრეთით მდებარე გარეუბნის
მიატოვე აბანოები[12]
და გადაწყვიტე გეცხოვრა ჩემთან
ოუმცა მთელი ჩემი სიმდიდრე
ბრინჯის ქალალდის ნაგლეჯი[13] არის

•

ეურჩება ჩემს სურვილებს
ბდაბალი მელა![14]
როგორც ეტყობა
ასამის მწვერვალზე[15]
მომიწევს ასვლა

•

მთელი ღამე გარიერაქამდის
გიხსენებდი ჩემო ძვირფასო
ვინ ჩამოგგლიჯა კესა[16] ანდა
აირეკლა მწვანე წყალში
ვისი მარჯანი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

•

დაე ეულმა სასთუმალმა
თქვას რომ არ ვხედავ
აბნეულ სიზმრებს
ცხრაკარიბჭიან ამ ქალაქში[17]
ჩემს შესახებ ქალწულებმა კარგად
იციან

•

საფეთქლები ვერცხლისფრად ბზინავს
იღიმები და მეხუტები
მომწარია ახალი ღვინო
მხოლოდ და მხოლოდ ძველი ღვინო
აბურაძუცუს[18] საკადრისია

•

თლილი თითებით
გადავტეხე
წარშანდელი ლერწამის ტოტი
ფარდის ბამბუკი
შუალამის ბინდში ათრთოლდა

•

სასიყვარულო მოძრაობებთან
ხმაშეწყობით
მეჩურჩულები უტკბილეს სიტყვებს
შენი შუბლიდან
ქულულები დაუდევრად გადაყრილია
ცაბცახებენ მარგალიტის საყურეები

•

იქ ნეფრიტის და ოქროს ტევრებში
სიყვარული გადიქცა ქვამლად

გამომეცხადე სამჯერ სიზმარში
გახლართული ბადეებში
ჩიტებისმჭერის

●

ვფიქრობდი — დარდია
აღმოჩნდა — ცრემლი
ჩავყვინთე — ვიცანი
მწვანე წყალში
მარჯნის ანარეკლი

●

ჟინჟღლავს
ანცობს ნამაიდა-ბოძუ[19]
ღვინის დოქით ცეკვავს
სონეძაკში[20] შემოდგომა დადგა
მარტომყოფი გავწამდები კვლავაც

●

ჩიტები ერთმანეთს
ვერ შეხვდებიან
შენ ვერაფერი ვერ შეგედრება
გამჭვირვალე და წმინდა არის
სიღრმე ნეფრიტის ბაგეებისა[21]

●

ბედმა გვარგუნა მდინარესთან
ყვითელ წყაროთა დაბლობზე ერთურთს
ჩვენ შევხვედროდით
იასპის მათრახით გაჩქარებდი
მთელი ღამის განმავლობაში

●

ახლახანს ედოდან[22] ჩამოვიდა
დაკოჭლებული იამაბუსი[23]
სინანულის გარეშე შენ ის მიატოვე
ასჯერ გკოცნიდი
როგორც სიხარულს ნაადრევი
გაზაფხულისას

●

ჰო სამი წელი
მელაკუდას ნებას ვაძლევდი
ვეტყუებინე
ჩემი ნეფრიტის ლერო ხელდებოდ რას
ბიბლიოთეკა დაემსგავსა?
სიძიმე მდინარე ნიყარების[24]
ამოიხაპა

●

გვიანობამდე ბრინჯს არჩევდი
არაფრისგზით არ წვებოდი
დასაძინებლად
შუქმფენ მთვარისკენ
მივმართავ მზერას
დაღლილ მარჯანს ვეალერსები

●

ოდესღაც სხვის მიერ
ქალწულის სარტყელი იქნა გახსნილი
ბაღში ბუნდოვნად ვხლართავთ ხმებს
მხოლოდ
ხელი იოლად იპოვის ადგილს
სასიხარულო შეხვედრებისა

●

ნეფრიტის კაუჭებს დაკიდულ ფარდას
ათრთოლებს ქარი
მეხუტები და მიმტკიცებ რომ
დავწორდებით ერთმანეთს მალე
შემოდგომის ყვავილების სურნელება
საოცარია!

●

იასპის ოთახში
სარკე მეჩვენება
ო ლანდები-მოგონებები!
ტბა ბურუსშია
დაიხარა ნეფრიტის ლერო

●

სიქაგაცლილი
მოწითალოწინსაფრიანი[25]
ახეზე წარბებს ითითხნი[26]
ნეტა თუ ამოვა ახალგაზრდა
მთვარესავით
სულსწრაფი კვერთხი?

●

ასი ფიალა
ვერ მოკლავს წყურვილს
მამაკაცისთვის ასი ქალი ზღვარი არ
გაიხსნა სარტყელი
ხმაურიანად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ყველაფერი ერთმანეთს ერწყმის
თმები ერთ კონად შეგროვილი
შეკრულია ქაღალდის თასმით
ვთამაშობ შენით
ვით მდაბიო მარგალიტებით

●

ვარცხნილობა შენი
ჩემს ხელში
ლრუბელია თითქოს ამ ღამით
ბუმბულზე უფრო მსუბუქი ხარ
შენ სარეცელზე

●

შენი მხედრების აღნაგობა
ქედმაღლურია
საუფლო ასი ნეტარებისა
დღე და ღამე გართობებით არის
აღსავსე
ხოლო ის ვისაც მან გაუღიმა
იქ იტამიში მარტოდმყოფი გაიტანჯება[27]

●

არ შემიძლია დავივიწყო
ედოში ჩვენ ერთმანეთი როგორ
გვიყვარდა
და პირველი ამბორი შენი
მაგრამ ვნება მათრობელა რაც უფრო
არის
ნაღველი მით უფრო მძაფრია

●

ატმის წყაროსთან
ქალიშვილო შენ დაიხარე
სახლისაკენ მერცხლები ფრენენ
ალუბლები მთებზე ყვავიან
წელში როგორ გასწორდეს ვაზი?

●

სარეცელზე წევხარ ნასვამი
და ათამაშებ მარგალიტს მკერდზე
არ შეგიძლია წარმოიდგინო
ნეტარების გარეშე დღეც კი
შენი ტანი კატაა თითქოს[28]

●

უკანასკნელი
გუნდი გაფრინდა
მარტოდ ზის ყვავი
ნეტა გზაში ვისზე დაეშვნენ
მიმომფრენი შენი ხელები?

●

როგორც კი ოდნავ შეირხევა
ანარეკლი შენი ბურუსში
მსურს ჩავძირო
გამოცდილი ნიჩაბი მასში
და მაშინვე ვაფრინო ცაში

●

ფერდები თრთიან
კრთება სხეული
მწუხრნი ერთურთში
შედიან მალვით
სადაცაა გასკდება გული

●

იქ მტრედისფერ ტირიფებს შორის
თრთის ჩიტების ყივილ-ხივილი
თხუთმეტი წლისამ შეიცნე ვნება
და ჩემთან შერწყმა გწყუროდა წყენის
ეჭვებისა და ჩხუბის გარეშე

●

გორაკის თავზე
ახლოს ნაპირ ტაკასაუსთან
შენ იკლაკნები-მიედინები
ისე როგორც სწრაფი ნაკადი
სხლტები ჩემი ხელებიდან
დაუსრულებლად

●

უდაბნოსა ჰგავს არემარე
ბერებიც დიდი ხანია თვლემენ
მთელი სხეულით შევიგრძნობ ღამეს
მაგრამ ბაღში ქრიზანთემები
აქამდე რატომ არ გაიფურჩქნენ?

●

დაგზუზუნებდი კრაზანასავით
ო საოცარო
ჩემო ლოტოსო
მწვანე წყალში
აირეკლა მარჯანი რვაჯერ

●

კისაიამას მთებში
შენი გულის გახსნა იქცევა ღრუბლად
გახსოვს მიცუს ყურეში ტრფობას
ისე მიეცით
წკრიალებდნენ ფიქვის ხეები[29]

●

ორი ხელით
დაიფარე მკერდი შემცბარმა
და მზერა სხვაგან გადაიტანე
ღღისით-მზისით იოლია
სიმორცხვის გრძნობის დაძლევა
ჩვენთვის?

●

გამიმიჯნურდა ოდესღაც
მოახლე კუნძულ ცუკუსიდან
სასთუმლად მიდევს
სახელო მისი ტანსაცმლისა
იმის შემდეგ რაც დავრჩი მარტო

●

კარაქის გამყიდველს
მამჯობინე
დიდი ხნით ვითომ?
წარმოდგენა არა მაქვს როგორ
ვიშოვო ფული

●

ის ჯერ კიდევ ისე ნორჩია
თხუთმეტი წლის გოგონა იყო
ჭიშკართან რომ წყვეტდა ყვავილებს
მამაკაცთა წადილს ახლაც
აქეზებს იგი

●

აწვართული შენი ტანი
კენარია ნორჩ ტირიფზე მეტად
და მოკაზმულ სარტყლით[30]
შეკრულია მაღლა
ყალბ კრძალვაზე ვამბობ უარს
გიწყებ-კურკურს ყველას თვალწინ

●

მფრთხალი ნაბიჯი
სულსწრაფობას აღვივებს სულში
სასაცილო ხრიკები თითქოს
არ ვიცოდე
რანაირად ჩაღდება ვნება

●

სასახლის ბაღის სამხრეთ კედელთან
იმპერატორის ქალიშვილი ამალიანად
ქვედა კაბა მოყვითალო აბრეშუმისა
ზედა მწვანე ბალახის ფერი
დიდხანს ვდგავარ ვაწვალებ ულვაშს

●

სხეულზე კარგავ
ეკანასკნელ ძალაუფლებას
ჭეკა-ქუხილს შეაკავებ
თუკი სურს რომ
ისროლოს ელვა?

●

ბამბუკის ტევრი
უსარგებლო სამოსთაგან აჭრელებული
მიწა ოხრავს სიყვარულისგან
ხეების ზევით
ახალგაზრდა კიდია მთვარე

●

მსუბუქ სანდლებში
მოირბინე ჩემთან ღამის
წვიმების შემდეგ
ჭიშკარი დაწნული ტოტებისაგან
ჭრიალებს და ჭრიალებს გაბმით

●

სიძიმის თავზე მოშორებით
გამოჩნდა ჩიდი
კვლავ მღელვარება მიპყრობს
ზუსტად აქ
მე პირველად გადავტეხე ტირიფის
ტოტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

იისფერ კაბაზე
შენი თეთრი წამოსასხამი
თითქოსდა ასი ნეტარების საუფლოს
ფარდა
ციური ბადე ფართოა[31] ოღონდ
მას ვერაფრით ვერ დაუსხლტები!

●

ჩუმად შემოდის
მოახლე გოგო
აზრადაც კი არ მომსვლია
შენი წყენინება
კუდრაჭა ია

●

ნახევარწრეები
თრთიან მწვანე ქუთუთოების
განიღვრება ღრუბლებში ღამე
რაც არ ამოვთქვი
ამოთქმულზე უფრო მეტად ძლიერი
არის

●

მსურდა მინდვრებზე
ჰამაგური[32] მიმომეფანტა
წიგნი გადავდე
და შევეხე ნეფრიტის ტუჩებს
შემოდგომაა

●

საღაა წყარო
რომელშიაც შეიძლებოდეს
წყურვილის მოკვლა
ისე რომ მწვანე
წყალში მარჯნად არ აირეკლო

●

ბერები ასამას მწვერვალიდან
გვითვალთვალებდნენ
წამითაც თვალს არ მოხუჭავენ
ძილგამტყდარი დარაჯები
შეხვედრათა საგუშაგოსთან

●

ფარდულის კართან
ფარდის უკან
კოცნის ნება
დამრთო ციცქნა ბოლოქანქარამ
ღმერთებისათვის მიჯნურობის
მასწავლებელმა[33]

●

გახსოვს პირველად
როგორ ვუთხარით
სამიჯნურო სიტყვები ერთურთს
უმასპინძლე მას შემდეგ რამდენ
გამვლელს ტამბიდან[34] ო-ჰიმესამ[35]

●

თოთხმეტი წლისა
ეძახდი სტუმრებს
ვინ არ გიცნობს შენ ედოში
აჰ ოკიაგარიკობოსი![36]
ვარსკვლავს ცადან ხომ არ ინებებ?[37]

●

კუს ბაკნის სავარცხლად
დრო აქცევს სხეულს
შენი სული ხომ
სუგოროკუს[38] კოჭია მხოლოდ
ო საძაგელო შექცევავ თავის!

●

ღიმილით კიმონო გაიხსენი
მაგრამ მთხოვ რომ
ზურგი გაქციო
დიდი გრძნობები
პატარა მკერდი

●

ასი ათასი ფანარი ზეციერ
უფრო ნათელი
არის შენი შიშველი ტანი
ას ოქროდა ღირს
ერთი წამი ღამისეული

●

სიხარულის დღე
სონეძაკში სიყვარულის დღესასწაული
მომხმობი ქღერა
მხიარული სიამისენის
როგორ გინდა შეიკავო თავი აქ განა?

●

ნაკადულიდან დაისისაკენ
მიმყავს გოგონა
სახელად ჰო
დამცხრალი მთვარე
ანათებს მაღლა

●

ვინ მითანაგრძნობს
ვინ ილოცებს ჩემი გულისთვის?
ახლა ჩერჩეტი
ედოელი მოახლე გოგოც
უკადრისობს დარჩენას ჩემთან

●

ძალიან ბევრი მქონდა გზაზე
სასტუმრო და თავშესაფარი
ხომ არ აჯობებს ჩემთვის
ჯოჯოხეთისკენ
დავეშვა მარტო?

●

შესასვლელი და გასასვლელი
ერთი და იგივე კარიდანაა
თოჯინებთან თამაშობდი ცოტა ხნის
წინათ
მაგრამ არის სხვა თამაშიც უფროსების
თამაში ცეცხლთან
ნელი სინაზით
შედის შენში.....
. . . . . .
. . . . . .
. 40

●

შუალამისას შენ გიტაცებ
ბრწყინვალებით ყველას რომ ჯაბნი
გვიმრა ნაზია და მწვანეა
მარადიულად გაგრძელდება ჩვენი
ამბორი
არამყარ ნავზე

●

თმის ძირებიდან ტერფებამდე
ასეთი მკვირცხლი
თვრები საღამოს გარიჟრაჟით
მწვანე ქერცლივით
ფრთის ჭავლი წყალთა სიღრმეებს
ზევით

●

ორქიდეებში დაფარფატებენ
მშვენიერი ქალწულები
სილამაზით ირეკლავენ ერთიმეორეს
ნაპირის თავზე ტერასები
ნაღვლიანად ცარიელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ნატიფად თლილ
საწოლთან ახლოს
საკუთარ სამოსს გადააბიჯე
და მომეკარი ნაზად მაგრამ
მე რატომღა ვთრთი?

●

ო ეს ფეხი
ო საიდუმლო სიტურფე ტანის
ვიწვი თითქოს ჩამაგდეს ცეცხლში
უძილო ღამის სამხილია
ნეტარებით სავსე ტუჩები

●

წლები გაფრინდნენ
და მეწვია სიბერე მაგრამ
სონეტაკის უბანს ვიხსენებ
და მიქრება
ხელად ნაღველი

კომენტარები

1. **სიმატის უბანი** — შუასაუკუნოვანი მხიარული უბანი ოსაკას ცენტრში. აქ განლაგებული სარესტორანოები კედლებით იყო შემოსაზღვრული. ღარიბი ოჯახები ხუთი წლის ვადით აქ თავიანთ გოგონებს ყიდდნენ, თუმცა გოგონები ხშირად უფრო დიდხანს რჩებოდნენ, რადგან მეპატრონეები მათ ათასნაირ ვალებს მიაწერდნენ ხოლმე.

2. **ჰაგი მთელი ფერადოვნებით** — ციტატა ჩინელი პოეტის ვენ დეის (179-157 ჩვენს წ. ა-მდე) ლექსიდან.

3. **ახალი ნავი (სინძო)** — გადატანითი მნიშვნელობით ახალგაზრდა ქალი ან მეუღლე, ხოლო მხიარულ უბანში გოგონა, რომელიც ცოტა ხნის წინ მოწაფე (კაბურო) იყო, ახლა კი ჰეტერას მეთვალყურეობის ქვეშ ხელობას სწავლობს.

4. **ნოძაკი** — სოფელი (ახლა უკვე ქალაქი) ოსაკას პრეფექტურაში.

5. **გრძელი თასმა** — რიტუალური მნიშვნელობის ჩოლის თოკი (სიმენაკა), რომელსაც პირველ საკორწინო ღამეს იხსნიან.

6. **მზეთუნახავი ტაიუ** — საროსკიპოებში გოგონებს ენიჭებოდათ რანგები, რის მიხედვითაც წესდებოდა ანაზღაურება. პირველი რანგის ლამაზმანი (ტაიუ) მხოლოდ ძალიან მდიდარ სტუმრებს იღებდა.

7. **ნეფრიტის ღერო** — მამაკაცური საწყისის უძველესი დაოსური სიმბოლო.

8. **ქაცურაკი** — ქაცურაკის მთის ღმერთი, რომელიც ისე მახინჯი იყო, რომ მხოლოდ ღამ-ღამობით ჩნდებოდა. ტანკა დაწერილია პოეტ ოე-ნო ოკიკაძეს ლექსების მოტივებზე. მან სახელი გაითქვა იმით, რომ განავითარა �ილი „იუგენი" — „საიდუმლო, სიფრთხილეებში-დანაღლული სილამაზე".

9. **მარჯნის მწვანე წყალში არეკვლა** — რუბოკის გამჭოლი სიმბოლო. იგი რეფრენად გასდევს მთელს ციკლს და თვით რუბოკის სიმბოლოთა სისტემისთვისაც კი მისი მნიშვნელობა საკმაოდ აშკარაა.

10. **სადგური ისიგე** — მდებარეობდა ოპის პროვინციაში, სადგურებს: კუსაცუსა და მინაკეტის შორის.

11. **ბოგინა-ძერო** — მეძავი გოგონა. სახელწოდება „ძეროს" არ ჰქონია საძულველის შეფერილობა, თუმც როგორც ეტყობა პოეტი კი არ უნდერის, ირიმედ კიცხავს მის თანამედროვე ქალთა ზნეს.

12. **მიატოვე აბანოები...**—აბანოში მომუშავე ქალები წარმოადგენდნენ ჰეტერებს და მათ შორის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ.

13. **ბრინჯის ქაღალდის ნაბლეჯი** — ძველ იაპონიაში ცხვირსახოცებს, ტუალეტის ქაღალდებს (მანაგამი) ამზადებდნენ ბრინჯის ქაღალდისაგან.

14. **მდაბალი ფელა** — იაპონური ცრურწმენით მდედრ მელას და ჯიქს შეუძლიათ მიიღონ მშვენიერი ქალის სახე.

15. **ასამის წვერვალი** — ასამის მთის ძირში მდებარეობს განთქმული სინტოისტური ტაძარი, სადაც უქორწინობის აღთქმამიცემული ქურუმები ცხოვრობენ.

16. **ჰეხა** — მონაზვნის ჩაცმულობის ნაწილი. არის ყვითელი ფერის. შავი წინწკლებით, იცვამენ ცალ ხელზე. პოეტი მიანიშნებს, რომ ინტიმური კავშირი დაამყარა მონაზონთან.

17. **ცხრაკარიგჯიანი ძალაქი** — იგულისხმება დედაქალაქი. თავიდან ამ სიტყვებით აღნიშნავდნენ იმპერატორის სასახლეს, რომელიც აშენებული იყო ჩინური წესით, ჰქონდა ცხრა კარიბჭე და ცხრა ციური სფეროა სიმბოლოს წარმოადგენდა. მოგვიანებით ამ სიტყვის გამოყენება დაიწყეს მთლიანად დედაქალაქის აღსანიშნავად. ტანკა აშკარად ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს.

18. **აგურაძუცუ** — ბამბუკის ტეროსაგან დამზადებული ზეთის ჩასასხმელი ჭურჭელი, ლიმაკსთან დაკავშირებული ეროტიკული სიმბოლო.

19. **ნამაიდა-ზოძუ** — ბერის ტანსაცმელში გამოწყობილი მოხეტიალე მომღერალი, რომელიც გონების აკომპანიმენტზე სასუმარო სიმღერებს მღეროდა.

20. **სონეძაკი** — IX საუკუნის დასაწყისში წარმოშობილი სიყვარულის უბანი ოსაკაში.

21. **ნეფრიტის ბაბეები** — ქალური საწყისის ძველი დაოსური სიმბოლო. რუბოკი გვიჩვენებს დაოსური ეზოთერული ტექსტების ღრმა ცოდნას.

22. **ედო** — ტოკიოს ძველი სახელწოდება.

23. **იამაბუსი** — შემლოცველი (გენძა). VIII საუკუნეში წარმოშობილი ბუდისტური სექტა საუკუნდის მიმდევარი. გენძები წმინდა მთებზე დახეტიალობდნენ მაგიური ძალის შეძენის მიზნით. ისინი მკურნალობდნენ შელოცვებით, რადგან ითვლებოდა, რომ ავადმყოფობას ავი სულებით შეპყრობა იწვევდა. იამაბუსები, ერთგვარი სახის შაბანები, იაპონურ ფოლკლორში გამოისახებიან როგორც თაღლითები.

24. **სიძიმი** — პატარა მდინარე სონეძაკისა და სიყვარულის ძველ უბანს — დოძიმას შორის. „სიძიმი" თარგმანში ნიშნავს „პატარა ნიკარას", აქედანაა სიტყვების თამაში, რომელიც ხალხურ ანდაზაზეა დაფუძნებული: „ნიკარით ზღვას ვერ ამოხაპავ". პოეტი პირიქით, ამბობს, რომ ამ ნიკარით სიყვარულის ზღვა პირთამდე ამოხაპა.

25. **მოწითალოწინსაფრიანი** — მოსამსახურე გოგონები დუქნებში მოწითალო წინსაფრებს ატარებდნენ.

26. **სახეზე წარბებს ითითხნი** — წარბებს გათხოვილი ქალები იპარსავდნენ და მის ნაცვლად მაღლა, შუბლზე ტუშით ორ ხაზს იელებდნენ. ტანკა ცოლ-ქმრული ღალატის თემაზეა დაწერილი.

27. **იტამიში მარტოდმყოფი გაიტანჯება** — უთარგმნელი სიტყვების თამაში. პროვინცია იტამის სახელწოდება. ნიშნავს აგრეთვე „ტკივილს".

28. **შენი ტანი კატაა თითქოს** — კატა ძველად იაპონიაში დიდი იშვიათობა იყო და დიდად ფასობდა. კატები კონტინენტიდან შემოჰყავდათ. ცნობილია, რომ იმპერატორ იტიძიოს საყვარელი კატების მშობიარობას თან ლოცვები და რიტუალური წეს-ჩვეულებები სდევდა.

29. **წარიალებდნენ ფიჰვის ხეები** — როდესაც მოხეტიალე მლოცველები ტაძარ ისეში მიდიოდნენ, წმინდა ფიჰვებზე შესაწირავს — მონეტებს კიდებდნენ ხოლმე.

30. **მოკაზმული სარტყელი** — გოგონები მხიარული უბნიდან როგორც წესი მოკაზმულ სარტყლებს ატარებდნენ, რაც მათ ხელობაზე მიუთითებდა.

31. **ციური ბადე ფართოა...** — ლაო-ძის „დაო დე ძინ-ში" არის ასეთი ფრაზა: „ციური ბადე ფართოა, იშვიათია მისი კვანძები, მაგრამ ვერავინ მას ვერ დაუსხლტება" ეს გამოსათქვაში იაპონურ ანდაზად იქცა. მაგრამ აქ პოეტი აშკარად ანლებურად იაზრებს მას, მოურიდებლად ადარებს რა საკუთარ თავს ზეცას.

32. **ვამაგური** — საკვებად ვარგისი მოლუსკები.

33. **ციცქნა ბოლოქანქარა, ღმერთებისათვის მიჯნურობის მასწავლებელი** — იაპონური მითების მიხედვით ბოლოქანქარამ მიჯნურობა ასწავლა ღმერთ იძანზანაგის და ქალღმერთ იძანამის — სინტოისტური რელიგიის ღმერთებს. პოეტი აშკარად მიანიშნებს სატრფოს ბისექსუალურობაზე.

34. **ტამბა** — ძველი პროვინციის დასახელება. მდებარეობდა კიოტოსთან ახლოს.

35. **ო-ჰიმესამა** — წარჩინებულთა გვარის ქალიშვილის ძველებური ტიტული. პოეტი დარდობს წოდებრივ ბარიერთა სწრაფ რღვევაზე, რაც დამღუპველად მოქმედებდა დიდგვაროვანი ოჯახებიდან გამოსული ქალების ზნეობაზეც კი.

36. **ოკიაგარიკოგოსი** — „ვანკა-სტანკას" მსგავსი სათამაშო, რომელიც ბედნიერების ღმერთს გამოსახავდა. სიტყვის მეორე მნიშვნელობა — მოსამსახურე გოგო, რომელიც გზაჯვარედინებზე ხალხს გასართობ სახლებში ეპატიჟებოდა.

37. **ვარსკვლავს ციდან ხომ არ ინებებ?** — უთარგმნელი სიტყვების თამაში. „ჰოსი" ერთდროულად ნიშნავს ნდომასაც და ვარსკვლავსაც.

38. **სუგოროკუ** — ჩინური წარმოშობის თამაში. სპეციალური ფუტლიარიდან ისროდნენ კამეჩლებს. თამაშის მიზანი იყო შაშის დაფაზე მოწინააღმდეგის ბანაკში შეჭრა. მეტაფორულად მსგავს მიზანს მიაწერს რუბოკო მოცემული ტანკის ლირიკულ გმირსაც.

39. **ასი ათასი ფარნის ზეიმი** — ბუდისტური დღესასწაული. ფარანი ბუდასადმი შეწირულობად ითვლებოდა.

40. **ნელი სინაზით ფემოდის ფენეში...** — არასრული ტანკა. ნაწილი მკვლევარებისა თვლის, რომ ეს ავტორის თვითნებობაა, ნაწილს კი მიაჩნია, რომ ტანკის დასასრული უბრალოდ დაკარგულია.

□

ლეონარდო შაშა

ღვინისფერი ფლვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იტალიურიდან
თარგმნა **ნუნუ ბელაძემ**

თანამედროვე იტალიური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი **ლეონარდო შაშა** (1921-1989) არაერთი ისტორიული და პოლიტიკური რომანის, დეტექტური მოთხრობის, ესსეს და პიესის ავტორია. იგი სიცილელი იყო და თითქმის მთელი თავისი შემოქმედება სიცილიური მაფიის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა.

წინამდებარე მოთხრობა უჩვეულოდ პოეტურია ლეონარდო შაშას, როგორც ამბობენ, „დაუნდობელი და სასტიკი" შემოქმედებითი მანერისათვის.

სამგზავრო მატარებელი „რომი — რეჯო კალაბრია — სიცილია" ზაფხულობით რომიდან 20 საათსა და 55 წუთზე გადის, — ასეც აუწყა რეპროდუქტორით ქალის ხმამ შალითაშემოკრული ჩემოდნებითა და ფუთებით დახუნძლულ მგზავრებს. ეს ხმა სიბერეშეპარულ, მაგრამ ლამაზი ქალის ასოციაციას იწვევდა მატარებლისკენ დაძრულ ხალხის ნაკადში. ქალმა გამოაცხადა, მატარებლის შემადგენლობაში ჩაბმულია პირველი კლასის ვაგონი „რომი — აგრიჯენტო".

ეს თვალშისაცემი პრივილეგია რამდენიმე წლის წინ დასავლეთი სიცილიის პარლამენტის სამი-ოთხი დეპუტატის მოთხოვნით შემოიღეს. სამხრეთისაკენ მიმავალი სხვა მატარებლებისაგან განსხვავებით ეს მატარებელი ნაკლებ ხალხმრავალია: იშვიათად თუ დარჩება უადგილო მგზავრი მეორე კლასის ვაგონებში, პირველ კლასში ხომ, მით უფრო აგრიჯენტომდე, მარტოც კი შეიძლება აღმოჩნდე კუპეში. საკმარისია შუქი ჩააქრო, ფარდები დაუშვა, ბარგი და გაზეთები სავარძლებზე მოალაგო, რომ ნეაპოლამდე არავინ დაგემგზავროს, თუ წინდახედულადაც მოიქეცი და თავი მოიმძინარე, სალერნომდეც აღარავინ შეგაწუხებს. თუმცა ეს კომფორტი ვერაფერი შელავათია სამგზავრო მატარებლის მოუხერხებელი განრიგის პირობებში. ალბათ ამიტომაც სიცილიელები ჩქარ მატარებელს ამჯობინებენ, სულ რაღაც ორი საათით ადრე რომ გადის უმნიშვნელო შეფერხებით და შვიდი საათით უსწრებს სამგზავრო მატარებელს.

მაგრამ ინჟინერ ბიანკის, რომელიც პირველად მიემგზავრებოდა სიცილიაში, უფრო ზუსტად, ჯელაში და თანაც მივლინებით, მაინცდამაინც სამგზავრო მატარებლით წასვლა ურჩიეს, ბილეთიც წინასწარ დააჯავშნინეს, ვინძლო ღამის გათენება კორიდორში მოგიხდესო; თან არც რჩევები დააკლეს: წინასწარ დაჯავშნულ კუპეში ყოველთვის იმდენი მგზავრია, რამდენიც ადგილი, იმ დაუ-

ჯავშნავ კუპეებთან შედარებით, რომელშიც სავსებით შესაძლებელია მარტო აღმოჩნდე, ასე რომ, ტურისტებით გადატვირთული აეროფლოტის გამო და მეგობართა დარიგებების წყალობით ინჟინერ ბიანკის არც ისე კომფორტული მგზავრობა ელოდა: იგი ხუთი ადამიანის — სამი უფროსისა და ორი ბავშვის გვერდით აღმოჩნდა, თანაც უფროსები ერთობ ენაწყლიანები, ბავშვები კი მოუსვენრები ჩანდნენ.

ამ ხმაურიან ოჯახს ახლდა ოცდოდე წლის ქალიშვილი, ალბათ ნათესავი ან მეგობარი, შესაძლოა შემთხვევითი ნაცნობიც კი. თეთრსაყელოშემოვლებული მონაზვნური თალხი კაბა ღვთისმშობლის მორჩილის იერს აძლევდა ისედაც უფერულ ქალიშვილს. პატარები არ ისვენებდნენ, რულმორეული უფროსი ბიჭი ქალიშვილის მუხლებზე მოკალათებას ლამობდა, უმცროსი ყელზე ეკიდებოდა, თმას უჩეჩდა, მერე იატაკზე ეშვებოდა და ხელებზე დაყრდნობილი მოუსვენრად დაცოცავდა. უფროსს ლულუს ეძახდნენ, უმცროსს — ნენეს. ვიდრე სადგურ ფორმიას მიაღწევდნენ, ინჟინერს აუხსნეს, რომ ეს საალერსო სახელები ლუიჯის და ემანუელეს ნიშნავდა. ისე რომ, ფორმიაში ჩასვლამდე ინჟინერმა თითქმის ყველაფერი იცოდა ოჯახის ოთხივე წევრისა და მათი თანმხლები ქალიშვილის შესახებ. ისინი აგრიჯენტოს პროვინციაში შემავალი უხვი მიწებითა და მდიდარი მიწისმფლობელებით განთქმულ ნიზიმადან ყოფილან, ფაშისტური რეჟიმის ერთ-ერთი წინამძღოლის სოფლიდან. ახლა მას სოციალისტ-კომუნისტები მართავენ. სოფელში სარკინიგზო ხაზი არ გადის, სამაგიეროდ ანტიკური ტაძარი დგას. ცოლ-ქმარი დაწყებითი სკოლის მასწავლებლები არიან, ქალიშვილიც იმავე სკოლაში ასწავლის, თუმცა ჯერ განაკვეთი არა აქვს. ოჯახი რომში ყოფილა. ცოლის ძმა (თავდაცვის სამინისტროში შესაშური თანამდებობის პირი) დაქორწინდა რომაელ ქალზე — საუკეთესო ოჯახის შვილზე (მამა განათლების სამინისტროში შესაშური თანამდებობის პირი); პატარძალი ფილოლოგია და კერძო სკოლაში ასწავლის, ლამაზია, მაღალი, ქერათმიანი, სწორედ დღეს იყო ჯვრისწერა სან-ლორენცო ინ ლუჩინაში; დიდებული ტაძარია, სან-ინიაცოს კი ვერ შეედრება, მაგრამ ლამაზია; მეჯვარეებს ხომ ნუ ეკითხავთ, უიშვიათესი ხალხია. რაც შეეხება მათ თანმხლებ ქალიშვილს — რომელიც მათთვის ძმას ჩაუბარებია (იუსტიციის სამინისტროს საუკეთესო თანამშრომელს) — მძიმე ავადმყოფობის შემდეგ რომში წამოსულა გულის გადასაყოლებლად. შავი კაბა კი ნიზიმას მფარველის, სასწაულმოქმედისა და სნეულთა მკურნალის წმინდა კალოჯეროსადმი მიცემული აღთქმის ნიშნად ჩაუცვამს — სწორედ მისი წყალობით განკურნებულა ტიფისაგან. საკვირველია პირდაპირ, რამდენი ტაძარია რომში და წმინდა კალოჯეროს სახელზე ერთი პატარა სამლოცველოც კი არ მოიძებნება — წუხდა ცოლი. წმინდა კალოჯეროს ხსენებაზე ქმარმა სკეპტიკურად გაიღიმა. საუბარში ქალიშვილი ჩაება: თურმე ბავშვობაში ეშინოდა ამ წმინდანისა, მისი შავი სახის, შავი წვერის, შავი მოსასხამის და, სიმართლე თუ გინდათ, აღთქმა მან კი არა, დედამისმა დადო და ამიტომაც ექვსი თვე უნდა ეცვას ეს შავი კაბა.

— თანაც ასეთ პაპანაქებაში, ქვებიც რომ დნება სიცხისაგან, — უთანაგრძნო ოჯახის უფროსმა ქალიშვილს.

— ტანჯვის გარეშე აზრი არა აქვს აღთქმას, — მოჭრა ცოლმა.

— ის არ არის საკმარისი, მთელი რომი რომ შემომცქეროდა? — დაიჩივლა ქალიშვილმა.

— არა, დამცირება და მოთმინება აღთქმის აუცილებელი პირობაა, — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ცოლმა.

ქალიშვილმა ირონიულად ჩაიღიმა. მოულოდნელად სულ სხვა ქალი შეიცნო ინჟინერმა მასში. ლამაზი მკერდი, ჩამოქნილი სხეული გამოკრთოდა გახუნებული ტანსაცმლის ქვეშ, თვალებიც საოცრად უბრწყინავდა.

— მე მოგიხსნი აღთქმას! — წამოიძახა უმცროსმა ბიჭმა და ფეხები აიჭნია ზონრებდაცლილი ფეხსაცმლის გასახდელად.

— ნენე! — ერთდროულად შეჰყვირეს ბავშვს მშობლებმა და ბოდიში მოუხადეს ინჟინერს, რომელმაც ფეხსაცმელი უკან გაუწოდა და დაამშვიდა:

— არაფერია, ბავშვია... — ინჟინერ ბიანკის აზრით, ეს მართლაც ბავშვური საქციელი იყო, მაგრამ იგი ვერც კი წარმოიდგენდა, რას უმზადებდნენ ნენე და ლულუ.

— ოჰ, ეს აღთქმები! — განაახლა საუბარი ქმარმა და ნენეს ფეხსაცმელი ჩააცვა, — ნამდვილი ცრურწმენა და უმეცრებაა, მეტი არაფერი.

— რას ამბობ, განა შენ თავად არ გაიარე წმინდა კიბე?! — მწარედ გაქენწლა ცოლმა.

— ეგ სულ სხვა რამეა, — შეეწინააღმდეგა ქმარი, — არ გახსოვს, ცალი ფეხი სამარეში მედგა.

— არაფერიც, აბა, სინიორ ბიანკის ვკითხოთ, თუა სხვაობა, — არ ეპუებოდა ცოლი.

ინჟინერმა უმწეოდ გაიღიმა.

— არა, — არ ეშვებოდა ქალი, — უნდა გვითხრათ, არის თუ არა სხვაობა. თავად კი გაიარა წმინდა კიბე და ახლა სხვებს დასცინის.

— გვითხარით, გვითხარით, — გამხნევდა ქმარი მხარდაჭერის მოლოდინით.

— კი მაგრამ, რას ნიშნავს წმინდა კიბის გავლა? — იკითხა ინჟინერმა მხოლოდ იმიტომ, რომ დრო ბაეყვანა.

— არ იცით?! — გაიკვირვა ცოლმა.

— რაღაც ბუნდოვნად მახსოვს, — ჩაილაპარაკა ინჟინერმა.

— ბუნდოვნად?!... მაპატიეთ, კათოლიკე ხართ?

— რასაკვირველია, მაგრამ...

— მაგრამ მე მეთანხმებით, — გაიხარა ქმარმა.

— შენ წმინდა კიბე გაიარე, — გამანადგურებლად შეხედა ცოლმა.

— მხოლოდ შენი ხათრით, — კიდევ ერთხელ შებედა ქმარმა.

— მშია! — წამოიყვირა ნენემ, — ძეხვი მინდა, ბანანი მინდა!

— მე ფორთოხლის წვენი მინდა! — აყვა ლულუც.

— არავითარი ძეხვი, ალერგია გაგიმიზეზდება, — განაცხადა დედამ და ნენეს წითელი ლაქებით აფორეჯებულ მკლავებზე მიუთითა.

— ძეხვი, თორემ დონ პიეტროს ვირივით ვიზამ! — დაემუქრა ნენე ყველას.

— მერედა, რას შვრება დონ პიეტროს სახედარი? — გამოაჯავრა ქალიშვილმა; ჩანდა, იცოდა, რასაც ეკითხებოდა. ის იყო ნენე, სკამიდან ჩამოცოცდა, რომ მშობლები წამოხტნენ და ბავშვს დასწვდნენ. — დონ პიეტროს სახედარი წამოწვება ხოლმე მიწაზე და ცოფიანივით გორავს. ნენე კი ისე კარგად ბაძავს, — მოუბოდიშეს ინჟინერს.

ბავშვს ძეხვი მისცეს.

— ფორთოხლის წვენი, — აზლუქუნდა ლულუ.

— ნეაპოლში გიყიდით, — დაპირდა ყველა, ინჟინერიც კი. ლულუ პოზიციას არ თმობდა და გაბმით მოთქვამდა. ნენე კი თავიდანვე მუქარას და შან-

ტაეს მიმართავდა. ინჟინერს ნენეს მოხერხებულობა და სიმარდე უფრო მოსწონდა, ლულუს წუწუნი ნერვებს უშლიდა.

მშობლების ხვევნა-ალერსმა დაამშვიდა ლულუ. ამასობაში წმინდა კიბის საჩოთირო თემაც გადაავიწყდათ.

— თქვენ უცოლო ხართ? — გამომცდელად შეაგლო თვალი ინჟინრის მარცხენა ხელს ქალმა.

— კაცს თუ მზრებზე თავი აბია, ცოლს არ შეირთავს, — იხუმრა ქმარმა.

— მართალი ხარ, შენ უკვე შეირთე ცოლი, — ნიშნი მოუგო შეუღლემ.

— მე კი მგონია, თავიანი ხალხი ადრე თუ გვიან ცოლს მაინც ირთავს, მეც ასე მოვიქცევი, — თქვა ინჟინერმა.

— გესმის, რას ამბობს ჭკვიანი ხალხი? — უსაყვედურა ცოლმა.

— მე ხომ ვიხუმრე... თუმცა, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ქორწინება დიდი შეცდომაა. ისე, პირადად მე საყვედური არ მეთქმის, არ ვაჭარბებ, ჩემი ცოლი ღვთისნიერი ქალია, — ცოლი გაიბადრა და თავი დახარა, — ორი ანგელოზი მეზრდება. — და მზრუნველად გადაუსვა ნენეს თავზე ხელი. პასუხად ნენემ მოთხუპნული ტუჩები მამამისის საგარეო პერანგს აუსვა.

— პერანგი — შეჰკივლა დედამ, მაგრამ უკვე გვიანი იყო, აბრეშუმი ცხიმიან ლაქებს დაეფარა.

— ჩემო სიცოცხლევ, რად დამისვარე პერანგი ?— ამოთქვა სასოწარკვეთილმა მამამ.

— კიდე მომე ძეხვი! — არ შეიმჩნია ნენემ.

— ერთხელაც ახსენებ ძეხვს და ფელდფებელი მოვა შენს წასაყვანად, — გაცხარდა მამა.

— მერე როდის ვახსენებ, მინდა და მორჩა! — დაიჩემა ნენემ.

— არა-მეთქი!

— მივიდეთ ერთი შინ, დეიდა ტერეზინას თუ არ ვუამბო, ძია ტოტოსთან ერთად რომ ჭორავდით... — დაემუქრა ნენე.

— ჩვენ ვჭორავდით?. — გულთან ხელი მიიტანა შეშფოთებულმა დედამ.

— დიახაც, შენ და მამა. ძია ტოტოს ეუბნებოდით, დეიდა ტერეზინა ძუნწი, ბინძური და მზაკვარი ქალიაო, — ნიშნისმოგებით დააქნია ნენემ თავი.

— მივცემ ძეხვს, — გადაწყვიტა მამამ.

— მიეცი და მთელ ტანზე რომ დააყრის და ქავილი დაეწყება, დეიდა ტერეზინა უშველის, — დაეთანხმა დედა.

— თვითონაც კარგად მოვიფხან კედელზე, — გამარჯვებულის იერით წარმოთქვა ნენემ და მამის მიერ გამოწვდილ ძეხვის ნაჭერს სტაცა ხელი.

ნენეს მშობლების შემკრთალ სახეებზე სასოწარკვეთილი შეშფოთება ამოიკითხა ინჟინერმა და ადვილად წარმოიდგინა დეიდა ტერეზინას წაწვეტებული ნიკაპი. უხერხულობის გასაფანტად ინჟინერმა წამოიძახა:

— აი, ნეაპოლშიც მოვედით.

ლამპიონები უკვე ციმციმებდნენ.

ქალიშვილის მხარზე მიყრდნობილი მთვლემარე ლულუ უმალ გამოფხიზლდა და წამოიკნავლა, წვენი მინდაო.

მატარებელმა სვლა შეანელა და ბაქნიდან გაისმა შეძახილები: „ფენოვანი", „ფენოვანი", რამაც ერთობ დააინტერესა ნენე. მამამ აუხსნა, რომ ასე ჰქვია ტკბილი ცომით მოზელილ კრემიან ნამცხვარს. ნენემ ჩვეული მანერით მზადყოფნა გამოთქვა, ერთ ნაჭერს მივირთმევო.

ინჟინერმა ლულუს ფორთოხლის წვენი უყიდა, ნენეს — „ფენოვანი". ბავშვებისადმი ასეთმა ყურადღებამ მშობლების მხურვალე მადლობა გამოიწვია, რასაც ფორმალური გაცნობა მოჰყვა — მასწავლებელი მიჩიკე, ინჟინერი ბიანკი.

როგორც კი ნამცხვარი მოკბიჩა, ნენეს ზიზღით დაეშანჭა სახე და, თითქოს გაცნობის ამ საზეიმო წუთს აღნიშნავსო, წყალში გემის ჩაშვებისას რომ შამპანურის ბოთლს მიამსხვრევენ, ისე დაუმიზნა შუბლში მამამისს ნამცხვარი.

— უზრდელო! — ერთდროულად წამოიყვირეს ქალბატონმა და ბატონმა მიჩიკეებმა.

— ეს რა საზიზღრობაა, მე ვაფლიანი „ხვეულა" მინდა! — აყვირდა ნენე.

— რაო, საიდან მოგიტანო ნეაპოლის სადგურში „ხვეულა"?! — აენთო მამა.

— სულ ფეხებზე მკიდია საიდან, მინდა და მორჩა! — მიაყარა ბილწსიტყვაობა ინჟინრის გასაოცრად ნენემ.

ქალიშვილმა გაიცინა, მასწავლებელი და მისი ცოლი უხერხულობისაგან გაშრნენ და ბავშვს დაემუქრნენ, ეხლა ფელდფებელი მოვა მათრახითა და ბორკილებით და წაგიყვანსო. ინჟინერს თხოვეს, გაიხედეთ, ალბათ უკვე კართან დგასო. ინჟინერმა გაიხედა და ნენეს უთხრა, მართლა დავინახე ფელდფებელიო.

— ჰმ, რქებდადგმული ფელდფებელი, — შეშინდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა ნენემ.

ცოლ-ქმარმა კამათი დაიწყო, ვინ და სად ასწავლა ნენეს ბილწსიტყვაობა. სინიორა მიჩიკეს აზრით, ბავშვი დაღუპა კლუბმა, სადაც ხშირად დაჰყავს მამას. ხოლო ბავშვის ლინგვისტური გარყვნის უშუალო დამნაშავენი არიან ვინმე კალოჯერო მანკუზო და ლუიჯი ფინისტერა, — უსაქმური ახალგაზრდები.

— ვერც კი წარმოიდგენთ, — მიმართა ინჟინერს სინიორა მიჩიკემ, — რეებს ასწავლიან ბავშვს წმინდა ბამებზე, თვით უწმინდეს პაპზე, კიდევ კარგი მალე ავიწყდება.

დასტურივით გაისმა ნენეს ხმა:

— წმინდა პაპი არის... — დედ-მამის ოთხივე ხელი ბავშვის პირს აეფარა, საშინელმა გინებამ მაინც გამოაღწია, ისე, გამსკდარი და ნაუცბათევად დაცული მილიდან რომ გადმოხეთქს წყალი.

— გესმით? — შესჩივლა სინიორა მიჩიკემ ინჟინერს, — მეგონა, აღარ ახსოვდა. რასაკვირველია, ამგვარი უმსგავსოება არ მოხდებოდა, მამამისს რომ კლუბში კარტის თამაშის ნაცვლად შვილის აღზრდაზე ეზრუნა, მაგრამ სინიორ მიჩიკე ჭკუას კარგავს კარტზე.

თუ სინიორ მიჩიკეს დავეკითხებით, ამ ბრძნულ ენამჭევრობას კლუბს კი არ უნდა ვუმადლოდეთ, ეზოს, რომელსაც გადაჰყურებს მათი აივანი, ეზოში კი უბრი ხალხი ცხოვრობს და დედის დამსახურებაა სწორედ, რომ ნენე საათობით ტრიალებს ამ აივანზე.

კამათი ერთბაშად შეწყვიტა ნენეს ავტორიტეტულმა განცხადებამ:

— კლუბს უნდა ვუმადლოდეთ!

სინიორ მიჩიკე დადრკა. ცოლმა ბოროტად არ გამოიყენა გამარჯვებულის პოზიცია და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

უკვე შუალამე იყო. „კაცი აქ ვერ დაიძინებს, გვერდით ცარიელი კუპეა, იქნებ გადავსულიყავი", — გაიფიქრა ინჟინერმა, თუმცა არ ეძინებოდა. ენაწყლიანი თანამგზავრებისა და მათი ცელქი ბავშვებისადმი გაღიზიანება თან-

დათან ცნობისმოყვარეობით შეეცვალა და ახლა, როცა სხვა კუპეში გადასვლა დაპირა, რაღაც გაუცნობიერებელი სითბო იგრძნო ამ ოჯახისადმი. საერთოდ, ინჟინერი ბიანკი ბავშვებთან ურთიერთობას გაურბოდა, რადგან მათი გაძლება უჭირდა. მოგზაურობის დროსაც ყოველთვის ერიდებოდა ბავშვიან თანამგზავრებს. მაგრამ ნენემ ნამდვილად მოხიბლა; მოწონდა ქალიშვილიც, რომელიც ყოველი სიტყვის შემდეგ უფრო და უფრო სიცოცხლით სავსე და მიმზიდველი ხდებოდა. „ალბათ იმიტომ, რომ მოგზაურობა დროსა და სივრცეში შეფენილ-როვებული ყოფის გამოხატულებაა. იგი ამთლიანებს ჩვენი ცხოვრების ცალკეულ ელემენტს თავისი პირობითობითა და კავშირებით. ცოტათი თეატრსაც კი წააგავს, რომელსაც საფუძვლად შენიღბული ჩანაფიქრი უძევს!“ — ფიქრობდა ინჟინერი.

სინიორ ბიანკიმ მიჩიკეებს განუცხადა, გვერდითა კუპეში გადავალ, თავისუფლად რომ იგრძნოთ თავი და ბავშვები არ შეწუხდნენო.

— როგორ გეკადრებათ, თუ მაინცდამაინც, ჩვენ გადავალთ, — განაწყენდნენ მიჩიკეები.

გაუთავებელი თავპატიჟის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ კუპედან არავინ წავიდოდა.

მოულოდნელად ლულუმ განაცხადა, მეძინება და სინათლე ჩააქრეთო.

— არ ჩააბნელოთ, ფელდფებელს ველარ დავინახავ! — ბრძანება გასცა ნენემ, აშკარად რომ ეშინოდა მასთან შეხვედრის.

— ჩააქრეთ სინათლე, მეძინება, — წამოიკნავლა ლულუმ.

ნენე გაწიწმატდა. სავარძლიდან ჩამოცოცდა და კბილებით დააცხრა ლულუს ბარძაყს. ლულუმ დაიღრიალა და თმაში ჩაუფრინდა ძმას. მშობლებმა ძლივს გააშველეს ბავშვები: ნენეს წამოარტყეს, ლულუს უსაყვედურეს.

— ერთი მითხარი, ეს ფელდფებელი ვიღაა? — ჩეკითხა ნენეს ინჟინერი.

— ვინაა და ნაბიჭ... — ისევ ააფარეს მშობლებმა პირზე ხელი, მაგრამ რაღა დროს.

— ცუდ სიტყვებს რომ ამბობ, ყრმა იესო სულ ტირის, — დაუტკბა შვილს დედა.

— ყრმა იესო სადღაა? — ვითომ დაინტერესდა ნენე.

— ზეცაში, აქაც... ყველგან.

— მე არასოდეს მინახავს, — გულგრილად მიუგო დედას.

— იგი ხარა ჩანს, მაგრამ არსებობს.

— თუ არა ჩანს, ესე იგი, არ არსებობს, — დაასკვნა ნენემ.

— წყეულო! — აღმოხდა დედას.

— შენ ჯოჯოხეთში მოხვდები, — ნიშნი მოუგო ძმას ლულუმ.

— ჯოჯოხეთში ფელდფებელები მიდიან, — არხეინად თქვა ნენემ.

ყველამ გაიცინა, დედამაც.

— ჩემო ეშმაკის ფეხო, — მიეფერა ნენეს მამა, — გინახავთ ამისთანა ბიჭი? — მიუბრუნდა ინჟინერს სინიორ მიჩიკე.

— ნამდვილად არ შემხვედრია, — გულწრფელად აღიარა ინჟინერმა.

— მართლა ცუდი ბიჭი კი არ არის, ცოტა ნერვიულია, — გამოექომაგა დედაც, — რომ იცოდეთ, რა კეთილია, როგორც კი სათამაშოს ან ნახატებიან წიგნს ვუყიდით, მაშინვე ვინმეს ჩუქნის, რომ შეეძლოს, რაც გაგვაჩნია, ყველაფერს ღარიბებს დაურიგებდა. მათხოვარი რომ მოგვადგება ხოლმე, რა ქნას, ალარ იცის. დედი, მივცეთ რა ტანსაცმელი, მივცეთ რა ლოგინი და თეფშები. ჰგონია, ლოგინი და თეფშები რომ არ გააჩნიათ, იმიტომ არიან ღარიბები.

სულ წუხს, მათხოვრებს მიწაზე რატომ სძინავთ და გადაგდებულ თუნუქის ქილებში რატომ ჭამენო.

— ეკლესიის წინ სძინავთ, — დააზუსტა ნენემ, — ჩემი თვალით ვნახე, პამიდორის გადაგდებული ქილებიდან ჭამენ და თანაც კვდებიან.

— ცდები, არ კვდებიან, — უთხრა მამამ.

— არა, კვდებიან, — ვერ აიტანა შეპასუხება ნენემ, — აი, მეც გავხდები მათხოვარი და ისინი აღარ დაიხოცებიან.

— მათხოვარი უნდა გახდეს! — გამოაჯავრა ლულუმ, — კრეტინო, ათასჯერ აგიხსენი, რომ შეიძლება გახდე ექიმი, მღვდელი და არა ღარიბი.

— ხომ შეიძლება ღარიბი გახდე? — ჰკითხა ნენემ მამას.

— რა თქმა უნდა, შეიძლება, — ნაჩქარევად დაეთანხმა სინიორ მიჩიკე.

— თავად კრეტინო, გაიგე? — ვალში არ დარჩა ძმას ნენე.

— აი, მე კი ფელდფებელი გავხდები, შენც დაგაპატიმრებ და შენს მათხოვრებსაც! — არ დაუთმო ლულუმ.

ეს ველარ აიტანა ნენემ და წამოდგა.

— მიკბენს! — დაიჩხავლა ლულუმ.

— ნუ გეშინია, არ გიკბენ, ისე წამოვდექი, უნდა გავიარ-გამოვიარო, რამდენ ხანს შეიძლება ერთ ადგილას ჯდომა. — ნენემ მხარდაჭერის მოლოდინით თვალი მოავლო იქაურობას, თუმცა ხმაში სიყალბე დაეტყო და მაშინვე დაჯდა მოღუშული, ფიქრებში ჩაფლული. მალე ძილმა მოსწყვიტა თავი. სინათლე ჩააქრეს, სარკმელი შეაღეს და ფარდები ჩამოუშვეს.

— ცოტაოდენი წავიძინოთ, წინ კიდევ თხუთმეტი საათის სავალი გვაქვს, ღამე ნებისა, — თქვა სინიორ მიჩიკემ.

თანამგზავრებმა, რულმორეულმა ლულუმაც კი, ძილი ნებისა უსურვეს ერთმანეთს. უკვე ღამის ორი საათი იყო.

ინჟინრის გვერდით ქალიშვილი იჯდა. მას ლულუ მიტმასნოდა. მეორე მხარეს სინიორ მიჩიკეს, ნენეს და დედამისს მისძინებოდათ. ნენე ბორგავდა, ფელდფებელი თუ ესიზმრებოდა თავისი ზუზუნა მათრახითა და ჟღარუნა ბორკილებით. ნენე ლულუსავით ლამაზი არ იყო, მაგრამ ინჟინერს ის უფრო მოსწონდა თავისი პირდაპირობით, სხარტი აზროვნებით. ინჟინერი ბიანკი მძინარე ბავშვს ჩააკვირდა და უჩვეულო სევდა მოერია. პირველად დაფიქრდა ცხოვრების ჭეშმარიტ არსზე და აღმოაჩინა, რომ ამ წუთში მისთვის, თვით ტექნიკური პროფესიის ადამიანისთვის, უარსებითესი ის იყო, რომ ნენე სიცოცხლის მეოთხე წელს ითვლიდა. თავად კი — ოცდამეთვრამეტეს.

„სიცოცხლის რწმენის გარეშე შეუძლებელია ტექნიკისა გწამდეს. ალბათ ვერც კოსმოსურ ხომალდებს გაუშვებდნენ ადამიანები, რომ ქვეყანაზე ბავშვები არ იბადებოდნენ. შესაძლოა რუსებმა იციან ეს მარტივი ჭეშმარიტება, დასავლეთმა კი დიდი ხანია მიივიწყა. ცდები, ამერიკელები რომ ბავშვებს ყურადღებას აქცევენ, ისე არავინ. ყველაფერი ბავშვებს და დედებს! დიახ, დედებს!.. დედათა სამეფო... და იბზარება ირგვლივ ყოველი ჰომოსექსუალური ისტერიის გამო, ტექნიკაც. ბევრისთვის ბავშვი მოუგვარებელი პრობლემაა და როგორ ცდება ის საზოგადოება, რომელიც ბავშვს ტვირთად თვლის, ამით თავადვე იჭრის გზას მისკენ და არღვევს მემკვიდრეობითობის გარდაუვალ კანონს, ნენე და ლულუ ჰომობლებისთვის პრობლემას არ წარმოადგენდნენ, თუმცა მიჩიკეები ორივენი მასწავლებლები არიან და ატესტაციის დროს ამერიკული და შვეიცარული მრავალნაირი აღმზრდელობითი მეთოდის ცოდნის გამოვლენა ევალებათ... ისეთ ქვეყანაში, როგორიც შვეიცარიაა, საღაც

სამუდამოდ ჩახმა ტრაგედიისა და ისტორიის მარცვლები, იბადება მაქს ფრიშიაც ინჟინერი ფაბერი... ბერძნული ტრაგედია და ციურიხის პოლიტექნიკუმი. ტექნოკრატი ადამიანის ტრაგედია, რომელიც თამაშდება საბერძნეთის ანტიკურ მიწაზე, სადაც მოკვდავებს ჯერ კიდევ უსაფრდებათ ბედისწერა... მოიცა, ბავშვებზე ვფიქრობდი და ინჟინერი ფაბერი რა შუაშია. საბერძნეთი, სიცილია მთავარი... საქმე ის არის რომ შვეიცარიაში ყოველ ბავშვს [illegible] როგორც მომავალ შვეიცარიელს, საბერძნეთში კი ადამიანად, [illegible] ალიქვამენ, ალბათ სიცილიაშიც ასეა, თუნდაც ეს ორი პატარა ბიჭი...

ამ მხარეში არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული ალმზრდელობითი მეთოდები. არის გრძნობები და მათ, ბერძნებს, სიცილიელებს მიაჩნიათ, რომ ცხოვრებაში არ არსებობს პრობლემა, რომლის გადაჭრა გრძნობას არ შეეძლოს. ამიტომაც მათთვის თვით სიკვდილიც კი არ წარმოადგენს დაბრკოლებას"... — ფიქრობდა ინჟინერი ბიანკი და თან გრძნობდა, როგორ უტეხდა მის აზროვნებას ძალის მსუბუქი ტალღა.

სიცხემ გამოაღვიძა ქალიშვილის თავი იგრძნო მხარზე. ტუჩებით მის თმას ეხებოდა და მისი მკერდის სიმძიმე დასწოლოდა მკლავზე. უჩვეულო სითბომ აიტანა ინჟინერი და ერთბაშად გამოფხიზლდა.

ყველას ეძინა. სინიორ მიჩიკე ხვრინავდა. კალაბრიაში შესულიყვნენ. ღამის სიჩუმეში დიალექტზე მოლაპარაკე მგზავრების ყაყანი ისმოდა.

უცებ მატარებელი შეინძრა და ინჟინერმა დაინახა, როგორ აეტუზა წინ ლულუ. იგი ჯიქურ უცქერდა უცხო კაცს. მერე ორივე ხელით ძლივს ააცალა ქალიშვილის თავი ინჟინერს მხრიდან. „ეშვიანობს, — გაიფიქრა ინჟინერმა, — ღმერთმანი, ეშვიანობს, შეყვარებულივით მიეკრა ქალიშვილს".

ქალიშვილი გამოფხიზლდა და ყველაფერს მიხვდა.

— მაპატიეთ, — მოუბოდიშა ინჟინერს და ლულუს მიუბრუნდა. — დაძინე, პატარავ, ჯერ ისევ ღამეა. ახლავე ავდგები და ჩემს ადგილზე უკეთ მოიკალათებ.

ქალიშვილმა ბავშვი წამოაწვინა და თმაზე მიეფერა. ლულუ დუმდა. მაცდრებელი და საყვედურით სავსე თვალებით შესცქეროდა მას. ცხადია, ვერ გაეცნობიერებინა, რა ტანჯავდა ასე. ქალიშვილი კორიდორში გავიდა.

ინჟინერმა შეიცადა, ვიდრე ლულუ ჩაიძინებდა, და ისიც წამოდგა. ნამძინარევი ქალიშვილი ფანჯრის მინას მიყრდნობოდა. ინჟინერი გვერდით ამოუდგა.

— დაიძინა, — სიჩუმე დაარღვია მან, — მგონი ეშვიანობს.

— ძალიან ვუყვარვარ, — მიუგო მან.

— ნენეს არა ჰგავს, უფრო გულჩათხრობილია, ჩუმი... ნენე საოცარი ბავშვია.

— თქვენ კიდევ არ იცით, რა აუტანელია ნენე, საწყალი ლუჩია გამწარებული ჰყავს.

— სინიორა მიჩიკეს ლუჩია ჰქვია? ქმარი რაღაც სხვა სახელს ეძახდა.

— ჰო, ქმარი ეტას ეძახის, ლუჩიეტას. მე ჯერლანდა მქვია, მაგრამ დინას მეძახიან, ჯერლანდინას. სიცილიაში რაც უნდა ლამაზი სახელი გერქვას, მაინც შეგიკვეცენ.

— რატომ, ჯერლანდა ლამაზი სახელია.

— მე არ მომწონს.

— უცნაურია, იტალიაში არასოდეს მსმენია ეს სახელი.

— მხოლოდ აგრიჯენტოს პროვინციაშია გავრცელებული, რადგან წმინდა ჯერლანდო ამ ქალაქის მფარველი და პირველი ეპისკოპოსი იყო.

— წმინდა კალოჯეროც ეპისკოპოსია?

— არა, განდეგილი... ლეგენდის მიხედვით შვიდი ძმა ყოფილა და ყველას კალოჯერო რქმევია. ერთი მათგანი ნიზიმას ახლოს დასახლებულა.. შვიდი ლამაზი მოხუცი.. კალოჯერო ბერძნულად ლამაზ მოხუცს ნიშნავს. ო, არ იფიქროთ, ბერძნული ვიცი, თქვენ?

— ბავშვობაში ვსწავლობდი, ვიცი-მეთქი, ვერ დავიჯერებ.

— ძალიან მინდოდა ბერძნულის სწავლა, მაგრამ ჩვენს ოჯახში ამბობდნენ, თუ ქალი კოლეჯში შევა, უნივერსიტეტიც უნდა დაამთავროსო. პალერმოში ქალის მარტო გაშვება კი წარმოუდგენელია.

— ყველა სიცილიური ოჯახი ასე ფიქრობს?

— რას ამბობთ, ყველა არა.

— ჩანს, ამ მხრივ თქვენს ოჯახში განსაკუთრებული სიმკაცრეა.

— მთლად ასე არ არის, მაგრამ სიცილიაში ჯერ კიდევ ბევრი უყურებს სხვა თვალით ცხოვრებას, უნდობლად ეკიდება...

— ვის?

— სამყაროს, საკუთარ თავსაც, მგონი, არც მთლად შემცდარნი უნდა იყვნენ... ადრე ავადმყოფურად სულსწრაფი ვიყავი, ბედთან შეურიგებელი, მინდოდა კონტინენტზე გადავსულიყავი საცხოვრებლად, ახლა ცოტა სხვაგვარად ვაფასებ ყველაფერს. მეჩვენება, რომ ცხოვრებამ სერიოზულობა დაკარგა.. ყოველ ჩვენთაგანს შეუძლია ულალატოს მეორეს, საერთოდ, ყველას... გაუგებრად ვლაპარაკობ არა?

— არა, შესანიშნავად თქვით.

— რომში კაფეში ვიჯექი და გამვლელ-გამომვლელს ვაკვირდებოდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ნებისმიერი მათგანი — საუბრობს, ხუმრობს თუ ხელკავით მისეირნობს — ისე მიუყვება ცხოვრებას, თითქოს მიცვალებულს აცილებდეს უკანასკნელ გზაზე, თან თავს იიმედებს, „მე ცოცხალი ვარ, კუბოში სხვა წევს და არც მოვკვდები“. სჯერა, რომ ყველა, მთელი სამყარო მასზე ადრე მოკვდება.... ყოფილხართ დაკრძალვაზე?

— რა თქმა უნდა.

— მეც... ე. ი. გამიგებთ, რისი თქმა მინდა.

— ჭეშმარიტ სიმართლეს ბრძანებთ.

—არ ვიცი, ალბათ ასეთი აზრები ავადმყოფობის დროს უჩნდება ადამიანს. აი, თქვენ არ გეჩვენებათ, რომ ცხოვრება უწინდებურად მყარი და სერიოზული აღარ არის?

— არა მგონია, მთელ ქვეყნიერებაზე ასე იყოს.

— ჰო... მაგრამ ჩვენს სოფელში მაგალითად, ყველაფერი ისევ ძველებურადაა. თუმცა უცხო თვალისთვის ბევრი რამ უბადრუკად გამოიყურება. ალბათ მეც ბეჩავი გგონივართ, ჩამორჩენილი, ასე რომ მაცვია.

— არა, არა, სულაც არ ვფიქრობ ასე.

— მე ვეტრფი სიცოცხლეს, მიყვარს ლამაზი ნივთები, ძვირფასი კაბები; სიამოვნებით შევიღებავდი ეუჩებს წითლად, ვისწავლიდი სიგარეტის მოწევას....

— თქვენ ყველაზე ლამაზი ხართ, ვინც კი ოდესმე შემხვედრია.

ქალიშვილმა თვალები დახარა და ფანჯრის მინას საჩვენებელი თითი მიმოავლო, თითქოს რაღაცას წერდა.

— წერილ რამეს? — ჰკითხა ინჟინერმა.

— ბატონო?

— მომეჩვენა, რომ შინაზე რაღაცას წერდით.

— აა... დიახ, უხერხულობის განცდა რომ მეუფლება, ჩემს სახელს ვწერ ხოლმე.

— რატომ იუხერხულეთ, მე სიმართლე გითხარით, თქვენ საოცრად მშვენიერი ხართ და სასიამოვნო მოსაუბრეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიშვილმა ამოიოხრა.

— ალბათ მართლა უხერხულია მატარებელში გაცნობილ ქალს შეხვედრა შესთავაზო, მაგრამ ძალიან მინდა მომავალში თქვენი ნახვის იმედი მქონდეს,— თქვა ინჟინერმა ბიანკიმ.

მოულოდნელად ფარდიდან სინიორ მიჩიკემ გამოყო თავი. ნათლისმცემლის თავი გეგონებოდათ, ოღონდ იოანეს სისხლი სდიოდა, მიჩიკეს კი უნდობლობა ხლბეჭდოდა სახეზე.

— რატომ გახვედით კუპედან? — იკითხა გაღიზიანებულმა.

— მეც ვისურვებდი თქვენთან შეხვედრას, — ჩაიჩურჩულა ქალიშვილმა და კუპეში შევარდა.

მატარებელი პოლას სადგურს მიუახლოვდა. როგორც კი ბორბლების ღრჭიალი მიწყნარდა, ფანჯარაში შეძახილებმა შემოაღწია: „ხენდრო!“ „ხენდრო!“ სინიორ მიჩიკეს ექვსასი ლირი მოემზადებინა.

ნაძინარევი, ჯერ ისევ თვალდახუჭული ბავშვები ხენდროს დასწვდნენ.

— შენც და შენი ხენდროც! — გაბრაზდა სინიორა მიჩიკე, — გააღვიძე ბავშვები.

— მე კი არა, ყვირილმა გამოაღვიძათ, — თავი იმართლა ქმარმა.

— ყვირილამდე შენ წამოხტი ბრახუნით, — არ ცხრებოდა ქალი.

— მე იმიტომ წამოვხტი, რომ... — სინიორ მიჩიკე გაჩუმდა და ქალიშვილსა და ინჟინერზე ანიშნა ცოლს. მაგრამ იმის მაგიერ, რომ ქმრის სიფხიზლე დაეფასებინა, სინიორა მიჩიკემ ალტაცება ვერ დაფარა: მასში მსწრაფლ ჩაღვიძა ყველა გათხოვილი ქალის მოწოდებამ, მაჭანკლობას რომ უწოდებენ. მით უფრო, ამ საქმეს ახლა ფრიად რომანტიკული გარემო უწყობდა ხელს — მატარებელი, კონტინენტზე მცხოვრები ინჟინერი და მომხიბლავი პროვინციელი ქალიშვილი.

— კიდევ მინდა ხენდრო! — წამოიძახა ჭამით გართულმა ნენემ.

— ჩემსას მოგცემ, მე რაღაც არ მინდა, — უთხრა დედამ.

— ამას ჰქვია ბავშვის აღზრდა? — თვალი მოავლო ყველას სინიორ მიჩიკემ.

— განა არ იცი, შენ რომ გგავს სიხარბეში? თავის წილსაც ვერ შეჭამს, — სამაგიერო გადაუხადა სინიორამ ქმარს წეღანდელი უტაქტობისათვის.

— ჩემს წილსაც შევსანსლავ, შენსასაც და კიდევ ეს იმდენს! — თქვა ნენემ.

— აბა, აბა, ეს ჭიქას შეჭამს, — გამოაჯავრა ლულუმ.

— ორასსაც და ათასსაც! — გაბრაზდა ნენე, თუმცა უკვე ძალით ჭამდა. ზერე დედას გაუწოდა ჭიქა, — ეს შემინახე!

— აი, ხომ ხედავ, — დაამუნათა ლულუმ ძმა.

— ხმა ჩაიკმინდე, ვიდრე მთელი ხარ! — დაიღრიალა ნენემ.

— იმიტომ კი არ ითხოვს, რომ უნდა, — ხარბია და მეტი არაფერი! დამაცადე, მოგივლი მე შენ, უპატრონო ბავშვთა სახლში თუ არ ჩაგაბარო! — აღშფოთდა მამა.

— სადა, ობლები რო ცხოვრობენ? — ცოდნა გამოამჟღავნა ნენემ.

— სწორედაც!

— შენ თუ არ მოკვდი, ისე ვინ მიმიღებს, ჯერ მოკვდი და მერე გადავალ იქ საცხოვრებლად.

— გესმით, რა ლოგიკაა? — სიამაყეშეპარვით მიმართა მამამ ინჟინერს, და ნენეს მიუბრუნდა: — ცდები, მამის სიცოცხლეშიც მიგაბრძანებენ, საკმარისია ვუთხრა პადრე ფერაროს... — სიტყვა ალარ დაასრულა, წამოხტა და ბავშვს მიეჭრა, — აბა, გაბედე და ხმამაღლა თქვი პადრე ფერაროზე ის, რაც ენის წვერზე გიტრიალებს, ისეთს შემოგკრავ, ასი წელი დაგამახსოვრდეს.

— ხმამაღლა არც ვამბობ, ისე გავიფიქრე, — არ შედრკა ნენე.

მასწავლებელმა ნერვიულად ჩამოისვა სახეზე ხელი და გაეცინა. სხვებმაც გაიცინეს. კუპეში კონტროლიორი შემოვიდა და ბილეთები მოითხოვა. მასწავლებელმა ჰკითხა, მატარებელი ხომ არ იგვიანებსო. ის იყო კონტროლიორი გავიდა, რომ ნენემ განაცხადა:

—მე ისევ პადრე ფერაროზე ვფიქრობ!

— იესოვ და მარიამ! — ამოიკვნესა სინიორა მიჩიკემ. ქმარს, ქალიშვილს და ინჟინერს ხარხარი აუტყდათ.

ვიდრე ვილა სანჯოვანის მიუახლოვდებოდნენ, ძმებმა ერთი-ორჯერ კიდევ მოასწრეს ხელჩართული ბრძოლის გამართვა, რაც სამახსოვროდ დარჩათ მასწავლებლისა და ინჟინრის მოთხვრილ პერანგებს.

გაბეზრებულმა სინიორ მიჩიკემ თანამგზავრებს შესთავაზა, ლია ვაგონ-რესტორანში გასულიყვნენ და ყავით შეექციათ თავი.

— მერე ჩემოდნები? — იკითხა ცოლმა.

— ჰო, ჩემოდნები დამავიწყდა. — გული დაწყდა მასწავლებელს და სიცილიელისთვის დამახასიათებელი თვითკრიტიკულობით აუხსნა ინჟინერს, რომ სიცილიაში აუცილებელია დაიცვა სავალდებულო წესი და თვალი არ მოაშორო საკუთარ ბარგს: აქ ჩრდილოეთი არ გეგონოთ, სადაც ჩემოდნები ძალლებივით მარტო პატრონს ცნობენ.

სინიორა მიჩიკემ, რომელსაც თავისი ჩანაფიქრი ჰქონდა, იპოვა გამოსავალი: ჯერ დინა და ინჟინერი წავლენ, მშვიდად, აუჩქარებლად დალევენ ყავას, მერე მიჩიკეების ოჯახი გაისეირნებს სუფთა ჰაერზე. ბავშვები კუპეში ცმუკავდნენ, სინიორ მიჩიკე ყოყმანობდა, არ უნდოდა ჩაბარებული ქალიშვილის მარტო დატოვება, მაგრამ მოსალოდნელი ბედნიერებაც არ ეთმობოდა, მეორე მხრივ, ხელშემწყობის როლიც მოსწონდა. ცოლის კატეგორიულობამ ეჭვები გაუქარწყლა.

ასე აღმოჩნდნენ მარტონი ქალიშვილი და ინჟინერი განთიადის სხივებით ოქროვლივებულ მესინას სრუტეზე. მდუმარედ შემოუსხდნენ მაგიდას, ყავა სვამდნენ და ალიონში გახვეულ მესინას გაჰყურებდნენ.

უძილო ღამის შემდეგ მათი ფიქრები თითქოს დააბრმავა ზღვაზე წამომდგარმა კაშკაშა მზემ.

— წავიდეთ, ალბათ ბავშვებს ვეღარ აკავებენ, — დაარღვია დუმილი ქალიშვილმა.

იგი მართალი იყო: ლულუ უკვე ზლუქუნებდა, ნენე კი მდუმარე პროტესტის ნიშნად იატაკზე ჯაშხლართულიყო.

სინიორ მიჩიკემ ნენესკენ თითი გაიშვირა და შემოსულებს მიმართა:

— შეხედეთ, რით განსხვავდება ეს ბავშვი ძაღლისგან?

მაგრამ ნენე შურდულივით გავარდა კუპედან, მას ლულუ და დედამისი მიყვნენ.

სინიორ მიჩიკეს კარგა მანძილი ჰქონდა გავლილი, თითქმის ცარიელ ვაგონში უცხო მამაკაცთან პირისპირ დარჩენილი ქალიშვილი რომ [illegible] გინა და მსწრაფლ მობრუნდა. შეშფოთების თუ არა, სინდისის ქენჯნისგან [illegible] განთავისუფლებულიყო, ქალიშვილს ოჯახთან ერთად გასეირნება შესთავაზა, მან იუარა, დავიღალეო.

— ბატონი მასწავლებელი არ გვენდობა, — ჩაიღიმა ინჟინერმა.

— რა ჰქნას, უვნებელი უნდა პატრონს ჩამაბაროს, — დაიმორცხვა ქალიშვილმა.

— იმედი მაქვს, ამას ვერ შეძლებს, მინდა მჯეროდეს, რომ თქვენ... — სიტყვა ველარ მოძებნა ინჟინერმა.

— დიახ, — გაწითლდა ქალიშვილი.

ალარაფერი უთქვამთ ერთმანეთისთვის, უბრალდ მახდომება რომ შეუსწრო, სინიორ მიჩიკე დაიბნა, ალარ იცოდა, რა ეფიქრა: ან იმდენად პატიოსანი კაცი იყო ინჟინერი, რომ მის თანდაუსწრებლად ხმაც კი არ გასცა ქალიშვილს, ანდა ისე უპატიოსნო, ნიადაგი მოსინჯა და საკადრისი მიიღო. სინიორ მიჩიკეს ქალიშვილის დახრილ თვალებზე ანიშნა ცოლმა. ცხადი იყო, იდილია წესიერების ფარგლებში გრძელდებოდა.

სინიორ მიჩიკე კი დამშვიდდა, მაგრამ ახლა იმის გარკვევა ჩათვალა საჭიროდ, ვისთან ჰქონდათ საქმე. „კი ბატონო, ინჟინერია, უცოლო, ყოველ შემთხვევაში ასე გაგვაცნო თავი, ასე ოცდათხუთმეტი წლისა იქნება, გარეგნობა მშვენიერი აქვს, ხასიათიც არ უნდა ჰქონდეს ურიგო... მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, რა კაცია?!“ — და მასწავლებელმა საუბარი წამოიწყო.

— კილოკავის მიხედვით ვენეციელი უნდა ბრძანდებოდეთ, გამოვიცანი?

საქმე ის არის, რომ სინიორ მიჩიკე თავის დროზე მაროსტიკაში ოფიცერთა კურსებზე სწავლობდა.

— ვიჩენცადან ვარ, — უპასუხა ინჟინერმა.

— ლამაზი ქალაქია, კულტურული, — გაიბადრა მასწავლებელი.

— ვინჩენცა, ვინჩენცა, ვინჩენცა, დეიდა ვინჩენცინა... — წაიმღერა ლულუმ.

— იფ, ახლა დეიდა ვინჩენცინას ნამცხვარი მომცა, — ილოკავდა შოკოლადიან თითებს ნენე.

— ვიჩენცაში ცხოვრობთ? — გააგრძელა გამოკითხვა მიჩიკემ.

— როგორ გითხრათ, მუდმივად არა, იშვიათად მიწევს ჩასვლა, იქ დედა მყავს, ძმები. მე დიდხანს ვცხოვრობდი ამერიკაში, ირანში, ახლა სიცილიაში, ჯელაში მომიწევს დაბინავება.

— ნავთობთან დაკავშირებით?

— დიახ.

— აჯიპის ფირმაში მუშაობთ?

— არა, ანიკის, წიალისეული საწვავის ნაციონალური კომპანიის წარმომადგენელი ვარ.

— მაშ, ერთი საიდუმლოება გამანდეთ, მართლა არის ჯელაში ნავთობი? — შეთქმულივით ხმას დაუწია მიჩიკემ.

— რა თქმა უნდა, არის.

— ხალხი ლაპარაკობს, ისე ცოტაა, წვალებად არ ღირსო, — ჩაეძია მასწავლებელი.

— ო, არა, რას ბრძანებთ.

— მეც ასე მგონია, მაგრამ ხომ იცით, ხანდახან როგორ ხდება. ეს თქვენი მატეი ზოგჯერ თვალში ნაცარს აყრის ხალხს. სწორად გამიგეთ, ეგ რომ გენიოსია, არავინ უარყოფს, მაგრამ ჯელაში თუ იმავეს აპირებს...

— ნუ შიშობთ, მსგავსი არაფერი მოხდება, — მოუბრა ინჟინერმა.

— რაკი თქვენ ამბობთ, — დანებების ნიშნად ხელები მაღლა ასწია სინიორ მიჩიკემ და ახლა უფრო აქტუალურ თემას შეეხო, რაც უშუალოდ ინჟინერ ბიანკის ეხებოდა. — დიდხანს დარჩებით ჯელაში?

— ალბათ კარგა ხანს დავყოფ სიცილიაში, ტროინაში, გალიანოში.

— მოგწონთ სიცილია?

— არასოდეს ვყოფილვარ, ვიმედოვნებ მომეწონება, — გადახედა ინჟინერმა ქალიშვილს.

— ეს რა მესმის! — შეიცხადა სინიორ მიჩიკემ — კაცი ნახევარი მსოფლიო აქვს მოვლილი და სიცილია არ უნახავს? — ღმერთო, რა ხალხია ეს კონტინენტის იტალიელები!

— დიდი ხანია ვაპირებ სიცილიაში ჩამოსვლას, მაგრამ ვერ მოვახერხე, — შეწუხდა ინჟინერი.

— ხშირად ხდება ეგრე, — გამოესარჩლა ინჟინერს სინიორა მიჩიკე, — წლების მანძილზე გული მიგიწევს სადღაც, ვერ ახერხებ და უცებ შემთხვევა მიგიყვანს ხოლმე... აი, მაგალითად, ჩვენ აქამდე ვერაფრით მოვახერხეთ პიაცა არმერინას ნახვა. ქორწინების პირველი დღიდან კი ვოცნებობთ.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ქმარი, — მაგრამ როცა მესმის, რომ ინჟინრის ასაკის კაცი... მაპატიეთ, რამდენი წლის ბრძანდებით? — მასწავლებელს თავისი საზრუნავი ჰქონდა, რაც შეიძლება მეტი შეეტყო თანამგზავრის შესახებ.

— ოცდათვრამეტის.

— ..რომ ოცდათვრამეტი წლის კაცი სიცილიაში არ ყოფილა, ცოტა არ იყოს, გასაკვირია და იცით რატომ — მომიტევეთ, თქვენი მისამართით არ ვამბობ — იტალიის ეკონომიკური მიღწევების თუ, როგორც კონტინენტზე ამბობთ, ბუმის სიმაღლიდან არ ჩანს და არც გინდათ დაინახოთ სიცილიის გასაჭირი... მაგ თქვენს ბუმს კი სწორედ სიცილია ეწირება, ჩვენ გვწვავთ საკუთარ ტაფაზე, თუმცა არ გვინდა ახლა ამაზე ლაპარაკი, — აღელდა მასწავლებელი.

ლულუმ და ნენემ ხელები მომართეს, ვითომ ავტომატები ეჭირათ და სროლა გააჩაღეს — ბუმ, ბუმ-ბუმ-ბუმ..

— ჩემი მეუღლე სეპარატისტი იყო, — ქმრის აღელვების მიზეზის განმარტება სცადა ცოლმა, — გაგიგიათ ალბათ, 40-იანი წლების სეპარატისტული მოძრაობის შესახებ.

— დიახ, მე სიცილიის დამოუკიდებლობის მომხრე ვიყავი და დავრჩები! — ამაყად წარმოთქვა მიჩიკემ.

— ახლა თქვენ ნავთობი გაქვთ, — დაამშვიდა ინჟინერმა.

— ნავთობს, შეგიძლიათ დამერწმუნოთ, დააშრობენ... გახსოვთ მარტოოლიოს „სან ჯოვანის“ მუსკო? ლამპა რომ ეჭირა ხატის წინ, უახლოვდებოდნენ თუ არა, ზეთი უშრებოდა ლამპაში. „ჩამივლის ახლოს ცრუ ღვთისმოსავი კაცი ან ქალი, და შრება ზეთი....“ ასე მოუვა ჩვენს ნავთობსაც. გაუჭირდებათ თუ რა! გაიყვანენ მილს ჯელადან მილანომდე და ამოაშრობენ. და ამას გაა-

კეთებს ის ღვთისმოსავი ხალხი, ვისაც გული შესტკივა სიცილიაზე... ეჰ, დავანებოთ თავი ნავთობს!

— თუ ასეთი რამ მართლა ხდება, არ გიფიქრიათ, რომ ამაში ნაწილობრივ თქვენც ხართ დამნაშავე?! — ჩაეკითხა ინჟინერი.

— სწორი ბრძანებაა, ასეთები ვართ სიცილიელები, ველოდებით, ვიდრე ნაყოფი არ დამწიფდება და პირში არ ჩაგვიცვივდება.

— მომიტევეთ და, თუ მართლა ეგეთები ხართ, რაღაზე ითხოვთ დამოკიდებულებას?

— არა, ასეთები კი არა ვართ, — ჩაება საუბარში ქალიშვილი, — უბრალოდ, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ კარგი არაფერი იფიქრონ ჩვენზე, რატომღაც გვსიამოვნებს ეს. ჩვენ ამ ადამიანებს ვგავართ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ავადმყოფები არიან და შვებას იმაში გრძნობენ, ხშირად თუ ილაპარაკებენ საკუთარ სნეულებაზე.

— ეგ მართალია, — გულმძიმედ დაეთანხმა მასწავლებელი. ფანჯარასთან მივიდა და ტაორმინას სანაპიროს გახედა, მერე მოულოდნელად თანამგზავრებს მიუბრუნდა, — შეხედეთ, რა ზღვაა, მსგავსი თუ გინახავთ სადმე?

— პირდაპირ ღვინის არა ჰგავს?! — წამოიძახა ნენემ.

— ღვინოს? — გაიოცა მამამ, — ახალი ამბავი, ისე უცნაურად აღიქვამს ფერებს, გეგონება, ჯერ არ უსწავლებიათო. თქვენი აზრით, ეს ზღვა ღვინისფერია?

— არ ვიცი, მაგრამ, მგონი, წითელი ელფერი კი დაჰკრავს, — თქვა ქალიშვილმა.

— მსგავსი რამ წამიკითხავს თუ გამიგონია სადღაც, ღვინისფერი ზღვა, — — თქვა ინჟინერმა.

— შეიძლება ვინმე პოეტს ეკუთვნის ეგ გამოთქმა, — შეეჭოჭმანდა მასწავლებელი,—მაგრამ მე პირადად ღვინისფერი ზღვა არასოდეს მინახავს. — მერე ნენეს მიუბრუნდა, — დააკვირდი, აქეთ, ამოზიდულ კლდეებთან ზღვა მწვანეა, მოშორებით, სილრმისკენ — ლურჯი.

— ჩემი აზრით, ღვინისფერია! — იხტიბარს არ იტეხდა ნენე.

— მე მგონი, ეს ბავშვი დალტონიკია, — დაასკვნა მამამ.

— რის დალტონიკი, ჯიუტია და მეტი არაფერი, — თქვა დედამ და ახლა ის შეეცადა დაერწმუნებინა შვილი, რომ ზღვა შეიძლება იყოს მომწვანო ან ლურჯი.

— ღვინო! — დაიჟინა ნენემ.

— ხომ ვთქვი, ჯიუტია-მეთქი, ახლა იმასაც იტყვის, ეს ზღვა კი არა, ღვინოაო, — გაბრაზდა დედა.

— ერთი წამით, — სინიორ მიჩიკემ ჩანთიდან მწვანე ჰალსტუხი ამოიღო და შვილს მიმართა, — რა ფერის ჰალსტუხი მიჭირავს?

— ღვინისფერი! — უტიფრად უპასუხა ნენემ.

მასწავლებელმა ჰალსტუხი მოისროლა.

—ამასთან ჯობს არ იკამათო, ნამდვილი საარაკო ცხოველია, — გამწარდა დედაც.

„ზღვა იყო ღვინისფერი“ — ნეტავ სად წამიკითხავს ეს ფრაზა? — ეკითხებოდა საკუთარ თავს ინჟინერი. — ზღვას არა აქვს ღვინისფერი, მასწავლებელი მართალია, შესაძლოა აისის სხივები რომ დასთამაშებს ან დაისისაც, აკიაფდეს ღვინისფრად, მაგრამ ახლა ნამდვილად ლურჯია და მაინც ბიჭუნა მართალს უნდა ამბობდეს. იქნებ ეს ზღვა განსხვავებულია და იმიტომ. იგი კი

არ ათრობს ადამიანს, არამედ ეუფლება მის აზრებს, ანტიკური სიბრძნით ავსებს. პლატონის დიალოგები ედუარდო დე ფილიპოს ნეაპოლიტანურ დიალექტზე უნად შეესრულებინა. მაგრამ ახლა სიცილიაში ვართ და ეს არ არის ერთი და იგივე".

მატარებელი მართლაც თვალწარმტაცი ზღვის ნაპირს მიუყვებოდა. ვაგონის გადახრისას ისეთი შეგრძნება ჰქონდა ინჟინერს, [illegible] ზღვის მიწაზე დაფრენას რომ ახლავს და სარკმლიდან დახრილად [illegible]

— ლამაზია არა? — ჰკითხა მასწავლებელმა და დაანახა აჩის სანაპირო, თითქოს იმ წუთას დასრულებულ საკუთარ ნახატს უჩვენებდა.

— მშვენიერია, — ერთხმად წამოიძახა ყველამ ნენეს გარდა, გულმოდგინედ რომ ხსნიდა სავარძლებზე თეთრი შალითების სამაგრებს.

— ნიზიმაც ზღვის სანაპიროზეა? — იკითხა ინჟინერმა.

— ო, არა! ნიზიმა შიდა სიცილიაშია, მაგრამ ისიც თავისებურად ლამაზია, ისეთი დამატყვევებელი არაა, როგორც ეს მხარე, ერთბაშად რომ სულს შეგიგუებს, თუმცა აქ სილამაზის დანახვას რა უნდა, ყველა სულელი შეამჩნევს, აი ნიზიმას მშვენიერება რომ აღიქვა, მახვილი თვალი უნდა გქონდეს, დროც საჭიროა...

— მაფია თუა? — დაინტერესდა ინჟინერი.

— მაფია?! — ისეთი სახე მიიღო მასწავლებელმა, თითქოს მის ქალაქში ლომის ჭამისა და არყის სმის მეტს არაფერს აკეთებდნენ. — რა მაფია? ჭორია!

— მაშ ეს რა არის? — გაუწოდა ინჟინერმა გაზეთი, რომელშიც ვრცელი სტატია დაებეჭდათ სათაურით, „მაფიას არ უნდა კაშხალები".

— ჭორია! — კატეგორიულად მოჭრა მასწავლებელმა.

ინჟინერი ჩაფიქრდა „განათლებული კაცია, სოლიდური, და ისე იქცევა, ვითომ არ იცის, რა არის მაფია, უკვირს კიდეც, სხვები რომ ლაპარაკობენ. ახლა ვხვდები, რას ნიშნავს მაფია, რა ტრაგედიას იტევს თავისთავში."

მატარებელი კატანიაში შეჩერდა.

— კატანიის სადგურში შევედით. — თქვა მასწავლებელმა, — ჩვენი მატარებელი ალარ დაიძვრება.

— გასეირნება მინდა, — თქვა ნენემ.

— ახლა არ შეიძლება. ჩვენს ვაგონს სხვა მატარებელს მიაბამენ, სხვა ლიანდაგზე გადავალთ, — აუხსნა მამამ.

— ნაყინი და ნამცხვარი მინდა, — არ დანებდა ნენე.

— მეც, ნაყინი და ფუნთუშა, — აჰყვა ლულუ.

ორივემ მიიღო ნაყინი, ნამცხვარი და ფუნთუშა.

— ეს რა ნაყინია! — დაიჭყანა ნენე, — აი დონ პასკუალინოს რომ ნაყინი აქვს, მესმის! როგორც კი ნიზიმაში ჩავალ, მაშინვე ვიყიდი.

— დონ პასკუალინოს ნაყინი უარესია, — ჯიბრით უთხრა ძმას ლულუმ.

— შენ რა გესმის, ამაში წყალია, ლიმონმჟავა და შაქარი, დონ პასკუალინო კი ლიმონის წვენით აკეთებს ნაყინს და ზემოდან ათქვეფილ ცილას ამატებს, — საქმის ცოდნით აუხსნა ნენემ.

— რა ყოჩაღია, — გაიხარა სინიორა მიჩიკემ. — ყველაფერი აინტერესებს...

— მე კი არა, დეიდა ტერეზინას აინტერესებს ყველაფერი.

— აი, ვინ ამბობს ცუდს დეიდა ტერეზინაზე, — ამხილა მამამ ნენე.

— შენგან ვისწავლე, შენ არ ამბობ ხოლმე, ყველაფერი უნდა, რომ იცოდეს ამ ბებერმა ჯადოქარმაო.

სინიორ მიჩიკემ ხელი მოუღერა შვილს, გაგარტყამო. ვითომც არაფერიაო, ისევ განაგრძო ნენემ:

—დეიდა ტერეზინა მდიდარია და მთელ თავის მიწებს ჩვენ გვიტოვებს. მე კი მაგის მიწებისათვის მიმიფურ...

ამჯერად დედამ შემოკრა ხელი.

— არაფერიც, დეიდა ტერეზინა მე მიტოვებს თავის ქონებას, — ლულუმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კმარა! — იყვირა სინიორ. მიჩიკემ.

— ტერეზინა ქოსა, ტერეზინა ელამი, ტერეზინა პარიკა... — არ ცხრებოდა ნენე.

— უსირცხვილო! — უსაყვედურა დედამ.

— აი, ნახავ, თუ კიდევ მოგცემს კვერს დეიდა ტერეზინა, — დაემუქრა ლულუ.

— რაში მჭირდება მაგისი გამხმარი კვერები! ნუ მახსენებ, გული მერევა, — და ისე მაგრად ამოაბოყინა ნენემ, გეგონება, მართლა გულს ირევესო.

ისევ მიიღო ლაზათიანი სილა.

დაძაბულობა რომ განემუხტა, ქალიშვილმა ნენეს კორიდორისაკენ უბიძგა, — გარეთ გასვლა ჯობს, თორემ აქ ჭკვიანურს ვერაფერს გაიგონებ კაცი,— ნიშნის მოგებით გადახედა ყველას ნენემ. წუთიც არ იყო გასული, რომ შურდულივით შემოვარდა, თავის ადგილას დაჯდა და გაზეთი აიღარა სახეზე. უკულმა რომ არ ჭეროდა, იფიქრებდით, გულმოდგინედ კითხულობსო. კარებში სიცხისაგან სახეაწითლებული მაღალი მოღუშული ფელდფებელი გამოჩნდა და იკითხა, ეს აგრიჯენტოს ვაგონიაო. მადლობა გადაიხადა და წავიდა. ნენემ გაზეთი დაუშვა, თითქოს კულისებიდან გამოვიდაო, მაყურებელივით დააყარეს სიცილი თანამგზავრებმა. განაწყენებული ნენე ატირდა, ჯერ ლულუს უკბინა, მერე ხელები დაიკბინა, წიხლების კვრა დაიწყო და სლუკუნით ჩაეძინა.

საუბარი ნენეს აღზრდას შეეხო. დედ-მამა ამტკიცებდა, გაუზრდელი ბავშვია, რაშიც ბრალი სამხრეთს და ჩვენ მიგვიძღვისო. აი, კონტინენტზე კი უფრო მორჩილი ბავშვები იზრდებიანო. ქალიშვილი და ინჟინერი საწინააღმდეგო აზრისანი იყვნენ. მართალია, ნენეს მთლად მოსაწონი ლექსიკა და მანერები არა აქვს, მაგრამ ბავშვი უდავოდ ხალასი გონებისა და კეთილი გულის პატრონიაო. მშობლები მაინც თავისაზე იდგნენ, ალბათ უფრო მოსაჩვენებლად. ბოლოს დანებდნენ მოკამათეებს და ალერსიანად მიაპყრეს მზერა მძინარე ბავშვს.

მატარებელი მზით გარუჯულ უდაბნოში მიქროდა და მძინარე ნენეს ალბათ თავს დასტრიალებდნენ საშობაო პერსონაჟები თავიანთი კეთილგანწყობით, ცხოვრებისადმი რწმენით და ამ იმედით, რომ ყველაფერი გაგრძელდება — მეგობრობაც, სიყვარულიც, ამ ბედნიერი მგზავრობისას შემთხვევით რომ დაიბადა. ინჟინერი გრძნობდა, რომ რაღაცნაირად მიუახლოვდა ნამდვილ ცხოვრებას და ახლა ვალდებული იყო სამხრეთული ადათის დაცვით გაეგრძელებინა ურთიერთობა ამ სიტყვაძუნწ, მაგრამ გულმხურვალე ქალიშვილთან. და რომ განშორებისას რაღაც მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი უნდა ეთქვა ან იქნებ ნიზიმამდე გაყოლოდა და შშობლები ენახა. მაგრამ კანიკატის რომ უახლოვდებოდნენ და სინიორა მიჩიკემ ჩემოდნები მოამზადა, ინჟინერმა გაიფიქრა, „პატარა ბიჭი აღარა ხარ“, და გადაწყვიტა, პირველივე შესაძლებლობისთანავე ნიზიმაში ჩასულიყო.

ისინი დიდხანს ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, ჯერ ვაგონში, მერე ბაქან-

ზე, რომლის მეორე მხარეს ჩამომდგარიყო ექსპრესი „კამპობელო — ალიკანტა — ჯელა“. ყველას გული აჩუყებოდა ლულუს გარდა, იგი ცდილობდა, როგორმე ქალიშვილი ინჟინერთან პირისპირ არ დაეტოვებინა.

ნენე ინჟინერს ემუდარებოდა, ნიზიმაში წამოდითო, პირდებოდა, დონ პასკუალეს ნაყინით გაგიმასპინძლდებით და საღამოს კლუბში დაგპატიჟებთო. ინჟინერი ქალიშვილს თვალს არ აშორებდა და ნენეს პირდებოდა, მალე აუცილებლად გესტუმრებითო. ნენე არ ეშვებოდა, მერე ჩაეხვია. სინიორ მიჩი

გაბრიელ გარსია მარკესი

საზღვაო კატასტროფაში მოხვედრილი კაცის ნაამბობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანურიდან

თარგმნა თეა ფეანსალიამ

საზღვაო კატასტროფაში მოხვედრილი კაცის ნაამბობი, რომელმაც ზღვის ტალღებს მინდობილ ტივზე უჭმელ-უსმელმა ათ დღეს გასძლო, რომელიც ეროვნულ გმირად იქნა აღიარებული და რეკლამებით გამდიდრდა, რომელსაც სილამაზის დედოფლები კოცნიდნენ, შემდეგ კი, მთავრობისგან მოძულებული, სამუდამო დავიწყებას მიეცა.

ამ ამბის ისტორია

1955 წლის 28 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ კოლუმბიის სამხედრო ფლოტის საესკადრო ნაღმოსან „კალდასის" რვა წევრი უგზოუკვლოდ დაიკარგა კარიბის ზღვაზე ამოვარდნილი შტორმის დროს. გემი შესაკეთებლად რამდენიმე თვე დგომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ნავსადგურ მობილიდან კოლუმბიის ნავსადგურ კარტახენაში მიემართებოდა, სადაც დაუგვიანებლად ჩავიდა კიდეც ტრაგედიიდან ორი საათის შემდეგ. დაკარგულების ძებნა დაუყოვნებლივ დაიწყო პანამის არხის ამერიკული ძალების დახმარებით, რომლებიც კარიბის სამხრეთ ნაწილში სამხედრო კონტროლსა და სხვა საქველმოქმედო აქციებს ახორციელებდნენ. ოთხი დღის შემდეგ ძებნა შეწყდა და დაკარგული მეზღვაურები ოფიციალურად გამოაცხადეს დაღუპულებად. ერთი კვირის თავზე კი ერთ-ერთი მათგანი კოლუმბიის ჩრდილოეთის უკაცრიელ სანაპიროზე გამოჩნდა ცოცხალ-მკვდარი, მას შემდეგ, რაც ათი დღე ზღვის მოდრეიფე ტივზე გაატარა უჭმელ-უსმელმა. მას ლუის ალეხანდრო ბელასკო ერქვა. ეს წიგნი ამ ამბებიდან ერთი თვის შემდეგ ბოგოტის გაზეთ „ელ ესპექტადორში" გამოქვეყნებული მისი ნაამბობის ჟურნალისტური ვერსიაა

მაშინ, როცა წუთების სიზუსტით ვცდილობდით მისი თავგადასავლის აღდგენას, ვერც მე და ვერც ლუის ალეხანდრო ბელასკო წარმოვიდგენდით, რომ ჩვენი გულმოდგინე გარჯა, მის ახალ უსიამოვნებებსა და ქვეყანაში არეულობას გამოიწვევდა, რაც მას თავის დიდების და კარიერის დაკარგვად დაუჯდა. მე კი საკუთარი ტყავით ვაგე პასუხი. კოლუმბიას იმხანად გენერალ გუსტავო როხას პინილიას სამხედრო და ფოლკლორული დიქტატურა მართავდა, რომლის ორი ყველაზე გახმაურებული გმირობიდან ერთი ქალაქის ცენტრში სტუდენტების დახოცვა იყო, როცა ჯარმა ცეცხლი გაუხსნა მშვიდობიან მანიფესტაციას, მეორე კი —

საიდუმლო პოლიციის მიერ ჯერაც, დაუდგენელი რაოდენობის კორიდის დომინიკელ გულშემატკივართა გაჟლეტა, რომლებმაც კორიდის მოედანზე დიქტატორის ქალიშვილს უსტვინეს. მკაცრი ცენზურის პირობებში გამომავალი ოპოზიციის გაზეთები თავს იმტვრევდნენ, რომ როგორმე მკითხველთა გასართობად პოლიტიკისაგან შორს მდგარი მასალები მოენახათ. გაზეთ „ელ ესპექტადორში" მკითხველთა დაპურების ამ საპატიო მისიას რედაქტორი გილერმო კანო, რედაქციის დირექტორი ხოსე სალგარი და რეპორტიორი — ეს ტრაქტატების ავტორი ვასრულებდით. ოცდაათ წელზე მეტის არც ერთი არ ვიყავით.

როცა ლუის ალეხანდრო ბელასკო თავისი ფეხით მოვიდა და იკითხა, რამდენს გადავუხდიდით თავგადასავლის მოყოლისათვის, ისე შევხვდით, როგორც ათასჯერ გადალეჭილ, მოძველებულ ამბის მომტანს შეეფერებოდა. შეიარაღებული ძალები მას რამდენიმე თვის განმავლობაში დარაჯობდნენ სამხედრო ჰოსპიტალში და მხოლოდ ოფიციალური მთავრობის ჟურნალისტებმა და ერთმა ოპოზიციონერმა ჟურნალისტმა, ექიმის თეთრხალათგადაცმული რომ შეიპარა პალატაში, შესძლეს მასთან საუბარი. მისი ამბავი რამდენჯერმე გამოაქვეყნეს დაწვრილებით და უკვე ისე იყო გადაბეჭდილი და შერყვნილი, რომ ხალხს ყელში ამოუვიდა გმირი, რომელიც ხან საათს უკეთებდა რეკლამას, რადგან მისი საათი შეუფერხებლად მუშაობდა წყალშიც კი, ხან ფეხსაცმელს, რადგან მისი ისეთი გამძლე აღმოჩნდა, რომ გაჭირვების ჟამსაც კი ვერ დახია, რომ შეეჭამა, და არც სხვა სისულელეებს თაკილობდა. იგი მეღლით დააჯილდოვეს, რადიოში პატრიოტული სიტყვით გამოიყვანეს და როგორც ახალგაზრდობისათვის მისაბაძი მაგალითი, ტელევიზიითაც აჩვენეს. მერე ყვავილებითა და მუსიკით შემოატარეს ნახევარი ქვეყანა, რათა ავტოგრაფები დაერიგებინა და სილამაზის დოფლების კოცნა მიეღო. მან პატარა ქონებაც კი დააგროვა და თუ ჩვენთან თავისი ნებით მოვიდა, მოსალოდნელი იყო, რომ ბევრი აღარაფერი დარჩენოდა სათქმელი, რომ ფულის გულისთვის ნებისმიერ ამბავს შეთხზავდა და რომ მთავრობამ კარგა ხნის წინ მიახვედრა რისი თქმა შეეძლო და რისი — არა. სწორედ ამიტომ გავაბრუნეთ უკან, მაგრამ უცებ, გულის კარნახს აყოლილი გილერმო კანო სტუმარს კიბეზე დაეწია, თანხმობა უთხრა და მე გადმომაბრალა, როგორც საათის მექანიზმიანი ბომბი.

თავდაპირველად იმან გამაოცა, ამ ჩასხმული, ოცი წლის ბიჭს, ასხე ეროვნულ გმირზე უფრო კორიდის გულშემატკივარს რომ მიუგავდა; თხრობის საოცარი ნიჭი, სინთეზის უნარი, საკვირველი მახსოვრობა და საკუთარი გმირობის დასაცინად საკმარისი თანდაყოლილი, ველური ღირსება რომ აღმოაჩნდა. ოცი დღე ექეს-ექვს საათს ვსაუბრობდით, რომლის დროსაც მე ჩანაწერებს ვაკეთებდი და გამოსაჭერ კითხვებს ვუსვამდი, რომ ურთიერთგამომრიცხავი არაფერი ეთქვა, ასე, შეძლებისდაგვარად კომპაქტურად აღვადგინეთ ზღვაში გატარებული მისი ათი დღის მართალი ამბავი, რომელიც ისეთი ყოვლისშემცველი და ამაღელვებელი გამოვიდა, რომ ჩემს ერთადერთ პრობლემად მის სიმართლეში მკითხველის დარწმუნება დარჩა. ამიტომაც და სამართლიანობის გამოც, გადავწყვიტეთ მოთხრობა პირველ პირში დაგვეწერა და ხელიც მას მოეწერა. ამ წიგნში. პირველად იბეჭდება ტექსტი ჩემი ხელმოწერით.

მეორედ ლუის ალეხანდრო ბელასკომ მუშაობის მეოთხე დღეს გამაოცა სასიამოვნოდ, როცა იმ საბედისწერო დღის ჭექა-ქუხილის აღწერა ვთხოვე. მან კი, დარწმუნებულმა, რომ მის სიტყვებს ფასი ედო, ღიმილით მომიგო: „არაეითარი

ჭექა-ქუხილი არ ყოფილა". ასეც იყო. მეტეოროლოგიურმა სამსახურებმა დაადასტურეს, რომ ის თებერვალი ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი და გამჭვირვალე იყო კარიბის ზღვაზე. აქამდე გაუმხელელი სიმართლე კი ის გახლდათ, რომ ძლიერი ქარის გამო გემი გვერდზე გადაიხარა, გემბანიდან ცუდად გამაგრებული ტვირთი მოწყდა და რვა მეზღვაურიანად ზღვაში დაინთქა. ეს აღსარება სამ დიდ დანაღვლევას ამხელდა: პირველი — საესკადრო ნაღმოსნით ტვირთის გადაზიდვა სასტიკად იყო აკრძალული, მეორე — გადატვირთვის გამო გემმა ვერ შეძლო ნავრირება, რათა მიბრუნებულიყო და მაშინვე გადაერჩინა წყალში ჩაცვენილები და მესამე — გემს კონტრაბანდა: მაცივრები, ტელევიზორები და სარეცხი მანქანები მიჰქონდა. ჩვენ მხოლოდ ის ვერ გავითვალისწინეთ რომ მოთხრობა, ნაღმოსნისა არ იყოს, პოლიტიკურად და მორალურად გადაიტვირთა.

ეპიზოდებად დაყოფილი ეს ამბავი თოთხმეტი დღის განმავლობაში იბეჭდებოდა გაზეთში. თავდაპირველად მთავრობამ თავისი გმირის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა იზეიმა. მაგრამ შემდგომ, სიმართლე რომ გამოქვეყნდა. სერიალის ბეჭდვა აკრძალა. ეს მაშინ, როცა გაზეთზე მოთხოვნილება გაორმაგდა და გამომცემლობის წინ შეგროვილი ხალხი მოთხრობის სრული კომპლექტის ხელში ჩასაგდებად ყველა ნომრის შეძენას ცდილობდა. დიქტატურამ კოლუმბიის მთავრობების ტრადიციებს არ უღალატა, სიმართლეს რიტორიკით შეებრძოლა და ნაღმოსნით კონტრაბანდის გადატანა საქვეყნოდ უარყო. ჩვენ ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად ლუის ალეხანდრო ბელასკოს ფოტოაპარატიანი მეზღვაურების სია მოვთხოვეთ და თუმცა მათი უმრავლესობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ატარებდა შეებულებას, ყველა მოვძებნეთ და მოგზაურობის დროს გემზე გადაღებული სურათები შევისყიდეთ. ეპიზოდების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის თავზე გაზეთის სპეციალურ დამატებაში მეზღვაურებისაგან შესყიდული ფოტოებით ილუსტრირებული მთლიანი მოთხრობა დაიბეჭდა. სურათებზე გამოსახულ მეზღვაურთა უკან ისე აშკარად ჩანდა კონტრაბანდის ყუთები, რომ მათზე ფირმის მარკის გარჩევაც შეიძლებოდა. დიქტატურამ მკაცრი რეპრესიებით გეიპასუხა, რაც გაზეთის დახურვით დამთავრდა.

დაწოლის, მუქარის და მოსყიდვის მცდელობის მიუხედავად, ლუის ალეხანდრო ბელასკომ თავის ნათქვამი არც ერთი სიტყვა არ უარყო. იგი იძულებული გახდა თავისი ერთადერთი პროფესია — მეზღვაურობა მიეტოვებინა და ყოველდღიური ცხოვრების ირომტრიალში დავიწყებას მიეცა. ორი წელიც არ გასულიყო, რომ დიქტატურა დაეშხო და ქვეყნის სათავეში უკეთ შემოსილი, მაგრამ წინანდელზე არცოუ სამართლიანი მთავრობა მოვიდა. მე იმხანად პარიზში გახლდით განდევნილი და ჩემი იქაური ცხოვრება ბევრად არ განსხვავდებოდა ტალღებზე მოდრეიფე ტივის უმისამართო ტივტივისაგან. მამაცი მეზღვაურის კვალი დაიკარგა, სანამ რამდენიმე წლის შემდეგ ერთმა მონდომებულმა ჟურნალისტმა არ მიაგნო ავტობუსების საწარმოში საწერ მაგიდასთან მჯდომს. მე ვნახე ის ფოტო. წლები და წონა მომატებოდა, ცხოვრებას თავისი დალი დაესვა, მაგრამ მაინც ეტყობოდა გმირის ის შარავანდედი, რამაც საკუთარი ძეგლის აფეთქების ძალა მისცა.

თხუთმეტი წელი იქნება, რაც ამ მოთხრობას არ მივბრუნებივარ. გაზეთისთვის იგი დიახაც რომ ღირსეულად მეჩვენება, მაგრამ არ მესმის, რა საჭიროა მისი წიგნად გამოცემა. არადა, წიგნად გამოვა, რადგან მე დაუფიქრებლად დავთანხმდი გამომცემელს და იმის კაცი არ ვარ, საკუთარი სიტყვები გადავთქვა.

ვფიქრობ, გამომცემლობას იმდენად ტექსტის ლიტერატურული ღირებულება არ აინტერესებს, რამდენადაც მის ქვეშ მიწერილი გვარი, რომელიც ჩემდა საბედნიეროდ, ერთობ მოდური მწერალია. მაღლობა ღმერთს, არსებობს წიგნები, რომლებიც ავტორს კი არა, მის გმირებს ეკუთვნის და ეს წიგნიც ერთ-ერთი მათგანია, საავტორო უფლებებიც შესაბამისად ჩემს უცნობ თანამემამულეს ეკუთვნის, რომელმაც ათი დღე მშიერ-მწყურვალმა გასძლო ტიეზე, რათა ეს წიგნი შექმნილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. გ. მ.

ბარსელონა, თებერვალი, 1970

თავი I

როგორები იყვნენ ზღვაში დაღუპული ჩემი მეგობრები

22 თებერვალს გამოგვიცხადეს, კოლუმბიაში ვბრუნდებითო. რვა თვე იყო, რაც ამერიკაში ალაბამას შტატის ნავსადგურ მობილში ვიყავით, სადაც საესკადრო ნაღმოსანი „კალდასი“ ელექტროდანადგარებისა და სხვა აღჭურვილობის შესაკეთებლად იდგა. სანამ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, ეკიპაჟის წევრები საგანგებო ინსტრუქტაჟს ვიღებდით. თავისუფალ დღეებს ისე ვატარებდით, როგორც ყველა მეზღვაური ატარებს მიწაზე: გოგოებთან ერთად კინოში დავდიოდით, შემდეგ კი ნავსადგურის ტავერნა „Joe Palooka“-ში ვიკრიბებოდით ვისკის დასალევად და ხანდახან აურზაურის ასატეხადაც.

ჩემს გოგოს მერი ედრესი ერქვა. იგი მობილში ყოფნის ორი თვის თავზე გავიცანი სხვა მეზღვაურის გოგოს მეშვეობით და მიუხედავად იმისა, რომ ძალზე იოლად ითვისებდა ესპანურს, ვფიქრობ, ვერასოდეს მიხვდება, რატომ ეძახდნენ ჩემი მეგობრები მერი დირექსიონს.[1] ყოველთვის, როცა გემიდან დამითხოვდნენ, კინოში ვეპატიჟებოდი, თუმცა მას ნაყინზე დაპატიჟება ერჩივნა. ერთმანეთს ჩემი დამტვრეული ინგლისურითა და მისი დამტვრეული ესპანურით ვაგებინებდით და კარგადაც გვესმოდა ერთმანეთის კინოშიც და ნაყინის ჭამისასაც.

მხოლოდ ერთხელ წავედი კინოში უმისოდ. იმ ღამეს „კაინეს ბუნტი“ გადიოდა. ჩემს მეგობრებს ტრალერზე გადაღებული ეს ფილმი შეუქეს და მის სანახავად მიტომ წავედით, მაგრამ ილმის მთელი ღირსება ტრალერი კი არა, ჭექა-ქუხილი აღმოჩნდა. ყველანი იმაზე შევთანხმდით, რომ მსგავსი ჭექა-ქუხილის დროს გემის გეზის შეცვლა გარდაუვალი იყო, რაც გააკეთეს კიდეც აჯანყებულებმა ამ ფილმში. არც მე, არც ჩემი მეგობრები მსგავს ჭექა-ქუხილში არ მოვყოლილვართ, ამიტომაც მივიჩნიეთ იგი ფილმის მთავარ ღირსებად. დასაძინებლად რომ ვბრუნდებოდით, ფილმის შთაბეჭდილების ქვეშ მეზღვაურმა დიეგო ბელასკესმა, დარწმუნებულმა, რომ რამდენიმე დღეში ზღვაში გავიდოდით, გვკითხა: „რა მოხდება ჩვენც რომ შეგვემთხვეს მსგავსი რამ?“

გამოგიტყდებით, მეც მონუსხული ვიყავი. ხმელეთზე გატარებული რვა თვის მანძილზე ზღვას გადავეჩვიე. შიშით არ მეშინოდა, რადგან ინსტრუქტორმა გვასწავლა კატასტროფის შემთხვევაში როგორ უნდა მოვქცეულიყავით, მაგრამ იმ ღამეს ვერ მოვისვენე.

ვერ ვიტყვი, იმ წუთებიდან გამიჩნდა კატასტროფის წინათგრძნობა-მეთქი,

---

1. დირექსიონ (ესპ.) — მისამართი. გოგოს გვარი „ედრესიც“ მისამართის ნიშნავს ინგლისურად.

მაგრამ ფაქტია, რომ ზღვაში გასვლის წინ მსგავსი შიში არასოდეს მიგრძვნია. პატარაობისას, როცა ბოგოტაში ილუსტრირებულ წიგნებს ვათვალიერებდი, აზრადაც არ მომდიოდა, რომ ზღვაში დაღუპვა შესაძლებელი იყო. პირიქით, რაღაცნაირად ვენდობოდი კიდეც ზღვას. მეზღვაურად თორმეტი წლის წინ მოვიწყვე და მთელი ამ ხნის განმავლობაში რეისის წინ არასოდეს მქონია ცუდი წინათგრძნობა.

სულაც არ მრცხვენია გამოვტყდე, რომ ფილმის ნახვის შემდეგ რაღაც შიშ მსგავსი ვიგრძენი. საწოლზე პირქვე დამხობილი ოჯახზე და კარტახენამდე გასავლელ მანძილზე ვფიქრობდი და ხელებში თავჩარგული ვუსმენდი ნავსადგურში ტალღების ჩქაფუნსა და კაიუტაში მძინარე ორმოცი მეზღვაურის ფშვინვას. ჩემი საწოლის ქვეშ — პირველი სართულის საწოლზე პირველი რანგის მეზღვაური ლუის რენხიფო ხვრინავდა ტრომბონის ხმით. არ ვიცი, რა ესიზმრებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასე მშვიდად არ დაეძინებოდა, რომ სცოდნოდა, სულ რაღაც რვა დღეში ზღვის ფსკერზე რომ იწვებოდა მკვდარი.

მთელი კვირა მოუსვენრად ვწრიალებდი. გამგზავრების დღე სწრაფად ახლოვდებოდა და მეც ვცდილობდი მეგობრებთან საუბარში მეპოვა სიმშვიდე. „კალდასი" გასამგზავრებლად მზად იყო. იმ დღეებში ყველანი საკუთარ ოჯახზე, კოლუმბიაზე და სახლში დაბრუნების შემდეგ გასაკეთებელ საქმეებზე ვლაპარაკობდით. გემიც ნელ-ნელა იტვირთებოდა შინ წასაღები საჩუქრებით: რადიოებით, მაცივრებით, სარეცხი მანქანებითა და, რაც მთავარია, ღუმელებით. მე რადიო მიმქონდა.

გასვლის დღე ახლოვდებოდა, მე შიში არ მტოვებდა და გადავწყვიტე კარტახენაში ჩასვლისთანავე მიმეტოვებინა ფლოტში სამსახური, რათა საკუთარი სიცოცხლე სასწორზე არ შემეგდო. ზღვაში გასვლის წინა ღამეს მერის გამოვემშვიდობე. დავაპირე ჩემი შიში მისთვისაც გამეზიარებინა, მაგრამ გადავიფიქრე. რადგან რომ მეთქვა, მეზღვაურობას თავს ვანებებ-მეთქი, აღარ დამიჯერებდა, რომ დანაპირებს შევუსრულებდი და დავბრუნდებოდი. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ჩემს საუკეთესო მეგობარს რამონ ერერას გავუმხილე, რომელიც თავის მხრივ გამომიტყდა, კარტახენაში ჩასვლისთანავე იგივეს ვაპირებო. ჩვენი შეშფოთება რომ გავუზიარეთ ერთმანეთს, მეზღვაურ დიეგო ბელასკოსთან ერთად წასვლის წინ ბოლო ჭიქა ვისკის დასალევად „Joe Palooka-ში წავედით.

თითო ჭიქის ნაცვლად ხუთი ბოთლი ვისკი დავლიეთ. ჩვენმა გოგოებმა იცოდნენ, რომ მიედიოდით, და გადაწყვიტეს დამშვიდობებისას დამთვრალიყვნენ და ერთგულების დასამტკიცებლად ეტირათ. ორკესტრის დირიჟორმა (ეს სერიოზული კაცი სათვალის წყალობით ჰგავდა მუსიკოსს), ღრმად დარწმუნებულმა, რომ კოლუმბიურ მუსიკას უკრავდა, ჩვენს საპატივცემულოდ მამბოსა და ტანგოს პროგრამა შეასრულა. ჩვენმა გოგოებმა იტირეს და დოლარნახევრიანი ვისკი სვეს.

რადგან ბოლო კვირას სამჯერ სხვებმა გადაიხადეს ჩვენი დანახარჯი, გადავწყვიტეთ სახლი თავზე დაგვემხო. მე იმიტომ, რომ შეშინებული ვიყავი და დათრობა მსურდა, რამონ ერერამ იმიტომ, რომ როგორც არხონელი კაცი, ყოველთვის კარგ გუნებაზე იყო, დოლზე დაკვრა იცოდა და შეეძლო ნებისმიერი მოდური მომღერლისთვის მიებაძა.

წასვლამდე ცოტა ხნით ადრე ჩვენს მაგიდასთან ამერიკელი მეზღვაური მოვიდა და რამონ ერერას ინგლისურად სთხოვა მის ზორბა და ქერა გოგოსთან ცეკვის ნებართვა, რომელიც ყველაზე ცოტას სვამდა და ყველაზე მეტს ტიროდა, თანაც გულწრფელად.

რამონ ერერამ ამერიკელს ხელი ჰკრა და, „რა ჯანდაბას ამბობ, ვერაფერი გავიგეო", ესპანურად მიუგო.

ის ჩხუბი, რომელსაც არც თავზე დამტვრეული სკამები აკლია, არც რადიოპატრული და პოლიცია, ერთ-ერთი საუკეთესო იყო მობილში. რამონ ერერა, რომელმაც ამერიკელს რამდენიმე გემრიელი პანლური უთავაზა, დანიელ სანტოსის ხმით მომღერალი მხოლოდ გამთენიისას დაბრუნდა გემზე. „ბანანა" უკანასკნელად მივდივარ რეისშიო და მართლაც, ის რეისი საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

24 თებერვალს, გამთენიისას, „კალდასმა" კარტახენასკენ აიღო გეზი. ყველას გვახსოვდა სახლში დაბრუნება. ყველას საჩუქრები მიგვქონდა შინ. სერჟანტი, არტილერისტი მიგელ ორტეგა ყველაზე ბედნიერი იყო. ყველა ჩვენგანისგან განსხვავებით, რვა თვის მანძილზე მას ერთი დოლარიც არ დაუხარჯავს თავისთვის და მთელი ფულით საჩუქრები უყიდა ცოლს, რომელიც კარტახენაში უცდიდა. იმ გამთენიისას, ნავსადგურიდან რომ გავდიოდით, მიგელ ორტეგა გემბანზე იდგა და თავის ცოლ-შვილზე ლაპარაკობდა. ეს შემთხვევა გამონაკლისი არ იყო, რადგან იგი სხვა თემაზე, როგორც წესი, არ საუბრობდა. ამჯერად მას ცოლისთვის მაცივარი, ავტომატური სარეცხი მანქანა, რადიო და ღუმელი მიჰქონდა. თორმეტი საათის შემდეგ ზღვის ავადმყოფობით გატანჯული მიგელ ორტეგა თავის საწოლზე იქნება დაგდებული, სამოცდათორმეტი საათის შემდეგ კი ზღვის ფსკერზე იწვება მკვდარი.

სიკვდილის სტუმრები

გემის საყვირის შემდეგ ისმის ბრძანება: „ეკიპაჟი ადგილზე" და სანამ გემი ნავსადგურიდან არ გაჯა, ყველა თავის პოსტზე დგას. მე ჩუმად ვიდექი ჩემს ადგილას — ტორპედოს კოშკურასთან და ვუყურებდი, როგორ ინთქმებოდა ნისლში მობილის შუქები, მაგრამ მერიზე კი არა, ზღვაზე ვფიქრობდი. ვიცოდი, რომ მეორე დღეს ბუენოსაიკის ყურეში ვიქნებოდით, იქ კი, წელიწადის ამ დროს ზღვაოსნობა საშიშია. მეორე რანგის ლეიტენანტი ხაიმე მარტინეს დიაგო გათენებამდე არ მინახავს. ოფიცერთა შემადგენლობიდან ის ერთადერთი დაილუპა კატასტროფაში. მას იშვიათად ვხედავდი. ვიცოდი მხოლოდ, რომ ეს მაღალი, ღონიერი და უსიტყვო ტოლიმელი კაცი შესანიშნავი პიროვნება იყო.

სამაგიეროდ, იმ დილით უნტერ-ოფიცერი, მეორე ბოცმანი, ასევე მაღალი და ჩასხმული ხელიო მადონ კარაბალიო ვნახე. მან გვერდით ჩამიარა. მობილის უკანასკნელ შუქებს გახედა და თავის პოსტისკენ გაემართა. ვფიქრობ, გემზე იგი აღარ მინახავს. „კალდასის" არც ერთი წევრი უნტერ-ოფიცერ ელიას საბოგალოვით ხმამაღლა არ გამოხატავდა შინ დაბრუნების სიხარულს. მემანქანეთა უფროსი ელიას საბოგალი ნამდვილი ზღვის მგელი იყო, დაბალი, ხეშეშკანიანი, ღონიერი და მოლაპარაკე. უნტერ-ოფიცერს სხვებზე მეტად იმიტომაც უხაროდა დაბრუნება, რომ კარტახენაში ცოლი და ექვსი შვილი უცდიდა, რომელთაგან მხოლოდ ხუთს იცნობდა. მეექვსე ჩვენი მობილში ყოფნისას დაიბადა.

გათენებამდე მშვიდად ვიმგზავრეთ. ერთ საათში ზღვას ისევ გავუშიანურდი. მობილის სინათლეები სიშორესა და ნისლში უჩინარდებოდა. აღმოსავლეთით ამომავალი მზე ჩანდა. მოუსვენრად აღარ ვგრძნობდი თავს, მხოლოდ დაღლილი ვიყავი. მთელი ღამის უძინარს მწყუროდა და ვისკის გემო მახრჩობდა.

დილის ექვს საათზე ნავსადგურიდან გავედით. გაისმა თუ არა ბრძანება: „ეკიპაჟო, დაიშალე, მორიგეები — პოსტზე"! მაშინვე დასაძინებლად გავეშურე. ჩემი საწოლის ქვემოთ, პირველი სართულის საწოლზე ლუის რენხიფო წამომჯდარიყო და გამოსაფხიზლებლად თვალებს იფშვნეტდა.

— სად ვართ? —მკითხა, გვერდით რომ ჩავუარე.

ვუპასუხე, რომ ნავსადგურიდან გავედით, ჩემს საწოლზე ავცოცდი და ძინება ვცადე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუის რენხიფო ნამდვილი მეზღვაური იყო. ჩოკოში, ზღვისგან შორს დაბადებულს, მაინც შესისხლხორცებული ჰქონდა ზღვა. „კალდასის" მობილში რომ დადგა რემონტზე, ლუის რენხიფო მის ეკიპაჟში არ მსახურობდა, ვაშინგტონში იყო და სამხედრო საქმეს ეუფლებოდა. სერიოზული, მეცადინე ბიჭი იყო და ინგლისური ესპანურივით იცოდა.

15 მარტს სამოქალაქო ინჟინრის წოდებაზე ჩაბარა გამოცდა და 1952 წელს იქვე იქორწინა დომინიკანელ ქალიშვილზე. ნალმოსანი „კალდასი" ამერიკაში რომ ჩავიდა, ლუის რენხიფო მობილში ჩამოვიდა და ეკიპაჟის წევრი გახდა. მობილის დატოვებამდე რამდენიმე დღით ადრე მითხრა, კარტახენაში, პირველ რიგში, ცოლის ჩამოსაყვან საქმეებს მოვაგვარებო.

დიდი ხანი იყო ზღვით არ ემგზავრა და დარწმუნებული ვიყავი, ზღვის ავადმყოფობა მოერეოდა. მგზავრობის იმ პირველ გამთენიისას, ტანთ რომ იცმევდა, გული ჯერ არ გერევაო, მკითხა. არა-მეთქი, ვუპასუხე.

— ორ-სამ საათში ენაგადმოგდებულს გნახავ, — მითხრა რენხიფომ.

— მე თვითონ გნახავ მაგ დღეში, — ვუპასუხე.

— მე რომ გული ამერევა, იმ დღეს ზღვაც აღებინებს, — თქვა მან.

დაძინებას რომ ვცდილობდი, ისევ ჭექა-ქუხილი გამახსენდა. შეცბუნებული კვლავ ლუის რენხიფოს მივუბრუნდი, რომელიც ის იყო ჩაცმას ამთავრებდა:

— ფრთხილად იყავი, თორემ დაგსჯის ეგ ენა.

თავი II

ჩემი უკანასკნელი ფუთები „მგელ-გემის" გემბანზე

„უკვე ყურეში ვართ", მითხრა რომელიღაც ჩემმა მეგობარმა, სასაუზმოდ რომ ავდექი 26 თებერვალს. წინა დღეს ცოტა არ იყოს, მეშინოდა, როგორი ამინდი დაგვხვდებოდა ყურეში. ნალმოსანი, ოდნავ რყევით, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მიიწევდა წინ. სიხარულით გავიფიქრე, რომ ჩემი შიში უსაფუძვლო იყო და გემბანზე გამოვედი. ჰორიზონტზე ნაპირის სილუეტი წაშლილიყო. ჩვენს წინ მხოლოდ მწვანე ზღვა და ლურჯი ცა ერწყმოდა ერთმანეთს. შუა გემბანზე ფერდაკარგული მიგელ ორტეგა ებრძოდა ზღვის ავადმყოფობას. კარგა ხანი იყო იტანჯებოდა, ჯერ კიდევ სანამ მობილის სინათლეები გაქრებოდა. უკანასკნელი ოცდათხი საათის მანძილზე ფეხზე ვერ დგებოდა, თუმცა ახალბედა როდი იყო ზღვაზე.

მიგელ ორტეგა ადრე კორეაში მსახურობდა ფრეგატაზე „ადმირალი პადილია". მსოფლიო ჰქონდა შემოვლილი და ზღვაში შინაურად გრძნობდა თავს. ახლა კი, თუმცა ყურეში სიწყნარე იყო, ავონიაში ჩავარდნილს ჰგავდა, პირში საჭმელს ვერ იკარებდა და ჩვენ, მისი მეგობრები, ხან კიბოზე ვსვამდით საწყალ

კაცს, ხან შუა გემბანზე, სანამ ბრძანება არ მივიღეთ, დასაძინებლად წაგვეყვანა. მაშინ საწოლზე პირქვე დაემხო და გულისრევის მოლოდინში თავი ჩაჰკიდა.

ვფიქრობ, რამონ ერერამ მითხრა ოცდაექვსში, ღამით, რომ კარიბის ზღვაზე ამინდი ფუჭდებოდა. ჩვენი ვარაუდით, მექსიკის ყურიდან შუაღამისას უნდა გავსულიყავით სამორიგეო პოსტზე, ტორპედოს კოშკურასთან მდგარი, იმედით ვფიქრობდი კარტახენაში ჩასვლაზე. ნათელი ღამე იდგა [illegible] მრგვალი ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ფლოტში სამსახური [illegible] ვარსკვლავებით დავინტერესდი და ახლაც, „კალდასი" კარიბისკენ რომ მიიწევდა, ვარსკვლავების ცქერით ვიქცევდი თავს.

ასე მგონია, გამოცდილი მეზღვაური, რომელსაც მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი, გემის რწევის მიხედვით უნდა მიხვდეს, რომელ ზღვაში იმყოფება. მე კარიბის ზღვაზე დავიწყე მეზღვაურის კარიერა და ამიტომ იოლად მივხვდი, რომ უკვე იქ ვიმყოფებოდით. საათს დავხედე. ღამის პირველის ნახევარი იყო. ესე იგი, 27 თებერვლის გამთენიის პირველის ნახევარი. ასე რომც არ ექანავა გემს, მაინც მივხვდებოდი, რომ კარიბის ზღვაში ვიყავით. მაგრამ გემი ირყეოდა და მეც კი, არასოდეს რომ არ ამრეევია ზღვაზე გული, თავი ცუდად ვიგრძენი. უცნაური წინათგრძნობა დამეუფლა. თავად არ ვიცი, რატომ. და საწოლზე პირქვედამხობილი მიგელ ორტეგა გამახსენდა.

დილის ექვს საათზე ნალმოსანი კაკლის ნაჭუჭივით ეხლეებოდა აქეთ-იქით. ლუის რენხიფო ჩემს ქვემოთ იწვა საწოლზე.

— გული არ გერევა, მსუქანო? — მკითხა.

არა-მეთქი, ვუპასუხე და ჩემი შიში გავუმხილე. რენხიფომ, რომელიც განსწავლული ინჟინერი და კარგი მეზღვაური იყო, მეცნიერულად დამისაბუთა, თუ რატომ არ ემუქრებოდა „კალდასს" არანაირი ხიფათი კარიბის ზღვაში. „ეს მგელგემია", მითხრა მან. მე გავიხსენე, რომ ომის დროს ამ წყლებში კოლუმბიის ნალმოსანმა გერმანული წყალქვეშა ნაეი ჩაძირა.

„ეს საიმედო გემია", ამბობდა რენხიფო. მე საწოლზე ვიწექი, რყევისაგან ძილგამტყდარი და მისი სიტყვები სიმხნევეს მმატებდა. მაგრამ ქარი ძლიერდებოდა და აქოჩრილ ტალღებში მოქცეული „კალდასი" რომ წარმოვიდგინე, ფილმი მომაგონდა.

ამინდი მთელი დღის განმავლობაში არ გამოკეთებულა. მაგრამ მგზავრობა ნორმალურად მიდიოდა. მორიგეობა რომ ჩავაბარე, დავიწყე ფიქრი, რას ვიზამდი კარტახენაში ჩასვლის შემდეგ. ჯერ მერის მივწერდი. ვფიქრობდი, კვირაში ორჯერ მიმეწერა: წერილების წერა არასოდეს მეზარებოდა. რაც მეზღვაური გავხდი, ყოველ კვირას ვწერდი ბოგოტაში წერილებს ჩემს ოჯახს. ხანდახან ჩემს მეგობრებსაც ვწერდი გრძელ წერილებს ოლაიას უბანში, ასე რომ, მერისაც მივწერდი. ვიფიქრე და კარტახენამდე დარჩენილი საათები გამოვთვალე. ოცდათხი საათი დაგვრჩენოდა. ეს ჩემი ბოლოსწინა მორიგეობა იყო. მიგელ ორტეგას საწოლამდე მითრევაში რამონ ერერა დამეხმარა. ორტეგა უარესად იყო. სამი დღე არაფერი ეჭამა, ლაპარაკის უნარი დაჰკარგვოდა და გამწვანებული სახე მოქცეოდა.

ცეკვა იწყება

ცეკვა დილის ათ საათზე დაიწყო. „კალდასი" მთელი დღე ირყეოდა, მაგრამ არც ისე, როგორც 27 თებერვლის ღამეს, როცა მე ძილგამფრთხალი ვიწექი საწოლზე და ძრწოლით ვფიქრობდი გემბანის მორიგეებზე. ვიცოდი, არც ერთ მე-

ზღვაურს არ ეძინა. თორმეტი საათი ხდებოდა, ჩემს ქვემოთ მწოლ ლუის რენხიფოს რომ ვკითხე გული ჯერაც არ გერევა-მეთქი? როგორც ვივარაუდე, არც რენხიფოს ეძინა, მაგრამ რყევის მიუხედავად ხასიათი არ გაფუჭებია.

ხომ გითხარი, მე რომ გული ამერევა, ზღვაც აღებინებს-მეთქი.

ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა, მაგრამ იმ ღამეს არ დაეამთავრებინა. ვუთხარი, რომ რაღაც შიშის მაგვარს ვგრძნობდი. ნამდვილი შიში ოცდაშვიდში, შუალამეზე ვიგრძენი, როცა რუპორში გაისმა ბრძანება „ეკიპაჟი მარცხენა ბორტზე". ვიცოდი, რასაც ნიშნავდა ეს სიტყვები. ესე იგი, გემი მარჯვენა ბორტზე იყო გადახრილი და ჩვენ საკუთარი სხეულის წონით უნდა გაგვეწონასწორებინა. ზღვაზე ცურვის ორი წლის მანძილზე პირველად ვიგრძენი ნამდვილი შიში. იქ, ზემოთ ქარი ღმუოდა და გემბანზე მყოფნი ალბათ თავიდან ფეხებამდე იყვნენ გალუმპულები.

ბრძანების გაგონებისთანავე ჩამოვხტი საწოლიდან. ლუის რენხიფო მშვიდად ადგა და მარცხენა ბორტის ფენილებისაკენ გასწია, რომელთა პატრონები ზემოთ მორიგეობდნენ. საწოლებს რომ ჩავეჭიდე ნაბიჯის გადასადგმელად, მიგელ ორტეგა მომაგონდა.

მას განძრევის თავი აღარ ჰქონდა. ბრძანების გაგონებისთანავე წამოდგომა სცადა, მაგრამ ღებინებით ღონემიხდილი დაეცა. წამოდგომაში მივეხმარე და თავის საწოლზე რომ დავაწვინე. ჩამქრალი ხმით მითხრა, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავსო.

— იქნებ ვთხოვოთ, დღეს არ გამორიგეონ, — ვუთხარი მე.

უკბილო ხუმრობას ჰგავს, მაგრამ მიგელ ორტეგა რომ თავის საწოლში დარჩენილიყო, ახლა ცოცხალი იქნებოდა.

28 თებერვლის გამთენიის ოთხ საათზე უძინარი ექვსი მეზღვაური შეეიკრიბეთ სამორიგეოდ. მათ შორის ჩემი მეწყვილე რამონ ერერაც ერია. მორიგეობაზე პასუხისმგებელი გილერმო როსი იყო. ეს ჩემი უკანასკნელი მორიგეობა აღმოჩნდა გემბანზე. ვიცოდი, შუადღის ორ საათზე კარტახენაში ვიქნებოდით. გადავწყვიტე, მორიგეობის დამთავრებისთანავე დაშეძინა, რათა შემდეგ გულიანად მომელხინა რვა თვის უნახავ მიწაზე. გამთენიის ექვს საათზე იუნგას თანხლებით მარჩხობის შესამოწმებლად გავწიე. შვიდ საათზე შემცვლელი მოვიდა და სასაუზმოდ წავედი. რვა საათზე მოვბრუნდი და ყოველგვარი სიახლის გარეშე ჩავაბარე ჩემი უკანასკნელი მორიგეობა. ქარი არ ცხრებოდა და აქოჩრილი ტალღები გემბანს რეცხავდა.

კიჩოზე რამონ ერერა იდგა. იქვე იყო მორიგეების მცველად დაყენებული საყურისებჩამოცმული ლუის რენხიფო. შუა გემბანზე კი ზღვის ავადმყოფობით გატანჯული მიგელ ორტეგა იწვა. იმ ადგილას ნაკლებად იგრძნობოდა რყევა. რამდენიმე წუთით მეორე რანგის მეზღვაურს, საწყობის გამგეს, უცოლო, თავშენახულ ბოგოტელ ედუარდო კასტილიას გამოველაპარაკე. არ მახსოვს, რაზე ველაპარაკეთ, მხოლოდ ის მახსოვს, რომ იმის შემდეგ თვალი აღარ მომიკრავს, სანამ ზღვაში მოფართხალე არ დავინახე რამდენიმე საათის შემდეგ.

რამონ ერერა მუყაოს ნაჭრებს ავროვებდა, რომ თავზე წაეფარებინა და გემბანზე დაეძინა. ასეთ რყევაში კაიუტაში ძილი შეუძლებელი იყო. ტალღები უფრო და უფრო იზრდებოდა და უმოწყალოდ ასკდებოდა გემბანს. მე და რამონ ერერა კიჩოზე საიმედოდ დამაგრებულ მაცივრებსა და სარეცხ მანქანებს შორის ჩავეჭედეთ, რომ ტალღას არ გავეტაცეთ. პირაღმა ვიწექი, ცას ავყურებდი და დარწმუნებული, რომ რამდენიმე საათში კარტახენაში ვიქნებოდით, მშვიდად

ვგრძნობდი თავს. ჭექა-ქუხილი არ ყოფილა. პირიქით, ნათელი დღე იდგა და თავზე გამჭვირვალე, ლურჯი ცა გვეხურა. არც ბოტები მიჭერდა, რადგან მორიგეობის შემდეგ კაუჩუკის ძირიანი ფეხსაცმელი ჩავიცვი.

ლუვილის წუთი

ლუის რენხიფომ საათი მკითხა. თორმეტის ნახევარი იყო. უკვე ერთი საათი გემი საეჭვოდ იხრებოდა აქეთ-იქით. რუპორში წინა ლამის ბრძანება გაისმა: „ეკიპაჟი მარცხენა ბორტზე". რამონ ერერა და მე არ გაუნძრეულვართ, რადგან ისედაც მარცხენა ბორტზე ვიმყოფებოდით. წუთის წინ შუა გემბანზე ნანახი მიგელ ორტეგა მომაგონდა და თითქმის მაშინვე დავინახე ბანცალით მომავალი ლებინებით რომ დაემხო მარცხენა ბორტზე. უცებ გემი მკვეთრად გადაიხარა გვერდზე. მე სუნთქვა შევიკავე. თავზე უზარმაზარი ტალღა გადაგვეცლო და ზღვიდან ახლადამოსულებივით გაგვწუწა. ნალმოსანი ჯახირით გასწორდა.

— რა ჯანდაბაა! ამ გემს მანევრირება არ შეუძლია, მარტო წინ მიდის! — თქვა ფერდაკარგულმა და აღელვებულმა ლუის რენხიფომ.

ასე განერვიულებულს პირველად ვხედავდი. ჩემს გვერდით ჩუმად იწვა გაწუწული რამონ ერერა. წამით სრული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც რამონ ერერამ დაარღვია.

— როგორც კი გვარლის გადაჭრას გვიბრძანებენ ტვირთის წყალში გადასაყრელად, პირველი მე ავიღებ ნაჯახს.

11საათი და 50 წუთი იყო. მეც ველოდი გვარლის გადაჭრის ბრძანებას, რომ ზედმეტი ტვირთისგან გავთავისუფლებულიყავით. ამას მეზღვაურები „შესამსუბუქებლ დალაგებას" უწოდებენ. მაცივრები და ლუმელები ბრძანების გაცემისთანავე ზღვაში გაუჩინარდებოდა. ვიფიქრე, რომ შემდეგ კაიუტაში ჩასვლა მომიწევდა. კიჩოზე ხომ მხოლოდ ტვირთს შორის ჩაჭედილი ვიყავით საიმედოდ. ტვირთი რომ არა, ტალღები გაგვიტაცებდა.

გემი რყევით მიაპობდა ზღვას. რამონ ერერამ ტილო გაკეცა და თავზე დაიფარა. მეორე, წინანდელზე დიდი ტალღა გადაგვეცლო, მაგრამ ამჯერად ტილომ გვიხსნა გაწუწვისაგან. სანამ ტალღა გადაიელიდა, თავზე ხელები წავიღე და რუპორის ხრიალი გავიგე. „ტვირთის გადაყრას გვიბრძანებენ", ვიფიქრე მაგრამ სხვა, დამაჯერებელი და მშვიდი ბრძანება გაისმა: „გემბანზე მყოფმა ეკიპაჟის წევრებმა მაშველი რგოლები გაიკეთონ"! ლუის რენხიფომ ცალი ხელით საყურისი დაიმაგრა, მეორით კი რგოლი ჩამოიცვა. ყოველი დიდი ტალღის შემდეგ ჯერ სიცარიელეს ვგრძნობდი, შემდეგ სიჩუმეს. დავინახე, როგორ ჩამოიცვა ლუის რენხიფომ რგოლი და საყურისი შეისწორა. მერე თვალი დავხუჭე და ჩემი საათის წიკწიკი გავიგონე.

დაახლოებით ერთი წუთი ვუსმენდი საათს. რამონ ერერა არ ინძრეოდა. ჩემი აზრით თორმეტს თხუთმეტი წუთი უნდა კლებოდა. კარტახენამდე ორი საათი რჩებოდა. ერთი წამით გემი თითქოს ჰაერში გაიყინა. მაჯა ავწიე. საათისთვის რომ დამეხედა, მაგრამ არც ხელი დამინახავს, არც მაჯა, არც საათი და არც ტალღა. ვიგრძენი, რომ გემი გადაიხარა და ტვირთი, რომელიც გვაკავებდა — დაცურდა. წამით ფეხზე დავდექი. წყალი ყელამდე მწვდებოდა. თვალებგადმოკარკლულ, გამწვანებულ ლუის რენხიფოს საყურისები თავზემოთ ეჭირა და ამოყვინთვას ცდილობდა. წყალმა მეც დამფარა და ზედაპირისკენ მოვუსვი. ერთი,

ორი, სამი წამი მივცურავდი, ჰაერი არ მყოფნიდა. ვიხრჩობოდი. ვცადე ტვირთს ჩავჭიდებოდი, მაგრამ ის ადგილზე არ იყო. საერთოდ აღარაფერი იყო ირგვლივ. რომ ამოვყვინთე, ზღვის მეტი ვერაფერი დავინახე. ერთი წამის შემდეგ ასიოდე მეტრში გემი გამოჩნდა, ყოველი მხრიდან წყალს რომ ასხამდა წყალქვეშა ნავივით და მხოლოდ მაშინ მივხვდი,რომ ზღვაში ჩავვარდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

როგორ ვუშველე ჩემი ოთხი მეგობრის დახრჩობას

პირველად მეგონა, სულ მარტო ვიყავი ზღვაში. ზედაპირზე გავჩერდი და დავინახე, როგორ დაატყდა უზარმაზარი ტალღა ნაღმოსანს და როგორ გაქრა იგი თვალთახედვიდან ჩემგან ორასიოდე მეტრში. ვიფიქრე, ჩაიძირა-მეთქი და თითქოს ამის დასტურად ჩემს ირგვლივ მობილში დატვირთული ყუთები ამოტივტივდა. მე ტანსაცმლის, რადიოების, მაცივრებისა და სხვა საოჯახო ნივთების ყუთებს შორის მოვექეცი. იმ წუთში ბოლომდე არც მქონდა გაცნობიერებული, რა ხდებოდა. ერთ-ერთ ყუთს ჩავებღაუჭე და ზღვას დავაკვირდი. საოცრად ნათელი დღე იყო. თუ არ ჩავთვლით ქარისგან აშლილ უზარმაზარ ტალღებს და მათში მოტივტივე ყუთებს, კატასტროფის არანაირი კვალი არ ჩანდა.

მალე ხმები მომესმა. ქარის სტვენაში მშვენივრად გავარჩიე მაღალი და ღონიერი მეორე ბოცმანის ხულიო ამადორ კარაბალიოს ხმა, რომელიც ვიღაცას უყვიროდა:

— აქ მომეჭიდე, რგოლის უკან!

თითქოს ღრმა ძილიდან გამოვფხიზლდი. მივხვდი, რომ ზღვაში მარტო არ ვიყავი. იქვე, სულ რამდენიმე მეტრში ჩემი მეგობრები ერთმანეთს უყვიროდნენ და ცურავდნენ. სწრაფად დავიწყე ფიქრი. ცურვა არც ერთ მხარეს არ შემეძლო. ვიცოდი, რომ კარტახენადან ორას მილში ვიმყოფებოდი, მაგრამ ორიენტაციის გრძნობა დაკარგე. მიუხედავად ამისა, შიშს ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობდი. წამით ისიც კი ვიფიქრე, რომ მაშველი ძალის მოსვლამდე ყუთს ჩაჭიდებულიც გავძლებდი. ის რომ ჩემი მეგობრებიც იქვე იყვნენ, საოცრად მამშვიდებდა. სწორედ ამ დროს დავინახე ორი, ერთმანეთისგან ექვსიოდე მეტრით დაშორებული ტივი. მოულოდნელად მოექცნენ ტალღას თავზე იმ მხარეს, საიდანაც ჩემი მეგობრების ხმა ისმოდა. გამიკვირდა, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ტივის დაჭერა. მალე ორივე გაუჩინარდა. შევყოყმანდი. ვერ გადამეწყვიტა, გამერისკა და ტივისკენ გამეცურა, თუ ყუთს საიდუმლოდ ჩაჭიდებული დავრჩენილიყავი. გადაწყვეტილების მიღებამდე აღმოვაჩინე, რომ უკვე ტივისკენ მივცურავდი, რომელიც თანდათან მშორდებოდა. სამი წუთი ვიცურე. ერთი პირობა ტივი თვალთახედვიდან გამიქრა კიდეც, მაგრამ ვცადე სწორი მიმართულება შემენარჩუნებია. უცებ, ძლიერმა ქარმა ის ჩემს გვერდით ამოაგდო. თეთრი, უზარმაზარი და ცარიელი. მთელი ძალით ჩავეჭიდე გისოსის ფენილს და ტივზე შეხტომა ვცადე. მხოლოდ მესამე ცდაზე მიეაღწიე მიზანს. უკვე ტივზე მოთავსებული, ბორძიკით წამოვიწიე ქარისგან გალახულ-გაყინული და ჩემი სამი მეგობარი დავინახე, ტივისკენ რომ მოცურავდნენ. სამივე მაშინვე ვიცანი. საწყობის გამგე ედუარდო კასტილიო კისერზე ეკიდა ხულიო ამადორ კარაბალიოს. ამ უკანასკნელს მაშ-

ველი რგოლი ეკეთა, რადგან კატასტროფის მომენტში სამორიგეო პოსტზე იდგა. „მაგრად ჩამეჭიდე, კასტილიო“, ყვიროდა ის ჩემგან ათიოდე მეტრში, ტალღებში გაბნეული ყუთებით გარემოცული.

მეორე მხარეს ლუის რენხიფო ჩანდა. სულ რამდენიმე წუთის წინ მას ნალმოსანზე ვხედავდი, აწეულ მარჯვენა ხელში საყურისები ეჭირა და ტალღიდან თავის დაღწევას ცდილობდა. ახლაც მშვიდად გამოიყურებოდა. თავის იმედი ჰქონდა, ტყუილად კი არ ამბობდა, ჩემზე ადრე ზღვას ვერევა გულიო. პერანგი გაეხადა, რომ ცურვაში ხელი არ შეშლოდა, მაგრამ მაშველი რგოლი აღარ ეკეთა. რომც ვერ დამენახა, ხმაზე ვიცნობდი. აქეთ მოუსვი, მსუქანო, შეგახდა.

სასწრაფოდ ვწვდი ნიჩბებს და ეცადე მათთან მიმეცურა. ხულიო ამადორი ყელზე ჩამოკიდებული ედუარდო კასტილიოთი სულ ახლოს იყო. მოშორებით ჩემი მეოთხე მეგობარი შევნიშნე: რამონ ერერა ყუთს ჩაჭიდებოდა და ხელს მიქნევდა.

ეხოლოდ საამი მეტრი!

არჩევანის საშუალება რომ მქონოდა, ვერც გადავწყვეტდი, პირველად რომლისთვის მეშველა. მაგრამ რამონ ერერა, მობილის ჩხუბის მონაწილე, მხიარული არხონელი ბიჭი დაეინახე თუ არა, რომელიც წუთის წინ ჩემს გვერდით იწვა კიჩოზე, თავდაუზოგავად მოვუსვი მისკენ. ორი მეტრი სიგრძის ტივი თავწყვეტილ ზღვაში მძიმეც არის, მით უმეტეს, თუ ქარის საწინააღმდეგოდ უსვამ ნიჩბებს. მგონი, ერთ მეტრზე წინ ვერ წავიწიე. იმედდაკარგულმა მიმოვიხედე. რამონ ერერა უკვე გამქრალიყო ზედაპირიდან. ლუის რენხიფო კი დამაჯერებლად მოცურავდა ტივისკენ. დარწმუნებული ვიყავი, მოაღწევდა. მე მისი ხვრინვა მესმოდა ხოლმე საწოლის ქვემოდან და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ზღვას მშვიდად გაუმკლავდებოდა.

ხულიო ამადორი ედუარდო კასტილიოს აკავებდა თავის კისერზე. ვიფიქრე, ცოტაც მომიახლოვდებიან და ნიჩაბს გავუწვდი-მეთქი, მაგრამ უზარმაზარმა ტალღამ ტივი აიტაცა და ტალღის ქოჩორზე მოქცეულმა ნალმოსანის ანძა შევამჩნიე, თანდათან რომ გვშორდებოდა. ძირს დაშვებულმა ხულიო ამადორი და ედუარდო კასტილიო ველარ დავიჭიეთ. ორ მეტრში ლუის რენხიფო მოცურავდა ტივისკენ. ვერ ავხსნი, რატომ მოვიქეცი ასე სულელურად. ვიცოდი, წინ ვერ წავიწევდი და მაინც ნიჩბებს დავაწექი. ჩემი ჭკუით ტივის ერთ ადგილას გაჩერება ვცადე. ლუის რენხიფოც დაქანცულიყო. წამით შეჩერდა, ხელი ასწია, როგორც გემზე, საყურისებს რომ აკავებდა და დამიყვირა:

— აქეთ გამოცურე, მსუქანო!

ქარი იგივე მიმართულებით ქროდა. დავუყვირე, რომ არ შემეძლო. მაგრამ ვფიქრობ, ვერ გაიგო. მოტივტივე ყუთები უკვე ჩაძირულიყო. ტივსაც აქეთიქით ახეთქებდა ტალღები. ერთხელ ხუთი მეტრით დავშორდი ლუის რენხიფოს და თვალთახედვიდან დავკარგე. მაგრამ მალე მეორე მხარეს გამოჩნდა, ჯერ კიდევ იმედით ყვინთავდა, მოახლოებულ ტალღას უფრო შორს რომ არ გაეტაცა. მე ფეხზე ვიდექი ნიჩაბაწეული და ვუცდიდი, როდის მომიახლოვდებოდა რენხიფო ნიჩბის გაწვდენაზე. მაგრამ შევამჩნიე, რომ ქანცი გაუწყდა და იმედიც გადაეწურა. უკვე იძირებოდა, რომ დამიყვირა:

—მსუქანო! მსუქანო!

ისევ ვცადე ნიჩბების მოსმა, მაგრამ კვლავ ამაოდ. მაშინ ნიჩაბი გავიწვდინე,

მაგრამ ზეალმართული ხელი, რამდენიმე წუთის წინ საყურისებს რომ აკაკუნებდა წყალზემოთ, სამუდამოდ ჩაიძირა ნიჩბებიდან ორიოდ მეტრში.

არ ვიცი, რამდენ ხანს დავყავი ტივზე ნიჩაბალმართულმა. იმედი მქონდა, რომელიმე მაინც ამოყვინთავდა წყლის ზედაპირზე, მაგრამ ზღვაზე არავინ ჩანდა. ქარი ძალლივით ღმუოდა და სველ პერანგს ტანზე მიტყლაშუნებდა. ყუთები გაქრა. ანძა თანდათან მშორდებოდა და ვხვდებოდი, რომ ნაღმოსანი [illegible] რულა. შესაძლებელი იყო, რომელიმე ჩემს მეგობარს მეორე ტივი [illegible] სრულიად ბუნებრივად მეჩვენებოდა. ტივები აღჭურვილი არ იყო. სიმართლე რომ ვთქვა, ნაღმოსანზე აღჭურვილი ტივი საერთოდ არ გვქონდა. ექვსი ტივის გარდა, გემზე ნავები და კანჯოები მოგვეპოვებოდა. ლოგიკური იყო, რომელიმე ჩემს მეგობარს ისევე მიეღწია ტივამდე, როგორც მე. ალბათ უკვე ნაღმოსანიც გვეძებდა.

უცებ ვიგრძენი ცხელი, ლავასაეით გავარვარებული შუადღის მზე, ჯერაც გონებაამღვრეულმა დავხედე საათს. სრული თორმეტი საათი იყო.

მარტო

უკანასკნელად, ლუის რენხიფომ ნაღმოსანზე საათი რომ მკითხა, თორმეტის ნახევარი იყო. მერე, 11 საათსა და 50 წუთზე საათს რომ დავხედე, კატასტროფა ჯერ არ მომხდარიყო. ტივზე რომ დავინტერესდი დროით, სრული თორმეტი საათი აღმოჩნდა. მეგონა, დიდი ხანი იყო გასული კატასტროფიდან. სინამდვილეში, სულ რაღაც ათი წუთის წინ კიჩოზე დავხედე საათს, შემდეგ წყალში აღმოვჩნდი. ტივი დავიჭირე, ამაოდ ვცადე მეგობრების გადარჩენა, ტივზე გაუნძრეველად მდგარი ვათვალიერებდი ზღვის ცარიელ ზედაპირს და ქარის წყვეტილ ღმუილს ვუსმენდი. ვფიქრობდი, ორ-სამ საათში მომაკითხავდა მაშველთა რაზმი.

„ორი-სამი საათი", გამოვთვალე და ეს დრო უსასრულობად მომეჩვენა ზღვაში მარტო ყოფნისთვის. არც მიცდია ბედს შევრიგებოდი. ტივზე წყალი და საჭმელი არ იყო და მეგონა, საღამომდე წყურვილი მომკლავდა. რადგან ქუდი წყალში ჩავარდნისას დავკარგე, თავი წყლით დავისველე და მშველელის მოლოდინში ტივის კიდეზე ჩამოვჯექი.

მხოლოდ მაშინ ვიგრძენი მარჯვენა მუხლის ტკივილი. დასველებული სქელი ბამბის ლურჯი შარვალი ძლივს აეიკაპიწე და შეშფოთებული დავაცქერდი მუხლსქვემოთ ღრმა, ნახევარმთვარის ფორმის ჭრილობას. არ ვიცი, გემბანის მოაჯირს წამოვედე გადმოვარდნისას, თუ წყალში ჩავარდნისას დავშავდი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჭრილობა ტივზე შევამჩნიე და მიუხედავად იმისა, რომ მეწვოდა, სისხლი არ მდიოდა. ზღვის მარილმა თუ გამოაშრო. არ ვიცოდი, რაზე მეფიქრა და ჩემი ქონება გადაეთვალიერე. უპირველეს ყოვლისა, მქონდა შესანიშნავად მომუშავე საათი, რომელზეც ყოველ ორ-სამ წუთში ერთხელ ვიყურებოდი. ამას გარდა, მქონდა შარშან კარტახენაში ნაყიდი ოქროს ბეჭედი, ასევე კარტახენაში ვიღაც მეზღვაურისაგან 35 პესოდ ნაყიდი ყელსაბამი ქალწულ კარმენის მედალიონით. ჯიბეში მხოლოდ ჩემი ტანსაცმლის კარადის და მობილის უნივერმაღის სამი სავიზიტო ბარათი. აღმომაჩნდა, იანვრის ერთ დღეს მერი ედრესთან ერთად საყიდლებზე წასულს რომ მომცეს. რადგან სხვა საქმე არ მქონდა, სავიზიტო ბარათების კითხვა დავიწყე... წარმოვიდგინე, ვითომ ის წერილები იყო, დალუპული გემის მეზღვაურები

ბოთლში რომ დებენ და ზღვაში აგდებენ. იმ წუთში ბოთლი რომ მქონოდა, ბარათებს შიგ ჩავდებდი და ზღვაში გადავუშვებდი, იმავე ღამეს ჩემი მეგობრებისთვის კარტახენაში გასართობ ამბად რომ მომეყოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IV

ᲛᲐᲠᲢᲝᲠᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲦᲐᲛᲔ ᲙᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲖᲚᲕᲐᲖᲔ

საღამოს ოთხ საათზე ქარიშხალი ჩადგა. იმის გამო, რომ ზღვისა და ცის მეტს ვერაფერს ვხედავდი და ირგვლივ საორიენტაციოდ არც ერთი წერტილი არ ჩანდა, მხოლოდ ორი საათის შემდეგ მივხვდი, რომ ტივი წინ მიიწევდა. ზურგის ნიავი სწორ ხაზზე მიაქროლებდა ტივს უფრო სწრაფად, ვიდრე მე შევბლებდი მის წაყვანას ნიჩბებით. არ ვიცოდი, სად ვიმყოფებოდი და საით მივცურავდი, არც ის ვიცოდი, ნაპირისკენ მივდიოდი, თუ გაშლილი ზღვისკენ. ეს უკანასკნელი ვარაუდი უფრო სარწმუნოდ მეჩვენებოდა, რადგან შეუძლებელია ზღვამ ნაპირზე გამორიყოს ნაპირიდან ორას მილზე მოტივტივე საგანი, მით უმეტეს, ისეთი მძიმე, როგორიც ტივი და კაცია.

პირველი ორი საათის განმავლობაში გონებაში წუთობით ვანგარიშობდი ნაღმოსნის გზას. თუ გემიდან სასწრაფოდ გაგზავნეს დეპეშა კარტახენაში კატასტროფის ზუსტი კოორდინატების მითითებით, თუ კარტახენადან დაუყოვნებლივ გამოფრინდნენ თვითმფრინავები და შვეულმფრენები, ერთ საათში მათ ჩემს თავზემოთ უნდა ეტრიალათ.

პირველ საათზე წამოვდექი და ჰორიზონტი დავზვერე. შემდეგ სამი ნიჩბი მოვხსენი და ტივზე დავაწყვე, რომ საჭიროების შემთხვევაში სასწრაფოდ გამეცურა თვითმფრინავის მიმართულებით წუთები ზლაზვნით გადიოდა. მზე სახესა და ხელებს მწვავდა, მარილიო დაშაშრული ტუჩები მეწვოდა. მაგრამ არც შიმშილს ვგრძნობდი, არც წყურვილს. თვითმფრინავების დანახვის მეტი არაფერი არ მინდოდა. ასეთი გეგმა მქონდა: ჰორიზონტზე მათი გამოჩენისთანავე საჭირო მიმართულებით გამეცურა და თვითმფრინავი ჩემს თავზე რომ აღმოჩნდებოდა, პერანგის ქნევით მენიშნებინა. წუთის დაუკარგავად რომ მემოქმედა, ღილები შევიხსენი და ყველა მხარეს მოვათვალიერე ჰორიზონტი, რადგან არ ვიცოდი, რომელი მხრიდან გამოჩნდებოდა თვითმფრინავი.

ასე გავიდა ორი საათი. ქარი ისევ ღმუოდა და მის ღმუილში ლუის რენხიფოს ხმა მომესმა: „აქეთ მოუსვი, მსუქანო". ისე ცხადად მესმოდა, თითქოს იქვე, ორ მეტრში ცურავდა და ნიჩაბზე ჩაჭიდებას ცდილობდა. მაგრამ არ შევშინდი, რადგან ვიცოდი, რომ როცა ზღვაზე ქარი ღმუის, ან ტალღები კლდოვან ნაპირს ეხლება, ადამიანს ნაცნობი ხმები ჩაესმის. მეც გასაგიჟებელი სიცხადით მესმოდა: „აქეთ მოუსვი, მსუქანო".

სამ საათზე მოვიწყინე. ნაღმოსანი უკვე კარტახენაში უნდა ყოფილიყო. დაბრუნებით ბედნიერი ჩემი მეგობრები რამდენიმე წუთში ქალაქში დაიფანტებოდნენ. მეგონა, ყველა ჩემზე ფიქრობდა და ამ აზრმა იმედი და ოთხ საათამდე გაძლების უნარი დამიბრუნა. ჩვენი დაკარგვა მაშინვე რომ ვერ შეემჩნიათ და დეპეშა ამის გამო არ გაეგზავნათ, ნავსადგურში შესვლისას ხომ ნახავდნენ, როცა მთელი ეკიპაჟი გემბანზე ჩამწკრივდებოდა. ეს შეიძლება სამ საათზე ან უფრო გვიან მომხდარიყო. რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ აცნობებდნენ სათანადო სამ-

სახურს და რაც არ უნდა შეგვიანებოდათ თვითმფრინავებს აფრენა, ნახევარ საათში მაინც კატასტროფის ადგილას უნდა ყოფილიყვნენ და ოთხ საათზე, უკიდურეს შემთხვევაში, ხუთის ნახევარზე ჩემს თავზე უნდა ეტრიალათ. ქარი რომ ჩადგა და ზღვის ყრუ, ყოვლისმომცველ დრტვინვაში გავეხვიე, მხოლოდ მაშინ შეწყდა ლუის რენხიფოს ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ღამე

თავდაპირველად ზღვაში სამი საათი მარტო გაჩერება შეუძლებელი მეჩვენებოდა, მაგრამ ხუთ საათზე, მარტოობის ხუთი საათი რომ გავიდა, ვიფიქრე, ერთ საათს კიდევ გავძლებ-მეთქი. ჩასასვლელად გამზადებული მზე გაწითლდა, გაიზარდა და დასავლეთისკენ გადაიხარა. მხოლოდ მაშინ დამიბრუნდა ორიენტაციის გრძნობა. ახლა ვიცოდი, საიდან გამოჩნდებოდნენ თვითმფრინავები. მზე ჩემგან მარცხნივ იყო. მე პირდაპირ გავიხედე და გაუნძრეველად მიეჩერდი წერტილს სადაც ჩემი ვარაუდით კარტახენა უნდა ყოფილიყო. ექვს საათზე თვალები ამტკივდა... მაგრამ რომ ჩამობნელდა, მაშინაც კი დაუცხრომელი მოთმინებით განვაგრძობდი ცქერას. ვიცოდი, თვითმფრინავს ვერ დავინახავდი მაგრამ ჩემკენ მომავალ მწვანე და წითელ შუქებს ხომ შევნიშნავდი ძრავის გუგუნის გაგონებამდე. ამ შუქების დანახვა მეწადა და სულ არ ვფიქრობდი, რომ თვითმფრინავიდან ვერ შემამჩნევდნენ. ცა უცებ გაწითლდა. მე ჰორიზონტისთვის თვალი არ მოშიცილებია. შემდეგ მუქი იასამნისფერი გახდა. მე ისევ ვიყურებოდი. უცებ ტივის ერთ მხარეს უკვე ღვინისფერ ცაზე ყვითელი ბრილიანტივით ამობრწყინდა მკვეთრი და კვადრატული პირველი ვარსკვლავი. თითქო ამ ნიშანს ელოდაო, ზღვას გაუვალი და დაძაგრული ღამე დაატყდა თავს.

როცა ისე დაბნელდა, თვალთან მიტანილი თითი არ ჩანდა, დაუოკებელი შიში ვიგრძენი. ტივის გვერდებზე ტალღების შხაპუნით ვხვდებოდი, რომ ნელა, მაგრამ შეუჩერებლად მივიწევდი წინ. წკვარამში ჩანთქმულმა ვიფიქრე, რომ დღის შუქზე ასეთი მარტოობა არ იგრძნობოდა. ნიბნელეში უფრო ეული ვიყავი ტივზე, რომელსაც ვერ ვხედავდი, მაგრამ ჩემს ქვემოთ ვგრძნობდი და უცნაური ცხოველებით დასახლებულ მრუმე ზღვას მივაპობდი. მარტოობის შესამსუბუქებლად საათს დავხედე. შვიდს ათი წუთი უკლდა. ბევრად გვიან, ჩემი აზრით, ორისამი საათის შემდეგ, ჯერ კიდევ შვიდს ხუთი წუთი უკლდა. წუთების მაჩვენებელი ისარი თორმეტს რომ მიუახლოვდა, შვიდი საათი შესრულდა და ცა ვარსკვლავებით მოიფენა. მე კი მეგონა, იმდენი ხანი გავიდა, მალე უნდა გათენებულიყო. ისევ თვითმფრინავზე ვფიქრობდი ჯიუტად.

შემცივდა. ტივზე მშრალი ვერ გაჩერდები. მაშინაც კი, როცა კიდეზე ზიხარ, ნახევარი სხეული წყალში გაქვს, რადგან ტივის ძირი კალათასავით ნახევრად წყალშია ჩაძირული. საღამოს რვა საათზე ჰაერი ზღვის წყალზე მეტად გაცივდა. ვიცოდი, რომ ტივის ძირზე დაწოლილი საიმედოდ ვიყავი დაცული ცხოველებისაგან, რადგან დამცველი ცხაური მათ მოახლოების საშუალებას არ აძლევს. ამას სკოლაში ასწავლიან და გჯერა კიდეც, როცა ინსტრუქტორი ტივის მცირე მოდელს გიჩვენებს, შენ კი შუადღის ორ საათზე, ორმოც მეგობართან ერთად ზიხარ მერხზე. მაგრამ თუ საღამოს რვა საათზე მარტო და იმედდაკარგული ხარ შუა ზღვაში, ინსტრუქტორის სიტყვები დამაჯერებლობას კარგავს. ვიცოდი, რომ ნახევარი სხეული ადამიანებისთვის უცხო, ზღვის ცხოველთა კუთვნილ სამყა-

რიში მქონდა და თუმცა მსუსხავი ნიავი გაყინულ ტანზე მაკრავდა სველ პერანგს ტივის კიდიდან დაძვრა ვერ გამებედა. ინსტრუქტორს თუ დავუჯერებთ, ეს ადგილი ყველაზე სახიფათოა ტივზე, მაგრამ მე მხოლოდ იქ ვგრძნობდი თავს შორს ზღვის უზარმაზარი და იდუმალი ცხოველებისგან, უჩუმრად რომ დასრიალებდნენ ტივის გარშემო.

იმ ღამეს ძლივს ვიპოვე ვარსკვლავებში ჩაკარგული პატარა დათვის თანავარსკვლავედი. ამდენი ვარსკვლავი ერთად არასოდეს ყოფილა ცაზე. ნემსის ჩასაგდები ადგილი არ დარჩენილიყო. პატარა დათვი ვიპოვე თუ არა, სხვა მხარეს გახედვა ველარ გავბედე. მისი შემხედვარე, რატომღაც ნაკლებ მარტოობას ვგრძნობდი. კარტახენაში, თავისუფალ დღეებში, გამთენიისას მანგას ხიდზე ვსხდებოდით, რამონ ერერა დანიელ სანტოსის ხმით მღეროდა, რომელიმე ჩვენგანის გიტარის აკომპანიმენტის ქვეშ. მე კი, ქვის კიდეზე ჩამომჯდარი, ყოველთვის პატარა დათვს ვეძებდი ხოლმე. იმ ღამესაც ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს მანგას ხიდზე ვიყავი, ჩემ გვერდით რამონ ერერა მღეროდა გიტარის თანხლებით და პატარა დათვი ნაპირიდან ორას მილზე კი არა, სერო დე ლა პოპას თავზე ანათებდა.

დარწმუნებული ვიყავი, კარტახენაში ვიღაც ჩემსავით უყურებდა პატარა დათვის თანავარსკვლავედს და ეს აზრი მარტოობას მიმსუბუქებდა.

ჩემი პირველი ღამე ზღვაში ასე აუტანლად იმიტომ გაიჭიმა, რომ სრულიად არაფერი მომხდარა. შეუძლებელია აღწერო ღამე ტივზე, როცა არაფერი ხდება, როცა ცხოველების გეშინია, გაქვს ფოსფორიანი საათი, რომელსაც შეუძლებელია ყოველ წუთს არ დახედო. 28 თებერვლის ღამეს — ჩემს პირველ ღამეს ზღვაში — ყოველწუთს საათზე ვიყურებოდი. ეს ნამდვილი წამება იყო. იმედგადაწურულმა გადავწყვიტე მომეხსნა საათი და ჯიბეში შემენახა, რომ ფიქრი სხვა რამეზე გადამეტანა. ცდა აუტანელი რომ შეიქნა, ღამის ცხრა საათს ოცი წუთი აკლდა. არც შიმშილი მაწუხებდა, არც წყურვილი და დარწმუნებული ვიყავი, რომ მეორე დღემდე, ე. ი. თვითმფრინავების მოფრენამდე გავძლებდი. საათს ჭკუიდან რომ არ შევეშალე, გადავწყვიტე მომეხსნა და ჯიბეში შემენახა. ერთი პირობა ვიფიქრე, ზღვაში გადავუშვებ-მეთქი, მაგრამ შევყოყმანდი. შემეშინდა, რომ უსაათოდ უფრო ეულად ვიგრძნობდი თავს. კვლავ გავიკეთე და ისე ყურადღებით დავაცქერდი, როგორც ჰორიზონტს მივჩერებოდი თვითმფრინავების მოლოდინში, სანამ თვალები არ მეტკინა.

თორმეტი საათის შემდეგ ტირილი მომინდა. ერთი წუთით არ მომიხუჭავს თვალი, მაგრამ არც მეძინებოდა. იმავე იმედით, დილით რომ თვითმფრინავებს ვუცდიდი, ახლა გემის სინათლეს დავუწყე ძებნა. რამდენიმე საათი ვათვალიერე წყნარი, უზარმაზარი და იდუმალი ზღვა, მაგრამ ვარსკვლავების შუქის გარდა, სხვა სინათლეს ვერსად წავაწყდი. გამთენიისას სუსხმა იმატა და მომეჩვენა, რომ მზეზე დამწვარი ჩემი ტანი დილით მანათობელი გახდა. ნაშუაღამევს მუხლი ამტკივდა და ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს წყალმა ძვლამდე ჩააღწიაო. ტკივილი სადღაც შორიდან მოდიოდა. ჩემს სხეულზე ისე არ ვფიქრობდი, როგორც გემთა სინათლეებზე. დარწმუნებული ვიყავი ამ გაუთავებელ მარტოობაში, ზღვის ამ ბნელ ხმაურში, საკმარისი იყო გემისთვის მომეკრა თვალი და ისე ვიყვირებდი, ქვეყნის დასალიერში გაიგონებდნენ.

ყოველდღიური სინათლე

ნელ-ნელა არ გათენებულა, როგორც დედამიწაზე. ცა გაფერმკრთალდა და რამდენიმე ვარსკვლავი გაქრა. მე ხან საათს შევყურებდი, ხან ჰორიზონტს. ზღვის კონტურები გამოიკვეთა. არც მჯეროდა, რომ თორმეტი საათი გავიდა. შეუძლებლად მეჩვენებოდა, რომ ღამე დღესავით გრძელი ყოფილიყო. ამაში [illegible] წმუნდე, ერთი ღამე ზღვაში, ტივზე დამჯდარმა უნდა გაატარო და [illegible] საათს უყურო. ზღვაზე უცებ თენდება, შენ კი ისეთი დაღლილი ხარ, ვერც ხვდები, რომ ღამე დღეზე გრძელი იყო.

ასე მომიყიდა პირველ ღამეს ტივზე. რომ ინათა, ჩემთვის უკვე სულ ერთი იყო, გათენდებოდა თუ არა. სასმელ-საჭმელზე არ ვფიქრობდი. საერთოდ, არაფერზე არ ვფიქრობდი, სანამ ქარი არ ჩადგა და ოქროსფერი ზღვის ზედაპირი არ მოსწორდა. ღამე ერთი წვეთი არ მეძინა, მაგრამ თავს ახლად გამოღვიძებულივით ვგრძნობდი. რომ გავიზმორე, ძვლებმა ჭახაჭუხი დამიწყო. კანიც მტკიოდა, მაგრამ ახალი, ნათელი და მშვიდი დღის შემხედვარეს ლოდინისთვის საჭირო ძალები დამიბრუნდა. თავი მარტო აღარ მიგრძვნია და პირველად ჩემი ცხოვრების ოცი წლის მანძილზე, სრული ბედნიერება განვიცადე. ტივი ისევ წინ მიიწევდა. არ ვიცი, რა მანძილი გავიარე ღამე, მაგრამ ჰორიზონტზე არაფერი შეცვლილა, თითქოს ერთი ადგილი მეტკეპნოს. დილის ექვს საათზე ნალმოსანზე ვფიქრობდი. საუზმის დრო იყო. წარმოვიდგინე, როგორ მიირთმევდნენ მაგიდას შემომსხდარი ჩემი მეგობრები ვამლს. შემდეგ კვერცხს მოიტანენ, შემდეგ ხორცს, ბოლოს კი პურს და რძიან ყავას. პირი ნერწყვით ამევსო და მუცელმა თავი შემახსენა. საჭმელზე რომ არ მეფიქრა, ყელამდე წყალში ჩავწექი ტივის ფსკერზე. ცივი წყალი ზურგზე მომელამუნა და ძალა დამიბრუნდა. ასე ვიწექი კარგა ხანს და ჩემს თავს ვეკითხებოდი, რატომ ავედი გემბანზე რამონ ერერასთან ერთად, იმის მაგივრად, რომ საწოლში დავრჩენილიყავი. წუთების სიზუსტით აღვიდგინე გონებაში ტრაგედია და თავი სულელად ჩავთვალე. მე არაფრით არ უნდა ვყოფილიყავი მსხვერპლი. არც მორიგე ვიყავი, არც გემბანზე ყოფნა მევალებოდა. დავასკვენი, რომ ყველაფერში ჩემი უკუღმრთი ბედი იყო დამნაშავე და შევშფოთდი. მაგრამ საათს რომ დავხედე, დავმშვიდდი. დღე ძალას იკრებდა. თორმეტის ნახევარი იყო.

შავი წერტილი ჰორიზონტზე

შუადღეზე ისევ კარტახენაზე ვფიქრობდი. შეუძლებელი იყო ჩემი გაქრობა არ შეემჩნიათ. ვინანე კიდეც, ტივს რომ დავეწიე, წარმოვიდგინე, რომ ჩემი მეგობრები უკვე გადარჩენილები იყვნენ და მე ერთი მივქონდი ტალღებს და ქარს. დავწყევლე კიდეც ჩემი ბედი ტივის დაჭერისთვის.

ამ ფიქრებში ვიყავი, ჰორიზონტზე შავი წერტილი რომ დავლანდე და თვალი გავუშტერე. დაძაბულობისგან ცა ნათელი წერტილებით სავსე მოჩეჩვენა. შავი წერტილი აშკარად ტივისკენ მოიწევდა. ორ წუთში მისი ფორმაც გავარჩიე. მანათობელი და ცისფერი, ნელ-ნელა იკვეთებოდა სხვა ნათელ წერტილებში. კისერი და თვალები მეტკინა, მაგრამ მაინც ვუყურებდი. ბრჭყვიალა იყო, სწრაფი და ტივისკენ მოიწევდა. იმ წუთში ბედნიერი ვიყავი, უსაზღვრო სიხარული არ მიგრძვნია. უბრალოდ, გონება გამინათდა და დავმშვიდდი. სანამ თვითმფრინავი მომიახლოვ-

დებოდა, აუჩქარებლად გავიხადე პერანგი. მეგონა, ზუსტად მივხვდებოდი, რა წუთში უნდა მენიშნებინა მფრინავისთვის. რამდენიმე წუთი გაუნძრეველად ვიდექი ტივზე და თვითმფრინავის მოახლოებას ვუცდიდი. პირდაპირ ტივისკენ მოიწევდა. ხელი რომ ავწიე და პერანგის ქნევა დავიწყე, ტალღების ხმაურში მშვენივრად მესმოდა ძრავის მოცახცახე, თანდათან გაძლიერებული ხმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი V

ტივზე მეგობარი მყავდა

სულ ცოტა ხუთი წუთი ვიქნევდი პერანგს მთელი ძალ-ღონით. მაგრამ მალე მივხვდი შეცდომას. თვითმფრინავი ტივისკენ არ მოდიოდა. მზარდი შავი წერტილი რომ დავინახე, მეგონა თავზე გადამიფრენდა. მაგრამ მოშორებით ჩამიარა და თანაც იმ სიმაღლეზე, რომ შეუძლებელი იყო ჩემი დანახვა. შემდეგ წრე დაარტყა, უკან მობრუნდა და საიდანაც მოფრინდა, იმ წერტილში გაუჩინარდა. ტივზე მდგარს მზე მაჭერდა, შავ წერტილს მიეჩერებოდი და არაფერზე არა ვფიქრობდი, სანამ ჰორიზონტი არ მოიწმინდა. მხოლოდ ამის შემდეგ დავჯექი. თავს უბედურად ვგრძნობდი, მაგრამ რახან კიდევ მიბჟუტავდა იმედი, გადაეწყვიტე, მზისგან დამეცვა თავი. პირველ რიგში ფილტვები უნდა მომერიდებინა მზის სხივებისთვის. დღის თორმეტი საათი იყო. ზუსტად ოცდაოთხი საათი დავყავი ტივზე. ფსკერზე დაეწექი პირაღმა და სახეზე სველი პერანგი ავიფარე. დაძინება არ მიცდია, რადგან ვიცოდი, საშიში იყო. თვითმფრინავზე ვფიქრობდი. კარგად არ ვიყავი დარწმუნებული, რომ მე მეძებდა, რადგან ვერ გავარჩიე, რა თვითმფრინავი იყო.

იქ ტივზე წამოწოლილმა პირველად ვიგრძენი წყურვილი. ჯერ ყელში შემაწუხა მარილის სქელმა ნადებმა. ზღვის წყლის მოსმა მომინდა, მაგრამ ვიცოდი მავნებდა. თუ გამიჭირდებოდა, მოგვიანებით მოესვამდი ცოტას. უცებ წყურვილი გადამაკიწყდა. ჩემს თავზემოთ თვითმფრინავის უფრო ძლიერი გუგუნი გავიგონე. აღელვებულმა წამოვიწიე. ეს თვითმფრინავიც იმავე მხრიდან მოდიოდა, საიდანაც პირველი, ოღონდ, პირდაპირ ტივისკენ თავზე რომ გადამიფრინა, პერანგის ქნევას მოუყეკი. მაგრამ ძალიან მაღლა მიფრინავდა, გვერდით ჩამიფრინა, წავიდა და გაქრა. შემდეგ წრე დაარტყა და დავინახე, როგორ დაბრუნდა უკან. „ახლა კი მეძებენ", გავიფიქრე და პერანგით ხელში სხვა თვითმფრინავებს დავუწყე ლოდინი.

ერთი რამ ცხადი იყო. ორივე თვითმფრინავი ერთი და იმავე წერტილიდან გამოჩნდა, ესე იგი, მიწა იქით იყო. ახლა ვიცოდი საით უნდა მეცურა, მაგრამ როგორ; რაც არ უნდა წინ წაწეულიყო ტივი დღის განმავლობაში, ნაპირიდან ჯერაც ძალიან შორს უნდა ვყოფილიყავი. ვიცოდი, სად იყო მიწა, მაგრამ არ ვიცოდი, რამდენი ხანი უნდა მესვა ნიჩბები, მით უმეტეს, რომ მზე კანს მწვავდა, შიმშილით მუცელი მიწრიალებდა და წყურვილი მახრჩობდა, რის გამოც სუნთქვა მიძნელდებოდა.

12 საათსა და 35 წუთზე, ვერც შევამჩნიე, რომელი მხრიდან მომეპარა უზარმაზარი, შავი თვითმფრინავი წყალზე დასაჯდომი თხილამურებით. გულმა რეჩხი მიყო. ნათელი დღე იყო და შესანიშნავად გავარჩიე თვით თვითმფრინავი

და ფანჯარაში თავგამოყოფილი კაცი, შავი ბინოკლით რომ ათვალიერებდა ზღვას. ისე ქვემოთ და ახლოს გამიფრინა, რომ მომეჩვენა, სახეზე ძრავის მუშაობით ათრთოლებული ნიავი მომელამუნა-მეთქი. ფრთებზე დაწერილი ასოებიც კარგად გავარჩინე. არხის ზონის სანაპიროთა დამცველი სამსახურის თვითმფრინავი იყო. თვითმფრინავი კარიბის სიღრმეში რომ გაუჩინარდა, ერთი წუთით არ დავეჭვებულვარ, რომ ბინოკლიანმა კაცმა დამინახა. „აღმომაჩინეს"! ვიყვირე [illegible] მა და სიხარულით გაგიჟებულმა პერანგის ქნევით ტივზე ცეკვას [illegible]

დამინახეს!

ხუთ წუთში თვითმფრინავი დაბრუნდა. იმავე სიმაღლეზე, მარცხენა ფრთისკენ გადახრილი დაფრინავდა და ხელმეორედ დავინახე ბინოკლიანი კაცი. ისევ დავუქნიე პერანგი, ამჯერად ისე მშვიდად, თითქოს შველას კი არ ვთხოვდი. გულითად სალამს ვუძღვნიდი ჩემს გადამრჩენელებს.

რომ მომიახლოვდა, მომეჩვენა, თითქოს სიმაღლეს ჰკარგავდა. ჯერ სწორ ხაზზე დაფრინავდა ზედ წელის თავზე. ვიფიქრე, ჯდება-მეთქი და ნიჩბების მოსასმელად მოვემზადე, დაჯდომის ადგილამდე რომ მიმეცურა მაგრამ უცებ სიმაღლე აიღო, ჰაერში წრე დაარტყა და მესამედ გადამიფრინა თავზე. ისევ დავუქნიე პერანგი და დავუცადე, როდის დაეშვებოდა. მაგრამ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: თვითმფრინავმა სწრაფად აიღო სიმაღლე და საიდანაც მოფრინდა, იმ მხარეს გაუჩინარდა. შეწუხების საბაბი არ მქონდა. დარწმუნებული ვიყავი, დამინახეს, შეუძლებელი იყო, არ დავენახეთ, როცა ასე ქვემოთ, ზედ ტივის თავზე დაფრინავდნენ. დამშვიდებული და ბედნიერი დავჯექი მოსაცდელად.

ერთი საათი ვიცადე და მარტივი დასკვნა გავაკეთე. წერტილი, საიდანაც პირველი თვითმფრინავები გამოჩნდნენ, ეჭვი არაა, კარტახენა იყო, ხოლო წერტილი, სადაც შავი თვითმფრინავი გაქრა, პანამის თავზე უნდა ყოფილიყო. ჩემი ვარაუდით, თუ სწორ ხაზზე ვიცურებდი და ქარი ოდნავ შემიცვლიდა მიმართულებას, პირდაპირ სანატორიუმ ტოლუს მივადგებოდი. ის დაახლოებით თვითმფრინავების გაუჩინარების წერტილებს შორის მდებარეობდა. წესით ერთ საათში უნდა მობრუნებულიყო ჩემს წასაყვანად. მაგრამ არც ერთი საათის შემდეგ შეცვლილა რამე ცისფერ, სუფთა და მშვიდ ზღვაზე. კიდევ ორი საათი გავიდა. მერე კიდევ რამდენიმე, რომელთა განმავლობაში ტივის კიდეზე გაუნძრევლად ვიჯექი და დაძაბული, თვალის დაუხამხამებლად მივჩერებოდი ჰორიზონტს. საღამოს ხუთ საათზე მზის მცხუნვარებამ იკლო. ჯერ კიდევ იმედიანად, მაგრამ მოუსვენრად ვიჯექი. დარწმუნებული ვიყავი შავი თვითმფრინავიდან დამინახეს, მაგრამ ვერ ამეხსნა, ამდენ ხანს, რატომ არ მოფრინდნენ ჩემს წასაყვანად. დაბნეული გავცქეროდი ჰორიზონტს, როცა მოულოდნელად ყირამალა გადავვარდი ტივის ფსკერზე. თითქოს საკბილოს ეპარებაო, ზვიგენის ფარფლი ნელა უვლიდა ტივს გარშემო.

ზვიგენები ხუთ საათზე მოდიან

ის პირველი ცხოველი იყო, რომელიც ოცდაათი საათის მანძილზე ვნახე ზღვაში. ზვიგენის გაუმაძღრობა ყველასთვის ცნობილია, ამიტომ მისი ფარფლი შიშს იწვევს მნახველში. სინამდვილეში, ზვიგენის ფარფლზე უწყინარი სანახავი არაფერია. ის მწვანეა, მოჭრილი მორივით უხეში და სულაც არ ჰგავს სისხლის-

მსმელი ცხოველის სხეულის ნაწილს. ტივს რომ ჩაუარა, მომეჩვენა, მოთიბული მოცელილი ლოროქო ბალახის სუნი უდიოდა. ხუთი საათი კარგა ხნის გადასული იყო. საღამოს ზღვა წყნარად ლივლივებდა. მალე სხვა ზვიგენებიც შეიკრიბნენ ტივთან და დაღამებამდე მის ახლომახლო ნადირობდნენ. სიბნელეში მათ ვეღარ ვარჩევდი, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ დასრიალებდნენ ფარფლები წყლის ზედაპირზე. ის დღე იყო და ხუთი საათის შემდეგ ტივის კიდეზე ალარ დავმჯდარვარ. ხვალ, ზეგ და კიდევ ოთხი დღე საკმაო გაჭიანურებულ-დაქიგროვდება და მივხვდები, რომ ზვიგენები პუნქტუალური ცხოველები არიან: ხუთი საათის შემდეგ მოდიან და დაბნელებისას ქრებიან.

საღამოს გამჭვირვალე ზღვა შესანიშნავი სანახავია. რა ჯურის თევზი არ ლაცურავდა ტივის ირგვლივ: დიდი ყვითელ-მწვანე და პატარა, მრგვალი ცისფერ და წითელზოლიანი თევზები დაღამებამდე მისდევდნენ ტივს. ხანდახან ლითონისფრად გაიელვებდა ზვიგენის მიერ დაგლეჯილი თევზის სხეული, ნადირობის შედეგად წამომართული ტალღა ტივს გადაეელებოდა და ახლომახლო მსხვერპლის ნაფლეთებს აატივტივებდა. იმხანად სულს გაეყიდდი ზვიგენის ნასუფრალისთვის.

იწყებოდა ჩემი მეორე ღამე ზღვაზე. შიმშილის, წყურვილისა და გადაწურული იმედების ღამე. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავების იმედი დავკარგე, მიტოვებულად ვგრძნობდი თავს. იმ ღამეს მივხვდი, რომ მხოლოდ საკუთარი ნებისყოფისა და დარჩენილი ძალების იმედი უნდა მქონოდა.

ერთი რამ მაოცებდა: თავს სუსტად ვგრძნობდი, მაგრამ არა დაქანცულად. ორმოცი საათი უჭმელ-უსმელმა და ორი ღამე უძინარმა დაეყვანა, რადგან კატასტროფის წინა ღამეც თეთრად გავათენე, მაგრამ ნიჩბების მოსმის ძალა მაინც მქონდა.

ისევ პატარა დათვი მოვძებნე, თვალი ავუშტერე და ნიჩბებს დავაწექი, ნიავი კი ქროდა, მაგრამ მიმართულებაშეცვლილი და ცოტა ძალისხმევა როდი მჭირდებოდა, რომ პირდაპირ პატარა დათვისკენ მეცურა. ორი ნიჩაბი თავის ადგილას დავამაგრე და ღამის ათ საათზე მუშაობას შეეუდექი. ჯერ მთელი ძალღონით ვუსვამდი, შემდეგ თანდათან დავმშვიდდი პატარა დათვს მიშტერებული, რომელიც ჩემი ვარაუდით ზედ სერო დე ლა პოპას თავზე ანათებდა.

წყლის ხმაურის მიხედვით ვხვდებოდი, რომ წინ მივიწევდი. როცა ვიღლებოდი, ნიჩბებს გადავაჯვარედინებდი და ზედ დასასვენებლად ვეყრდნობოდი. შემდეგ მეტი ძალითა და ენერგიით ვაგრძელებდი საქმეს. ღამის თორმეტ საათზე მე ისევ ნიჩბებს ვუსვამდი.

მეგობარი ტივზე

დახლოებით ორ საათზე ქანცი გამძვრა. ნიჩბები გადავაჯვარედინე და დაძინება ვცადე. წყურვილი გამიძლიერდა. შიმშილი არ მაწუხებდა, მაგრამ წყურვილი მახრჩობდა, ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ თავი ნიჩბებზე მივდე და სასიკვდილოდ გავემზადე. სწორედ მაშინ დავინახე ნაღმოსნის გემბანზე ჩამომჯდარი მეზღვაური ხაიმე მანხარესი, ჩემი ძველი, ბოგოტელი მეგობარი. კატასტროფის შემდეგ ბევრს ეფიქრობდი ჩემს მეგობრებზე. საკუთარ თავს ეკითხებოდი, იქნებ სხვა ტივი დაიჭირეს, იქნებ ნაღმოსანმა აიყვანა, ან სულაც თვითმფრინავიდან დაინახეს-მეთქი. მაგრამ ხაიმე მანხარესზე არასოდეს მიფიქრია. მიუხედავად ამისა, თვალს დავხუჭავდი თუ არა, მომდიმარ ხაიმე მანხარესს ვხედავდი.

ჯერ ნავსადგურის მიმართულებას მიჩვენებდა, შემდეგ სასადილოში ჯდებოდა ჩემს პირდაპირ ხილის თეფშითა და მოხარშული კვერცხებით ხელში.

თავდაპირველად სიზმარში მეცხადებოდა. თვალს დავხუჭავდი, რამდენიმე წუთით წავთვლემდი და ისიც პუნქტუალურად, ერთი და იგივე მდგომარეობაში ჩნდებოდა. ბოლოს გადავწყვიტე დავლაპარაკებოდი. არ მახსოვს, რა ვკითხე პირველად. არც მისი პასუხი მახსოვს. ერთი ის ვიცი, რომ გემბანზე ვსაუბრობდით და უცებ ტალღა მოასკდა, 11 საათისა და 50 წუთის საბედისწერო ტალღა და შეშინებულმა გავიღვიძე. რკინის ცხაურს ვიყავი ჩაფრენილი, რომ ზღვაში არ გადავვარდნილიყავი.

გათენებამდე ცა დაბნელდა. მე ძილის თავიც აღარ მქონდა, მაგრამ სიბნელეს მაინც ვაკვირდებოდი და ვცდილობდი რამე გამერჩია. სწორედ მაშინ იყო, ტივის მეორე ბოლოში ჩამომჯდარი ხაიმე მანხარესი რომ დავინახე. სამუშაო ტანსაცმელი — ცისფერი შარვალი და მაისური ეცვა. მარჯვენა ყურისკენ ჩამოწეულ ქუდზე კარგად იკითხებოდა წარწერა: „ნაღმოსანი კალდასი“.

— გამარჯობა, — ვუთხარი მშვიდად, დარწმუნებულმა, რომ ხაიმე მანხარესი მუდამ იქ იჯდა.

სიზმარი რომ ყოფილიყო, ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ არ მეძინა, ქარის სტვენა და ზღვის ხმაური მესმოდა, მშიოდა, მწყუროდა და არ მეეჭვებოდა, რომ ტივზე ხაიმე მანხარესი იჯდა.

— რატომ არ დალიე ბევრი წყალი გემზე? — მკითხა მან.

— იმიტომ, რომ კარტახენამდე ცოტაღა გვაკლდა, — ვუპასუხე, — კიჩოზე ვიწექი რამონ ერერასთან ერთად.

ეს მოჩვენება არ იყო. შიში არ მიგრძვნია. უბრალოდ, სასაცილოდ მეჩვენებოდა, რომ ეულად ვგრძნობდი ტივზე თავს და არც ვიცოდი, რომ სხვა მეზღვაურიც იყო ჩემთან ერთად.

— რატომ არ ჭამე? — მკითხა ხაიმე მანხარესმა.

— იმიტომ, რომ არ მომცეს საჭმელი. ვაშლი და ნაყინი მოვითხოვე და არ მომცეს. არ ვიცი,სად ჰქონდათ დამალული.

ხაიმე მანხარესმა არაფერი მიპასუხა და ცოტა ხანს ჩუმად იჯდა. მე მის გაშვერილ ხელს გავაყოლე თვალი და ნავსადგურის სინათლეები და წყალზე მოტივტივე გზის მაჩვენებელი ტივტივები დავინახე. „ჩავდივართ“, ვთქვი უსიხარულოდ და უემოციოდ, თითქოს ჩვეულებრივი რეისიდან ვბრუნდებოდი და ნავსადგურის სინათლეებს მივაჩერდი.

ხაიმე მანხარესს ვთხოვე, ცოტა ხანი მოესვა ნიჩბები, მაგრამ ის უკვე წასულიყო. მე მარტო ვიყავი ტივზე. ნავსადგურის სინათლეები კი მზის პირველი სხივები აღმოჩნდა. ზღვაზე ჩემი მარტოობის მესამე დღის პირველი სხივები.

თავი VI

მაშველი ბემი და კაციჭამიების კუნძული

თავიდან, მოვლენების დასალაგებლად, დღეების ანგარიშს ვაწარმოებდი. პირველი დღე — 28 თებერვალი, კატასტროფის დღე იყო, მეორე — თვითმფრინავების დღე. მესამე — უიმედობის დღე, რადგან არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. ტივი ნიავის დახმარებით მიიწევდა წინ. მე ნიჩბების მოსმის თავი არ

მქონდა. იმ დღეს მოიღრუბლა, აცივდა და რადგან მზე არ ჩანდა, ორიენტაცია დავკარგე. არ ვიცოდი, საიდან უნდა მოფრენილიყვნენ თვითმფრინავები. ტივს არც კიჩო აქვს, არც ცხვირი. ის კვადრატული ფორმისაა, ხან კვერდულად მიცურავს, ხან თავის გარშემო ტრიალებს და თუ მაკოორდინირებელი წერტილი არ არსებობს, კაცმა არ იცის, წინ მიდის თუ უკან. ზღვა ყველა მხარეს ერთნაირია. ხანდახან ტივის უკანა ნაწილზე წამოვწვებოდი ხელებქვეშ ბალიშზე პერანგს ვიფარებდი. უკანა ნაწილად პირობითად იმ მხარეს ვთვლიდი, საიდანაც ტივი ამ დროს ტალღებს არ მიაპობდა. რომ წამოვჯდებოდი, ტივი უკვე ჩემი მხრიდან მიდიოდა წინ და ვერ ვხვდებოდი, ტივმა შეიცვალა მიმართულება თუ, უბრალოდ, შემობრუნდა. დაახლოებით ასევე ამერია დრო მესამე დღესაც.

ნაშუადღევს ორი საქმე გავაკეთე. ჯერ ცალი ნიჩაბი მივამაგრე ტივის ერთ მხარეს, ასე მივხვდებოდი, ვიცვლიდი მიმართულებას თუ არა, მერე გასაღებით დღეების აღმნიშვნელი ხაზი ჩამოვუსვი და რიცხვი დავწერე — 28. მეორე ხაზთან 29 დავწერე, მესამესთან 30. აი, აქ დავუშვი შეცდომა. მე რომ ვფიქრობდი, ოცდაათია-მეთქი, სინამდვილეში ორი მარტი ყოფილა. შეცდომა მხოლოდ მეოთხე დღეს შევამჩნიე, როცა დავფიქრდი, ის თვე ოცდაათით იყო თუ ოცდათერთმეტით. მაშინ მომაგონდა, რომ თებერვალი იყო და რაც არ უნდა სისულელედ მოგეჩვენოთ, ამ შეცდომამ დროის ანგარიში ამირია. მეოთხე დღეს დარწმუნებით ვერ ვიტყოდი, რამდენი დღე დავყავი ტივზე. სამი? ოთხი? იქნებ ხუთი? ხაზების მიხედვით, სულერთია, თებერვალი იქნებოდა, თუ მარტი, სამი დღე გამოდიოდა. მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული მაინც არ ვიყავი, ისევე როგორც არ ვიყავი დარწმუნებული ტივი წინ მიიწევდა თუ უკან. გადავწყვიტე, ახალი შეცდომების თავიდან ასაცილებლად მოკლენები თავის ნებაზე მიმეშვა და საბოლოოდ დავკარგე იმედი, რომ გადამარჩენდნენ.

ჯერ არაფერი მეჭამა და არც არაფერი დამელია. ფიქრი არ მინდოდა, რადგან აზრების დაწყობა მიჭირდა. მზით დამწვარი კანი აუტანლად მეწვოდა და წყლულებით მქონდა სავსე. საზღვაო ბაზაში ინსტრუქტორი გვაფრთხილებდა, რომ ფილტვები მუდამ მოგვერიდებინა მზისგან. ეს ამბავი ძალიან მაწუხებდა. მუდამ სველი პერანგი გავიხადე და რადგან კანზე ვერ ვიკარებდი, წელზე შემოვიკარი. ოთხი დღის მწყურვალს სუნთქვა მიჭირდა და ყელში, მკერდში და ნეკნებქვეშ ღრმა ტკივილს ვგრძნობდი. მეოთხე დღეს ცოტა ზღვის წყალი მოვსვი. ის წყურვილს არ კლავს, მაგრამ გაგრილებს. იმდენი ხანი იმიტომ ვითმინე, რომ ვიცოდი, მეორედ უფრო ნაკლები უნდა დამელია, თან მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ.

ყოველდღე, საოცარი სიზუსტით, ხუთი საათის შემდეგ ზვიგენები მოდიოდნენ და ტივის გარშემო ღრეობდნენ. უზარმაზარი თევზები წყლის ზედაპირზე ხტებოდნენ და რამდენიმე წამში მათი დაფლეთილი სხეულები ზღვაში ტივტივებდა. გაგიჟებული ზვიგენები გასისხლიანებული წყლის ზედაპირზე დატყლაშუნობდნენ. ტივი მათ იზიდავდა, რადგან თეთრი ფერისა იყო, მაგრამ მისი დამტვრევა ჯერ არ უცდიათ. ყველამ იცის, რომ ზვიგენები განსაკუთრებით თეთრ საგნებს უტევენ, რადგან ახლომხედველები არიან და მხოლოდ თეთრ ან მანათობელ საგნებს არჩევენ.

— მანათობელი ნივთი არ უნდა შეინახოთ, რომ ზვიგენის ყურადღება არ მიიპყროთ, — გვაფრთხილებდა ხოლმე ინსტრუქტორი.

მე მანათობელი ნივთები არ მქონდა. ჩემი საათის ციფერბლატიც კი მუქი

ფერისა იყო, მაგრამ უფრო მშვიდად ვიგრძნობდი თავს, თეთრი ფერის ნივთები რომ მქონოდა, რათა ტივზე თავდაცხმის შემთხვევაში, ზვიგენის ყურადღების გასაფანტად, ჩემგან შორს მომესროლა. ყოველი შემთხვევისთვის, მეოთხე დღიდან, ხუთი საათის შემდეგ ერთი ნიჩაბი მზად მქონდა თავდაცვისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი გამოჩნდა!

ღამ-ღამობით ნიჩბებს გადავაჯვარედინებდი და დაძინებას ვცდილობდი. არ ვიცი ხიზმარში თუ ცხადში, ყოველ ღამე მეცხადებოდა ხაიმე მანხარესი. რამდენიმე წუთს ვსაუბრობდით უმნიშვნელო თემებზე და ისევ ქრებოდა ხოლმე. უკვე ბეზრვიე მის სტუმრობებს. მზის ამოსვლის შემდეგ, ჰალუცინაციად ვთვლიდი, მაგრამ ღამე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ხაიმე მანხარესი იქ იყო, ტივზე და მე ველაპარაკებოდა. მეხუთე დღის გათენებამდე ისიც ცდილობდა დაეძინა და მეორე ნიჩაბს მიყრდნობილი თავს აკანტურებდა. უცებ ზღვას დააკვირდა და შეხედო, მითხრა. მე თავი ავწიე. ტივიდან ოცდაათიოდე კილომეტრზე აშკარად დაკანახე ქარის მიმართულებით მიმავალი გემის ბუნდოვანი, მაგრამ ნამდვილი სინათლეები.

რამდენიმე საათის წინ ნიჩბების მოსმის თავი არ მქონდა, მაგრამ შუქების დანახვაზე წამოვჯექი, ნიჩბებს დავწექი და გემს გამოვეკიდე. ვხედავდი, რა ნელა მიიწევდა წინ და ერთ მომენტში ანძის შუქებთან ერთად გამთენიის პირველ ნათელში დავარდნილი მისი ჩრდილიც კი დავინახე.

ნიავი გამძლეობას მმატებდა. ოთხი დღე-ღამის უჭმელ-უსმელი მაინც ღონივრად ვუსვამდი ნიჩბებს, მაგრამ ვფიქრობ, ერთი მეტრითაც ვერ ავცდი მიმართულებას, საითაც ქარი მიბიძგებდა.

გავიოფლე და დავიქანცე. სინათლეები უფრო და უფრო მშორდებოდა და ოც წუთში სულ გაქრა. ვარსკვლავები ჩაქრა და ცა მუქ ნაცრისფრად შეიღება. შუა ზღვაში ისევ მარტო დარჩენილმა ნიჩბები გადავყარე, გამთენიის სუსხით აძაგძაგებული ფეხზე ავდექი და რამდენიმე წუთი შეშლილივით ვღრიალებდი.

მზე რომ ამოვიდა, ძალაგამოცლილი ნიჩბებზე ვიყავი მიყრდნობილი. ხსნას არსაიდან აღარ ველოდი და სიკვდილსღა ვნატრობდი. მაგრამ საოცარი ის იყო, სიკვდილზე ნატვრისას საშიშროებებზე ვფიქრობდი და ეს ფიქრი გამძლეობას მმატებდა.

მეხუთე დილით გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ცურვის მიმართულება შემეცვალა, რადგან ამეკვიატა აზრი, რომ თუ ნიავის მიმართულებას ავყვებოდი, კაციჭამიებით დასახლებულ კუნძულზე მოვხვდებოდი. მობილში ყოფნისას რომელიღაც ჟურნალში ერთი მოთხრობა წავიკითხე დალუპული გემიდან გადარჩენილ კაცზე, რომელიც კაციჭამიებთან მოხვდა, მაგრამ მაშინ ის მოთხრობა კი არა, ორი წლის წინ ბოგოტაში წაკითხული წიგნი „ რენეგატი მეზღვაური“ გამახსენდა. იმ მეზღვაურის გემი ომის ნალმზე აფეთქდა, მან უახლოეს კუნძულამდე მიაღწია, იქ ოცდათხი საათი დაჰყო და ტყის ხილით იკვებებოდა, სანამ კანიბალებმა არ დაიჭირეს და ადუღებული წყლით სავსე ქვაბში არ ჩაეგდო თავი. ამ კუნძულზე ფიქრი არ მშორდებოდა. ახლა ყველა ნაპირი კაციჭამიებით დასახლებული მეჩვენებოდა. პირველად ხუთი დღის მარტოობის შემდეგ, ჩემმა შიშმა მისამართი იცვალა. ახლა ზღვისა ისე არ მეშინოდა, როგორც ბიწის.

შუადღეზე მზის მცხუნვარებით, შიმშილითა და წყურვილით გატანჯული ტივის კიდეზე ვიყავი მიყრდნობილი და არაფერზე არ ვფიქრობდი. დროისა და ორიენტაციის გრძნობა დავკარგე. ძალების მოსასინჯად ფეხზე ადგომა ვცადე და მომეჩვენა, სხეული არ მემორჩილებოდა. „დადგა დრო", ვიფიქრე და გადავწყვიტე, ის საზარელი წუთი მოსულიყო, ინსტრუქტორის სიტყვებით ტივზე რომ უნდა მიმება თავი. დგება წამი, როცა არც შიმშილს გრძნობ, არც წყურვილს, როცა არც მზის მცხუნვარება გადარდებს, არც დაწყლულებული სხეული, როცა არაფერზე ფიქრობ, რადგან აზრებს ვერ ალაგებ, მაგრამ იმედი ჯერ კიდევ ბჟუტავს და უკანასკნელი გამოსავალი გრჩება: თავი ტივზე მიიბა. ომის დროს მრავალი ასეთი გვამი იქნა ნაპოვნი, გახრწნილი და ფრინველებისგან დაგლეჯილი, მაგრამ ტივზე საიმედოდ მიბმული.

ვიფიქრე, რომ საღამომდე გავძლებდი ტივზე მიუბმელად. ტივის შუაგულში გადავინაცვლე, ფეხები გავწვარეთ და რამდენიმე საათი ყელამდე წყალში ვიწექი. მზის სხივი რომ მოხვდა, მუხლის იარამ, თითქოს გაიღვიძა, ტკივილი დაიწყო. ტკივილმა სიცოცხლის შეგრძნება დამიბრუნა, გრილმა წყალმა — ძალღონე. მუცელმა ჭრა დამიწყო და ამაოდ ვცადე თავის შეკავება. ძლივ-ძლივობით წამოვიწიე, ქამარი შევიხსენი, შარვალი ჩავიხადე და პირველად ხუთი დღის მანძილზე შვებით დავიცალე მუცელი. პირველადვე, ხუთი დღის მანძილზე, ტივს იმედგაცრუებული თევზები შემოეჯარნენ და გისოსების დამტვრევა სცადეს.

შვიდი თოლია

მანათობელი თევზების ასე ახლოს ხილვამ შიმშილი გამიძლიერა. პირველად ვიგრძენი ნამდვილი გააფთრება. ახლა სატყუარა მაინც მქონდა. დავიწყე დაღლილობა, ნიჩაბი ჩავბღუჯე და ძალები მოვიკრიბე, რომ ტივის ახლოს ამომხტარი რომელიმე თევზისთვის თავში მედრუზა. ვგრძნობდი, ყოველი დარტყმა მიზანს ხვდებოდა, მაგრამ მსხვერპლი არ ჩანდა. აქაფებულ წყალში, სადაც უამრავი თევზი ტრიალებდა, ერთი ფარფლებამოშვერილი ზვიგენი მოცურდა სანადიროდ.

ზვიგენის გამოჩენამ განზრახვაზე ხელი ამაღებინა, გულდაწყვეტილმა გავუშვი ნიჩაბს ხელი და ტივზე დავწექი. უცებ უზომო სიხარული ვიგრძენი, ტივს შვიდმა თოლიამ გადაუფრინა.

ეული, ზღვაში დაკარგული მშიერი მეზღვაურისთვის თოლიის დანახვა იმედის აღორძინებას უდრის. თოლიები, როგორც წესი, გემს მიჰყვებიან მოგზაურობის მეორე დღემდე. შვიდი თოლია ტივის თავზე, ნაპირის სიახლოვეს ნიშნავდა.

ძალის ნატამალი რომ დამრჩენოდა, ნიჩბებს მოვუსვამდი, მაგრამ ქანცგაწყვეტილს, რამდენიმე წუთი ფეხზე დგომაც მიჭირდა. დარწმუნებულმა, რომ ნაპირიდან ორი დღის სავალზე ვიყავი, ცოტა წყალი დავლიე მუჭით და პირაღმა დავწექი ტივზე, რომ მზის ფილტვებზე არ დაეკრა. ცის კუთხეში თოლიებისთვის რომ მეყურებინა, სახე პერანგით არ დამიფარავს. ჩემი მეხუთე დღის შუადღის პირველი საათი იყო.

არ ვიცი, როდის მოვიდა. საღამოს ხუთი საათი იყო. მე ტივზე ვიწექი და ვფიქრობდი ზვიგენის მოსვლამდე წყალში დამესვენა. უცებ პატარა, ჩემი ხე-

ლისოდენა თოლია დავინახე, რომელიც ტივს მოსდევდა და ხანდახან მის კიდეზე ჩამოჯდებოდა ხოლმე.

პირი ნერწყვით ამევსო. არ ვიცოდი, როგორ ჩამეგდო ხელში თოლია. საკუთარი ხელებისა და შიმშილით გაძლიერებული მოხერხებულობის გარდა არანაირი იარაღი არ გამაჩნდა. სხვა თოლიები არ ჩანდნენ. მხოლოდ ის პატარა, ყავისფერი, ბრჭყვიალა ბუმბულიანი თოლია დახტოდა ტივზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუნძრევლად ვიწექი და მეგონა, მხარსუკან ზვიგენის ფარფლს ვგრძნობდი, რომელიც ხუთი საათის შემდეგ იქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გადავწყვიტე, გამრისკა. თოლიისკენ გახედვასაც ვერ ვბედავდი, თავის მოძრაობით რომ არ დამეფრთხო. თვალი მოვკარი, როგორ გადამიფრინა თავზე და გაუჩინარდა, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს. არც ვფიქრობდი, როგორ უნდა გამეპუტა, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მშიოდა და მანამ დავრჩებოდი გაუნძრევლად, სანამ თოლია ჩემს ხელს არ მოუახლოვდებოდა.

ვგონებ, ნახევარ საათზე მეტი ვიცადე. თოლია რამდენჯერმე გამოჩნდა და გაქრა. ერთხელ, ჩემს თავთან ახლოს ზვიგენის ფარფლის წყალზე ტყლაშუნიც მომესმა, როცა ის თევზს მიირთმევდა, მაგრამ შიშის ნაცვლად შიმშილი ვიგრძენი. თოლია ტივზე შემოსკუპდა. ჩემი მეხუთე დღე იყო ზღვაში. შიმშილის მეხუთე დღე და თუმცა გული ალელვებისგან მკერდიდან ამოხტომას ლამობდა, გაუნძრევლად ვიწექი, სანამ თოლია არ მომიახლოვდა.

ტივზე გაჭიმულს ხელები ბარძაყებზე მეწყო. ნახევარი საათის განმავლობაში თვალის დახამხამებაც ვერ გავბედე. ცა აბრჭყვიალდა და თვალები მატკივნა, მაგრამ ამ გადამწყვეტ წუთში თვალის დახუჭვა არც მიცდია. თოლიამ ფეხსაცმელს დაუწყო კორტნა.

გრძელი და დაძაბული ნახევარი საათის შემდეგ ვიგრძენი, რომ თოლიამ ფეხზე გადმოინაცვლა. ჯერ შარვალი მომკორტნა, მერე მტკივან მუხლზე ჩამოისკარტა მშრალად და ღრმად, მაგრამ არც მაშინ გავნძრეულვარ, ხოლო მარჯვენა ბარძაყთან რომ მოვიდა და ჩემს ხელს ხუთი-ექვსი სანტიმეტრიღა აშორებდა, მაშინ სუნთქვა შევიკარი და დაძაბულმა, მთელი ძალის მობილიზებით გავაცურე ხელი მისკენ.

თავი VII

მშიერი კაცის მცირე სახსრები

კაცი რომ მოედანზე დაწვეს თოლიის დაჭერის იმედით, ალბათ მთელი სიცოცხლე მოუწევს წოლა უშედეგოდ. მაგრამ ნაპირიდან ას მილში სხვა ამბავია. თოლიებს თვითგადარჩენის ინსტინქტი მხოლოდ ნაპირზე აქვთ გამძაფრებული. ზღვას ენდობიან.

მე იმდენ ხანს ვიწექი გაუნძრევლად, რომ ალბათ იმ პატარა, მოუსვენარ თოლიას, ფეხზე რომ დამაჯდა. მკვდარი ვეგონე. ვხედავდი, როგორ მინისკარტებდა შარვალზე, მაგრამ არ მტკენდა. ხელი მისკენ გავაცურე და სწორედ იმ წამს, თოლიამ საშიშროება რომ იგრძნო და აფრენა სცადა, ფრთაში ვწვდი, ტიკის ძირში ჩავაორიე და ყელის მოგრეხა დაეუწყე.

სანამ ის ჩემს ბარძაყზე იჯდა, ვფიქრობდი, დავიჭერ თუ არა, გაუპუტავად, ცოცხლად შევჭამ-მეთქი. მშიოდა და ფრინველის სისხლის გახსენებაზე წყურ-

ვილი მიათკეცდებოდა. მაგრამ ხელში რომ მოვიგდე, ცოცხალი ცხელი სხეულის თრთოლვა ვიგრძენი და თეთრ, მრგვალ და ნათელ თვალებში ჩავხედე – შევყოყმანდი.

ერთხელ კარაბინით ეცადე გემს ადევნებულ თოლიებზე ნადირობა. მაშინ ნაღმოსნის იარაღის საწყობის გამგემ, გამოცდილმა მეზღვაურმა შეთხრა: ურჯულო ნუ ხარ, თოლია მეზღვაურისთვის იგივეა, რაც მიწა. მეზღვაურს არ ეკადრება მისი მოკვლა. ხუთი დღის მშიერი ვიყავი. მაგრამ უფრო მეზღვაურის სიტყვები მედგა ყურში. შიმშილი მაინც ყველა გრძნობაზე ძლიერი აღმოჩნდა. ფრინველს თავში ჩავავლე ხელი და ქათამივით მოვუგრიხე კისერი.

საკმაოდ სუსტი ჩიტი იყო. პირველ ცდაზე ვიგრძენი, როგორ დაემტვრა კისრის ძვლები. მერე ცოცხალმა და ცხელმა სისხლმა გამოჟონა თითებში. შეშეცოდა. მკვლელობას ჩავდიოდი. ჯერაც ცოცხალი თავი ტანს მოძვრა და ხელში შემრჩა.

ტივზე დაგუბებულმა სისხლმა თევზები გააღიზიანა. ტივს ზვიგენის თეთრი და მანათობელი ფარფლი მოუახლოვდა. სისხლის სუნით გაგიჟებულ ზვიგენს, კბილის ერთი გაკვრით შეუძლია რკინის გაკვნეტა. იმის გამო, რომ ზვიგენს ყბები ქვეითა აქვს, საკბილოს პირში მოსაგდებად ზურგზე უნდა ამოტრიალდეს, მაგრამ რადგან ახლომხედველი და გაუმაძღარია, ზურგზე ამოტრიალებული გზად შემხვედრს ყველაფერს ნთქავს. იმ ჯერზე ზვიგენმა, მგონი ტივის გაკვნეტა მოინდომა. შეშინებულმა გადავუგდე თოლიას თავი და ვნახე, როგორ დაერივნენ ერთმანეთს ეს ვეება ცხოველები თოლიას კვერცხისხელა თავისთვის.

თავდაპირველად თოლიას გაპუტვა ვცადე, მაგრამ ისეთი მსუბუქი და ძვალსუსტი იყო, რომ თითებში ფრთებთან ერთად აგლეჯილი ხორცის ნაფლეთები მრჩებოდა. თითებშუა ჩამოწურწურებული შავი, ბლანტე სითხის დანახვაზე ზიზღი ვიგრძენი.

მხოლოდ სათქმელადაა იოლი, ხუთი დღის ნაშიმშილები კაცი ყველაფერს შეჭამსო. თუმცა რაც არ უნდა მშიერი იყო, თბილსისხლიანი ფრთების დანახვაზე და უმი თევზის სუნის შეგრძნებაზე, გულისრევას გრძნობ.

თავდაპირველად ფრთხილად, მეთოდურად ვცდილობდი მის გაპუტვას. მაგრამ ნაზი კანი ფრთებთან ერთად მომყვებოდა. გაპუტული თოლია კიდევ უფრო დაპატარავდა. ტიეშიეე გავრეცხე, ერთი მოქნეეთ გავხლიჩე და ვარდისფერი შიგნეულისა და ცისფერი ძარღვების დანახვაზე გული ამერია. პირში ბარკლის ნაგლეჯი ჩავიდე, მაგრამ გადაყლაპვა ვერ შევძელი. მომეჩვენა, რომ გომბეშოს ვლეჭავდი. ზიზღი ვერ დავფარე, ხორცი პირიდან გამოვიღე და გაუძრეველად გავჩერდი გულისამრევი ფრთებითა და სისხლშემხმარი ძვლებით ხელში.

უცებ, აზრად მომეიდა, რომ ეს ხორცი საჭმელად თუ არა, სატყუარად მაინც გამომადგებოდა. მაგრამ ანკესად გამოსადეგი არანაირი ნივთი არ გაჩნდა. ქინძისთავი ან მავთულის ნაგლეჯი მაინც რომ მქონოდა! მაგრამ მთელ ჩემს ავლადიდებას გასაღები, საათი, ბეჭედი და მობილის უნივერმაღის სამი საეიზიტო ბარათი შეადგენდა.

ქამარი მომაგონდა. ვიფიქრე, ბალთით გამეკეთებია კაუჭი, მაგრამ ამაოდ დავშვრი. ღამდებოდა და სისხლის სუნით მადააღძრული თევზები ტივის გარეშემო ხტოდნენ. სულ რომ ჩამობნელდა, თოლიას ნარჩენები ზღვაში გადავყარე და სასიკვდილოდ დავწექი. ნიჩბებს რომ ვამაგრებდი, მესმოდა, როგორ ეცილებოდნენ ერთმანეთს თევზები თოლიას ძვლებს, რომლის შეჭმა მე ვერ შევძელი.

იმ ღამეს დაღლილობამ და უიმედობამ მომბითავა ხელი. ძლიერი ქარი ქროდა. ტივი აქეთ-იქით ეხეთქებოდა, მე კი ტივზე მიბმისთვისაც არ მიზრუნია, ფეხები და თავი ლამის გარეთ მქონდა გადაყოფილი.

ნაშუადამევს ქარი ხადგა და ხთვარე აბოვიდა. ეს პირველი მთვარიანი ღამე იყო კატასტროფის შემდეგ. ცისფერი შუქით გახათებული ზღვის ზედაპირი საუცხოო სანახავია. იმ ღამეს ხაიმე მანხარესი არ მოხულა. მარტო ვიყავი იმედდაკარგული და ტივზე ბედის ანაბარა მიგდებული.

მაინც ყოველთვის, როცა სულიერად ვეცემოდი, საიდანლაც აუცილებლად ერთებოდა იმედის ხაპერწკალი. იძ ღამეს იმედად ტალღებზე მთვარის ანარეკლი მომეჩვენა. ზღვა დრტვინავდა და მთვარით გახათებულ ყოველ ტალღაში გემის სინათლეები მელანდებოდა. გემის გამოჩენის იმედი ჯერ კიდევ ორი ღამის წინ დავკარგე, მაგრამ იმ ღამეს, ჩემს მეექვსე ღამეს ზღვაში — პირველი ღამის მონდომებით ვზვერავდი ჰორიზონტს. ახლა რომ იგივე მდგომარეობაში აღმოვჩნდე, უიმედობა მომკლავს, რადგან ვიცი, იმ მონაკვეთზე, ჩემი ტივი რომ მოძრაობდა, გემები საერთოდ არ ცურავდნენ.

უკვე მკვდარი ვიყავი

მეექვსე დღის გათენება არ მახსოვს. ბუნდოვნად ვიგონებ, რომ მთელი დილა ტივზე ვეგდე ცოცხალ-მკვდარი. ოჯახზე ვფიქრობდი და ცხადად ვხედავდი, როგორ მიხდიდნენ პანაშვიდს, რაც, მერე გავიგე, მართლაც ასე ყოფილა. არ გამკვირვებია, რომ მითხრეს, პანაშვიდი გადაგიხადეთო. ზღვაში ჩემი მარტოობის მეექვსე დღეს ვფიქრობდი რომ ასეც უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, ოჯახს ჩემი გაქრობის ამბავი შეატყობინეს. თვითმფრინავები რომ აღარ მობრუნდნენ, ძებვდი, ძებნა შეწყდა და მე დაღუპულად გამომაცხადეს.

გარკვეულწილად ასეც იყო. იქამდე ყოველთვის ეცდილობდი თავი გადამეჩინა, ყოველთვის ვეძებდი იმედის პაწაწკინტელა, ხელმოსაჭიდ წერტილს, რათა ძალ-ღონე მომეკრიბა და ცდა განმეგრძო. მაგრამ მეექვსე დღეს უკვე აღარაფერს ველოდი. უკვე მკვდარი ვეგდე ტივზე.

საღამოს ხუთი საათისთვის, ვცადე თავი ტივზე მიმება. ორი წლის წინ, კარტახენაში ზვიგენის დაგლეჯილი კაცი ვნახე. ასე სიკვდილი არ მინდოდა. არ მსურდა გაუმაძღარ ცხოველს ნაკუწებად ვექცე.

ხუთ საათზე ზვიგენები პუნქტუალურად გამოცხადდნენ ტივთან. ძლივ-ძლიობით წამოვიწიე და ტივზე თავის მიბმა ვცადე. უცებ წინა დღის შვიდი თოლია დავინახე და ამ ხილვამ სიცოცხლის სურვილი დამიბრუნა.

იმ წუთში ყველაფერს შევჭამდი. ნიმშილი მტანჯავდა. ყელი და ექვსი დღის გაუვარჯიშებელი ყბები ისე მტკიოდა, ლუკმის დაღეჭვაც გამიჭირდებოდა.

ვცადე, ფეხსაცმლის კაუჩუკის ბალთა ამეძრო, მაგრამ არ ვიცოდი, რით დამეჭრა. მაშინ მობილის უნივერმაღის სავიზიტო ბარათები გამახსენდა.

სისველისგან დამბალი ბარათები შარვლის ჯიბეში მეწყო. დავაქუცმაცე, პირში ჩავიდე და დავღეჭე. სასწაული მოხდა: ყელი ცოტათი ჩამიცხრა და პირი ნერწყვით ამევსო. ნელა, თითქოს კევი მედო პირში, განვაგრძე ღეჭვა. პირველ მოქნევაზე ყბები მეტკინა, მაგრამ შემდეგ სავიზიტო ბარათმა, რომელიც თავად არ ვიცი, რად შეეინახე იმ დღეს, მერი ედრესთან ერთად საყიდლებზე რომ წავედი, ძალა და მხნეობა დამიბრუნდა. ყბების ტკივილის ჩასაცხრობად მსურდა

დაუსრულებლად მელეჭა. ნაღეჭის ზღვაში გადაგდება დამენანა. ვიგრძენი, რო-გორ ჩამივიდა კუჭში დაქუცმაცებული მუყაოს ნაკუწი და იმ წუთიდან ვირწმუ-ნე, რომ გადავრჩებოდი და ზვიგენები არ დამგლეჯდნენ.

როგორი ბევრი აქვს ფეხსაცმელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვიზიტო ბარათებმა შვება მაგრძნობინა, ფანტაზია გამიხალისა და და-ვიწყე ფიქრი, კიდევ რისი ჭამა შეიძლებოდა. დანა რომ მქონოდა, ფეხსაცმელს ღავჭრიდი და კაუჩუკის ნაწილებს დავლეჭავდი. ვცადე გასალებით ამეგლეჯა თეთრი და სუფთა ლანჩა, მაგრამ ვერაფრით ავახიე ნაჭერზე საიმედოდ დამა-გრებული კაუჩუკი.

იმედგაცრუებული ქამარს მივუბრუნდი და სანამ კბილები არ მეტკინა, ვკბენდი, მაგრამ ერთი ლუკმაც ვერ მოვაგლეჯე. იმ წუთში, კბილებით რომ ვცდილობდი ფეხსაცმლის და ქამრის დაგლეჯას, ალბათ ნადირს ვგავდი. სალა-მოს ტანსაცმელი გავიხადე, რადგან სულ ოფლში ვიყავი გაწუწული და სა-ცვლისამარა დავრჩი. არ ვიცოდი, ბარათებმა იმოქმედა თუ რა იყო, მაშინვე ჩა-ეძინა.

მეშვიდე ღამეს, იქნებ იმიტომ, რომ მივეჩვიე მოუხერხებელ ტივს, ან იმი-ტომ, რომ დავიქანცე შვიდი ღამის ამაო სიფხიზლისგან, რამდენიმე გრძელი საათი ღრმად მეძინა. ხანდახან ტალღა მაფხიზლებდა, შიშით შევხტებოდი ხოლმე, მეჩვენებოდა, რომ დარტყმის ძალა წყალში მაგდებდა, მაგრამ მაშინვე ვიძინებდი. როგორც იქნა, გათენდა ჩემი მეშვიდე დღე ზღვაში. რატომღაც დარ-წმუნებული ვიყავი, რომ ბოლო დღე იქნებოდა. ზღვა წყნარი და პირქუში იყო და მზე რომ ამოვიდა, ასე დილის რვა საათზე, კარგად გამოძინებული მხნედ ვგრძნობდი თავს თუჯისფერი ცისქვეშ. ტივს შვიდმა თოლიამ გადაუფრინა. –

ორი დღის წინ თოლიების გამოჩენამ უსაზღვროდ გამახარა, ორი დღე ბედნიერმა ვუყურე მათ, მესამე დღეს კი შიში დამეუფლა. „შვიდი გზააბნეული თოლია“, გავიფიქრე უიმედოდ. მეზღვაურებისთვის ცნობილია, რომ ზოგჯერ თოლიების ერთი ჯგუფი ზღვაზე იკარგება და სანამ ნაპირისკენ მიმავალ გემს არ წამოეწევა, უმისამართოდ დაფრინავს ზღვის თავზე. იქნებ ეს თოლიებიც სამი დღე რომ ვაკვირდებოდი, გზააბნეულები იყვნენ? ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩემი ტივი თანდათან შორდებოდა ნაპირს.

თავი VIII

თევზის გამო ზვიგენებთან გაჯახდილი ბრძოლა

იმ აზრმა, რომ მოახლოების ნაცვლად შვიდი დღის განმავლობაში უფრო ვშორდებოდი ნაპირს, ბრძოლის გაგრძელების სურვილი მომისპო. მაგრამ სი-კვდილის პირზე მისულ კაცს თურმე გადარჩენის ინსტინქტი უმძაფრდება. ჩე-მი მეშვიდე დღე ზღვაში დანარჩენი დღეებისგან განსხვავდებოდა. მზე ნახად მელამუნებოდა კანზე, სუსტი ნიავი ფრთხილად მიაცურებდა ტივს და დამწვარ კანს ცოტათი მიყუჩებდა.

დილაადრიან ტივსადევნებული თევზებიც სხვანაირები იყვნენ. წყლის ზე-

დაპირთან ახლოს დაცურავდნენ და კარგად ვარჩევდი ცისფერ, მუქ და წითელ თევზებს. იმდენი ფერის, ზომისა და ფორმის თევზი დაცურავდა, მეგონა, აკვარიუმის თავზე მივსრიალებდი.

არ ვიცი ზღვაში უჭმელად გატარებული შვიდი დღის შემდეგ ადამიანი ეჩვევა თუ არა ასეთ ცხოვრებას. ვფიქრობ — ეჩვევა. წინა დღის უიმედობა უზარო შემგუებლობამ შეცვალა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი შეიცვალა, რომ მზე და ზღვა აღარ იყვნენ ჩემი მტრები და რომ ტივს შვიდი დღის ნაცნობი თევზები მოსდევდნენ.

იმ დილით არც მიოცნებია ნაპირზე გარიყვაზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ტივი გემებისთვის უცხო ზონაში მოხვდა, სადაც თოლიებსაც კი გზა ებნეოდათ.

ვფიქრობდი, რომ შვიდი დღის ცურვის შემდეგ ზღვას შევეჩვიე. ასეთ ცხოვრებასაც შევეჩვიე და სულ არ მჭირდებოდა გონების დაძაბვა გადარჩენის გზების ძებნაში. ერთი კვირა გავატარე ქარსა და ღელვაში, რატომ არ შემეძლო დაუსრულებლად მეცხოვრა ტივზე? თევზები ზედაპირთან ახლოს ცურავდნენ. ზღვა სუფთა იყო და მშვიდი. იმდენი მშვენიერი და მადისაღმძვრელი თევზი დაცურავდა ჩემს ირგვლივ, მეგონა, ხელითაც იოლად დავიჭერდი. ახლოახლო არც ერთი ზვიგენი არ ჩანდა, დანდობილად ჩავყავი ხელი წყალში და ერთი მრგვალი. ოცსანტიმეტრიანი, მანათობელი თევზის დაჭერა ვცადე. თითქოს ქვა ჩამეგდოს, თევზებმა სასწრაფოდ ჩაყვინთეს და თვალისდახამხამებაში წყალში გაუჩინარდნენ. ცოტა ხანში ისევ ზედპირზე გამოჩნდნენ.

მივხვდი, ხელით თევზაობისთვის ეშმაკობა იყო საჭირო. წყალში ხელი მოქნილობასაც ჰკარგავდა და ძალასაც. ამოვარჩევდი ერთ თევზს ქარავნიდან, წავატანდი ხელს, დავიჭერდი, ის კი სწრაფად და მოხერხებულად მისხლტებოდა თითებიდან. მე მშვიდად და აუჩქარებლად ვაგრძელებდი საქმეს და სულაც არ ვფიქრობდი ზვიგენზე, რომელიც ალბათ სიღრმეში გარინდული მიცდიდა, როდის ჩავყოფდი ხელს იდაყვამდე, რომ სწრაფად მოეკვნიტა. თევზაობა ათ საათამდე გავაგრძელე. თევზები თითებზე მკბენდნენ, ჯერ ფრთხილად, თითქოს სატყუარას სინჯავენო, შემდეგ უფრო ღონივრად. ერთმა ნახევარმეტრიანმა, ბრიალა-ვერცხლისფერმა და კბილებწამახულმა თევზმა ისე მიკბინა, ცერა თითიდან სისხლი წამსკდა. მაშინ მივხვდი, რომ თევზების ნაკბენი არც ისე უწყინარი იყო. ყველა თითიდან მდიოდა სისხლი.

ზვიგენი ტივზე!

არ ვიცი, ჩემი სისხლის სუნი იკრეს თუ რა, ერთი წუთის შემდეგ ტივს ვაეშებული ზვიგენების ხროვა მოაწყდა. გაცოფებული მტაცებლები დელფინებივით ხტოდნენ ტივის გარშემო და თევზებს ანადგურებდნენ. შეშინებული დავჯექი ტივის შუაგულში და ხოცვა-ჟლეტას დავაკვირდი.

უცებ, ისე მოულოდნელად, რომ ვერც შევამჩნიე, როდის, ზღვიდან ერთი ზვიგენი ამოხტა და წყალს კუდი დასცხო. ტივი თეთრმა ქაფმა დაფარა. წამოვარდნილ უზარმაზარ ტალღაში რაღაცამ ვერცხლისფრად გაიბრწყინა. ანგარიშმიუცემლად ვწვდი ნიჩაბს და საბრძოლველად მოვემზადე. დარწმუნებული ვიყავი, ზვიგენი ტივზე ამოხტა, მაგრამ მაშინვე მოვკარი თვალი ტივის ირგვლივ მოსრიალე ვეება ფარფლს და მივხვდი, რაც მოხდა. ტივზე ზვიგენის კბილე-

ბისგან თავდაღწეული, მწვანე მბრწყინავი ნახევარმეტრიანი თევზი ამომხტარიყო. მთელი ძალით ჩავცხე ნიჩაბი თავში.

ტიეზე თევზის მოკვლა არც ისე იოლი საქმეა. ყოველ დარტყმაზე ტივი ირყეოდა და შეიძლებოდა სულაც გადაბრუნებულიყო. მთელი ძალა და გონება მოვიკრიბე. თუ ვიჟივით დაეცხებოდი თევზს, ტივი გადაბრუნდებოდა და მე ძმაერ ზვიგენს ჩავუვარდებოდი ხახაში, მაგრამ თუ ძლიერად დავარტყამდი, ნადავლი გამექცეოდა. არჩევანი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის იდგა, ან ზვიგენს უნდა ჩავვარდნოდი ყბაში, ან ოთხ გირვანქა ახალ თევზს ვმოულობდი შვიდ დღის შიმშილის დასაკებლად.

ტივის კიდეს მივეყრდენი და მეორედ ჩავარტყი თევზს. ვიგრძენი, რა ჯაბჭუხი აუყენა ხის ნიჩაბმა თევზის თავისქალას. ტივი შექანდა. ზვიგენები ტივქვეშ იცდიდნენ. ტივი რომ გაჩერდა, თევზი ისევ ცოცხალი ეგდო. სასიკვდილო აგონიაში ჩავარდნილი თევზი შეიძლება შორს და მაღლა გადახტეს. ვიცოდი, თუ მესამე დარტყმით არ მოვათავებდი, თევზს დავკარგავდი.

ჩავჯექი. ასე უფრო იოლად დავიჭერდი მსხვერპლს. რომ დამჭირვებოდა მუხლებით და კბილებით ჩავაფრინდებოდი. საიმედოდ მოვთავსდი ტიეზე. ვიცოდი, ჩემი სიცოცხლე ერთ დარტყმაზე ეკიდა და ვცდილობდი არ შევმცდარიყავი. მთელი ძალით მოვიქნიე ნიჩაბი. თევზი აღარ განძრეულა და სისხლის წვრილი ნაკადი ტივის წყალს შეერთო. მეც კი ვიგრძენი სისხლის სუნი, არა თუ ზვიგენებმა. სისხლით გაღიზიანებულები მთელი ძალით მოწყდნენ ტივს. პირველად შვიდი დღის განმავლობაში ოთხი გირვანქა თევზი მეჭირა ხელში და ენით აუწერელ შიშს ვგრძნობდი. ტიეი ქანაობდა და წუთი-წუთზე შეიძლებოდა გადაბრუნებულიყო, რის შემდეგაც მე ზვიგენის კბილებიდან ვერაფერი მიხსნიდა.

მაგრამ შიმშილმა შიში დამავიწყა. თევზი ფეხებშუა მოვიქციე და ზვიგენის ყოველი ახალი შემოტევის შემდეგ ვცდილობდი ტივი გამეწონასწორებია. მეტევა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ყოველი დარტყმის შემდეგ შექანებული ტივი თავის საწყის მდგომარეობას იბრუნებდა, მე კი გასისხლიანებულ წყალს ვლვრიდი. ნელ-ნელა წყლის ზედაპირი მოსუფთავდა და მხეცებიც დაწყნარდნენ. მაგრამ მე სიფრთხილე მმართებდა, რადგან ტივის ახლომახლო ისევ დაცურავდა წყლიდან ერთ მეტრზე ამომართული ჩემს ცხოვრებაში ნანახი ყველაზე საზარელი მტაცებლის ფარფლი. მისი სიმშვიდე მოჩვენებითი იყო, რადგან ვიცოდი, როგორც კი კვლავ იგრძნობდა სისხლის სუნს, ტივს ამოაბრუნებდა. ამიტომ უდიდესი სიფრთხილით დავიწყე ნადავლის შესწავლა.

ნახევარმეტრიანი თევზი უხეში ქერცლით იყო დაფარული. ასეთი ქერცლის გაცლას რომ ცდილობ, გგონია ლითონის ნემსებივით შეზრდიან კანს. მე არანაირი მჭრელი საგანი არ გამაჩნდა. ვცადე გასაღებით მომეცილებინა, მაგრამ მათი აცლაც კი ვერ მოვახერხე. ამასობაში ნადავლს კარგად დავაკვირდი და მივხვდი, რომ მსგავსი თევზი არასოდეს მენახა: მუქი მწვანე ფერისა იყო, თავიდან ბოლომდე ქერცლით დაფარული. მწვანე ფერი ბავშვობიდან საწამლავის ასოციაციას იწვევდა ჩემში. დაუჯერებელია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მუცელი ახალი თევზის ერთი ნაგლეჯის წარმოდგენაზეც კი მტკივნეულად მიყურყურებდა. ერთი წამით შევეჭვდი, არ მოვწამლულიყავი.

ჩემი საბრალო სხეული

საჭმლის შოვნის იმედი რომ ჩნდება, მიბმილსაც იტან კაცი. არასდროს ისე გულმოდგინედ არ მიძუშავია, როგორც იმ წუთებში, გასალებით რომ ვცდილობდი მწვანე და მბრწყინავი ხორცის დაგლეჯას.

ძალე მივხვდი, რომ თუ ნადავლის ჭამა მინდოდა, ხერხი უნდა ეძებნა ფეხზე ავდექი. კუდს ფეხი დავადგი და ერთი ნიჩაბი თევზს ლაყუჩებში ჩავსვი. ძალიან ადვილი. სქელი და გამძლე ლაყუჩები ჰქონდა. კარგა ხანს ვატრიალე ნიჩაბი, ვიდრე ლაყუჩების გახლეჩას მოვახერხებდი. მაშინ მივხვდი, რომ ჯერაც ცოცხალი იყო და კიდევ ერთხელ ეუთავაზე თავში. შემდეგ ლაყუჩების დაძცავი ფარფლის აგლეჯა ვცადე. იმ წუთებში ვერ გეტყოდით თითებშუა გამოჟოხილი სისხლი ჩემი იყო თუ თევზის.

სისხლმა ისევ გაახელა ზვიგენები. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჩემს არგვლივ დამშეული ზვიგენების ფუოფუოს რომ ვგრძნობდი, გასისხლიანებული თევზი შემზიზღდა. ერთი პირობა ვიფიქრე, თევზი თოლიასავით გადამეგდო ზვიგენებისთვის, მაინც ვერაფერს ვუხერხებდი დაჯავშნულ და შეუვალ სხეულს.

ყურადღებით დავათვალიერე ნადავლი სუსტი ადგილის ძიებაში. ბოლოს ლაყუჩებს ქვემოთ ნახერეტს მივაგენი, თითი ჩავყავი და გამოშიგვნა დაეიწყე. თევზებს რბილი და სუსტი ნაწლავები აქვთ. ამბობენ, ზვიგენს კუდსქვემოთ პანლურა რომ ამოჰკრა, პირიდან ნაწლავებს გადმოყრისო. კარტახენაში კუდით დაკიდებული ზვიგენები მინახავს, ყბებიდან რომ უზარმაზარი, მუქი და წებოვანი მაგნეული დასთრევდათ.

საბედნიეროდ ჩემი თევზის შიგნეულიც ზვიგენის შიგნეულივით რბილი აღმოჩნდა. ერთ წუთში ამოვყარე თითით. ნაწლავთან ერთად კვერცხების წყება ამოჰყვა. გამოშიგვნას რომ მოვრჩი, ვუკბინე, მაგრამ ქერცლის შიგნით ვერ შევაღწიე. მეორე ცდაზე ისე მოვინდომე, ყბები მეტკინა, სამაგიეროდ პირველი ლუკმა ავაგლეჯე და ცივი და მაგარი ხორცი გავლეჭე.

ზიზღით ვლეჭავდი. ვერასოდეს ვიტანდი უმი თევზის სუნს, მაგრამ ეემი ძალიან საზიზღარი ყოფილა. პალმის მკვახე ნაყოფზე უგემური და წებოვანი იყო. თევზი ცოცხლად ჯერ არავის უჭამია, მაგრამ შვიდი დღის შემდეგ პირველ ლუკმას რომ ვლეჭავდი, მეგონა, ცოცხალ თევზს ვჭამ-მეოქი.

პირველი ლუკმის გადაყლაპვის შემდეგ შვება ვიგრძენი. ხელახლა მოვკბიჩე და ღეჭვას შევუდექი. ერთი წუთის წინ მეგონა მთელ ზვიგენს გავათავებდი, მაგრამ მეორე ლუკმაზე დავნაყრდი. ჩემი შვიდი დღის აუტანელი შიმშილი წუთში ჩაცხრა და ისეთი ძალა ვიგრძენი, როგორც პირველ დღეს.

ახლა ვიცი, უმი თევზი შიმშილთან ერთად წყურვილსაც კლავს. მაშინ ეს არ ვიცოდი, მაგრამ წყურვილი აღარ მაწუხებდა, კმაყოფილი და ბედნიერი ვიყავი. საჭმელი კიდევ კარგა ხანს მეყოფოდა, თუ გავითვალისწინებდი, რომ ნახევარმეტრიან თევზს მხოლოდ ორი ლუკმა აკლდა.

გადავწყვიტე თევზი პერანგში გამეხვია და ტიუზე შემენახა, რომ არ გაფუჭებულიყო. მაგრამ მანამდე გარეცხვა იყო საჭირო. დაბნეულმა მოვკიდე კუდში ხელი და იმის მაგივრად, რომ ჯერ ქერცლში ჩაგუბებული სისხლი გამეწმინდა, წყალში ჩავუშვი. თევზი წყალში ამოვავლე თუ არა, ზვიგენის ყბების მოქნევა ვიგრძენი. მთელი ძალით მოვქაჩე თევზის კუდი. ზვიგენის შეტევამ წონასწორობა დამაკარგვინა, ტიუის კიდეს მივეხალე, მაგრამ ნადავლს მედგრად ვიცავ-

დი ხელგაუშვებლად. იმ წუთში არც მიფიქრია, რომ ზვიგენს თევზთან ერთად ჩემი მკლავის მოკვნეტაც შეეძლო. მეორედ რომ მოვქაჩე კუდი, ხელში აღარაფერი შემრჩა. ჩემი თევზი ზვიგენს წაელო. გაალმასებულმა დავავლე ხელი ნიჩაბს და ზვიგენმა ტივს რომ ჩაუარა, თავში ჩავცხე. ზვიგენი წყლიდან ამოხტა და ველური ყბების ერთი მოქნევით ნიჩაბი მოკვნიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IX

ზღვის წყალი ფერს იცვლის

სიბრაზით გონდაკარგულმა გატეხილი ნიჩაბი დავცხე წყალს, რათა სამაგიერო გადამეხადა ზვიგენისთვის, რომელმაც ჩემს ხელთ არსებული ერთადერთი საკვები გამომტაცა. ზღვაში ჩემი მეშვიდე დღის ხუთი საათი ხდებოდა. სადაცაა ზვიგენთა მთელი ჯგრო შეგროვდებოდა. ორმა ლუკმამ ძალა დამიბრუნა, თევზის დაკარგულმა ნაწილმა კი ბრძოლის ჟინი გამიძლიერა. ტივზე კიდევ ორი ნიჩაბი იყო. ჯერ ერთი მათგანის ბრძოლის იარაღად გამოყენება დავაპირე მოკვნეტილი ნიჩბის მაგივრად, მაგრამ გადარჩენის ინსტინქტი ბრაზზე ძლიერი აღმოჩნდა. შემეშინდა, ის ორი ნიჩაბიც არ დამეკარგა, რომლებიც კაცმა არ იცის, რა წუთში დამჭირდებოდა მოსასმელად.

ის სადამო არაფრით განსხვავდებოდა დანარჩენი სადამოებისაგან, გარდა იმისა, რომ უფრო ბნელოდა. ზღვა ღელავდა და რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო გაწვიმება, პერანგი და ფეხსაცმელი გავიხადე წყლის დასაგროვებლად. მიწაზე ასეთ ღამეზე იტყვიან, ძაღლი არ გაიგდება გარეთო, ზღვაზე — ალბათ ზვიგენი არ გაიგდებაო, უნდა ვთქვათ.

ცხრა საათი არ შესრულებულიყო, ცივმა ქარმა რომ დაჰქროლა. ვცადე ტივის ფსკერზე მოვთავსებულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა, იძულებული გავხდი პერანგი და ფეხსაცმელი ჩამეცვა და შეგუებოდი აზრს, რომ გაწვიმების შემთხვევაში სრულიად მოუმზადებელი ვიყავი და წყალს ვერ დავაგროვებდი. ზღვა კატასტროფის 28 თებერვლის ღამეზე მეტად ღელავდა. ტივი მლაშე და ჭუჭყიან წყალში ჩაგდებულ კაკლის ნაჭუჭს ჰგავდა. ეკანკალებდი. რომ მივხვდი, სიცივეს ველარ ვუძლებდი, გასათბობად ვარჯიში დავაპირე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, რადგან ძალიან დასუსტებული ვიყავი, თან ტალღას ზღვაში რომ არ გავეტაცნე, იძულებული გავხდი ტივის კიდეს მაგრად ჩავჭიდებოდი. თავი ზვიგენის მოკვნეტილ ნიჩაბზე მქონდა მიყრდნობილი. დანარჩენი ნიჩბები ტივის შუაგულში ეწყო.

შუაღამემდე ქარიშხალი გაძლიერდა. ცა მოიქუფრა და ნაცრისფრად ჩამუქდა. ჰაერი დანესტიანდა, მაგრამ წვიმის წვეთი არ ჩამოვარდნილა. თორმეტი საათი ახალი შესრულებული იყო, რომ ისეთივე უზარმაზარმა ტალღამ, ნაღმისნიდან რომ გადმომაგდო, ტივი ჯერ ბანანის ნაფცქვენივით აიტაცა მაღლა, შემდეგ კი თავზე დამამხო.

წყალში რომ აღმოვჩნდი და ზედაპირისკენ მოვუსვი, კატასტროფის დამის არ იყოს, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რა მოხდა. ძალა მოვიკრიბე, ზედაპირზე ამოვყვინთე და კინაღამ შიშით გამძვრა სული: ტივი არსად ჩანდა. ჩემს თავზემოთ წამომართული ვეება ტალღის დანახვაზე ლუის რენხიფო გამახსენდა, ძლიერი, კარგად ნაკვები და კარგი მოცურავე, ორ მეტრში რომ ვერ დაეწია

ტივს. საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ ორიენტაცია დამიკარგავს, ტივი კი ჩემს უკან ტივტივებდა ორიოდ მეტრში. მკლავის ორი მოსმით დავეწიე ორ წამში, მაგრამ ის ორი წამი უსასრულოდ გაიწელა. ისე შეშინებული ვიყავი, რომ ერთი ნახტომით მოვექეცი ტივის სიღრმეში სველი და აქოშინებული. გული საგულიდან ამოხტომას ლამობდა და სუნთქვა მიჭირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ბედნიერი ვარსკვლავი

ბედის სამდურავი არ მეთქმოდა. ტივი რომ საღამოს ხუთ საათზე გადაბრუნებულიყო, ზვიგენები დამგლეჯდნენ, მაგრამ ღამის თორმეტ საათზე ცხოველები სიღრმეში მიდიან, მით უმეტეს, ასეთ ზღვაში.

ტივში აზრზე რომ მოვედი, ხელში ზვიგენის მოკვნეტილი ნიჩაბი მქონდა ჩაბღუჯული. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ყოველი ჩემი მოძრაობა ინსტინქტებს დაექვემდებარა. მოგვიანებით აღვადგინე, რომ წყალში ჩავარდნისას ნიჩაბი თავში მომხვდა და ჩაძირვა რომ დავიწყე, მაშინ ჩავავლე ხელი. ტივზე ის ერთადერთი ნიჩაბიღა დარჩენილიყო, დანარჩენები ზღვაში ჩაცვივდა.

ის მოკვნეტილი ნიჩაბი მაინც რომ შემენარჩუნებია, ერთ-ერთი გახსნილი ზონარით მაგრად მიეამაგრე თავის ადგილას. ზღვა ისევ ღელავდა. ამჯერად ბედმა არ მიბუხთლა. მეორედ რომ გადმობრუნებულიყო ტივი, ალბათ ველარ დაეწეოდი. ამას რომ ვფიქრობდი, ქამარი მოვიხსენი და ნიჩბების ადგილას მივიბი თავი. ტალღები ტივს მოქუფრულ და აღელვებულ ზღვაში ათამაშებდა, მაგრამ მე ტივზე მიბმული, იმედიანად ვგრძნობდი თავს. არც ნიჩაბს ემუქრებოდა საფრთხე. ტივის გაწონასწორებას რომ ვცდილობდი, როგორ გადავრჩი პერანგისა და ფეხსაცმლის დაკარგვას, არ ვიცი, სიცივით შეწუხებულს რომ არ ჩამეცვა და წვიმის მოლოდინში ტივზე დამეტოვებინა, ახლა ნიჩბებთან ერთად იტივტივებდა ზღვაში.

ტივი კორპისა და თეთრი საღებავის წყალობით წყალგაუმტარი მატერიისგანაა გაკეთებული, ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ ტალღებში ტრიალდება. კორპის ძირი კალათასავითაა ჩაკიდებული წყალში. გადმობრუნებული ტივის ძირი სასწრაფოდ იღებს ჩვეულ ფორმას. ერთადერთი საფრთხე ნიჩბების დაკარგვაა. ამიტომ სრული საფუძველი მქონდა მეფიქრა, რომ სანამ ტივზე ვიყავი მიბმული, საფრთხე არ მემუქრებოდა.

მართლაც ასე იყო. მაგრამ ერთი რამ კი ვერ გავითვალისწინე. თხუთმეტი წუთი არ გასულიყო, რომ ტივი ხელახლა გადაბრუნდა. ჯერ ქარისაგან გაყიხულ და ნესტიან ჰაერში ვიგრძენი თავი, თვალწინ უფსკრული გადამეშალა და მიეხვდი, რომელ მხარეს გადაბრუნდებოდა ტივი. ეცადე სიმძიმე მეორე მხარეს გადამეტანა და ტივი გამეწონასწორებია, მაგრამ ქარმა შემიშალა ხელი. ტივი ამოტრიალდა და მე წყალქვეშ მოვექეცი ფსკერზე მიბმული. ვიხრჩობოდი და ჩემი ხელები ამაოდ ცდილობდნენ ქამრის ბალთის მოძებნას.

ძალა მოვიკრიბე, ვცადე არ დავბნეულიყავი და ბალთას დავეჯაჯგურე. — ვიცოდი, რომ ცოტა დრო მქონდა. კარგი ფიზიკური მომზადებით, წყალქვეშ შეიძლება ოთხმოცი წამი გაძლო. მე ტივსქვემოთ რომ ვიგრძენი თავი და სუნთქვა შევწყვიტე, მას შემდეგ ხუთი წამი მაინც გავიდა. ხელი წელზე შემოვიტარე და ერთ წამში ვიპოვე ქამარი, მეორე წამს ბალთას მივაგენი. ისე ვიყავი მიბმული, რომ გამოსახსნელად ცალი ხელით ტივი უნდა დამეჭირა, მეორით ბალ-

თა შემეხსნა. ტივზე ხელმოსაჭიდი წერტილის ძიებაში საკმაო დრო დავკარგე. შემდეგ მარცხენა ხელით ტივი გავაჩერე, მარჯვენა ხელმა კი სასწრაფოდ მონახა ბალთა და ქამარი მოუშვა. თავისუფალი ვიყავი, ოღონდ არც ქამრისთვის გამიშვია ხელი, არც ტივისთვის. ვგრძნობდი, ფილტვები მისკდებოდა. დავიძაბე და მთელი ძალით დავაწექი ტივის კიდეს, რომელიც ჩემმა სიმძიმემ ხელახლა აძოაყირავა, მე კი ისევ ტივის ქვეშ აღმოვჩნდი. წყლის ფლაპვა დავიწყე. წყურვილით დაშაშრული ყელი აუტანლად მტკიოდა, მაგრამ ტკივილისთვის არ მეცალა, მთავარი იყო ტივი არ გამეშვა. როგორც იქნა თავის აძოყოფა მოვახერხე და ჩავისუნთქე. ძალაგამოცლილს არ მეგონა, ტივზე ასვლას თუ შევძლებდი. მაგრამ ისე ვიყავი შეშინებული ზვიგენების გამოჩენამდე რამდენიმე საათით ადრე წყალში ყოფნით, რომ თავი დავაჯერე, უკანასკნელი ძალისხმევაა ჩემს ცხოვრებაში-მეთქი. დარჩენილი ენერგია მოვიკრიბე, ტივის კიდეს დავეყრდენი და ძალაგამოცლილი ჩავვარდი ტივის ფსკერზე.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე პირაღმა მტკივანი ყელითა და დასერილი თითებით. მახსოვს, ორი აზრი მაწუხებდა: ფილტვებს დაესვენა და ტივი ხელახლა არ გადაბრუნებულიყო.

განთიადის ჟზე

ასე გათენდა ჩემი მერვე დღე ზღვაში. ქარიანი დღე იყო. რომც ეწვიმა, წყლის მოგროვების ძალაც არ მქონდა. ვგრძნობდი, წვიმა გამომაცოცხლებდა, მაგრამ ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილა, მიუხედავად იმისა, რომ ტენიანი ჰაერი კოკისპირულ წვიმას მოასწავებდა, ზღვა გათენებამდე ღელავდა. მზე რომ ამოვიდა, ცამ მუქი ცისფერი დაიბრუნა. გათანგული გადავიხარე ტივიდან და ზღვის წყლის რამდენიმე ყლუპი მოვსვი. ახლა ვიცი, ეს ორგანიზმისთვის საზარგებლოა, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი და მხოლოდ იმიტომ ვსვამდი, რომ ყელის ტკივილი ჩამეცხრო. შვიდი დღე უწყლოდ ყოფნის შემდეგ წყურვილის გრძნობა სხვანაირი ხდება: ეს არის ღრმა ტკივილი ყელში, მკერდში და განსაკუთრებით ნეკნებქვეშ. ამის შემდეგი ეტაპი ასფიქსიაა. ზღვის წყალმა ტკივილი გაშიყუჩა.

ქარიშხლის შემდეგ ზღვა, სურათებზე რომ ხატავენ, ისეთი ცისფერი ხდება. ნაპირთან ახლოს ქარის მოტანილი ხის ნაფოტები და მცენარეთა ფესვები ტივტივებენ და თოლიები წყლის ზედაპირთან ახლოს დაფრინავენ. იმ დილით, ქარი რომ ჩადგა, ტივმა სწორ ხაზზე გააგრძელა ცურვა ზღვის ლითონისებრ ზედაპირზე. მსუბუქმა ნიავმა სხეულისა და სულის სიმხნევე დამიბრუნა.

ტივს ერთმა დიდმა, მუქი ფერის ბებერმა თოლიამ გადაუფრინა. უკვე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ნაპირთან ახლოს ვიყავი. რამდენიმე დღის წინ დაჭერილი თოლია ახალგაზრდა იყო. მის ასაკში შორ მანძილზე ფრენა ოოლია. ასეთებს ნაპირიდან მრავალ მილზე შეხვდებით, მაგრამ ასეთი ბებერი, დიდი და მძიმე თოლიები სანაპიროს ას მილზე მეტად ვერ შორდებიან. ჩემში არსებობისთვის აუცილებელმა ახალმა ძალებმა გაიღვიძა. ჰორიზონტი დავზვერე, როგორც პირველ დღეებში. ყოველი მხრიდან თოლიათა გუნდები ჩანდა. თავი ეულად აღარ ვიგრძენი და გამიხარდა. შიმშილი არ მაწუხებდა, ზღვის წყალსაც ხშირ-ხშირად ვსვამდი ყლუპებად. ჩემს თავზე მოსრიალე თოლიათა დანახვაზე მარტოობის გრძნობა გამიქრა. მერი ედრესი გამახსენდა. „ნეტავ, რა მოუვიდა?“ ვეკით-

ხებოდი ჩემს თავს და ყურებში მისი ხმა მედგა, ფილმის დიალოგების თარგმნაში რომ მეხმარებოდა. სწორედ იმ დღეს, მერი რომ გამახსენდა უმიზეზოდ, თოლიებით სავსე ცის დანახვაზე, ის თურმე კათოლიკურ ეკლესიაში იყო. ჩემი სულის მოსახსენებელი მესაზე. ის მესა, როგორც შემდეგ მომწერა მერიმ კატახენაში, კატასტროფიდან მერვე დღეს შედგა, ჩემი სულის განსასვენებლად, ვფიქრობ მან ჩემი სხეულიც მოასვენა, რადგან იმ დილით, მე რომ მერიზე ვფიქრობდი, ის მობილში იყო მესაზე, მე კი ბედნიერად ვგრძნობდი ზღვაში თავს როცა მიწის სიახლოვის მაუწყებელ თოლიებს ვუყურებდი.

თითქმის მთელი დღე ვიჯექი ტივზე და ჰორიზონტს ვათვალიერებდი. საოცრად ნათელი დღე იდგა. დარწმუნებული ვიყავი, ორმოცდაათ მილში დავინახავდი მიწას. ტივი ისეთი სისწრაფით მიიწევდა წინ, ორი კაცი ოთხი ნიჩბით რომ ვერ გააქროლებდა. ძრავიანივით მიქროდა სწორ ხაზზე ცისფერ და მშვიდ წყალში.

ზღვაში გატარებული, შვიდი დღის შემდეგ, კაცი ზღვის ფერის ყველაზე უმნიშვნელო ცვლილებასაც კი ატყობს. შვიდ მარტს, შუადღის 3 საათსა და 30 წუთზე შეეამჩნიე, რომ ტივი მწვანე წყლის ზონაში შედიოდა. წამით საზღვარიც კი გავარჩიე, შვიდი დღე რომ მივცურავდი იმ ცისფერ და მწვანე, ერთი შეხედვით უფრო ბლანტე წყალს შორის.

ცა თოლიებით იყო სავსე, რომლებიც ისე ქვემოთ დაფრინავდნენ, რომ თავზე მათი ფრთებისგან მონაბერ ნიავს ვგრძნობდი. ზღვის წყლის ფერის ცვლილება და თოლიათა სიმრავლე სიფხიზლისკენ მომიწოდებდა, რადგან ყოველ წუთს შეიძლებოდა სანაპიროთა შუქები დამენახა.

თავი X

დაკარგული იმედები... სიკვდილამდე

ზღვაში ყოფნის მერვე ღამეს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ჩამეძინა. ცხრა საათისთვის ბებერი თოლია ტივზე ჩამოჯდა და მთელი ღამე იქ გაატარა. მე ზვიგენისგან გადარჩენილ ჩემს ერთადერთ ნიჩაბზე ვიყავი მიყუდებული. წყნარი ღამე იყო და ნიავი ტივს სწორ ხაზზე მიასრიალებდა. „სად ჩავალ?" ეკითხებოდი თავს უტყუარი ნიშნებით — ზღვის ფერის შეცვლითა და ბებერი თოლიის გამოჩენით დარწმუნებული, რომ მეორე დღეს მიწაზე დავდგამდი ფეხს. ვერ ვხვდებოდი, საით მიაქროლებდა ტივს ნიავი, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ტივი თავდაპირველად აღებულ გეზს მიჰყვებოდა. თუ თვითმფრინაველის გზას ვადექი, კოლუმბიაში ჩავიდოდი. მაგრამ უკომპასოდ შეუძლებელი იყო დარწმუნებით ლაპარაკი. თუ სამხრეთით მივცურავდი სწორ ხაზზე, ეჭვი არაა, კარიბის ზღვის კოლუმბიის სანაპიროს მივადგებოდი. ხოლო თუ ჩრდილოეთით მივცურავდი, რაც აგრეთვე არ იყო გამორიცხული, წარმოდგენა არ მქონდა, სად ვიმყოფებოდი.

შუადამეზდე, სანამ ძილი დამძლეოდა, ბებერი თოლია მომიახლოვდა და თავში ჩამინისკარტა. არ მტკენია, ფრთხილად მინისკარტებდა და თავის კანს არ მიზიანებდა. მე ისევ ნალმოსნის იარაღის საწყობის გამგის სიტყვები მომაგონდა, მეზღვაურს არ ეკადრება თოლიის მოკვლაო და სინდისის ქენჯნა ვიგრძენი უაზროდ მოკლული პატარა თოლიის გამო.

გათენებამდე ჰორიზონტი მოვათვალიერე. იმ ღამეს არ ციოდა, მაგრამ ვერანაირი სინათლე ვერ დავინახე. ნაპირის სიახლოვის ნიშნები არ ჩანდა. ტივი ნათელ და მშვიდ ზღვაში მიცურავდა, მაგრამ ვარსკვლავების გარდა არაფერი ანათებდა. რომ დავწექი, თოლიაც მძინარეს ჰგავდა. თავჩალუნული იჯდა ტივზე გაუნძრევლად კარგა ხანი, მაგრამ საკმარისი იყო გავნძრეულიყავი, შეხტებოდა და თავში მინისკარტებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამთენიისას მდგომარეობა შევიცვალე და თოლიას ფეხების მხარეს მოვაქციე. ვიგრძენი, როგორ ჩამინისკარტა ფეხსაცმელზე. შემდეგ თავთან მომიარა. მე გაუნძრევლად ვიწექი. თოლიაც ჩემს თავთან მოთავსდა გაუნძრევლად. თავი რომ შევაბრუნე, ნაზად ჩამინისკარტა თმაზე, თითქოს მეთამაშებოდა. რამდენჯერაც ვიცვალე პოზა, იმდენჯერ თოლიამ ჩემს თავთან გადმოინაცვლა. გამთენიისას, ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე, ხელი გავიწვდინე და კისერში ვწვდი.

მოკვლა არც მიფიქრია. პატარა თოლიის გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ უაზრო მსხვერპლი იქნებოდა. მშიოდა, მაგრამ მეგობარი ფრინველით არ მინდოდა შიმშილის მოკვლა. მან ხომ მთელი ღამე ჩემთან გაატარა და არაფერი დაუშავებია. ხელი რომ ჩავაელე, ფრთები გაშალა, მთელი ძალით გაიწია და თავის დაღწევა სცადა. მაშინ ფრთები ყელზე გადავუჯვარედინე, რომ ვერ განძრეულიყო, მან თავი ასწია და გამთენიის გაცრეცილ სინათლეში, დავინახე გამჭვირვალე და შეშინებული თვალები. კიდეც რომ მდომოდა თოლიის შეჭმა, ამ დიდრონი, ნაღვლიანი თვალების დანახვაზე გადავიფიქრებდი.

მზე ადრე ამოვიდა და ისეთი ძალით დააცხუნა, რომ შვიდ საათზე უკვე ჰაპანაქება იდგა. მე ტივზე ვიწექი თოლიით ხელში. ზღვა ისევ მწვანე და სქელი იყო, როგორც წინა დღეს, მაგრამ მიწა არც ერთ მხარეს არ ჩანდა. ჰაერი ხურდა. მაშინ ჩემი ტყვე გავათავისუფლე. მან თავი აიქნია, ისარივით აიჭრა ჰაერში და ერთი წუთის შემდეგ თანამოძმეთა გუნდს შეუერთდა.

ჩემს მეცხრე დღეს ზღვაში, მზე წინანდელზე მწვავედ აცხუნებდა. ზურგი ერთიანად დაწყლულებული მქონდა, თუმცა სულ ვცდილობდი ფილტვები მზისთვის მომერიდებია. ზურგზე ხის შეხებას ველარ ვიტანდი, ამიტომ იძულებული გავხდი, ბეჭებქვეშ ამოდებული ნიჩაბი გამომელო და ტივის ფსკერზე წყალში ჩავწოლილიყავი. მხრები და მკლავი დამწვარი მქონდა და თითის შეხებაზე მეგონა ცეცხლი მეკიდება-მეთქი. გაღიზიანებული თვალებით ერთ წერტილს დიდ ხანს ვერ ვუყურებდი, რადგან ჰაერი ბრჭყვიალებდა და დამაბრმავებელი ბრეშულებით ივსებოდა. იმ დღემდე არასოდეს მიმიქცევია ყურადღება ჩემი სხეულის მდგომარეობისთვის. ზღვის მლაშე წყლითა და მზით დაშაშრულს მკლავებზე კანი მეკიდა, კანქვეშ კი წითელი და პრიალა ბუშტები მოჩანდა საიდანაც დროდადრო სისხლი ჟონავდა კანის ფორებში და ტკივილით მაკანკალებდა.

მანამდე არც წვერზე დავფიქრებულვარ. ოერომეტი დღის გაუპარსავი ვიყავი. ხშირი წვერი ყელამდე მწვდებოდა, მაგრამ ხელს ვერ ვიკარებდი, რადგან მზით დამწვარი კანი აუტანლად მტკიოდა. ჩამომხმარ სახეზე და დაწყლულებულ სხეულზე ფიქრი მახსენებდა, თუ რა ტანჯვა გამოვიარე მარტოობისა და უიმედობის დღეებში. ნაპირის ნიშნები არ ჩანდა და იმედი დავკარგე. შუადღე იყო და ისევ ხელიდან მეცლებოდა ნაპირზე გაღწევის შანსი. ჯერ არც ერთ მხარეს არ ჩანდა ნაპირის სილუეტიც კი და რაც არ უნდა სწრაფად ეცურა ტივს, შეუძლებელი იყო დაღამებამდე ნაპირზე გამეღწია.

„სიკვდილი მინდა“

თორმეტ საათში გამომუშავებული სიხარული უკვალოდ გაქრა ერთ წუთში. ბალამ მიმტყუნა. სიფრთხილე დავივიწყე. პირველად ცხრა დღის განმავლობაში პირქვე დავწექი და ზურგი მზეს მივუშვირე სხეული არ შემბრალებია. ვიცოდი, თუ საღამომდე ასე ვიწვებოდი, მოვკვდებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგება წამი, როცა ტკივილს ველარ გრძნობ. მგრძნობელობა გონებასთან ერთად გებინდება და დროისა და სივრცის შეგრძნებას კარგავ. ტივზე პირქვე რომ დავწექი კიდეებზე მკლავებდაყრდნობილი, და მკლავებზე წვერიანი სახე ჩამოვდე, პირველად მზის დაუნდობელი კბენა ვიგრძენი. ჰაერი რამდენიმე საათის განმავლობაში, სანამ არაქათგამოცლილმა თვალი არ დავხუჭე, მანათობელი წერტილებით იყო სავსე. მზემ სხეულზე რომ დამაჭირა, არც შიმშილს ვგრძნობდი, არც წყურვილს, სულ ერთი იყო, ვიცოცხლებდი თუ მოვკვდებოდი. სიკვდილის მოახლოების შეგრძნებამ უცნაური, ბნელი სიხარულით ამავსო.

თვალი რომ გავახილე, ისევ მობილში ვიყავი. აუტანელი სიცხე იდგა. მე ჩემს მეგობრებთან და მობილის უნივერმაღის მუშაკ, ებრაელ მასეი ნასერთან ერთად ვიყავი ფიესტაზე ღია ცის ქვეშ. ჩვენ მის უნივერმაღში ვყიდულობდით მეზღვაურის ტანსაცმელს და სამი სავიზიტო ბარათიც მან მომცა. რვა თვის წინძილზე, სანამ გემი რემონტზე იდგა. მასვი ნასერი კოლმბიელ მეზღვაურებს ეწესახურებოდა და ჩვენც, მადლიერების ნიშნად, მხოლოდ მის უნივერმაღში დავდიოდით საყიდლებზე. იგი გამართულად ლაპარაკობდა ესპანურად, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თვითონ გვითხრა, არასოდეს ყოფილა ესპანურენოვან ქვეყანაში.

იმ დღესაც, როგორც ყველა შაბათს, ღია ცის ქვეშ მოწყობილ კაფეში ვიყავით, სადაც მხოლოდ ებრაელები და კოლუმბიელი მეზღვაურები იკრიბებოდნენ. ფიცარნაგზეც იგივე ქალი ცეკვავდა, ყოველ შაბათს არაბი მოცეკვავესავით მუცელმოშიშვლებული და სახეზე ჩადრაფარებული რომ გამოდიოდა. ჩვენ ტაშს ვუკრავდით და ქილიდან ვსვამდით ლუდს. ყველაზე მეტს მობილის უნივერმაღის ებრაელი მოსამსახურე, მასეი ნასერი მხიარულობდა, რომელმაც კოლუმბიელ მეზღვაურებს იაფი და კარგი ხარისხის ტანსაცმელი მოგვყიდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს მელანდებოდა გონებაამღვრეულს მობილის ფიესტა. ოცებ რომ წამოვხტი, უკვე ბნელდებოდა. ტივიდან ხუთიოდ მეტრზე უზარმაზარი, ვეფხვივით თავაჭრელებული კუ მომჩერებოდა გაოცებული, შუშის ბურთულებივით უმეტყველო თვალებით. ჯერ ჰალუცინაციის გაგრძელება მეგონა და შეშინებული დავჯექი ტივზე. ოთხმეტრიანმა მონსტრმა ჩემი მოძრაობა რომ შენიშნა, ჩაყვინთა და ზედაპირზე ქაფიღა დატოვა. არ ვიცი, ახლაც ვერ ვიტყვი დარწმუნებით, მომეჩვენა, თუ მართლა დავინახე. ერთი რამ ცხადია, ამ ყვითელ, ვეგანტურ კუს, კოშმარისფერი საზარელი თავი რომ ამოეყო წყლიდან და რამდენიმე წუთი მიყურებდა, საკმარისი იყო ერთი გვერდი გაეკრა ტივისთვის, რომ რამდენიმეჯერ ამოვყირავდებოდი წყალში.

ამ საზარელმა ხილვამ შიშის გრძნობა გამიღვიძა. შიშმა კი გამომაცოცხლა. ნიბის ნატეხი ჩავბღუჯე და ბრძოლისთვის მოვემზადე ამ თუ ნებისმიერ სხვა ცხოველთან, ვინც ჩემი ტივის გადაბრუნებას ეცდებოდა. ხუთი საათი ხდებოდა და პუნქტუალური ზვიგენები სილრმიდან ამოდიოდნენ.

ტივის კიდეზე დახაზულ კალენდარს შევხედე და რვა ხაზი დავითვალე. გამახსენდა, რომ ის დღე არ აღმენიშნა და გასაღებით ჩამოვუსვი ხაზი. დარ-

წმუნებული, რომ უკანასკნელი დღე იყო ტივზე, ბრაზით ავიკვეს, რადგან სიკვდილი უფრო ძნელი მისაღწევი გამოდგა, ვიდრე სიცოცხლის გაგრძელება. ამ დღეთ სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ვიყავი. მე სიკვდილი ვარჩიე, მაგრამ მაინც ვცოცხლობდი ნიჩბის ნატეხით ხელში და მზად ვიყავი მებრძოლა სიცოცხლისთვის, რომელიც ფეხებზე მეკიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲚᲣᲛᲐᲚᲘ ᲤᲔᲡᲕᲘ

იმ ლითონივით მჭრელ მზეში, იმ უიმედობაში, იმ აუტანელ წყურვილში, რომელსაც ვეღარ ვუმკლავდებოდი, დაუჯერებელი რამ შემემთხვა. ტივის შუაგულში, ცხაურს შორის გაჩხერილი წითელი ფესვი დავინახე. ისეთი, ბოიკაში რომ ღეჭავენ საღებავის დასამზადებლად და რომლის სახელიც ახლა არ მახსენდება. არ ვიცი, როდიდან იყო იქ. ზღვაში გატარებული ცხრა დღის განმავლობაში ზღვის ზედაპირზე მცენარის ნაგლეჯიც არ დამინახავს. და მაინც, თუმცა არ ვიცოდი საიდან, ფესვი იქ იყო, ტივზე გაჩხერილი, როგორც მესამე უტყუარი ნიშანი მიწის სიახლოვისა, რომელიც ჯერ არსად ჩანდა. ოცდაათ სანტიმეტრამდე სიგრძისა იქნებოდა. მშიერმა და შიმშილზე ფიქრით ძალაგამოცლილმა, ბევრი განსჯის გარეშე მოვკბიჩე ფესვი. პირში სისხლის გემო დამრჩა. სქელმა და მოტკბო ზეთოვანმა მასამ ყელი გამომიცოცხლა. მომეჩვენა, რომ საწამლავის გემო ჰქონდა, მაგრამ ნამცეციც არ დამიტოვებია.

ჭამა რომ დავამთავრე, შვება არ მიგრძვნია. ვიფიქრე, რომ ჩემი ფესვი წმინდა თქმულების ზეთისხილის შტო იყო, რომელიც ნოეს მიერ გაშვებულმა მტრედმა მოიტანა იმის ნიშნად, რომ წყალმა იკლო და მიწა გამოჩნდა. ვფიქრობდი, მტრედის მიერ მოტანილი ზეთისხილის შტო სწორედ ისეთი იყო, როგორც ფესვი, ცხრა დღის შიმშილი რომ შემიმსუბუქა.

ზღვაში შეიძლება ერთი წელი დაჰყო, მაგრამ დგება დღე, როცა ერთი საათითაც აღარ შეგიძლია იქ გაჩერება. წინა დღით ვფიქრობდი, რომ გამთენიისას მიწაზე ვიქნებოდი. უკვე ოცდათხი საათი გავიდა, მე კი მხოლოდ ზღვას და ცას ვხედავდი. უკვე არაფერს ველოდი. ჩემი მეცხრე დღე იყო ზღვაში, „მკვდრის ცხრა ღამე", შიშით გავიფიქრე დარწმუნებულმა, რომ ჩემი სახლი ბოგოტაში, ოლაიას უბანში ოჯახის მეგობრებით იქნებოდა სავსე. ჩემი პანაშვიდების უკანასკნელი დღე იყო. ხვალ საკურთხეველს დაშლიდნენ და ნელ-ნელა შეეგუებოდნენ ჩემს გარდაცვალებას. იმ ღამემდე ჯერ კიდევ მქონდა ყრუ იმედი, რომ ვიღაც გამიხსენებდა და ჩემს გადარჩენას ეცდებოდა, მაგრამ რომ ვიფიქრე, დღევანდელი დღე ოჯახისთვის ჩემი სიკვდილის მეცხრე, ანუ პანაშვიდების ბოლო დღე იყო, სამუდამოდ მიტოვებულად ვიგრძენი თავი ზღვაში. გადავწყვიტე, რომ სიკვდილზე უკეთესი აღარაფერი შემემთხვეოდა და ტივზე დავწექი. მინდოდა ხმამაღლა მეთქვა: „აღარ ავდგები", მაგრამ ხმა ყელში ჩამიწყდა. კოლეჯი გამახსენდა. პირთან ქალწულ კარმენის მედალიონი მივიტანე და გონებაში ლოცვა წარმოვთქვი, რომელსაც ჩემი აზრით, ჩემი ოჯახი ამბობდა ამ დროს სახლში. მაშინ კარგად ვიგრძენი თავი, რადგან მივხვდი, რომ ვკვდებოდი.

თავი XI

მეათე დღის ჰალუცინაცია: მიწა

ჩემი მეცხრე ღამე დანარჩენზე გრძელი აღმოჩნდა. მე ტივზე ვიწექი. ტალღები ფრთხილად ეხლებოდნენ მის კიდეებს. გრძნობებს კონტროლს ველარ ვუწევდი და ტივის კიდეზე ჩემს თავთან მოხლილ ყოველ ტალღაში ეპიდემიური კატასტროფის სიახლოვეს ვგრძნობდი. ამბობენ, სიკვდილის წინ კაცი „თავის ცხოვრებას განიცდისო თავიდან". მოგონებების იმ ღამეს მეც მსგავსი რამ შემემთხვა. ისევ ნაღმოსნის კიჩოზე ვიწექი მაცივრებსა და ღუმელებს შორის რამონ ერერასთან ერთად და 28 თებერვალს მორიგე ლუის რენხიფოს ეუყურებდი. ყოველი ტალღის ჩქაფუნზე ვგრძნობდი, როგორ წყდებოდა ადგილს ტვირთი, მე წყალში ვვარდებოდი, ზედაპირზე ამოყვინთვას ვცდილობდი.

წუთობით მეორდებოდა მარტოობის, შიმშილის, წყურვილისა და უიმედობის ცხრა დღე, შენელებულად, როგორც კინოს ეკრანზე: ჯერ მე ვვარდებოდი წყალში, შემდეგ ჩემი მეგობრები ყვიროდნენ ტივის გარშემო, მერე მოდიოდა შიმშილი, წყალში არ ჩავვარდნილიყავი, ისევ გემის კიჩოზე ვხედავდი თავს და ვცდილობდი იქვე მიმება თავი, რომ ტალღას არ გავეტაცე. ისეთი ძალით ვიბამდი თავს, რომ ხელები, კოჭები და განსაკუთრებით მარჯვენა მუხლი მტეხდა, მაგრამ ტალღა მაინც მოდიოდა და წყალში მაგდებდა. გონზე მოსული ზედაპირისკენ მივცურავდი და ჰაერი არ მყოფნიდა.

რამდენიმე დღის წინ ვიფიქრე ტივზე მიევებმები-მეთქი. იმ ღამეს ნამდვილად უნდა გამეკეთებინა ეს, მაგრამ ძალა არ მქონდა, რომ წამოვწეულიყავი და ნიჩბების მისამაგრებელი რგოლები მომეძებნა. ფიქრი არ შემეძლო. პირველად ცხრა დღის მანძილზე, ვერ ვგრძნობდი საკუთარი მდგომარეობის სიმძიმეს. ისეთ დღეში ვიყავი, მიკვირს, როგორ არ გამიტაცეს ტალღებმა ზღვის სიღრმეში. ალბათ ვერც ვიგრძნობდი. რეალობა ჰალუცინაციაში მერეოდა. ტალღას რომ ტივი გადაებრუნებია, ვიფიქრებდი, ისევ ნაღმოსნიდან ჩამოვარდნა მელანდება-მეთქი, როგორც რამდენჯერმე მომელანდა იმ ღამეს და ერთ წამში აღმოვჩნდებოდი ფსკერზე, ზვიგენების გასახარად, რომლებიც ცხრა დღე მოთმინებით იცდიდნენ ტივთან.

იმ ღამესაც ჩემმა ბედმა მიხსნა. უგრძნობლად ვეგდე ტივზე, დეტალებში მელანდებოდა მარტოობის დღეები და მაინც ისე საიმედოდ მივცურავდი, თითქოს ტივზე ვყოფილიყავი მიბმული.

გამთენიისას სუსხიანმა ქარმა დაქროლა. სიცხე მქონდა. ჩემი გახურებული სხეული ცივი ქარის შეხებაზე ციებიანივით კანკალებდა. მარჯვენა მუხლი ამტკივდა. ზღვის მარილმა ჭრილობა გამოაშრო, თუმცა ისევე ცოცხლად შეინახა, როგორც პირველ დღეს. ყოველთვის ვფრთხილობდი, მუხლი არ მტკენოდა, მაგრამ იმ ღამეს, პირქვე რომ ვეგდე, მუხლი ტივის ძირს ეხახუნებოდა და ჭრილობა მტკივნეულად ფეთქავდა. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ჭრილობამ გადამარჩინა. ტკივილმა სადღაც ღრუბლებიდან გამოაღწია და სხეული შევიგრძენი. ვიგრძენი, როგორ ეხლებოდა ცივი ქარი ჩემს გახურებულ ტანს. ახლა ვხვდები, რომ რამდენიმე საათი ვბოდავდი, ჩემს მეგობრებს ველაპარაკებოდი და მერი ედრესთან ერთად ნაყინს ვჭამდი იქ, სადაც გამყინავი მუსიკა ყლერდა.

რამდენიმე გრძელი საათის შემდეგ თავი ამტკივდა. საფეთქლები მიფეთ-

ქავდა და ძვლები მტკიოდა. დაშავებული მუხლი მტეხდა და მეჩვენებოდა, რომ ტანზე დიდი მუხლი მება.

გამთენიისას მივხედი, რომ ტივზე ვიყავი, მაგრამ არ ვიცოდი, რამდენი საათი დავყავი უგრძნობლად. გონების დაძაბვით გავიხსენე, რომ ტივზე ცხრა ხაზი მქონდა დაჩხაპნილი, მაგრამ ვერ აღვიდგინე, როდის ჩამრეცხავი უკანასკნელი. მომეჩვენა, რომ ტივზე სასწაულად გაჩხერილი ფესვიდან უსასრულოდ დიდი დრო გავიდა. იქნებ სიზმარი იყო. მაგრამ ეჭვში ვერაც ვგრძნობდი ტკბილ და ბლანტე გემოს, თუმცა ჩემს მიერ ნაჭამ საჭმელებს რომ ვიგონებდი, ფესვი არ მახსენდებოდა. მან არ მომამაგრა. მთლიანად შევჭამე, მაგრამ მუცელი ცარიელი მქონდა და ულონოდ ვიყავი.

რამდენი დღე გავიდა მას შემდეგ? ვიცოდი, რომ თენდებოდა, მაგრამ ვერ ვიხსენებდი, რამდენი ღამე ვეგდე ტივზე სიკვდილის მოლოდინში, რომელიც უფრო მიუწვდომელი ჩანდა, ვიდრე მიწა. ცა გაწითლდა, როგორც მზის ჩასვლისას და მე საბოლოოდ ამებნა თავგზა. არ ვიცოდი, მეცხრე დღე თენდებოდა, თუ ღამდებოდა.

ᲛᲘᲬᲐ!

მუხლის ტკივილით შეწუხებულმა გვერდის შეცვლა ვცადე. გადაბრუნება მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. ლონეგამოცლილს ფეხზე ადგომის თავიც არ მქონდა. მაშინ დაჭრილი ფეხი გავანძრიე, ხელებით ტივის ფსკერს დავეყრდენი, წამოვიწიე და პირაღმა დავეცი ძირში ტივის კიდეზე თავმიყრდნობილი. ალბათ თენდებოდა. საათს დავხედე. გამთენიის ოთხი საათი იყო. ყოველდღე ამ დროს ჰორიზონტს ვზვერავდი. ახლა კი ცას შევყურებდი და ვაკვირდებოდი, როგორ შეცვალა ცოცხალი წითელი ფერი ღია ცისფერმა. ჰაერი ისევ გაყინული იყო. მე სიცხე მქონდა და მუხლში გამჭოლი ტკივილი მიფეთქავდა. თავს ცუდად ვგრძნობდი უძილობის გამო. ლონეგამოცლილი, მაგრამ ცოცხალი ვიყავი. ამ შეგრძნებამ დაუცველობის გრძნობა გამიღვიძა. მეგონა, ღამეს ვერ გადავიტანდი, მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ ისევ ისე ვიტანჯებოდი ტივზე და იწყებოდა მეცხრე, ერთ-ერთი ცარიელ დღეთაგანი, აუტანელი მზითა და საღამოს ხუთი საათიდან ტივს შემოჯარული ზვიგენებით.

ცა რომ გაცისფრდა, ჰორიზონტს გავხედე. ყოველი მხრიდან მწვანე და მშვიდი წყალი მერტყა, მაგრამ ტივის პირდაპირ, განთიადის ბინდ-ბუნდში უზარმაზარი ჩრდილი გავარჩიე. გამჭვირვალე ცას ქოქოსის პალმების კონტურები ერთვოდა.

ბრაზი მომერია. წინაღამეს მობილის ფიესტა მომელანდა, შემდეგ ვეება ყვითელი კუ ვნახე და მთელი ღამის განმავლობაში ხან ჩემს სახლში ვიყავი პოგოტაში, ხან კოლეჯში „ლა სალიე დე ბილიავისენსიოში“, ხანაც ნაღმოსნის მეგობრებთან. ახლა მიწას ვხედავდი. ოთხი-ხუთი დღის წინ რომ მომჩვენებოდა, სიხარულისგან გავგიჟდებოდი, ტივს ეშმაკებში გავაგზავნიდი და წყალში გადავეშვებოდი, რომ რაც შეიძლება ჩქარა გამელწია მშრალზე.

ახლა, ამ მდგომარეობაში მყოფს, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მორიგ ჰალუცინაციას ვხედავდი. ქოქოსის პალმები ძალზე ცხადად ჩანდა იმისთვის, რომ სინამდვილე ყოფილიყო. მათ ხანდახან ზედ ტივის ცხვირთანაც კი ვხედავდი. მოგვიანებით მომეჩვენა, რომ ორი, ერთმანეთისგან სამი კილომეტრით დაშორე-

ბული პალმა გავარჩიე. ამიტომაც არ მიხაროდა. ამიტომაც განვიმტკიცე სიკვდილის სურვილი, სანამ ჰალუცინაციები გამაგიჟებდა. ისევ ცას მივაშტერდი. ახლა ის მაღალი იყო, უღრუბლო და მუქი ლურჯი.

4 საათსა და 45 წუთზე ჰორიზონტზე მზის სხივები ამოიწვერა. ადრე ღრმის მეშინოდა, ახლა ახალი დღის მზე მეჩვენებოდა გიგანტურ და დაუნდობელ მტრად, რომელიც ჩემი დაწყლულებული კანის ასაწვავად, შიმშილისა და წყურვილისაგან ჩემს გასაგიჟებლად მოდიოდა. დავწყველე მზე. დავწყველე ... დავწყველე ჩემი ბედი, რომელმაც, იმის მაგივრად, რომ შიმშილით მოვეკალი ან ზვიგენისთვის ჩავეგდე ხელში, ცხრა დღე გამაძლებინა ტივზე მოტივტივეს. ეხერხულად ვიწექი და ამიტომ ნიჩბის ნაგლეჯი მოვიძიე, რომ დავყრდნობოდი. არასდროს მყვარებია მაგარ ბალიშზე ძილი, მაგრამ ახლა გამწარებული ვეძებდი ზვიგენების მოკვნეტილ ნიჩაბს თავმისაყრდნობად.

ტივზე მიბმული ნიჩაბი ტივის ძირში ეგდო. ავხსენი, მტკივანი ზურგის ქვეშ ამოვიდე და თავი ტივის კიდეს მივაღე. სწორედ მაშინ იყო, ამომავალი მზის ფონზე, აშკარად რომ გავარჩიე სანაპიროს გრძელი და მწვანე ზოლი.

ხუთი საათი ხდებოდა. ნათელი დღე იყო და უკვე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ნამდვილ მიწას ვხედავდი. წინა დღეების ყველა სიხარული — თევთმფრინავების, გემის სინათლეების, თოლიების და ზღვის ფერის შეცვლის — ხელახლა აღმოცენდა მიწის დანახვაზე.

იმ დროს რომ ორი ერბოკვერცხი, ხორცის ნაჭერი, რძიანი ყავა და პური ე. ი. ნალმოხნის საუზმე მეჭამა, ალბათ იმდენ ძალას ვერ ვიგრძნობდი, როგორც მიწის დანახვაზე. ერთი ნახტომით წამოვიწიე, შესანიშნავად გავარჩიე ჩემს პირდაპირ სანაპიროს კონტურები და ქოქოსის პალმები, სინათლეებს ვერ ვხედავდი, მაგრამ ჩემგან მარჯვნივ, ათიოდე კილომეტრზე კლდის ლითონისფერად ... ბახულ მწვერვალებზე მზის პირველი სხივები ირეკლებოდა. სიხარულით გაგიჟებულმა ნიჩბის ნაგლეჯი ჩავბღუჯე და ვცადე ტივს მივხმარებოდი სწორ ხაზზე ცურვაში.

გამოვთვალე, რომ ტივიდან ნაპირამდე ორი კილომეტრი იყო. არაქათგამოცლილი ვიყავი და ფიზიკური ვარჯიში ზურგს მტკენდა, მაგრამ იმისთვის არ გამიძლია ცხრა დღე, იმ დღის ჩათვლით ათი, რომ ახლა მიწის დანახვაზე დავსებებოდი ბედს, გაეოფლიანდი. განთიადის ცივი ქარი ოფლს მაშრობდა და ძვლებს მტეხდა, მაგრამ ნიჩბის მოსმა არ შემიწყვეტია.

მაგრამ სად არის მიწა?

ერთი ნიჩაბი ამოდენა ტივს ვერაფერს უშველიდა, მით უმეტეს ნიჩბის ნაგლეჯი, რომელიც წყლის სიღრმის გასაზომადაც არ ვარგოდა. პირველ წუთებში აღელვებისგან გაათკეცებული ძალებით შევძელი წინ წაწევა, მაგრამ სულ მალე დავიღალე, ნიჩაბი ავწიე, ჩემს წინ გადაშლილ მრავალფეროვან მცენარეებს დავაკვირდი და მივხვდი, რომ პარალელურ დინებას ტივი კლდოვანი ნაპირისკენ მიჰქონდა.

ვინანე ნიჩბების დაკარგვა. ვიცოდი, რომ ერთი მათგანითაც კი, ოღონდ მთელით და არა ზვიგენისგან მოჭმულით, დინებას გავუმკლავდებოდი. ერთი გაფიქრება ვიფიქრე მშვიდად დამეცადა, სანამ ტივი მზის შუქზე ლითონის ნემსივით მოელვარე კლდოვან ნაპირთან მიცურდებოდა, მაგრამ ისე ვჩქარობდი

ფეხქვეშ მყარი ნიადაგი შეგრძნო, რომ ეს ფიქრი მოვიცილე. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ეს პუნტა კარიბანას სანაპირო იყო და ბედს რომ მიეუნდობოდი, ტივი კლდოვან ნაპირებს შეემსხვრეოდა.

ვცადე ძალები განმესაზღვრა. ნაპირამდე ორი კილომეტრი უნდა მეცურა კარგად მყოფი ორ კილომეტრს ერთ საათზე ნაკლებ დროში ვცურავდი, მაგრამ არ ვიცოდი, რამდენ ხანს გავძლებდი წყალში ათი დღის მანძილზე. ორი ლუკმა თევზი და ერთი ფესვნაჭამი, მზით დაწყლულებული [illegible] ტანსაცმელი მუხლით. მაგრამ ეს ჩემი ერთადერთი შანსი იყო, არც განსჯის დრო მქონდა, არც ზვიგენებზე ფიქრის. ნიჩაბი გადაეგდე, თვალი დავხუჭე და ზღვაში გადავეშვი.

ცივ წყალში მოვმაგრდი. წყლის დონიდან ნაპირი არ ჩანდა. უკვე ზღვაში მივხედი ორ შეცდომას: პერანგი არ გამიხდია და არც ფეხსაცმელი შემიკრავს. ვცადე არ ჩავძირულიყავი. ცურვის დაწყებამდე პერანგი გავიხადე და მჭიდროდ შემოვიკარი წელზე, შემდეგ ფეხსაცმლის ზონარები შევიკარი და გავცურეჯერ გახელებული მივცურავდი, შემდეგ უფრო მშვიდად. თან ვგრძნობდი, რომ მკლავის ყოველ მოქნევაზე ძალა მეცლებოდა და ვერც მიწას ეხედავდი.

ხუთი მეტრიც არ გამეცურა, რომ ვიგრძენი ქალწულ კარმენის მედალიონი მძვრებოდა. გავჩერდი და ძლივს დავიჭირე მწვანე, ამღვრეულ წყალში ნელნელა ჩაძირული. რადგან ჯიბეში შენახვის დრო არ მქონდა, კბილებსშუა მოვიქციე და ცურვა განვაგრძე. უკვე ძალაგამოცლილი ვიყავი, მიწა კი არ ჩანდა. ისევ დამეუფლა შიში: ვაითუ მიწაც მორიგი მოჩვენება იყო. ცივმა წყალმა გამომაფხიზლა და ვშიშობდი, რომ არარსებული სანაპიროსკენ მივცურავდი. უკვე საკმაო მანძილი მქონდა გავლილი და შეუძლებელი იყო ტივის საძებნელად დაბრუნება.

თავი XII

მკვდრეთით აღდგომა უცხო მიწაზე

მხოლოდ თხუთმეტი წუთი თავდაუზოგავი ცურვის შემდეგ დავინახე მიწა, ერთ კილომეტრზე მეტ მანძილზე. რაც მთავარია, ნამდვილი მიწა იყო და არა ჰალუცინაცია. ნაპირზე სინათლეები არ ენთო. ზღვიდან არც სოფელი ჩანდა, არც სახლი, მაგრამ მიწა ნამდვილად იყო.

ოც წუთში უკვე ძალაგამოცლილი ვიყავი, მაგრამ მწამდა, გავაღწევდი. ამ რწმენით მივცურავდი და ყოველნაირად ვცდილობდი გრძნობებს არ ავყოლოდი. ნახევარი ცხოვრება წყალში გავატარე, მაგრამ იმ წუთამდე არასოდეს მიგრძვნია, რამხელა ბედნიერებაა იყო კარგი მოცურავე. ძალა თანდათან მეცლებოდა, მაგრამ ნაპირისკენ მივიწევდი და რაც უფრო ეუახლოვდებოდი მიწას, უფრო ცხადად ვხედავდი ქოქოსის პალმებს.

მზე რომ ამოვიდა, ვიფიქრე, ფსკერს ფეხს მივაწვდენ-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი. თუკი წყალი ნაპირთან ახლოს ასე ღრმა იყო, ესე იგი, პლაჟი არ ყოფილა. ცურვა განვაგრძე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვცურავდი. ის კი ვიცი, რომ რაც უფრო ეუახლოვდებოდი ნაპირს, მზე უფრო ხურდებოდა ჩემს თავზემოთ, ოღონდ ამჯერად კანს კი არ მწვავდა, კუნთებს მიხურებდა. პირველი მეტრები რომ გავცურე ცივ წყალში, სპაზმების შემეშინდა, მაგრამ გავხურდი და წყალიც ნაკლებად ცივი მომეჩვენა. დაქანცულს მელანდებოდა, რომ ღრუბლებში მივცურავდი. მაგრამ მჯეროდა, დავძლევდი წყურვილსა და შიმშილს.

მეორედ რომ ეცადე ფეხით ფსკერის მოძებნა, უკვე კარგად ვარჩევდი და-

ლის მზის ნაზ შუქში ნაირფეროვან მცენარეებს. ფეხსაცმლის ქვეშ მიწა ვიგრძენი. უცნაური შეგრძნებაა ათი დღე ზღვაში ტივტივის შემდეგ მიწაზე ფეხის დადგმა.

მალე მივხვდი, რომ უარესი გამოცდა წინ მელოდა. არაქათგამოცლილს ფეხზე დგომა არ შემეძლო და უკან დაბრუნებული ტალღა ზღვის სიღრმისკენ მიმათრევდა. კბილებით ქალწულ კარმენის მედალიონი მეჭირა, კაუჩუკისგრძელი ფეხსაცმელი საშინლად მამძიმებდა, მაგრამ იმ მდგომარეობაშიც [illegible] კარგავს სირცხვილის გრძნობა. რამდენიმე წუთში შეიძლება ადამიანს შევხვედროდი, ამიტომ ტანსაცმლის გაუხდელად, დარჩენილი ძალის მობილიზებით განვაგრძე მოქცეულ ტალღებთან ბრძოლა.

წყალი წელსზემოთ მწვდებოდა. მიხდოდა ისეთ ადგილამდე მიმელწია, სადაც წყალი ბარძაყამდე მოიწვდებოდა. გადავწყვიტე ფორთხვით განმეგრძო გზა. მიწას მუხლებით და ხელისგულებით დაეყრდენი და წინ გახოხება ვცადე, მაგრამ ამაოდ. ტალღები უკან მაბრუნებდა. ხშირმა და ხეშეშმა მიწამ ჭრილობა გამიმიზეზა. ვიცოდი, სისხლი მდიოდა, მაგრამ ტკივილს ვერ ვგრძნობდი. დაზეთილ კანში ქვიშა შემდიოდა თითებით ფსკერი მოვპორჭყნე და წინ წაწევა ვცადე. უცებ კელავ შიში დამეუფლა. მზის ქვეშ ოქროსფრად შელებილი ქოქოსის პალმები ჩემს თვალწინ შექანდა და მომეჩვენა, რომ ფხვიერი ქვიშა უფსკრულში მითრევდა.

ალბათ ეს შეგრძნება ჩემი არაადამიანური ტკივილებით იყო გამოწვეული. ამ წარმოდგენამ შიში გამიათკეცა და ტკივილებისთვის ყურადღების მიუქცევლად, დასისხლიანებული თითებით დაუნდობლად განვაგრძე ხოხვა ტალღების წინააღმდეგ. ათი წუთის შემდეგ ყველა ჩემმა ტანჯვამ, ათი დღის შიმშილმა და წყურვილმა ისევ ჩემს სხეულში მოიყარა თავი. ცოცხალ-მკვდარი გავიშხლართე მაგარ და თბილ მიწაზე და გაეირინდე. არაფერზე არ ვფიქრობდი. არავის მადლობას არ ვწირავდი და არც მიხაროდა, რომ ნებისყოფის დაძაბვით ნაპირს მიეაღწიე, რომ იმედმა და სიცოცხლის დაუოკებელმა წყურვილმა არ მიმტყუნა და უცნობი სანაპიროს ნაგლეჯზე გამოვირიყე.

ადამიანის კვალი

მიწაზე პირველად სიჩუმე შევიგრძენი. სანამ სხვა რამეს მიხვდები, სიჩუმე გესმის, რომელიც ერთი წუთის შემდეგ ტალღების შორეული და ნაღვლიანი თქაფუნითა და ქოქოსის პალმებში ნიავის შრიალით ივსება. მხოლოდ ამის შემდეგ გრძნობ, რომ მყარ მიწაზე ხარ. ხედები, რომ გადარჩი, თუმცა წარმოდგენა არ გაქვს დედამიწის რა ნაწილში იმყოფება.

სანაპიროზე გაშხლართულს გრძნობები დამიბრუნდა და მიდამო შევათვალიერე. გარს ველური ბუნება მერტყა. ჩემდა უნებურად ადამიანის კვალს დაეწყე ძებნა. ჩემგან ოცდაათ მეტრზე მავთულის ღობე დავინახე. იქვე ცხოველების ნაფეხურებით გათელილი ვიწრო გზა გადიოდა. გზის ორივე მხარეს ქოქოსის კაკლის ნაჭუჭები ეყარა. ადამიანის ყველაზე უმნიშვნელო კვალის არსებობა ჩემთვის მეორედ დაბადებას უდრიდა. უაზროდ ბედნიერმა ლოყა ნაზ ქვიშაზე დავდე და ცდა დავიწყე.

დაახლოებით ათი წუთი ვიცადე. ნელ-ნელა ძალას ვიკრებდი. ექვსი საათი გადასული იყო, მზე მთლიანად ამოსულიყო. გზის გვერდით, ქოქოსის პალმის

ნაჭუჭებს შორის რამდენიმე მთელი კაკალიც ეგდო. იქით გავხოხდი, მორს მივეყუდე, კაკალი მუხლებშუა მოვიქციე, როგორც თევზი ხუთი დღის წინ და სურვილით ანთებულმა რბილ ადგილებს დავუწყე ძებნა. კაკალს აქეთ-იქით რომ ვატრიალებდი, შიგნიდან წყლის ჭყაპუნი მესმოდა. ეს ღრმა და ყრუ ხმა წყურვილს მიძლიერებდა. მუცელი მტკიოდა, მუხლის ჭრილობიდან სისხლი მდიოდა, გასისხლიანებულ თითებში კი მრუმე ტკივილი მიფეთქავდა. ამიერ ფერის მანძილზე ზღვაში ერთხელაც არ მიფიქრია, რომ გაეგიჟებოდი. [illegible] ახლა გამკრა, ქოქოსის კაკალს რომ ვატრიალებდი ხელში, შიგ შელწევის გზას ვეძებდი, ხელებშუა კი ახალი, სუფთა და მიუწვდომელი წყალი ჭყაპუნობდა.

ქოქოსის კაკალს თავზე სამკუთხედის ფორმის სამი სუსტი წერტილი აქვს, ოღონდ მათ მოსაძებნად კაკალს მაჩეტე უნდა ურტყა. მე მხოლოდ გასალები მქონდა. ამაოდ ვცადე გასალებით ქოქოსის კანის გაჭრა, ბოლოს ფარ-ხმალი დავყარე, ქოქოსის კაკალი ბრაზმორეულმა მოვისროლე და გავიგე, როგორ შეეანყალდა წყალი შიგნით.

ჩემი უკანასკნელი იმედი გზა იყო. იქ, ჩემს გვერდით დაყრილი კაკლის ნაჭუჭები იმაზე მეტყველებდა, რომ ვიღაც დადიოდა კაკლის მოსაგროვებლად. აშკარა იყო, ვიღაც ყოველდღე მოდიოდა, პალმაზე ადიოდა და კაკალს ყრიდა. ეს, თავის მხრივ, იმას ნიშნავდა, რომ დასახლებულ ადგილთან ახლოს ვიყავი, რადგან მხოლოდ კაკლების მოსაგროვებლად გრძელ გზას არავინ გაივლიდა.

ამას ვფიქრობდი მორზე მიყრდნობილი, შორიდან ძაღლის ყეფა რომ მომესმა. დავიძაბე და ყურები დავცქვიტე. ერთი წუთის შემდეგ რკინის წკარუნი მოვესმა, რომელიც თანდათან მიახლოვდებოდა.

ზანგის გოგონა აღმოჩნდა. წარმოუდგენლად გამხდარი, ახალგაზრდა და თეთრებში ჩაცმული. ცალ ხელში ალუმინის ქვაბი ეჭირა, რომლის ცუდად დახურული სახურავი ყოველ ნაბიჯში წკარუნობდა. „რომელ ქვეყანაში ვარ"? გავიფიქრე, ეს იამაიკელის მსგავსი გოგონა რომ მომიახლოვდა. სან ანდრესი და პროვიდენსია მომაგონდა. ანტილიის ყველა კუნძული გავიხსენე. ეს ქალი ჩემი პირველი და შესაძლოა უკანასკნელი იმედი იყო. „ეცოდინება ესპანური"? ვფიქრე და ვცადე კარგად შემეთვალიერებია გოგო, რომელიც ჯერაც ვერ მხედავდა და დაბნეული, მტვრის დაუყენებლად მოათრევდა ტყავის ფეხსაცმელს ბილიკზე. ისე მონდომებული ვიყავი შანსი ხელიდან არ გამეშვა, რომ თავში აბსურდულმა აზრმა გამიელვა, თუ ესპანურად დაველაპარაკებოდი, ვერ გამიგებდა და იქვე მიმატოვებდა გზის პირას მიგდებულს.

Hello! Hello! — ვუთხარი შეშფოთებულმა.

გოგონამ დიდრონი თეთრი და შეშინებული თვალებით შემომხედა.

— Help me! — დავიყვირე დარწმუნებულმა, რომ ჩემი ესმოდა. იგი წამით შეყოყმანდა, მიმოიხედა და შეშინებული გაიქცა გზაზე.

კაცი, ჯორი და ძაღლი

ვიგრძენი, რომ წყურვილით მოვკვდებოდი. უცებ შორიდან დავინახე ჩემი თავი, უფრო სწორად, ამ ადგილას დაგდებული, სვავების დაგლეჯილი ჩემი გვამი. მალე ისევ განმეორდა ძაღლის ყეფა და გულმა ბაგაბუგი დამიწყო, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ მიახლოვდებოდა ყეფა. ხელისგულებს დავეყრდენი, თავი ავწიე და მივაყურადე. ჯერ ერთი წუთი გავი-

და, მერე ორი. ძაღლის ყეფა სულ უფრო და უფრო ახლოს ისმოდა. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ტალღების ჩქაფუნი და ქოქოსის პალმებში ნიავის შრიალი გავიგე. შემდეგ ჩემი ცხოვრების ყველაზე გრძელმა წუთმა გაიარა და გაძვალტყავებული ძაღლი გამოჩნდა, რომელსაც კალათებაკიდებული ჯორი მოსდევდა. მან უკან თეთრკანიანი, ფერმკრთალი კაცი მოდიოდა, ჩალის სომბრეროიანი და მუხლამდე შარვალაკაპიწებული. კაცს ზურგზე კარაბინი ეკიდა.

მოსახვევში გამოჩნდა თუ არა, შემამჩნია და გაოცებული შედგა. გულისგამ ძაღლი ძაღლი მომიახლოვდა და დამსუნა. კაცი არც განძრეულა, არც ხმა ამოუღია. ბოლოს კარაბინი ჩამოიღო, კონდახით მიწას დააყრდნო და შემათვალიერა.

არ ვიცი, რატომ მეჩვენებოდა, რომ კოლუმბიის გარდა კარიბის ზღვის აუზის ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლებოდა ვყოფილიყავი. არც თუ დარწმუნებულმა, რომ გამიგებდა, გადავწყვიტე ესპანურად დავლაპარაკებოდი.

— სენიორ, დამეხმარეთ! — ვუთხარი.

მან მაშინვე არ მიპასუხა. თვალის დაუხამხამებლად მათვალიერებდა კონდახით მიწას დაბჯენილ კარაბინზე დაყრდნობილი. „ისღა აკლია ტყვია ჩამაჭედოს", გავიფიქრე ცივად. ძაღლი სახეს მილოკავდა, მაგრამ მე ძალა არ მქონდა თავიდან მომეცილებინა.

— დამეხმარეთ! — გავუმეორე შეშფოთებულმა და იმედდაკარგულმა, რადგან ვიფიქრე, კაცს ჩემი არ ესმოდა.

— რა გჭირთ? — მკითხა სასიამოვნო აქცენტით.

ადამიანის ხმის გაგონებაზე მივხვდი, რომ წყურვილზე, შიმშილზე, და უიმედობაზე მეტად სურვილი მტანჯავდა, ვინმესთვის მომეყოლა რაც შემემთხვა. სიტყვები თავისით წამომცვივდა და კინაღამ დამახრჩო:

— მე ლუის ალეხანდრო ბელასკო ვარ. ერთ-ერთი მეზღვაურთაგანი, 28 თებერვალს ეროვნული ფლოტის ნაღმისან „კალდასიდან" ზღვაში რომ ჩავარდა, — ეთქვი ერთი ამოსუნთქვით.

მეგონა, მთელ ქვეყანას უნდა სცოდნოდა ჩვენი ამბავი. ვფიქრობდი, ჩემი სახელის გაგონებისთანავე კაცი საშველად გამოიწევდა. მაგრამ იგი არც განძრეულა. ისევ იქ იდგა, მიყურებდა და ძაღლსაც კი არ აქცევდა ყურადღებას, რომელიც ახლა დაჭრილ მუხლს მილოკავდა.

— ქათმების მეზღვაური ხართ? — მკითხა.

ალბათ იფიქრა. კაბოტაჟის გემიდან ვიყავი, ღორები და შინაური ფრინველი რომ გადაჰყავთ.

— არა. სამხედრო მეზღვაური ვარ, — ვუპასუხე.

მხოლოდ მაშინ შეინძრა. კარაბინი ისევ ზურგზე მოიგდო, სომბრერო უკან გაიწია და თქვა: „მავთულს ნავმისაღგომთან მივიტან და მოვბრუნდები". ვიგრძენი მეორე შანსი მეცლებოდა ხელიდან. „დარწმუნებული ხართ, რომ მობრუნდებით"? ვკითხე მავედრებელი ხმით.

კაცმა მიპასუხა, რომ აუცილებლად მობრუნდებოდა. ზრდილობიანად გამიღიმა და ჯორს გაჰყვა უკან. ძაღლი ჩემთან დარჩა და კიდევ დამსუნა. კაცი უკვე მოშორებით იყო, რომ გამახსენდა მეკითხა:

— რა ქვეყანაა ეს?! — დავუყვირე.

და მან მშვიდად მიპასუხა ის, რასაც არაფრით არ ველოდი:

— კოლუმბია.

თავი XIII

ექვსას კაცს მივყავარ სან ხუანში

მან დანაპირები შეასრულა და მობრუნდა. ჯერ ლოდინიც არ დამეწყო, თხუთმეტი წუთის შემდეგ დაბრუნდა ჯორით, ცარიელი კალათებით და ალუმინის ქვაბიანი ზანგი გოგონათი, რომელიც როგორც მოგეხსენებათ—შეკვიტყვე, მისი ცოლი ყოფილა. ძაღლი გვერდიდან არ მომცილებია. ალბარც ზანგს და ჭრილობას მილოკავდა, არც მსუნავდა. ჩემს გვერდით დაყურსულიყო და თვლემდა. ჯორის ხმა რომ გაიგო, კუდის ქნევით წამოხტა.

— სიარული არ შეგიძლია? — მკითხა კაცმა.

— ვნახავ, — ვუპასუხე. ადგომა ვცადე, მაგრამ დავბარბაცდი. „არ შეგიძლიათ", — თქვა კაცმა და ხელი წამაშველა, რომ არ წავქცეულიყავი. ცოლის დახმარებით ჯორზე შემსვა, აქეთ-იქით ამომიდგნენ მხრებში და ჯორი წაიყვანეს. ძაღლი ხტუნვით მიგვიძღოდა წინ.

მთელი გზის განმავლობაში ქოქოსის პალმები ჩამწკრივებულიყო. ზღვაში ვითვენდი წყურვილს, მაგრამ ჯორზე შემჯდარი ქოქოსის პალმებს შორის გაყვანილ ვიწრო და ოკრო-ბოკრო გზას რომ დავადექი, ვიგრძენი, ერთ წუთსაც ვერ მოვითმენდი და კაცს ვთხოვე ქოქოსის კაკლის წვენი მოეცა.

— მაჩეტე არ მაქვს, — მიპასუხა მან.

ტყუილს ამბობდა. მაჩეტე ქამარში ჰქონდა გაჩრილი. იმ წუთში თავდაცვისთვის საჭირო ძალები რომ მქონოდა, მაჩეტეს ძალით გამოვსტაცებდი, ქოქოსის კაკალს გავტეხავდი და მთლიანად შევჭამდი.

მოგვიანებით გავიგე, რატომ მითხრა კაცმა უარი ქოქოსის წვენის მოცემაზე. ჩემი ნახვის შემდეგ ორი კილომეტრით მოშორებულ სახლში წასულა, ხალხს დალაპარაკებია და იქ გაუფრთხილებიათ, სანამ ექიმი არ მნახავდა, არც საჭმელი მოეცა ჩემთვის, არც სასმელი. უახლოესი ექიმი სან ხუან დე ურაბაში იმყოფებოდა, აქედან ორი დღის სავალზე.

ნახევარ საათში სახლში მივედით. ხის რუდიმენტალურ კონსტრუქციას გზის მხარეს თუთიის სახურავი ფარავდა. სახლში სამი კაცი და ორი ქალი დაგვხვდა. ყველა ერთად მომეხმარა ჯორიდან ჩამოსვლაში, საწოლ ოთახში წამიყვანეს და ტილოს ქვეშაგებში ჩამაწვინეს, ერთი ქალი სამზარეულოში შეავდა და ქვაბით დარიჩინის ნახარში გამოიტანა, საწოლზე ჩამომიჯდა და რამდენიმე კოვზი დამალევინა. პირველი წვეთების შემდეგ უიმედობა დამეუფლა. შემდეგ მხნეობა დამიბრუნდა. იმდენად წყალი აღარ მინდოდა, რამდენადაც ჩემი თავგადასავლის მოყოლა.

იქ კატასტროფის შესახებ არაფერი სმენოდათ. ვცადე ამეხსნა და დაწვრილებით მომეყოლა ყველაფერი, რომ გაეგოთ, როგორ გადავრჩი. მე მეგონა, მსოფლიოს რომელ კუთხეშიც არ უნდა მოვხვედრილიყავი, ყველას ეცოდინებოდა კატასტროფის ამბავი. რომ გავიგე, ვცდებოდი, სანამ ქალი ავადმყოფი ბავშვივით კოვზით მასმევდა დარიჩინის ნახარშს, გული დამწყდა.

რამდენჯერმე ვცადე ჩემი თავგადასავლის მოყოლა. ოთხი კაცი და დანარჩენი ორი ქალი გაუნძრევლად იდგა ფეხზე ჩემი საწოლის გვერდით, თითქოს რაღაც რიტუალს ასრულებენო. რომ არა ზვიგენებისგან და ზღვის მრავალრიცხოვანი ხიფათისგან გადარჩენით გამოწვეული სიხარული, ვიფიქრებდი, ეს ხალხი ჩვენი პლანეტის მკვიდრნი არ არიან-მეთქი.

ამბის გაგრძელება

ქალი მონდომებით მასმევდა ნახარშს და მის კეთილგანწყობაში ეჭვი არ მეპარებოდა. მაგრამ რამდენჯერაც მოყოლას დავიწყებდი, მაჩერებდა.

— ახლა დაწყნარდით, მერე მოგვიყევით.

ყველაფრის შეჭმა შემეძლო, რასაც მივწვდებოდი. სამზარეულოდან სადილის ოხშივარი გამოდიოდა, მაგრამ ჩემი ყედრება ამაო იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ექიმი რომ გაგსინჯავთ, მერე გაჭმევთ, — მპასუხობდნენ ისინი.

ექიმი არ მოდიოდა. ყოველ ათ წუთში შაქრიან წყალს მაძლევდნენ კოვზით. ქალებში ყველაზე უმცროსმა გოგონამ ჭრილობა თბილ წყალში დასველებული ნაჭრით მომიხუფთავა. დღე ნელა გადიოდა და თანდათან შვებას ვგრძნობდი. დარწმუნებული ვიყავი, კარგ ხალხში მოვხვდი. შაქრიანი წყლის ნაცვლად რომ საჭმელი მოეცათ, ჩემი ორგანიზმი ამოდენა ცვლილებას ვერ გაუძლებდა.

კაცს რომელმაც გზაზე მიპოვა, დამასო იმიტელა ჰქვია. ცხრა მარტის დილის ათ საათზე, ჩემი ნაპირზე გამორიყვის დღეს, ის მეზობელ დასახლება — მულატოსში გადავიდა და პოლიციელების თანხლებით დაბრუნდა. არც მათ სმენოდათ რამე ტრაგედიაზე. მულატოსშიც არავინ არაფერი იცოდა. იქ გაზეთებს არ ღებულობდნენ. დუქანში, სადაც ელექტროძრავაა დამონტაჟებული, რადიო და მაციყარი დგას, მაგრამ რადიოგაზეთს არავინ უსმენს. როგორც შემდეგ შეიტყვე, დამასო იმიტელამ პოლიციელებს უთხრა, რომ მე მიპოვა, რომ მომაკვდავი ვეგდე პლაჟზე და რომ ჩემი სიტყვებით ნალმოსან „კალდასიდან" ვიყავი გაქცეულიო, მათ ძრავა ააბუშავეს და მთელი დღე უსმენდნენ კარტახენას რადიოგაზეთს, მაგრამ იქ უკვე აღარ ლაპარაკობდნენ კატასტროფაზე. მხოლოდ ღამის მიმოხილვაში გააკეთეს პატარა ინფორმაცია. მაშინ ყველა პოლიციელი და სამიცი მულატოსელი ჩემს დასახმარებლად გამოემართა. თორმეტი საათი შესრულებული იყო, სახლში რომ შემოიჭრნენ და გამომაფხიზლეს თორმეტი დღის შანძილზე ერთადერთი მშვიდი ძილისგან. გათენებამდე სახლი ხალხით იყო სავსე. მთელი მულატოსი — კაცები, ქალები და ბავშვები — ჩემს სანახავად დაიძრა. ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო ცნობისმოყვარე ბრბოსთან, რომელიც მომდევნო დღეებში ერთი ნაბიჯითაც არ მომშორდება. ხალხს ელემენტებზე მოძუშაე ჯიბის ფარნები წამოელო. მულატოს ინსპექტორმა და მისმა თანამშრომლებმა სწოლში რომ შემანჯღრიეს, მეგონა, მზისგან დამწვარი ტყავი მისკდებოდა. ნამდვილი თაედასხმა იყო. ცხელოდა. მზრუნველსახიან ბრბოში მოქცეულს ჰაერი არ მყოფნიდა. ეზოში რომ გამოვედი ელექტრო და ჯიბის ფარნებს შუქმა თვალი მომჭრა. ჩურჩული და პოლიციის ინსპექტორის ხმამაღალი გაცემული ბრძანებები მესმოდა, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი. ნალმოსნიდან გადმოვარდნის შემდეგ უცნობი მიმართულებით მივცურავდი ზღვაში და ახლაც, მიწაზე, გამთენიისას, ასევე უცნობი მიმართულებით სვლას ვაგრძელებდი. წარმოდგენა არ მქონდა, რას მიპირებდა ეს კეთილი და მონდომებული ბრბო.

ფაკირის ამბავი

იმ ადგილიდან, სადაც მიპოვეს, მულატოსამდე გრძელი და ძნელად სავალი გზაა. მე გრძელ ჯოხზე ჩამოკიდებულ ჰამაკში ჩამაწვინეს. ჯოხებს ორივე მხრიდან ორ-ორმა კაცმა მოჰკიდა ხელი და გრძელ, ვიწრო ოღროჩოღრო და

ფარნებით განათებულ გზას გავუყევით. სუფთა ჰაერზე მივდიოდით, მაგრამ ფარნების გამო ისე ცხელოდა, როგორც ჩაკეტილ ოთახში.

რვა კაცი ყოველ ნახევარ საათში ენაცვლებოდა ერთმანეთს. მე დროდადრო ცოტა წყალსა და სოდიანი გალეტების ნატეხებს მაძლევდნენ. მაინტერესებდა, სად მივყავდით და რას მიპირებდნენ. იქ ყველა ლაპარაკობდა, ჩემს გარდა. ინსპექტორი, ბრბოს რომ ხელმძღვანელობდა, ჩემთან დალაპარაკების უფლებას არავის აძლევდა. გრძელ გზაზე ბრძანებები, ყვირილი და კომენტარები ისმოდა. მულატოსის მთავარ ქუჩას რომ მივადექით, რვა საათი ხდებოდა.

მულატოსი მეთევზეთა დასახლებაა. იქ ტელეგრაფი არ არის. უახლოესი დაბა სან ხუან დე ურაბაა, სადაც კვირაში ორჯერ თვითმფრინავი ჩადის მონტერიადან. დასახლებაში რომ მივედით, მეგონა, დანიშნულების ადგილს მივაღწიეთ-მეთქი, ეფიქრობდი ოჯახის ამბავს შევიტყობდი, მაგრამ მულატოსი გზის ნახევარი ყოფილა.

ერთ სახლში მომათავსეს და ხალხი რიგში ჩადგა ჩემს სანახავად. ორი წლის წინ ბოგოტაში ნანახი ფაკირი მომაგონდა, რომლის ნახვა ორმოცდაათი ცენტავო ღირდა. მის სანახავად რამდენიმე საათი გრძელ რიგში უნდა მდგარიყავი, ყოველ თხუთმეტ წუთში ნახევარი მეტრით რომ მიიწევდა წინ და მინის ჭურჭელში მოთავსებულ ფაკირთან მიახლოებისას უკვე აღარავის ნახვა არ გინდოდა, ერთადერთი სურვილი გრჩებოდა, რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდი იქაურობას, რომ ფეხი გაგემართა და სუფთა ჰაერი ჩაგესუნთქა.

ჩემსა და ფაკირს შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ ფაკირი მინის კოლოფში იჯდა. ფაკირს ცხრა დღე არ ეჭამა. მე ათი დღე გავატარე ზღვაში და ერთი დღე მულატოსში. ვხედავდი ჩემს წინ უზარმაზარ რიგში ჩამდგარ თეთრ და შავ სახეებს. აუტანელი სიცხე იდგა. მე უკვე ისე მოვმაგრდი, რომ იუმორის გრძნობა დამიბრუნდა და ეფიქრობდი, ნეტავ, კარში ხომ არ დგას ვინმე და კატასტროფის მსხვერპლის სანახავად ბილეთებს ხომ არ ჰყიდის-მეთქი.

იგივე ჰამაკით გამამგზავრეს სან ხუან დე ურაბაში. ჩემი თანმხლები ბრბო გაიზარდა. ახლა ექვსას კაცზე ნაკლები არ მომდევდა. კაცებს ქალები, ბავშვები და შინაური ცხოველები მოჰყვებოდნენ. ზოგი ჯორზე ამხედრებულიყო, მაგრამ უმრავლესობა ფეხით მომდევდა. თითქმის მთელი დღე დავყავი გზაში ექვსასი კაცის თანხლებით, მორიგეობით რომ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ჰამაკის წაღებაში. ვგრძნობდი, როგორ მიბრუნდებოდა ძალა. მულატოსში, მგონი, კაცი შვილი აღარ დარჩა. დილის პირველი საათებიდან ელექტროძრავა ჩართეს და დასახლებას მუსიკის ჰანგები მოეფინა. ეს ყველაფერი დღესასწაულს ჰგავდა და მე, დღესასწაულის მთავარი პირი საწოლში ვეგდე, სანამ ხალხი რიგს იკავებდა ჩემს სანახავად. იმ ხალხმა არც მერე მიმატოვა და მიხვეულ-მოხვეულ გზაზე გრძელ ქარავნად გაჭიმული სან ხუან დე ურაბაში გამომყვა.

გზაში მშიოდა და მწყუროდა. სოდიანი გალეტების ნატეხებმა და შაქრიანმა წყალმა მომამაგრა და მადა გამიხსნა. სან ხუანში შესვლამ სოფლის ფიესტა მომაგონა. ქარით დაგვილი პატარა და ლამაზი დაბის ყველა მცხოვრები ჩემს შესახვედრად გამოსულიყო. ცნობისმოყვარეთა თავიდან ასაცილებლად უკვე მიღებული იყო ზომები. პოლიციამ შესძლო შეეჩერებია ჩემს სანახავად გამოსული ბრბო, რომელსაც გზა ჩაეკეტა.

იქ დასრულდა ჩემი მგზავრობა. ექიმმა უმბერტო გომესმა, პირველმა ექიმმა, რომელმაც მიწაზე გამსინჯა, კარგი ამბავი მაცნობა. ოლონდ ჯერ გასინჯვა და-

ამთავრა, დარწმუნდა, რომ სიხარულს გადაეტანდი, ლოყაზე ხელი მომითათუნა, თავაზიანად გამიცინა და მითხრა:

— თვითმფრინავი მზადაა კარტახენაში თქვენს წასაყვანად. იქ უკვე გიცდით ოჯახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIV

ჩემი გმირობა ის არის, რომ არ მოვკვდი

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ გმირად ქცევისთვის საკმარისია ათი დღე გატარო ტივზე მშიერ-მწყურვალმა. მე სხვა გამოსავალი არც მქონდა. ტივზე ჩალაგებული გალეტები, სასმელი წყალი და სათევზაო მოწყობილობა რომ მქონოდა, ისეთივე ცოცხალი ვიქნებოდი ,როგორც ახლა ვარ. ოღონდ გმირად არ მომნათლავდნენ. ასე რომ, ჩემი გმირობა ისაა, ათი დღე შიმშილს და წყურვილს თავი რომ არ მოვაკვლევინე.

გმირად გახდომისთვის მე არავითარი ძალისხმევა არ გამიწევია, მხოლოდ თავის გადარჩენას ვცდილობდი, მაგრამ რახან ხსნა გმირობის ორეოლში გახვეული გამომეცხადა, როგორც შოკოლადში მოთავსებული გემრიელი შიგთავსი, სხვა რა გზა მქონდა, მივიღე იგი ისე, როგორც მოვიდა — გმირის წოდებითა და სხვა რეგალიებით.

ჩემს თავს ვეკითხებოდი, როგორ გრძნობს თავს გმირი-მეთქი და არ ვიცოდი, რა მეპასუხა. მე ხომ ისევე ვგრძნობ თავს, როგორც ადრე. არც შინაგანად შევცვლილვარ, არც გარეგნულად. მზით დამწვარი კანი აღარ მტკივა. მუხლის ჭრილობაც შემიხორცდა, ისევ ლუის ალეხანდრო ბელასკო ვარ და ეს საკმარისია.

სამაგიეროდ ხალხი შეიცვალა. ჩემი მეგობრები უფრო მემეგობრებიან და ვფიქრობ, მტრები უფრო მმტრობენ, თუმცა, არა მგონია, მტერი მყავდეს. თუ ვინმე ქუჩაში მიცნობს, ჩერდება და ეგზოტიკური ცხოველივით მათვალიერებს. ამიტომ ვცდილობ სამოქალაქო ტანსაცმლით ვიარო, სანამ ხალხს ტივზე გატარებული უჭმელ-უსმელი ათი დღე დაავიწყდება.

თავს რომ მნიშვნელოვან კაცად თვლი, პირველად იმას გრძნობ, რომ ხალხს არ ბეზრდება დღე და ღამე შენზე ლაპარაკი. ამას ჯერ კიდევ კარტახენას საზღვაო ჰოსპიტალში მივხვდი, სადაც დარაჯები დამიყენეს, რომ ჩემთან არავის ელაპარაკა. სამ დღეში სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ჰოსპიტლიდან არ მიშვებდნენ. ვიცოდი, საავადმყოფოდან რომ გამწერდნენ, ჩემი თავგადასავალი მთელი ქვეყნისთვის უნდა მომეყოლა, რადგან, როგორც ჩემი მცველები ამბობდნენ, ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ჟურნალისტები ჩემი სურათების გადასაღებლად და რეპორტაჟების დასაწერად. ერთმა მათგანმა ოცსანტიმეტრიანი შთამბეჭდავი ულვაშები რომ ამშვენებდა, ორმოცდაათი სურათი გადამიღო, მაგრამ ნება არ დართეს კითხვები დაესვა.

მეორე, უფრო მოხერხებული, ექიმის ხალათში გადაცმული შემოიპარა პალატაში, მცველები გააცურა და დამსახურებულად გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ ცუდი დღე დაადგა.

ერთი რეპორტაჟის ამბავი

ჩემს ოთახში მხოლოდ მამაჩემს, მცველებს, საზღვაო ჰოსპიტლის ექიმებსა და ექთნებს უშვებდნენ. ერთ დღეს კარი უცნობმა ექიმმა შეაღო. ძალიან ახალგაზრდა იყო, თეთრი ხალათი ეცვა, საოვალე ეკეთა და ყელზე ფონენდოსკოპი ეკიდა. გაოცებულმა დაცვის უფროსმა ექიმს შეხედა, და პერანგების დამადასტურებელი საბუთი მოსთხოვა. ახალგაზრდა ექიმმა ჯიბეში ... ამოიღო და ოდნავ ძეცბუხებულმა თქვა, საბუთები დამავიწყდაო. მაშინ დაცვის უფროსმა გააფრთხილა, რომ ჰოსპიტლის დირექტორის ნებართვის გარეშე ჩემთან საუბარი არ შეიძლებოდა. ისინი დირექტორთან წავიდნენ და ათ წუთში დაბრუნდნენ.

ჯერ დაცვის უფროსი შემოვიდა და მითხრა, რომ ექიმს ნება დართეს თხუთმეტი წუთი გავესინჯე, რომ ის ბოგოტელი ფსიქიატრია, თუმცა მას გადაცმული ჟურნალისტი ჰგონია.

რატომ გგონიათ-მეთქი, ვკითხე.

— იმიტომ, რომ ძალზე შეშინებულია. ამას გარდა, ფსიქიატრები ფონენდოსკოპს არ ატარებენ.

მას თხუთმეტი წუთი უსაუბრია ჰოსპიტლის დირექტორთან. ორივე რთული, სამედიცინო ტერმინოლოგიით ლაპარაკობდა და მალე გაუგეს ერთმანეთს. ამიტომ ახალმოსულს ნება დართეს თხუთმეტი წუთი გავესინჯე.

არ ვიცი, ოფიცრის გაფრთხილებამ იმოქმედა, თუ რა იყო, ახალგაზრდა ექიმი რომ შემოვიდა, ექიმად აღარ მომჩვენებია. არც რეპორტიორს ჰგავდა, თუმცა იქამდე რეპორტიორი არც მენახა. ექიმის ტანსაცმელში გადაცმულ მღვდელს მივამსგავსე. მომეჩვენა, რომ არ იცოდა, რით დაეწყო. თურმე ფიქრობდა, როგორ გაეტყუებია დაცვის უფროსი გარეთ.

— ქალალდი მიშოვეთ, თუ შეიძლება, — სთხოვა მას.

ალბათ იფიქრა, ოფიცერი ქალალდის მოსატანად კაბინეტში გავიდოდა, მაგრამ მას ნაბრძანები ჰქონდა არ დავეტოვებინე, ამიტომ დერეფანში არ გასულა. კარი გააღო და დაიძახა:

— საწერი ქალალდი მომიტანეთ სასწრაფოდ!

ქალალდი მაშინვე მოიტანეს. უკვე ხუთი წუთი გავიდა, ექიმს კი ჯერ არაფერი ეკითხა. ქალალდი რომ მოუტანეს, ჩემი გასინჯვა დაიწყო. ფურცელი გამომიწოდა და მთხოვა გემი დამეხატა. მე დავხატე. შემდეგ მთხოვა ხელი მომეწერა. მოვაწერე. ბოლოს საგარაკო სახლის დახატვა მთხოვა. მე ძალიან მოვინდომე და სახლის გვერდით ბანანის ხეც დავხატე. ისევ რომ მითხრა ხელი მომეწერა, დავრწმუნდი, ნამდვილად გადაცმული რეპორტიორი იყო. მაგრამ ის თავისას ამტკიცებდა, ექიმი ვარო.

ხატვას რომ მოვრჩი, ფურცლები შეამოწმა, რამდენიმე აბსურდული სიტყვა თქვა და ჩემი თავგადასავლის შესახებ დამიწყო კითხვების მოცემა. აქ დაცვის უფროსი ჩაერია და უთხრა, რომ ასეთი კითხვების დასმა აკრძალული იყო. მაშინ მან ექიმივით გამისინჯა სხეული. გაყინული თითები ჰქონდა. ოფიცერს რომ შეხებოდა, ის ნამდვილად პალატიდან მოისვრიდა. მაგრამ მე არაფერი ვთქვი. მისმა ნერვიულობამ და იმ ფაქტმა, რომ შეიძლებოდა მართლა რეპორტიორი ყოფილიყო, სიმპათია აღმიძრა. იგი ნაბოძები თხუთმეტი წუთის გასვლამდე ისარივით გაიჭრა გარეთ.

მეორე დღეს ამბავი დატრიალდა! ჩემი ნახატები „ელ ტიემპოს" პირველ გვერდზე გაჩნდა ისრებითა და წარწერით: „აქ ვიყავი მე". ისარი გემის ქიმის-

ᲥᲜᲘᲐᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲔᲡ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲔ ᲭᲘᲛᲖᲔ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲙᲘᲩᲮᲝᲖᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲔ ᲛᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ.

ᲨᲔᲛᲝᲛᲗᲐᲕᲐᲖᲔᲡ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲛᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲩᲘᲕᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲕᲥᲔᲜᲘ. ᲐᲚᲓᲔᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘᲗ, ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲐᲗᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲛᲣᲚᲛᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲛᲘᲒᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲨᲘ. ᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲜᲐ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲕᲐᲠ, ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲛᲔᲪᲘᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲪᲕᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐ, ᲣᲙᲕᲔ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲧᲝᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲐ.

ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲫᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ

ᲔᲥᲘᲛᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲪᲛᲣᲚᲛᲐ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲛᲐ ᲛᲘᲛᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲔᲚᲝᲓᲜᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲐᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲔᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲐᲗ. ᲩᲔᲛᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲔᲠ ᲛᲝᲛᲐᲧᲝᲚᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ. ᲑᲝᲒᲝᲢᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲐᲔᲠᲝ�პᲝᲠᲢᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲮᲕᲓᲜᲔᲜ,ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲔᲓᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲛᲘᲚᲝᲪᲐ. ᲘᲥᲕᲔ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲤᲚᲝᲢᲨᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲕᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲓᲔᲢᲘᲡ ᲩᲘᲜᲘᲗ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲓᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ.

ᲬᲘᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲣᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲐᲛ ᲛᲔᲚᲝᲓᲐ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲛᲔ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲝᲓᲘᲡᲔᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲔᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲠᲐᲛᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐᲗ. ᲛᲔ ᲛᲐᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲮᲣᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲪᲔᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲭᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲐᲨᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲛᲘᲕᲘᲦᲔ. ᲑᲔᲓᲛᲐ ᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲤᲘᲠᲛᲐᲛ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲔᲡᲝ ᲛᲝᲛᲪᲐ. ᲠᲐᲓᲘᲝᲗᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲧᲝᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲮᲣᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲔᲡᲝ ᲐᲕᲘᲦᲔ. ᲕᲔᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲔᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲓ ᲛᲔᲥᲪᲔᲝᲓᲐ. ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲓᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲔᲡᲝ ᲓᲐᲕᲐᲒᲠᲝᲕᲔ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲓᲘ ᲘᲛ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐᲡ.

ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲝᲠᲓᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘᲐ. ᲕᲓᲒᲔᲑᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲗ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲜ ᲙᲐᲤᲔᲨᲘ ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲣᲑᲠᲝᲓ, ᲐᲜ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲣᲟᲔᲥᲢᲔᲑᲡ. ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲓᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠ ᲙᲘᲜᲝᲨᲘ ᲔᲠᲗ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲕᲘᲪᲧᲕᲘ, ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲐ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲕᲘᲦᲔᲑ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲓᲐᲜ. ᲞᲔᲠᲔᲑᲠᲐᲓᲐᲜ, ᲮᲔᲚᲛᲘᲬᲔᲠᲘᲗ Ხ. Ვ. Ჯ. ᲛᲘᲕᲘᲦᲔ ᲢᲘᲕᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲗᲝᲚᲘᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲔᲛᲐ ᲛᲔᲠᲘ ᲔᲓᲠᲔᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲘᲯᲣᲙᲕᲔᲗᲐ, ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲓᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲥᲥᲝᲜᲓᲘ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲬᲔᲠᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ.[1]

ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲔᲠᲗ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲧᲔᲕᲘ. ᲐᲛᲐᲡ �გᲐᲠᲓᲐ ᲛᲝᲕᲣᲧᲔᲕᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲮᲣᲪ ᲥᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲛᲘᲛᲘᲬᲕᲘᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲒᲝᲜᲘᲐ. ᲗᲣ ᲐᲡᲔᲐ, ᲒᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲨᲘᲠᲐᲡ ᲔᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ ᲐᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ?

---

1 ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔ.

იური სბიჯნევი

კანონს გარეშე

მოთხრობა

თარგმნა ნინო სამუკაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვა უკან იხევდა. შორს, შორს მიიწევდა ნაპირიდან და სადაც სულ ცოტა ხნის წინათ აქოჩრილი ტალღები ერთმანეთს აწყდებოდა, ქაშაყისა და ნავაგას ქარავანი კი ქარავანს მისდევდა ამოკის შესართავისკენ, მკვდარი მედუზების რუხმომწვანო ლორწოთი და ზღვის კომბოსტოს ნაფლეთებით მოფენილი ფსკერი მოშიშვლდა.

ზღვა სწრაფად იხევდა უკან, მეჩეჩზე ყინულის ვეება ხორგებს ტოვებდა. მზედაკრული ხორგები ნელა დნებოდა, წვეთები იდუმალი წკაპუნით ეცემოდა ქვებს. მეჩეჩი ყარდა, თევზის და, კაცმა არ იცის, კიდევ რისი სუნი ტრიალებდა იქ. ბამბურა წყალმცენარეებით და ზღვის წვრილ-წვრილი კიბოს თეთრი ბაკანით დაფარული ლოდები თუ ბოძივით სწორი ქვები ეუღლად მოჩანდა კენჭების გროვაში. დახოცილ, მსუქან სელაპებს ლაპლაპი გაუდიოდა მზეზე. ზღვის მოქცევის დროს დილაადრიანად სელაპებზე ნადირობდა კეშა დუბილკინი. ამოტივტივებული სელაპები საათითაოდ ამოკრიფა და ძველ მორთან დაალაგა, დანარჩენები უკუქცევის დროს უნდა ამოეთრია. ივლის კეშა ამ მეჩეჩზე ხის ქერქის ყელმაღალი ქალამნებით, მუხლამდე ჩაეფლობა მყრალ ლიამპალებში, უწყინარი გინებით ჩაავლებს ხელს სელაპს კუდში და თითო-თითოდ წაათრევს ნაპირისკენ. მეჩეჩზე კი მანამ დარჩება ფართო ნაკვალევი, ვიდრე ისევ ზღვა არ დაფარავს.

ჯერხანად კი ამ მეჩეჩზე ყურთასმენის წამლები ყიბყიბით ირევიან თოლიები. თაეთხელზე, ხნარცვებში თევზი ფუთფუთებს. ერთ ხნარცვში იმდენი თევზია, წყალი აუქაფებია. ვიწრო ტოტი, მდინარის კალაპოტთან რომ აერთებს ამ ხნარცვას, კეშამ ტირითის წნელისაგან მჭიდროდ დაწნული ფაცერით გადალობა და ახლა თავისი ნახელავით ტკბება, თან ამთქნარებს, ცალი ხელით მზისა და ოფლისგან ჩაშავებულ კისერს იფხანს.

ურიცხვი კოღო ღრუბლის ქულასავით ჰკიდია ჰაერში, მიგრამ კეშას არც ერთი არ ეკარება. თუ რომელიმე უცაბედად გაებლანდება გაბანჯგლულ წვერში, ისეთ წუილს მორთავს, თითქოს ბადეში გაებაო. ათი ნაბიჯიდან იგრძნობს ადამიანი კვამლის, ღანძილის და სელაპის დამპალი ქონის სუნს, კეშას რომ უდის.

კეშას სახე ისე დაუფარავს ჟღალ წვერს, რომ ძნელი გამოსაცნობია, რა ხნისაა. ამ ხშირი ბალნიდან ქვეყანას ორი შავი, მახვილი თვალი და ჭარხალივით წითელი, აქერცლილი ცხვირი გამოჰყურებს.

ბოხი ხმა აქვს კეშას, ოდნავ ხრინწშერეული, ხელით ნაკეთებ უზარმაზარ ყალიონს პირიდან არ იშორებს და ამის გამო ოდნავ ჩლიფინებს. და-

ლის ფეხებგაჩაჩხული, მძიმედ, უჩუმრად დააბიჯებს. მარცხენა მხარი წინა აქვს წაგდებული, მაგრამ მისი დინჯი, აჯაბაჯა ნაბიჯი თვალს ატყუებს, — კეშამ ჩქარი სიარული იცის.

მზე ბორცვებს შემოადგა, მეჩეჩი ააბრჭყვიალა და მონადირეს თავზე დააცხუნა. ზღვა ნაპირიდან შორს მოიქცა, მიწყნარდა, მოიქანცა. უბის ყელში ყინულის ხორგები ყრუ დგრიალით შეასკდა ერთმანეთს. დაშოშმინდა. მი-ეუჩდა ტაიგა. მხოლოდ ლარიქსების ხმელ კენწეროებზე შემომსხდარი ყვავები ყრანტალებდნენ საზიზღრად: ყვ-ა-ა, ყვ-ა-ა!

კეშას ორი ძაღლი, ბურაკა და სიასამურა მუცლით მიხოხდნენ გაშეშებულ სელაპთან, პატრონს ცერად გახედეს და შავი, შედედებული სისხლის ლოკვა დაიწყეს.

ხნარცვში თევზი მოიქანცა, ნელა ტრიალებს. ამიტომ წყალი დაწდა, სქელი ბრკე მოიგდო.

კეშამ სისხლით დალაქავებული, გახეშეშებული შარვალი გაიხადა. დიდხან იცოდვილა, ვიდრე რეცხვისგან გაცრეცილ ნიფხვის ზონრებს შეიხსნიდა. წამით თეთრად იელვა ბარძაყებმა. მერე წყალში შევიდა, კარგა ხანი იჯახირა ხნარცვში, მსუქან ქაშაყებს არჩევდა თევზებში, დიაცივით ვიშვიშებდა, როცა ლრანტებში ჩავარდებოდა, თან იგინებოდა.

ერთი საათის შემდეგღა ამოიღო ფაცერი და დარეტიანებული თევზი ამუკის კალაპოტში გაუშვა. მაგრამ ნაწილი თევზისა მაინც განწირული იყო, იქ უნდა დამპალიყო, მზის ქვეშ. დიდი მოქცევა კარგა ხანს ვერ მოაღწევდა ხნარცვამდე (კეშაზე უკეთ ვინ იცოდა ეს), ამ ხანში კი თევზი დალპებოდა და მისი სუნი ტაიგის ბატონ-პატრონს გამოიტყუებდა. ეს მეავე, მყრალი სუნი შეუხიცინებს შავ, დამსკდარ ნესტოებში, ზამთრის ძილში მოთელილ ბეწვს აუშლის ქეჩოზე, ეს სუნი მოიწვევს დიდ ღრეობაზე, დათვი გამოვა, ესათუოდ გამოვა დიდ ხნარცვთან და თავის ვეება დრუნჩს ჩაატაკებს რუხ სილაში. კეშა კი ერთი გასროლით გააგორებს. ამ კუნძულს არ შეიძლება ორი ბატონი ჰყავდეს. კუნძულის ბატონი მხოლოდ კეშაა. ეს იცის ტაიგამ, ზღვამ, ცელამ, ყველამ იცის, მხოლოდ მძვინვარე ყურჩამოხეულმა მურა დათვმა არ იცის. გადამთიელია, შარშან გაზაფხულზე მობრძანდა ამ კუნძულზე, უფრო სწორად, ყინულის დიდმა ხორგმა მოაცურა ხმელეთიდან (ასეთი რამეც ხდება), და უმალ აქაურობის ბატონ-პატრონად დაიგულა თავი. სხვებმა კეშას ხასიათი იციან, ცხოვრობენ თავისთვის ყურად, არც თვითონ უშლიან ხელს კეშას, არც კეშა უშლის მათ. მურა დათვმა კი ირწმუნა, ჩემია აქაურობა, და სწორედ ამიტომაც წააგებს თავს.

შარშან ყურჩამოხეულმა დათვმა ბებერი ქორბუდა მოკლა. ის ბებერი ქორბუდა კეშას ზამთრის სადგომის მახლობლად ცხოვრობდა წლების მანძილზე. სარწყულებელთან დაუდარაჯდა და ტორი გაჰკრა ფერდში. ქორბუდა წყალ-წყალ მირბოდა გულშემზარავი ბღავილით და თავისი სისხლით ამუკის წყალს ვარდისფრად ღებავდა; ჭირის ოფლი ხვითქად გადასდიოდა; ჭრილობიდან ნელ-ნელა გამოუცოცდა შიგნეული, მაგრამ მაინც გარბოდა, გარბოდა. ბოლოს კეშას სადგომის მახლობლად წყალში ჩაწვა დაჭრილი ფერდით, თავის ენაზე შესჩიოდა ტაიგას, ზეცას და.. ადამიანს. კეშა მდინარესთან მივიდა, დიდხანს ჩასცქეროდა ბებერ, ალერსიან თვალებში ქორბუდას. უნდოდა ტანჯვა შეემსუბუქებინა მისთვის, მაგრამ ვერ გაბედა ნადირის მოკვლა, ყოყ-

მანობდა. ქორბუდა ალარ ბღაოდა, ალარც კვნესოდა, მხოლოდ გულსაკლავად, უიმედოდ ოხრავდა. კეშამ მუქარით მოუღერა მუშტი ტყის პირას მოდებულ ხშირ ბარდებს, საიდანაც (ამაში ეჭვი არ ეპარებოდა) თვალს ადევნებდა გადამთიელი ყაჩაღი, და სადგომისკენ წავიდა თოფის გამოსატანად. როცა მდინარესთან დაბრუნდა, დაინახა, რომ ქორბუდას კუნერი გადაეგლო, რქები უკან გადაეყარა და გაცოცებულიყო, თუმცა თვალთაგან მაინც სცვიოდა ცრემლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვი მთელი ზაფხული იკლებდა კუნძულს. ფუტკრის ოთხი ოჯახი გაანადგურა, დაგლიჯა ბადე, დახრა მსუბუქი, ამოთლილი ნავი და ბოსტანში კარტოფილის კვლები გადაუჯეგა კეშას. ზაფხულის განმავლობაში ორჯერ შეხვდა ყურჩამოხეულს მონადირე, შეხვდა პირისპირ, მაგრამ მხეცი ორჯერვე გაექცა. ვეება, მურა დათვი მძლავრი იყო, მარჯვე ხშირი, გრძელი ბანჯგვლი ჰქონდა. ჩამოხეული მარცხენა ყური თასმასავით ეკიდა. საზამთროდ რომ ძილი დააპირა, კვალი აფრ-დაფრია, ხეთი ბუნაგი ამოთხარა, მაგრამ დასაძინებლად სადღაც მეექვსეში ჩაწვა. იმ მეექვსე ბუნაგს კი, მისდა გასაოცრად, კეშამ ვერ მიაგნო.

ყურჩამოხეული ამ გაზაფხულზეც ჩვეულებისამებრ თარეშობდა, ოხრებდა კუნძულს.

კეშამ ახალი სადგომის ასაგებად ზამთარშივე მოამზადა მორები. შუაგულ კუნძულზე, ტაველაკის ნაპირას შეარჩია ადგილი და ციცაბო ფლატესთან, იმ წყაროს მახლობლად დაალაგა მორები, საიდანაც სათავეს იღებს ნაკადული ჩქარეული. უკეთეს ადგილს ვერ ინატრებდა ადამიანი: ირმის ხავსით დაფარულ სწორ მოედანს ჩრდილოეთით გორაკი იცავდა ცივი ზღვაურისაგან, ნიადაგ რომ ჰქროდა, სამხრეთით მდინარე ტაველაკის გრძელზე გრძელი ხეობა იყო გადაჭიმული, მოჩანდა ბოშიმგლებული ბორცვები, შემოდგომაზე, მოცვის დამწიფებისას წითლად რომ ღუოდნენ. დასავლეთითა და აღმოსავლეთით კი ციცაბო გორები გასდევდა. იქ ბუდობდა სიასამური. წყაროს წყალი ცივი იყო, ანკარა, გემრიელი.

სამი დღის წინათ მივიდა კეშა შერჩეულ ადგილზე და პირკატა ეცა. სადღა იყო მორები? მუერა დათვს ეგორებინა და საფირფიტოდ გადაეყარა მდინარეში, ირმის ხავსი დაეგლიჯა, იქაურობა გაეოხრებინა, მერე ტაიგას ზღვისკენ გაპყოლოდა, გზადაგზა ნორჩი ხეებიც დაელეწა.

კეშა დათვის კვალს დაადგა.

შუადღემდე მოუნდა დახოცილი სელაპების გამოშიგვნას და დაბინავებას. აქნა და მზის გულზე, მთელი მეჩეჩის გასწვრივ, ხორცის წითელი ნაჭრები წვეტიან მარგილებზე წამოაცვა. ორი ტყავი და ვარდისფერი ქონის ნაფლეთები იქვე დაყარა ნადირის მისატყუებლად.

ზღვიდან გრილმა ნიავმა დაჰქროლა, ჰაერში ღრუბლის ქულასავით დაკიდული კოღო მიჰფანტ-მოჰფანტა. წყალმა იმატა, ნაპირისკენ დაიძრა ყინულის ხორგები. ზოგ ლოდზე სელაპი თვლემდა, მაგრამ კეშას ალარ ედარდებოდა სელაპები. დილას ხომ ბლომად დახოცა. მარგილებზე ჩამოკიდული ხორცი გახმება, მერე კეშა ამ ხორცს ბელელში შეინახავს და ზამთარში ძაღლებს აჭმევს. სელაპის ღვიძლი კი — ყველა სატკივრის უებარი წამალი — იქვე, ზღვის პირად მოხარშა და შეჭამა. ხორხოშა რუხ მარილს აყრიდა ცვრიან ნაჭრებს და მადიანად შეექცეოდა. ამას გეახლებოდათ ხოლმე კეშა ყოველ

ვაზაფხულზე, ამიტომ არ ავადმყოფობდა. სწამდა, რომ სელაპის ღვიძლი ყველა სატკივრის უებარი წამალია.

ახალი ხორცითა და შიგნეულით გამაძღარი ძაღლები მორის ძირას ჩრდილში მიეყარნენ და დაიძინეს. კოლო ესეოდათ, საცოდავად წკმუტუნებდნენ ძილში. კეშაც ხის ძირას გაწვა, თვალის მოსატყუებლად, იმ დილას უთენია ადგა და დაქანცული სხეული დასვენებას სთხოვდა.

კეშა ათი წლის წინათ ჩამოვიდა კუნძულ შატარზე მონადირეებთან ერთად. „ოლგამ“, ორანძიანმა ნავმა ჩამოიყვანა ისინი. მათი კარავი მთელი თვე იდგა ნაპირის მახლობლად, ყინულის ხორგებში ხოცავდნენ სელაპებს, ხანდახან კეშა ნაპირზეც გადადიოდა, ათვალიერებდა კუნძულს, ყურს უგდებდა ტიგის ხმაურს, მდინარისა თუ ნაკადულის დუდუნს; დიდხანს გაჰყურებდა დაისს, ზღვის უკიდეგანო სივრცეში ნელ-ნელა რომ იფეროვლებოდა და ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, მთელი ზამთარი დავრჩები აქ სანადირადო.

კეშას არ უყვარდა სელაპებზე ნადირობა, ეს უფრო მკვლელობას ჰგავდა. სულელი, მოუქნელი სელაპები ყინულის ლოდებზე იწვნენ, კეთილი, წყლიანი თვალები დახუჭული ჰქონდათ. ძილში ხოცავდნენ ხან ტყვიით, ხან კი, როცა სელაპი უამრავი იყო და მაგრად ეძინათ, ტყვიას იზოგავდნენ, კეტებს ურტყამდნენ. მოცისფრო ყინული წითლად იფერებოდა, სისხლი წყლის ზედაპირზე ტივტივებდა, კარავშიც გუბდებოდა, კოჭამდე წვდებოდათ მონადირეებს, სამოსზე ეშხეფებოდათ. ზღვის გაუთავებელი რწევისა და სელაპების გამუდმებულ ხოცვისაგან გაბრუებული, დარეტიანებული ადამიანები მოღუშულები და კრიჭაშეკრულები იყვნენ, არავის მოსწონდა ეს საქმე, მაგრამ რას იზამდნენ, მათი სამუშაო ეს იყო.

ორანძა ნავის ქვემო ბაქანზე მონადირეებს დიდი კასრი ედგათ, შიგ ნაძვი ჰქონდათ ჩარგული. ეს დაგვალული ხე სამშობლოს, ხმელეთსა და ბავშვობის ხანას აგონებდა მათ. გული უჩუყდებოდათ მოყვითალო წიწვით შემოსილი სუსტი ხის შეხედვაზე და იწყებდნენ საუბარს თავის ახლობლებზე, საყვარელ ადამიანებზე.

სწორედ ამ ნაძვის გვერდით მდგარ ტლანქად გამოჩორკნილ ხის სკამზე იჯდა გადამჯდარი კეშა, როცა ნავის კაპიტანს გამოელაპარაკა ამ კუნძულზე დარჩენის თაობაზე. ენა ებმოდა, რცხვენოდა თავისი მოუქნელი, გაუმართავი სიტყვებისა, მაგრამ მაინც დაითანხმა უფროსი. „ოლგა“ რაციით დაუკავშირდა ნადირთსარეწი ფლოტილიის ფლაგმანს „მეამბოხეს“. „მეამბოხემ“ თავის მხრივ ხმელეთს მიაწვდინა ხმა და ჩუგანის ნადირთსარეწ მეურნეობას ნებართვა გამოსთხოვა მონადირე კეშა დუბილკინის კუნძულ შატარზე დასაზამთრებლად.

შემოდგომაზე, როცა ორანძა ნავმა ხმელეთისკენ იბრუნა პირი, კეშა დუბილკინი იაკშინის ყურეში ჩამოსვეს.

მონადირეს დაუტოვეს ფქვილი, ორცხობილა, მარილი, შაქარი, საფანტი, ტყვია, თოფისწამალი, თამბაქო და საძილე ტომარა... ბოცმანმა ივანემ კი თეთრეული, ტანსაცმელი და სხვა საოჯახო წვრილმანებიც მისცა. კარავამ სილიან მეჩეჩთან მიიყვანა კეშა და ზღვიდან გამოგდებულ უზარმაზარ ძელთან დატოვა. შემდეგ „ოლგასკენ“ გაბრუნდა, სადღაც შორს, ჰორიზონტზე რომ ბოჩანდა.

კეშა მარტო დარჩა კუნძულზე.

გაზაფხულზე კვლავ მოვიდნენ მონადირეები. ამუკის შესართავთან, ზღვიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით დაბალი საზამთრო სადგომი დაინახეს. გვერდით სახურაედაკანებული ბეღელი ედგა სადგომს, პატარა ნავი ტალღებზე ირწეოდა, ბუჩქებზე საცვლები და ტანსაცმელი შრებოდა.

ზამთარში კეშა სიასამურზე, მელაზე და ციყვზე ნადირობდა.

ბოცმანმა ივანემ კეშას ხელშეკრულება ჩამოუტანა ნადირთსარეწი მეურნეობიდან, ორი ლეკვიც ჩამოუყვანა, სიასამურა და ბურაკა. მეურნეობიდან კეშას შემოუთვალეს, ჩაგვაბარე ძვირფასი ბეწვეული და კიდევ ერთი ზამთარი მანდ გაატარეო.

მეურნეობის დირექტორმა კუნძულ შატარის სანადირო ადგილების გარდა, გეგმაში მეზობლად მდებარე კუნძულებიც შეიტანა. სიასამურზე, ციყვზე და მელაზე ნადირობის უფლება ეძლეოდა კეშა დუბილკინს აღნიშნულ კუნძულებზე და თუკი გადაეყრებოდა, კუნძულის თავზეც. გარდა ამისა, უნდა დაეცვა ნადირობის ყოველგვარი წესი, თვალი უნდა დაეჭირა, რომ ხანძარი არსად გაჩენილიყო, თევზაობაც შეეძლო და სადგომის აგებაც, სადაც კი მოისურვებდა. ეს ქაღალდები კეშამ პასპორტთან, მონადირის წიგნაკთან და ჟურნალიდან ამოჭრილი უცნობი ქალის სურათთან ერთად ხის კიდობნის ძირში ჩადო და მეორე ზამთარიც დარჩა კუნძულ შატარზე.

სამი წლის მანძილზე კეშამ მთელი ის არემარე შემოიარა, პატარ-პატარა კუნძულებიც კი არ დაუტოვებია (შატარის მახლობლად ორი ათეული კუნძული მაინც იყო). მსუბუქი ნავით გადადიოდა ერთი კუნძულიდან მეორეზე, ექვსი საზამთრო სადგომი ააგო და ათი მიწური ამოთხარა.

პირველსავე წელს დაუმეგობრდა ქორბუდას, იქვე მახლობლად, უსიერში რომ ბინადრობდა. ქორბუდას საღამოობით სილიან მეჩეჩზე უყვარდა გამოსვლა. იდგა და უყურებდა, როგორ ნელ-ნელა ილეოდა და ზღვაში იძირებოდა უზარმაზარი, გაბრდღვიალებული მზე.

საღამოობით კეშაც გადიოდა მეჩეჩზე. თავდაპირველად ადამიანის სუნი აშფოთებდა ნადირს, ბრაზობდა, ტაიგისკენ გარბოდა, გაავებული ჩიჩქნიდა სილას, ძირს ხრიდა დატოტვილ რქებს, ისმოდა მისი ბრაზიანი ხვნელა საღამოს მყუდროებაში. მერე კი ისე მიეჩვია კეშას, თითქმის ვერც ამჩნევდა.

მძუვნობის შემდეგ ბრძოლითა და ჭიდილით დაქანცული ნადირი ადამიანის სადგომთან მიდიოდა, მდელოზე მშვიდად ძოვდა, ფრუტუნით იქშეოდა სიასამურასა და ბურაკას, შეჩვეული რომ იყვნენ მასთან, მაგრამ დროდადრო მაინც შეუყეფდნენ ხოლმე.

— რაო, ძმობილო, დაიღალე? — ეკითხებოდა კეშა ქორბუდას, თან მადიანად ქაჩავდა ყალიონს, — ერთხელ მაინც მოგეყვანა სტუმრად შენი დიაცი, რა არის რომ სულ კენტად დადიხარ, თითქოს ადამიანი იყო.

ქორბუდა თავს ასწევდა, მიაყურებდა ადამიანის მისთვის უცხოდ მკღერ ხმას.

კეშას თვალწინ დაბერდა ქორბუდა. უკანასკნელი ორი წელიწადი აღარ მიდიოდა მლაშობისკენ, რომ ბრძოლა-ჭიდილისა და ვნებათა ღელვის ნეტარი წუთები ეგემა. ერთთავად თვლემდა, ახლოს და ახლოს იწევდა, ეყუეებოდა ადამიანის სადგომს, თითქოს მფარველობას მისგან ელისო.

კეშა ირმისთვის საზამთროდ თივას იმარაგებდა, პატარ-პატარა ზვინებს

დგომდა. ახალგაზრდა ხარირმებს არ აკარებდა იმ თივას, კეკლუც, მფრთხალ ვერებს კი უმასპინძლდებოდა.

ქორბუდამ შეიფერა ადამიანის მზრუნველობა, აღარ უფრთხოდა. კეშა ბელის უკან მისთვის ყრიდა ქვამარილის ნატეხებს და ირემიც ლოკავდა.

ასე ტკბილად და მეგობრულად გაატარეს კაცმა და ნადირმა მრავალი წელი. ჰოდა, ასეთი მეგობარი დაჰკარგა ახლა. ქორბუდა დაიღუპა [illegible] მოხეული მის კვალს გაჰყვა და მუხანათურად მოჰკლა. ქორბუდის [illegible] რომ ადამიანის მახლობლად საფრთხე აღარ ელოდა, აღარ ეშინოდა ყოველი იდუმალი ჩქამისა თუ ლაწანისა ტაიგაში, მიმნდობი გახდა და ამ ნდობას შეეწირა მსხვერპლად.

კეშას სწამდა, რომ მას ვალად ედო შურისძიება, რომ უსათუოდ უნდა მოეკლა ყურჩამოხეული. სიკვდილი სიკვდილის წილ, სისხლი სისხლისა წილ— ასეთია ტაიგის კანონი. ჰოდა, რა მოასვენებდა მონადირეს, ვიდრე ყურჩამოხეულის ტყავს თავის სადგომში არ გააგებდა იატაკზე.

მაგრამ გაზაფხულზე მონადირემ ვერ მიაკვლია დათვის კვალს. ზაფხულში ალაგ-ალაგ წააწყდა მის ნაკალს, შემოდგომაზეც ნახა, მაგრამ სად ჩაიბუდა საზამთროდ, ვერა და ვერ მიაკვლია. მეორე გაზაფხულზე კვალი მთლად გაქრა, რადგან დათვი ყინულით ჩახერგილ სრუტეს გაუყვა ჩიტების კუნძულისკენ. სამი წლის შემდეგღა შეხვდა კეშა მას.

მკვლელობა

ყურჩამოხეულს სძულდა ადამიანი.

ეს სიძულვილი დიდი ხნის წინათ ჩაუვარდა გულში, როცა პირველად დანახა ტაიგა, ბალახი, მდინარის მოჩქრიალე წყალი, იგრძნო ათასნაირი სურნელი, შეესმა ათასნაირი ხმა. როგორც კი დედამ ბელი ნესტიანი, ბნელი ბუნაგიდან გარეთ გამოიყვანა, რაღაც უზარმაზარი, თბილი და გაბანჯგული ჩაესტა თითქოს უპეებში. ბელმა თვალი მოხუჭა, აწკმუტუნდა, აფორიაქდა, უკან დაიხია ბუნაგისკენ, დედის სითბოთი, რძის და ნესტიანი ქვების სუნით რომ იყო გაჟღენთილი. პირველად იგრძნო შიში და ამ გრძნობამ მთლად მოიცვა მისი უსუსური, პატარა სხეული. რაღაც ღმუოდა, სტვენდა, გუგუნებდა მის ირგვლივ, რაღაც უჩინარმა შეუხიცინა თათებში, ნესტოები აუწვა. ბელი მოიკუნტა, დრუნჩით დაუწყო ძებნა დედის ბანჯგვლიან მუცელს, დედის სუნი ყველაზე ნაცნობი იყო, იმათში რაც კი აქამდე შეეგრძნო. ახლა, თითქოს სადაღაც შორიდან მოდიოდა ეს სურნელი. ამ დროს მშვიდი ბურდღუნი შეესმა, დედა იწვევდა სამყაროს გასაცნობად.

ტაიგა იღვიძებდა. თოვლით ჯერ კიდევ სქლად დაფარული, გადათეთრებული გორაკებიდან ნაკადულები ჩამორბოდა. პირველი წვიმით განბანილ, ღილის სუსხდაკრულ ადრეულა ბალახის ღეროებს, შარშანდელ ფოთოლს, წერწეტას, მაჩიტას და ჭაობის მარადმწვანე შხამიანი ბუჩქების შტოებს მხიარული ტკაცატკუცი გაუდიოდა. წყლის მოყინული ნაპირიც წკრიალებდა, ჭახჭახით სკდებოდა.

ყინულის ლოლუებით მორთულ ნაძვნარში კვნესოდა გარეული მტრედი, ოდალა არყის ხის ხმელ შტამბს უკაკუნებდა, იცინოდნენ წიწკანები, მზის ფულზე კოპწიაობდა ფრთხილი, კეკლუცად მოკაზმული ჩხიკვი.

გამვლვალ მიწას საამო სუნი უდიოდა. ყოველი ფესვი, ყოველი ბოლქვი, ღერო ბალახისა გაზაფხულის პირველი, ყველაზე სურნელოვანი წვენით იღლინთებოდა. გაზაფხულის სურნელით დამთვრალი ნადირის რქებით ან ბასრი კლანჭებით დაჩხვერილი არყის ხეც კი სიხარულის სუფთა ცრემლს აფრქვევდა. კიდევ ცოტაც, სულ რაღაც ერთი-ორი დღე და — დედამიწის მოჭარბებული ძალა წიწვისა და ფოთლის მწვანე კვამლს ასტყორცნიდა ცისკენ.

ძუ დათვი რბილად, უჩუმრად მიაბიჯებდა, მიუყვებოდა ტაიგას. ხშირ-ხშირად თავს მაღლა სწევდა, ცხელი ნესტოებით ყნოსავდა ჰაერს და გზას მერე აგრძელებდა. ბელი უკან მისდევდა, ბორძიკობდა, ხმელ როკებს ეფეთებოდა, ხან ღრანტეში ჩაგორდებოდა, ხან წაქცეულ ხეებზე მოდებულ ობიან ხავსზე უსხლტებოდა ფეხი. დედა ბურდღუნებდა, მაგრამ ბრაზიანად არა. ულაზათო დიდი სხეული შვილის სიყვარულით უთრთოდა, შვილზე მზრუნველობის მეტი არა ახსოვდა რა. ახალგაზრდა დედა იყო, პირველი სიყვარულის, პირველი ჩასახვის და პირველი მშობიარობის სიხარული ჯერ კიდევ უჩქროლებდა ნაზ გულს, მკვრივ დვრილებს სწყუროდათ ბელის სველი დრუნჩი, მისი გემრიელი წკლაპუნი და სიხარულის მომგვრელი ის იდუმალი ტკივილი, რასაც სხეულში რძის მოძრაობა იწვევს. დედა ველარ მოერია სურვილს, უცებ მიწვა და სიმღერით უხმო შვილს, როგორც უხმობდა ათადან-ბაბადან ყოველი დედა თავის პირმშოს. ბელი რომ მივიდა, თათები მოხვია, მიიკრა თბილ, დიდ მუცელზე და უმღერა, უმღერა იავნანა, თავისი დედობის პირველი გაზაფხულის მზითა და სითბოთი დამთვრალმა. ბელი კი სველი, რბილი დრუნჩით ძუძუს ეძებდა, წკმუტუნებდა და წოვდა, წოვდა.

მარტონი დაბორიალობდნენ ტაიგაში, თავის ჯილაგს ერიდებოდნენ. სადღაც სულ ახლოს, სიყვარულის მძლეთამძლე ზეიმის დაწყებამდე ბრდღვინავდნენ ხვადი დათვები, გულშემზარავად კვნესოდნენ, ითავისუფლებდნენ კუჭს, ამტვრევდნენ ბუჩქების ნორჩ ყლორტებს, ნთქავდნენ შარშანდელ კენკრას.

ნესტიან ხრამებში თეთრი კელაპტრებივით ამართულიყო დათვისსტვირა და ნადირი იმითაც იტკბარუნებდა პირს.

დღე დღეს მისდევდა. ბელმა ბევრი რამ ისწავლა, რასაც ყოველი დედა ასწავლის თავის ვაჟიშვილს, როცა ამ დიდ, ბრძნულად მოწყობილ სამყაროში აცილებს.

ერთხელ ძუ დათვმა ბელის მამის ხმა გაიგონა. ამ ხმას იგი ათას ხმაში გამოიცნობდა. ხვადი უხმობდა, უხმობდა ვნებიანად, დაჟინებით. ხვადს უყვარდა იგი და მისგანაც სიყვარულს მოითხოვდა. იგი უხმობდა მას, უხმობდა ყველას, ვისაც ძალუძდა მჩქეფარე სასხლითა და ძალით გასტოლებოდა. ხვადის ხმა ძლევამოსილად ქუხდა. სისხლის ყოველი წვეთით ილტვოდა ძუ მისკენ, მაგრამ სხვა გრძნობა, გრძნობა, რომელსაც ქვეყნად ტოლი არ მოეპოვება — დედის გრძნობა აკავებდა, გაურბოდა ხვადს, მიდიოდა და თან მიჰყავდა მისი სისხლი და ხორცი.

წინაპართ ბილიკზე ძუ დათვისთვის ყოველი ბუჩქი, ბალახის ყოველი ღერო ნაცნობი იყო. ამ ბილიკით გაიარა პირველად თავის დედასთან ერთად. დედამისიც ისევე გაურბოდა მამამისის ძახილს, როგორც თვითონ გაექცა ახლა ამ ბელის მამის მბრძანებლურ ხმას. მიდიოდა ძუ დათვი და გრძნობდა დედის, ძმების, დების, მთელი თავისი დიდი ოჯახისა და საგვარეულოს სუნს, ვისაც კი ამ ბილიკით ევლო. ერთი წამით მოეჩვენა, რომ ბილკზე ნაცნობ

ლონელებას უცხო, მტრის სუნიც შეერია. შედგა, ყური აცქვიტა, უკან მოიხედა. ბელი ზედ მიაწყდა დედას. და ისიც შედგა, — იგი ხომ ცდილობდა ყველაფერში დედისთვის მიებაძა. დედამ ღრმად შეისუნთქა ჰაერი, უნდოდა ხელმეორედ დაეჭირა, შეეგრძნო ის, რამაც შეაშფოთა, ყური დააცქვეტინა. შეისუნთქა ერთხელ, მეორედ. არა, შესაშფოთებელი არაფერია, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს... და მაინც რაღაც აწუხებდა, დაძაბულ-ეჭვიანი ოდნავ, სულ ოდნავ შესაგრძნობი უცხო სუნი იკრა, მაგრამ იმდენად სუსტი, იმდენად შორეული, რომ მას და მის ბელს უთუოდ ვერაფერს ავნებდა. კიდევ ერთხელ შეისუნთქა, დრუნჩი მიატრიალ-მოატრიალა, მიმოჰყნოსა იქაურობა და კვლავ უჩუმარი, რბილი ნაბიჯით გაუყვა გზას.

კედარის ხშირტოტა ნაყარიდან ის იყო მზით გაჩახჩახებულ მდელოზე უნდა ესკუპა, რომ უცებ კისერზე და ძარცხენა თათზე რაღაც შემოეჭდო და გულმკერდზე ჩაუსრიალდა. დათვი წამით გაშეშდა, მერე ერთბაშად მოწყდა ადგილს, როგორც მისი რჯულ-მოდგმის მარადიული კანონი უკარნახებდა. ვადახტა და სწორედ ამ ნახტომმა დალუპა.

კედარის ტოტებში ოსტატურად მიმალული ფოლადის მარყუჟი მაგრად შემოესალტა. ზურგიდან, კისრიდან, მკერდიდან ბლუჯა-ბლუჯა ააგლიჯა ბანჯგვლი, გატიკნული ძუძუები დაუხეთქა, რაც უფრო მეტი ძალით იქაჩებოდა ვადასახტომად, მით მეტი ძალით ესალტებოდა მარყუჟი. მაშინ კი იღრიალა დათვმა, ისე იღრიალა, რომ ხეებზე ფოთლები შეირხა, თითქოს ქარმა ჩამოუქროლაო. დაიგუგუნა ეკომაც, დააფრთხო ფრინველ-ნადირი. ბელმა ვეღარ იცნო დედის ხმა, დაიჭყივლა და კედარის ბუჩქებში დურთა თავი. ბელმა ტოტმა ყური ჩამოახია, პირველად იგრძნო ტკივილი, თვითონაც არ იცოდა, რა ძალა მიაქანებდა მის ფეხებს. დედა კი იბრძოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, ხეების ნორჩ ყლორტებს ლეწავდა, ტორებით თხრიდა მიწას და ბღაოდა, ბღაოდა გულშემზარავად. შიშმა დასძლია, შიშს ვეღარ გაუმკლავდა. ის, ვინც მარყუჟი დაკიდა, არ მოვიდა, არც ერთი საათის, არც ორი საათის შემდეგ, არც მეორე დღეს. დათვი ელოდა, შიში დათრგუნა, გაისუსა, უკანასკნელი ნახტომისთვის ემზადებოდა. არც მესამე დღეს მოვიდა იგი. საბაგიეროდ ტევრიდან საცოდავი წკმუტუნით გამობაჯბაჯდა ბელი, დაინახა დედა, სიხარულით შესჭყივლა და მისკენ წაბანდალდა. დედა მრისხანედ აბრდღვინდა, არ მომეკაროო, გააფრთხილა. ხომ შეიძლებოდა სწორედ ახლა მისულიყო იგი და მოეკლა ბელი? დედას არ უნდოდა შვილის სიკვდილი, ბრდღვინავდა, ულრენდა ისე მრისხანედ, გამაფრთხილებლად, რომ ის სულელი შედგა, აქამდე ხომ კარგის მეტი არაფერი უნახავს დედისაგან, ახლა კი შეუცნობელმა შიშმა ააცახცახა. შეეშინდა ყველაზე ახლობელის, იმის, ვინც ქვეყნად შობა იგი. შვილს არ ესმოდა დედის, არ ესმოდა, რომ უნდა გაქცეულიყო, გასცლოდა იმ ადგილს, მიეტოვებინა დედა და არასოდეს, არასოდეს მიკარებოდა.

— გასწი, — ბრდღვინავდა დედა, თორემ შუაზე გაგხლეჩ...

შვილი არ წავიდა, ბალახში ჩაწვა და დიდი დათვივით თათებზე ჩამოდო ყურჩამოხეული თავი.

გავიდა კიდევ ერთი დღე. ძუ დათვი ელოდა იგი კი არ ჩანდა. მაშინ დათვმა ხეს დაუწყო ღრღნა და ბრჭყალებით ფხოჭნა. ერთი დღე ღრღნა, მეორე დღე ღრღნა, მაგრამ გაფისულ ხეს რას დააკლებდა მისი კბილები!

ღრღნიდა და ძალა ეცლებოდა ფუჭი, უნაყოფო შრომისაგან. ყულფი ყელზე უჭერდა, ტყავს უხეხავდა, ხორცში ესობოდა, ძუძუები დაუხეთქა, სისხლი და რძე ერთად სდიოდა.

— გასწი, გამშორდი, — ულრენდა დედა შვილს, — მოწყდ აქაურობას.

შვილი არ მიდიოდა.

ის კი, ვისაც მისი ტანჯვის დასრულება შეეძლო, [illegible] ჩანდა „რატომ არ მოდის, რატომ?“ — ფიქრობდა დათვი.

არა, ძუ დათვი არ შემცდარა. სუნი ოდნავ იგრძნობოდა, საფრთხე არ უნდა მოეტანა. მაშ რა დაემართა, რა?!

აბა რა იცოდა, რომ ადამიანმა ჯერ კიდევ წინა შემოდგომაზე მიამაგრა კედარს მახე, დატოვა იქ, ჩაჯდა ნავში და კუნძულიდან წავიდა. ეს უკანონო საქციელი იყო, ეს ტაიგის დიდ კანონს ეწინააღმდეგებოდა. მას დაავიწყდა მახე, აღარ მოვა. არ შემართავს თოფს, რომ ნადირი ტანჯვას გადაარჩინოს. იმას არც ხორცი სჭირდება, არც ტყავი ამ დათვისა. მაშ დათვის სიცოცხლე რაღად უნდოდა?

დათვი ნელა კვდებოდა. მისი თვისტომები სიყვარულის მძლეთამძლე ზეიმზე მიიჩქაროდნენ, გრძნობდნენ საფრთხის სიახლოვეს და ამ ადგილს, სადაც იგი იყო მიჯაჭვული, შორს უვლიდნენ. მხოლოდ ბელი დაბორიალობდა ახლომახლო, ჭამდა ბალახის ფესვებს, მარშანდელ კენკრას და გაბმით უხმობდა დედას.

დათვმა უკანასკნელად მოიკრიბა ძალა და როცა შვილი მიუახლოვდა, დაულრიალა, თავი მოუქნია, ფოლადის თამასას დაუწყო ღრღნა, პირი ჩაიხია, ბასრი მაგარი კბილები დაიმტვრია. გამხდარ სხეულზე ბლუჯა-ბლუჯა ეკიდა ბანჯგვლი, მის მუცელს რძის სუნი აღარ უდიოდა.

მაგრამ ვიდრე განიერ მკერდში მოქცეული გული გაუჩერდებოდა, მაინც ბღაოდა, ბღაოდა ერთსა და იგივეს:

— წა-ა-ა-ა-დი-ი-ი-ი!.. წაჭ-ა-ა-დი-ი-ი!

მოკვდა დედა და ყურჩამოხეული მაშინღა მოშორდა მის ცივ, უცხო სხეულს. ბილიკს რომ დაადგა, ხეებიდან ურიცხვი ყვავი ჩამოფრინდა, დიდხანს ყრანტალით მისდაბოდნენ რაღაცას გზად მიმავალს.

სამი კილომეტრის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც დედამისი დაიღუპა, ნაკადულის პირას ბელი ადამიანის სადგომს წააწყდა. წვიმით ჩამორეცხილი, ზამთრის გრიგალებით გამოქარული, ოდნავ გასარჩევი სუნი იკრა. დიახ, ეს იმ ყულფის სუნი იყო, დედამისს რომ შემოეჭდო კისერზე და ეს სუნი საბუდამოდ შეიძულა.

ᲙᲕᲐᲚᲘ

კეშამ ჩიტების კუნძულზე მიაცურა ნავი. ეს ტყიანი, ფრიალოკლდეებიანი კუნძული ჯერ კიდევ მაშინ დაათვალიერა შორიდან, როცა ნადირთსარეწი კარაპით ნაპირთან იდგა. მას მერე დიდი დრო გავიდა, მაგრამ აქამდე რატომღაც ვერ მოახერხა იქ გადასვლა. იცოდა, რომ ამ კუნძულზე ამერიკელებს ფაქტორია ჰქონდათ, ნადირობდნენ სიასამურზე, ადნობდნენ სელაპის ქონს და თრიმლავდნენ ტყავს.

იაპონელებიც ჩამოდიოდნენ ამ კუნძულზე, თევზაობდნენ, ხოცავდნენ

ირნებს, ზოგი მიწაში იჩიჩქნებოდა. ხმა დადიოდა, იაპონელებმა იპოვეს, რასაც ეძებდნენ, ნაკადულებში ოქრო აღმოაჩინესო.

სასაზღვრო რაზმმა კუნძულიდან გარეკა გადამთიელები, ფაქტორიაში კი საგუშაგო მოაწყო. მაგრამ რაზმი დიდხანს არ დარჩენილა კუნძულზე. მართალია, ჩიტების კუნძული ქვეყნის დასალიერში იყო, მაგრამ გადაკარგულად მაინც არ ჩაითვლებოდა, ამასთან ყურესაც სიღრმე აქლდა და ქარიშხლების დროს გემი ვერსად შეეფარებოდა. შატარის ზღვაზე კი საშინელი ქარიშხლები იცის. მას მერე იშვიათად დაუდგამს იქ ადამიანს ფეხი, უფრო წყლისპირა ტაიგაში დაეხეტებოდნენ, ღრმად არავინ შედიოდა კუნძულზე. ოცდაათიანი წლების დასაწყისში ტოპოგრაფები და გეოლოგები ესტუმრნენ შატარს. მერე კი ქვეყანამ ველარ მოიცალა იქაურობისთვის. ასე რომ, კეშა პირველი სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახლდათ ხალხისგან მივიწყებულ ამ შორეულ მხარეში.

ჩუგანის ნადირთსარეწი მეურნეობა, როცა შემთხვევა მიეცემოდა, მითითებებს უგზავნიდა კეშას. ეს კუნძულები უკვე სანადიროდ ათვისებული ადგილების სიაში ჰქონდათ შეტანილი.

კეშამ ნავით ჩამოიტანა ჩიტების კუნძულზე ერთი ტომარა ფქვილი, ორი ფუთი ორცხობილა, მარილი, შაქარი, ბურღული, თამბაქო, საშენი იარაღები: ხერხი, ცული, ათიოდე ლურსმანი, ჩაქუჩი, თავისი ძაღლები, ბურაკა და სიასამურაც, რა თქმა უნდა, თან წამოიყვანა.

გადაწყვეტილი ჰქონდა ოთხივ კიდე გადაეჭრა კუნძული, აეშენებინა საზამთრო სადგომი და იქ დაეზამთრებინა. ივლისი იდგა. მდინარის შესართავთან და წყლისპირა ხეობაში ბალახს ისე აეყარა ტანი, ისე გალაღებულიყო, წელამდე წვდებოდა ადამიანს. ჰყვაოდა ზამბახი და აქა-იქ, ნაირნაირ ბალახში ღაღანებდა, შუქს ჰფენდა იქაურობას წითელი შროშანი. ნადირთა ფერმის ველ-მინდორს ბუჩქნარი მოსდებოდა, ვოლიერებში ამოლტილიყო წერწეტი ხეები. ფაქტორიის შენობა ჯერ კიდევ მკვიდრად იდგა, მაგრამ გაბარტახების ნიშნები მაინც ეტყობოდა. შიგნით ქარი თავისუფლად დაქიქინებდა, საზღვარგარეთულ ყაიდაზე აშენებული რუსული ღუმელი ჩაწოლილიყო, სამარისებურ სიცივეს აფრქვევდა. დაფერდებული მაღალი ზღურბლი საშინლად ჭრიჭინებდა ფეხქვეშ.

ყველაფერი უცხო იყო აქ, უსულგულო, შორეული.. .ამიტომ კეშამ მტკიცედ გადაწყვიტა, ყოფილი ფაქტორიიდან კარგა მოშორებით დასახლებულიყო.

კეშამ მდინარე ლებიაჟის შესართავთან ხშირი ფიჭვით დაფარულ მაღლობზე დაიწყო სადგომის შენება, იქ, სადაც მდინარე ლებიაჟს ნაკადული ჩქარეულა და კიდევ მეორე, უფრო დიდი ნაკადული ერთვის. მდინარის სახელი ახსოვდა, მეორე ნაკადული კი თვითონ მონათლა, ბალახიანა შეარქვა. იმ ნაკადულის სათავესთან უნდოდა მისვლა, როგორც კი საზამთრო სადგომს, ბელელსა და აბანოს ააშენებდა. კეშას ძალიან უყვარდა ორთქლში ტანის გაბოშუშება და სადგომის გვერდით ყოველთვის აბანოს აშენებდა.

ერთ კვირაში მოათავა საქმე და ტაიგას გაუყვა. ბალახიანას ნაპირს მისდევდა, დაყურადებული იყო, აკვირდებოდა ხეებს, რომ მათი საიდუმლოება ამოეკითხა. ტაიგის ჩუმ, მაგრამ სიცოცხლით სავსე ცხოვრებას ნაჩვევ მის ყურს ტყის ბრძნული ენა კარგად ესმოდა... აი, ხეთა კენწეროების ერთფე-

როვანი ხმაური რაღაცამ დაარღვია, რაღაცამ ჩაიშრიალა, გაიტკაცუნა და გაჰყვა, წავიდა მერე შრიალ-ტკაცუნი ნაკადულის ნაპირიდან ტყის სიღრმისკენ. „ციყვებია", — გაიფიქრა მონადირემ. აგერ მდინარეს ისევმა ყრუ თქარათქურმა გადაუარა, ლამის ჩაახშო ტალღების დგაფუნი. თქარათქური რამდენიმე წამი გაგრძელდა. სადღაც, სულ ახლოს, მონადირისა და მისი ძაღლების სუნით დამფრთხალი ირმების ჯოგი გარბოდა წყალსაცავიდან, კეშა მალე გადაუჭრის მათ ბილიკს. „ალბათ ზემო გორაკები ირმის ნავსითაა დაფარული. მგონი, დიდი ჯოგი იყო", — გაიფიქრა კეშამ.

ნაკადულზე გადაწოლილი ბებერი ნაძვის ტოტზე ბურუნდუკმა გამოირბინა, აწრიალდა, სტვენას მოჰყვა, უკანა თათებზე შედგა და მძივივით პაწია შავი თვალები კეშას მიაპყრო. ძაღლებმა მისკენ გაიწიეს, მაგრამ კეშამ ხელის აქნევით გააჩერა ისინი და სტვენით გაეხმიანა ბურუნდუკს. იმანაც აჩქარებით უპასუხა, კეშამ ისევ დაუსტვინა, ბურუნდუკმა ისევ უპასუხა. კეშას უყვარდა ბურუნდუკები, ნაზი, თითქმის მამაშვილური გრძნობით უყვარდა. ჯერ კიდევ ბავშვობაში ისე შეიჩვია ერთი ბურუნდუკი, რომ საჭმელს მისი ხელიდან ჭამდა. მხიარული, ცქვიტი ნადირია ბურუნდუკი.

შუადღისას კეშამ უკვე მიაღწია ბალახიანას სათავეს, მდელობზე გავიდა. გალაღებული, მსუყე ბალახი თავამდე ფარავდა, ფეხქვეშ წყალი ჭყაპუნობდა. სადღაც წინ, ბალახის მწვანე კედლის მიღმა, იხვები აფორიაქდნენ, არყის გაშლილი ვარჯები და მწვანედ მოლაღანე ნაძვნარი ზევიდან დაჰყურებდა მდელობს. სწორედ ასეთი მდელო უყვარდა დათვს, დაბორიალობდა ხოლმე იქ პაპანება სიცხეში. კეშა შედგა, დაყურადდა, ძაღლებმაც ყური ცქვიტეს. იქნებ სიცხით მოთენთილ დათვს იქვე მახლობლად, ხშირი ბუჩქის გრილ ჩრდილში სძინავს?

მონადირე უჩუმრად მიდიოდა, ფეხს მიასრიალებდა. ბურაკამ და სიასამურამ კბილები დაკრიჭეს, ბალანი აეშალათ. ზოგან ბალახი მოთელილი იყო. იქ ცოტა ხნის წინათ იწვა დათვი, მისი სუნი იდგა. ამ ნაწოლი ადგილებისა და კვალის მიხედვით კეშამ დაასკვნა, რომ დათვი ძალიან დიდი იყო. მონადირემ თვალით გაზომა ნაწოლი ადგილი და ნადირის ხანი ივარაუდა — შვიდი წლისა იქნებაო. კეშა კარგად იცნობდა და პატივს სცემდა ტაიგის ამ ბატონ-პატრონებს, მათ ნაკვალევზე ასობით კილომეტრი ჰქონდა გავლილი, არაერთხელ შებმია პატიოსნად ამ საშიშ ნადირს და იმდენად ზედმიწევნით შეისწავლა მათი ზნე, რომ სულ ადვილად შეეძლო ყოველი დათვის ხასიათის გამოცნობა.

ეს ვეება დათვი იყო, გამოწაფული და გაავებული. მისი სიავის კვალი აჩნდა ტაიგას. არყის შტამბი ვეება ბრჭყალებით დაეძენძა, მიწა ამოეთხარა. იქ მოულოდნელად ახალგაზრდა ცხენირემს დასცემია თავს, როცა იგი მშვიდად ბალახობდა. როგორც ჩანს, ირემი მედგრად დაუხვდა ულმობელ მტერს, ირგვლივ მიწა მოტკეპნილი იყო, ბალახი გადაქელილი, ხეების ტოტები მილეწმოლეწილი.

ცხენირემი თავგამოდებით შებრძოლებია დათვს. ამაზე მეტყველებდა მისი რქები, ზედ რომ ბლუჯა-ბლუჯა შერჩენოდა დათვის ბანჯგვლი. ცხენირემის დამტვრეული თავის ქალა სხვა ძვლებთან ერთად ეგდო ბრძოლის ველზე. ნაძვნარშიც ეყარა ირმის ძვლები. ტაიგის მეუფეს ახალი ხორცი უყვარს, თბილი სისხლის და ხორცის გემო უფრო ამძვინვარებს.

აი, კიდევ ერთი კვალი, მაგრამ ეს უკვე ნადირის კი არა, ადამიანის კვალია. კოცონი შიგ ტყეში აუბრიალებია, ნაძვის წიწვზე, განა თუ მდინარის ან ნაკადულის პირას. ნაკვერჩხლისთვის წყალი არ დაუსხამს. ძირს დაფენილი წიწვის სქელი საფარის ქვეშ მიმალულმა ვერაგმა ცეცხლმა თავისი საქმე გააკეთა, ორმოციოდე მეტრის მანძილზე გადაწვა ნორჩი ხეები, ბალახი და დიდ ხეებსაც მისწვდა. წვიმა რომ არ მოსულიყო, ტაიგას ცეცხლი [illegible] გურებდა. კეშამ წამით წარმოიდგინა, როგორ მოედო ცეცხლი ხეებს, [illegible] გორი ტკაცა-ტკუცით იფანტებოდა ნაპერწკლები, მახრჩობელა კვამლი ეფინებოდა მიწას, თანდათან ღრმად იჭრებოდა ტაიგაში. ხედავდა, როგორ შეშფოთდა ნადირი, აფორიაქდა ფრინველი. წარმოიდგინა ეს სურათი და მკაცრად შეიკრა შუბლი, ლაზათიანად შეუკურთხა უცნობს და დანაცრებულ კოცონს ჩააფურთხა.

კაცი რაღა იქნა? საით წაბრძანდა? რამდენი ხნის წინათ იყო აქ? ან მარტო ერთხელ იყო?

მონადირემ გზა განაგრძო, მიდიოდა, მისდევდა ბილიკს, ტაიგა კი წარსულ ამბებს უყვებოდა.

წყალგასაყარს იქით, ახალი ნაკადულის სათავესთან, ჩრდილოეთით რომ გარბოდა, უხეიროდ ნაგები, სანახევროდ დანგრეული საზამთრო სადგომი დაინახა. სადგომი არც ეთქმოდა, უშნოდ დააფრაქებული ქოხი იყო. კეშამ ქოხს შემოუარა, დაათვალიერა. შვიდი-რვა წლის წინათ იქნებოდა აგებული. ადამიანს იქ ზამთარი არ გაუტარებია, შემოდგომაზე წასულა. ასე ოთხიოდე წლის შემდეგ ისევ მოსულა, სწორედ მაშინ დაუნგრევია და მიუყრ-მოუყრია ნადირს სადგომი.

კარის ვიწრო შავი ჩარჩოდან გაპარტახების სუნი ეცა კეშას, ნესტისა და შმორის სუნი, მაგრამ მაინც შეიხედა შიგ. ჩამონგრეული სახურავიდან წყალს ეყონა, კედლებს ფხიანი წიწმატელა და წნორის ნაყარი მოსდებოდა. სადგომში ცრიატი, სუსტი შუქი ატანდა.

— ჭირმა წაგიღოს, შე მურდალო, — შეუკურთხა კეშამ გუნებაში ამ ქოხის ამგებს და გარეთ გავიდა. ზიზღით აღვსილმა ერთხელ კიდევ შეუკურთხა იმას, ვინც აქ ცხოვრობდა რამდენიმე წლის წინათ.

დანაშაულის აშკარა კვალი

ყალიონმა დაიქშუტუნა.

— ოჰო, ეს ხომ ავდრის ნიშანია, ყმაწვილო, — თავის თავს უთხრა კეშამ. ნაგრიგალევი, ფესვებამოყრილი ვეება ნაძვის ძირას გადაწყვიტა გადალამება. სწრაფად ჩამოსხიპა ხის ტოტები და პატარა, მშრალ გამოქვაბულში დაგო. მერე ნაკადულის ნაპირას ცეცხლი გააჩაღა. მზის ჩასვლამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, მაგრამ ტაიგის თავზე ჩამოწოლილმა ღრუბლებმა დღე ჩააქრო. სადღაც შორს ყრუდ დაიგრგვინა ზეცამ და ერთბაშად აშრიალდა ხეები. ბურაკა და სიასამურა შესაბრალისად აწკმუტუნდნენ. კეშამ ძაღლებს მუქარით მოუღერა მუშტი.

— რაო, რას აყმუვლდით! გამიხდნენ რაღა ინტელიგენტები! ჭექა-ქუხილი

მუდამ იყო და იქნება ჰაერის გამწმენდი. უნდა გიხაროდეთ, თქვენ კი რა ამბავი ატეხეთ!

კეშას ჭექა-ქუხილი უყვარდა. ყოველთვის, როცა კი დედამიწის თავზე გადაიგრიალებდა ქუხილი და ელვა გაჭკვეთდა ზეცას, გული სიხარულით აუფართხალდებოდა. როგორც ბავშვობაში, ახლაც გააგდრეებისთანავე წვიმის მოცეკვავე ნაკადში უნდოდა გაჭრა, გუბეებში ფეხშიშველა შლაპუნი და ყვირილი:

— მონადირის თოფის ხმაა, მონადირე ისვრის ცაში!

ასე ყვიროდნენ მისი კბილა გოგო-ბიჭები სოფელში.

ფოთლებზე პირველი, მსხვილი წვეთები აწკაპუნდა და ტაიგა ისე ამიშიშდა, თითქოს ვეება გავარვარებულ ტაფაზე ქონის ნაჭერი დააგდესო.

კეშამ მოცხარის რამდენიმე ღერო ჩააგდო ადუღებულ წყალში, მერე ჩაი ჩაყარა. შიშველი ხელი დააცლო ცხელ ტოლჩას და გამოქვაბულში შეიტანა. ვიდრე იქ ჩაის შეექცეოდა და ოფლად იღვრებოდა, ძლიერი ღვართქაფი ჩამოსკდა. მეხი ალარ გრგვინავდა, მთელი ძალით და სიმძიმით ასკდებოდა მიწას, მილიონ პაწია ნაპერწკლებად იმსხვრეოდა. ელვა ხეებს ანათებდა, წვიმის წვეთებში ირეკლებოდა. მონადირის თვალი ისეთ რამეს ხედავს, რასაც ოთხ კედელში მცხოვრები ადამიანი ვერ შეამჩნევს. წვიმის მიმართულებით, ელვის ციალით, ჭექა-ქუხილის ხმით კეშა შეუცდომლად იგებდა დიდხანს იბობოქრებდა თუ არა ავდარი ან მეორე დღეს როგორი ამინდი დადგებოდა. აგერ, ჭექა-ქუხილისა და ნესტის სუნს ქრისტესისხლას უცხო, მძაფრი სურნელი შეერწყა, ცხვირში რომ ოდნავ უხიცინებს ადამიანს. ამ ბალახს ტაიგელები ნაცარასაც ეძახიან. წვიმით განბანილი ფიჭვების საამო სუნს, ნაძვის დამათრობელ სურნელთან ერთად, ნავლისა და ჩამქრალი ნაღვერდლის ოდნავ საგრძნობი სუნიც შეერია.

კეშამ ჩაის სმა მოათავა, ტოლჩიდან თითებით ამოიღო დამბალი, გაფუებული ორცხობილა, შეჭამა და გამოქვაბულში ისე გაწვა, რომ ავდრისთვის ეყურებინა.

ნაკადული აქამდე თუ მშვიდად, წყნარად მიდუდუნებდა, გულუბრყვილოდ ტიტინებდა რაღაცას, ახლა ჭექა-ქუხილს ომახიანად აძლევდა ბანს, წუთიწუთით იკრებდა ძალას და უფრო მქუხარედ მიგელავდა. ტაიგის ნაკადულებს ლაქლაქი უყვართ, ვინც მათ ნაპირზე გადაიღამებს, ყველაფერს გაიგონებს, რასაც მოისურვებს, გინდ სატრფოს ხმას, გინდ მტრის იდუმალ ჩურჩულს. უცებ გარკვევით დაილაპარაკებს ამ ცხოვრებიდან დიდი ხნის წინათ წასული ადამიანი, ან ისეთი წკრიალა ხმა ჩაესმება, როგორიც თვითონ ჰქონდა ბავშვობაში ამ ნახევარი საუკუნის წინათ.

ნაკადულის ჩხრიალს მიყურადებულმა კეშამ მამლების ყივილი და სარძევეების ჟღარუნიც გაიგონა, პატარაობისას ყოველ დილით რომ ესმოდა ხოლმე თავის სოფელში. ყურს უგდებდა წარსულში განაგონ ხმებს, თან იმ კაცზე ფიქრობდა, ტაიგა რომ ქინალამ გადაწვა, იმ კაცზე, ვინც უშნოდ განოჩორკნილი სადგომი დატოვა კუნძულზე და ეს სადგომი მერე გაცოფებულმა მხეცმა მიულეწ-მოულეწა.

ადამიანებს დიდი ხნით მოწყვეტილ კეშას გული არ გაბოროტებია. ყოველთვის, როცა ადგილს გამოიცვლიდა, თავის აშენებულ სადგომს დატოვებდა, გულში ფიქრობდა, რომ ადრე თუ გვიან მივა იქ ადამიანი და ალბათ

არა ერთხელ მოიხსენიებს მადლიერებით, როცა მის აშენებულ ღუმელთან ცეცხლს მიეფიცხება, ან მოხერხებულ ტახტზე დაგებულ რბილ ხავსზე გაწვება. ის კაცი კი, ვინც ჩიტების კუნძულზე ცხოვრობდა კეშას მისვლამდე, სხვაზე არ ფიქრობდა.

დღეს კეშამ იმ კაცის ნაშენი კიდევ ერთი ქოხი ნახა. ფიჭვის ნორჩი, ერთი ზომის ხეები მოეჭრა და სადგომი აეგო. ამ კუნძულის ფიჭვები [illegible] აგებენ, მაგრამ ცოტა ხარობს ასეთი ფიჭვი. იმ კაცს კი განურჩევლად [illegible] რა იცამდე ხე, გაეკაფა ნორჩი ნაყარი მხოლოდ იმიტომ, რომ ძირგამხმარი ხეების მოძებნა დაეზარა.

ქოხში შაგმურა მელიის რამდენიმე დამპალი ტყავი ეგდო: თხელი, მოკლე ბეწვი და რბილი, მოუცვეთელი ფეხის ბალიშები ჰქონდათ. როგორც ჩანდა, უდროოდ მოეკლა, ზაფხულში, როცა მთლად პაწიები იყვნენ. იხარბა იმ კაცმა, ცთუნებას ვერ გაუძლო, მთელი ბუდობა გაულიტა, ტყავები კი ალარ წაიღო. აბა რაში გამოადგებოდა, გროშსაც არავინ მისცემდა უხეირო ბეწვეულში.

იქვე ქოხთან ბიყინის ძვლები ეყარა. ის-ის იყო ბალახს ეჩვეოდა თურმე. მარჯვედ უსვრია იმ უგულოს, ზუსტად მოურტყამს მიზანში, მარცხენა თვალის ბუდის ზემოთ ჰქონდა თავის ქალა გახვრეტილი, ტყვიის კვალი აჩნდა. ეტყობა, თავიდანვე გამოარჩია, კვალში ჩაუდგა. რაც უფრო გულდასმით ათვალიერებდა კეშა სადგომს, მით უფრო ბრაზობდა იმ კაცზე, ვინც მის ჩამოსვლამდე ცხოვრობდა ამ კუნძულზე.

„ეს რა გამოდის? ამ მიწაზე დადიხარ, ყმაწვილო, და ამ მიწასვე ათხრებ?“ — ფიქრობდა კეშა და ნაკადულის ჩხრიალში ლირფი ხითხითი ჩაესმოდა.

„მერედა, ვინ გაიგებს ამას?“ — ეუბნებოდა ის კაცი და კეშას არც ხმა მოსწონდა მისი.

„მე გავიგებ. ათი წლის, ოცი წლის შემდეგ რომ მოვიდე, მაინც გავიგებ, ყველაფერს დავინახავ. აქ იყავ, ბილწავდი აქაურობას, აფურთხებდი ანკარა ნაკადულებში, აწამებდი ბუნებას. მავნე სული ხარ, არამზადა ხარ, ყმაწვილო, ჭირდი ხარ!“

„ჯერ არავის წავუსწრიეარ, მაშასადამე, არც ჭირდი ვარ და თუ შენ დამიჭერ, მეც მაქვს ორი ლულა, ორივეში ტყვია მიდევს“, — უპასუხა კეშას იმან და ისევ ლირფად ჩაიხითხითა.

ჭექა-ქუხილი მინელდა და ნაკადულის ჩხრიალში იმ კაცის ხმა უფრო გარკვევით გაისმა. საძოვეების ჟღარუნი და მამლების ყივილი მიწყდა, მხოლოდ ის ხითხითებდა. ბურაკა და სიასამური აწრიალდნენ, ნელა დაიწკმუტუნეს. ნამდვილად იმათაც გაიგონეს იმ კაცის ხმა და არ მოეწონათ. კეშამ დალიანდაგებული ქურთუკი წამოისხა, მუხლები მკერდთან მიიტანა, მოხერხებულად მოკალათდა ნაძვის ტოტებზე, ძაღლებს თბილ დრუნჩზე ხელი მოუსვა. პირუტყვები უფრო ახლოს მიუჩოჩდნენ და ხელი აულოკეს.

— კარგი სანადირო ადგილებია აქ, — უთხრა ძაღლებს კეშამ. — ამ ნაკადულის ნაპირებთან სიასამური ბუდობს, თვალი მიაყოლეთ, ზამთარში უნდა ვინადიროთ.

კეშამ ყალიონი მოქაჩა, თამბაქო თანაბრად იწვოდა, არ ქშუტუნებდა.

— გამოდარების ნიშანია, — თქვა მონადირემ, ნაცარი ხელისგულზე გა-

მოიბერტყა და მიყუჩდა, ყურს აღარ უგდებდა ნაკადულის დუდუნს და მიწყნარებული ავდრის ხმაურს.

კეშა ორი დღე მოუნდა ჩიტების კუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროამდე მისვლას. გზად რამდენჯერმე კიდევ წააწყდა მტრის კვალს. ის რომ მტერი იყო, მონადირეს ეჭვი აღარ ეპარებოდა. დათვის ბილიკზე კეშა კინაღამ გაება ოდესღაც ეშმაკურად დამალულ ხაფანგში. კარგად გაბოხილი ხაფანგის სასიკვდილო ზამბარებს და ბასრ კბილებს, დათვის ძვლებს რომ ამსხვრევენ, ქანგი არ მიჰკარებოდა.

ნადირმა იგრძნო საფრთხე და საშიშ ადგილს შორს მოუარა; რა გულმა უქნა მონადირეს, თუ შეიძლება ასეთ კაცს მონადირე ერქვას, აქედან წასვლისას რომ არ ჩამოხსნა ხაფანგი, ან არ მოადუნა ზამბარები, ყოველ წამს რომ შეეძლოთ ამოქმედება? იმავე ბილიკზე კეშამ კიდევ ორი ხაფანგი ჩამოხსნა. იმ ხაფანგებისთვისაც შორს მოევლო ნადირს.

ნაკადული ადიდდა, გაიშალა, ფართო მდინარეს დაემსგავსა. კეშა ნაპირს მიუყვებოდა. შესართავთან რომ მივიდა, წვიმით გადარეცხილი, გამოქარული თეთრი ძვლების გროვა დაინახა. ეს კეტას ძვლები იყო.

გადამთიელს აქ გადაულობია მდინარე ფაცერით და ქვირითის დასადებად დაძრულ კეტას იჭერდა, მუცელს უფატრავდა, ამოჰქონდა ქვირითი. მარტო ქვირითი ჭირდებოდა თურმე.

კეშამ წამით წარმოიდგინა ფაცერთან მოზღვავებული, აფართქალებული თევზი. იმ ურჯულოს კი ამოჰქონდა და ამოჰქონდა ვერცხლის ზოდები: ბევრი, ძალზე ბევრი ქვირითი უნდოდა. დამპალი თევზის სუნზე მოსული დათვებიც კი ვერ მორეოდნენ, იმდენი თევზი ამოეხაპა მდინარიდან. ზოგ ადგილას ჩონჩხი ერთმანეთზე იყო მილაგებული, ეტყობოდა, არავინ წაჰკარებოდა. იქვე ეყარა ბადის ნაგლეჯები და კასრის სალტეები. ცოტა მოშორებით, უზარმაზარი ფიჭვების ძირას, ქოხის ნანგრევები მოჩანდა. დათვს ეს ქოხიც მიელეწ-მოელეწა.

იმ ადგილზე, სადაც დიდი დედა დათვი დაიღუპა, კეშა შემთხვევით არ მისულა. კარგად დატკეპნილი დათვის ბილიკი დაახლოებით ნახევარი კილომეტრის იქით იტოტებოდა და ურიცხვი კვალი გორაკზე იკარგებოდა, თითქოს იქ მხეცები თვალისთვის უხილავ ზღუდეს აწყდებოდნენ, მსწრაფლ უკან ბრუნდებოდნენ და ყველა თავთავის კვალს მისდევდა.

ფართო, სწორი, ძველი ბილიკი, გორაკს რომ ჰკვეთდა, ახლა ძლივსღა მოჩანდა მაჩიტას და ცხრატყავას ბუჩქებში. მაგრამ ამ მიტოვებულ გზას მაინც აჩნდა დიდი, ფრთხილი ნადირის ოდნავ შესამჩნევი კვალი. ყურჩამოხეული ყოველ წელს გაივლიდა ხოლმე იმ ბილიკს. რაღაც დაუძლეველი ძალა იზიდავდა გორაკის მიღმა კედარის დაბალი ბუჩქებისა და ტყის პირას აქოჩრილი ძირხვენებისკენ. ამ გზაზე რომ მახე იყო დაგებული, კეშას ეჭვი აღარ ეპარებოდა. დათვს მხედველობა ღალატობს, თორემ საოცარი ყნოსვა აქვს. საფრთხის სუნი აბრუნებდა ნადირს უკან, გადადიოდა ბილიკიდან. მთელი მათი ჯილაგიდან მხოლოდ ერთი ბედავდა აქეთ წამოსვლას. ყოველ გაზაფხულზე გაივლიდა იმ გზას, ფრთხილი, უჩუმარი ნაბიჯით მიიპარებოდა, ყოველ წუთს, ყოველ წამს საფრთხე ელოდა და მაინც მიდიოდა. ასე გადაჭრიდა ხოლმე გორაკს თავისი წინაპრების ბილიკით.

კედრის დაბალ ბუჩქთან დათვი მცირე ხნით ჩერდებოდა, ბეკნიდა ერთ

ადგილს — მაჩიტა, შტოში და წიწმატელა სულ მოთელილი იყო — მერე უფრო ფრთხილი ნაბიჯით, სრიალ-სრიალით შემოუვლიდა ბუჩქს.

კეშამ კედრის ტოტები გადასწია, მის ფეხებთან ფოლადის სალტეშემოჭერილი ნადირის ჩონჩხი იდო. უცებ მოეჩვენა, რომ დათვის ძვლებზე გველმა გადაისრიალა. კეშა ჩაცუცქდა, დააცქერდა იმას, რაც ოდესღაც ახალგაზრდა, ლამაზი მხეცი იყო. წვრილ-წვრილი ძვლები ყვავეზს დაეტაცათ, ჟამთა ვითარებაში ქალალდივით გათეთრებულ მსხვილ ძვლებს კი არავინ წაჰკარებია.

კეშა არასოდეს არ უგებდა მახეს ნადირს, არც ფარულ თვითმსროლელს ხმარობდა, მთელი გულით სძაგდა ასეთი ნადირობა. ახლა იმაზე ფიქრობდა, ნეტა ვინ იყო, ვინ მოცურდა ხმელეთიდან, ვინ მოიქცა ასე საზიზღრად, ჩამოჰკიდა ყულფი და მიატოვა? ვინ მოკლა მხეცი საზარელი წამებით?

ძვლები დაათვალიერა.

— დედა მოკლა, მაგრამ იგი ხომ ბელთან ერთად მიდიოდა..

ბუნებამ თითქოს განგებ არ წაშალა დანაშაულის კვალი იმის წინააღმდეგ, ვინც ტაიგის წმიდათაწმიდა კანონის დარღვევა გაბედა. გარეშე თვალისთვის ამ შეუმჩნეველი ნიშნებით კეშამ აღადგინა ყველაფრი. რაც იქ მოხდა რამდენიმე წლის წინათ. კეშამ უკვე იცოდა რა სიმაღლის იყო, როგორ დადიოდა ის კაცი, როგორი ჩვევები ჰქონდა, როგორი ხასიათი. მისი სახის წარმოდგენაც სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. როგორც კი შეეცდებოდა იმ კაცის სახის დანახვას, უმალ ორი შავი ლულა დაუდგებოდა თვალწინ.

ცივ ნაკადულებში, უღელტეხილის დათოვლილი მწვერვალებიდან რომ ჩამორბოდნენ, ორი ირმის ჩონჩხი იპოვა, ორივე ტყვიის მსხვერპლი გამხდარიყო. მძიმედ დაკოდილი ნადირი, თუ მონადირე აღარ მისდევს, ჯერ აქეთიქით აწყდება გამწარებული, მერე ხარბად ეწაფება წყალს, რომ გულმუცელში მოგიზგიზე ცეცხლი ჩაიქროს, და ბოლოს ნაკადულის ცივ წყალში წვება დაჭრილი ფერდის დასაამებლად და საშინელი ტანჯვით კვდება. ასე დაიხოცნენ ალბათ ის ირმები. მძიმედ იყვნენ დაჭრილნი, სასიკვდილოდ; ვერც ერთი შორს ვერ წაუვიდოდა მკვლელს, მაგრამ მონადირე არ გაჰყოლია მათ კვალს. რისთვის გასცვეთდა ფეხსაცმელს, როცა ერთი გასროლით ადგილზე გააგორებდა სხვა ირემს? კუნძულზე ბევრი ირემი იყო, ამიტომ არ გაჰყოლია სისხლიან კვალს. იმ ურჯულომ მკვლელობა ჩაიდინა, ტაიგის კანონი დაარღვია.

წარსდგება თუ არ იგი ოდესმე ამ მარდიული კანონის დამცველთა სამართლიანი სამსჯავროს წინაშე? თვალს დახრის თუ არა მათ წინ? შეაწუხებს თუ არა მას ულმობელი მსაჯული — სინდისი?

ტაიგა დუმს, დუმს ბალახი, მხეცები და ფრინველები დუმან. ბუნებამ არ მიანიჭა მათ ლაპარაკის უნარი. ღაღადებს მხოლოდ კვალი, ბოროტმოქმედისაგან დატოვებული კვალი. წაიკითხე იგი, ადამიანო!

ზამთრის დამდეგს

აგვისტოა. იწურება ზაფხული. კეშას სადგომის ირგვლივ დილდილობით ბუჩქნარსა და ბალახს ხშირი ცვარი მიწისკენ ჰხრის. აბლაბუდის ვერცხლიფერი ძაფით ნაქსოვ ბადეში დროდადრო ლილისფრად და ლურჯად კია-

ფობს მზის ათინათი. ცივად ბზინავს ტოტებში აქა-იქ შემორჩენილი შოთხვი. დამძიმებული გნოლ-ქათმები ზანტად მიმოდიან ჩახლართულ ტოტებქვეშ და აჩქარებით გაიძახიან: „შენ ვინა ხარ? შენ ვინა ხარ?“

მდინარე ლებიაჟიდან ნიავს ჟოლოს სუნი მოაქვს. კედრის დაბალი ბუჩქების ძირს დაფენილი ტოტები ფისით ოქროსფრად დაჭენწკლულა. მწიფდება გირჩები.

ტოტებგაშლილი არყები, მდინარის პირას ნაკრეხებზე აცაცხვები ყვითლად და წითლად შემოსილან, ჯერ კიდევ მოკრძალებით ანათებენ ლარიქსები, შავად იმოსებიან ფიჭვები.

კეშა ყოველ დილით გადიოდა ტაიგაში სახეტიალოდ, აგროვებდა სამკურნალო ბალახს, კენკრას, სოკოს. ერთ თვეში მთელი კუნძული შემოიარა, ერთი სადგომი კიდევ ააგო, სამი მიწური გათხარა, სიასამურისთვის რამდენიმე ადგილას ბაგა გამართა. იმედი ჰქონდა, რომ ზამთარში ხელხვავიანად ინადირებდა. კარგ დროს ჩავიდა იმ კუნძულზე კეშა, წლების მანძილზე არავის ენადირა იქ ციყვსა და სიასამურზე. ერთი-ორი სეზონი კიდევ და ისე მომრავლდებოდა მხეცი, ტყე ველარ დაიტევდა.

— მდიდარია აქ ტაიგა, ხელი კი ძნელად მოუწვდება ადამიანს, ამიტომაც ძარცვავენ ურჯულოები, თავისუფლად პარპაშებენ, იციან, პასუხს არავინ მოსთხოვთ.

ხუთი დღის წინათ შორს, ზღვაში გამოჩნდა „ოლგა“. ბოცმანმა ივანემ მოინახულა კეშა, ჩამოუტანა სურსათი, აგრეთვე ჩუგანის ნადირთსარეწი მეურნეობის მითითებანი.

კეშამ აბანო გაახურა, ივანე ორთქლში გამოაშუშა. მერე დიდხანს, დიდი პაპანწყვეტით წერდნენ წერილს მეურმეობის დირექტორს. კეშა კარნახობდა, ივანე ფანქარს ნერწყვავდა და ხორკლიან, სქელ ქაღალდზე გაჭირვებით გამოჰყავდა უსწორმასწორო სტრიქონები.

დირექტორს წერდნენ, დროა აქაური კუნძულების ათვისებაზე იფიქროთ, ველაცვალაცები პარპაშებენ, თვალი უნდა გეჭიროთ აქეთკენ მომავალ ყოველ კატერსა თუ კუნგასზე. ყველაფერს მაინც ის აჯობებს, თუ როგორმე მოახერხებთ ჩამოსვლას და მონადირეებსაც ჩამოიყვანთ საზამთრო ნადირობისთვის. სადგომები და მიწურები მზადაა, ნადავლიც ყველას თავს აუვალ.

ნეტა რას უპასუხებს ამ წერილზე დირექტორი? ისევ მითითებებს ხომ არ გამოუგზავნის?

ჩიტების კუნძულზე რომ ჩავიდა კეშა და გაიარ-გამოიარა, მაშინვე შეამჩნია, რომ დათვი კვალში ჩაუდგა. ეს გასაოცარი იყო. მძვინვარე სისხლის მსმელი ფოცხვერის გარდა ტაიგის არც ერთი ნადირი არ მისდევს ადამიანის კვალს. დათვი კი ჯიუტად, ჩაციებით მიჰყვებოდა მონადირეს, მაგრამ პირისპირ შეყრას ერიდებოდა. დათვები ცნობისმოყვარეები არიან, ხშირად შებაჯბაჯდებიან ხოლმე დაცარიელებულ სადგომში, სიამოვნებით იქექებიან ადამიანის დატოვებულ ნაგავსა და ხარახურაში. უთვალთვალებენ ადამიანს, როცა ის რაიმე საქმეს აკეთებს. ტაიგის სოფლებში მრავალ მხიარულ და უჩვეულო ამბებს გაიგონებთ ამ ეშმაკსა და ვერაგ მხეცზე.

ის, ვინც კეშას ჩაუდგა კვალში, ძალიან ფრთხილი იყო, ფრთხილი და ჭკვიანი. ერთხელაც ვერ შეეყარა პირისპირ, მაგრამ ყოველდღე გრძნობდა მის

სიახლოვეს. დათვმა თითქოს მიზნად დაისახა, მოულოდნელად დასცემოდა მონადირეს. კეშამ რამდენჯერმე მხეცის ხმაც გაიგონა. ამ ხმაში მუქარაც გაისმა და გამოწვევაც პატიოსან ორთაბრძოლაში. შემოდგომაზე, როცა საკვები თავსაყრელია, გაცელქებული დათვები ზოგჯერ აშინებენ ტყეში ყენკრის საკრეფად მოსულ ქალებს. ჩაჯდება ერთი ასეთი ონავარი ბუჩქსუკან, იმ ბილიკის მახლობლად, სადაც შინისკენ მიმავალმა ქალებმა უნდა გამოვიარონ და უცდის. გამოჩნდებიან თუ არა კენკრით სავსე ხოკერებითა და ბით დატვირთული ქალები ბილიკზე, ბუჩქს უკან ჩასაფრებული დათვი ერთს ისეთს დაიღრიალებს, რომ დაზაფრული ქალები კალათებსა და ხოკერებს იქვე დაყრიან და თავქუდგადაგლეჯილები მოკურცხლავენ. თათმოჩვართული კი ბილიკზე მოიკალათებს, გვერდით მოიდგამს სავსე ხოკერს და მადიანად სანსლავს კენკრას.

გლეხებთან კი არ უყვარს ხუმრობა ტაიგის ბატონს. თუ ოდესმე პირისპირ შეეყარა გლეხს, ორივე დაფეთებულები შებრუნდებიან, ერთი ერთ მხარეს გარბის, მეორე მეორე მხარეს. შემოდგომაზე გალაღებული დათვი ახალგაზრდა დედალი ირმის ჯოგს დაირეკავს შესაშინებლად, ხან ფულურაში ჩაბუდებულ ფუტკარს ააწიოკებს, ხან მორევში ჩაპყოფს თათს და თევზს დაარეტიანებს. მაგრამ ყოველივე ამას სიავით კი არ აკეთებს, მაძღარია და მხოლოდ თავს იჩვენებს.

ის კი, ვინც ამ კუნძულზე კვალში ჩაუდგა კეშას, სხვებს არა ჰგავდა, ბკვიანი იყო, გულში რაღაც ედო,მაგრამ რა? იქნებ ძველი ჭრილობა აწუხებდა, ადამიანის ხელით იყო დაკოდილი და ტკივილისგან გამწარებულს შურისძიება სწყუროდა? „არა, ასე არ არის. მხეცს კვალზე ეტყობა, რომ ჯანჩრთელია, მარჯვეა", — ამბობდა კეშა თავისთვის, რადგან ხშირად პოულობდა დათვის ნასუფრალს — სელაპების ნარჩენებს. „შვლის ნუკრებზეც ნადირობს და უთუოდ ის ცხენირემი (მათი ცხარე ბრძოლის კვალი ხომ ჯერ კიდევ ივლისში ნახა კეშამ) იმან იმსხვერპლა".

რამდენადაც ნელა, ზოზინით იწურება ზაფხული კუნძულზე, იმდენად სწრაფად გარბის ნაირფერად მოხასხასე შემოდგომა.

შემოდგომამ ერთბაშად აანთო და ააელვარა ტაიგა- გორაკები ლილისფრად დაიფერა, ცეცხლი წაუკიდა იქაურობას წითელმა მოცვმა. დილით ხრამებისკენ ფაშარი ნისლის ნაფლეთები მიცურავდა, სიფრიფანა, გამჭვირვალე ყინული მდინარის ნაპირებს კრავდა. ყინვამ გამოათეთრა მღვრიე განთიადი და ერთბაშად, უცებ დაიწყო ფოთოლცვენა. დატრიალდა ქარბუქი, ფერადფერად ნიაღვრად დაასკდა დედამიწას ფოთლის თქეში. გაძარცვულ ხეებში უცებ გამოყელყელავდნენ ფიჭვები და ნაძვები, მარტო არყის ხე ებღაუჭებოდა ბაგრად თავის ფოთლებს, თეთრად ისვეტებოდა მისი შტამბი, კენწერო კი ოქროსფრად ულუოდა.

ერთ ბნელსა და ნესტიან ღამეს კეშას სადგომთან კარგა ხანი იბაჯბაჯა დათვმა, გაანჩხლებული სიასამურასა და ბურაკას შესაშინებლად რამდენჯერმე ჩაასველა და ლებიაქის ნაპირს აუყვა ულრანისკენ, მარადმწვანე მყუდრო ფიჭვნარისკენ. სადღაც იმ მიდამოში დაიდო ბუნაგი, ერთი ორი კვირის შემდეგ ზამთრის ძილს უნდა მისცემოდა. ახლა კი დადიოდა მდინარის პირად, ხარბად ეწაფებოდა წყალს, ვინემ საზამთროდ ჩაწვებოდა. ზაფხულში დათვი ყველაფერს შეექცევა, რაც კი მოხვდება, არაფერს არ იწუნებს, არ არ-

ჩევს საჭმელს და კუჭი მუდამ სავსე აქვს.. ახლა კუჭს იწმენდდა, ჩასუქებული, გასისინებული, მარტო ვერხვის ქერქს ღრღნიდა და წყალს სვამდა. მონადირეები ამბობდნენ, ეგ ბატონი თიხასაც შეექცეოდა შემოდგომაზეო და, თუ ვინმე დაძინებამდე მოჰკლავს დათვს, ნახავს, რომ კუჭი ცარიელი და ქაღალდივით თეთრი აქვსო. მხოლოდ კუჭ ცარიელი წვება თურმე დასაძინებლად.

ეს კეშამაც იცოდა. მიუყვებოდა ლებიადის ნაპირს, ათვალიერებდა ქერქშემოღრღნილ ვერხვებს, ხეების ძირში ამობრუნებულ თეთრ თიხას. მონადირეს გადაწყვეტილი ჰქონდა, ზამთარში, თავის ბუნაგში მოეკლა მხეცი. ჩამოვა კუნძულზე მონადირეთა ბრიგადა, — ეს მტკიცედ სწამდა კეშას, — და ახალ ხორცს დაახვედრებს. გარდა ამისა, ხორცსა და თბილი სისხლის სუნს მაჩვეული მხეცი საშიშია, აუცილებლად რაღაც ფარსაგს დაატრიალებს. აკი ჩაუდგა კეშას კვალში, ჩაუდგა განა იმიტომ, რომ ცნობისმოყვარეობა აწუხებდა. კეშას, რა თქმა უნდა, ყურჩამოხეული ვერაფერს დაკლებს, მაგრამ ეს კუნძული ნიადაგ უკაცრიელი ხომ არ იქნება? ჩამოვა გამოუცდელი ადამიანი და უბედურებას გადაეყრება.

ერთბაშად დაზამთრდა. ჯერ სიასამურსა და ციყვს ბეწვი არ ჰქონდა გამოცვლილი, კურდღელიც ხალებიანი ქურქით კოპწიაობდა, რომ თოვლი უკვე კარგა სქლად დადო.

მონადირისთვის ზამთარი ალოობის ხანია; დღე მოკლეა, საქმე კი ყელამდე აქვს. ზოგი მონადირე ერთი ზამთრის განმავლობაში იმდენ კილომეტრს გაივლის, რამდენსაც სხვა თავისი სიცოცხლის ნახევარს მოანდომებს. ზამთრის თადარიგს მონადირე გაზაფხულიდან იჭერს, ისე ემზადება, როგორც კარგი სპორტსმენი შეჯიბრებისთვის. სპორტსმენს რა უჭირს! ვერ დაამყარებს რეკორდს? ეწყინება, ცოტა ხანი ინაღვლებს, მერე ისევ ვარჯიშს შეუდგება. მონადირემ კი თუ წიფორხილა, თუ ფინიშს დროზე ვერ მიატანა, მთელი წელიწადი თავისი ჯალაბიანად მშიერი დარჩება.

— ბევრი გინდა ჭამო, ბევრიც ირბინეო, — ეუბნებიან უფროსები მონადირეს. კეშას ესმის თავისი უფროსების. იმათაც გეგმის შესრულებას სთხოვენ.

კეშა სეზონისთვის წინასწარ ემზადება. რამდენიმე წყვილ თხილამურს ირმის ტყავი ამოაკრა, ტანსაცმელი მოირგო, დასაკერებელი დააკერა, მონადირული ხელთათმანი შეიკერა, სიასამურისთვის გამართულ ბაგებში ძველი ხორცი ჩადო, რომ ერთად მოაქუჩოს ისინი და ნადირობა გაიადვილოს. კარგი, ძვირფასბეწვიანი სიასამური ბუდობს ჩიტების კუნძულზე, ციყვიც მრავლობს, მაგრამ კეშას ციყვი არ აინტერესებს, მარტო გეგმის შესასრულებლად ხოცავს. კეშა მესიასამურეა. ძაღლები, სიასამურა და ბურაკა კარგად ჰყავს სიასამურზე ღაღეშილი. ამ მხეცზე ინტელიგენტურად უნდა ნადირობა, კეშამ ეს მშვენივრად იცის.

აი, თოვლზე ორი კვალი გადაჯვარედინებულა. რომელს უნდა გაჰყვე? ზოგი ფიქრობს, სულ ცოტა ხნის წინათ გაურბენია აქ მხეცუნას, მალე დაეწევიო, და ახალ კვალს დაადგება. პირიქით კი ხდება. მირბის მონადირე, მიჰყვება სიასამურის ახალ კვალს. ეჩვენება, რომ ცოტაც და დაეწევა, საცაა ძაღლები ძელზე მაგდებენ ნადირს და იქ მოუღებს ბოლოს. ოფლში გაიღვრება მონადირე, პერანგში გამოატანს სისველე, დალიანდაგებულ ქურ-

ოუკსაც დაუნამავს, თვალებს აუწვავს. სიასამური კი ორლა ცხენივით დაითხებს და ხელიდან წაუვა. ამასობაში შემოაღამდება კიდეც. დილას ისევ კვალს უნდა დაუწყოს ძებნა, ისევ სდიოს. ნადირი ზოგჯერ მთელი დღე არ ბენინებს მონადირეს.

კეშა კი, ვიდრე დაედევნება, ჯერ კვალს წაიკითხავს. თუ კვალი მსუბუქია, თოვლი ღრმად არ არის ჩაზნექილი ნავალზე, ეს იმას ნიშნავს, [illegible] სამური მშიერია, საჭმელად მიდის. მეორე კვალი ამბობს, რომ მხეცი [illegible] რია და დასასვენებლად მიდის. ეს კვალი პირველზე ღრმა არის, ნაფეხურს შუაში ოდნავ შესამჩნევი ზოლიც გასდევს. მაშასადამე, ნადირი დამძიმებულა, მუცლით მიხვეტავს თოვლს. ჰოდა, შორს ველარ გაექცევა კეშას, ერთიორი საათი და უკვე ხელთ ეყოლება. ასეთ შემთხვევაში ძაღლები უნდა მიუშვას მონადირემ, თვითონ კი ფეხებს დაატანოს ძალა. მონადირეს პურს ფეხები აჭმევს. თხილამურებით უნდა გაჰყვეს კვალს, ქარივით გადაუქროლოს ველებს, ჩასრიალდეს ფერდობებზე, საკუთარი სხეული დაიმორჩილოს, ხმელ ტოტებს თავი მოარიდოს, ხან მარჯვნივ გადაიზნიქოს, ხან მარცხნივ, აქ დაიკუზოს, იქ თავი დახაროს, მხეცს კი კვალდაკვალ მიჰყვეს.

კეშა ოქტომბერში ელოდა მონადირეების ბრიგადას, მაგრამ ბრიგადა ნოემბერშიც არ ჩამოვიდა. ნოემბრის ბოლომდე იმედი მთლად მაინც არ ჰქონდა გადაწყვეტილი. შატარის კუნძულებთან ზღვით გვიან შემოდგომამდე კიდევ მიიისვლებოდა. მართალია, იქ ძლიერი ქარიშხლები იცის, მაგრამ ჩუგანელებზე წყალს შეჩვეულები არიან, როგორი ღელვაც არ უნდა იყოს, ნავებში გადასხდებიან. თუ ნავს ზვირთი გადააბრუნებს, გემისკენ კი არ წავლენ, ნაპირისკენ გამოცურავენ.

„ხალხი ზღვით მოაღწევს კუნძულს, საკვებს და სხვა რამ საჭირო ხარიხურას კი თვითმფრინავიდან ჩამოუყრიან. რასაც ზამთრის განმავლობაში აქ მოიპოვებენ, ხარჯი ერთი-ორად აუნაზღაურდებათ და კიდევ საკმაოც დარჩებათ", — ფიქრობდა კეშა მონადირეების ¡მოლოდინში.

ძველადო, — უყვებოდა კეშას ბაბუა, — ჩიტების კუნძულზე ფაქტორიებში ამერიკელი გილიაკები — ინდიელები ცხოვრობდნენ და ნავებით ქრისტეშობამდეც კი დაცურავდნენ ხმელეთიდან კუნძულამდე. კუნძულიდან ცოტა მოშორებით ორი თბილი ნაკადი მიედინება ხმელეთამდე, იქიდან ისევ კუნძულს უბრუნდება, ოღონდ ზედ კუნძულამდე ვერ აღწევს, სამხრეთით ღებს გეზს. ვისაც ჭკუა უჭრის, ¡იმ თბილი ნაკადით ზამთარშიც შეუძლია კუნძულზე მისვლაო. — კეშას ახსენდებოდა ბაბუას სიტყვები და დიდხანს გაჰყურებდა ზღვის ფართო, სუფთა ზოლს, იქნებ გამოჩნდნენ ჩუგანელებიო. ნავით ხომ არ მოუწევთ წამოსვლა, ფელუკაც აქვთ, სეინერიც. გარდა ამისა, წყნარი ნოემბერი იდგა, ზღვა არ ღელავდა.

ერთ ღამეს კეშას მოეჩვენა, რომ ძრავას ყრუ გუგუნი შეესმა. უმალ წამოხტა, ცეცხლი გააჩაღა და ¡გარეთ გავიდა. ქარი ტაიგიდან ყურესკენ ქროდა. თუ სადმე მართლა გუგუნებდა ძრავა, უსათუოდ დასავლეთ ნაპირთან იქნებოდა. ცოტა ხანი კიდევ იდგა დაყურადებული კეშა გარეთ. ველარაფერი რომ ვერ ¡ეიგონა და სიცივემაც აიტანა, შინ შებრუნდა.

მეორე დღეს კეშა მთაში წავიდა, მთამაღალას რომ ეძახდნენ. კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში ამართული დიდი გორაკის ნორჩი, ტანწერწეტა ნაძვნარით დაფარული ერთი კალთა თხუთმეტ კილომეტრზე იყო გადაჭიმული.

მეორე კალთა კი რვა კილომეტრის გაყოლებაზე მიემართებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და მეჩხერი ბუჩქნარით მთავრდებოდა. იქიდან უკვე მთამაღალას ძირამდე ქვა-ღორღიანი ფლატე მიდიოდა. სიასამურს ნაძვნარი უყვარს. იმ დათვმაც, ზაფხულსა და შემოდგომაზე კეშას რომ დასდევდა, ნაძვნარის მახლობლად, ლებიაქის სათავესთან ამოითხარა ბუნაგი.

კეშამ კი დათვის ბუნაგიდან სულ რაღაც ოთხიოდ კილომეტრის მოშორებით შუა ნაძვნარში გათხარა მიწური. სწორედ იქით გუნდსა-გზა. დილაადრიანად, როცა მონადირეების ჩამოსვლის იმედი მთლად გადაუწყდა. ზამთრის სეზონის გახსნას მთამაღალაზე აპირებდა ნადირობით ნელ-ნელა ჩაუყვებოდა გზას თავისი მუდმივი სადგომისკენ, ლებიაქის სათავესთან რომ ედგა. სადაც კი სადგომები და მიწურები ჰქონდა გამართული, ყველგან ადრევე შეიტანა სურსათი და ახლა სალთად მიიჩქაროდა მთამაღალას მწვერვალისკენ. იქიდან უნდა დაეწყო ნადირობა. გაზაფხული რომ მოახლოვდებოდა, მაშინ დაუბრუნდებოდა მუდმივ სადგომს.

ᲐᲕᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ქარბუქი ამოვარდა და ჩრდილოეთიდან გააფთრებით მოაწყდა მთას. გეგუნებდა ხეები, ირწეოდა, მიწისკენ იზნიქებოდა. ნადირი და ფრინველი მიიმალა, მხოლოდ თოვლის ბუქი ტრიალებდა ხეებში, ხან მიწას დაასკდებოდა, ხან ზევით აიჭრებოდა, დაბლა ჩამოწეული ღრუბლებისკენ. ქეწამულ ნისლში იყო გახვეული იმ დილას მზე. ქარაშოტი ჩადგა.

კეშა ლებიაქის სათავისკენ გაიქცა. ცოტა ხანი დაჰყო იქ. უბიდან თბილი კვერი (უთენია რომ გამოაცხო), ხახვი, მარილი და პატარა ბოთლი არაყი ამოიღო. პური, მარილი და ხახვი ქვაზე დადო, არაყი კი ნელა ჩაასხა წყაროში, მერე უკან მოუხედავად გაშორდა იქაურობას.

ნადირობის დაწყების წინ ასე იქცეოდნენ მისი წინაპრები. თვითონაც იმას აკეთებდა, რასაც ისინი. მართალია, არ იცოდა რისთვის, რატომ, მაგრამ მაინც წმინდად, იდუმლად იცავდა მამა-პაპათა წესს.

ასეთი შემთხვევაც მომხდარა: გამოცდილი ტაიგელი მოხალისე მონადირეების ჯგუფს მიიყვანს ადგილზე. დასხდებიან, დავობენ, ვინ საით წავიდეს სანადიროდ. ტაიგელი მოთმინებით, დაწვრილებით უხსნის ყველაფერს მოხალისეებს. იწყებენ ჩაის სმას, ოხუნჯობენ, კამათობენ, უცებ მიიხედავენ და სადღაა მათი დამრიგებელი? ახლახან იქვე, პირდაპირ ეჯდათ, ჩაის ხვრეპდა, ხვნეშოდა, მოულოდნელად კი გაქრა, გაუჩინარდა. როდის წავიდა, საით წავიდა, ვერავინ შეასწრო თვალი, აღარც მისი თხილამურები იყო იქ, აღარც შულდაკი, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

არავინ არ უნდა დაინახოს, როგორ წავა მონადირე ნადირის სადევნელად. ამ ძველთაძველ ადათ-წესს მტკიცედ იცავენ ტაიგელები.

კეშას ბედმა გაუღიმა, საღამომდე სამი სიასამური მოკლა. სამივე წმინდა ბარგუზინული ჯიშის სიასამური იყო. კეშას იქვე მახლობლად ჰქონდა მიწური და ღამის გასათევად იქ წავიდა.

კმაყოფილი იჯდა ცეცხლის პირას, შეჭამანდს ხარშავდა, ტყავებს ასუფთავებდა. ძაღლები დაიქანცნენ, ძნელია ღრმა, ფაშარ თოვლში წრიალი და

სარბილი, დასველდნენ კიდეც და ახლა, არაქათგამოცლილებმა, თავი თათებში ჩარგეს თუ არა, ხვრინვა ამოუშვეს. კეშა ყალიონს აბოლებდა და ღიღინებდა.

კეშას ღილინი არ შეუწყვეტია, ვიდრე კერძს ამზადებდა. ფეტვით შეზავებული კაკბის ხორცი ჰქონდა ვახშმად. დინჯად, ჩუმად შეექცეოდა, — ეგაცებდა, პატივს სცემდა საჭმელს. ძვლები კარგად გამოწუწნა და გამოსცემდა. ბურაკა და სიასამურაც შეექცნენ ვახშამს, გამგელებულები ჭამდნენ, [illegible] რე შიშველ ფეხებზე მიეკრნენ პატრონს და ისევ აქშუტუნდნენ. ზამთრის ღამე გრძელია. ვიდრე სასთუმალთან კედელში გარჭობილი კვარი ენთო, კეშა დუდუნით კითხულობდა წიგნს, უყვარდა კითხვა. ყოველ გაზაფხულზე ბოცმან ივანეს ორ ფუთამდე ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ჩამოჰქონდა.

მონადირე გასართობად და დროს გასატარებლად როდი კითხულობს. მისი მეხსიერება წიგნებიდან კრეფს ყველაფერს, რაც მის სულსა და გულს ეხმიანება, რაც მის ხასიათს, ნირს მიესადაგება... მონადირე დიდხნობით მოწყვეტილია ადამიანებს, უკაცრიელ ადგილებში ცხოვრობს, ამიტომაც შეუცდომლად შეუძლია ვითარების აღქმა-შეფასება, ფიცხლად გამოეხმაურება.

ამ გაზაფხულზე „ოლგას“ კაპიტანი სამი დღით ესტუმრა კეშას. კეშა ვაცხარებით ელაპარაკებოდა კაპიტანს ყველაფერზე, რაც კი რამ საყურადღებო მომხდარიყო იმ წელს ქვეყნად, და იმ ამბებს თავისებურ, რაღაც ,ძალიან მიწიერ, ადამიანურ შეფასებას აძლევდა.

— ერთი ამას უყურე! — წამოიძახა გაოცებულმა კაპიტანმა. — ნეტა რადიოსადგური ხომ არ გაქვს აქ?

— რატომ? ქვეყანას მოწყვეტილი კი ვარ, მაგრამ მაინც ბევრ რამეს ეგებ შეხვედრიდან შეხვედრამდე. აი ახლა, ყმაწვილო, შენ იმდენი ახალი ამბავი ჩამომიკაკლე, მთელი წელიწადი მეყოფა საფიქრელად. რაც შეეხება რადიოს, კარგი საქმეა. რა იქნება რომ ჩამომიტანოთ?

კაპიტანი შეჰპირდა, ისეთ რადიომიმღებს გიშოვი, ყველგან თან ატაროო. ბატარეები ისე ექნება ჩალაგებული, როგორც ვაზნები სავაზნეებშიო.

— აჰა, ნახევარგამტარზე იქნება, — დაასკვნა კეშამ, კაპიტანმა კი პირი დააღო.

— ყური მიგდე, ტყის დათვო, ჯაშუში ხომ არა ხარ?

— დიახ, ამერიკელი ჯაშუში გახლავართ, — აროხროხდა კეშა. — მე ,აქ, ყმაწვილო, სარაკეტო ბაზა მაქვს. — მერე რაღაცამ წამოუარა, თავი მოისულელა, ჩლიფინი დაიწყო.

— ეს ვინ ყოფილა? — თავს აქნევდა კაპიტანი, — შენ ეს მითხარი, ხმელეთისკენ როდის იზამ პირს?

— რა მეჩქარება. აქაც ბევრი საქმეა, — შორს დაიჭირა თავი კეშამ.

— დიდი უცნაური კაცია, ცოტა შერეკილი, — უთხრა კაპიტანმა ბოცმანს, „ოლგაზე“ რომ დაბრუნდა. ბოცმანმა ხმა არ ,გაიღო.

კვარი ჩაიწვა, კეშამ წიგნი დაკეცა და სასთუმალთან დადო. მიწური ბინდში ჩაიძირა, ღუმელში მოლალანე ნაკვერჩხალი მცხუნვარე შუქს ჰფენდა ირგვლივ. სახურავს ზემოთ ტაიგა გუგუნებდა, ,ხვრინავდნენ ძაღლები და ადგილ მთამაღალას ძირას ხვნეშოდა ზღვა, აზანზარებდა მიწას.

კუნძულების თავზე გაყინულ ცაში გაკრთა, გასრიალდა ,ცეცხლი. იქ, მოსრიალე ისრების, მოციმციმე ციფერბლატების, ჭკვიანი მექანიზმების და

რადიოტალღების სამყაროში ადამიანს მიჰყავდა თვითმფრინავი და იმ ადამიანის გულისცემა ისევე ითვლიდა დროის დინებას, როგორც მიწურში ნაძვის ტოტებზე მთვლემარე მონადირისა..

... ჯერ კიდევ ბნელოდა, კეშას რომ გამოეღვიძა. მიწურში საგრძნობლად აცივებულიყო, მაგრამ ეშმაკურად ნაგებ ქვის ღუმელს მაინც შემოენახა ცოტა სითბო. მონადირემ მიაყურა: ქარი თანაბრად ქროდა, ბათქით არ ასკდებოდა მიდამოს, ნელა არხევდა ნაძვების კენწეროებს, არც ძლიერდებოდა, არც სუსტდებოდა. რუსული ღუმელის მილივით გუგუნებდა ტაიგა. კეშამ ცეცხლი გააჩაღა. ძაღლები წამოდგნენ, ტანი შეიფერთხეს და პატრონს ფეხზე გეგლისნენ.

კეშამ ღუმელზე ჩაისთვის ქვაბით წყალი შემოდგა და მიწურიდან ამოძვრა. თავშიშველი იყო და ყინვამ დაუსუსხა. კეშამ ჩაახველა, ყელი ამოიწმინდა. ის იყო მიწურში უნდა ჩაბრუნებულიყო, რომ საძვრომთან გაშეშდა. ღუმელში ფიჩხი ბრიალებდა, ფისიანი კვამლი ბოლქვ-ბოლქვად ამოდიოდა, თვალები აეწვა კეშას და ქუთუთოები მოისრისა.

„ხომ არ მეჩვენება?“

იქ, საიდანაც ხეთა კენწეროებს უტევდა ჩრდილოეთის ქარი და ხშირ ტაიგაში ძლივს მოჩანდა ხელისგულისოდენა ცა, ნელა იდღლაბნებოდა წითელი ლაქა. კეშამ შემოურბინა მიწურს, ძლივს გაარღვია წელამდე ნამქერი, საქარე მხარეს დადგა- ტაიგიდან კვამლის სუნი ეცა.

„მეჩვენება, — ისევ გაიფიქრა და თოვლს დასწვდა, სახეზე მოისვა, მოისრისა ნესტოები, ღრმად შეისუნთქა ჰაერი, — ალბათ ჩემი ღუმელისაა, — თავი ინუგეშა, — ქარი უბერავს“. და ისევ დაქინებით შეაცქერდა ნელ-ნელა გაბაცებულ დილის ბინდს. ნაძვის ხშირ ტოტებში გარკვევით ატანდა სიწითლე.

კეშამ ფეხები მაღალ ნაძვს შემოაჭდო, ნელ-ნელა აცოცდა ზევით. ხმელ ტოტებს ლაწალუწი გაჰქონდა. მაღლა და მაღლა უფრო ნათლად ჩანდა წითლად აბრიალებული ზეცა. კეშამ ტოტზე მოიკალათა, სული მოითქვა, სუსხიანი ჰაერი ჩაყლაპა და უცებ ცხადად იგრძნო კვამლის სუნი. ცეცხლი ჩრდილოეთიდან მოიწევდა, სადაც მარადმწვანე ნაძვის ტყე იწყებოდა.

— ტაიგა იწვის! ტაიგა იწვის! — დაიყვირა კეშამ და ელვის სისწრაფით ჩასრიალდა ქვევით.

ყურჩამოხეულს მაგრად ეძინა, უზარმაზარი სხეული გახევებოდა, ნელა აუდ-ჩაუდიოდა მკერდი, ამონასუნთქი ორთქლი ოდნავ შესამჩნევ ნაკადად მიიკლაკნებოდა ბუნაგის თავზე, ეფინებოდა ბებერი ნაძვისა და თოვლის თეთრი საბნიდან თავამოყოფილი ბუჩქების ტოტებს.

არაფერი უშფოთებდა ღრმა ძილს, ცხელი დრუნჩი გაბანჯგლულ ბეწვში ჩაერგო და ტკბილად ფშვინავდა. არავინ იცის დანამდვილებით, წოვს თუ არა დათვი ძილში თათს. ხალხი ამბობს, წოვსო. ყურჩამოხეულმაც არაფერი იცოდა ამის შესახებ და ამიტომაც თათები მშვიდად შემოედო თავზე, მაგრად დახუჭულ თვალებზე ჩამოეფარებინა. ჩამოხეული ყური საჰაერო ხვრელთან მიედო, ეძინა და ძილში ყურის ნახევები დროდადრო უკრთოდა, როდესაც ზამთრის ტაიგის ხმები ჩაესმოდა. ამ ხმებს მხეცის მოდუნებული სისხლი ახშობდა, არ აშფოთებდა.

ამბობენ, დათვი მთელი ზამთარი გაუნძრევლად წევს და გაზაფხულის მოახლოებაზე მარტო ერთხელ შეინაცვლებსო დაბუქებულ გვერდს. გაზაფ-

სული ჯერ ძალიან შორს იყო და ყურჩამოხეულს გულისძილით ეძინა. მაგრამ, უცებ რაღაც ჩასწვდა სულის ბნელ სიღრმეში, გული ნეკნებს მიასკდა, ეროსავით აუბრაგუნდა. ქვებში წვეთმა გამოჟონა, ბუნაგში ჩასხლტა, იმ ერთს მეორე მიჰყვა, მეორეს—მესამე. მალე ძაფივით წვრილი ნაკადი ზურგში ჩაუსრიალდა დათვს და ფერდთან დაუგუბდა. უცებ აცრემლდა ქვები, წამოწანწკარდა ნაკადები, სითბოთი გამლღვალი კვირტების, ფესვებიდან ტის მწკლარტე სუნი დადგა. მხეცს ტანში ჟრჟოლამ დაუარა. თათებმა ბასრი კლანჭები შეენძრა. ეს სურნელი, ახლა რომ შემოიჭრა ბუნაგში და სისხლი აუჩქროლა, რაღაც არ ჰგავდა გაზაფხულის სუნს.

ყურჩამოხეული შეიშმუშნა, გაიჭიმა, ამოიხვნეშა, ამოუშვა ცხელი ჰაერი, ვულ-მუცელს რომ უთბობდა. მერე ერთბაშად წამოვარდა, ზურგით ასწია დატეპნილი თოვლის ნამქერი, გაიჭრა გარეთ, საზარლად დაიბრდღვინა და ერთ ადგილზე გაშეშდა დბრმავებული...

ცეცხლი პირდაპირ მისკენ მოიწევდა, ხმელ ხეებსა და ბუჩქებს ნთქავდა, ხარბად ლოკავდა ნაძვების შტამბს, შიშინებდა, ბურჯღლლებს ისროდა. სადღაც სულ ახლოს მიწას დაასკდა ხე, ნაპერწკლები ცამდე აიჭრა, ჭახანი გაიღო სიმხურვალით გაძსკდარმა ქვამ. კვამლი ნესტოებში შეუძვრა მხეცს, ქეზოსა და ზურგზე ბალანი აუშალა. ყურჩამოხეული შეტოკდა, წინა თათები მიწას მოგლიჯა, უკანა ფეხებზე შედგა, თვალი მოიჩრდილა და ცეცხლისკენ წაბაჯბაჯდა, ერთი საზარლად დაიღრიალა: „ოუ-ოუ-ოუ" — და უკუიქცა. ბიჯლიგინობდა გადარეული, ლეწავდა, რაც გზად ხვდებოდა, ბუჩქი იყო, ქარიშხლისგან ჩამოტეხილი ტოტები თუ ფიჩხი.

ყურჩამოხეული პირდაპირ მიჰქროდა, ხეებში ძვრებოდა, საზარლად ბღაოდა, უნდოდა შიშს მორეოდა, კვამლის მწარე სუნთან ერთად რომ შეერია სისხლში, მაგრამ ვერ ახერხებდა.

კეშა თავის ცხოვრებაში პირველად დაიბნა. ჯერ მიწურში ჩაენთო, ფაციფუცით ჩაიცვა ტყაპუჭი, ქუდი თავზე მოიგდო, თოფს ხელი დასტაცა, ზეით აძვრა, საჩქაროდ გაუყარა ფეხები თხილამურის თასმებში და ჩრდილოეთისკენ გაენთო, პირდაპირ ხანძრისკენ. ძაღლებმა საფრთხე იგრძნეს, წკმუტენ-ყმუილით გაჰყვნენ პატრონს, წინ არ გადაუსწრიათ. რაც უფრო შორს ბიდიოდა კეშა, მით უფრო მეტი გაუბედაობა ეტყობოდა ძაღლებს. ჯერ სიასამურა შედგა, ერთ ადგილზე დატრიალდა, კვამლის სუნი შეისუნთქა და უკვე ნელა გაუყვა პატრონის თხილამურების კვალს. ბურაკა საგრძნობლად ჩამორჩათ. კეშა კი მიჰქროდა და მიჰქროდა, მაშინღა შედგა, როცა შორიდან შესაბრალისი ყეფა შეესმა. ცეცხლი სადღაც სულ ახლოს იყო, კვამლი უკვე სქლად ატანდა ხეებში, წინ მრისხანედ გუგუნებდა, კვნესოდა ტაიგა, უკან ბურაკა და სიასამური ყმუოდნენ. შეაჩეროს ცეცხლი, როგორმე გადაუღობოს გზა — მარტო ეს სწყუროდა კეშას, საკუთარ თავზე არ ფიქრობდა, მოსალოდნელი საფრთხე სულ არ აშინებდა. საფრთხე კი ყოველი წუთით, ყოველი ნაბიჯით ახლოვდებოდა.

ტაიგა! განა მარტო ტყე, ფრინველები და მხეცები... ტაიგა დიდი, ცოცხალი, ახლობელი, დედასავით საყვარელი ტაიგა ელოდა კეშას, შველას თხოვდა, კვნესოდა, ადამიანის თვალით შემოჰყურებდა, თითქოს ეძახდა, მიშველეო.

„ღმერთო ძლიერო, რა არის ეს?“ — ფიქრობდა ნაძვის ხეს მიყრდნობილი კეშა.

ქარისგან დარხეული ხე მღეროდა, სადღაც სიღრმიდან ზევით-ზევით ილტვოდა მიწის წვენი, უვსებდა ხეს ყოველ უჯრედს, ყოველ წიწვს. კეშას ესმოდა ხის ღაღადი, მაგრამ სხვა ხმა, მოახლოებული განსაცდელის ხმა აღშობდა მის ღაღადისს.

ქარაშოტი შმაგობდა, ზათქით აწყდებოდა მიდამოს, ხეებს ტარაცალით ფეხდაფეხ მოსდევდა ცეცხლი. მონადირეს უშიშრად ჩაურბინა მელამ, ჩაუქროლეს თეთრმა კურდღელმა, ირმის ჯოგმა კინაღამ გადათელა, წინ ბებერი ქორბუდა მიუძღოდათ. ადამიანმა წამით ღაინახა ნადირის უსაცოცხლო, ჩამქრალი თვალები. ირმებს ყელზე, ზურგზე და გავაზე ოფლი შეოზოლად დასდევდათ. ჯოგს ბორძიკით და კოჭლობით მისდევდა ბიჟინი, ყოველ წაბორძიკებაზე დრუნჩს ახლიდა თოვლს. დედამისი შედგებოდა, მოკნილ თავ-კისერს შვილისკენ მიაბრუნებდა და შეშფოთებით, ყრუდ შეუბღავლებდა. ბიჟინიც გაეხმიანებოდა და კვლავ ბორძიკით მისდევდა დედას. უცებ ბიჟინმა წინა ფეხებზე რბილად ჩაიჩოქა და ყურებამდე ჩაეფლო თოვლში. მერე ასწია პატარა, გაწკვიტინებული დრუნჩი და დაიფრუტუნა, გამოიბერტყა თოვლი ყურებიდან და თვალებიდან. წამოდგომა სცადა, მაგრამ უმალ შესაბრალისი ზმუილით გვერდზე გადაიქცა. დედამ ისევ უხმო შვილს, ერთ ადგილზე აწრიალდა, ნაბიჯი ვეღარ გადადგა. კეშა მივიდა ბიჟინთან. ბიჟინმა ყურები გააპარტყუნა და წყლიანი, უაზრო თვალები შეანათა.

ბიჟინს ქარიშხლისგან მოგლეჯილ ხის ტოტებში ჩასჭედოდა ფეხები. ვიდრე კეშა ფეხებს გაუთავისუფლებდა, დედა გარს უვლიდათ და შეშფოთებით ბღაოდა.

— იქნებ გაასწროთ კიდეც, — თანაგრძნობით უთხრა კეშამ დედა-შვილს. მონადირე უკვე დამშვიდდა, მაგრამ როცა ბიჟინი გაათავისუფლა, დაუსტვინა: — ერიჰაა, ძმობილო, ცუდაა შენი საქმე! — წვრილი ფეხები ვეღარ იმაგრებდა ბიჟინს, ისევ ჩაიჩოქა.

— რა ვქნა, რა გიყო, პატარავ? — ხელში აიყვანა და გზა განაგრძო.

თხილამურები სიმძიმისგან თოვლში ეფლობოდა, ბუჩქების ტოტებში ეხლართებოდა. ბიჟინი გასხლტომას არ ცდილობდა. პირიქით, ეკვროდა ადამიანს, თითქოს ბავშვიათ, მხოლოდ თრთოდა, კანკალებდა. დედა ირემი ხან წინ გაუსწრებდა მონადირეს, ხან შედგებოდა, მოუბრუნდებოდა.

— გაიქეცი, სულელო! — დაუღრიალა კეშამ ირემს და ბიჟინი ძირს დასვა. — ერთად ვერ გავაღწევთ.

ქარის ქროლვაში გარკვევით ისმოდა, რომ ცეცხლი უკვე სულ ახლოს ბობოქრობდა.

— როგორ გუგუნებს, — თქვა კეშამ და ისევ თვალებში ჩახედა ბიჟინს. — ოჰ, პაწიავ, პაწიავ!

ამ დროს ყურჩამოხეულიც გამოგორდა, კეშასგან სამიოდ ნაბიჯზე შედგა, ქანცგავარდნილი ცხენივით ქოშინებდა, ბანჯგვლიანი, სველი ფერდები აუდჩაუდიოდა. რამდენიმე წამი ერთმანეთს თვალებში უყურებდა ადამიანი და მხეცი. მსუბუქი თოფი მხარზე ეკიდა კეშას, მაგრამ თითებს მაგრად უჭერდა დანის ტარს. დათვი კი, თითქოს უცებ რაღაც გაახსენდაო, განზე გახტა, თოვლის კორიანტელი ააყენა იმ ადგილზე, სადაც წუთის წინ იდგა და გაქრა. დათ-

ვის გამოჩენისთანავე გაქრა დედა ირემიც. დათვის დანახვაზე უცებ შეიმართა კეშა და ახლა ასევე უცებ მოეშვა.

— ერთად ვერ გავაღწევთ აქედან. ვერ გავაღწევთ, — უთხრა კეშამ ბიჟინს. ბიჟინმა თითქოს გაიგო ადამიანის ნათქვამი და უფრო ძლიერ აკაკკალდა. კეშამ მარცხენა ხელი თბილ დრუნჩზე მოუსვა ბიჟინს, მერე ყურებზეც შეავლო და ნაზად მოქაჩა.

— ცოცხლად ამოიბუგები აქ, გესმის? — უთხრა და უცებ მარცხენა ხელით ზურგისკენ გადაუწია დრუნჩი, მარჯვენათი კი კისერში დანა ჩასცა. ბიჟინი შეფართხალდა, ფეხები მიწაზე ააფხარკალა, სისხლი ღვარად გადმოსკდა თოვლზე.

კეშამ სამხრეთისკენ გაუტია. სამხრეთისკენ ილტვოდა ფრინველი და ნადირიც. ხიდან ხეზე ხტომა-ხტომით წინ მიიწევდნენ ციყვები, უსწრებდნენ მონადირეს სიასამურეებიც. ნამქერიდან ამოფრთხიალებული კაკბები ფრთების ტყლაშუნით მიფრინავდნენ, შორდებოდნენ იქაურობას. ერთმანეთში აირია მელიისა და კურდღლის, აფთრისა თუ მგლის, დათვის თუ არჩვის, კვერნის თუ ირმის კვალი. მხეცები ერთი გზით მიდიოდნენ, ყველას შიში მიერეკებოდა.

კეშამ ისევ დაინახა ირმის ჯოგი და მათი წინამძღვარი, ბრძენი, ბებერი ქორბუდა. მელამ ისევ ჩაურბინა გვერდით და სადღაც შორს ჩაიჯლიგინა ყურჩამოხეულმა. მონადირე მიხვდა: ცეცხლმა სწრაფად გადაბუგა ტყისპირა ბუჩქნარი და ახლა რკალივით ერტყმოდა მათ. მხეცები თავის დასახსნელ გზას ეძებდნენ, ერთი წუთის დაყოვნებაც აღარ შეიძლებოდა, თორემ რკალი შეიკვრებოდა და მაშინ...

ცეცხლი

კეშა ნადირის ღრმად გაკვალულ ბილიკს მიჰყვებოდა. მხეცები აქეთ-იქით აღარ იფანტებოდნენ; ერთად შეჯგუფული მირბოდნენ ცეცხლის რკალიდან თავის დასაღწევად. ადამიანიც მათ გზას მისდევდა. თხილამური გაუტყდა და ფეხით მიდიოდა. თოფი ხეების და ბუჩქნარის ტოტებს ედებოდა, სიარულს უშლიდა, მაგრამ მაინც არ გადააგდო. სუნთქვა უჭირდა, მწვანე, ნოტიო კვამლი თვალებს სწვავდა, გზაზე ეფინებოდა. ტყეში ჩამობნელდა, სიცხემ იმატა. კეშა უკან არ იხედებოდა, ზურგით გრძნობდა, როგორ ახლოვდებოდა ცეცხლის კედელი.

— ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვეს, ვერ დამეწევი! — ჩურჩულებდა კეშა, ფეხს უჩქარებდა, სული ეხუთებოდა ტაიგის გავარდისფრებულ ბურში, — ვერ მომიღებ ბოლოს!

რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა, სწორედ ის დაემართა: მოყინულ ძელზე დაუსხლტა ფეხი და წვეტიანმა ტოტმა ყურიდან ნიკაპამდე ღრმად ჩაუჭრა სახე. ტკივილმა ელვასავით დაუარა თეძოდან კოჭამდე. კეშამ ხელები დამუშტა, კბილების კრაჭუნით წამოდგა და წავიდა, მთელი სიმძიმით საღ ფეხს ებჯინებოდა.

„ნელ-ნელა მომეშვება, გამივლის ტკივილი, — გაიფიქრა და ხელისგულით მოიწმინდა სისხლი, — ესეც შემეყინება! — მარჯვენა ხელმა ტეხვა დაუწყო და ახლალა შეამჩნია, რომ სისხლშეყინული დანის ტარი ისევ ისე მაგრად ჰქონდა ხელში ჩაბღუჯული. — პირველად მოვკალი ნადირი ტყუილ-

უბრალოდ... ერთი დაკვრით... ხელის ერთი მოქნევით... — აზრი ერეოდა. — ერთი და... მორჩა..“

ისევ წაიქცა და კვლავ ყბებში მოიქცია ყვირილი.

— ვერა, ვერ მოგართვეს! ეს არ არის ბოლო, არა! — ფიქრობდა თუ ჩურჩულებდა, თვითონაც არ იცოდა. გაჭირვებით შეუშვა ფილტვებში გამქელებული, მყრალი ჰაერი. — საიდან გაჩნდა ცეცხლი? — პირველად შეეკითხა თავის თავს და პასუხი ვერ იპოვა.

კი არ მირბოდა, კი არ მიდიოდა, მოწყდებოდა ადგილს, გადახტებოდა და დაებერტყებოდა, გადახტებოდა და დაებერტყებოდა. სადღაც ახლოს, მისგან მარცხნივ, ტოტების ლაწალუწით მიჯლიგინობდა ყურჩამოხეული. დათვმა ორჯერ სცადა გზაზე გადაღობილი ცეცხლის კედლის გადალახვა და ორჯერვე უკუიქცა, გასასვლელს დაუწყო ძებნა. ხეთა აბრიალებული კენწეროებიდან ნაპერწკლები დაეცა ტანზე, აუბოლდა ბეწვი, ბრდღვინვა-ღმუილით გაგორდა თოვლზე, იქრობდა ბანჯგვლებზე მოდებულ ცეცხლს და ისევ გარბოდა, თან მისდევდა ტრუსის სუნი.

გაზაფხულის წყლებითა და წვიმებით ამორეცხილ თხრილში ძუ დათვი კვნესოდა, ირგვლივ ერთიანად მოეფშვნიტა თოვლი, მაკედ იყო, დიდი მუცელი ჰქონდა. ზურგით მორს მიყრდნობოდა, დაკოდილი სხეული უძაგძაგებდა, დალებული ხახიდან მოთეთრო-მოყვითალო დუჟი გადმოსდიოდა. კვნესოდა დათვი, კვნესოდა სიმწრით და კიდევ იმის ბოღმით, რომ ვეღარ შობდა ახალ სიცოცხლეს. აღარც ბობღვა შეეძლო, აღარც ბრჭყალებით მიწის თხრა, თათები ფართოდ გაეშალა და იმ თათებშუა ულონოდ ეკიდა მუცელი.

არაქათგაწყვეტილმა ყურჩამოხეულმა თვალი აარიდა ძუ დათვს და, რამდენადაც შეეძლო, სწრაფად ჩაურბინა. ტრუსისა და კვამლის სუნში მაინც გაარჩია ძუ დათვის სუნი.

ცეცხლი ოქროს წვრილი გველებივით მოიკლაკნებოდა, ციცინათელებივით დაფარფატებდა ტოტიდან ტოტზე, ბზიკებივით რიალებდა. უცებ ძალუმად ამოიქშინებდა და ხეებს ძირიდან კენწეროამდე ერთბაშად ააბრიალებდა. ნაპერწკლის თქორი, კვამლის ბოლქვები, ალის მოლურჯო ენები, თითქოს უჩინარი ძალით ზეატყორცნილი, ილტვოდა ცისკენ. ცეცხლის კედელი სერავდა ტაიგას, ოქროს გველები, ციცინათელები, ბზიკები შიშინით, სისინითა და ზუზუნით წინ უსწრებდნენ ნარინჯისფერ ზვირთებს. დნებოდა, იბუშტებოდა თოვლი, ჭახჭახებდა ნაძვები, სკდებოდა ქვები, ძირს დანარცხებული ხეები სულთმობრძავივით იკრუნჩხებოდა.

მძიმე ღრუბლებით დაფარული დაბალი ცა კვამლს აკავებდა და კაცი ვერ გაარჩევდა, სად იწყებოდა დედამიწა, სად თავდებოდა ღრუბლები.

მოტყდა, ჩაცხრა ქარი, მაგრამ ხანძარი არ შენელებულა. ცეცხლის ზვირთი ისევ ისე მიჰქროდა. ქარმა თავისი საქმე გააკეთა და ახლა თვლემდა, თითქოს დროის გაჭიანურება უნდათ, რომ ხმელეთზე გვიან ეგრძნოთ ხანძრის სუნი.

ნადირის გაკვალული ბილიკი თავქვე დაეშვა. ასობით ნაკვალევი აქეთ-იქით გაიფანტა. „გავალწიე“, — გაუელვა კეშას დაბინდულ გონებაში, ახლაც კი, ასეთი დიდი განსაცდელის ჟამს, მისი თვალები ტაიგის იდუმალ ცხოვრებას მაინც ამჩნევდა. როგორც იყო, ცეცხლიდან გამოლოღდა კეშა და ტუჩებით ნადირივით ხარბად დაეწაფა თოვლს. ტანსაცმელზე ბოლი ასდიოდა, საბე და

ხელები დამწვარი ჰქონდა. იმ ადგილას ტაიგას ქვა-ღორღიანი ფლატე ჰკვეთდა. კეშამ სადღაც უკან მოიტოვა კვამლის სქელი ფარდა. სუფთა ჰაერმა ერთბაშად ამოუვსო ფილტვები და ხველა აუვარდა, შავი სისხლის კოშტებსა და ქვარტლს აფურთხებდა, იმ ბიჟინივით ცდილობდა წამოდგომას და ვერ ახერხებდა. ხველა თავს ახლეკინებდა თოვლზე, ნეკნებს უმტვრევდა, გულ-მუცელს უმდუღრავდა, სწყუროდა, სტეხდა დასიებული, ალაგ-ალაგ დამწვარი სახე, გაბევებული თითებით იღებდა თოვლს და პირში იტენიდა, მაგრამ გახურებული ყელის გაგრილებას ხველა უშლიდა.

„ნურას უკაცრავად! ვერ მომერევი, ვერ წამაქცევ!“ — ფიქრობდა კეშა.

ნელ-ნელა გონს მოდიოდა, ნებისყოფას იკრებდა. როგორც იყო, მოეშვა ხველა, ზურგზე გადაბრუნდა, შუბლსა და ტუჩებზე მუჭა-მუჭა იღებდა თოვლს. თოვლი დნებოდა, კეშა კბილებში ისრუტავდა კვამლის სუნდაკრულ სითხეს. თოვლის წყალი ენაზევე აშრებოდა და მოწყურებულ სხეულს შვებას არ აძლევდა. კვლავ სცადა წამოდგომა, მაგრამ ამაოდ. ათასობით წითელი ქატლი აუფუთფუთდა თვალებში, სადღაც შიგნით, გულის მახლობლად ჩაუწყდა სიმი და იმ სიმის მჭახე ქღერამ ამოუვსო ყურები.

უცებ ძრავას თუხთუხი შეესმა.

„კუნგასია, — თქვა ჩურჩულით, — თუ მელანდება?“ მაგრამ ძრავა მარადა თუხთუხებდა სადღაც სულ ახლოს, ნაშალთან, კლდეების ძირას.

„ხალხია? ნუთუ ხალხი მოვიდა?“

როგორც იქნა, მოიკრიბა ძალა და ქვიანი ფლატის ნაპირთან მიხოხდა, ნამქერთან ერთად მოწყდა ადგილს, ფლატეზე ჩაგორდა. შეეცადა, რაც შეიძლება, ნელა ჩასრიალებულიყო, რომ ქვა-ღორღი ადგილიდან არ დაეძრა და თან არ წაეყოლებინა. ძრავა უფრო ძლიერ ახმაურდა, ეტყობოდა, ახალი ამუშავებული იყო, ახურებდნენ.

„გამასწრებენ, ღმერთო ძლიერო, გამასწრებენ, — შფოთავდა კეშა, თან ჩქარებით მიხოხავდა კლდისკენ. — ნუთუ გადაწყვიტეს, რომ დავიწვი? ნუთუ წავლენ? ხალხო!“ — დაყვირება უნდოდა და ვერ მოახერხა, ტკივილით შეკუმშულ ყელს მხოლოდ სუსტი ხიხინი აღმოხდა.

ძრავა უკვე მთელი ძალით მუშაობდა; მის გამაყრუებელ დგრიალს ხან ზრიანვა გამოერეოდა, ხან ისევ მდორედ გუგუნებდა.

კეშამ კლდეს მიაღწია. ფლატე მკვეთრად იყო მარჯვნივ მოქნეული, პაწია მოედნისკენ. იქვე მახლობლად არყის ხეს გაედგა ფესვი. კეშამ მარცენა ხელი არყის ხეს შემოსალტა — ხელის მტევანი დასიებული ჰქონდა, ვერ ამოძრავებდა, — მარჯვენა ფეხით მიწას დაებჯინა, წინ გადაიხარა და ქვევით ჩაიხედა, საიდანაც ტალღების დგაფუნი და ძრავას თუხთუხი ისმოდა.

ქვევით ხუთნი იყვნენ, ერთი ტალღებზე აკავებდა კუნგასს, რომ ზვირთს ქვებზე არ მიენარცხებინა, ოთხი კი ნაპირზე ფუსფუსებდა.

„ეჰეი, ხალხნო! მე აქა ვარ! ხედავთ, გადავრჩი!“ — უნდოდა დაეძახა, მაგრამ ვერ შესძლო, გული ისევ მიებნიდა. გულალმა გაწვა, ცდილობდა მორეოდა სისუსტეს. ადამიანები მხოლოდ ერთი წამით დაინახა. მას კი უნდოდა დიდხანს ეცქირა მათთვის, დანატრებული იყო, ხშირად ფიქრობდა, მუდამ ახსოვდა ადამიანები. ისევ დასძლია სისუსტე, ისევ გადაიზნიქა მთელი ტანით, რომ დაენახა ქვევით მყოფნი, როგორმე ენიშნებინა, რომ აქ არის, კუნძულზე. კაცებს რაღაც მიჰქონდათ ნავისკენ, ერთიმეორეს ხმამაღლა ელა-

პარაკებოდნენ, მაგრამ ზღვის ხმაური ახშობდა მათ ხმას. და უცებ გარკვევით დაინახა, რაც მოჰქონდათ იმ კაცებს ესოდენ სათუთად. ბადე იყო, წვრილი კაპრონისგან ნაქსოვი, დიდი ბადე. კეშა ვეებერთელა, მბზინავ ფორგალს ხედავდა. ფორგალში რაღაც ფუთფუფებდა, იკლაკნებოდა.

— უყურე შენ! უყურე შენ! — კეშამ თვალებს არ დაუჯერა.

ის ცოცხალი, მოფუთფუთე, სიასამური იყო, მისი ბევრი ბზინავდა. წყლის თეთრ ზოლთან მონადირემ კიდევ სამი ვეებერთელა ფორგალი და შავი გვამების ხორა დაინახა.

„აჰა, აი თურმე საიდან გაჩნდა ხანძარი! ცეცხლით გამოდევნეს სიასამური ბადისკენ. ვინც ბადეს და ცეცხლს თავი დააღწია, აღგილზე დახოცეს. მკვლელებო! ურჯულოებო! როგორ გზიდავთ დედამიწა? როგორ უნდა შეხედოთ თვალებში მშობელ დედასა და შვილებს?“

ძალა გამოეცალა კეშას, ზურგზე გადაბრუნდა და გრძნობა დაკარგა, როცა გონს მოვიდა, პირველი, რაც გაიგონა, შორს წასული „კუნგასის“ ძრავის დგანდგარი იყო. კუნგასმა კუნძულის სამხრეთ უბისკენ აიღო გეზი. ის ხუთი კაცი ჩქარობდა, შებინდებამდე უნდა მიეღწიათ სამხრეთ უბისთვის. იქ მეექვსე ამხანაგი ელოდათ.

კუნძულის ჩრდილოეთ ნაპირი კლდოვანია. მოყინული ფლატე ნაშვავი ქვითა და ნამქერებითაა მოფენილი. ზამთარში იმ მხრიდან ზღვაზე ჩასვლა შეუძლებელია.

წინა საღამოს მეექვსე მონადირე ამხანაგებმა კუნგასიდან სამხრეთ უბესთან ჩამოსვეს. მეექვსე მაშინვე მთამაღალას მწვერვალზე შეფენილი ნაძვნარისკენ წავიდა. ღამე კოცონთან გაატარა, განთიადის მოახლოებაზე ბენზინით სავსე პოლიეთილენის ქილა ამოიღო, ღრო მაჯის საათის მნათი ციფერბლატით შეამოწმა. ღამით მის ხუთ ამხანაგს ბადეები უნდა გაებათ და ადგილები შეერჩიათ, ვინ სად უნდა დამდგარიყო ნაძვნარის სამხრეთით. მეექვსემ დინჯად შეამოწმა ქარის მიმართულება, რამდენიმე ადგილას დააგროვა ხმელი ფიჩხი, წააცალა ნორჩი ნაძვები, გადაასხა ბენზინი. ყველაფერს აუჩქარებლად, საგულდაგულოდ აკეთებდა.

ჯერ კიდევ ბნელოდა, ტყის ნაპირიდან ასიოდე მეტრის სიღრმეში რომ შვიდ ადგილას აბრიალდა კოცონი. კაცმა ერთ კოცონში პოლიეთილენის ცარიელი ქილა ჩააგდო, ტყაპუჭი გაიხადა, სუფთა ადგილზე დადო და ერთი კოცონიდან მეორესთან გადარბოდა, უჩიჩხინებდა ცეცხლს. ქარი ქროდა, ფიჩხსა და ნორჩ წიწვს ხელად მოედო ალი და როცა რამდენიმე ნაძვი ჩირაღდანივით აინთო, კაცი დაფრთხა. რაც დიდი ხნის წინათ ამხანაგებთან ერთად ჰქონდა მოფიქრებული, აწონ-დაწონილი, რისთვისაც რამდენიმე წელიწადი ემზადებოდა, იმავე საქმემ ახლა დაზაფრა, გული შეეკუმშა, ყურებში ყრუდ დაუარა გუგუნმა.

კაცმა არა თუ იცოდა, დარწმუნებული იყო, რომ ბოროტების ჩამდენებს ვერ გამოიყვანდნენ სააშკაროზე, რადგან საფრენი ამინდი არ იყო, კუნძულებიდან ხმელეთამდე ნისლი იდგა, ღრუბლები დაბლა იყო ჩამოწოლილი, ქარს კვამლი ოკეანესკენ მიჰქონდა, დღეს-ხვალ უთუოდ გრიგალიც ამოვარდებოდა და საბოლოოდ წაშლიდა ყოველგვარ კვალს. ამიტომაც სჯეროდა მტკიცედ, რომ პასუხს ვერავინ მოსთხოვდა. მაგრამ რაღაც სხვა, საზარელმა, ავბედითმა გრძნობამ შეაშფოთა, ააწრიალა, ქურდულად დააცეცებინა თვალები, ეგონა ვი-

ღაც მითვალთვალებსო. თავი მხრებში ჩარგო და უკან მოუხედავად გაქუსლა. ვარბოდა, ის ვიღაც უჩინარი კი მისდევდა, თვალს არ აშორებდა. ღმერთი არა სწამდა და მაინც გადაიწერა პირჯვარი, ღმერთო შიშველეო, ჩაიბუტბუტა, ფერდობზე დაეშვა, გაექცა აბრიალებულ ხეებს.

სამხრეთ უბესთან უნდა ჩასულიყო და ნაპირზე დალოდებოდა ამხანაგებს, ასე იყვნენ შეთანხმებულები. ამხანაგები უბესთან მოაყენებდნენ [illegible] დატვირთულ კუნგასს, მაგრამ შიშმა გადაწყვეტილება შეაცვლევინა [illegible] შეეძლო ტაიგასთან პირისპირ დარჩენა და განერიდა. უნდოდა ამხანაგებისთვის ჩაესწრო, ვიდრე მისკენ წამოვიდოდნენ, თუმც ამით საგულდაგულოდ მოფიქრებულ გეგმას არღვევდა.

გორაკისთვის უნდა შემოევლო. ქვა-ღორღით მოფენილი, ღრანტიანი გზა ედო წინ, მაგრამ გული დაეარხეინა: „გავიცლი, თოვლი ღრმაა, ზედაპირი მოყინული, არ ჩავეფლობი“.

ხშირად შიში კარგად მოფიქრებულ, ყოველმხრივ აწონ-დაწონილ ავ საქმეს აურ-დაურევს, უკუღმა შეატრიალებს. ბუნება ცოდვილს სწორედ იქით გადაადგმევინებს ნაბიჯს, სადაც შურისგება უდარაჯებს. ტაიგამ არ მიიღო ცოდვილი, არ შეიფარა თავის წიაღსა შინა, ათასი უჩინარი თვალი მიაჩტერა, ფეხი ააჩქარებინა და ისიც გარბოდა, მხრებაწურული, მობუზული, თვალს ვერ უსწორებდა მთამაღალაზე შეფენილ ნაძვნარს, ახლა რომ მისი ხელით დანთეზული ცეცხლი ნთქავდა. მირბოდა, ყოველ წუთს, ყოველ წამს მზად იყო თოფი მხრიდან ჩამოეგლიჯა და ჯერ კიდევ ბუნდოვანი განსაცდელისთვის დაეხალა ტყვია საკუთარი თავის დასაცავად, განსაცდელისთვის, კვალში რომ ედგა და წინ მიერეკებოდა.

შიშით გონდაკარგულმა კაცმა ვერც შეამჩნია, როდის გაუტყდა თხილამური. უცებ ღრანტეში გადაეშვა, გაჭირვებით ამობობღდა და ისევ გაიქცა. ეცემოდა, დგებოდა, გარბოდა ისევ. შუადღემ რომ მოატანა, კაცი მიხვდა, ველარ ჩაუსწრებდა ამხანაგებს, ველარ გავიღოდა გორაკის სამხრეთ კალთასთან და კვლავ ტაიგისკენ იბრუნა პირი. ტოტებჩახლართული ბებერი ნაძვის ძირას მიჯდა. „მოვახერხებ კი საღამომდე ტაიგის გადაჭრას? მივაღწევ თუ ვერა უბეს?“ — ფიქრობდა შეურვებული. მივაღწევო, თქვა თავისთვის. ერთი-ორი საათი იქნებ შემაგვიანდეს, მაგრამ ამხანაგები დამელოდებიან. დამელოდებიან კი? — გაიფიქრა და პასუხი ვერ იპოვა. შიშმა ისევ წამოაგდო ზეზე. გადაწყვიტა მუხლჩაუხრელად ევლო უბისკენ.

... დაახლოებით საათ-ნახევრის შემდეგ კეშა მთამაღალიდან ჩამოვიდა და იმ კაცის ნაწოლ ადგილს წააწყდა. როგორც კი კეშა გონს მოვიდა და დაინახა, რომ კუნგასი თვალს მიეფარა, მაშინვე გადაწყვიტა თავისი მუდმივი სადგომისკენ წასულიყო. ერთი მიზანი, ერთადერთი სურვილი ამოქმედებდა: უნდოდა სიკვდილისგან დაეხსნა თავი, რომ ხალხისთვის ეამბნა, რა დღე გამოიარა, რა საზარელი, შემაძრწუნებელი ამბების მოწმე გახდა. ახლა კი ხანძრის გამჩენის კვალს წაადგა. ამან, მხოლოდ და მხოლოდ ამან წაუკიდა ცეცხლი ტაიგას.

— დაგიჭერ! ჩიტის ფრთები რომ გამოისხა, მაინც დაგიჭერ, დაგეწევი! — დაიქადნა კეშამ და საღი ხელი თეძოზე ჩამოკიდებულ მონადირის ბრტყელ დანას ჩააკრა.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲡᲠᲝᲚᲐ

ტაიგა უძრავად იდგა. თეთრი თოვლი ბრწყინავდა არყის, ვერხვის და ლარიქსის ტოტებზე, სქლად ეფინა ნაძვის თათებზე. აქ, ტაიგის ამ ტყეებურ-ვილებში ველარ აღწევდა ქარი და ფაფუკი თოვლი ნელა ცვიოდა, ილვრებოდა ხეებში. სადღაც, სულ რამდენიმე კილომეტრის იქით ... ბობოქრობდა: კვნესოდნენ ნაძვები, ჰახაჭუხი გაუდიოდა ვერხვებს, ... ძელები, ტკარცალით სკდებოდა ქვები, თავის ბუდეში იგუდებოდნენ ზამთრის ღრმა ძილში წასული ბურუნდუკები, აქეთ-იქით აწყდებოდნენ ცეცხლს გადარჩენილი მხეცები და ფრინველები. აქ კი არემარე მიყუჩებული იყო, წმინდა იყო ყოველივე, თეთრი, როგორც უნდა იყოს დიდ, კეთილ მიწაზე და მხოლოდ ორი ადამიანი არღვევდა ზამთრის ტყის ამ მარადიულ სიმშვიდეს. ის ორი ტაიგას მიარღვევდა, ლეწავდა ბუჩქებს, გადადიოდა ძელებზე. დაწინაურებული ხშირ-ხშირად ჩერდებოდა, თოვლზე წვებოდა, ქოშინებდა, წარამარა მიჰქონდა ოფლად გალვრილ, ყინვით შეჭირხლულ სახესთან მაჯის საათი, დაჰყურებდა ციფერბლატს. მეორე ეცემოდა და დგებოდა, ეცემოდა და დგებოდა, მისდევდა წინ წასულს, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც უახლოვდებოდა. დროდადრო ისევ ცუდად ხდებოდა ეს მეორე და მაშინ მიდამო აღარ ქათქათებდა თეთრად, აღარ ბრწყინავდა შეყინული ტოტები; ყველაფერს შავი ფერი ედებოდა, ჭვარტლზე უშავესი იყო ცაც, ხეებიც, მთელი სამყარო...

სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა თავის მტერს კეშა. აი, გადაცოცდა ნაგრიგალევ, ფესვებამობრუნებულ უზარმაზარ ხეზე და გაშეშდა. წინ, თოვლზე რაღაც შავად მოჩანდა.

„დავიჭირე, ხომ მაინც დავიჭირე, — გაიფიქრა კეშამ და დანის ტარს მაგრად მოუჭირა ხელი. — ეტყობა, ქანცი გავარდა და მხეცივით ჩაწვა თოვლში“.

ერთი გასრიალება კიდევ, ერთი ნახტომი კიდევ. სხეულმა სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს მოქნილობაც დაუბრუნდა.

„არა, ის არ არის, მხოლოდ ტყაპუჭია. უთუოდ ემძიმა და დააგდო. ახლა კეშას ველარ გაექცევა“.

კიდევ ნახტომი, კიდევ, კიდევ. თოვლზე კვლავ დაინახა რაღაც შავი, ისევ დაიძაბა. ახლა ქურთუკი დაუხვდა იქ. ცოტა მოშორებით კი ნამქერში ჩაფლული ფალასკა იპოვა. „მალე დედიშობილა წავა“, — გუნებაში გაიღიმა კეშამ და ხოხვით ჩაუარა ფალასკას.

„ვერა, დუბილკინს ვერ გაექცევი! გამობრუნდა დუბილკინი, გამობრუნდა!“

ზედ კვალზე ახლა თოფი დაინახა. მორს ზურგით მიეყრდნო, სახელოთი გადაწმინდა ლულას თოვლი. კარგი თოფი იყო, თორმეტკალიბრიანი. მობალთული ნაჭდევით იცნო ეს თოფი კეშამ, მისგან ჩადენილი ბევრი სიავის კვალს წააწყდა ამ კუნძულზე: თვალის ფოსოსთან გახვრეტილი ბიჟინის თავის ქალა, ნაკადულში ჩაწოლილი, დაკოდილი ირმების ჩონჩხი.

„დანას შენზე არ გავსვრი, არც შენი სისხლით წავიბილწავ ხელებს, შენივე ტყვიით გაგიხვრეტ თავს!“

ტაიგამ თითქოს უტია, თითქოს გზა მისცა. გორაკის თეთრად მოქათქათე კალთაზე შავი ლაქა გამოჩნდა, ის კაცუნა მიფორთხავდა ზევით. ბინდმა საგრძნობლად ჩააკრთო დღის ცინცხალი ფერები. ცოტაც და ტაიგა წყვდიადში

ჩაიძირება, კუნაპეტი ღამე ჩამოწვება დედამიწაზე. უბემდე მცირე მანძილიღა დარჩა. იქ უკვე მოუსვენრად წრიალებდა ხუთი კაცი, თვალი ტაიგისკენ ეჭირათ. მოსალამოვებულზე მოულოდნელად გამოიდარა, საცა იყო ცა გალაესარკებოდა. იმათთვის კი, ვინც მეექვსეს ელოდა და იმისთვის, ვინც მათკენ მიჩქაროდა, მარტო ღამე იყო, ღამე და წყვდიადი. მოასწრებენ თუ ვერა თბილი ნაკადით ხმელეთამდე მისვლას, ნადავლის დამალვას და კვალის წაშალვას...

...კაცი თოვლზე იწვა, ქოშინებდა, სულს ძლივს იბრუნებდა. ბოლოს შეკრთა, ახვენებს და მერე გავა უბესთან. იგი ვერ ხედავდა ხშირი ბუჩქნარის უკან მიმალულ კეშას. ვერ ხედავდა ყურჩამოხეულს, გორაკზე რომ გამოვიდა. სადღაც სულ ახლოს იკრა მან ყულფისა და ცეცხლის სუნი და ერთ ადგილზე გაშეშდა.

აი იგი, ჟამი შურისგებისა!

ცეცხლის წამკიდებელი ხელებს იქნევდა, სიკვდილის წინ დაყვირებას ცდილობდა და ვერ ახერხებდა. ყურჩამოხეული იდგა, უყურებდა იმ კაცს, არ ჩქარობდა, თითქოს არ ესწრაფვოდა მისი დატორვა. ბუჩქნარიდან კეშა თვალს არ აშორებდა მათ.

დათვი კაცისკენ დაიძრა, ნელა, დინჯად მოემზადა ნახტომისთვის, ზეაღმართა წინა თათები, მძიმედ ჩაიკეცა უკანა ფეხებზე. კაცმა წამოიწია და ისევ ზურგით დაასკდა მიწას, უმწეოდ იფარებდა პირისახეზე უძლურ ხელებს, ახლა იგემებს იგი, რაც დაიმსახურა — სამართალი გაიმარჯვებს...

იქუხა თოფმა, ყურჩამოხეული გახევდა, თავი გააქნია და გულაღმა მოიღო ზღართანი.

კეშა გაჭირვებით მიათრევდა ფეხებს, მაგრამ მაინც მილასლასებდა. აიარა გორაკის კალთა, დათვთან ჩაჯდა, ზურგით მიესვენა მხეცის ჯერ კიდევ თბილ მუცელს. ძალა აღარ ეყო, ვერ შემოუარა მის ვეებერთელა ტანს. თოვლზე წვრილ ნაკადად იღვრებოდა სისხლი, ოხშივარი ასდიოდა. სულთმობრძავი ნადირი ფეხებს აფხარკალებდა. ჭრილობიდან ნელაღა წვეთავდა სისხლი. დათვის მეორე მხარეს კი ტიროდა და შიშისგან იკრუნჩხებოდა ის კაცი.

კუნძულებს ზემოთ, მოკრიალებულ ლაჟვარდ ცაში გადაიქროლა თვითმფრინავმა. მფრინავმა კურსს გადაუხვია, დაბლა დაეშვა და კუნძულს შემოუარა.

კუნგასში მჯდარმა ხუთმა კაცმა თავი მხრებში ჩარგო.

— გაცლა სჯობს, გაცლა...

მეექვსეს ზღვის მხრიდან ძრავას თუხთუხი შეესმა.

— ნუ დამღუპავ, — თქვა და ნაპირისკენ დააპირა გახოხება.

— არ გაინძრე! — დაუღრიალა კეშამ საზარელი ხმით.

კეშა ყინვას ველარ გრძნობდა. ისევ დაუარა ტკივილმა მთელ სხეულში. იტანჯებოდა, მაგრამ სწამდა, რომ იმ ღამეს გადაიტანდა, რომ იცოცხლებდა მანამდე, ვიდრე ხალხი ჩამოვიდოდა კუნძულზე. და თუ მოკვდებოდა, არც ამის ეშინოდა. იცოდა, კვალი ყველაფერს უამბობდა ხალხს. სიმართლეს გაიგებდნენ, მსჯავრს გამოუტანდნენ დამნაშავეებს და ეს რწმენა ცეცხლზე უფრო უთბობდა ნაგვემ, გათოშილ სხეულს.

□

სერგეი ზალიგინი

გმკ-ს პრეზიდენტობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ითხრობა

თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ

ამასწინანდელ საუწყებათშორისო და ამის გამო ერთობ წარმომადგენლობით თათბირზე პარამონოვი თავის ყოფილ მოწაფეს შეხვდა. ის მოწაფე გვარად გოლუბკოვი გახლდათ. იგი ახლა ერთი უდიდესი სამეურნეო სამინისტროს გლავკის ერთ-ერთი უფროსთაგანი იყო. ცისფერთვალება, ჩათქვარებულ გოლუბკოვს ჭალარა გამორეოდა, ხმა ოდნავ ჩახლეჩოდა. მხარბეჭიანი კაცი იყო, სახეზე კი, მგონი, ოდნავი მოწყენილობა ალბეჭდოდა. სწორედ გოლუბკოვის გამომეტყველებამ გაახსენა პარამონოვს, რომ იგი ოდესღაც მისი მოწაფე იყო. ერთ დროს პარამონოვი მართლაც რიხიანად კითხულობდა ლექციებს, გოლუბკოვი კი ჯერ ისმენდა ამ ლექციებს და კონსპექტებს ადგენდა, მერე კი პარამონოვს გამოცდებს აბარებდა. ეს ალბათ სამოდე წელიწადს გრძელდებოდა, რადგან პარამონოვის ლექციების კურსი მაპროფილებელი გახლდათ, ნაწილ-ნაწილ იკითხებოდა და რამდენიმე საკურსო და სადიპლომო პროექტიც უნდა შესრულებულიყო.

თუმცა პარამონოვმა გოლუბკოვის გვარი ვერ გაიხსენა, მაგრამ თავაზიანი კაცი იყო და უთხრა: „კი, კი როგორ არა! —ჩაფიქრდა და დაუმატა: —ფრიადოსანი სტუდენტები ლიდბასს გამახსოვრდება ხოლმე, ეს კანონია!“ გოლუბკოვის გვარი სხვა გვარსაც ჰგავს — გუსინოვს. გენკა გუსინოვი კი ფაკულტეტზე საკმაოდ ცნობილი მაბეზღარა იყო. ამ საქმეზე თავდავიწყებით შეყვარებული ახლაც წამდაუწუმ გზავნიდა წერილებს სხვადასხვა ინსტანციებში, ბარათებს სწერდა უფროსებს, აგრეთვე უფროსების ცოლებს, შვილებსა და მშობლებს.

ცხადია, ყველა არა, მაგრამ გენკას წერილების ნაწილი პარამონოვსაც ეგზავნებოდა გასაცნობად და პასუხის გასაცემად, რადგან ისინი მასაც ეხებოდა. პარამონოვი თავდაპირველად წესიერად პასუხობდა, მერე — ჰაიჰარად, ბოლოს კი საერთოდ აღარ აქცევდა ყურადღებას. თუმცა არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ დროება ცვალებადია. ჰოდა, ახლა გოლუბკოვს რომ შეხვდა, კითხვა დაებადა: გოლუბკოვსა და გუსინოვს შორის რაიმე კავშირი ხომ არ არსებობსო? ეშმაკს არ ძინავს და განა ეს საინტერესო არ იქნებაო? და განაგრძო გოლუბკოვთან საუბარი, მაგრამ მალე დაასკვნა, რომ მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა, და მოიწყინა, გოლუბკოვზე მეტად მოიწყინა. „ნეტა რით მოვრჩე ამ საუბარს?“ — გაიფიქრა პარამონოვმა და მორიგ გამომსვლელს მიუგდო ყური, მაგრამ უცებ გოლუბკოვმა ჰკითხა:

— გმკ-ს კლუბზე რა აზრისა ბრძანდებით, პაველ პეტროვიჩ? როგორია პირადად თქვენი პოზიცია?

— ეს რა კლუბია? — გაოცდა პარამონოვი.

— ისე გითხარით, სხვათა შორის... — ყოყმანით მიუგო გოლუბკოვმა, — მაგრამ თუ ნამდვილად დაგაინტერესათ, შემიძლია გამცნოთ: ზეგ, ზუსტად თორმეტ საათზე, გმკ-ს დამაარსებლები პირველ პრესკონფერენციას ატარებენ: ოცწუთიანი მოხსენებისა და კითხვა-პასუხების მოწმენი გაეხდებით. ყოველივე ეს ისე ჩატარდება, როგორც საჯაროობას შეეფერება. ხომ მოხვალთ?

— მოვალ...

— უნდა მოხვიდეთ... ყველა ჩვენგანს ყველაფერი გარკვეით ეროდ-ისმის გმკ-ში კი, რასაკვირველია, პოზიცია ნათელია, იქ სპეტაკი ხალხია თავშეყრილი. თორემ აი, რა ხდება, ხანდახან მესმის ხოლმე: პარამონოვს აქ რაღაც შეეშალა, იქ რაღაც აერიაო. მე გულგრილი ვერ დავრჩები, რაც უნდა იყოს, სიტყვა ჩემს მასწავლებელს შეეხება...

— რას ამბობთ? რა უნდა ამრეოდა?

— აქამდე მეც მჯეროდა, არაფერი აგრევიაო-მეთქი! მახსოვს, ახალგაზრდობაში კათედრაზე რომ აბრძანდებოდით და ლექციებს სხაპასხუპით კითხულობდით, ერთხელაც არ წაიბორძიკებდით, უამრავი ციფრი და ფორმულა ზეპირად გახსოვდათ, ქაღალდის ნაგლეჯსაც არ იყენებდით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ პატრონი ცოცხალი გვყავდა, ამქვეყნად ყველაფერი ცხადი იყო და ნათელი. ცხოვრებაში გაურკვეველი არაფერი ყოფილა — ზოგი რამ ასე იყო, ზოგიც ისე, ასეთი გახლდათ ცხოვრება! ახლა? დღეს? დღეს მოგისმენდით და რამდენიმე შეკითხვას დაგისვამდით. დღეს სულაც არ ჭირს შეკითხვების დასმა, ერთგვარად საპატიო და მოდური საქმეც კია. მაგრამ სანამ პატრონს ან მის ხსოვნას გავთელავდეთ, სხვა სიცხადის ორგანიზება უნდა მოვახდინოთ, სხვა ინდექსი დავაკანონოთ ადამიანის გონება ცვლილებათა აღსაქმელად უნდა შევამზადოთ და ცვლილებები მერე განვახორციელოთ. სინამდვილეში კი ყველაფერი უკულმა ხდება.

გოლუბკოვი წამოდგა და, თითქოს ეთხოვებაო, უთხრა:

— თქვენც უნდა გადაყლაპოთ სუფთა ჰაერი, მასწავლებელო!

პარამონოვი კი, გრძელი მაგიდის შორეულ ბოლოში რომ იჯდა ისევ, ჩაფიქრდა. და ეს ფიქრი შფოთიანი იყო.

აი, ავიღოთ თუნდაც ფიზიკა...

ფიზიკაში თითქოს ისეთი მიკრონაწილაკები აღმოუჩენიათ, რომელთაც ერთი ბოლო აქვთ, მეორე — არა. არა აქვთ და მორჩა — რა უნდა ქნა?! პარამონოვს ელემენტარული ნაწილაკი რომელიღაც კომეტად წარმოედგინა. ჰოდა თითქოს მომავლის რწმენაშერყეულ რამდენიმე ფიზიკოსს ტყვია ეკრას შუბლში. ხაოდავები! გარდაქმნა ვერ მოუხერხებიათ. დაეუშვათ, მომავალი მუდამ გაურკვევლობით გამოირჩევა, მაგრამ წარსულიც ხომ რაც მეტად დაგეშორებია, მით უფრო ბურუსით არის მოცული. იმასაც ამბობენ, დედამიწა ჯანღს კი არ უშვია, 3,5 წამში წარმოქმნილა იმ ნაწილაკის აფეთქებით, ქინძისთავის თავის ოდენა რომ ყოფილა, იმაზე ნაკლებიც კი, რომელსაც უსასრულობის ტოლი სიმკვრივე გააჩნდაო...

აგრეთვე ამბობენ, პავლე მოციქული ჩვენს დროს გულისხმობდა, როცა თითქოსდა ათი მცნების წინააღმდეგ გაილაშქრა: რა საჭიროა, ამტკიცებდა იგი, ათი, ვინდ ასი მცნება, როცა სამყაროს თავისი კანონები აქვს, ჩვენც ამ კანონებს უნდა დავემორჩილოთ და თავს არ მოვახვიოთ კიდევ რაღაც მცნებები, რამეთუ ყოველივე, რასაც ცხოვრებას ხელოვნურად მოვახვევთ თავს, რაც მისთვის ზედმეტია, სიცოცხლის დაღუპვას იწვევს.

ამბობენ, ადამიანი ბუნებაში ზედმეტი მოვლენაა, ამიტომ არის ასეთი სულელი და წინდაუხედავი მოელი ცხოვრების მიმართ, ამიტომ საკუთარ თავს მხოლოდ თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით შეიცნობს და სხვა არარა გზით.

აქ მოქმედება გადადის 1988 წლის იმ რიცხვის... 11 საათსა და 05 წუთზე

მოქმედების ადგილი — მოსკოვი, ცენტრი.

თუმცა ნურავინ იფიქრებს, თითქოს პ. პ. პარამონოვი 11 საათსა და 05 წუთზმკ-ს პრესკონფერენციაზე იყო, — არა, ეს ასე არ გახლდათ.

არ ყოფილა პარამონოვი იქ, არ ყოფილა: თითქმის სწორედ ამ დროს, თერთმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე, იგი ისეთი რანგის უფროსობამ გამოიძახა, რომ არ წასულიყო ან თხუთმეტიოდე წუთით დაეგვიანებინა, ყოვლად შეუძლებელი გახლდათ.

პარამონოვს არ ეეჭვებოდა, რომ უფროსობასთან შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ ეს მას არ ახარებდა, ძალიან უნდოდა პრესკონფერენციას დასწრებოდა და „სუფთა ჰაერი გადაეყლაპა“.

და, იცით, რა მოხდა? ორი დღის შემდეგ, საღამოხანს, მის ბინაში ტელეფონმა დარეკა და მამაკაცმა, ვისი ხმაც ნაცნობი იყო და არც იყო, ჰკითხა:

— როგორა ხარ, პაველ პეტროვიჩ?

— არა მიშავს რა, ვინ ლაპარაკობს?

— ვერა მცნობ, მასწავლებელო?

ეს გოლუბკოვმა მიმართა პარამონოვს „შენობით“. პარამონოვმა აუხსნა, რატომ ვერ დაესწრო პრესკონფერენციას, თან წარამარა ერთსა და იმავე სიტყვებს გაიძახოდა: „ძალიან გულსატკენი კია, ძალიან!“ და მართლაც, ამ დროს ვიღაცა ისე ებრალებოდა, ლამის ატირებულიყო. თუმცა, მართალი რომ ითქვას, არც კი იცოდა, ვინ ებრალებოდა.

გოლუბკოვმა კი უცებ უთხრა:

— გულს ნუ გაიტეხ, მასწავლებელო. ხვალ პრესკონფერენციის მთელ სტენოგრამას გამოგიგზავნი მოხსენებითა და კითხვა-პასუხებითურთ.

და მართლაც მეორე დღეს პარამონოვს კურიერმა მიართვა დიდი ლურჯი კონვერტი, კონვერტში იდო ოცდაორგვერდიანი სტენოგრამა. გვერდებზე ბლომად იყო გამოტოვებული ადგილი.

სანამ სტენოგრამის კითხვას შეუდგებოდა, პარამონოვმა წინ გაიხედა, ფანტაზია მოიშველია და პრესკონფერენციის მიმდინარეობა წარმოიდგინა: მომცრო, მყუდრო, ჩაბნელებული დარბაზი, დარბაზში—კორესპონდენტები (არც თუ ბევრი), სცენაზე კი — ვიწრო მაგიდა, მაგიდასთან — შვიდი დამფუძნებელი, მერვე — მაგიდის კიდეში, — გმკ-ს პრესცენტრის უფროსი, მაღალი, მოხდენილი ჭაბუკი, რომელსაც მშვენივრად შეკერილი ლურჯი კოსტიუმი აცვია. ჭაბუკს ძალზე ვიწრო მხრები აქვს.

ღმერთმა უწყის, რატომ, მაგრამ პარამონოვმა სწორედ ასეთი სურათი წარმოიდგინა.

მაგიდის მარცხენა მხარეს კი ტრიბუნა დგას. როგორც მსოფლიოს ყველა ტრიბუნა, იმის გამო, რომ ორატორი აკლია, არა მხოლოდ ცარიელია, თითქოს ხახაც კი დაულია და თავისკენ გიხმობს... აი, ახლა პრესცენტრის ვიწრომხრებიანი უფროსი პოლიკანოვი კ. კ. საიმედოდ დაიკავებს ტრიბუნას და წაუძღვება, თავიდან ბოლომდე ერთპიროვნულად წაუძღვება პრესკონფერენციას, თითქოს არად ჩააგდებს წევრ-დამფუძნებელთა აქ ყოფნას. მხოლოდ მაშინ,

კითხვა-პასუხები რომ დაიწყება, ხან ერთ მათგანს მიმართავს, ხან მეორეს. მიმართვა ფამილარული იქნება, თუმცა აუცილებლად სახელითა და მამის სახელით:

„იქნებ ამ შეკითხვას ნიკოლაი ვასილიევიჩმა უპასუხოს?"

„შეიძლება ვასილი ივანოვიჩმა დაუმატოს რამე?"

„ივან პეტროვიჩი ხომ ვერ შეგვაწევს სიტყვას?"

„იქნებ... პიოტრ ფიოდოროვიჩ?"

პარამონოვმა ყოველივე ისე მკაფიოდ წარმოიდგინა, თითქოს ეკრანზე ეხილოს, და სტენოგრამის კითხვას შეუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმკ-ს პრესკონფერენციის

ს ტ ე ნ ო გ რ ა მ ა

1988 წ. ... აპრილი.

დაიწყო: 11 საათსა და 05 წუთზე.

დამთავრდა: 12 საათსა და 14 წუთზე.

გმკ- პრესცენტრის უფროსი ამხ. პოლიკანოვი კ. კ. კითხულობს შესავალ სიტყვა-მოხსენებას.

შესავალი სიტყვა და მოხსენება თან ერთვის (იხ. დანართი № 1).

დ ა ნ ა რ თ ი № 1

ჟურნალისტ ამხანაგებო!

გმკ-ს წევრ-დამფუძნებლები გულითადად მოგესალმებიან თქვენ!

ხაზს ვუსვამ — გულითადად-მეთქი!

ამ სადა დარბაზში თავმოყრილია პრესის არცთუ ძალიან ბევრი წარმომადგენელი, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ბეჭდვითი სიტყვის ჩვენივის ერთობ საპატიოცემულო ორგანოთა წარმომადგენელია, მათ შორის აბსოლუტური უმცირესობაა იმ ორგანოთა წარმომადგენლები, რომელთაც დიდ პატივს ირა ვცემთ.

ამავე დროს ჩვენი სიმცირე პრინციპში არავის აღელვებს, რადგან თეორია ადასტურებს, ბევრ ცუდს ცოტა და კარგი სჯობიაო. ცხადია, მოგეხსენებათ, რომ თეორია პრაქტიკას არ ემთხვევა, რის შედეგადაც გმკ-ს წევრები მრავალი წლის განმავლობაში სახეშეცვლილი პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, სახელდობრ: ცოტას ბევრი სჯობია, ან რაც მეტია, მით უკეთესიაო. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ დედამიწაზე პრაქტიკის გაჩენის დღიდან იგი თეორიის პროკრუსტეს სარეცელში ვერ ეტევა. ჰოდა, პრაქტიკის მხრივ ჯერჯერობით ვერც სოციალიზმშია ყველაფერი მოგვარებული. მას უამრავი იდეოლოგიური ღირსება გააჩნია და ყოველივე ეს ცხადად კი ჩანს: მაღალი იდეურობა, გმირული შრომა, სიყვარული სამშობლოსა და პარტიისადმი, ყველა მოქალაქის თანასწორობა, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა თუ სარწმუნოებისა, და ასე დაუსრულებლივ. თუმცა პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სოციალიზმის პრაქტიკაში ჯერ კიდევ უამრავი ნაკლი გაგვაჩნია. ისმება კითხვა — სწორედ ამისთანა პირობებში პრაქტიკულად როგორ უნდა გახდე ნამდვილი სოციალისტი? ვინ იქნება რეალური ნიჭში? ალბათ ის, ვინც უმაღლეს სამსახურებრივ მდგომარეობას დაიკავებს — საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტისთვის ჯერჯერობით ვერ მიგვიგნია და პერსპექტივაც საკმაოდ სუსტია. ყველასათვის ცნობილია, სოციალიზმის ყველაზე სამაგალითო წარმომადგენელი დიდხანს იყო იოსებ ბესარიონის ძე, მაგრამ მანამ, სანამ გარდაიცვლებოდა. მერე მისი ადგილი მყისვე ნიკიტა სერგის ძემ

დაიკავა. ნიკიტა სერგის ძე საპასუხისმგებლო პოსტზე ლეონიდ ილიას ძემ შეცვალა, ლეონიდ ილიას ძე — იური ვლადიმერის ძემ, იური ვლადიმერის ძე... მაპატიეთ, სახელი დამავიწყდა, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ უსტინის ძე იყო. ამჟამინდელი ხელმძღვანელები ყველაზე საუკეთესო ადამიანებად არ ასაღებენ თავს, მაგრამ რა უნდა ქნან დანარჩენებმა? ვის მიჰბაძონ სხვებმა? ვის გაუტოლდეს მრავალეროვნული საბჭოთა ხალხი? ამას ბასუხი სჭირდება, მაგრამ სად არის?. აქ ვერაფერს იტყვი, გარდა იმისა, რასაც თვითონ ისტორია იტყვის. ისტორია კი მხოლოდ მაშინ გაიხსნის ვრცლად, ქარავანი რომ ჩაივლის. სანამ ქარავანი მიდის, სანამ ძაღლები ყეფენ, ისტორია არათუ ბუნჯია, ყრუც არის. ქარავნის ნაკვალევზე მტვერი გაქრება, ძაღლები დამშეიდდებიან და ისტორიაც მაშინ იტყვის რაღაცას, დაიყეფებს კიდეც. ისტორიული ნაყოფი კი უკვე მწიფეა, უცხო ფერი გადაუკრავს და კაციშვილმა არ იცის, რას შეიძლება იგი შეიტანი და საერთოდ შეძლება თუ არა მისი ჭამა — იჭმება თუ შხამიანია? ჯერ ერთი, ისტორიას პატრონი სჭირდება, მეორეც, პატრონს მილიარდები უნდა ჰქონდეს. თუ მილიარდები არა აქვს, პატრონიც აღარ არსებობს, არ არსებობს ისტორია და არის მხოლოდ შფოთიანი დრო.

აქედან დასკვნა: ისტორია პატრონი და მისი მილიარდებია. პრობლემა ის კი არ არის, მილიარდერი კერძო პირია თუ სახელმწიფო პიროვნება და ხელში სოციალისტური მილიარდი უჭირავს. ცხადია, მათ შორის არსებობს განსხვავება, მაგრამ, როგორც არ უნდა გარდაიქმნან, ერთმანეთს მაინც საკმაოდ ჰგვანან.

სოციალისტური მილიარდი ბევრწილად უგებს კიდეც კაპიტალისტურს, რადგან ზარალის შემთხვევაში — ამისთანა შემთხვევები კი, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თითქმის გარდაუვალია და კანონიერი, — ზარალის შემთხვევაში საზოგადოება რჩება წაგებული, ხოლო მავანი და მავანი სოცმილიარდერი სულ არაფერს ჰკარგავს, გამოჩენილი სოციალისტური მოღვაწის შარავანდს ინარჩუნებს და უფრო სახელოვანიც კი ხდება.

ასეთია სოცმილიარდერის ურყევი მდგომარეობა და მისი ეს ურყევობა მით უფრო საიმედოა, რაც უფრო დიდია მის მიერ გაფლანგული თანხა. იმას, ვისაც სახელმწიფო სალაროში მილიარდები შეაქვს, დიდი რისკის გაწევა და თავდაუზოგავი გარჯა მართებს, ხოლო ის, ვინც მილიარდებს ხარჯავს და ანგარიშს „სახსრების ათვისების" გრაფით აბარებს, კოჭი ალჩუზე უზის: არც ზარალდება და არც პრესტიჟი აკლდება. ის, ვინც ბევრს ფლანგავს, თვითონაც ღირს რაღაცა.

ვიმეორებ: სწორედ ამნაირი ფლანგვის სისტემაში სოცმილიარდი ჰკარგავს მძიმე დივიდენდურ ბორკილებს, სულიერ სიმსუბუქეს იძენს და საბუღალტრო კონტროლისგან თავისუფლდება. ცხადია, თავისუფლება ადვილად არასოდეს მოიპოვება, ამიტომაა, რომ სოცმილიარდს ყოველმხრივ ჰკიდია ნაირ-ნაირი ვალდებულებანი, მითითებები, მიმართულებები, გადაწყვეტილებანი, რეზოლუციები, ამონაწერები ოქმებიდან, ავიზოები — და ვინ იცის, კიდევ რა. უცებ ვერც კი გაიხსენებ, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურია, სინამდვილეში ეს მილიარდი ჩიტივით თავისუფალია, რადგან თვითონაც არ იცის, რად გადაიქცევა — მოგებად თუ წაგებად, ამ მხრივ მას საზრუნავი და ყოფაქცევის წესები არ გააჩნია. ეს მილიარდი სახელმწიფოს დარგის განვითარებისათვისა აქვს გამოყოფილი, მაშასადამე, იგი ამ დარგის ხელმძღვანელის ხელშია, ის კი უმალ ოქრის ფეხსაცმელს ააშენებს, მილიარდს რომელიმე ყოვლად უსარგებლო და საზიანო არხში ჩაფლავს, ოღონდ

ეუნდაც იმას არ დაუთმოს, ვინც, მაგალითად, მძიმე ავადმყოფთათვის საჭირო წამალს აწარმოებს ან პატარა ბავშვებისათვის წიგნებს ბეჭდავს.

აი, ასეა: თხრა ევალებათ და თხრიან! თხრიან ყველაზე ღრმად და ყველაზე შორს! და იმ სწორუპოვარი მკაცრი ვეგმიურობის რიგით, რომელიც სამშენებლო ტრასაზე სრულ უწესრიგობას აინუნშიაც არ აგდებს. თითქოს კიდეც ეამაყებოდეს.

ცხადია, შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთი გულფიცხი ადამიანები, რომლებიც ეტყვიან: „ეს ხომ სიგიჟეა?!"

გულფიცხ ადამიანებს ასეთი პასუხი უნდა გავცეთ:

„სიგიჟე შეიძლება მხოლოდ იმას ეწოდოს, რაც პირველად ხდება. ყველაფერი, რაც მრავალგზის მეორდება, ცხოვრების წესია!"

გულფიცხი ადამიანები თავისას არ დაიშლიან:

„მეურნეობის მფლანგველური ანუ არაეკონომიური სისტემა სხვა არაფერია, თუ არა პრინციპული უყაირათობა!"

ჩვენ — გულფიცხ ადამიანებს:

„ხელს ნუ გვიშლით მშენებლობაში (სოციალიზმის)!"

გარდა ამისა, ძალზე გულფიცხ ადამიანებს ვეკითხებით: „ვისი სახელით ლაპარაკობთ?"

და თუკი გვეტყვიან: „ხალხის სახელით", ჩვენ გაგვეცინება: „იქნებ ხელში საერთო სახალხო კრების ოქმის ამონაწერი გიჭირავთ? ჩვენ სულ სხვანი ვართ, შეგვიძლია ნებისმიერი მშენებლობა გამოვაცხადოთ დამკვრელურად, კომკავშირულად და სახალხოდ. თქვენ კი რა შეგიძლიათ?"

თუ გულფიცხი ადამიანები ყვირილს ასტეხენ: „კი მაგრამ, მთავრობა?! სახელმწიფო?!" ამ შემთხვევისათვის მომაკვდინებელი საბუთი არსებობს: „ყველაფერი შეთანხმებულია!" და მართლაც მფლანგველი მილიარდერისათვის უმთავრესი საქმეა შეათანხმოს, შეათანხმოს და შეათანხმოს მილიარდი მანეთი. ორდენები და საპატიო წოდებები, პერსონალური პენსიები და ავტომანქანები, საწარმოო გეგმები და სიმძლავრეები, ბიუჯეტები და შტატები, ახალ-ახალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გახსნა და საუკუნის პროექტებზე ტექნიკურ-საექსპლოატაციო დასაბუთების შედგენა — ყველაფერი შეთანხმებული უნდა იყოს უკანასკნელ ხრახნამდე, უკანასკნელ მიკრონამდე. და ნაშინ არავითარი აზრი არა აქვს ნებისმიერ რევიზიასა და ექსპერტიზას, ინიციატივასა და რაციონალიზაციას, საჩივარსა და წინადადებას. რა საჭიროა ყოველივე ეს, თუ ყველაფერი შეთანხმებულია? ან თუ შეთანხმება დღეს-ხვალ არის მოსალოდნელი? თუ რომელიმე ექსპერტიზა უხეშად იჭრება შეთანხმებულ ტექნიკურ- საექსპლუატაციო დასაბუთებაში, ზიზღით უნდა მივაფურთხოთ და მორჩა: ექსპერტიზამ მთელ წელიწადს უნდა იცოდვილოს, გერგილიან ხელახალ შეთანხმებას კი სულ სამი საათი დასჭირდება. ერთხელ ხომ არის შეთანხმებული და თავის პოზიციას რას დასთმობს! არა — უკუნითი უკუნისამდე! „შეთანხმება" ყოვლისშემძლე სიტყვაა, მფლანგველობის ამაყი და ურყევი მონუმენტია!

ასე გრძელდება წლიდან წლამდე, თანაც სულ უფრო იზრდება და იზრდება. ეს ნამეტი კი სახელმწიფოს, ხალხისა და დარგის აყვავების უპირველესი მაჩვენებელია. დიახ, დიახ, შეთანხმების დიადი მოღვაწენი, გრაფა „სახსრების ათვისების" მიხედვით ანგარიშგების დიადი ოსტატები მფლანგველობის სისტემამ აღზარდა. მაგრამ აი, უკვე ჩვენს დროს მოხდა ისტორიული — სწორედ

რომ ისტორიული! — გაუგებრობა: ბევრი სოცმილიარდერი განაწყენებული დარჩა — მათგან უბოდიშოდ ითხოვენ ეგრეთწოდებულ ეფექტიანობას!

ამხანაგებო! სულით — ხორცამდე განაწყენებული სოცმილიარდერები — ეს არ შეიძლება, არაფრით არ შეიძლება ვირწმუნოთ, და მაინც ასეა, რადგან ფაქტები ჯიუტია. და ეს იმ დროს, როცა ყველამ უწყის, რომ ერთობ მცირერიცხოვანი მილიარდერები, მიუხედავად იმისა, დედამიწის [illegible] რომელ ნაწილში ცხოვრობენ ისინი, არა მხოლოდ ძალზე პრესტიჟული, არამედ ძალზე მიზეზიანი ნაციაც არის.

ყველანაირი პრესტიჟი მიზეზიანია. აბა ისე რაღა პრესტიჟი იქნება?! ჩვენს ღვიძლ, საბჭოურ სანიმუშო მფლანგველ მილიარდერებს ეს გრძნობა განსაკუთრებითა აქვთ გამახვილებული. უკვე ვთქვით, რომ ვინც ბევრს ფლანგავს, თვითონაც ღირს რაღაცა! თვითონ მოეხსენება საკუთარი თავის ფასი და არავის არასოდეს მისცემს უფლებას ეს ფასი დასცეს. ხომ ხედავთ: მაგიდაზე, რომელსაც გმკ-ს წევრი-დამფუძნებლები უსხედან, თითოეული მათგანის წინ, როგორც მიღებულია, არ დევს მათი გვარებისა და ინიციალების მაჩვენებელი ფირფიტები. ხომ ხედავთ: არ დევს.

სამაგიეროდ მარცხნიდან მარჯვნივ ჩამწკრივებულია ციფრებიანი ფირფიტები: ათი და ხუთი მეათედი, ზუსტად რვა, ექვსი და ორი მეათედი, ზუსტად ექვსი, ხუთი და რვა მეათედი და ასე შემდეგ. ხომ ხედავთ ამ ფირფიტებს? მათზე გამოყვანილი ციფრები კი მილიარდობით მანეთი ბიუჯეტია, რომელიც გმკ-ს იმ წევრ-დამაარსებელთა განკარგულებაშია. ახლა წარმოიდგინეთ — რომელი დამაარსებელთაგანი შეელეება საკუთარ ფასს?

ბოლოს და ბოლოს, თუ გნებავთ, წყენა მილიარდერის წმიდათაწმიდა და უნივერსალური მოვალეობაა სულიერი, მორალური, მატერიალური თუ ნებისმიერი სხვა გაგებით.

ბოლოს და ბოლოს რით შეიძლება აიხსნას, რომ დილას გაზეთის გაშლისთანავე მილიარდერი გვერდს დიაგონალურად გადაავლებს თვალს: „ჩემზე ხომ არაფერი წერია?" და რა გგონიათ? იგი გაზეთის გვერდზე მართლაც ჩამდაუწუმ გვხვდება — თანაც ყველაზე შეურაცხმყოფელ სათაურქვეშ: ხან ასე — „ქარს გატანებული ორი მილიარდი", ხან კი რაღაც ამის მსგავსი. მეტისმეტად ხომ არ მოგვიმრავლდა უპასუხისმგებლო ქარები?

ანდა აი, საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი ჩვენს ერთ-ერთ დიდად პატივცემულ წევრ-დამაარსებელთაგანს ოთხ მილიარდ მანეთს უჩივის! განა ეს სისულელე არ არის: ვინ მიაშავებს საბჭოთა მილიარდერს ნაღდ ფულს? მოსკოვის მაღაზიების ყველა სალარო რომ გაძარცვოთ, ასეთ თანხას თავს მაინც ვერ მოუყრით! იქნებ მხოლოდ ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ გახდეს ეს შესაძლებელი, როცა ჩვენში სასაქონლო შიმშილობას ბოლო მოეღება, თუმცა მაშინაც საეჭვოა, ამის იმედზე ყოფნა ხელს არ მოგვცემს... მაგრამ მომჩივანი გინების კარნახს არად აგდებს. დააპირებს თავისი სარჩელი გაზეთში გამოაქვეყნოს. ისმის კითხვა, რომელ გაზეთში? იმ გაზეთში ხომ არა, რომელმაც ოდესღაც გამოაქვეყნა ისეთი ნაწარმოებების ნაწყვეტები, როგორიცაა „ყამირი" და ა. შ.?! თუ მორიგი მჯღაბნელი რომ წერს იმის შესახებ, ხალხები მოისპო რადგან დაიღუპა მათი ძველისძველი მიწებიო. ისე, რომ დავუკვირდეთ, განა მჯღაბნელის საქმეა იმის გარკვევა, ვინ განადგურდა, და ჯერ კიდევ ვინ არ განადგურებულა? ვისაც უნდა, აქ უმისოდაც გაერკვევა.

არა, ბატონო, არა, — ჯერ ის მოთხოვნილებები დააკმაყოფილე, რასაც ჩვენ გიყენებთ, თუ საჭიროა — გასინჯვაც გაიარე. დაგვიმტკიცე, რომ ღირსი ხარ გვაკრიტიკო, მერე კი იმსჯელე, ეკონომიკაში ჩართე ისეთი ცნებები, როგორიცაა „პროდუქციის თვითღირებულება“. მაგრამ არა პირიქით. პირიქით არ გამოვა, არ დავუშვებთ! ნებისმიერი საშუალებებით ვიბრძოლებთ. ასეთი საშუალება კი უამრავია.

და საერთოდ, ისიც სანახავია ვის რაში დასჭირდა დასავლეთს (ხასდაზას კი აღმოსავლეთსაც) დავანახოთ ჩვენი შიშველი საჯდომი? რაო, ესეც ხომ თვითღირებულება არ არის? სულ ეს-ესაა ვისწავლეთ ნინა მხარის უმწიკვლოდ ჩვენება და, აი, ინებე — ყველაფერი ოხრად გვრჩება! სწავლის წლები, სოციალისტური რეალიზმის დიად შეთანხმებათა და მიღწევათა წლები უკვე არავის არაფრად უღირს? განაწყენებულ მფლანგველ- მილიარდერთა ხმები ანგარიშში არ ჩაიგდება? მაშინ, ძვირფასო ამხანაგებო, აშენეთ სოციალიზმი „მოსკოვსკიე ნოვოსტიში“, „ლიტგაზეტაში“, „ნოვი მირში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებით, ჩვენ კი წარმატებას ვისურვებთ, ვნახავთ, რა მოჰყვება ამას! აშენეთ, აშენეთ! ამხილეთ პატრონი. ეს თქვენი საქმეა, სხვათა შორის ეს არის ერთადერთი საქმე, სხვას ჯერჯერობით არაფერს აკეთებთ. კაპიტალიზმი ხომ სხვადასხვანაირია, ვნახოთ, პატრონი რანაირ სისტემას შემოგთავაზებთ, რა იქნება ის მესანე — კაპსოციალიზმი თუ სოცკაპიტალიზმი?!

ძვირფასო ამხანაგებო! გვესმის, რომ მოხსენება ძალიან გაგვიჭიანურდა, თუმცა ოცწუთიანი ლიმიტი არ დაგვირღვევია, ამიტომ დასკვნაზე გადავდიოართ, რისთვისაც შეგყარეთ ამ სადა დარბაზში.

მაშ ასე: ჩვენ ვაარსებთ, უკვე დავაარსეთ არაფორმალური საზოგადოება „განაწყენებულ მილიარდერთა კლუბის“ სახელწოდებით. სამმა მთავრულმა ასომ — „გ“, „მ“, „კ“ ამით ახალი და ღრმა შინაარსი შეიძინა, კელავაც შეიძენს.

თუკი ამჟამად არაფორმალურები თითქმის ქუჩაშიაც ფორმირდებიან, თანაც უცნობი წარმოშობისა და საეჭვო პროფესიული ჩვევების პირთაგან, ვინ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა ჩვენი კლუბის რეგისტრაციას?

ჩვენი მოხსენების დამთავრებას ამით ვაპირებდით, მაგრამ მანამდე საკუთარ სასიამოვნო ვალად მიგვაჩნია მადლობა გადავუხადოთ ზოგიერთ ჩვენს ნაჭიერ მწერალს, გმკ-ს პრემიის ლაურეატებს, რომლებმაც თავაზიანად გვითანაგრძნეს, მოახდინეს ზემორე წაკითხული ტექსტის რედაქტირება, მიანიჭეს ის უშუალობა და თითქოსდა სასაუბრო სტილიც კი, რასაც, ცხადია, ყველა ეს ბრძანებული შენიშნავდა და ღირსეულად შეაფასებდა.

კიდევ ერთხელ გულითად მადლობას გიხდით ყურადღებისათვის.

შესვენება არ იქნება: ჯერ ბევრი არ გვიმუშავნია.

გთხოვთ, დაგვისვათ ნებისმიერი შეკითხვები, მნიშვნელობა არა აქვს, ვის შეეხება ისინი.

ამას მოჰყვა...

დანართი № 2. შეკითხვები და პასუხები (სტენოგრამის გაგრძელება).

ამხ. **პოლივანოვი კ. კ.** მაშ ასე, ამხანაგებო, ძალიან გთხოვთ, არ დაირცხვინოთ. ვინ არის პირველი?! ვიმეორებ: მაშ ასე, რომელ თქვენგანს არ ცხვენია და ვინ არის პირველი?

შეკითხვა. შემუშავებულია თუ არა გმკ-ს წესდება?

პასუხი. მუშავდება. გაძლიერებული ტემპით.

პაუზა

პოლივანოვი. თამამად, ამხანაგებო, თამამად!

შეკითხვა. ჰყავს თუ არა თქვენს კლუბს საპატიო წევრები?

პასუხი. საპატიო წევრების გარეშე კლუბები არ არსებობს.

შეკითხვა. ვინ არიან თქვენი ყველაზე საპატიო წევრები?

პასუხი. მიცვალებულებზე ცუდს არ ამბობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაუზა

პოლივანოვი. თამამად, ამხანაგებო, თამამად!

შეკითხვა. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ თქვენი საპატიო წევრია მწერალი მავანი. ასეა თუ არა ეს?

პასუხი. ჩვენ ვისურვებდით, რომ ამ სახელს მუდამ ისეთი ეპითეტები ახლდეს თან, როგორიცაა „ყველა დროისა და ხალხთა დიდი მწერალი". ეპითეტები ჩვენ რიდი მოვიგონეთ, ამ მხრივ მწერალთა კავშირისა და მისი საპატიო ბეჭდვითი ორგანოების წინაშე ვართ ვალში. ხომ არ შეიძლება გავანაწყენოთ მწერალთა კავშირი და მისი ორგანოები.

შეკითხვა. განვაგრძობ დაწყებულ საუბარს: რა თვალით უცქერით ყველა დროისა და ხალხთა დიდი მწერლის ბიუსტებს, მისივე დაკვეთით რომ ჩაწოუსხამთ ვარაყით?

პასუხი. თავისთავად სინათლე ძალიან კაშკაშაა, მაგრამ მთლიანობაში ეს არასასურველი მოვლენაა.

შეკითხვა. როგორია თქვენი აზრი დიდი მწერლის ვამგებლობაში შემავალ ტერიტორიაზე კერძომესაკუთრულ საპყრობილეთა შექმნის ფაქტზე?

პასუხი. არ არის სასურველი მოვლენა.

შეკითხვა. როგორ აფასებთ დიდი მწერლის მთელი მოღვაწეობის მხილების პროცესს?

პასუხი. არ არის სასურველი მოვლენა.

შეკითხვა. არ შეიძლება უფრო დაწვრილებით ილაპარაკოთ?

პასუხი. შეიძლება, შეიძლება, რამდენადაც დიდი მწერლის მოღვაწეობის შედეგად ხდებოდა ისეთი ფაქტები, როგორიც არის ბამბის ორმაგი მოსავლის აღება. კიდევ: ყველასათვის გულსატკენად ცნობილია, რომ ხორცის, რძის ფეხსაცმლისა და საფეიქრო ნაწარმის ერთ სულ მოსახლეზე მოხმარება ჩვენთან უფრო დაბალი აღმოჩნდა, ვინემ დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. აუცილებელი იყო ჩამორჩენა რაღაცით დაგვეფარა. დიდმა მწერალმა ამოცანად დაისახა და შეასრულა კიდეც: გრანდიოზული არხების მშენებლობა წამოიწყო, რაც გაერცელდა — და დღევანდლამდე ვრცელდება — ჩრდილოეთის ისეთი მდინარეების აღმა დინების მიმართაც კი, როგორიცაა სუხონა, პეჩორა, ობი, ირტიში და სხვ., და ახლაც გადამუშავებული ნიადაგის კუბომეტრების რაოდენობის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში პირველი ადგილი გვიჭირავს.

შეკითხვა. მაგრამ როცა ვიღაცა მილიონობით კუბომეტრ ნიადაგს აბრუნებს — ხალხის ფული ხომ ცრემლად იღვრება. ეს ცრემლები კი მწარეა.

პასუხი. ისტორიისათვის ცრემლები მეორეხარისხოვანი საქმეა. სამაგიეროდ ვინც აბრუნებს, ის მიირთმევს და ისტორიაში კარგი მადით შედის.

შეკითხვა. იქნებ უზარმაზარი ვალითაც შედიოდეს?

პასუხი. კი მაგრამ, ნაეთობი და გაზი? რა საჭიროა ისინი? რად გვინდა ტყე?

შეკითხვა. ადასტურებთ თუ არა, რომ ოცდაცამეტჯერ მეტ ხე-ტყეს ვჭრით, ვინემ ტექნოლოგიის მიხედვით ავეჯის საწარმოებლადაა საჭირო?

პასუხი. ჩვენ ერთ სულ მოსახლეზე ხე-ტყის ჩეხვის მიხედვითაც პირველ ადგილს დავიჭერთ მსოფლიოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაუზა

პოლიევანოვი. თამამად, ამხანაგებო, თამამად!

შეკითხვა. საქალაქო პარკების ჩეხვის ძალზე ბევრი ფაქტი ხომ არა გაქვს?

პასუხი. საკუთარი თვალით ვის უხილავს ეს ფაქტები? სანამ ჩეხვას დაიწყებდნენ, პარკებს ღობე უნდა შემოევლოს. ღობის იქით კი ვინ რას დანახავს?

შეკითხვა. ადამიანები ღობეზე გადაბობღდებიან ხოლმე და ხედავენ.

პასუხი. ველარ გადაბობღდებიან: პარკში ძაღლებს უშვებენ.

შეკითხვა. გადაბობღდებიან და სურათებსაც უღებენ.

პასუხი. ველარ უღებენ: ფოტოაპარატებს ართმევენ, ფირებს კი აშუქებენ.

პაუზა

პოლიევანოვი. თამამად...

შეკითხვა. ამას წინათ ერთ-ერთ აქ მყოფ წევრ-დამაარსებელს პრესაში უწოდეს... ალბათ თვითონაც ახსოვს, რაც უწოდა „ლიტგაზეტაში" დასტამბულ თავის წერილში საქვეყნოდ ცნობილმა მწერალმა.

ერთ-ერთი წევრ-დამაარსებელი. არა, არ მახსოვს. დამავიწყდა.

შეკითხვა. განა ასე ადვილი დასავიწყებელია?

ერთ-ერთი წევრ-დამაარსებელი. ქარავანი ხომ მიდის.

შეკითხვა. რა დამოკიდებულებას იჩენთ მშრომელთა წერილებისადმი, თუ თქვენი ქარავნის მიმართ სიმპათიას გამოხატავენ?

პასუხი. ამ მხრივ მართლაც დიდებული ნიმუშები და მაგალითები გაგვაჩნია. მკითხველი ქალაქ კალინინგრადიდან გვეკითხება, რა აზრისა ვართ ერთ-ერთ ეგრეთ წოდებულ საზოგადოებრივ მუშაკზე. ვინ არის — წესიერი კაცია თუ ქოსატყუილაო? ჩვენ ეს წერილი ქსეროგრაფზე გავამრავლეთ და უმაღლეს ადმინისტრაციულ და აკადემიურ ინსტანციებს დავუგზავნეთ. დაე, ინსტანციებმა იფიქრონ დამოუკიდებლად.

პაუზა

პოლიევანოვი. თამამად, ამხანაგებო, თამამად. შემდეგი ვინ არის?

შეკითხვა. როგორ უცქერიან გმკ-ს წევრები კოოპერაციის თანამედროვე როლს?

პასუხი. ყოველგვარ ეჭვგარეშეა, რომ კოოპერაცია აუცილებელი საქმეა, რაც მთავარია მთავრობის დოკუმენტებშიაც არის აღნიშნული. მაგრამ, რო-

გორც ყველა კარგ საქმეს, შეიძლება მასაც ცუდი შედეგი მოჰყვეს, თუკი სტიქიური განვითარების უფლება მიეცით, თუ სახელმწიფომ არ მოჰკიდა მას ხელი. ყოველივე ამის შუქზე, პირველ ყოვლისა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეიქმნას სამინისტრო, რომელიც კოოპერაციის კოორდინირებასა და კონტროლს განახორციელებს. მეორეც, ამგვარი სამინისტროს შექმნამდე უკომპრომისო ბრძოლა უნდა გამოეცხადოს კოოპერატორთა უშრომელ შემოსავალს. არსებობს აგრეთვე იმის საფრთხე, რომ სახელმწიფო სასაქონლო ფონდები კოოპერაციის სისტემაში გადაინაცვლებს. მესამეც, ამასაც უნდა ვებრძოლოთ. არსებობს საფრთხე, რომ კოოპერატივები გადაიბირებენ სახელმწიფო წარმოებადაწესებულებათა ყველაზე კვალიფიცირებულ მუშაკებს. მეოთხეც, ამასაც უნდა ვებრძოლოთ. ერთი სიტყვით, ამხანაგებო, წინ ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა გველის!

შეკითხვა. საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან ვინ მიგაჩნიათ დემოკრატიული მოძრაობის ლიდერად?

პასუხი. არავინ.

შეკითხვა. რატომ?

პასუხი. მშიშარა ხალხია. საკმარისი გახდა ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდილიყო ერთი სტატია, რომ მაშინვე იარაღი დაეყარათ. მაგრამ მეორე სტატია დაიბეჭდა და რამდენიმე დღის შემდეგ დემოკრატები მკერდში მჯიღს იბრაგუნებდნენ: „ჩვენ აგაცილეთ პუტჩი! აგაცდინეთ გადატრიალება! ქვეყნიერება დაღუპვას გადავარჩინეთ!“ და გასაგებიცაა: დემოკრატები მუდამ საყოველთაო აღიარებისა და დიდი გმირობისათვის იკლავენ თავს. არც ერთ მათგანს არ უნდა პატარა გმირი იყოს, რადგან ფიქრობენ, დემოკრატია დიდი გმირობისაკენ მიმავალი გზაა.

შეკითხვა. ნება მიბოძეთ, წაგიკითხოთ იმ წერილის ტექსტი, ბუნების დაცვის პრობლემებს რომ ეძღვნება. ტექსტი ასეთია: „პროექტის შემდგენელთ წინადადება შემოაქვთ განსაკუთრებული ძალა და სრული უფლება შევუნარჩუნოთ და ჰესის მშენებლობის პროექტის განხილვის ნება არ მივცეთ არა მხოლოდ სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და საზოგადოებრიობას, არამედ სამეცნიერო და ბუნების დამცველ დაწესებულებებს. ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ჩათვლით...“ რა აზრისა ხართ ამ წერილზე?

პასუხი. თქვენ ტექსტის გაგრძელება არ წაგიკითხავთ, ურომლისოდაც თქვენი ციტატა აზრს კარგავს. ტექსტის გაგრძელება კი ასეთია: „დადგინდეს, რომ სამინისტრო ჰიდროენერგოსადგურისა და წყალსაცავის ზონის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გენერალური შემკვეთი და დამპროექტებელია“. ბოდა, თუკი ეს ასეა, თუ სამინისტრო საკუთარ თავს თვითონვე უკვეთავს და თავისთვის თვითონვე ადგენს პროექტს, — რაღა მნიშვნელობა აქვს სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და სხვა ღიპიანი წვრილფეხობის ჩარევას?

შეკითხვა. გმკ-ს წევრები როგორ უცქერიან საკითხს საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა შესახებ?

პასუხი. ჯერ ყველა ქვედანაყოფში დიდი და სერიოზული ახსნა-განმარტებითი მუშაობა, თავისებური იურიდიული საყოველთაო სწავლება ჩავატაროთ, რათა ყოველმა საბჭოთა მოქალაქემ შეიგნოს, რომ მას ისეთი უფლებები გააჩნია, როგორიც მსოფლიოში არავისა აქვს. ამის შემდეგ მართლწესრიგის დამყარების საქმე უეჭველად შვიდმილიანი ნაბიჯებით დაიძვრის წინ.

შეკითხვა. როგორ უცქერით სამინისტროთა და უწყებათა აპარატის შემცირების აუცილებლობას?

პასუხი. ამ საკითხში ბევრი ვერ გარკვეულა, ჰგონიათ, იგი მხოლოდ დღეს წამოიჭრაო. არა და არა! სინამდვილეში ეს საკითხი იდგა ჯერ კიდევ ორმოცი, სამოცდაათი და მეტი წლის წინათაც. და თუკი დღესაც უგულვებელყოფთ წარსულის გამოცდილებას — ეს დაუშვებელი შეცდომაა, რომელიც შეიძლება ძვირი დაგვიჯდეს.

შეკითხვა. პრინციპში როგორ უცქერით საზოგადოების მხრივ ამჟამად გამლილ ჩვენი სახელმწიფო აპარატის კრიტიკას?

პასუხი. საზოგადოებრივმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებათა ადმინისტრაციებმა მუდამ უნდა იცოდნენ, ვინ ვინ არის და დემაგოგებს ტრიბუნებზე ასვლის უფლებას არ უნდა აძლევდნენ.

შეკითხვა. როგორ უცქერით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს? რა წინააღმდეგობებს ხედავთ აქ?

პასუხი. ჩვენი საზოგადოების ყველაზე დიდი უბედურებაა საზოგადოებრიობა. მისი წარმომადგენლები ყველგან და ყველაფერში ეჩრებიან. ეს მართლაც რომ უბედურებაა და მას ნებისმიერი საშუალებებით უნდა ებრძოლოთ. ყველაზე რადიკალურია მივაფურთხოთ და გავსრისოთ.

შეკითხვა. საზოგადოებრივი აზრის როგორი მიმართულებაა თქვენი კლუბისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი?

პასუხი. ჩვენი კლუბი განსაკუთრებით დაინტერესებულია, რომ საზოგადოებრივი აზრი ბოლომდე გაერკვეს, რა როლის თამაშს განაგრძობდა ტროცკი, როცა გადასახლებაში იმყოფებოდა.

პ ა უ ზ ა

პოლივანოვი. თამამად, ამხანაგებო, თამამად! საერთოდ, ამხანაგებო, თქვენი ანგარიში ჩვენი პრესკონფერენციის შესახებ წინასწარ როგორლაც... რათა ცალმხრივი და მოკლე არ გამოდგეს... შეგვეძლო ჩვენს პრესცენტრში მეგობრულად დაგხმარებოდით. ცხადია, ჩვენი პრესა ჯერ კიდევ მოკლებულია სათანადო აქტიურობას, გარდაქმნამ და საჯაროობამ ჯერაც ვერ მიაღწიეს ჭეშმარიტ სიმაღლეს. ჰოდა, შეგვეძლო დაგხმარებოდით.

პ ა უ ზ ა

ამხანაგებო, როგორც ჩანს, მეტი შეკითხვა არ გექნებათ. რაკი ასეა, ჩვენი პრესკონფერენცია დამთავრებულად მიმაჩნია. მიმაჩნია, რომ საერთოდ ცუდად არ გვიმუშაავნია და საქმესაც ვარგებთ. მაშ ასე, მომავალ შეხვედრამდე?

ლოგინში მწოლიარე პოლივანოვმა გვიან ღამით დაამთავრა სტენოგრამის უკანასკნელი გვერდის კითხვა, შუქი ჩააქრო და სიბნელეში ფიქრებს მიეცა.

„აი, ცხოვრება, აი!“ — ფიქრობდა და გრძნობდა, რომ კიდევ დიდხანს ვერ დაიძინებდა.

მრავალი წლის განმავლობაში პოლიკანოვი გარეშემცველ ცხოვრებას ხედავდა, როგორც გაფუჭებულ ეკრანზე, რომელზედაც, თუკი რაიმე ჩანს, არაფერი ისმის, თუ ისმის, არაფერი ჩანს. და იძულებული იყო, დანახულით ესმინა, ზოგჯერ ილაპარაკა და ისე გამოეცნო, სინამდვილეში რა ხდებოდა. ამნაირად

გამოცნობის ჩვევაც კი გამოუმუშავდა, ჩვევა, ინსტინქტი და არცთუ მცირე უნარი.

მაგრამ, აი, ტელევიზია მთელი ძალით არის ჩართული, ციმციმებს და გრიალებს, — თუმცა რა გამოდის?

„აი, ცხოვრება, აი!“ — ამის გაფიქრებაღა შეუძლია პარამონოვს. ახლა სხოლოდ იმის მიხვედრა კი არ სჭირდება, რა ხდება გარშემო, ანუ ზუსტად იმისაც, რაც თვითონ მასში ხდება. როგორ პრესკონფერენციას მიუწყობს საკუთარ თავს?

ყოველივე ამას ისიც მიუმატეთ, რომ დასაძინებლადაც თავის დროზე უნდა დაწვეს, ოღონდ არც გაზეთები არ უნდა იკითხოს და არც ტელევიზორით „ნაშუალამევსა“ და „120 წუთს“ უცქეროს, მაშასადამე, რა უნდა ქნას? თავის დროზე უნდა დაიძინოს. მიმდინარე ცხოვრების ახალი ამბების გარეშე ასე თუ ისე მაინც ადამიანი ხარ, ცოტათი მაინც მოქალაქე, უძილოდ კი რას წარმოადგენ? ეს ომის დროს იყო, ჯარისკაცებსა და ოფიცრებს თვეობით რომ არ ეძინათ, ახლა ხომ ომი არ არის...

მერე პარამონოვმა კითედრაზე მდგომ თავდაჯერებულ, ახალგაზრდა და შეუწყნარებელ ლექტორად წარმოიდგინა თავი — ეს დიდი ხნის ამბავია, მაგრამ რატომ იყო ასეთი? პარამონოვმა მიზეზი ვერ მოიგონა და ნაღვლიანი ოხვრა აღმოხდა: დრო გამოიცვალა — ახლა მხოლოდ კვირაში ერთხელ მასწავლებლობს, სულ რამდენიმე საათი აქვს, უმაღლეს სასწავლებელში კითხულობს ლექციებს. ცუდად როდი კითხულობს, მაგრამ ენთუზიაზმი აკლია.

ხელახლა მოეჩვენა, რომ მის მოწაფე გოლუბკოვსა და თანაკურსელ გუსინოვს შორის უჩინარი კავშირი არსებობს. მათ ერთმანეთთან რაღაც დეტექტური ამბავი აკავშირებთ.

სულ რაღაც სამოოდე საათის წინ გოლუბკოვმა დაურეკა და „შენობით“ ეკითხა, მიიღე თუ არა გმკ-ს პრესკონფერენციის სტენოგრამა და წაიკითხე თუ არაო?

— რაო, ხომ არ მაპამპულებთ? — გაბრაზდა პარამონოვი, თავის მოწაფეს მაინც „თქვენობით“ რომ მიმართა, რადგან მისთვის „შენობით“-ზე გადასვლა შუდამ სერიოზული მოვლენა გახლდათ. მოსწავლე კი მოურიდებლად მიმართავდა „შენობით“ მასწავლებელს. მან ისეთი სიცივლით უპასუხა, არაფერს რომ არ გამოხატავდა:

— ჰო, კარგი, მასწავლებელო! გულს ნუ გაიტეხ!

მაგრამ პარამონოვი გულგატეხილი დარჩა. მას ისევ გაუელვა აზრმა, გოლუბკოვი მასხარად იგდებდა.

ხან წალმა შეაბრუნებდა ფიქრს, ხან უკულმა.

ფიქრობდა: გმკ-ს პრესკონფერენციაზე გოლუბკოვმა იმ რიცხვის თერთმეტ საათზე მიიპატიჟა... რიცა ჯერაც არ იცოდა, რომ პარამონოვი ვერ მიეღოდა. მაშასადამე, კონფერენცია მართლაც შეიძლებოდა შემდგარიყო, ხოლო თუ წარმოუდგენელი კონფერენცია ნამდვილად ჩატარდა, რატომ არ უნდა არსებობდეს წარმოუდგენელი სტენოგრამა?

ასეც ფიქრობდა: გოლუბკოვს შეეძლო წინასწარ სცოდნოდა, რომ სწორედ იმ დროისათვის პარამონოვს უმაღლესი ხელმძღვანელობა გამოიძახებდა და კონფერენციას ვერ დაესწრებოდა, ისე რომ შეიძლებოდა მთელი ეს კონფერენცია გამოეგონებინა, მერე კი სტენოგრამაც შეეთხზაო?!

„აი, ცხოვრება, ჰა? — ფიქრობდა პარამონოვი. — აი, ნამდვილი დეტექ-

ტივი! ესეც შენ სამკუთხედი: პარამონოვი-გოლუბკოვი-გუსინოვი ან კიდეე სხვა ვინმე გუსინოვის ნაცვლად?"

უფროსობას, პარამონოვი იმ საბედისწერო ჟამს რომ იხმო, განზრახული ჰქონდა მისი თანამდებობრივი დაწინაურება. მაგრამ პარამონოვმა უხმაურო, მორიდებულად განაცხადა უარი: გრძნობდა, რომ უამრავი უსიამოვნება და სირთულე მოელოდა. ცხადია, სიძნელეები მაინც არ ასცდებოდა, მაგრამ ახლა ისინი არ აშინებდა, მას რაღაც წვრილმანები აკრთობდა. მაგალითად, ფიქრობდა, ხომ შეიძლება ჩემს ირგვლივ მყოფთა შორის ისეთი დედაკაცი აღმოჩნდეს, თავი ჭკვიანიც წარმოედგინოს და ლამაზიც, თუმცა — ფუი! — არც კი შეიხედებოდეს. დაიწყებს ოთახიდან ოთახში წანწალს, პარამონოვის ყოველი ნაბიჯის განსჯას, რა გააკეთა ასე თუ ისე მისაღები და რა — სრულიად მიუღებელი, მთელი ქვეყნის ჭორებს მოაგროვებს და თვითონაც საქვეყნოდ ღვარძლიანად გააკრიტიკებს — რა უნდა ქნას მაშინ? რასაკვირველია, ასეთი დედაკაცი უმალვე უნდა გაათავისუფლოს, მაგრამ ესეც რომ არ შეიძლება?!

შრომითი კანონმდებლობა არ იძლევა ამის უფლებას, არ შეიძლება! ელოდე, სანამ ბებია გეტყოდეს, როგორ მოიქცე — გაათავისუფლე ან დააჯილდოვეო! ლამაზმანს შენიშვნასაც ვერ შეჰკადრებ — ისეთ ისტერიკას ასტეხს, თავ-ბედს გაწყევლინებს.

იქნებ თანამშრომელთაგან ისეთი ვინმეც აღმოჩნდეს, რომელიც წარამარა გაებმება ხათაბალაში — ან პროფკავშირული ფულის ხარჯვისას, ან რაიონის პარტაქტივზე სიტყვით გამოსვლისას, ან ვლადიმირსა და სუზდალში ექსკურსიის დროს... დავუშვაო, ბიჭს ცუდი არ ეთქმოდეს, კარგი იყოს, მაგრამ ბუდამ ხათაბალაში რატომ უნდა გაებას? თვითონ ხათაბალაში გაებმება და შენ უნდა უშველო — „იმათ სახელზე" უნდა წერო და ისეთ ორგანიზაციებში უნდა რეკო, რომელთა არსებობის აინუნშიაც არა ყოფილხარ.

და ბევრ სხვა რამესაც ექნება ადგილი პარამონოვის კოლექტივში, თუ დიდი თანამდებობის კაცი გახდა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რაც კი ხდება, პარამონოვს სიმართლე ჰგონია და გულთან ძალზე ახლოს მიაქვს.

მაგრამ ამ კოლექტივს რომ სცოდნოდა, ამ ხასიათის მოვლენები პარამონოვისთვის კედელზე ცერცვის მიყრას ნიშნავდა, მორჩა — მათ ადგილი აღარ ექნებოდათ, პარამონოვიც თავის სამუშაო კაბინეტში დღეში ორი-სამი საათით გამოცხადდებოდა თავისი პერსონალური მანქანით, სხვა დროს კი ზემოთ საკითხების შეთანხმებას მოანდომებდა, და მაშინ ყველაფერი წესრიგში იქნებოდა: „აი, ჩვენს უფროსს „უფროსი" ჰქვია და მორჩა!". მაგრამ უმთავრესი ეს არ არის, უმთავრესი სხვა რამ გახლავთ... ბედნიერია ის უფროსი, რომელიც არ ჯამებს ყველა თავის შეუსრულებელ მოვალეობას, ყველა თავის შეცდომას. ის არ აჯამებს, ხოლო ცალ-ცალკე აღებული ეს შეუსრულებელი მოვალეობანი და შეცდომები არც ისე მეტვრმეტყველნი არიან და მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე აღიმაღლებენ ხმას, იძიებენ შურს. პარამონოვი კი წყეული ხასიათის კაცია, იუდას წესი სჩვევია — ითქოს ქვაწურია რაინდი იყოს, თავის შეცდომებს სულის სამალავში აგროვებს. ყველა შეუსრულებელი მოვალეობა ამ სამალავებში სამუდამოდ დამკვიდრებულივით გრძნობს თავს და განა ეს შეიძლება? ჩვენს დროს მაინც? ეს ხომ სიგიჟეა, ეს თვითმკვლელობას ნიშნავს!

არა და არა, რა უფროსია პარამონოვი! გულახდილად რომ ითქვას, ამქვეყნად ყველაზე მეტად იმით არის გაოცებული, რომ მიუხედავად ყოველივესი,

მაინც უფროსია, ესწრება საუწყებათშორისო თათბირებს, კოლეგიის სხდომებს და, ეჰე-ე, სანამდე შეუძლია მიაღწიოს, რომელ სართულამდე — პირდაპირ საოცარია! ხანდახან ეჩვენება, მე არ ვესწრები, სართულებზე მე არ ავდივარ, ყოველად შეუძლებელია ეს მე ვიყოო.

რა სჯეროდეს და რა არ სჯეროდეს? ვისი სჯეროდეს და ვისი არა?

არა, პარამონოვს სიკვდილი არ უნდოდა, დრო რალაცას ეპარებოდა და უნდოდა შეპირებულის ასრულებამდე ეცოცხლა, მაგრამ სიკვდილს სულიერი შფოთვის გარეშე ისურვებდა. ახლა ამიტომ იყო ასე შეშფოთებული.

ეჰ, ეს უძილო ღამეები...

მაგრამ ეს უძილო ღამეებიც თენდება და დილას, უკვე სინათლეზე, პარამონოვმა ცალი ხელით დაუწყო სტენოგრამებს ძებნა. ცალი ხელით რომ ვერ იპოვა, მეორეც მიაშველა. მაინც ვერ მიაგნო.

— ტასია! — შეშფოთებით უხმო ცოლს, თითქოს იმის შეეშინდა, ცოლიც ხომ არ დამეკარგაო. — სადა ხარ, ტასია?

შემოვიდა ცოლი, რომელსაც დაჭმუჭნილი ხალათი ეცვა, და გაოცებულმა ჰკითხა:

— რაო, გარდაქმნის გზაზე შემდგარო, რატომ არ გძინავს? დღეს ხომ შაბათია!

— მერე რა, რომ შაბათია, სტენოგრამა რა იქნა? აქ იდო. აი, აქ დავდე. პუფზე.

— რაკი აქ არ არის, მაშასადამე, პუფზე არ დაგიდვია.

— იქნებ, — ივარაუდა პარამონოვმა, — იქნებ სკოლაში წასვლის წინ პავლუშკამ შემოირბინა ჩემს ოთახში და სტენოგრამა წაიღო?

ვარაუდი იმდენად საეჭვო, თითქმის დაუჯერებელი იყო, რომ პარამონოვი თვითონაც გაოცდა, მაგრამ ტასია, მისი ცოლი, სულაც არ გაოცებულა, დაეთანხმა:

— წაიღებდა... რატომ არ უნდა წაეღო? მშობლები ფეხებზე ჰკიდია, ბაბუა და ბებია კი მით უფრო. ისე წაიღებს, არც კი შეგეკითხება. ელოდე, როდის დაბრუნდება სკოლიდან.

„ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა პარამონოვმა, — რა დღე დამადგება, სანამ ის თავუხლარი პაულუშკა დაბრუნდებოდეს? ხუთ ან ექვს საათს მაინც დაიგვიანებს... აი, ცხოვრება თუ გინდა, ჰა?“

„ექვსი საათი, — ისევ და ისევ უბრუნდებოდა იმავე ფიქრს პარამონოვი, — რა უნდა ვაკეთო ამდენ ხანს?“ უნდოდა თუ არ უნდოდა, სინამდვილეში შედგა თუ არ შედგა გმკ-ს პრესკონფერენცია, ის ახლა შეახსენებს თავს ისეთი წვრილმანებით, რომელთაც მის გარდა ამქვეყნად სხვა ვერავინ გაიხსენებს.

ამ დროს ისევ ჩასთვლიმა და სიზმარში ვიღაცამ „გადასარჩენად“ კვლავ ხუთი ნივთი შეაჩეჩა.

— გადასარჩენადო? — გაიოცა პარამონოვმა, თუმცა არც კი იცოდა, ვის წინაშე იოცებდა, ვინ შეაჩეჩა ეს ხუთი ნივთი. აზრმაც კი გაუელვა, ეს ვანკა გუსინოვის საქმეაო.

— მაშ რა გეგონა! — უხმოდ უპასუხა ვიღაცამ. — განა არ გამოგადგება?

ამ ხუთი ნივთიდან ოთხი საკმაოდ დიდი ზომის ჟანგმოდებული ნაჭედი ლურსმანი იყო. მეხუთე? მეხუთე — ამის წარმოდგენაც შეუძლებელია! — ხის ჯვარი გამოდგა.

— ხელს არ მაძლევს! — მტკიცედ უარყო შემოთავაზებული ნივთები პარამონოვმა — არა და არა!

— რატომ?

— ძალზე პრიმიტიულია. მეოცე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ფონზე — ძალზე პრიმიტიულია!

— ნამდვილი გაიძვერაა ეს პარამონოვი! ვინ იფიქრებდა ამას?! სად არის იმის გარანტია, რომ მორიგი წინადადება მისთვის მისაღები იქნება? ... ტორიულად ნაცად საშუალებას ვთავაზობთ, რომელიც გამართლებულია, და მაინც არ უნდა! ეს როგორ შეიძლება?

— რაღაც სიახლე უნდა მოვიგონოთ! არ შეიძლება ახალი პრობლემების ძველი მეთოდებით გადაწყვეტა, — ღმერთმა უწყის, ვის არ დაეთანხმა პარამონოვი.

— ვინ მოგახსენა, რომ პრობლემები ახალია? ისინი ძველია, ვითარცა სამყარო.

— ჯვარი. ზომაზე დიდია. მე საშუალო სიმაღლისა ვარ. საშუალო სიმაღლისა ვარ ჩვენს სახელმწიფოში მოსახლე მამაკაცებთან შედარებით. იქნებ მთელი პლანეტისთვისაც საშუალო სიმაღლისა ვიყო. ნივთი კი ნამდვილად აქსელერატისთვის არის გათვალისწინებული.

— ეს რა დიდი საქმეა: ამ წუთში გადავხერხავთ!

და პარამონოვს ისეთი ხმა ჩაესმა, თითქოს ხეზე ხერხმა გაიჭრიალაო, მაგრამ ამ დროს გამოელვიძა და გაიფიქრა: „ვაი დედასა, რას არ გაივლებს გუნებაში ადამიანი, ჰა? არა, მაინც ცხადი სჯობია, უფრო რეალისტურია“. რეალიზმში კი პარამონოვი უფრო თავდაჯერებულად გამოიყურებოდა, ვინემ სხვა პირობებში. თუმცა ამჯერად რეალიზმი გაოცებაში გამოიხატა. „აი, ცხოვრება, ჰა? — გაიფიქრა პარამონოვმა. — იმდენად დოკუმენტური როდია, რამდენადაც ფანტასტიკური! და სიმართლეა თუ არა, რომ დედამიწის სფერო მატერიის ქინძისთავის ოდენა ნაწილაკის აფეთქების შედეგად წარმოიქმნა?“

□

ხოსე ორტეგა ი გასეტი

ესპანურიდან
თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძეე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასების ამბოხი

I

თავშეყრილი მასების ხედი

ვინ იცის, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ამჟამად ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ უაღრესად დიდმნიშვნელოვან მოვლენას, კერძოდ, საზოგადოებაში მასების შეუზღუდავი ძალაუფლების დამყარებას. რაკილა მასებს, თვით თავიანთი ბუნებით, არ შეუძლიათ და ამიტომ არც უნდა მართავდნენ საკუთარ არსებობას და, მით უმეტეს, საზოგადოებას, ეს მოვლენა იმის მომახწავებელია, რომ დღეს ევროპა ყველაზე მძიმე კრიზისს განიცდის, რამაც შეიძლება მოიცვას ხალხები, ერები და კულტურები. ისტორიისათვის უცხო როდია ამნაირი კრიზისები. ცნობილია მათი ბუნება და შედეგები; ცნობილია მათი სახელიც: ეს სახელია „მასების ამბოხი".

ამ მოვლენის არსში საწვდომად ამთავითვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ჩვენ მარტოოდენ პოლიტიკურ მნიშვნელობას როდი ვანიჭებთ სიტყვებს — „ამბოხი", „მასები", „საზოგადოებრივი ძალა". საზოგადოებრივი ცხოვრება მარტო პოლიტიკა კი არა, იმავდროულად, ან — უფრო ზუსტად, — უწინარეს ყოვლისა, ინტელექტუალური, მორალური, ეკონომიკური და რელიგიური ცხოვრებაცაა. ის მოიცავს ადამიანთა თანაცხოვრების ყველა თავისებურებას, მათ შორის, ჩაცმულობის მანერასაც.

უფრო სწორად რომ გავიგოთ ამ ისტორიული მოვლენის არსი, მხედველობით ცდას მივუბრუნდეთ და ჩვენი დროის ერთ-ერთ იმნაირ თავისებურებაზე გავამახვილოთ ყურადღება, რაც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

ამ მოვლენის შემჩნევა ადვილია, მაგრამ ასევე ადვილი როდია მისი გაანალიზება. მე მას „ხალხის თავმოყრას" ვუწოდებ. ქალაქები სავსეა ხალხით, სახლები — ბინადრებით, სასტუმროები — მდგმურებით, მატარებლები — მგზავრებით, კაფეები — სტუმრებით, ბულვარები — მოხეირნეებით, სახელგანთქმულ ექიმთა მიხალები ოთახები — ავადმყოფებით, თეატრები, თუ იქ თანმედროვე თემებზე დადგმულ სპექტაკლებს უჩვენებენ, — მაყურებლებით, პლიაჟები — მზის გულზე გახარფუჭად ეამხლართული დამსვენებლებით. რაც გუშინ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა, დღეს თითქმის მუდმივი პრობლემაა: თავისუფალი ადგილები არ არის.

ჩვენს ცხოვრებაში ალბათ არც მოიძებნება რაიმე უფრო მარტივი, უფრო ნიშანდობლივი და ესოდენ ხშირი. მოდით, ახლა ყოველდღიურობის ფარდა ავხადოთ ამ მოვლენას, და ჩვენ გაგვაოგნებს მოულოდნელად მოვარდნილი ნაკადი. რომელშიაც, ისევე, როგორც შადრევნის ჭავლში ნოციმციმე ცისარტყელას ფერები, ერთბაშად აკიაფდება ღღეგანდელი დღის მთელი სპექტრი, თანადროულობის ყველა ნიშანი.

მაინც რა დავინახეთ, ან რატომ გაგვაოგნა ასე ნანახმა? ჩვენ ვხედავთ ბრბოს, ხარბად რომ მიელტვის ცივილიზაციის მიერ შექმნილ ყველა სიკეთეს. საკმარისია ცოტა დავფიქრდეთ, და ჩვენ განგვაცვიფრებს ჩვენივე განცვიფრება. კი მაგრამ, განა ეს იდეალი არ არის? აკი თეატრის დანიშნულებაც სწორედ ისაა, რომ არც ერთი ადგილი ცარიელი არ დარჩეს, ანუ, სხვა სიტყვებით, ის, რომ დარბაზი გაჭედილი იყოს. იგივე ითქმის რკინიგზასა, თუ სასტუმროებზედაც. რასაკვირველია. მაგრამ საქმე ისაა, რომ, უწინ არც ერთი ეს დაწესებულება თუ მიმოხვლის საშუალება არ ყოფილა ასე გაჭედილი, ახლა კი ადგილები აშკარად არ არის საკმარისი და ხალხროებთან უზარმაზარი რიგები დგას. მართალია, ეს მოვლენა, თავისი წარმომავლობით, სავსებით ბუნებრივია და ლოგიკური, მაგრამ შეუძლებელია არ ვალიაროთ, რომ უწინ ასე არ იყო საქმე. მაშასადამე, რაღაც შეიცვალა, რაღაც ახალი გაჩნდა; სწორედ ამით აიხსნება, პირველ მომენტში მაინც, ჩვენი განცვიფრება.

განცვიფრება, გაოცება გაგების დასაწყისია. ესაა ერთგვარი სპორტი თუ ფუფუნება, რისი ნებაც, სხვებისაგან განსხვავებით, შეიძლება

თავის თავს მისცეს ინტელექტუალმა, განცვიფრებით სავსე თვალებით რომ მისჩერებია სამყაროს. განცვიფრებით სავსე და ფართოდ გახელილი თვალებისათვის მთელი სამყარო უჩვეულოა და დიდებული. ამ სიამოვნებას მოკლებულია ფეხბურთელი, მაშინ როდესაც სამყაროთი მონუსხული ინტელექტუალი გამუდმებით პროვიდენციულ ექსტაზშია დანთქმული.

მისი ცნობა შეიძლება ფართოდ გახელილი და განცვიფრებით სავსე თვალებით. სწორედ ამიტომ ძველ ბერძნებს ათენას ატრიბუტად მიაჩნდათ ბუ, თვალებბრიალა ფრინველი.

უწინ ბრბოს ყოველი ფეხის ნაბიჯზე როდი შეხვდებოდა კაცი. ახლა კი მაინც რა მოხდა?

ბრბოს შემდგენელი ადამიანები არაფრისაგან როდი წარმოშობილან. ეს დაახლოებით ადამიანთა იგივე რაოდენობაა, რომელიც არსებობდა ამ თხუთმეტიოდე წლის წინათაც. ბუნებრივი იქნებოდა, თუ ომი კიდევაც შეამცირებდა მათ რაოდენობას. და, აი, სწორედ აქ ჩნდება პირველი სერიოზული შენიშვნა. ამ ბრბოის შემადგენელი ადამიანები უწინაც იბადებოდნენ, მაგრამ ისინი ბრბოს როდი ქმნიდნენ. თვითეული მათგანი თავისთვის იყო, ადამიანთა მცირერიცხოვან ჯგუფებს უერთდებოდა; ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, სხვებისაგან განკერძოებით და მათგან დამოუკიდებლად. ყოველ მათგანს — ინდივიდუუმსა თუ პატარა ჯგუფს — თავისი ადგილი ჰქონდა მინდორში, სოფელში, ხატარა დაბაში თუ დიდი ქალაქის უბანში.

ახლა კი ისინი ბრბოებად გვევლინებიან. სადაც არ გაიხედავ. ყველგან ბრბო გვხვდება თვალში. ყველგან? არა, ყველგან კი არა, ყველაზე უკეთეს ადგილას, იქ, სადაც თავმოყრილია ადამიანური კულტურის უთვალსაჩინოესი მიღწევები, რომლებიც უწინ მცირერიცხოვანი ჯგუფებისათვის, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უმცირესობისათვის იყო განკუთვნილი.

ბრბო ყველგან თვალში საცემი გახდა; ბრბომ ავსო და წალეკა ყველაფერი. უწინ, თუ კიდევაც არსებობდა, მისი არსებობა შეუმჩნეველი იყო; ის ჩრდილში იდგა, საზოგადოებრივი სცენის უკანა მხარეს; ახლა კი რამპის შუქზე გადმოინაცვლა, — მთავარი მოქმედი პირი გახდა. უკვე აღარ არიან სოლისტები, სცენაზე ქორეოდ დარჩა.

„ბრბოის" ცნება ვიზუალური და თვისებრივი ცნებაა. მოდით, არსის შეუცვლელად, სოციოლოგიის ენაზე გადავიტანოთ იგი. და მაშინ მივადგებით საზოგადოებრივი მასის ცნებას. საზოგადოება ყოველთვის ორი ფაქტორის — უმცირესობისა და მასების — დინამიური ერთობაა. უმცირესობა ინდივიდუუმთა ჯგუფია, ვისებრივად რომ განსხვავდება ბრბოისაგან, მასა კი ადამიანების ბრბოა, ადამიანებისა, რომლებსაც არავითარი სპეციფიკურად განსხვავებული თვისებები არ გააჩნიათ. ნაგრამ ტერმინში „მასები" მარტოოდენ „ბუშათა მასები" არ უნდა ვიგულისხმოთ. მასა „საშუალო ადამიანია". ამრიგად, პირველმინდად რაოდენობრივი განსაზღვრიდან — „მასა ადამიანთა თანმრიცხოვანი — შეიძლება მასის თვისებრივ განსაზღვრამდე ავიდეთ. ბრბოის ზოგადი თვისება მასა, სიმძიმე, ანუ ტვირთია, დაბლა რომ ექაჩება საზოგადოებას; ესაა ადამიანი იმდენად, რამდენადაც დანარჩენებისაგან არ განსხვავდება და ადამიანთა საზოგადო ტიპში იმეორებს თავის თავს. რას მოვიგებთ ამ შემთხვევაში, თვისებად, რომ გარდაგქმენით რაოდენობა? პასუხი მარტივია: თვისების ცნების წყალობით ჩვენ გავიგებთ, საიდან იღებს დასაბამს რაოდენობა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ბრბოები, ჩვეულებრივ, ადამიანებისაგან ყალიბდებიან, რომლებსაც საწყისი სურვილები, იდეები და ცხოვრების საერთო წესი აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენა საერთოა ნებისმიერი საზოგადოებრივი ჯგუფისათვის, რანაირი ეულმოდგინებითაც არ უნდა ხდებოდეს მისი წევრების შერჩევა. ეს კი ასეა, მაგრამ არსებობს ერთი არსებითი სხვაობა, რჩეული უმცირესობისაგან რომ განასხვავებს ბრბოს.

იმ ჯგუფებში, რომლებიც ბრბოდ თუ მასად არ გვევლინებიან, მათი წევრების მამოძრავებელი სურვილები, იდეები, იდეალები ერთმანეთს თანხვდებიან, რაც თავისთავად გამორიცხავს ადამიანთა დიდ ხიმრავლეს. ვიდრე მცირერიცხოვანი ჯგუფი ჩამოყალიბდებოდეს, რანაირიც არ უნდა იყოს მისი საქმიანობა, აუცილებელია, რომ ამ ჯგუფის თვითეული წევრი ამა თუ იმ თავისებური, საკმაოდ ინდივიდუალური ხასიათის მიზეზით გამოეყოს ბრბოს. მისი და ჯგუფის დანარჩენი წევრების იდეალებისა თუ მისწრაფებების თანხვდომა, არსებითად, მეორეულია, რადგანაც თვითეულ მათგანს საამისოდ თავისი საკუთარი მიზეზი მოეძებნება. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ეს, გარკვეული აზრით, არათანხვდომათა თანხვდომაა. ზოგიერთ შემთხვევაში ჯგუფის ინდივიდუალისტური ხასიათი თავისთავადაც აშკარაა; ასეთია, მაგალითად, ინგლისელების ჯგუფები, „არაკონფორმისტებს" რომ უწოდებენ თავიანთ თავს და მხოლოდ იმიტომ რომ ერთიანდებიან, რომ ბრბოს დაუპირისპირდნენ. ნებისმიერი მინორიტარული ჯგუფი იმ მიზნით ყალიბდება, რომ უმრავლესობას გამოეყოს. ერთი დახვეწილი მუსიკოსის მოსასმენად თავშეყრილ მსმენელთა ვიწრო წრეს რომ გულისხმობდა, მალარმემ მაზვილგონივ-

რულად შენიშნა: ეს ხალხი თავისი დახწრებით ხაზს უსვამს ბრბოის დაუსწრებლობასო.

„მასა“ შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც ფსიქოლოგიური რიგის მოვლენაც. ის ყოველთვის ადამიანთა სიმრავლე როდია. ერთი, ერთადერთი ადამიანის შეხედვისას ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, არის თუ არა იგი „ადამიანი-მასა.“ არა ერთი და ორი მიზეზის ძალით, ადამიანი-მასა ისაა, ვისაც არ შეუძლია როგორც კარგი, ისე ცუდი მხრითაც შეაფასოს თავისი თავი; ვინც თავის თავს აღიქვამს „ისეთად, როგორიცაა ყველა“ და სულაც არ განიცდის ამას. მას მოსწონს ისეთი იყოს, როგორიცაა ყველა. წარმოიდგინეთ უბრალო ადამიანი, რომელიც ცდილობს ამა თუ იმ მიზეზის გამო შეაფასოს თავისი თავი, ვთქვათ, იმის გასაგებად, აქვს თუ არა რაიმე ნიჭი, ან რაღაცით მაინც თუ განსხვავდება ხხვებისაგან. და, აი, ის რწმუნდება, რომ არავითარი განსაკუთრებული თვისება არ გააჩნია. ეს ადამიანი შეიძლება თავს გრძნობდეს უნიჭოდ, უგერგილოდ, მაგრამ არა „ადამიან-მასად“.

როდესაც საქმე ეხება „რჩეულ უმცირესობას“, ყოველდღიურ ყოფაში, ჩვეულებრივ, მახსენდება ამ გამოთქმის აზრი: ამბობენ, რომ „რჩეული უმცირესობის“ წარმომადგენელი ქედმაღალია, კადნიერი, ამპარტავანი და ყველაზე მაღლა აყენებს თავს, მაგრამ ეს ასე არ არის. „რჩეული“ ყველაზე მეტს მოითხოვს, თუმცა ვერ ახერხებს ცხოვრებაში განახორციელოს ეს მაღალი მოთხოვნები. ეჭვს გარეშეა, რომ კაცობრიობა რადიკალურად იყოფა ორ ნაწილად: ერთის მხრივ, ისინი, უამრავ მოთხოვნას რომ უყენებენ თავიანთ თავს, რითაც ირთულებენ ცხოვრებას და ყოველნაირად ცდილობენ მოიხადონ თავიანთი ვალი, მეორეს მხრივ კი ისინი, ვინც არავითარ ძალისხმევას არ მოითხოვს საკუთარი თავისაგან. ამნაირი ადამიანი ტივტივასავით მიჰყვება დინებას.

ახლა კი მინდა შეგახსენოთ, რომ ორთოდოქსული ბუდიზმი ორი სხვადასხვა მიმდინარეობისაგან შედგება: ერთია მაჰაიანა, „დიდი ეტლი“, ანუ „ფართო გზა“, გაცილებით მეტ ძალისხმევას რომ მოითხოვს ადამიანისაგან, ვიდრე მეორე, „ვიწრო გზა“, „პატარა ეტლი“ — ჰინაიანა. რომელ გზას ავირჩევთ, რანაირ მოთხოვნებს წავუყენებთ ჩვენსავე თავს—მაქსიმალურს თუ მინიმალურს. საბოლოო ანგარიშით, სწორედ ეს განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებას.

ამრიგად, საზოგადოების დაყოფა მასად და საკუთრივ უმცირესობად კლასებად დაყოფას როდი ნიშნავს. ესაა დაყოფა ადამიანთა ტიპებად; ის შეიძლება არ დაემთხვეს მაღალ და დაბალ კლასებად დანაწევრებას. ცხადია, მაღალი კლასების წარმომადგენელთა შორის, თუკი ისინი მართლაც მაღალნი არიან, უფრო მეტად სავარაუდოა იმნაირი ადამიანების არსებობა, „ფართო გზას“ რომ ირჩევენ, მაშინ როდესაც დაბალი კლასები უმეტესწილად საშუალო ადამიანებისაგან შედგებიან. მიუხედავად ამისა, ყოველი კლასის წარმომადგენლებში მასაცაა და რჩეული უმცირესობაც. დღეს თვით რჩეულ ჯგუფებშიაც კი „ადამიანი-მასები“ ჭარბობენ. ასე მაგალითად, ინტელექტუალთა წრეში, რომელნიც თავიანთი არსით მოწოდებულნი არიან, მაღალი ინტელექტუალური დონის ადამიანებად გვევლინებოდნენ, ჩვენ სულ უფრო და უფრო მეტ ფსევდო-ინტელექტუალს — არაპროფესიონალებსა და არაკომპეტენტურ ხალხს ვხედავთ, რომლებსაც ინტელექტუალებისათვის ნიშნეული არც ერთი თვისება არ გააჩნიათ, იგივე მოვლენა შეინიშნება დღემდე შემორჩენილი არისტოკრატიის წრეშიაც. მეორეს მხრივ, დღევანდელ მუშათა შორის ცოტა როდია სულის მაღალი დისციპლინის მქონე ხალხი. არადა, უწინ ხომ სწორედ მუშები შეადგენდნენ ბრბოს.

საზოგადოებაში საქმიანობის არაერთი სახე არსებობს. ზოგიერთი, თავისი არსით, სპეციფიკური ხუნებისაა, და, მაშასადამე, მათ თავს ვერ გაართმევს ის ხალხი, რომელსაც საკმისოდ სპეციალური მიდრეკილება არ გააჩნია; ასეთია, მაგალითად, ხელოვნების ზოგიერთი დარგი, ან მართვისა და საზოგადოებრივ საქმეებზე პოლიტიკური მსჯელობის სფერო. უწინ ამ ფუნქციებს ეგრეთ წოდებული „კეთილშობილნი და წარჩინებულნი“ ახრულებდნენ, ყოველ შემთხვევაში, თავი ისე ეჭირათ, თითქოს მართლაც „კეთილშობილნი“ იყვნენ. მასები თავს არიდებდნენ ამნაირ საქმიანობას. ისინი გუმანით გრძნობდნენ, რომ, თუ ხელს მოკიდებენ ამ საქმეს, აუცილებლად უნდა შეეძინათ სპეციალური ცოდნა და სათანადო მიდრეკილებებიც ჰქონოდათ, მაგრამ მაშინ ხომ მასებიც აღარ იქნებოდნენ. უწინ მასამ ზებირად იცოდა თავისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ახლა, თუ გავიხსენებთ, რას ვამბობდით ჩვენი მსჯელობის დასაწყისში, ყველა ეს მოვლენა ჩვენ წარმოგვიდგება იმის საბუთად, თუ როგორ შეიცვალა მასების ადგილი საზოგადოებრივ ძალთა განლაგებაში. ყველაფერი იმას გვიმოწმებს, რომ მასებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, წინა ქლანზე გადმოინაცვლონ და დაეუფლონ ყოველივე იმას, რაც უწინ უმცირესობის კუთვნილება იყო. ცხადია, ზოგიერთი საზოგადოებრივი ადგილი აშკარად არ იყო გამიზნული ხალხის ამნაირი სიმრავლისათვის, და თანაც მათი მასშ-

ტაბები არც ისე განუზომლად დიდია, ასე რომ, ბრბოის მოზღვავებამ ლამის დახეთქოს ყველაფერი, რაც თვალნათლივ გვიმოწმებს ახალი მოვლენის სპეციფიკას: მასა, რომელიც კვლავ მასად რჩება, დაუნდობლად აძევებს უმცირესობას.

მე მგონია, არავინ არ ნანობს იმას, რომ დღეს სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი ცდილობს რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღოს ცხოვრებისაგან; მადლობა ღმერთს, საამისოდ სურვილიცა აქვთ და საშუალებაც. უბედურება ისაა, რომ მასების გადაწყვეტილება, ხელი მიჰყონ იმნაირ საქმიანობას, რაც უწინ უმცირესობის პრივილეგიად ითვლებოდა, მარტოოდენ დროსტარებისა თუ განცხრომის სფეროთი როდი იფარგლება და არც შეიძლება იფარგლებოდეს. საერთოდ ეს სნეულება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე გავრცელდა. ამთავითვე ვიტყვი, რომ სულ ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენები სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება მასების ხელში გადადის. ძველ დემოკრატიას შეეძლო ეარსება ლიბერალიზმის მნიშვნელოვანი წილისა და კანონისადმი ეგზალტირებული რწმენის ხარჯზე. იმისათვის, რომ ამ პრინციპებით ეხელმძღვანელა, პიროვნება იძულებული იყო სულის მტკიცე დისციპლინით აღეზარდა თავისი თავი. ლიბერალიზმისა და იურიდიული ნორმის მფარველობა შეხაძლებელს ხდიდა მინორიტარული ჯგუფების არსებობასა და მოღვაწეობას. დემოკრატია და კანონი, თანაარსებობის ეს იურიდიული გარანტიები, ერთმანეთის სინონიმებად გვევლინებოდნენ. დღეს კი ჩვენ მოწმენი ვართ ზედემოკრატიის ტრიუმფისა, როცა მასები გვერდს უვლიან კანონს, ყოველი ფეხის ნაბიჯზე იყენებენ უბეშ ძალას და საზოგადოებას თავზე ახვევენ თავიანთ გემოვნებასა და სურვილებს. სწორი არ იქნებოდა, შექმნილი ვითარება იმით აგვეხსნა, თითქოს მასები დაიღალნენ პოლიტიკით და პოლიტიკური მოღვაწეობის ხფერო საამისოდ შესაფერის პიროვნებებს გადააბარეს. საქმე სწორედ პირიქითაა. ასე ხდებოდა უწინ; ასეთი იყო საქმის ვითარება ლიბერალური დემოკრატიის პირობებში. მასებს მაშინ შეგნებული ჰქონდათ, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწე უმცირესობა, მთელი მისი ნაკლოვანებების მიუხედავად, საბოლოო ანგარიშით, მაინც უკეთ ერკვეოდა საზოგადოებრივ პრობლემებში, ვიდრე ისინი. ახლა კი, პირიქით, მასებს მგონიათ, რომ სრული უფლება აქვთ მთელ საზოგადოებას მოახვიონ თავზე ის ბანალური აზრები, რომლებსაც ისინი კაფეებში უზიარებენ ერთმანეთს, და კანონის ძალა მიანიჭონ მათ. ძალზე შეეშვება, რომ ისტორიაში ოდესმე ყოფილიყო ისეთი პერიოდი, როცა ბრბოს შეეძლო ასე აშკარად და შეუფარავად ეცარნახებინა თავისი ნება საზოგადოებისათვის, როგორც ეს დღესა ხდება.

ასეთივე სურათია ცხოვრების სხვა სფეროებშიაც, განსაკუთრებით, ინტელექტუალურ სფეროში. იქნება კიდევაც ვცდები, მაგრამ — ვცადოთ. ლამს რომ ჰკიდებს ხელს, ალბათ, ვერ ვეტყვიანარს ის, რის შესწავლასაც, ვინ იცის, რამდენი დრო შეალია, იძულებულია ჩაუფიქრდეს იმას, რომ საშუალო მკითხველი, რომელსაც არასოდეს არ აინტერესებდა, რას წერს ავტორი, თუკი საერთოდ ინებებს მისი წიგნის წაკითხვას, ყოველ შემთხვევაში, იმიტომ კი არა, რომ რაღაცა ახწავლოს, არამედ იმიტომ, რომ განაჩენი გამოუტანოს მას, მით უმეტეს, თუ წიგნის შინაარსი არ ემთხვევა იმ უთვალავ სისულელეს, რითაც გამოტენილია მკითხველის თავი. ადამიანებს, რომელთაგანაც შედგება მასა, მაღალნიჭიერების განსახიერებად რომ მოჰქონდეთ თავი, მაშინ საქმე გვექნებოდა საერთო წესიდან მჩოლოდ ცალკეულ გადახვევებთან და არა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე ჩამოყალიბებული წესრიგის დამხობის ცდასთან. დღევანდელობის თავისებურება ისაა, რომ უფერულობას, რომელმაც იცის თავისი უფერულობა, თავზედობა ჰყოფნის, ძალით დაამკვიდროს და ყველას თავზე მოახვიოს თავისი ნება — მბრძანებლობდეს როგორც უფერულობა. ამერიკელების თქმისა არ იყოს, უხამსობაა სხვებისაგან გამორჩეული იყო. ვინც ისეთი არ არის, როგორც ყველა, ვინც ისე არ ფიქრობს, როგორც ყველა, განადგურების საფრთხე ემუქრება. რა თქმა უნდა, ეს „ყველა" სინამდვილეში „ყველა" როდია. უწინ „ყველა" მასისა და მისგან განსხვავებული უმცირესობის ჯამს ერქვა. დღეს კი „ყველა" — მხოლოდ მასაა.

II

ისტორიული დონის ზრდა

მე აღვწერ ჩვენი დროის ამ უცნაურ ნაშიერს და სულაც არ ვცდილობ შევალამაზო მისი სხეცური, ბარბაროსული ხასიათი. მეორეს მხრივ, ეს ჩვენი ცივილიზაციის ისტორიაში დღემდე არნახული მოვლენა გახლავთ. არასდროს, მთელი ჩვენი ცივილიზაციის მანძილზე, არავითარი ამდაგვარი არ მომხდარა. თუ მოვინდომებთ ერთგვარი ისტორიული პარალელი მოვუძებნოთ მას, იძულებულნი ვიქნებით, სრულიად სხვა, ჩვენი ყოფისაგან ძირეულად განსხვავებულ ცხო-

ვრებაში გადავინაცვლოთ და წარმოვიდგინოთ რომის იმპერიის დაცემისდროინდელი დიდი ქალაქი. რომის იმპერიის დაცემის ისტორია, იმავდროულად, მასების იმპერიის ტრიუმფის ისტორიაცაა, მასებისა, რომლებმაც შთანთქეს და გაანადგურეს მმართველი უმცირესობა, რათა თვითონ დაეკავებინათ მისი ადგილი. მაშინაც ასევე შეინიშნებოდა მასების თავმოყრა და ყველგან ფუთფუთებდნენ ბრბოები. ამიტომ, როგორც მართებულად შენიშნა შპენგლერმა, ხშირად. ზუსტად იხევე, როგორც დღეს, იძულებულნი იყვნენ აეგოთ უზარმაზარი ნაგებობანი. მასების ტრიუმფის ეპოქა ყოველთვე კოლოსალურის ეპოქაა.*

ჩვენ მასების ბარბაროსული კირთების ქვეშა ვცხოვრობთ. ამრიგად, ჩვენ უკვე ორჯერ დავახასიათეთ ეს მოვლენა, როგორც „ბარბაროსული", ჩვენ უკვე გადავუხადეთ ხარკი ბანალურობის ღმერთს, და ახლა, შესასვლელი ბილეთით ხელში, შეგვიძლია მხიარულად შევიდეთ დარბაზში, სადაც ჩვენთვის საინტერესო თემაზე დადგმულ სპექტაკლს უჩვენებენ. ან, იქნებ, გეგონათ, რომ მე დავჯერდებოდი ამ აღწერას, შესაძლოა, სავსებით მართალს, მაგრამ ზერელეს, რომელიც მხოლოდ ნიადაგის ზედა ფენად გვევლინება. მთის ციცაბო ფერდად, მთისა, რომელიც მთელი თავისი თვალშეუდგამი სიმაღლით წარმოგვიჩნდება, თუ მას წარსულის სიღრმიდან ავხედავთ? აქ რომ დამემთავრებინა ჩემი აზრი და უმწეო ჩვილივით აკვანშივე მომეშთო ეს ჩემი შრომა, მკითხველს ეგონებოდა (და სავსებით სამართლიანადაც), რომ ისტორიის ავანსცენაზე მასების ამ არნახულმა წამოწევამ, ზიზღისა და ამაზრზენი განცდის გრიმასა რომ გამოიწვია, რამდენიმე კრიტიკული შენიშვნისა თუ ორიოდე აგდებული სიტყვის მეტი ვერაფერი შთამაგონა. ხომ ცნობილია, რომ მე ისტორიის რადიკალურ-არისტოკრატიული გაგების მომხრე ვარ.** დიახ, ის რადიკალურია არა მარტო იმიტომ, რომ, ჩემი მტკიცებით, ადამიანური საზოგადოება არისტოკრატიული უნდა იყოს; მეტიც, მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც, ერთხელ კიდევ, საზგასმით აღვნიშნავ (რადგანაც დღიური დღე სულ უფრო მეტად ვრწმუნდები ჩემს სიმართლეში), რომ ადამიანური საზოგადოებაც [illegible] არა ჩვენ ეს. თავისი არსით ყოველთვის არისტოკრატიული იყო. საზოგადოება არსებობს მანამ, სანამდის არისტოკრატიულობას კარგავს. მე აქ საზოგადოებაზე ვლაპარაკობ და არა საბელმწიფოზე. არავინ არ დამიჯერებს, თუ მასების ამ არნახული მძვინვარების წინაშე, მე მოვუწოდებ მკითხველს, ვერსალელი არისტოკრატიით მარტოოდენ ზიზღნარევი გრიმასით შემოიფარგლონ. ვერსალი — საქმე ეხება გრიმასების ვერსალს — არისტოკრატია კი არაა, არამედ პირიქით, ოდესღაც ბრწყინვალე არისტოკრატიული გაბრწნილება და გადაგვარება. სწორედ ამიტომ ვერსალელებში არისტოკრატიული იყო მხოლოდ კეთილშობილური დახვეწილობა და მომხიბლავი ქესტი, რომლითაც ისინი თავიანთ კისერს უშვერდნენ გილიოტინას. დიახ, ისინი ისევე ურიგდებოდნენ გილიოტინას, როგორც ურიგდებიან ძირშაგარას გასაკვეთად მომარჯვებულ ქირურგის სკალპელს. იმას, ვისაც სწამს ჭეშმარიტი არისტოკრატიის დიადი დანიშნულება, აბობოქრებული ბრბოის დანახვა მხოლოდ აღაგზნებს და აღანთებს, ისევე, როგორც მარმარილოს ხელუხლებელი ლოდი აღაგზნებს და აღანთებს სკულპტორს. ჭეშმარიტ არისტოკრატიას არაფერი აქვს საერთო ადამიანთა იმ სასაცილო პატარა ჯგუფთან, რომელიც ცდილობს „საზოგადოების" სახელი მიითვისოს, რომელმაც თვითონვე დაირქვა „საზოგადოება" და ხადღესასწაულო ვიზიტებით ხულდგმულობს. რაკი ამქვეყნად ყველაფერს თავისი ღირებულება და დანიშნულება აქვს, „მაღალი საზოგადოების" ვერც ამ პაწაწინა სამყაროზე ვიტყვით, თითქოს თავისი ღირებულება და დანიშნულება არ გააჩნდეს. მაგრამ ეს დანიშნულება მეორეულია და ახლოსაც ვერ მივა იმ გრანდიოზულ ამოცანასთან, რომელიც ჭეშმარიტი არისტოკრატიის წინაშე დგას. მე შემეძლო კვლავაც განმეცალკევებინა ეს თემა და დაწვრი-

---

* მოვლენათა განვითარების განსაკუთრებულ ტრაგიზმს განაპირობებდა ის გარემოება, რომ უზარმაზარი ქალაქების წარმოქმნასთან ერთად დაიწყო სოფლების დაცარიელებაც, რომელთა მცხოვრებლებმაც ქალაქებს მიაწყვეს, რამაც, საბოლოო ანგარიშით, გამოიწვია რომის იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლეობის მკვეთრი შემცირება.

** იხ. „ესპანეთი მალების გარეშე" (პირველი გამოც. 1920 წ.), ავრეთვე სტატიების სერია გაზეთში „ელ სოლ" („მზე"—მთარგმნ.) ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა უცხოელ მკვლევარებს, რომლებიც ძალზე გულისხმიერად ცდილობენ ჩემი შემოქმედების გაანალიზებას და არცთუ იშვიათად აწყდებიან სიძნელეს ამა თუ იმ ნაწარმოების პირველი გამოცემის თარიღის განსაზღვრისას, — დიახ, რათა ეაეწყოთ უცხოელ მკვლევარებს, რომ თითქმის ყველა ჩემი შრომა ჩემივე საგაზეთო სტატიების მასალის თანდათანობით განზოგადების საფუძველზე შეიქმნა. ხშირად საკმაო დროს გაუვლია, ვიდრე ეს სტატიები წიგნებად იქცეოდნენ (1946).

ლებით განმეხილა, რა აზრი აქვს „მაღალი საზოგადოების“ ცხოვრებას, ერთის შეხედვით ესოდენ უაზრო რომ ჩანს; მაგრამ ჩვენ სხვა, გაცილებით უფრო რთული თემა ავირჩიეთ საანალიზოდ.

ერთხელ მე ვესაუბრებოდი ფრიად მომხიბლავ ქალბატონს, პირველი სიდიდის ვარსკვლავს მადრიდის „მაღალი საზოგადოების“ ცარგვალზე. ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ცდილობდა ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორჩენოდა დროს, წაიტიტინა: აბა, ის ბალი რა ბალია, რომელსაც რვაასი სტუმარი მაინც არ ესწრებაო. ამ ფრაზამ ჩამაფიქრა, და მე მივხვდი, რომ მასების მიერ თავსმოხვეული სტილი დღეს ცხოვრების ყველა ხფეროში ბატონობს, თვით იმ უკანასკნელ თავშესაფრებშიაც კი, რომლებიც თითქოს მარტოოდენ happy few*-სთვის არიან განკუთვნილნი. მე არ ვეთანხმები არც ერთ მსჯელობას ჩვენი დროის თავისებურებათა შესახებ, რომელსაც არ შეუძლია გვიჩვენოს თანამედროვეობის პოზიტიური აზრი, რასაც თვალისთვის უბილავს ხდის მოზეიმე მასების ამაზრზენი ხანაბაობა. მე არ ვეთანხმები არავის, ვინც მორჩილად, შინაგანი ძრწოლის გარეშე, აღიარებს ამ მოვლენას. ნებისმიერი ბედი დრამატულია და ტრაგიკული. და ასე იქნება ყოველთვის. ვისაც არ უგრძვნია, როგორ ფეთქავს მის ხელში ჩვენი დროის თავზარდამცემი საფრთხის პულსი, ვინც მხოლოდ ოდნავ შეხებია ფორტუნას უნაზეს ღაწვს, მისთვის სამუდამოდ დაფარული დარჩება ბედისწერის უღრმესი აზრი. მასების მორალური ამბოხი, თავისი საზარელი ძალმოსილებით ყოვლისმმუსვრელი და დამანგრეველი, წინააღუდგომელი და მრავალმნიშვნელოვანი, როგორც ბედისწერის ყველა სხვა გამოვლენა. დღეს საშინელი განსაცდელის სათავედ გვევლინება. რა არის ეს: აბსოლუტური ბოროტება თუ შესაძლო სიკეთე? აი, ჩვენი დროის დილემა, უზარმაზარი, ჭეშმარიტად კოსმიური და მრავალმნიშვნელოვანი ფორმის მქონე კითხვის ნიშნით რომ მთავრდება: ვერ იტყვით, გილიოტინას ჰგავს თუ სახრჩობელას, თვითონ კი ძალიან უნდა ტრიუმფალურ თაღს დაემგვანოს!

მოვლენა, რომელსაც ჩვენ დღეს ანატომიურ გამოცდას ვუწყობთ, შეიძლება ორი სხვადასხვა მხრით განიხილო. ჯერ ერთი, მასები დღეს ახრულებენ საზოგადოებრივ ფუნქციებს, რომლებსაც უწინ მხოლოდ უმცირესობის წარმომადგენლები ასრულებდნენ; მეორეც, მასებს უკვე აღარ სურთ დაეზორჩილონ და აღარც ემორჩილებიან უმცირესობას; აღარც მისი რიდი აქვთ და აღარც მისი პატივისცემა; პირიქით, მასები ყოველნაირად ავიწროებენ უმცირესობას, რათა თვითონ დაიკავონ მისი ადგილი.

მოდით, გავაანალიზოთ ამ მოვლენის პირველი ასპექტი. ამრიგად, მასები ხარგებლობენ ცივილიზაციის ყველა იმ მიღწევითა თუ სიკეთით, რაც რჩეული უმცირესობისათვის შეიქმნა და რითაც უწინ მხოლოდ ეს უკანასკნელი სარგებლობდა. დღეს კი მასებს ახალი, გაცილებით უფრო დახვეწილი სურვილები და მოთხოვნილებები გაუჩნდათ, რომელთა დაკმაყოფილების ნებაც უწინ ცოტას თუ შეეძლო მიეცა თავისი თავისათვის. აი, თუ გნებავთ, მანალური მაგალითი: comtesse* დე ბუანი თავის „მემუარებში“ გვაუწყებს, რომ 1820 წელს მთელ პარიზში ათიოდე ამბაზანა თუ მოიძებნებოდა. დღეს კი მასები საკმაოდ კარგად იცნობენ თვით იმნაირ ტექნიკასაც, რომლითაც უწინ მხოლოდ სპეციალისტები სარგებლობდნენ.

საქმე მარტო მატერიალურ ტექნიკას კი არ ეხება, არამედ იურიდიულ თუ პოლიტიკურ საქმეთა წარმოების ტექნიკასაც. XVIII საუკუნეში იურისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: ნებისმიერი ადამიანი, თვით იმ მარტივი ფაქტის ძალით, რომ ის ადამიანად იბადება, თავისი წარმოშობის მიუხედავად, ძირითად პოლიტიკურ უფლებებს, ასე ვთქვათ, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს ფლობს, და მხოლოდ ეს ყველასათვის საერთო უფლებები გვევლინებიან ერთადერთ ჭეშმარიტად არსებულ უფლებებად. ნებისმიერი სხვა უფლება, რომლითაც შეეძლო ეხარგებლა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, დაგმობილ იქნა, როგორც პრივილეგია. თავდაპირველად ეს იყო მხოლოდ იდეა, რომელსაც ძალზე ცოტანი თუ უჭერდნენ მხარს, მაგრამ მალე შეუდგნენ ამ იდეის განხორციელებას ცხოვრებაში, მის პროპაგანდას და პოპულარიზაციას. ეს პოპულარიზატორები შესანიშნავი ადამიანები იყვნენ, უმცირესობის წარმომადგენელნი. მიუხედავად ამისა, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, მასებმა, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტი ენთუზიაზმით აღიჭვამდნენ ამ უფლებების იდეას, რაც თავის იდეალად აქციეს, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შეიგნეს მისი არსი, ამიტომ არც უცდიათ ცხოვრებაში განეხორციელებინათ და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭებინათ მისთვის. პირიქით, დემოკრატიული კანონმდებლობით დაცულნი

* ბედნიერი უმცირესობა (ინგლ.) აქ და ქვემოთ ყველა უცხოენოვანი პასაჟის თარგმანი, სქოლიოებში ჩამოტანილი შენიშვნების სახით, მთარგმნელს ეკუთვნის.

* გრაფის მეუღლე (ფრანგ.).

კვლავ უწინდებურად განაგრძობდნენ ცხოვრებას. „ხალხმა", როგორც მაშინ უწოდებდნენ მასას, უკვე იცოდა, რომ სუვერენული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ სჯეროდა ეს. დღეს კი თანასწორუფლებიანობის იდეალი სინამდვილედ იქცა, და თანაც არა მარტო იურისპრუდენციაში, რომელიც ყოველთვის ძალზე სქემატურად ასახავს იმას, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე ხდება.

ეს იდეალი ძვალ-რბილში გაუჯდა და შეესისხლხორცა ყველა ადამიანს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი მრწამსი, თვით იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ეს მრწამსი რეაქციულია, — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით მაშინაც კი, როცა ადამიანი ჰგმობს და აკრიტიკებს იმ ინსტიტუტებს, რომლებიც მის უფლებებს იცავენ. მე მგონია, ვისაც არ ესმის ეს უცნაური მორალი, რომლითაც ხელმძღვანელობენ მასები, ვერც იძახს გაიგებს, რაც უკვე ხდება დღევანდელ მსოფლიოში. ნებისმიერი პიროვნებისა და, საერთოდ, ადამიანის, როგორც სახეობის, სუვერენობა იდეიდან და იურიდიული იდეალიდან (რადაც ის გვევლინებოდა) სწორედ ამ სახით იქცა რეალობად და საშუალო ადამიანის ფსიქიკის განუყოფელი ნაწილი გახდა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ: ყოველთვის, როცა იდეალური რეალურდება, ის აუცილებლად კარგავს თავის იდეალურობას. ქრება იდეალის ხიბლი, სიდიადე და მიმზიდველობა, ის უკვე აღარ ახდენს ზეგავლენას ადამიანზე. თანასწორუფლებიანობის კეთილშობილური დემოკრატიული იდეა უკვე აღარ არის შორეული იდეალი, და ის გაუცნობიერებელ, დაუოკებელ, აუხდენელ სურვილად იქცა.

ამ უფლებების მიზანი ის იყო, რომ შინაგანი მონობიდან დაეხსნა ადამიანის სული და ღირსებასა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობა ჩაენერგა მისთვის. განა სწორედ ეს არ უნდოდათ? განა სწორედ იმას არ ესწრაფოდნენ, რომ საშუალო ადამიანს თავისი თავისა და თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონად, მბრძანებლად და გამგებლად ეგრძნო თავი? რაც უნდოდათ, კიდევაც მიაღწიეს. მაშ, რატომაა, რომ ჯერ უკვე ოცდაათი წელი იქნება, რაც პროგრესის მომხრეები, ლიბერალები და დემოკრატები, გაუთავებლად დრტვინავენ და ბუზღუნებენ? იქნებ მათ პატარა ბავშვებივით უნდათ მიიღონ რაღაცა, მაგრამ იმისი ცოდნა კი აღარ სურთ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ „რაღაცას?" რაკიღა გნებავთ, რომ საშუალო ადამიანი მბრძანებელი იყოს, მაშ, რაღად გიკვირთ, რომ ის თავის ინტერესებს იცავს, რომ თამამად მოითხოვს ყოველნაირ სიამოვნებას, გადაჭრით გკარნახობთ თავის ნებას, არავის არ ეპუება, არავის არ ემორჩილება, თავის თავს ელოლიავება, როგორც მოეპრიანება, ისე იყენებს თავის მოცალეობას და თავისი ენის დაცხრომას ცდილობს, მოკლედ, ისე იქცევა და იმას სჩადის, რაც უწინ მხოლოდ „უმაღლესი საზოგადოების" წარმომადგენელთა პრივილეგია იყო? ახლა ამ პრივილეგიას საშუალო ადამიანი „ადამიანი-მასა" ფლობს.

ამრიგად, დღეს საშუალო ადამიანს აქვს ყველაფერი, რაც ოდესღაც განსაზღვრავდა საზოგადოების უმაღლესი, მცირერიცხოვანი ფენის ცხოვრებას. საშუალო ადამიანი ის ღერძია, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ისტორია. ისტორიაში მაჩვენებლები, საშუალო ადამიანს რომ ახასიათებენ, იგივეა, რაც ზღვის დონე გეოგრაფიაში. თუ საშუალო დონე დღეს იქაა, სადაც უწინ მბრძანებლობდა არისტოკრატია, მაშინ ეს თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ისტორიულმა დონემ მაღლა აიწია. ამ ვულკანურ ამოფრქვევას, რაც სულ ერთი თაობის თვალწინ მოხდა, წინ უძღოდა ხანგრძლივი მუშაობა მიწისქვეშეთში. ადამიანური ცხოვრების დონე საერთოდ ამაღლდა. დღევანდელი ჯარისკაცი კაპიტანსა ჰგავს; ადამიანთა მთელი ლაშქარი ახლა მხოლოდ კაპიტნებისაგან შედგება. საკმარისია ყურადღება მივაქციოთ ენერგიას, სიმტკიცეს, სითამამეს და უტიფრობას, რომლითაც ცხოვრებაში მიაბიჯებს ყველა, ცდილობს თავისი აზრი თავს მოახვიოს სხვებს და რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯოს ცხოვრებას.

დღევანდელობისა თუ უახლოესი მომავლის მთელი ბოროტება ისტორიული დონის სწორედ ამ ამაღლებით აიხსნება.

ახლა კი მანდა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი შენიშვნა გაგიზიაროთ. ის გარემოება, რომ ცხოვრების საშუალო დონე დღეს იქაა, სადაც უწინ უმცირესობის ცხოვრების დონე იყო, — ახალი ფაქტია ევროპისათვის, მაგრამ არა ამერიკისათვის, სადაც ეს აღიქმება როგორც საკუთარი ბუნებრივი და ჩვეულებრივი მოვლენა. ჩემი აზრის გასაგებად, დაუფიქრდი, მკითხველო, კანონის წინაშე თანასწორობის გაცნობიერების ფაქტს. ის ფსიქიკური მდგომარეობა, როცა თვითოეული ადამიანი თავისი თავის ბატონ-პატრონად და ნებისმიერი სხვა პიროვნების თანასწორად გრძნობს თავს, რისი უფლებაც ევროპაში მხოლოდ უმცირესობამ თუ მოიპოვა, ამერიკაში თითქმის XVIII საუკუნიდან ცხოვრების ნორმად იქცა. ახლა კი ინებეთ ახალი, კიდევ უფრო საინტერესო და საგულისხმო დამთხვევა! მას შემდეგ, რაც არსებობისა და, საერთოდ, ევროპული სინამდვილის ყველა სფეროში საგრძნობლად ამაღლდა დონე, ბევრმა დაიწყო იმის

მტკიცება, რომ ევროპამ ამერიკანიზაცია განიცადა. ვინც ამას ამტკიცებდა, მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას როდი ანიჭებდა ამ მოვლენას, რადგანაც ეგონა, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებს ჩვეულებებისა თუ მოდის სფეროში, და ამ გარეგნული მსგავსებით შეცბუნებული გაიკვირვებდა, ამერიკა ზეგავლენას ახდენს ევროპაზეო. ამრიგად, ჩემის აზრით, ეს საკითხი სოციოლოგიის სფეროდან საყოფაცხოვრებო სფეროში იქნა გადატანილი. სინამდვილეში კი მისი ბუნება გაცილებით უფრო ნატიფია, უფრო ღრმა და მოულოდნელი.

თავაზიანობის წესები მაიძულებენ ვაღიარო, რომ ამერიკული ზემოქმედების შედეგად ევროპა უკვე ამერიკანიზირებულია. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის, და აქ ჭეშმარიტება აშკარად უპირისპირდება თავაზიანობის წესებს, ჭეშმარიტებამ კი უნდა გაიმარჯვოს: ევროპა ამერიკანიზირებული არ გახლავთ, ის არ დაქვემდებარებია ამერიკის ; არავითარ მძლავრ ზეგავლენას. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს პროცესი სწორედ ახლა იწყება, მაგრამ უახლოეს წარსულზე, ხაიდანაც დასაბამს იღებს აწმყო, ამის თქმა არ შეიძლება. ეს საკითხი იმდენად ბუნდოვანია, აწეწილ-დაწეწილი და დახლართული, მან იმდენი უაზრო მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რომ დღემდე თვალში ნაცარს აყრის ამერიკელებსაც და ევროპელებსაც. მასების აღზევებაც და შემდგომ ცხოვრების დონის არნახული ამაღლებაც ევროპაში შინაგანმა მიზეზებმა განაპირობა. ამას დაახლოებით ორი საუკუნე დასჭირდა, რომლებისთვისაც ნიშნეულია, ერთის მხრივ, მასების გაცილებით უფრო ფართო და მრავალმხრივი განთლება, მეორეს მხრივ კი საზოგადოებრივი კეთილდღეობის განუხრელი ზრდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ პროცესთა შედეგები ემთხვევა იმას, რაც „ცხოვრების ამერიკულ წესს" ახასიათებს. სწორედ იმიტომ, რომ საშუალო ევროპელი და საშუალო ამერიკელი ერთი და იმავე მორალური პრინციპებით ხელმძღვანელობენ, ევროპელისათვის ბოლოს და ბოლოს გასაგები ხდება ამერიკული ცხოვრება, რომელიც უწინ ესოდენ აუხსნელი და იდუმალებით მოცული ეგონა. მაშასადამე, საქმე გავლენას კი არ ეხება, რაც, ცოტა არ იყოს, უცნაური იქნებოდა, რადგან აქ, უმალ, პირუკუ გავლენაზე უნდა გველაპარაკა, არამედ მოვლენას, რომელზედაც მანამდე წარმოდგენაც არ ჰქონდათ: იგულისხმება გათანასწორება, გათანაბრება. ევროპელები დიდი ხნის წინათ მიხვდნენ, რომ ცხოვრების დონე ამერიკაში უფრო მაღალია, ვიდრე „ძველ სამყაროში". ამ მოვლენის ბუნდოვანმა შეგნებამ, მიუხედავად იმისა, რომ ის შეუძლებელია ანალიტიკური ყოფილიყო და, ცხადია, არც იყო ანალიტიკური, დასაბამი მისცა ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომელიც არავის გაუხდია სადაოდ, თითქოს მომავალი ამერიკას ეკუთვნის. ადვილი მისახვედრია, რომ ესოდენ პომპეზური შეხედულება შეუძლებელია ევროპაში ვარს ზემოეტანა, ან ორქიდეასავით უფასოდ აღმოცენებულიყო. მას საფუძვლად დაედო ის, რომ ამერიკაში „საშუალო ადამიანის" ცხოვრების დონე უფრო მაღალი იყო. რაც მკვეთრად განსხვავდებოდა ამერიკული საზოგადოების „უმაღლესი" ფენის ცხოვრების დონისაგან, რომელიც, თავის მხრივ, ევროპული მოსახლეობის იმავე ნაწილის ცხოვრების დონეს ჩამოუვარდებოდა. მაგრამ ისტორიას, ისევე, როგორც სოფლის მეურნეობას, მთები კი არა, დაბლობები ახასიათებენ; ისტორიის ორიენტირი მიუწვდომელი მწვერვალების დონე კი არაა, არამედ საშუალო სოციალური დონე.

დღეს ყველაფერი თანასწორდება: ქონებრივი მდგომარეობანი, სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის კულტურული დონეები, სქესთა შორის უფლებრივი სხვაობანი; და რაც მთავარია, თანაბრდება მთელ კონტინენტთა ცხოვრების პირობები. და რაკი ევროპელთა ცხოვრების დონე უწინ უფრო დაბალი იყო, ამ გათანაბრებით ჩვენ მხოლოდ მოვიგეთ. იმიტომ, თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ მასების ამბოხს, დავინახავთ, რომ მას შედეგად მოჰყვა ადამიანის შესაძლებლობათა და, საერთოდ, მისი სიცოცხლისუნარიანობის მთელი სპექტრის არნახული ზრდა. ყოველივე ეს აშკარად არა ჰგავს ყბადაღებულ „ევროპის დაისს", რომელზე ლაპარაკითაც ყურები გამოგვიჭედეს. „ევროპის დაისისა" თუ „ევროპის მწუხრის" წარმოდგენა იმდენად ბუნდოვანია და გაურკვეველი, რომ კაცმა არ იცის, რას ეხება საქმე: ევროპის სახელმწიფოებს, ევროპულ კულტურას, თუ იმას, რაც თვალისთვის უხილავია, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ორივეს ერთად, — ევროპელთა სიცოცხლისუნარიანობას. ევროპულ სახელმწიფოებსა და კულტურაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ, და ადვილი შესაძლებელია, „ევროპის დაისის" ცნება სწორედ მათ გულისხმობდეს. რაც შეეხება სიცოცხლისუნარიანობას, აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ასე არ არის საქმე. ანდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ (იქნებ ჩემი მსჯელობა ამ შემთხვევაში უფრო საფუძვლიანი და ნაკლებ დაუჯერებელი მოგეჩვენოთ), დღეს თავისი სასიცოცხლო ტონუსით საშუალო იტალიელი, საშუალო ესპანელი თუ საშუალო გერმანელი გაცილებით უფრო ნაკლებ განსხვავდება ამერიკელისა თუ არგენტინელისაგან, ვიდრე ოცდაათი წლის წინათ. და ამერიკელებს ეს უნდა ახსოვდეთ.

III

დროული დონეები

მასების აღზევების ფაქტს, როგორც ჩანს, ცხოვრების ყველა სფეროში პოზიტიური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რადგანაც ის მოასწავებს მთელი ისტორიული დონის ზრდას და გვიჩვენებს, რომ ცხოვრების საშუალო დონე დღეს უფრო მაღალია, ვიდრე გუშინ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ცხოვრებას შეიძლება სხვადასხვა დონე ჰქონდეს, მაშინ ისეთი ბანალური გამოთქმა, როგორიცაა „ჩვენი დროის სიმაღლიდან", ღრმა შინაარსით ივსება. ცოტა უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ამ გამოთქმაზე, რადგანაც მისი მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ თანადროულობის ერთი ყველაზე საოცარი თავისებურება.

ასე მაგალითად, ჩვენ ვამბობთ, რომ ესა თუ ის ფაქტი, ან ესა თუ ის მოვლენა არ შეესაბამება „დროის საერთო სულისკვეთებას", აქ საქმე აბსტრაქტულ, ქრონოლოგიურ დროს კი არ ეხება, რომელიც თითქოს ერთ დონეზე მიედინება, არამედ ეკზისტენციალურ დროს, რომელსაც ყველა თაობა „ჩვენს დროს" უწოდებს და რომელსაც ყოველთვის გარკვეული დონე აქვს. დღეს ეს დონე შეიძლება ისეთივე იყოს, როგორც გუშინ, ან უფრო მაღალი, ვიდრე გუშინ, ანდა შეიძლება დაეცეს. დაცემის ცნებას, რომელიც ისახება სიტყვაში „დაცემულობა", სწორედ ეს წინათგრძნობა უდევს საფუძვლად. ზუსტად ასევე თვითეული ჩვენგანი მეტ-ნაკლები სიცხადით გრძნობს, რანაირად მიემართება მისი საკუთარი ცხოვრება დროების დონეს. ზოგიერთი ისე იძირება დღევანდელი ცხოვრების ზღვაში, როგორც ბომალდის დაღუპვისას. საქმოსნური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტემპი, გერგილიანობა და ენერგია დამთრგუნველად მოქმედებს რეტროგრადზე, და მისი ჭმუნვა, მისი შიში თუ მღელვარება მისივე პირადი დროისა და ჩვენი საერთო დროის დონეთა სხვაობას შეესაბამება. მეორეს მხრივ, ვისაც შეუძლია მთელის არსებით დატკბეს ახლანდელი მომენტის განცდით, იმასაც შეხძლებს, რომ შეიცნოს ჩვენი დროის დონესა და წარსულის სხვადასხვა ეპოქათა დონეებს შორის არსებული კავშირი. მაინც რა არის ამ კავშირის არსი?

შეცდომა იქნებოდა გვეგვარაუდა, თითქოს წარსულის სხვადასხვა ეპოქას ადამიანი ყოველთვის განიცდიდეს როგორც დონის მიხედვით უფრო დაბალს, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ეს ეპოქა აწ უკვე წარსულს ეკუთვნის. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ხორხე მანრიკემ ერთხელ შენიშნა: „ყოველი ნამყო აწმყოზე უკეთესია".

მაგრამ არც ესაა ასე. ადამიანები ყოველთვის როდი ფიქრობდნენ, თითქოს უწინ ყველაფერი უფრო უკეთ, ან უფრო ცუდად იყო. ყოველი ისტორიული ეპოქა თავისებურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს იმ უცნაური მოვლენის მიმართ, რასაც მე ცხოვრების დონეს ვუწოდებ. ღმერთმანი, მიკვირს, რომ ფილოსოფოსებსა და ისტორიკოსებს არასოდეს მიუქცევიათ ყურადღება ამ მოვლენისადმი, რომელიც ესოდენ ცხადია, და ამავდროულად, ესოდენ არსებითიც ნებისმიერი ისტორიული ეპოქის არსში საწვდომად.

თუმცა ისიც უნდა ვალიაროთ, რომ ადამიანებს თავიანთ დროზე უმეტესწილად იმნაირი შთაბეჭდილება ექმნებათ, როგორიც ხორხე მანრიკეს, ყოველ შემთხვევაში, grosso modo*. სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ადამიანებს თავიანთი დრო სულაც არ ეჩვენებათ უკეთესად, ვიდრე წარსული დროები. უკეთეს დროდ, ჩვეულებრივ, მიიჩნევენ ბედნიერ წარსულს, „ოქროს ხანას", როგორც ამ დროებას ვუწოდებთ ჩვენ, ბერძნულ-რომაულ კულტურაზე აღზრდილნი, ანუ „ალგერინგას", როგორც მას უწოდებენ ავსტრალიელი ველურები. „ოქროს ხანის" წარსულში გადატანის ფაქტი იმას გვიჩვენებს, რომ ადამიანები გრძნობდნენ, როგორ იშრიტებოდა მათი საკუთარი ცხოვრების პულსი და რარიგად აკლდათ ხისხლსავსე არსებობის შეგრძნება. ამიტომაც აღმერთებდნენ წარსულს, ვთქვათ, „მაღალი" ანტიკური კლასიკის პერიოდს. შორეული წარსულის ადამიანთა ცხოვრება მათ უფრო სავსე, უფრო მრავალფეროვანი, უფრო რთული და სრულყოფილი ეჩვენებოდათ, ვიდრე თანამედროვეთა ყოფა. მათ წარმოსახვაში ცოცხლდებოდა დიადი წარსული და ასე ეგონათ, თითქოს მათი საკუთარი ცხოვრების დონე გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე დონე „ოქროს ხანისა". ტემპერატურის რომელიმე გრადუსს განსჯის უნარი რომ ჰქონოდა, ალბათ ასევე იტყოდა: მე უფრო ნაკლებ ხითბოს შევიცავ, ვიდრე ჩემზე მაღალი გრადუსიო. ახალი ერის 150 წლიდან მოყოლებული, რომის იმპერიაში საყოველთაო მოვლენად იქცა ცხოვრების სინწირისა და არასრულფასოვნების შეგრძნება, სასიცოცხლო პულსის თანდათანობით შეხუსტება და გადაგვარების წინათგრძნობა. უკვე ჰორაციუსი თავის „ოდებში" ამბობდა:

Aetas parentum prior avis tulit
nos nequiores, mox daturos

* ზოგადად (ლათ.).

progeniem vitiosiorem*

ორი საუკუნის შემდეგ მთელს რომის იმპერიაში აღარ მოიძებნებოდა იტალიელთა საკმარისი რაოდენობა ცენტურიონების ფუნქციის შესახრულებლად, და იძულებულნი იყვნენ, ამ მიზნით დალმაციელები, შემდეგ კი დუნაისა თუ რაინისპირელი ბარბაროსები დაექირავებინათ. ამ ხნის განმავლობაში ქალები უნაყოფონი გახდნენ და იტალია გაუკაცურდა.

მოდით, ახლა სხვა ეპოქაში გადავინაცვლოთ, რომელიც ცხოვრების აღქმის სრულიად სპეციფიკურ სურათს გვთავაზობს. საქმე ეხება ფრიად საგულისხმო მოვლენას, რომელიც უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ. როცა ამ ოცდაათიოდე წლის წინათ პოლიტიკოსები გაუთავებლად უბედობდნენ ბრბოების წინაშე, ისინი უმეტესწილად მთავრობის მიერ გადადგმულ ზოგიერთ ნაბიჯსა და ამა თუ იმ უფლების ბოროტად გამოყენებას აკრიტიკებდნენ, იმ საბაბით, თითქოს ეს არ შეესაბამებოდა დროის საერთო სულისკვეთებას. აღსანიშნავია, რომ ამავე გამოთქმას იყენებს პლინიუსიც თავის ცნობილ წერილში ტრაიანესადმი, სადაც ის ურჩევს იმპერატორს, ხელი აიღოს ქრისტიანების დევნაზე, რომლებსაც ანონიმურად ასმენდნენ ხელისუფლების წინაშე: რადგანაც, პლინიუსის აზრით, „Nec nostri saeculi est".** ისტორიას ახსოვს ისეთი ეპოქები, როცა ადამიანები თითქოს მთის მწვერვალზე გრძნობდნენ თავს; მათ ეგონათ, რომ უკვე მიაღწიეს მიზანს და, ამრიგად, ყველა მათ ხურვილსა თუ ოცნებას ხორცი შეესხა. ხწორედ არსებობის „სისავსის" ეს შეგრძნება ახასიათებს ისტორიული „სიმწიფის" დროს. ოცდაათი წლის წინათ ევროპელებს ეგონათ, რომ მათი ცხოვრება, როგორც იქნა, ნამდვილ ცხოვრებად იქცა, რაზედაც ოცნებობდნენ წინა თაობები და რასაც ნატრობდა უკლებლივ ყველა ეპოქა. დრო, რომლისთვისაც ნიშნეულია არსებობის „სისავსე", ყოველთვის აღიქმებოდა როგორც კაცობრიობის არა ერთი და ორი მოსამზადებელი პერიოდის შედეგი. ეს „სავსე" დრო სხვა, „მწირსა" და „ნაკლულ" დროებს ენაცვლება, რომელთა დონეც უფრო დაბალია. ვიდრე „სიუხვის" დროისა. ამ უკანასკნელის სიმაღლიდან წინა — მოსამზადებელი — ეპოქები „ჯერ კიდევ არა იმ" დროდ გვეჩვენება, მგზნებარე წინასწარმეტყველებათა და აუხდენელ ოცნებათა ხანად, რომელშიაც გარკვევით იგრძნობა მკვეთრი კონტრასტი სურვილებსა და მათი განხორციელებისათვის აშკარად არახელსაყრელ სინამდვილეს შორის. XIX საუკუნეში ამნაირ ხანად ჩანდა შუა საუკუნეები. მაგრამ აი, თენდება დღე, როცა ყველას ეგონა, რომ ასრულდა ყველა ძველი სურვილი, რომელთაგანაც ზოგიერთის ახალი საუკუნეებს [illegible] ოცნება სინამდვილედ იქცა. [illegible] ეპოქეცით დროის მწვერვალს, სასურველ სიმაღლეზე ავედით, როგორც იქნა, მივაღწიეთ დასახულ მიზანს! „ჯერ კიდევ არა ის" დრო „ბოლოს და ბოლოს იმ" დრომ შეცვალა.

ამნაირად აღიქვამდნენ თავიანთ ცხოვრებას ჩვენი წინაპრები და, მათთან ერთად, საერთოდ XIX საუკუნის ადამიანებიც. არ უნდა დაგვიწყდეს, რომ ჩვენმა დრომ „სიუხვის" დროება შეცვალა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ თუ კაცი ჩვენი დროის წინამორბედის—სიუხვის ეპოქის ნაპირას დგას და იქიდან აკვირდება დღევანდელობას, — დიახ, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ კაცმა შეცდომით წარმოიდგინოს, თითქოს დღევანდელი ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა წინა ეპოქის დონესთან შედარებით.

მაგრამ ჰეშმარიტმა ისტორიკოსმა, გამოცდილი ექიმის მიუკერძოებლობით რომ უსინჯავს მაჯას დღევანდელობას, თავი არ უნდა მოატყუებინოს მოარულ წარმოდგენებს ეგრეთწოდებულ „სიუხვის" ეპოქათა შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნე, იმისათვის, რომ ადამიანები თავიანთი ცხოვრების „სისხლსავსეობას" გრძნობდნენ, აუცილებელია იმ სურვილების დაკმაყოფილება, რომლებიც განუყრელად თან ახლავს ადამიანს ათასწლეულების მანძილზე. ამჟამად უკვე ყველა ყველაფრით დაკმაყოფილებულია, ზოგჯერ კი, როგორც, მაგალითად, XIX საუკუნეში, ზედაკმაყოფილებულიც.* მაგრამ ჩვენ უკვე ვამჩნევთ, რომ იმ ეპოქის ადამიანებს, სადაც ყველა კმაყოფილია ცხოვ-

* ჩვენ გვშვეს მამებმა, ჩვენსავ პაპებზე უარესებმა, და ჩვენ, საკუთარ მამებზე უარესნი, მალე ჩვენზე უარეს ნაშიერთა ვშობთ", — „ოდები", III, 6, 46—48.

** დრო ჩვენს მხარეზე როდია (ლათ.).

* იმპერატორ ჰადრიანეს დროინდელ მონეტებზე შეიძლება ამოვიკითხოთ, მაგალითად, აი, ასეთი წარწერა:

„Italia felix, Saeculum aureum, Tellus stabilita, Temporum felicitas", — „ბედნიერი იტალია, ოქროს საუკუნე, ქვეყნად მშვიდობის სუფევა, ნეტარი დრო". ამ საკითხით დაინტერესებულთ შეგვიძლია მივუთითოთ არა მარტო კოენის დიდი ნუმიზმატიკური კოლექციის კატალოგი, არამედ მონეტების რეპროდუქციებიც, გამოქვეყნებული როსტოვცევის წიგნში „The social and economic history of the Roman Empire" („რომის იმპერიის სოციალური და ეკონომიური ისტორია"), 1926, რედ. II², გვ. 588, შენ. 6; ესპანური გამოცემა „ეპასა კალპეში" გამოვიდა.

რებით, რადგანაც, ერთის შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს მათ უკვე ყველაფერს მიაღწიეს, — სინამდვილეში, დიდი ხანია, შიგნიდან შეეპარათ ლპობა. ცხოვრების „სიხავსის“ ნამდვილ შეგრძნებას, ყველა ამქვეყნიური სიკეთის მიღწევით გამოწვეული კმაყოფილება როდი გაანაპირობებს: არა, ეს გრძნობა ვერ შეედრება განვლილი გზის დასასრულს, სანეტარო შესვენებას. ჯერ კიდევ სერვანტესი ამბობდა: „მოძრაობა ყოველთვის უმჯობესია დასვენებაზეო“. ამ ეპოქაში, სადაც ადამიანები გრძნობენ, რომ ყველა მათი სურვილი — დაკმაყოფილებული, ხოლო მათი იდეალი ხორცშესხმულია, უკვე აღარაფერი რჩება სასურველი, რაც იმას ნიშნავს, რომ დაიწრიტა თვით სურვილთა წყარო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხიუხვის“ სანუკვარი დრო სინამდვილეში სხვა არა არის რა, თუ არა ჩახი გზის დასასრულს. არის დრო, როცა საზოგადოება დეკადანსს განიცდის მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებმა აღარ იციან, როგორ განიახლონ სურვილები, და კმაყოფილებით გულმოყირჭებულნი იხოცებიან, ზუსტად ისევე, როგორც ბედნიერი მამ.-ფუტკრები საქორწინო გაფრენის შემდეგ.*

ამიტომ, რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, ადამიანები სწორედ ევრეთწოდებულ „ხიუხვის“ ეპოქაში გრძნობენ თავიანთი არსებობის განსაკუთრებულ ხიმწირეს და სიცარიელეს.

სურვილებმა, რომლებსაც დიდხანს ელოლიავებოდნენ, ვიდრე XIX საუკუნეში საბოლოოდ შეისხამდნენ ხორცს, თავიანთი გამოხატულება იმაში ჰპოვეს, რასაც დღეს „თანამედროვე კულტურას“ ვუწოდებთ. თვით ეს სახელწოდებაც კი აცბუნებს ადამიანს. განა უცნაური არ არის, რომ ესა თუ თუ ისტორიული ეპოქა თავის თავს თვითონვე უწოდებს „თანამედროვეს“, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბოლოოს, უკანასკნელს? „თანამედროვეობის“ წინაშე ნებისმიერი სხვა დრო მხოლოდ მის მოსამზადებელ და მასზე ოცნების პერიოდად წარმოგვიჩნდება; ყველა სხვა დრო წარსული იქნება; ყველა შეიძლება უგერგილოდ ნატყორცნ ისარს შევადაროთ, რომელმაც მიზანს ვერ უწია.**

თუ გრძნობთ აქ არსებით სხვაობას ჩვენს დროსა და უახლოეს წარსულს შორის? დღეს ჩვენ უკვე აღარ გვგონია, თითქოს ყველა პრობლემის გადაჭრის უნარი შეგვწევს; უმალ, პირიქით, ქვეშეცნეულად ვსხლებით, რომ ისტორიაში არ მოიძებნება ისეთი პერიოდი, როცა ყველა პრობლემა შეიძლება გადაჭრილ იქნეს. მეტიც, პრეტენზია იმისა, რომ საბოლოოდ მიგვაჩნდეს ცხოვრების გამოკვეული წესი, კერძოდ ის, რასაც „თანამედროვე კულტურის ქმნადობას“ ვუწოდებთ, წარმოუდგენელ სიბეცედ გვეჩვენება, რომელიც ზღუდავს ისტორიული თვალთახედვის არეს. როგორც კი ამას მივხვდებით, მაშინვე გვეუფლება რაღაც კურთხეული გრძნობა, მსგავსი იმისა, რასაც განიცდის კაცი, რომელმაც შესძლო თავი დაეღწია ციწრო და დახუთული ხენაკისათვის, რათა კვლავ შეეგრძნო ვარსკვლავებით მოჭედილი ცის სიდიადე, გონებამიუწვდომელი, უცნაური და საშინელი სამყაროს იდუმალება, სამყაროსი, სადაც შესაძლებელია ყველაფერი: კარგიც და ცუდიც.

„თანამედროვე კულტურის“ რწმენა სევდიანი რწმენა იყო; ის ნიშნავდა, რომ ხვალინდელი დღე, არსებითად, დღევანდელის მსგავსი იქნება, და რომ პროგრესი სხვა არა არის რა, თუ არა მარადიული სახჭელი — განწირული იყო საიმისოდ, რომ ყოველთვის ერთი და იმავე გზით იარო. ეს გზა კი საპყრობილეს უფრო მგავს, რომლის კედლებიც ჩვენი ყოველი ფეხის ნაბიჯზე თანდათანობით, სულ უფრო და უფრო შორს გადაადგილდებიან, მაგრამ გარეთ კი არ გვიშვებენ.

როცა რომის იმპერიის ისტორიის დასაწყისში დახვეწილი გრძნობელობის ნიჭით დაჯილდოებული ესა თუ ის პროვინციელი, ვთქვათ, სენეკა ან ლუკანუსი, რომში ჩადიოდა და გრანდიოზულ საიმპერიო ნაგებობებს, რომის ურყევი ძლიერების ამ სიმბოლოებს ხედავდა, გრძნობდა, როგორ ეხუთებოდა სული. სამყაროში შეუძლებელი იყო რაიმე სიახლე. რომი ხომ მარადიულია! და თუ წარსული დიდების ნგრეულ ნაშთთა ჭვრეტისას ჩვენ გვეუფლება მელანქოლია, ჭაობიდან წამოშლილი ნისლივით რომ გარემოგვიცავს, იმდროინდელ მგრძნობიარე პროვინციელსაც იგივე განცდა ეუფლებოდა, თუმცა ის ჩვენი განცდის საპირისპირო იყო: მელანქოლიურ განწყობილე-

* მკითხველს ვურჩევ გაეცნოს „საყოველთაო ქმაყოფილების“ ეპოქათა ბრწყინვალე ანალიზს ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიაში“, თარგმანი ხ. გაოსისა, ტ. I, გვ. 51 და შმდ.

** დასაბამიერი აზრი სიტყვებისა — „თანადროული“, „თანამედროვეობა“ როგორც ჩვენმა დრომ თვითონვე მოინათლა თავი, მთელი სიცხადით გვიჩვენებს მის საერთო განწყობილებას. „თანადროული“, „მოდერნი“ ის გახლავთ, რაც ახალ მოდაზე, არსებობის ახალ მოდუსზეა დამოკიდებული. ერთის მხრივ, სიტყვა „თანადროული“ ახალი ცხოვრების შეგნებას გულისხმობს, მეორეს მხრივ კი გამოხატავს „დროის სიმაღლეზე“ დგომის მოთხოვნილებას; თანამედროვე ადამიანისათვის „დროის სიმაღლეზე“ არყოფნა იგივეა, რაც „ძველმოდური“ იყოს.

ბას რომის გოროზად აღმართულ ნაგებობათა ჭვრეტა იწვევდა.

ხომ აშკარაა, რომ ამ ემოციებთან შედარებით თანამედროვე ადამიანის განცდა გაკვეთილებიდან გამოპარული ონავრების სიხარულსა და ზარ-ზეიმს უფრო მოგვაგონებს. ჩვენ დღეს უკვე ალარ ვიცით, რა მოხდება ხვალ მსოფლიოში, მაგრამ გულის სიღრმეში ვხარობთ, რადგანაც ჩვენი არსებობის ეს თვალსაწიერი, რომელიც გახსნილია ყველა შესაძლებლობისათვის, ჩვენს ნამდვილ ცხოვრებად გვევლინება, ჭეშმარიტ სისავსეს რომ ანიჭებს დღევანდელ ყოფას.

ეს დიაგნოზი, რომელსაც ჯერ კიდევ აკლია მეორე ნაწილი, მკვეთრად უპირისპირდება ამ ხაწყალობელ მოთქმა-გოდებას, წყაროსავით რომ მოწანწკარებს ჩემი თანამედროვეების კალმით აჭრელებული ფურცლებიდან. სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს მხედველობის აბერაციასთან, რასაც მრავალი მიზეზი განაპირობებს. მოდით, სამერმისოდ გადავდოთ ზოგიერთის განხილვა, ახლა კი მინდა ერთ, ყველაზე ცხად მიზეზზე შევაჩერო თქვენი ყურადღება. მე თუ მკითხავთ, ბევრი თანამედროვე მწერალი, განუსჯელად რომ იზიარებს ისტორიის მცდარ გაგებას, მის მხოლოდ ერთ ნაწილს აანალიზებს: ან პოლიტიკას, ან კულტურას, და ვერ კი ამჩნევს, რომ ყოველივე ეს ისტორიული ეპოქის ზედაპირზე ტივტივებს, და რომ ისტორიული სინამდვილე, უწინარეს ყოვლისა, სხვა არა არის რა, თუ არა არსებობის მძაფრი წყურვილი, ბობოქარი, კოსმიური ძალებივით შმაგად მბორგავი ძალა, ბუნების ძალთა მონათესავე, რომელთა ქმედითობაც ამოძრავებს ზღვებს, ანაყოფიერებს ცხოველებს, ყვავილებით პენტავს ხეებს და ცის თაღზე ჭადოქრული ხიბლით აციმციმებს ვარსკვლავებს.

მათთან დავისას, ვინც დღევანდელობას განსაზღვრავს როგორც „დაცემის" პერიოდს, მე ვურჩევ ყველას, შემდეგ არგუმენტებს მიმართონ.

დაცემა შედარებითი ცნებაა; ის დონეთა სხვადასხვაობას გულისხმობს: უფრო მაღალი დონიდან შეიძლება „დაეცე" უფრო დაბალზე. ეს შედარება შეიძლება ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროებს მიესადაგოს. ფაბრიკანტს, რომელიც ქარვის მუნდშტუკებს ამზადებს, ბგონია, ცუდი დრო დადგაო, ვინაიდან მწეველთა შორის ცოტა თუღა იყენებს მუნდშტუკს. შეიძლებოდა სხვა, უფრო სერიოზული მაგალითებიც მოგვეხმო, მაგრამ ყველა წარმოგვიჩენს სინამდვილის მხოლოდ ერთ რომელიმე წახნაგს, ყველა თვითნებური და გარეგანი იქნება ცხოვრების იმ საგანძურის მიმართ, რომლის შეფასებასაც ჩვენ ვცდილობთ. დაკვირვებისათვის არსებობს ხედვის მხოლოდ ერთი, სწორად შერჩეული წერტილი: უნდა შევიდეთ ამ ცხოვრებაში და შიგნიდან შევხედოთ მას, რათა დავრწმუნდეთ, იგრძნობა თუ არა მისი დონის დაცემა, ანუ, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, იგრძნობა თუ არა მისი არასრულფასოვნება, მისი სიხილწე, მისი ეგოიზმი, თუ უწმინდურება.

მაგრამ შიგნიდანაც რომ შევხედოთ, როგორ გავარკვევთ, გაფურჩქვნის პერიოდი უდგას თუ დაცემისა? ჩემთვის ცხოვრების დონის დაცემის უტყუარი ნიშანი იმნაირი ცხოვრება გახლავთ, როცა ადამიანებს ჰგონიათ, ჩვენს ყოფას ვერანაირი სხვა ყოფა ვერ შეედრებაო. სწორედ ამ თვალსაზრისით, ჩვენი დროისათვის ნიშნეულია ერთი ფრიად უცნაური შეგრძნება, რასაც მსგავსიც, თუ არ ვცდები, ადამიანებს აქამდე არასოდეს არ განუცდიათ.

გასულ საუკუნის სალონებში აუცილებლად დგებოდა ისეთი მომენტი, როცა მომხიბლავი ქალბატონები და მათ მიერ მოშინაურებული პოეტები ერთი და იმავე კითხვით მიმართავდნენ ერთიმეორეს: რომელ დროში ისურვებდით ცხოვრებასაო? და მაშინ თვითოეული მათგანი ივიწყებდა თავის საკუთარ ცხოვრებასაც, მთელ თანამედროვეობასაც და დაუყოვნებლივ იწყებდა წარმოსახულ ისტორიულ გზებზე ბორიალს, იმ დროის ძიებაში, რომელშიაც ისურვებდა ცხოვრებას. საქმე ისაა, რომ, მართალია, მაშინ დიახაც გრძნობდნენ არსებობის მთელ სისავსეს, ან, იქნებ, სწორედ ამიტომაც, XIX საუკუნე სინამდვილეში მრავალი უხილავი ძაფით იყო გადაბმული წარსულზე, მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ ადამიანებს დაწყვეტილი ეგონათ ისინი, რადგანაც გრძნობდნენ, რომ მათი ეპოქით მთავრდებოდა ისტორიული გზის გარკვეული მონაკვეთი. ამიტომაც მათთვის იდეალი იყო ეგრეთწოდებული კლასიკური ეპოქები, როცა ყალიბდებოდა თანამედროვე ფასეულობანი, ვთქვათ, პერიკლეს მმართველობის პერიოდი, ან აღორძინება. ეს სავსებით საკმარისია, რათა ეჭვი შეგვეპაროს „სიუხვის" დროის გულწრფელობაში: მისი სახე მიქცეულია წარსულისაკენ, რომლის სურვილებიც ახლა სრულდება.

კი მაგრამ, რას იტყოდა ჩვენი თანამედროვე, იგივე კითხვით რომ მიგვემართა მისთვის? მე მგონია, ზუსტად შეგვიძლია გამოვიცნოთ მისი პასუხი: ნებისმიერი წარსული ეპოქა მას მოეჩვენებოდა დარაბებდახურულ ოთახად, სადაც შეუძლებელია სუნთქვა. თანამედროვე ადამიანი გრძნობს, რომ დღევანდელი ცხოვრება უფრო შეესაბამება ნამდვილი ადამიანური ცხოვრების ცნებას, ვიდრე მთელი წარსული ყოფა.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, წარსულის ყველა მოვლენა, ერთად აღებული, მას უფრო უმნიშვნელო ეჩვენება, ვიდრე ჩვენი დღევანდელობა.

აწმყოს ამნაირი გაგება მთელი სიცხადით აქარწყლებს ნებისმიერ წინდაუხედავ მსჯელობას ჩვენი დროის დეკადენტურ ხასიათზე. ჩვენ ვგრძნობთ, რომ დღევანდელ ცხოვრებას მეტი წონა აქვს არსებობის აქამდე ცნობილ ყველა სხვა საშუალებასთან შედარებით. მაშ, რა შუაშია აქ მისი დეკადენტური ბუნება? უმალ, პირიქით, და რაკი თანამედროვე ადამიანი უფრო მეტად დანთქმულია დღევანდელი დღის მოვლენებში, ამიტომ მას აღარ იზიდავს წარსული, რომელმაც ყოველგვარი ინტერესი დაკარგა მის თვალში. აი, რატომაა, რომ ჩვენთვის დღეს აღარ არსებობს არავითარი კლასიციზმი, და აზრადაც არ მოგვივა, მისაბაძ ნორმად თუ ნიმუშად დავსახოთ ნამუო. როგორც ჩანს, ამდენი ხნის უწყვეტი განვითარების შემდეგ ჩვენ მაინც გზის დასაწყისში აღმოვჩნდით, ახალ შესაძლებლობათა ზღურბლზე, ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე. ჩვენ მზერას მივაპყრობთ წარსულს და სახელგანთქმული რენესანსის ეპოქა მაღალფარდოვანი, პრეტენზიული, პროვინციული და, რა დასამალია, **უგემოვნოც** კი გვეჩვენება.

ამას წინათ მე შემდეგნაირად განვსაზღვრე შექმნილი სიტუაცია. „წარსულისა და აწმყოს მკვეთრი გამიჯვნა ჩვენი დროის დამახასიათებელი ნიშანია, რითაც აიხსნება ჩვენი თანამედროვის სულიერი ბორგვა და მღელვარება. ჩვენ ვგრძნობთ, რომ უცებ მარტონი დავრჩით დედამიწაზე, რომ მკვდრები ხუმრობით კი არა, მართლა მოკვდნენ, და რომ მათ უკვე აღარაფრით აღარ შეუძლიათ დაგვეხმაროონ.

გაქრა ტრადიციულობის სული; ჩვენ უკვე აღარ გვჭირდება ნორმები, წესები და ნიმუშები. წარსული ვეღარაფრით დაგვეხმარება, და სწორედ ახლა ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი პრობლემები, გნებავთ, ხელოვნების, გნებავთ, მეცნიერებისა თუ პოლიტიკისა.

ევროპელი მარტოკა დარჩა, ცოცხალმა მკვდრებმა ხამუდამოდ მიატოვეს. პეტერ შლემილიხა არ იყოს ,მან დაკარგა თავისი ლანდი. შუადღისას ყოველთვის ასე ხდება“.*

მაშ, როგორილაა ჩვენი დროის დონე?

დღევანდელობას ვერ ვუწოდებთ „სიუხვის“ დროს, და მაინც, ჩვენ გვგონია, რომ მისი დონე უფრო მაღალია, ვიდრე „სიუხვის“ ყველა წინარე ეპოქისა. არც ისე ადვილი საქმეა დღევანდელი დღის განსაზღვრა: ერთის მხრივ, ის ყველა სხვა დროზე მაღლა გრძნობს თავს, მეორეს მხრივ კი რაღაცა ახლის დასაწყისს მოასწავებს, იქნებ დასასრულის დასაწყისს. მაშინ როგორ შეიძლება განვსაზღვროთ იგი? ალბათ ასე: ჩვენი დროის დონე მისი შესაძლებლობების დონეზე დაბალია, და იმავდროულად, ყველა სხვა [illegible] დროის დონეზე მაღალიც. მთელი ჩვენი თავდაჭერებულობის მიუხედავად, იმასაც ვგრძნობთ, რომ ჩვენივე დანიშნულებისა აღარ გვჯერა. ჩვენი ძლიერებით ვამაყობთ და, იმავდროულად, შიშით ვძრწით ჩვენივე ძლიერების წინაშე.

IV

არსებობის სამყაროს გაფართოება

მასების აღზევება და მის კვალდაკვალ დროული დონის ზრდა, თავის მხრივ, სხვა, უფრო ზოგადი და ყოვლისმომცველი მოვლენის ნიშნად გვევლინება, მოვლენისა, რომელიც თავისი სიცხადით გროტესკული და წარმოუდგენელი ჩანს; არადა, საქმე მხოლოდ ისაა, რომ გაფართოვდა როგორც მსოფლიოს, ისე ცხოვრების საზღვრებიც: ხაშუალო ადამიანის ცხოვრება დღეს მთელ მსოფლიოს მოიცავს. მე ეჭვის თქმა მინდა, რომ ნებისმიერი ადამიანი დღეს იმით ცხოვრობს, რაც მთელ მსოფლიოში ხდება. ამ ერთი წლის წინათ სევილიელებს საშუალება ჰქონდათ, გაზეთების მეშვეობით თვალი ედევნებინათ პოლუსზე ადამიანთა ცხოვრებისათვის. წარმოიდგინეთ, როგორ მიცურავენ თაკარა ნზით გადახრუკულ ანდალუსიურ მიწაზე მოდრეიფე აისბერგები? მიწის არც ერთი უბადრუკი ნაგლეჯი დღეს უკვე აღარ არის ჩაკეტილი თავის საზღვრებში: რაც იქ ხდება, თვით პლანეტის მეორე მხარესაც პოულობს გამოძახილს. ფიზიკის კანონის თანახმად, რომელიც ამტკიცებს, რომ საგნები მდებარეობენ იქ, სადაც ისინი ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე, დღეს ჩვენ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ის, რაც დედამიწის ერთ წერტილში ხდება, იმავდროულად, მთელი დედამიწის ზურგზედაც ხდება, შორეულის სიახლოვემ და სხვაგან მყოფის აქ ყოფნამ უკიდურესად განავრცო თვითეული ადამიანის თვალსაწიერი.

გაფართოვდა ჩვენი ხამყაროს დროული საზღვრებიც. ძველი სამყაროს ისტორიამ და არქეოლოგიამ ისტორიული დროის ისეთი ხილრმეები აღმოაჩინეს, რასაც უწინ ოცნებითაც ვერ წარმოიდგენდა კაცი. აღმოჩნდა ცივილიზაციებისა და მთელი იმპერიების კონტინენტები, რომელთა არსებობაზე წარმოდგენაც არავის ჰქონდა. ილუსტრირებულ ჟურნალებსა

* შროეიდან „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“.

და კინემატოგრაფს შეუძლიათ პლანეტის ნებისმიერ შორეულ კუთხეში გადაიყვანონ ბრბოის კაცი.

მაგრამ სამყაროს სივრცულ-დროული გაფართოება თავისთავად არაფერსაც არ ნიშნავს. ფიზიკური დრო და სივრცე ყველაზე სულელური რამაა, რაც კი სამყაროში არსებობს. ამიტომ წმინდა სიჩქარის კულტს, რასაც ახლ ფართო პროპაგანდას უწევენ ჩვენი თანამედროვენი, გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ მგონიათ. სიჩქარე, რომელიც თვითონ შედგება დროისა და სივრცისაგან, არანაკლებ სულელური ცნებაა, ვიდრე დრო და სივრცე. მაგრამ ის მათ დათრგუნვას ემსახურება. ერთი სისულელე მხოლოდ მეორით თუ შეიძლება ალაგმო. ადამიანისათვის ყოველთვის დირსების საქმე იყო კოსმიური დროისა და სივრცის დაძლევა," რომლებსაც თავისთავად არავითარი აზრი არა აქვთ, და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს ჩვენი ბავშვური განცვიფრება, როცა სიჩქარის მეშვეობით ვძლევთ სივრცეს და დროზე გამარჯვებას ვზეიმობთ. მათი დაძლევით მათსავე გამოცოცხლებას ვუწყობთ ხელს და შესაძლებელს ვხდით სახიცოცხლო ინტერესებისათვის მათ გამოყენებას. ჩვენ შეგვიძლია უფრო მეტგან ᲪᲘᲮᲝᲗ, ვიდრე უწინ, უფრო ხშირად ვიმოგზაუროთ. ასე, სასიცოცხლო დროის პატარა მონაკვეთში ჩვენ კოსმიური დროის უფრო დიდ მონაკვეთს ვიტევთ.

თუნცა სამყაროს არსებითი გაფართოება, საბოლოო ანგარიშით, მისი საზღვრების განვრცობით კი არა, იმით განისაზღვრება, რომ მასში გაცილებით უფრო იმატა საგნების რიცხვმა. ყოველი საგანი — ამ სიტყვას აქ მისი უზოგადესი მნიშვნელობით ვხმაროობთ, — არსებითად, ისაა, რაც შეიძლება გხურდეს, რიფაც შეიძლება საზრდოობდე, რასაც შეიძლება აკეთებდე ან იღებდე, ანგრევდე ან პოულობდე, იყენებდე ან უარყოფდე; როგორც ვხედავთ, ყველა ეს ზმნა ადამიანის საქმიანობას აღნიშნავს.

მაგალითისათვის ავიღოთ ამ საქმიანობის ერთი რომელიმე სახე, ვთქვათ, ყიდვა-გაყიდვისა თუ აღებ-მიცემობის აქტი. წარმოიდგინეთ ორი კაცი: ერთი — ჩვენი თანამედროვე, მეორე კი— XVIII საუკუნის ადამიანი. დავუშვათ, რომ ორივე ერთნაირი შეძლების პატრონია, და, მახადამე, ერთნაირი მყიდველობითი უნარის მქონეც. ახლა წარმოიდგინეთ იმ საგნების ასორტიმენტი, რომლებიც შეიძლება შესთავაზონ ერთსაც და მეორესაც. სხვაობა შთამბეჭდავია. შესაძლებლობა, რომელსაც მყიდველს თავაზობს დღევანდელი ბაზარი, თითქმის უსაზღვროა. ერთის მხრივ, ძნელია წარმოიდგინო [illegible] საგანი, ბაზრობაზე რომ არ [illegible] მეორეს მხრივ კი შეუძლებელია ყოველივე იმის წარმოდგენა, რაც შეიძლება გაიყიდოს. ალბათ მეტყვიან, თუ ისეთივე შეძლების პატრონია, როგორისაც XVIII საუკუნის ადამიანი, ჩვენი თანამედროვე ვერ შესძლებს მეტის ყიდვას, ვიდრე XVIII საუკუნის ადამიანი. მაგრამ ეს ასე არ არის: დღეს შეიძლება იყიდო გაცილებით მეტი, რადგანაც მრეწველობის განვითარებამ ფასების დაწევა გამოიწვია; მაგრამ მეტის ყიდვაც რომ არ შეიძლებოდეს, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, არამედ ერთხელ კიდევ ხაზს გაუსვამდა ჩემს სიტყვებს. ყიდვის აქტი იმის სურვილსაც შეიცავს, რომ რაღაცა იყიდო, მაგრამ ვიდრე იყიდიდე, საჭიროა მისი არჩევა. არჩევანი კი იმ მომენტიდან იწყება, როცა ადამიანი ბაზრის შესაძლებლობებს ითვალისწინებს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქმიანობის ისეთი სახე, როგორიცაა აღებ-მიცემობის პროცესი, უწინარეს ყოვლისა, რეალიზაციის პროცესს გულისხმობს. როცა საქმე ჩვენი დროის თავისებურებებს ეხება, ჩვეულებრივ, იგიწყებენ იმას, რასაც, ჩემის აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს. სახელდობრ, შემდეგს: ადამიანისათვის ნიშნეულია თავისი შესაძლებლობების ანგარიშს აძლევდეს საკუთარ თავს. ჩვენი არსებობის ნებისმიერ მომენტში მხოლოდ ერთი, ერთადერთი შესაძლებლობა რომ გვქონდეს, მაშინ თვით სიტყვა „შესაძლებლობა" ყოველგვარ აზრს დაკარგავდა: ეს, უმალ, წმინდა მოთხოვნილება იქნებოდა. ჩვენი არსებობის უცნაური თავისებურება შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის მუდმივი ძიებაა, და რაკი გამოსავალი ბევრია, ყოველი მათგანი ამა თუ იმ შესაძლებლობად იქცევა, რომელსაც ჩვენ ვირჩევთ.* თქმა იმისა, „ჩვენ ვარსებობთ", იგივეა, რაც „ჩვენ გარკვეულ შესაძლებლობათა

---

* ადამიანი სწორედ იმიტომ მიელტვის დროისა და სივრცის დაძლევას, რომ მისი სიცოცხლე შეზღუდულია დროით, რომ ის მოკვდავია. უკვდავი ღმერთი არ გამოიგონებდა ავტომობილს.

* უარეს შემთხვევაში, როცა გვეჩვენება, რომ მხოლოდ ერთი გამოსავალია გვრჩება, სინამდვილეში ასეთი გამოსავალი ორია; მეორე — ამ ქვეყნით გასვლაა. მაგრამ ამ ქვეყნით გასვლა თვით ამ ქვეყნისა და, საერთოდ, სამყაროს არსებობით გახპირობებული მოქმედებაა. გინდ ამ ქვეყნიდან გასულხარ და გინდ ოთახის კარი გამოგიღია.

სფეროში ვართ". ამ სფეროს, ჩვეულებრივ, შესაძლებლობათა სფეროს უწოდებენ. ნებისმიერი ყოფიერება გარემოებებით, ანუ სამყაროთი განპირობებულობაა,* გარემოებები კი სამყაროს ცნების დასაბამიერ მნიშვნელობად გვევლინებიან. სამყარო ჩვენი სასიცოცხლო შესაძლებლობების ნუსხაა; სამყარო ჩვენი ყოფიერების მიმართ რაღაც გარეგანი და უცხო როდია; ის შემადგენელი ნაწილის სახით შემოდის ჩვენს ცხოვრებაში, და, მის პერიფერიაზე მყოფი, ის არის, რაც შეიძლება ჩვენ ვიყოთ; მაშასადამე, სამყარო ჩვენი სასიცოცხლო პოტენციალია, რომელიც, თავის სარეალიზაციოდ, აუცილებლად უნდა დაკონკრეტდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვახერხებთ ჩვენივე შესაძლებლობების მხოლოდ მინიმალური ნაწილის რეალიზებას. ამიტომაცაა, რომ სამყარო ესოდენ გრანდიოზული გვეჩვენება, ჩვენს თავს კი ქრთილის მარცვლის ოდენად თუ აღვიქვამთ მასში. სამყარო, ანუ ჩვენივე შესაძლო არსებობა, ყოველთვის რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი ბედი ან ცხოვრებაა, რომლითაც ვცხოვრობთ.

ახლა კი მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, თუ რარიგად გაიზარდა დღეს ადამიანის შესაძლებლობათა დიაპაზონი გუშინდელ დღესთან შედარებით. ინტელექტუალური მოღვაწეობის ასპარეზი დღეს გაცილებით უფრო ვრცელია, ვიდრე უწინ: დღეს მეტი პრობლემებია, მეტი სხვადასხვა მეცნიერება, მეტი სხვადასხვა აზრი. პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანთა საქმიანობა შეიძლებოდა ხელის თითებზე ჩამოგეთვალათ: მწყემსი, მონადირე, მეომარი, ქურუმი. დღეს შესაძლო პროფესიათა ნუსხა გაცილებით უფრო ვრცელია. რაც შეეხება გართობას, აქ შესაძლებლობათა არჩევანი არც ისე მრავალფეროვანია, როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში. მიუხედავად ამისა, ქალაქში მცხოვრები ადამიანისათვის — ხოლო დღეს სწორედ ქალაქური ცხოვრება განსაზღვრავს თან დროული არსებობის თავისებურებას— გართობის შესაძლებლობა ფანტასტიკურად გაიზარდა თვით გასულ საუკუნესთან შედარებით.

თუმცა სასიცოცხლო შესაძლებლობათა ზრდა ამით როდი ამოიწურება. მათი რაოდენობა სხვა მხრივაც გაიზარდა. უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სპორტში ჩვენ დღეს გვაქვს performances**, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატებიან წარსულის ყველა მიღწევას. საკმარისი არ არის თვალყური ადევნო მათ და აღიარო, რომ ამ რეკორდების რიცხვი უსაზღვროა; უნდა კარგად დავუკვირდეთ იმ შთაბეჭდილებას, რასაც ისინი ტოვებენ სულში, და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ დღეს ადამიანის ორგანიზმს აღმოაჩნდა გაცილებით მეტი უნარი, ვიდრე ოდესმე. ანალოგიურ სურათს ვხედავთ მეცნიერებაშიც. ჩვენი საუკუნე ხან ათეულ წელს თუ ითვლის, მაგრამ უკვე წარმოუდგენლად გაფართოვდა კოსმიური თვალსაწიერი. აინშტაინის ფიზიკის კანონთა მოქმედება ისეთ უზარმაზარ სივრცეებზე ვრცელდება, რომ ძველ, ნიუტონისეულ, ფიზიკას მხოლოდ პატარა კუთხელა რჩება.*** ეს ექსტენსიური ზრდა თავის წარმომავლობას მეცნიერული წინასწარხედვის ინტენსიურ ზრდას უნდა უმადლოდეს. აინშტაინის ფიზიკა ითვალისწინებს უმცირეს დიფერენციალებსაც, რომლებსაც უწინ უგულებელყოფდნენ, რადგანაც მნიშვნელობის არმქონედ მიაჩნდათ ისინი. ჯერ კიდევ გუშინ ატომი იყო უმცირესი განუყოფელი ნაწილაკი, დღეს კი ისე გაიზარდა, რომ თავისებურ პლანეტარულ სისტემად იქცა. ამას ის კი არ მალაპარაკებს, რომ ყურადღება მიგაქცევინოთ, თუ როგორ დავწინაურდით კულტურული განვითარების მხრივ, — ამჯერად ეს როდი მაინტერესებს, — არამედ მინდა ხაზი გავუსვა ადამიანის სუბიექტური პოტენციალის ზრდას, რაც ყველა ამ პროცესის შედეგად გვევლინება. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, თითქოს აინშტაინის ფიზიკა ნიუტონის ფიზიკაზე უფრო ზუსტი იყოს; მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ აინშტაინის ეპოქის ადამიანს უფრო მეტი სიზუსტისა და სულის მეტი თავისუფლების გამოვლენის უნარი შესწევს,**** ვიდრე ნიუტონის ეპოქის

---

* ეს ცნება მე შემომაქვს ჩემს პირველ წიგნშივე—„მსჯელობანი „დონ კიხოტის" შესახებ" (1916). „ატლანტიდებში" მე მას „ჰორიზონტს" ვუწოდებ. იხ. ჩემი ესსე „სახელმწიფოს სპორტული წარმომავლობა" (1926).

** მიღწევები (ინგ.).

*** ნიუტონისეული სამყარო უსასრულო იყო, მაგრამ რაკი არაეითარი სიდიდით არ იყო გამოხატული, ეს უსასრულობა ლიტონ განზოგადებად, უტოპიურ აბსტრაქციად რჩებოდა, აინშტაინის სამყარო სასრულია, მაგრამ ის სავსეა საგნებით, ის კონკრეტულია თავის ნებისმიერ ნაწილში; ამიტომაც ის უფრო მრავალფეროვანია და, მაშასადამე, მეტი მასშტაბურობითაც გამოირჩევა.

**** სულის თავისუფლება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტელექტის პოტენციური შესაძლებლობანი, ტრადიციულად გაერთიანებულ ცნებათა გამიჯვნის მისეული უნარით განიზომება. ცნებათა გამიჯვნა ყოველთვის გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მათი გაერთიანება, როგორც ეს თავისი ცდებით დაამტკიცა კელერმა,

ადამიანს. რაღა ის და რაღა ჩემპიონი კრიკეში, ისეთ ზუსტ დარტყმებს რომ აყენებს მოწინააღმდეგეს, რანაირიც გუშინ თვითონ მას არც კი დაესიზმრებოდა.

კინემატოგრაფი და ილუსტრირებული ჟურნალები საშუალო ადამიანს შინვე აწვდიან ცნობებს იმის შესახებ, რაც პლანეტის ყველაზე შორეულ კუთხეებში ხდება. გაზეთებისა და საუბრების მეშვეობით ის გებულობს ინტელექტუალურ performances, მაღაზიების ვიტრინებში კი ამის ნივთიერ დასტურს — ახალ ტექნიკას ხედავს. ყოველივე ეს აღიბეჭდება მის ტვინში, და იმნაირი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს ის ყოვლისშემძლე იყოს.

ამით იმის თქმა კი არ მსურს, თითქოს ადამიანის ცხოვრება დღეს უკეთესია, ვიდრე ოდესმე. მე ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს დღევანდელი ცხოვრების თვისებაზე; აქამდე საქმე ეხებოდა მხოლოდ მის ზრდას, მის რაოდენობრივსა თუ პოტენციალურ პროგრესს. იმედია, ახე თუ ისე, მოვახერხე, ნათლად აღმეწერა თანამედროვე ადამიანის ცნობიერება და მისი სასიცოცხლო ტონუსი, რომლის არსიც ისაა, რასაც თვითონვე გრძნობს: დღეს მის წინაშე ისახება გაცილებით მეტი შესაძლებლობა, ვიდრე გუშინ, და ამიტომაცაა, რომ ყველა წინარე ეპოქა ესოდენ უბადრუკი ეჩვენება დღევანდელობასთან შედარებით.

ეს გადახვევა იმისთვის დამჭირდა, რომ გამომეკვლინა მთელი უსაფუძვლობა ამ ბოლო დროს ესოდენ მომრავლებული მსჯელობებისა დღევანდელი ცხოვრების, მეტადრე, დასავლური ცხოვრების დეკადანსის შესახებ. გაიხსენეთ ჩემი არგუმენტები, რომლებიც ესოდენ მარტივი და, იმავდროულად, ესოდენ ცხადი მეჩვენება. ჯერ უნდა დავაზუსტოთ, მაინც რა „ეცემა", და მხოლოდ შემდეგ ვილაპარაკოთ დაცემაზე. იქნებ ეს პესიმისტური სიტყვა კულტურას მიემართება? ნუთუ ევროპული კულტურა მართლა დეკადანსს განიცდის? ან იქნებ ევროპის ნაციონალურ ინსტიტუტებს უდგას დაცემის პერიოდი? დავუშვათ, რომ ასეა. განა ეს საკმარისია, რომ მთელი ევროპული ცხოვრების დეკადანსზე ვილაპარაკოთ? არამც და არამც. დაცემა, შესაძლოა, შეეხო კულტურას, ერებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპული ცხოვრების სხვადასხვა მხარეს; შეეხო მხოლოდ ისტორიული ყოფის მეორეულ ელემენტებს. მთელი ევროპული ცხოვრების დეკადანსზე კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ, თუ ხელთა გვაქვს ევროპელთა სიცოცხლისუნარიანობის შესუსტების ეჭვშეუვალი ფაქტი. ამიტომაც შეუჩერდი იმ მოვლენის ანალიზზე, რომელსაც, ჩვეულებრივ, უყურადღებოდ ტოვებენ: სახელდობრ, გარკვეული ისტორიული ეპოქის ადამიანთა მიერ ცხოვრების დონის შეგრძნებისა თუ გაცნობიერების ფაქტზე.

ზუსტად ამიტომ ჩამოვარდა სიტყვა „არსებობის სიხავსეზე", რასაც განიცდიან ერთი ეპოქის ადამიანები მეორე ეპოქის ადამიანებთან შედარებით; თავიანთი არსებობის „ხიმჭირის" შემგრძნობთ ისეთი განცდა აქვთ, თითქოს თვალშეუდგამი სიმაღლიდან ჩამოვარდნენ და უკან მოიტოვეს თვალისმომჭრელად მოელვარე „ოქროს საუკუნე". ჩემი მსჯელობა იმით დავასრულე, რომ ყურადღება გავამახვილე ჩვენი ეპოქის ერთ თვალში საცემ ნიშანზე, ეპოქისა, რომელიც იმის პრეტენზიასაც აცხადებს, რომ თვითონ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მთელი ისტორიული წარსული; მეტიც, ის ხელალებით წყვეტს ძაფებს, რომლებიც ნამყოსთან აკავშირებენ, და არა სცნობს არავითარი ნორმატიული თუ კლასიკური ეპოქის არსებობას. დღეს ყველა გრძნობს, რომ ჩვენი ცხოვრება ახალი ცხოვრებაა, რომ ის არსებობის ყველა უწინდელ მოდუსზე მაღლა დგას და მათზე არ დაიყვანება.

ამ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მართებულად დაახასიათო ჩვენი დროება. ისეთი განცდა რომ გვქონდეს, თითქოს დეკადანსის ეპოქაში ვცხოვრობთ, მაშინ ჩვენ გვეგონებოდა, რომ წარსულის დონე აწმყოზე მაღალი იყო, რაც ნამყოთი ჩვენს აღტაცებას, მის გაღმერთებას გამოიწვევდა და ხახელშძღვანელოდ გაგვიხდიდა იმ პრინციპებს, რომლებსაც ძველად მიხდევდნენ; მაშინ დღემდე შემოგვრჩებოდა ნათელი და წარუვალი იდეალები, თუნდაც მათი განხორციელების არავითარი საშუალება არა გვქონოდა. მაგრამ ჭეშმარიტება დიამეტრალურად უპირისპირდება ამნაირ განცდას: ჩვენ ვცხოვრობთ სისხლსავსე ეპოქაში, როცა ადამიანი გრძნობს თავის ზღაპრულ შესაძლებლობებს, ხარბად მიელტვის მოქმედებისა თუ მოღვაწეობას, მაგრამ არ იცის, რას მოახმაროს თავისი ძალა. მან დაიმორჩილა არა ერთი და ორი მოვლენა, მაგრამ თავისი თავის ბატონ-პატრონი მაინც ვერ გახდა. ამიტომაც ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს სამყაროში დაკარგულია და თავისი უსაზღვრო შესაძლებლობებით დათრგუნვილი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს გაცილებით მეტი საშუალებები, მეტი ცოდნა, მეტი ტექნიკური მიღწევები გვაქვს

შიმპანზეს ინტელექტის განსაზღვრას რომ ისახავდა მიზნად. ადამიანის გონებას არასოდეს არ ჰქონია ისეთი ანალიტიკური უნარი, როგორიც დღეს.

წარსულთან შედარებით, ადამიანები მაინც უფრო უბედურად გრძნობენ თავს, ვიდრე ოდესმე: წყალწაღებულთ ნაფოტივით მიატივტივებს ცხოვრების ზღვინარება.

აქედან — ქედმაღლობისა და დათრგუნვილობის ეს უცნაური ნაზავი, ჩვენი თანამედროვის მუდმივი ტანჯვა-წამების, სულიერი სალმობის წყარო. თანამედროვე ადამიანზე შეიძლება იგივე ითქვას, რასაც ამბობდნენ რეგენტზე ლუი XV-ის ბავშვობისას: მას აქვს მრავალმხრივი ნიჭი გარდა ერთისა: არ იცის, როგორ მოიხმაროს თავისი ნიჭიო. XIX საუკუნის ადამიანებს ურყევად სწამდათ პროგრესი და დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ბევრი რამ უკვე აღარ შეიძლებოდა მომხდარიყო. ჩვენ კი, სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი შესაძლოდ მიგვაჩნია, ისეთი წინათგრძნობა გვაქვს, რომ შეიძლება ყველაზე უარესიც მოხდეს: წარსულისაკენ მიქცევა, ბარბაროსული მდგომარეობისაკენ მიბრუნება, დაცემა.* ასე გვეკარგება თვითრწმენა თუ თავდაჯერებულობა, ასე იქცევა დათრგუნვილობა ნებისმიერი სიცოცხლის არსად, ხალისიან განწყობილებას ჩვენს სულში მეყვსეულად ეცვლება პირქუში სევდა, და ჩვენ ვცდილობთ, რადაც არ უნდა დაგვიჯღეს, მთელი ხავსებით განვიცადოთ ყოველი დღე, ჩვენი არსებობის ყოველი პაწაწინა, უმწეო და უკუნის ზღვარზე მოცახცახე სხივივით მორიოლავი ნამი. ჩვენ ყოველნაირად თავს ვარიდებთ ეპოქის საშინელ პულსს, მის მფეთქავ მაჯასთან შეხებას, მტაცებლის კლანჭებში გათანგული მსხვერპლის გულივით რომ კანკალებს. ძალიან გვინდა, როგორმე გამოვიმუშავოთ იმუნიტეტი ჩვენი ს სტიკი, უკიდურესად დრამატული ბედის მიმართ, და ვცდილობთ ათახნაირი ჩვეულების, ადათ-წესებისა თუ ბანალობის ქლოროფორმით გავყინოთ და, შეძლებისდაგვარად, დავამუხრუჭოთ მისი ტრიალი. უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე პირველად გვანცვიფრებს ის გარემოება, რომ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, რას გვიმზადებს ხვალინდელი დღე. ეს განცვიფრება მე კეთილისმყოფელი გრძნობა მგონია. როგორც ჩანს, ნებისმიერი ადამიანისათვის, სერიოზულად და პასუხისმგებლობის გრძნობით რომ ეკიდება თავისი არსებობის ფაქტს, ნიშნეულია თვითრწმენის ეს უქონლობა, რაც აიძულებს, თვალი მუდამ ფხიზლად ეჭიროს, გუშაგს რომ თვლემა არ მორეოდა და ფხიზლად ყოფილიყო, რომელ ლეგიონერთა მეთაური აიძულებდა, ბაგეხთან მიტანილი სვეროდა საჩვენებელი თითი. მე მომწონს ეს ფესტი: ესაა ღამეული მდუმარებისადმი მიმართული ვედრება, უფრო მეტი ხიჩუმე იყოსო, რათა ... შეძლებლობა ჰქონოდა სმენით აღექვა ... : როგორ ისახება მერმისი.

„ხიუხვის" ეპოქის, მაგალითად, XIX საუკუნის ადამიანისათვის ნიშნეული თვითრწმენა ოპტიკური ილუზიაა, რაც აიძულებს მას არ იფიქროს მომავალზე და სამყაროულ მექანიკას მიანდოს იგი. როგორც პროგრესულ ლიბერალიზმს, ისე მარქსის სოციალიზმსაც ჰგონია, რომ დედამიწაზე, ასტრონომიული მოვლენის გარდუვალობით, აუცილებლად დადგება ნათელი მომავალი. რაკილა ადამიანებმა ხაშუალება მისცეს ამ იდეას, გონება დაებნელებინა მათთვის, ამან შედეგად ის მოიყვანა, რომ მათ ხელიდან გაუშვეს ისტორიის სადავე, მთლიანად დაკარგეს ხიფხიზლის გრძნობა, აღარც ძალა შერჩათ და აღარც უნარი, ასე რომ, ცხოვრება ხელიდან დაუსხლტათ და უარი განაცხადა მათ მორჩილებაზე. და, ახლა, უსაქმოდ დაეხეტება თავისუფალი, და აღარ იცის, რა გზას დაადგეს. კეთილშობილი წინასწარმხედველის ნიღაბს ამოფარებული პროგრესის მომხრე საერთოდ არ ფიქრობს მომავალზე, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მერმისისაგან არც რაიმე იდუმალი მოელენაა მოსალოდნელი, არც რაიმე სიურპრიზი, არც არსებითი სიახლე, არც ბედის მკვეთრი ცვალებადობა. დიახ, ის დარწმუნებულია, რომ პროგრესი სწორხაზოვნად მიგელავს, რომ მისთვის სრულიად უცხოა მიხვეულ-მოხვეული გზით სიარული და უკან შემობრუნებაც. ამიტომაც გულში იხშობს ყოველგვარ მღელვარებას მომავლის გამო და მტკიცედ მკვიდრდება აწმყოში. არ უნდა გვიკვირდეს, რომ დღევანდელ მსოფლიოში ესოდენ ცოტაა პროექტები, ვარაუდები და იდეალები: ვინღა იტკივებს თავს მათზე ფიქრით? მმართველი უმცირესობა დეზერტირივით გამოიპარა ბრძოლის ველიდან, როგორც ეს ბდება ყოველთვის, მასების ამბოხებისას.

ახლა კი დროა კვლავ მივუბრუნდეთ „მასების ამბოხის" თემას. მას შემდეგ, რაც მასების ამბოხების სასიკეთო შედეგებზე შევაჩერეთ ყურადღება, და პრობლემის ციცაბო ფერდზე ავბობღდით, მოდით, ახლა მეორე, უფრო სახიფათო ფერდიდან ვცადოთ დაშვება.

* სწორედ აქაა საძიებელი ყველა იმ თეორიის აღმოცენების მიზეზი, ევროპული ცხოვრებისა და ცივილიზაციის დეკადანსს რომ ახასიათებენ. საქმე ის კი არაა, რომ ჩვენ უკვე დაცემის პერიოდში ვართ, არამედ ის, რომ რა�aდ ვუშვებთ ყოველგვარ შესაძლებლობას, არც დაცემის შესაძლებლობაა გამორიცხული.

V

სტატისტიკის ერთი ფაქტი

ამ ესსეში ჩვენ ვცდილობთ დიაგნოზი დავუსვათ ჩვენს დროს, ჩვენს ახლანდელ ცხოვრებას. ამ დიაგნოზის პირველი ნაწილი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ჩვენი ცხოვრება ჩვენივე შესაძლებლობების კატალოგია და ამიტომაცაა ესოდენ გასაოცარი და მრავალსახოვანი, ის ისტორიაში ცნობილ ყველა სხვა ცხოვრებაზე უმჯობესია. მაგრამ სწორედ ამიტომ, რომ დღეს ცხოვრების მდინარე უფრო წყალუხვია, ვიდრე ოდესმე, ის ყველა ტრადიციული პრინციპის, ნორმისა თუ იდეალის კალაპოტიდან გადმოვიდა, საერთოდ აღარ შეესაბამება ჭეშმარიტი ცხოვრების ჩვენეულ წარმოდგენას და ამიტომაც გვაყენებს ამდენი ახალი ამოცანის წინაშე. ჩვენი ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება ორიენტირებული იყოს წარსულის მიმართ,* მას თავისი საკუთარი ბედი უნდა ჰქონდეს.

ახლა კი, მოდით, ჩვენი დიაგნოზი შევავსოთ. ყოფიერება, უწინარეს ყოვლისა, ყოფიერების შესაძლებლობაა, და ამიტომაც გულისხმობს შესაძლებლობათა არჩევანს. გარემოებანი და გადაწყვეტილების ძიებანი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი შესაძლებლობანი, — აი, რისი რეალიზება გვმართებს ცხოვრებაში. ისინი შეადგენენ იმას, რასაც სამყაროს ვეძახით. ადამიანი თვითონვე როდი ირჩევს მას: ცხოვრობდე, ნიშნავს იმყოფებოდე ამა თუ იმ მოცემულ სამყაროში; სწორედ იმნაირ სამყაროში, რანაირადაც ის გვევლინება დღეს. ჩვენი სამყარო აუცილებლობაზეა დამოკიდებული, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ ეს სასიცოცხლო აუცილებლობა არაფრით არა მგავს მექანიკის კანონზომიერებას; ამიტომაც ჩვენი ცხოვრების გზას ვერ გავუიგივებთ თოფიდან გასროლილი ტყვიის ტრაექტორიას. ამ სამყაროში ჩვენი აუცილებლობა და გარდუვალობა, რაც იმაში ვლინდება, რომ ჩვენ ვიმყოფებით სწორედ ამ სამყაროში და დროის სწორედ ამ მომენტში, — ის გახლავთ, რომ ერთი კი არა, რამდენიმე გზა გვეძლევა. ჩვენ იძულებულნი ვართ... ამოვირჩიოთ. განსაცვიფრებელი პირობა, რომელსაც ცხოვრება გვაკარნახობს! დიახ, ცხოვრება გვაიძულებს გარდუვალად თავისუფალნი ვიყოთ, ესე იგი, გამუდმებით ვირჩევდეთ ამქვეყნად ჩვენი ქმნადობის გზებს. ამ გზების ძიება არ შეიძლება თუნდ ერთი წამით შეწყდეს. თვით მაშინაც კი, როცა სასოწარკვეთილთ ალმოგვზდება, „რაც იქნება, იქნებაო“, ჩვენ არჩევანის უარყოფის გზა [illegible]

ამიტომაც სწორი არ იქნება [illegible] ტეზისი „ცხოვრებაში ყველაფერს გარემოებები წყვეტენ“; პირიქით, გარემოებები ის დილემაა, რომელიც გამუდმებით დგება ჩვენ წინაშე, და ჩვენ იძულებულნი ვართ ასევე გამუდმებით ვეძებდეთ მისი გადაჭრის გზებს. საბოლოო ანგარიშით, ყველაფერი ადამიანზე და მის ხასიათზეა დამოკიდებული.

იგივე შეიძლება ითქვას საზოგადოების ცხოვრებაზედაც. აქაც ასევე არსებობს შესაძლებლობათა ჰორიზონტიც და გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობაც, რაც განსაზღვრავს კოლექტიური არსებობის მოდუსს. ეს გადაწყვეტილება საზოგადოების ხასიათზეა დამოკიდებული, ანუ, იმ ადამიანთა ტიპზე, რომლებიც მასში ჰარბობენ. დღეს ჰარბობს „ადამიანი-მასა“, ამიტომ გადაწყვეტილებასაც სწორედ ის იღებს. ნუ ეცდებით დამარწმუნოთ იმაში, რომ ამას უკვე ჰქონდა ადგილი ეგრეთწოდებულ საყოველთაო არჩევნების დემოკრატიულ ეპოქაში. მაშინ მასები კი არ წყვეტდნენ საზოგადოების ბედს, პირიქით, ამა თუ იმ უმცირესობის აზრს უერთდებოდნენ, უმცირესობისა, რომელიც წამოაყენებდა წინასაარჩევნო „პროგრამებს“ — რა დიდებული სიტყვაა! — იმავდროულად, საზოგადოების პრობლემებადაც რომ გვევლინებოდნენ. ეს პროგრამები მასას მოუწოდებდნენ, მიეღო ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის პროექტი.

დღეს ჩვენ სრულიად სხვა პროცესის მოწმენი ვართ. თუ დავუკვირდებით ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებას, ქვეყნებისა, რომლებიც ცხოვრების ყველა სფეროში მასების მძლავრობის თვალსაჩინო ნიმუშად გვევლინებიან, განცვიფრებულნი დავინახავთ, რომ ისინი, პოლიტიკური თვალსაზრისით, დღევანდელი დღითა ცხოვრობენ. მართლაც რომ განსაცვიფრებელი მოვლენაა! საზოგადოებრივი ძალაუფლება მასების წარმომადგენლთა ხელშია, და თან ც, ეს ძალაუფლება იმდენად ძლიერია, რომ ჩანახახშივე აშთობს ოპოზიციის ყოველნაირ შესაძლებლობას. სწორედ ისინი არიან საზოგადოებრივი ძალაუფლების ბატონ-პატრონნი, და ეს ბატონობა იმდენად ერთპიროვნულია, რომ ისტორიაში ალბათ არც მოიძებნება ესოდენ ძლიერი ხელისუფლების სხვა მაგალითი. და მაინც მთავრობაც და საზოგადოებრივი ხელისუფლების ყველა ინსტიტუტიც მხოლოდ

---

* მიუხედავად აბისა, წარსულმა საანალიზოდ შეიძლება პოზიტიური თუ არა, ნეგატიური გამოცდილება მაინც შემოგვთავაზოს. წარსული ირასოდეს არ გვეტყვის, რა უნდა ვაკეთოთ, მაგრამ მას შეუძლია მიგვითითოს, რისი გამეორება არ გვმართებს.

დღევანდელი დღითა ცხოვრობენ; მათ არ გააჩნიათ მომავლის ნათელი პროგრამა, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რას მოიმოქმედებენ ისინი ხვალ. მოკლედ, ისე ცხოვრობენ, რომ არავითარ გეგმებს არ აწყობენ, და არც არავითარი მკაფიო ჩამოყალიბებული სამოქმედო პროგრამა არ გააჩნიათ. არ ვიცით, სად მიგვიყვანენ ძალები, რომელთა ხელშიცაა პოლიტიკური ძალაუფლება, რადგანაც ისინი არსადაც არ მიდიან; ჩვენ წინაშე არ არის არავითარი გზა, რომლის წინასწარ განსაზღვრაც, ასე თუ ისე, შესაძლებელი იყოს. როცა პოლიტიკური ძალაუფლების წარმომადგენელნი თავიანთი მოღვაწეობის გამართლებასა ცდილობენ, ისინი გასაოცარი გულახდილობით ამტკიცებენ: „ვალიარებთ, რომ ჩვენი მმართველობა ძალზე შორსაა იდეალისგან, მაგრამ რას ვიზამთ, ასე მოიტანა გარემოებამაო; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლების სათავეში მათი მოსვლა შეიძლება შორს გამიზნული გეგმებით კი არა, მომენტის მოთხოვნებით იქნას ახსნილი. ამიტომ მათი მოღვაწეობაც მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ საერთოდ არ აპირებენ გადაჭრან ის პრობლემები, რომლებსაც მათ წინაშე გამუდმებით აყენებს ყოველდღიური ცხოვრება, არამედ ცდილობენ ნებისმიერი საშუალებით თავი აარიდონ მათ გადაწყვეტას, თუმცა ყველაფერის საშერმისოდ გადადებისა და მედღეგვალიობის წყალობით, მხოლოდ ერთმანეთზე ანვავებენ ამ გადაუჭრელ პრობლემებს. პოლიტიკური ძალაუფლება ყოველთვის ასეთი იყო, როცა ის მასების ხელში გადადიოდა: ყოველისმომცველი და ეფემერული. „ადამიანი-მასა" იმით გამოირჩევა, რომ ნაფოტივით მიჰყვება დინებას და მომავლის გეგმებს არ აწყობს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი ძალისა და შესაძლებლობის პატრონია, ცხოვრების არც ერთ სფეროში შემოქმედებითი საქმიანობის უნარი არ შესწევს.

და დღეს ეს ადამიანი წყვეტს ყველაფერს. მოდით, დავუკვირდეთ მისი ხასიათის თავისებურებებს.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენი მსჯელობის დასაწყისს უნდა მივუბრუნდეთ და პასუხი გავცეთ კითხვას: საიდან მოვიდნენ ეს ბრბოები, **ისტორიის არენას რომ მიაშურეს და ისეთნაირად გაჭედეს იგი, რომ ნემსის ჩასავარდნი ადგილიც აღარსადაა?**

რამდენიმე წლის წინათ დიდმა ეკონომისტმა ვერნერ ზომბერტმა ყურადღება მიაქცია ერთ ძალზე უბრალო ფაქტს, რომელიც უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც თანამედროვე ცხოვრების პრობლემებს იკვლევს. თავისთავად ეს მარტივი ფაქტიც საკმარისია, რათა ჩვენთვის აშკარა გახდეს, რამ გამოიწვია დღევანდელ ევროპაში ამნაირი სიტუაცია; თუმცა საკმარისიც რომ არ იყოს, იმ გზაზე მაინც დაგვაყენებს, რომელსაც ამ პრობლემის გაგებისაკენ მივყავართ. აი, ეს ფაქტიც: ევროპის ისტორიის დასაწყისიდან, ესე იგი, VI საუკუნიდან მოყოლებული 1800 წლამდე, ანუ მთელი თორმეტი საუკუნის მანძილზე, ჩვენი კონტინენტის მოსახლეობის რაოდენობა 180 მილიონს არ აღემატებოდა. 1800 დან 1914 წლამდე კი, ესე იგი, საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში, ამ რიცხვმა 400 მილიონს მიაღწია! როგორც ხედავთ, განსხვავება ამ რიცხვებს შორის სრულიად უეცველსა ხდის XIX საუკუნეში გამრავლების უნარის უჩვეულო ზრდას. სამი თაობის მანძილზე ქვეყნიერებას მოევლინა უზარმაზარი ბრბო, რომელმაც ლამის ყველაფერი წალეკა თავის გზაზე და ზვავივით გადათქერა მთელი ისტორიული სივრცე. ვიმეორებ, მარტო ეს ფაქტიც საკმარისია, რომ ჩვენთვის გასაგები შეიქნეს მახების აღზევების მიზეზი და ამ მოვლენის ყველა რეზულტატი. მეორეს მხრივ, იგივე ფაქტი კიდევ ერთი და თანაც ყველაზე კონკრეტული შესაკრების სახით უნდა მივუმატოთ იმ მოვლენების ჯამს, რომლებიც ასახავენ ზემოხსენებულ ცხოვრების დონის მატებას.

იმავდროულად, ამ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რაოდენ უსაფუძვლოა ჩვენი განცვიფრება, რომელიც გვეუფლება ანალგაზრდა ქვეყნების მოსახლეობის უჩვეულო ზრდის კონსტატაციისას, ჩვენს განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, რომ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ რაღაც ასი წლის მანძილზე მოსახლეობის რიცხვმა ას მილიონს მიაღწია, მაშინ როდესაც გაცილებით უფრო განსაცვიფრებელია მოსახლეობის ზრდა ევროპაში. აი, კიდევ ერთი საბუთი, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს იმ მტკიცების უსაფუძვლობას, თითქოს ევროპა ამერიკანიზაციას განიცდიდეს. არა, ეს ასე არ არის. გასული საუკუნის მანძილზე მოსახლეობის რაოდენობა ევროპაში გაცილებით უფრო გაიზარდა, ვიდრე ამერიკაში. თანაც ეს ზრდა ამერიკაში ევროპელ ემიგრანტთა ხარჯზედაც მოხდა.

მართალია, ვერნერ ზომბარტის მიერ მოტანილ რიცხვებს უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე ისინი იმსახურებენ, შეცდომა იქნებოდა ევროპაში მოსახლეობის მათემატიკური ზრდით აგვეხსნა ყველაფერი, რაც ახლა ხდება. ეს ცნობები მხოლოდ იმდენად მაინტერესებს, რამდენადაც თვალნათლივ გვიჩვენებენ მოსახლეობის მატების ფაქტსა და, უწინარეს ყოვლისა, ამ მატების თავბრუდამხვევ ტემპს. ისტორიის არენაზე ხალხთა მასების ეს ვულკანური ამოფრქვევა ისეთი გამაოგნებელი სიჩქარით მოხდა, რომ

დრო აღარ დარჩა ტრადიციული კულტურის ფასეულობებს გვეზიარებინა ისინი.

დღევანდელი საშუალო ევროპელი, ერთის მხრივ, მეტი სულიერი სიჯანსაღით გამოირჩევა, მეორეს მხრივ კი—უფრო პრიმიტიული სულიერი ორგანიზაციით. ამიტომაც ხანდახან პირველყოფილი ველურის შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე, მოულოდნელად რომ გამოტყვრა სადღაც ჯუნგლებში კი არა, ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის წიაღში, სწორედ იმ სკოლაში, რომლითაც ახე ამაყობდა გასული საუკუნე, შეგირდების სულს კი არ წვრთნიდნენ, არამედ თანამედროვე არსებობისათვის აუცილებელ საშუალებათა ფლობის ჩვევებს უნერგავდნენ მათ. ბავშვებს ასწავლიდნენ, როგორ გაეტარებინათ უფრო ინტენსიურად მთელი თავიანთი სიცოცხლე, მაგრამ არ ამზადებდნენ დიად ისტორიულ ამოცანათა გადასაჭრელად. მათ აიძულებდნენ ეამაყათ ცივილიზაციის მიღწევებით და დაუფლებოდნენ თანამედროვე ტექნიკას, მაგრამ არავითარ უურადღებას არ აქცევდნენ სულის აღზრდას. ამიტომ ჩვენს თანამედროვეს საერთოდ აღარ აინტერესებს სულიერი ფასეულობანი. ახალი თაობის წარმომადგენლები მზად არიან დღესვე შეუდგნენ ქვეყნის მართვას, თითქოს ის პირველქმნილი ედემის ბაღი იყოს, სადაც ადამიანს ჯერ კიდევ არ დაუდგამს ფეხი, და არა დიდი ხნის წინათ მომწიფებული და ძნელად გადასაჭრელი პრობლემებით სავსე შამბნარი.

ამრიგად, სწორედ XIX საუკუნის ეკუთვნის ეს პატივი. სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა ისტორიის ზედაპირზე უზარმაზარი ბრბოების ვულკანური ამოფრქვევისთვის. მაშასადამე, თუ გვინდა სწორად განვიხილოთ გასული საუკუნის მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში, სწორედ ამ მოვლენის პრიზმიდან უნდა განვიხილოთ იგი. როგორც ჩანს, რაღაც უჩვეულო, რაღაც უნიკალური იყო თვით იმ დროის ატმოსფეროში, რაკიდა მან შესძლო მოეცა ადამიანთა ეხოდენ უზარმაზარი მოხავალი. სასაცილო და მიუტევებელი თავჭარიანობა იქნებოდა, უპირატესობა მიგვენიჭებინა ამა თუ იმ ეპოქის სახელმძღვანელო პრინციპებისთვის, ვიდრე არ შევძლებდით დაგვემტკიცებინა, რომ მაშინაც ესმოდათ ამ მოვლენის აზრი და მნიშვნელობა. კაცობრიობის მთელი ისტორია გიგანტურ ლაბორატორიად წარმოგვიდგება, სადაც ტარდება ათასნაირი ექსპერიმენტი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმულის მისაღებად, რომელიც ხელს შეუწყობდა იმ მცენარის ზრდას, „ადამიანი" რომ ჰქვია სახელად. ნებისმიერი სხვა განმარტების თავიდან ასაცილებლად, სახელდახელოდ შემოგთავაზებთ ამ ექსპერიმენტთა მნიშვნელობის ჩვენეულ გაგებას: „ადამიანის" ჩითილებს ორნაირი სასუქით — ლიბერალური დემოკრატიითა და ტექნიკის გაფეტიშებით. რომ გავანაყოფიერებთ, სულ რაღაც ერთი საუკუნის განძილზე შეიძლება სამმაგად გავზარდოთ „ადამიანეულის"* მოხავალი ევროპაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ჯერ კიდევ შეგვრჩენია საღი აზრი, მოსახლეობის ეხოდენ სწრაფი ზრდის ფაქტმა შემდეგ დასკვნამდე უნდა მიგვიყვანოს: ჯერ ერთი, ტექნიკის გაფეტიშებამდე დაფუძნებული ლიბერალური დემოკრატია საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთესი ვარიანტია, რაც კი საერთოდ ცნობილია ისტორიაში; მეორეც, ის, რა თქმა უნდა, არ გვეელინება ადამიანთა თანაარსებობის ყველაზე სრულყოფილ ფორმად, მაგრამ თუ მოვინდომებთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უკეთესი ვარიანტი წარმოვიდგინოთ, მასში რაღაც არსებითი მაინც უნდა დარჩეს ამ ორი პრინციპიდან; მესამეც, კოლექტიური თვითმკვლელობა იქნებოდა ნებისმიერი მიბრუნება ცხოვრების იმ ფორმების მიმართ, რომლებიც წინ უსწრებდნენ XIX საუკუნეს. თუ ვაღიარებთ, რომ ყველა ეს არგუმენტი თავისთავადაც ცხადია, ზუსტად ისევე, როგორც ზემოხსენებული მოვლენის სიცხადე ვაღიარეთ, მე მოგიწოდებთ აღვიძრათ XIX საუკუნის წინააღმდეგ. ეჭვს გარეშეა, მასში იყო რაღაც უჩვეულო და უნიკალური, მაგრამ არანაკლებ უეჭველია ისიც, რომ მისთვის ნიშნეული იყო ერთგვარი დასაბამიერი ბიწიერება, რაღაც უკურნებელი და თანდაყოლილი დეფექტები, რაკიდა შესძლო კაცთა სრულიად ახალი ჯიში — ადამიანური მასა გამოეყვანა, განადგურებას რომ უქადის თვით იმ პრინციპებს, რომლებმაც არსებობისათვის გამოიწვიეს იგი. რაკიდა სწორედ ადამიანთა ამ ტიპს უწევს საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება (რა თქმა უნდა, თუ ის კვლავაც იმბრძანებლებს ევროპაში), როგორც ჩანს, ხაკმარისი იქნება უახლოესი ოცდაათი წელი, რათა ჩვენ კვლავ დავუბრუნდეთ ბარბაროსობის მდგომარეობას. ტექნიკის უკანასკნელი ხიბლენი და იურისპრუდენციის უახლესი მიღწევები ისევე სწრაფად გაქრებიან, როგორც ქრებოდნენ და კვლავაც ქრებიან წარმოების საიდუმ-

* სიტყვა ისევეა ნაწარმოები, როგორც „პუერეული", „ბალზეული", „ბოსტნეული", — მთარგმნ.

ლოებანი*. შესაძლებლობათა დღევანდელ ფართო არჩევანი მკვეთრად შეიზღუდება, მათი რაოდენობა შემცირდება, უწინდელი ძალმოსილება უბადრუკ უსწეობად იქცევა, ცხოვრება საბოლოოდ დაქვეითდება, დაილევა და დაიწრიტება. მასების ამბოხი იმ მოვლენის ანალოგია, რომელსაც რატომ „ბარბაროსების დაუოკებელი შემოსევა“ უწოდა, ამიტომაცაა ესოდენ არსებითი „ადამიანი-მასის“ ყოველმხრივი, ამომწურავი დახასიათება; ამ არსებას ხომ უნარი შესწევს როგორც ყველაზე დიდი ხიკეთის ქმნის, ისე ყველაზე დიდი ბოროტებისაც.

VI

ადამიანი-მასა: ანატომიური ჭრილი

მაინც რა განასხვავებს ადამიან-მასას, რომელიც დღეს განაგებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველნაირ გამოვლენას, როგორც პოლიტიკური, ისე არაპოლიტიკური ხასიათისას? რატომაა ისეთი, როგორიც არის? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ წარმოიშვა იგი? უმჯობესია ერთბაშად ეუპასუხოთ ორივე კითხვას, ეინაიდან ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან. ადამიანი, რომელიც დღეს ცდილობს სათავეში ჩაუდგეს ევროპულ ცხოვრებას, ბევრი რამით განსხვავდება ადამიანთა იმ ტიპისაგან, რომელიც მბრძანებლობდა XIX საუკუნეში, თუმცა მას მოვლენებას ამ ქვეყნად გასულმა საუკუნემ მოუშზადა ნიადაგი. 1820-შიც, 1850-შიც და 1880-შიაც ნებისმიერ შორსმჭვრეტელ კაცს, უმარტივეს აპრიორულ მსჯელობაზე დაყრდნობით, შეეძლო ეწინასწარმეტყველებინა ახლანდელი კრიზისული სიტუაცია. დღეს არაფერი ისეთი არა ხდება, ასი წლის წინათ რომ არ იყოს ნაწინასწარმეტყველები. „მასები შტურმზე გადმოდიან“, — ამოკალიპტური ტონით გვაფრთხილებდა ჰეგელი. „თუ ჩვენი რევოლუციური ეპოქა დახანჯავს არ დაუდებს ბოლოს ხულიერ ძალას, კატასტროფა გარდუვალია“, — წინასწარმეტყველებდა ოგიუსტ კონტი. „ვხედავ ნიჰილიზმის მოქცევას“, — გაიძახოდა ულვაშა ნიცშე, ენგადინის ჭალაში ელგარე. სწორი არ იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ისტორიის წინასწარმეტყველება შეუძლებელია; იგი მისი მსვლელობა ამდენჯერ იქნა ნაწინასწარმეტყველები. წინასწარმეტყველება მუოფადში რომ არ ინდეშოდეს, შეუძლებელი იქნებოდა მისი გაგება, როცა ის აწმყოში გადადის და ნამყოდ იქცევა. აზრი, რომლის თანახმადაც, ისტორია წარსულის კენ მიმართავს თავის წინ ხწარმეტყველებას, ისტორიის ნოველი ფილოსოფიის შემცველია. რა თქმა უნდა, მოსაველის მხოლოდ ზოგადი კონტურები თუ შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ. მაგრამ განა ამასვე არ ვხედავთ აწმყოშიც და წარსულშიაც? ამიტომ, თუ გინდათ ხწორად გაიგოთ მთელი ეპოქა, გარკვეული დისტანციიდან უნდა შეხედოთ მას. მაინც რანაირი დისტანციიდან? იმნაირიდან, რომ დაინახოთ კლეოპატრა, მაგრამ ვერ გაარჩიოთ მისი ცხვირი.

რა განასხვავებს ბრბოის ადამიანის ცხოვრებას, ბრბოისა, XIX საუკუნეში რომ წარმოიშვა და მას შემდეგ სულ უფრო და უფრო იზრდება? ჯერ ერთი, ის, თუ რა ადვილად წყვეტს ბრბოის კაცი ყველა მატერიალურ პრობლემას. ადრე საშუალო ადამიანს ნაძდვილად არ შეეძლო ასე ადვილად გადაეგრა თავისი ეკონომიკური პრობლემები. იმიხდა კეთილად, რაც უფრო მეტად მცირდებოდა მდიდრების ქონება, ხოლო წარმოებაში დასაქმებული მუშის ცხოვრება სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა, ბრბოის ადამიანის კეთილდღეობა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ საზოგადოებრივ კლასს ეკუთვნოდა იგი, განუსრულად იზრდებოდა. ყოველი დღე ახალ ზედმეტობას ამატებდა იმ სიკეთეთა სიას, რასაც ბრბოის კაცს სთავაზობდა მისი ცხოვრების დონე. დღითი-დღე ის სულ უფრო აშკარად გრძნობდა თავს მდგომარეობის ბატონ-პატრონად, სულ უფრო და უფრო ნაკლებ დამოკიდებული ხდებოდა სხვების აზრზე. რაც უწინ ბედის წყალობად ითვლებოდა და რისთვისაც მუსლმოდრეკით მადლობას უთვლიდნენ ზეცას, დღეს უკვე უფლებად იქცა, რასაც მადლიერების გრძნობით კი არ იღებენ, არამედ მოითხოვენ.

1900 წლიდან მოყოლებული, მუშაც იწყებს თავისი მატერიალური მდგომარეობის თანდათანობით გაუმჯობესებას. მაგრამ ამისათვის მას ბრძოლა სჭირდება. სახელმწიფო და საზოგადო-

* ჰერმან ვაილი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფიზიკოსი, აინშტაინის მეგობარი და მისი საქმის გამგრძელებელი, კერძო საუბრისას ხშირ-ხშირად იმეორებდა: საკმარისია უცებ გამოგეცლოდა ხელიდან ათი თუ თორმეტი წამყვანი მეცნიერი, და ჩვენ შეგვეძლო დაბეჯითებით დავამტკიცებინა, რომ ფიზიკის უკანასკნელი მიღწევები ნამუდამოდ დაკარგული იქნებოდა კაცობრიობისთვისაო. ვინ იცის, რამდენი საუკუნე დასჭირდა იმას, რომ ადამიანის ტვინი მოამზადებულიყო თეორიული ფიზიკის აბსტრაქტულ სიმთლეთა აღსაქმელად. ნებისმიერ შემთხვევით მოვლენას შეუძლია მტვრად აქციოს ადამიანური გონების ეს გამოგონებელი უნარი, რომელიც, ინვედროულად, მთელი ტექნიკური პროგრესის გარანტად გვევლინება.

ება, ორგანიზაციის ეს ხასწავლული, მას მაინც არ აძლევენ ამნაირი უზრუნველი არსებობის საშუალებებს, რითაც თავისუფლად ხარგებლობს ბრბოის ცალი. არსებობის ამ ეკონომიკურ უზრუნველყოფას დაუმატეთ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების გარანტიებიც. და, აი, ცხოვრება უკვე გატკეცნილი გზით მიგორავს, ასე რომ, მასში, ალბათ, გამორიცხულია რაიმე სახიფათო და მოულოდნელი. ესოდენ ბოლი და თავისუფალი არსებობის შედეგად მასაში თანდათანობით იბრდება შეგრძნება, რომელიც შეიძლება გამოხატულ იქნეს ჩვენი ძველი ხალხის ფრთიანი სიტყვით: „ვრცელია ჩვენი კახეთია“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრება, თავის ყველა გამოვლენაში, ადამიანმასას წარმოუდგება როგორც **ყოველგვარი აკრძალვისა თუ აღკვეთისაგან თავისუფალი.** ამ მოვლენის მნიშვნელობა გასაგები გახდება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ, რომ წარსულის ჩვეულებრივი „ხაშუალო“ ადამიანისათვის სრულიად უცხო იყო არსებობის ამნაირი ხიიოლის შეგრძნება. პირიქით, ცხოვრება მისთვის ხვედავხილობის ხანონიმი იყო, როგორც ეკონომიკური, ისე ფიზიკური თვალსაზრისითაც. A nativitate* ის განიცდიდა თავის არსებობას როგორც ათასნაირი აკრძალვის მძიმე ტვირთს, რომელიც თვითონ უნდა ეტარებინა, და მისთვის არ არსებობდა სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ შეგუებოდა ამ სიმძიმეს და უფრო მარჯვედ მოეგდო ზურგზე.

კონტრასტი კიდევ უფრო გამოკვეთილი მოგვეჩვენება, თუ მატერიალური სფეროდ ნ ხამოქალაქო და მორალური სფეროში გადავინაცვლებთ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ადამიანი-მასის წინაშე ერთიმეორის მიყოლებით იხსნება ყველა დაბრკოლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხაშუალო ადამიანისათვის ხაზოგადოებრივ ცხოვრებაში ალარ არსებობს არავითარი აკრძალვა, არაფერი არ აიძულებს მ ს, ლაკამი ამოსდოს თ ვის პრეტენზიებს, და ხშირად აქ იშლება მის წინაშე ეს „ჩვენი ვრცელი კასტილია“. ალარ არსებობენ არავითარი პრივილეგირებული ჯგუფები: „არც „კასტები“, არც წოლებები. ხაშუალო ადამიანს ესმის, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ადამიანს არასოდეს უცხოვრია ამნაირი ცხოვრებით, ამნაირ ვითარებაში. მაშასადამე, საქმე იქნება თვისებრივად ახალ მოვლენას, რომელიც გადაეწყვეტა ზემოქმედებას ახდენს მთელი კაცობრიობის ბედზე, და რომელშიც XIX საუკუნის წიაღში ჩანს თავი. ხალმა პრინციპმა შეუწყო ხელი ამ ახალი ხასიათის შექმნას: ლიბერალურმა დემოკრატიამ, მეცნიერულმა ექსპერიმენტირებამ და ინდუსტრიალიზაციამ; ეს ,ორი უკანასკნელი ერთ პრინციპზე დაიყვანება, რასაც ტექნიკიზმი ეწოდა ხასელად. ეს პრინციპები ანასულ ასწლეულში კი არა, ორი საუკუნით ადრე ალმოცენდნენ. XIX საუკუნის დასასასრულს [illegible] ნება კი არა, ცხოვრებაში [illegible] რაც ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ საკმარისი არ არის ამ ფაქტის მარტოოდენ აღიარება, უნდა ხვალი და პასუხისმგებლობაც იტვირთო მისი გარდუვალი შედეგებისთვის.

XIX საუკუნე რევოლუციური საუკუნე იყო. რევოლუციურ გადატრიალებად იმას კი არ უნდა ეთვლიდეთ, რომ ის აშბოხებაა ხალხთა არსებული წესრიგის წინააღმდეგ, არამედ იმას, რომ ის აშყარებს ტრადიციულის ხაპირისპირო ახალ წესრიგს. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ადამიანი-მასა, რომელსაც დასაბამი დაუდო XIX საუკუნემ, ხაზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ სხვანაირად აღლენს თავს, ვიდრე წინარე ეპოქათა ადამიანები. რა თქმა უნდა, XVIII საუკუნის „ხაზოგადოებრივი“ ადამიანი განსხვავდება ადამიანთა იმ ტიპისაგან, რომელიც ჭარბობს XVII თუ XVI საუკუნეების ხაზოგადოებრივ ცხოვრებაში. და მაინც, თუ მათ შევადარებთ ადამიანთა ახალ ტიპს, ყველანი ძმები გეგონებათ, იმდენად მსგავსნი და არსობრივად იდენტურნი არიან ისინი. ყოველი ისტორიული ეპოქის „პლებისათვის“ „ცხოვრება“, უწინარეს ყოვლისა, სხვა არა არის რა, თუ არა შეზღუდვები, მოვალეობანი, დაშოკიდებულებანი, ერთის სიტყვით, — ზემოქმედება, ან თუ გნებავთ, — კერძობა, იმ პირობით, თუ არ დაივწყებთ, რომ აქ იგულისხმება არა მარტო იურიდიული ან სოციალური, არამედ კოსმიური ცხოვრებაც. ეს უკანასკნელი კი ყოველთვის არსებობდა და მაოლოდ ამ ახი წლის წინათ დაიწყო კვდომა. ხწორედ ამ დროიდან იწყება ეგრეთწოდებულ სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდის აბსოლუტურად შეუწყვეტელი გავრცელება როგორც ფიზიკურ, ისე ადმინისტრაციულ სფეროშიც. უწინ თვით ძლიერთაც კი ამა ქვეყნისა წუოისოდელი ათასგვარი უბედურების, ხვედავხილობისა და ხაზარელ ქარტეხილთა ხათარეშოდ მიაჩნდათ.*

ადამიანი-მასისათვის, მისი დაბადების დღი-

* დაბადებითვე (ლათ.).

* უწინ, რაგინდ მდიდარიც არ უნდა ყოფილიყავი კაცი, მთელი იმ განცხრომისა თუ ფუფუნების რაოდენობა, რაც შეიძლებოდა ფულით ეყიდა, საკმაოდ შეზღუდული გახლდათ. კაცობრიობის უმეტესი ნაწილის ხვედრი სი-

დანვე, გარემომცველ სამყაროში აღარ არსებობს არავითარი დაბრკოლება, არავითარი შეზღუდვა, არავითარი აკრძალვა. პირიქით, მთელი გარემომცველი სინამდვილე კიდევ უფრო უმძაფრებს მადას, რომელიც დღითიდღე იზრდება. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს ცხოვრება არა მარტო უკეთაა აღჭურვილი ტექნიკური თვალსაზრისით, არა მარტო მეტ შესაძლებლობას ანიჭებს ადამიანს, არამედ იმის ურყევ რწმენასაც უნერგავს, რომ ხვალინდელი დღე უფრო მდიდარი, უფრო უკეთესი და მრავალფეროვანი იქნება, ვიდრე დღევანდელი. და ადამიანს ჰგონია, რომ არსებობის სამყარო უსასრულოდ ფართოვდება. თვით დღესაც კი, როცა ხვალინდელი დღის ურყევ რწმენას პირველი ბზარი გაუჩნდა, ძალზე ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ავტომობილი ხუთი წლის შემდეგ უფრო იაფი ელირება და უფრო კომფორტულიც იქნება, ვიდრე დღეს. პროგრესის გარდუვალობა ისევე სწამთ, როგორც მზის ჩასვლა თუ ამოსვლა. მაგრამ ეს მსგავსება პირწმინდად ფორმალურია. როგორც ტექნიკური, ისე სოციალური თვალსაზრისითაც ესოდენ სრულყოფილ სამყაროში რომ აღმოჩნდა, ადამიან-მასას ჰგონია, თითქოს ეს სამყაროც ბუნების მიერაა შექმნილი, და ერთხელაც არ დაუფიქრდება იმას, თუ რა დაუჯდა ეს პროგრესი გენიალურ მარტოსულებს. მისთვის კიდევ უფრო ნაკლებად დასაშვებია აზრი იმის შესახებ, რომ ყველა ეს გამოგონება თუ გაუმჯობესება, ყველა სიახლე თუ მიღწევა, მოკლედ, მთელი ის სიკეთე, რაც უზრუნველყოფს მის კეთილდღეობას, — მაღალი ადამიანური ფასეულობების ცხოვრებაში განხორციელების შედეგია, და რომ საკმარისია მცირეოდენი შეცდომა თუ შეცოდება, რათა ტექნიკური პროგრესის მთელი ეს დიდებული შენობა ჰაერში აფრინდეს და ნამსხვრევებად მიმოიფანტოს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია თანამედროვე ადამიან-მასის ფსიქოლოგიურ დიაგრამაზე ორი პირველი წერტილი აღვნიშნოთ: ჯერ ერთი, მისი სასიცოცხლო მისწრაფებების თავისუფალი გავრცელება, ანუ, ხხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი პიროვნების რეალიზაცია, და, მეორეც, სრული უმადურობა ყოველივე იმის მიმართ, რამაც შესაძლებელი გახადა მისი არსებობა. ერთიც და მეორეც დამახასიათებელია განებივრებული ბავშვისათვის; ეს ბავშვი თანამედროვე ადამიანია. არ შეცდება, ვინც ამ დიაგრამას იმისთვის გამოიყენებს, რომ უკეთ ჩასწვდეს ადამიანი-მასის სულს. ხანგრძლივი და, შთაგონებითა თუ ძალთა დაძაბულობით, გენიალური წარსულის მემკვიდრე — დღევანდელი ბრბო განებივრებულია თავისი გარემომცველი სამყაროს მიერ. ვისიმე განებივრება იმას ნიშნავს, რომ არაფრით არ ზღუდავდე მის სურვილებს, ყველაფრის საშუალებას აძლევდე და არაფერს ავალდებულებდე. ამნაირი აღზრდის შედეგია ის, რომ ადამიანი თავისი ხაკუთარი ძალის შეფასების უნარსა კარგავს. რაკი არც ვინ რას აიძულებს და არც სერიოზულად უპირისპირდება ვინმე, ადამიანი თანდათნობით უკიდურესად თავდაჯერებული ხდება, როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, არავითარ ანგარიშს აღარ უწევს სხვებს და ყველაზე უკეთესი ჰგონია თავი. თანამედროვე ადამიანი მხოლოდ მაშინ აღიარებს ვისიმე უპირატესობას, თუ ეს უკანასკნელი იმდენის შემძლე გამოდგა, რომ აიძულოს იგი, ამა თუ იმ სურვილზე აიღოს ხელი, ლაგამი ამოხდოს თავის მისწრაფებებს და სხვის ნებას დაემორჩილოს. განებივრებული ადამიანი მხოლოდ მაშინ შეიგნებს უმნიშვნელოვანეს ჭეშმარიტებას: „აქ მთავრდება ჩემი „მე". და იწყება ვიღაც სხვა. ეს „სხვა", ეტყობა, ჩემზე მაღლა დგას". წარსულის ყველა ეპოქაში ყოველდღიური არსებობის გამოცდილება ადამიანს აიძულებდა, დაეზეპირებინა ეს მარტივი ჭეშმარიტება. წარსული სამყარო ისე ტლანქად შეკონწიწებული გახლდათ, რომ იქ ხშირად ხდებოდა კატასტროფები, მისთვის უცხო იყო არსებობის ყოველგვარი უზრუნველყოფა, სიუხვე და სტაბილურობა. დღეს კი ადამიანი-მასა თავის წინაშე უსაზღვრო შესაძლებლობათა კრიალა ჰორიზონტს ხედავს. რაღაცის მიღწევას არავითარი ძალისხმევა არ სჭირდება, ყველაფერი გარანტირებულია და ადამიანის განკარგულებაში გადაცემული; ისე მზე ყოველდღე თავისით ამოდის ცის თავანზე, ჩვენ როდი გვჭირდება მისი ამოყვანა. არცერთი კაცი მადლობას არ უხდის მეორეს ჰაერის გამო, რომლითაც სუნთქავს, რადგანაც ჰაერს არსად არ ამზადებენ; ჰაერი ისაა, „რაც ყოველთვის არის", ან „რაც ბუნებით არსებობს". გა-

---

ღატაკე იყო. ადამიანი-მასის ცხოვრებას დღეს უკვე აღარ ეთქმის „მძიმე"; მისი არსებობა უფრო უზრუნველყოფილია და კომფორტაბელური, ვიდრე ოწან ნებისმიერი მდიდარი კაცის ყოფა. რა მნიშვნელობა აქვს მისთვის, სხვებზე უფრო მდიდარია თუ არა, რაკიღა საზოგადოებრივი კეთილდღეობა საშუალებას აძლევს ისე ისარგებლოს საუცხოო გზატკეცილებითა თუ რკინიგზებით, სატელეფონო კავშირითა თუ სასტუმროებით, თითქოს მისი პირადი საკუთრება იყოს; იმავდროულად, უზრუნველყოფს მის ფიზიკურ ხელშეუხებლობას და ასპირინითაც ამარაგებს?

ნებივრებული მასები, ეტყობა, ძალიან ბრიყვები არიან, რაზან ჰგონიათ, რომ საზოგადოების მთელი ეს ურთულესი მატერიალური და სოციალური ორგანიზაცია ისეთივე ბუნებრივი წარმომავლობისაა, როგორც ჰაერი, რაკილა უოველთვის არსებობს, ისეთივე მუდმივი და თითქმის ისევე სრულქმნილი.

ჩემი თეზისი ასეთია: XIX საუკუნემ შესძლო სრულყოფილებამდე მიეყვანა საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი ინსტიტუტი, რაც იმისი მიზეზი გახდა, რომ მასები, რომლებმაც მხოლოდ მოიგეს ამით, ხელოვნურ წარმონაქმნად კი არ მიიჩნევენ, არამედ ბუნებით არსებულად სახავენ მათ. ახლა კი შეგვიძლია ავხსნათ მასების სულის სულელური მდგომარეობა: ერთის მხრივ, მათ აღელვებთ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა, მეორეს მხრივ კი სულ სხვადასხვანაირ ახსნას უძებნიან მას. მასები ცივილიზაციის სიკეთეს არ აღიქვამენ როგორც დიად აღმოჩენათა თუ გამოგონებათა ნაყოფს და ხანგრძლივი აღმშენებლობითი საქმიანობის რეზულტატს, მათ აზრადაც არ მოსდით, რომ ცივილიზაციის შენობა წარმოუდგენელ ძალისხმევასა და საგანგებო გულმოდგინებას ემყარება. მასების წარმოდგენით, მათი საკუთარი ისტორიული როლი იმაზე დაიყვანება, რომ გამუდმებით მოითხოვდნენ სულ უფრო და უფრო მეტ კეთილდღეობას, თითქოს ეს მათი ბუნებით თანდაყოლილი უფლება იყოს. შიმშილობისას სახალხო ამბოხება იწყება, და მაშინ, პურის ძიებისას, გაშმაგებული ბრბო ხამეპუროებს ანადგურებს. ამნაირი ამბოხებანი იმ ტაქტიკის ნიმუშებად გვევლინებიან, რასაც მიმართავენ თანამედროვე მასები, მაგრამ უკვე გაცილებით უფრო მეტი დახვეწილობითა და განუზომლად უფრო დიდი მასშტაბით, რათა ძირი გამოუთხარონ იმ ცივილიზაციას, რომლის მიღწევებითაც თვითონ საზრდოობენ.*

---

* თუ ნებას მივცემთ მასას (სულერთია, „ჰლებეური" წარმომავლობისა იქნება იგი თუ „არისტოკრატულის"), თავისი მიდრეკილების მიხედვით იმოქმედოს, მისთვის ნიშნეული სასიცოცხლო იმპულსით ის შემუსრავს თვით საკუთარი არსებობის საფუძვლებსაც. იმ პრინციპის ქმედითობის სასეირო კარიკატურად, რომლის თანახმადაც, „propter vitam, vivendi perdere causas". („სიცოცხლის გულისათვის ანადგურებენ თვით ამ სიცოცხლის მიზეზებს"), ჩემის აზრით, გვევლინება ერთი შემთხვევა, რაც 1759 წლის 13 სექტემბერს, კარლოს III-ის კორონაციის დღეს მოხდა სოფელ ხახარში, ალმერიის მახლობლად რომ მდებარეობს: „სოფლის მოედანზე წაკითხულ იქნა ბრძანება, ამის შემდეგ ბრბოს ჩამოურიგეს 77 აროობა ღვინო და ოთხი ტიქვორა არაყი, რამაც ისე აღაგზნო ხალხი, რომ „ვაშას" ბღავილით გაემართნენ ბეღლებისაკენ, საიდანაც დაიტაცეს მთელი ხორბალი და სალაროდან მოიპარეს 900 რეალი. შემდეგ ისინი გაეშურნენ თამბაქოს დუქნისაკენ და აიძულეს მედუქნეები, მთელი ნავაჭრი თანხა და თამბაქო მიეცათ მათთვის. ისინი აიძულებდნენ ქალებს, მთელი თავიანთი ავლადიდება გამოეტანათ სახლებიდან, რაც სანაქებო უანგარობით იქნა აღსრულებული, ასე რომ სახლებში აღარ დარჩა აღარც პური, აღარც ხორბალი, აღარც ფქვილი, აღარც ქერი, აღარც თეფშები, აღარც ქვაბები, აღარც ფილები, აღარც სკამები, — ასე იქნა გაძარცვული მთელი სოფელი". (ასე სწერია ერთ იმდროინდელ დოკუმენტში, რომელიც სენიორ სანჩეს დე ტოკას კოლექციაში ინახება და მოტანილია დონ მანუელ დანვილის წიგნში „კარლოს III-ის მეფობა" ტ. II-ის გვ. 10 , შენ. 2). ეს სოფელი იმდენად აღივსო ქვეშევრდომული გრძნობებით, რომ თვითონვე გაინადგურა თავი. ჰოი, ნიბარის ღირსეულო მცხოვრებნო! მომავალი თქვენია, თქვენი!

VII

რჩეული უმცირესობის ცხოვრება, ანუ მოძრაობა. ბრბოის ცხოვრება, ანუ ინერცია

ჩვენ იმნაირები ვართ, რანაირებიც — გვაქცევს სამყარო. თუ ჩვენს სულს [illegible] შევა დარებთ, მაშინ სამყარო ყალიბი იქნება, რომელშიაც სული ჩამოიხხმება და რომლის ფორმასაც იგი ინახავს. ეჭვს გარეშეა, რომ არსებობის პროცესი სამყაროსთან ურთიერთობის პროცესია. როგორიცაა საქმის ვითარება ამ ქვეყნად, ისეთივე ვითარება იქნება ჩვენს ცხოვრებაშიც. ასე საგანგებოდაც სწორედ იმიტომ გამოვყოფ ამ ფაქტს, რომ სამყარო, რომელმაც დახაბამი მისცა თანამედროვე „ადამიან-მასას", სრულიად სხვა, ისტორიაში დღემდე უცნობი სამყაროა. წინა საუკუნეებში „საშუალო" ადამიანისათვის „ცხოვრება" ათასნაირი სიძნელის, საფრთხის, გაჭირვების, ბედის უკუღმართობისა თუ დამოკიდებულების დაძლევასა და გადალახვას ნიშნავდა. დღეს კი სამყარო წარმოგვიდგება როგორც პრაქტიკულად შეუზღუდავ შესაძლებლობათა სფერო, სადაც შეუძლებელია მოხდეს რაღაც საშინელება და სადაც არავინ არავიზე არ არის დამოკიდებული. ესაა ჩვენი თანამედროვის მიერ მიღებული პირველი შთაბეჭდილება, რო-

შელიც შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება და ისევე აყალიბებს მის ხულს, როგორც მისი წინაპრების ხულს აყალიბებდა ხრულიად სამირისპირო მსოფლიოში. ასეთია ადამიანის ძირითადი ცხოვრებისეული შთაბეჭდილება, რომელიც მისი არსების ინტიმურ სიღრმეში მოჩურჩულე შინაგან ხმად იქცევა, დარწმუნებით რომ ჩასჩურჩულებს ცხოვრების მიბეულ გზებსახრაც, იმავდროულად, სიცოცხლის იმპერატივად გვევლინება. მაგრამ თუ უწინ ეს ხმა ჩურჩულებდა: „ცხოვრობდე, ნიშნავს ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობდე, რარიგად შეზღუდული ხარ, და ამიტომ ყოველთვის ითვალისწინებდე ამ შეზღუდულობასო“, ახლა ის კი არ ჩასჩურჩულებს, არამედ ჩაჰძახებს: „ცხოვრობდე, ნიშნავს არ განიცდიდე არავითარ შეზღუდულობას“. ის გვაბრუებს თავისი ყალბი რჩევით, სიფხიზლეს გვიღუნებს და გვაკარებინებს: „ცხოვრება არ შეიცავს არავითარ საფრთხეს, პრაქტიკულად ყველაფერი შესაძლებელია, მოიქეცით ისე, როგორც მოგეპრიანებათ; ამ ქვეყნად არავინაა და არც შეიძლება იყოს თქვენზე უკეთესი“.

ეს ცხოვრებისეული გამოცდილება, როგორც ჩანს, ძირეულად ცვლის ადამიან-მასის მარადიულ, ტრადიციულად ჩამოყალიბებულ კონსტიტუციას. უწინ მას შეგნებული მქონდა, რომ ბედი იმთავითვე უმზადებდა ათასნაირ მატერიალურ გაჭირვებას, ის გრძნობდა თავის დამოკიდებულებას ადამიანებზე, რომლებსაც ცხოვრებაში უფრო მაღალი თანამდებობები ეჭირათ. ცხოვრება მისთვის სწორედ ეს იყო, თუ როგორმე გაიუჯობესებდა მდგომარეობას და სახაზოგადოებრივი პიერარქიის კიბეზე ორიოდე საფეხურით ამაღლებას მოახერხებდა, თავისი წარმატება ბედის წყალობად მიაჩნდა. ანდა ყველაფერს ნების არნახული ძალისხმევით აღწევდა, და მხოლოდ მან ერთმა იცოდა, რა დაუღლა ეს. ორივე შემთხვევა გარეგნობათა უჩვეულო დამთხვევის წყალობით განპირობებული გამონაკლისი გახლდათ.

დღეს კი ადამიან-მასას ყოველს ნებადართულობა ბუნებრივ, თუმცა, ინაგდროულად, კანონით დადგენილ მდგომარეობადაც მიაჩნია. აქ უკვე ლაპარაკიც კი ზედმეტია გარეგნობათა უჩვეულო დამთხვევაზე. ადარაფერი აღარ აიძულებს ადამიან-მასას აღიაროს რაიმე შეზღუდვის არსებობა და ანგარიში გაუწიოს სხვებს, უწინარეს ყოვლისა კი, იმ ხალხის აზრს, ვისაც ხაზოგადოებაში, მასთან შედარებით, უფრო დიდი გავლენა აქვს. ჩინელ გლეხს ამ უკანასკნელ დრომდე სჯეროდა, რომ მისი კეთილდღეობა იმპერატორის პირად სიკეთეზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც მთელი მისი სიცოცხლე მიმართული იყო ამ უზენაესი ძალისაკენ, რომელიც განსაზღვრავდა მის ცხოვრებას. მაგრამ ადამიანს, რომელსაც ჩვენ ვაანალიზებთ, უკვე ბატონი სჩვევია, ეიხმეს ანარქიტმეს ნიშანდებულს, მაგრამ თავისი საკუთარი ანარქიტმეა. ადამიანი-მასა ისედაც კმაყოფილია თავისი თავით; მას მოსწონს იყოს ისეთი, როგორც არის. და, ჯერ, რაკი არ ეშინია, ვაითუ ცუდუნური და უსაფუძვლოდ გამოჩნდეს, ის თავდაჯერებული ითვლის დაუფიქრებლად ენის ყველაფერს, რაც კი რამ არის ამ ქვეყნად: აზრებს, სურვილებს, მიდრეკილებებს, გემოვნებებს. რაც-ღაც-ეს-ეს აკი ირევეთ და არავერი არ ცდილობს შეავნებინოს, რომ ის გონებაშეზღუდული კაცია, მეორეხარისხოვანი ადამიანი, ვისაც ამ ხაზოგადოებრივი ორგანიზაციის არც შექმნა შეუძლია და არც შენარჩუნება, რომელმაც დასახლება მისცა ამ თვდაჯერებულობას და რომელიც ესოდენ მრავალფეროვანსა და ხახიანოვნოს ხდის მის სიცოცხლეს.

გარეგნობანი რომ არ აიძულებდნენ, ადამიანი-მასა არახოლეს მიმართავდა ეინშეს, გარეგანი საკუთარი თავისა. და რაკი ამგვარად გარეგნობანი არ აიძულებენ ასე მოიქცეს მარადიული და წარუვალი ადამიანი-მასა, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი შუნების სიმტკიცე, საერთოდ აღარ მოუსმენს ეინშეს და საკუთარი ცხოვრების სრულ ბატონ-პატრონად მიაჩნია თავისი თავი. ადამიანი-მასისგან განსხვავებით, კაცი, რომელიც რჩეულ უმცირესობას ეკუთვნის, გამუდმებით გრძნობს შინაგან მოთხოვნილებას, მაღალ ეთიკურ ფასეულობებს მიუსადაგოს თავისი სიცოცხლე და ნებაყოფლობით ემსახუროს მათ. თუ გახსოვთ, ჩვენი მსჯელობის დასაწყისში უკვე დავადგინეთ განსხვავება რჩეულ უმცირესობის ადამიანსა და ადამიან-მასას შორის. როცა ელაპარაკობდით იმაზე, რომ ადამიანი, რომელიც რჩეულ უმცირესობას ეკუთვნის, ძალიან ბევრს მოითხოვს თავისი თავისაგან, მაშინ როდესაც ადამიანი-მასა არავითარ მოთხოვნებს არ უყენებს თავს და ხასხებით კმაყოფილია თავისი თავით.* თავს ნებას მიეცემ ერთი აზრი გავიზიაროთ, რომელიც აშკარად უპირისპირდება ხაყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებას: მონობა მახისთვის კი არაა ყოფიერების არსი,

* ინტელექტუალური თვალსაზრისით, ადამიანი-მასა იქნება ის, ვინც რაიმე პრობლემის გადაწყვეტისას იმ აზრს სჯერდება, პირველად რომ მოუვა თავში; „რჩეულად“ კი, ამ შემთხვევაში, ის უნდა მიგვაჩნდეს, ვინც არ ენდობა ანასდეულად გაელვებულ აზრს და მხოლოდ იმას მიიჩნევს ღირსეულ აზრად, რომელსაც ადვილად ვერ მოიფიქრებს და რომელიც დიდ გონებრივ ძალისხმევას მოითხოვს.

არამედ „რჩეულთათვის", რომელთაც ფუჭი ეჩვენებათ მთელი თავიანთი ცხოვრება, თუკი ვერ შეხძლებს მაღალი მოთხოვნებისათვის დაექვემდებარებინათ იგი; ამიტომ კეთილშობილი კაცი კართებად როდი აღიქვამს მაღალი იდეალებისადმი სამსახურის მოთხოვნილებას, როცა ის ვერ პოულობს საკმარის პრინციპებს, რომლებისთვისაც შეეძლო თავისი სიცოცხლე მიეძღვნა, მანამდე ვერ მოისვენებს, სანამ ახალ, კიდევ უფრო ძნელად განსახორციელებელ მოთხოვნებს არ გამოუგონებს საკუთარ თავს და მათ სამსახურში არ ჩააყენებს მთელ თავის უნარსა და შესაძლებლობას. ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ცხოვრება, უწინარეს ყოველისა, სულის დისციპლინაა. არისტოკრატიას მისი უფლებები კი არ განასხვავებს დანარჩენთაგან, არამედ საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, ანუ, რაც იგივეა, მოვალეობა: noblesse oblige* „განცხრომისათვის ცხოვრება პლებსსა სჩვევია, კეთილშობილი კაცი ცდილობს მაღალ მოთხოვნებსა და კანონებს დაუმორჩილოს თავისი სიცოცხლე" (გოეთე). არისტოკრატიამ თვითონვე მოიპოვა თავისი პრივილეგიები; არცერთი პრივილეგია ნაჩუქარი თუ ნაწყალობევი არ ყოფილა. პრივილეგიები, არსებითად, იმასა ნიშნავს, რომ პრივილეგირებულ კაცს შეუძლია იბრძოლოს მათი გულისთვის, თუ ვინმე სადაოდ გახდის მის უფლებას, ან იმას, რომ ამ კაცს უნარი შესწევს, თუ საქმე საქმეზე მიდგა, ყოველ წამს უკანვე დაიბრუნოს თავისი პრივილეგიები**. კერძო უფლებები და ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲔᲑᲘ ბედის წყალობა კი არ ყოფილა, არამედ — განსაკუთრებით მნიშვნელოვან დამსახურებათა ხაზღაური. საერთო უფლებები — ვთქვათ, უფლებები „ადამიანისა და მოქალაქისა", — უძრავი ქონება, წმინდა მოგება და შემოსავალი, ბედის უშურველი წყალობა, რაც ყოველ ადამიანს წილად ხვდება ცხოვრების გზაზე. ამ უფლებების მოსაპოვებლად საჭირო არ არის არავითარი ძალისხმევა, მათი გამოყენება ნორმალური ადამიანისათვის ისევე ბუნებრივია, როგორც სუნთქვა, ან სრულ ჰკუაზე ყოფნა. ამრიგად, მე ვიტყოდი, რომ უპიროვნო უფლება თავისთავად არსებობს, პიროვნული უფლება კი მუდმივ დამკვიდრებას მოითხოვს.

---

* კეთილშობილება ᲒᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ (ფრანგ.).

** იხ. ჩემი შრომა „ესპანეთი მალების გარეშე", 1927, გვ. 156, თავი „შერჩევის იმპერატივი".

ისეთი მშვენიერი გამოთქმა, როგორიცაა „კეთილშობილური წარმომავლობა", სრულიად დისკრედიტირებულია საყოველთაო ცხოვრებისეულ ლექსიკაში. სამწუხაროდ, ასეა. იმის გამო, რომ ბევრს ეს გამოთქმა „წმინდა სისხლის" სინონიმად მიაჩნია, „წმინდა სისხლისა", რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა თაობებიდან „თაობებს, „კეთილშობილური წარმომავლობის", ცნება „ᲡᲘᲛᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ" იქნა გაიგივებული, რის შედეგადაც ინერტულ და პასიურ თვისებად იქცა, სათამაშოსავით რომ გადადის ხელიდან ხელში. მაგრამ გამოთქმაში „კეთილშობილური წარმომაველობა" ეტიმოლოგიურად მოცემულია ერთგვარი დინამიკა. „კეთილშობილი" იგივეა, რაც „ცნობილი": დიას, ყველასათვის ცნობილი, სახელოვანი, სახელგანთქმული, იმდენად სახელგანთქმული, რომ შეხძლო გამორჩეულიყო უსახელო და უსახო ბრბოიდან. ამრიგად, „კეთილშობილი" — „ძლიერია" და „გაბედული". შვილის კეთილშობილება თუ დიდება კი უკვე წყალობაა. შვილის სახელი მამის სახელის ანარეკლია. და მართლაც, კეთილშობილური წარმომავლობა სარკეში არეკლილ სინათლეს ჰგავს; ესაა წინაპართა ძალებზე აღმოცენებული სახელი, მინავლული ღირსება, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს ცოცხალი ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ და დინამიური, თუ შეხძლებს მემკვიდრეობაში გააგრძელოს წინაპართა სახელოვანი სულისკვეთება, და მაინც, თვით მაშინაც კი noblesse oblige კეთილშობილი საგვარეულოს ფუძემდებელი თვითონვე იღებს ვალდებულებას, მის მემკვიდრეს კი წარმომაველობა უწესებს ვალად კეთილშობილურ ქცევას და მაინც, არის გარკვეული არათანმიმდევრულობა იმაში, რომ „კეთილშობილება" მემკვიდრეობით გადაეცემა. ამ თვალსაზრისით, ჩინელები უფრო ლოგიკურნი არიან, რადგანაც, მათი ტრადიციით, კეთილშობილება მამიდან შვილს კი არა, პირიქით, შთამომავლებიდან წინაპრებს გადაეცემა; შვილი, რომელმაც ასახელა მამის გვარი, მთელ საგვარეულოს აკეთილშობილებს: ერთი ღირსეული ადამიანის შარავანდედი წინაპართა აჩრდილებსაც ანათებს. ამიტომ კეთილშობილების ხარისხი ჩინეთში იმ თაობათა რაოდენობით განისაზღვრება, რომელნიც გააკეთილშობილა ღირსეულმა შთამომავალმა: ზოგი მხოლოდ ᲛᲨᲝᲑᲔᲚ მამას აკეთილშობილებს, ზოგიერთის დიდება კი წინაპართა მეხუთე და, ახლა განსაჯეთ, თვით მეათე თაობასაც კი ვრცელდება. ჩინელთა წინაპრები ჩვენი თანამედროვის ხარჯზე განაგრძობენ არსებობას, ამნაირ კეთილშობილებას მეტი აზრი აქვს, ის

ქმედითია, რადგანაც **წარსულის ფაქტი კი არ არის არამედ აწმყოსი.***

„კეთილშობილება", ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მხოლოდ რომის იმპერიის დაცემის ხანაში იჩენს თავს, — სწორედ იმ მიზნით, რომ დაუპირისპირდეს „წმინდა სისხლის" არისტოკრატიის ცნებას, არისტოკრატიისა, რომელიც უკვე გადაგვარების გზას აღგას.

ჩემთვის „კეთილშობილება" ეგზისტენციალურად სიხლსავსე არსებობის სინონიმია. მოვალეობის მისეული გაგებით რომ ხელმძღვანელობს, კეთილშობილი კაცი ცდილობს თავის „მე"-ზე ამაღლდეს და პიროვნული არსებობის ფარგლებსაც გასცდეს. ამრიგად, კეთილშობილი ადამიანის ცხოვრება ძირეულად უპირისპირდება ჩვეულებრივი „საშუალო" ადამიანის ყოფას, ადამიანისა, **რომელიც თვითონვე** უსჯის თავის თავს საკუთარი არსებობის იმმანენტურ დილეგში გამომწყვდევას, და ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს, დაუფიქრდეს თავის მდგომარეობას და ამ დილეგიდან გაქცევა სცადოს. ამიტომ როცა არსებობის მოდუსს ჩვენ ვუწოდებთ „მასიურს", ცნების რაოდენობრივ სახეობას კი არ ვგულისხმობთ, არამედ მხოლოდ მის იმნაირ თვისებას, როგორიცაა „ინერტულობა".

რაც უფრო დიდხანს ცოცხლობ და უკვირდები სხვის ცხოვრებას, მით უფრო ხშირად ამჩნევ, რომ ადამიანთა უმრავლესობას ნებელობისმიერი ძალისხმევის არავითარი უნარი არ გააჩნია, გარდა იმისა, რაც გარეგანი აუცილებლობის უშუალო საპასუხო რეაქციად გვევლინება. სწორედ ამიტომაა ესოდენ შთამბეჭდავი და მეხსიერებიდან ამოუშლელი ნებისმიერი ამ ღლებული სწრაფვა თუ კეთილშობილური საქციელი; ასე იქცევიან მხოლოდ რჩეულნი, ეგზისტენციალურად კეთილშობილი ადამიანები. მათთვის „ცხოვრება" აქტიურ მოქმედებას ნიშნავს და არა იმას, რომ უკუქმედებით პასუხობდნენ ზემოქმედებას. მათი ცხოვრება მუდმივი დაძაბულობაა და საკუთარი თავის განუწყვეტელი სრულყოფა. საკუთარი თავის სრულყოფა იგივეა, რაც ასკეზისი. ეს ადამიანები ასკეტები არიან."**

თუ შეიძლება, ნუ განგაცვიფრებთ ეს მოულოდნელი გადახვევა თემიდან. იმისათვის, რომ შოვხაზოთ თანამედროვე ადამიანი-მასის ესკიზი (ადამიანისა, რომელიც თავისი ტიპის ხალხის ყველა უწინდელ ნაშან-თვისებას რომ ინარჩუნებს, დღეს ცდილობს რჩეულთა შორის დაიმკვიდროს ადგილი), აუცილებელია უნდა გავამახვილოთ იმაზე, [illegible] ადამიანთა ორი „წმინდა [illegible], რომელთა შერწყმაც დახასიათებს ძალუძს ესოდენ „მღვრიე" არსებას: ჩვეულებრივი, ისტორიაში უწინაც კარგად ცნობილი ადამიანი-მასისგან და ეგზისტენციალურად კეთილშობილი, სულით ძლიერი ადამიანისაგან.

ახლა კი შეგვიძლია ავაჩქაროთ ჩვენი მსჯელობის ტემპი, რაკიდა უკვე ხელთა გვაქვს ის, რაც, ჩემის აზრით, ფსიქოლოგიურ ფორმულად, იმ სახესხვაობის ერთგვარ გასაღებად გვევლინება, რომელიც ეპარება დღევანდელ ცხოვრებაში. ჩვენმა საუკუნემ, იმ სახით, როგორითაც ის ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში, დასაბამი მისცა ადამიანის ახალ ტიპს, ურიცხვი სურვილი თუ მოთხოვნილება ჩაუნერგა მას და, იმავდროულად, შექმნა მათი დაკმაყოფილების ათასგვარი საშუალება. ეს ეხება როგორც ეკონომიკურ, ისე ფიზიკურ უზრუნველყოფას: სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, სამედიცინო მომსახურების გაცილებით უფრო მაღალი დონე და საზოგადოებრივი მმართველობის საშუალებანი, ესე იგი, უზარმაზარი ზერელე ცოდნა და სამყაროში ორიენტირების უნარი, — ყოველივე ამას მოკლებულნი იყვნენ ადამიანი-მასის წინაპრები. ასეთია ჩვენი დროის რენტგენის სურათი; ყოველივე დანარჩენი მხოლოდ და მხოლოდ დასკვნა იქნება, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ ამ სურათის გაშიფვრის შემდეგ. XIX საუკუნემ ადამიანს თვალწინ გადაუშალა ურიცხვი შესაძლებლობანი და თავისი თავის ამარა მიატოვა იგი. და მაშინ, საშუალო ადამიანი, თავისი ბუნებრივი მიდრეკილებისამებრ, საკუთარ თავში ჩაიკეტა. დღეს მასა გაცილებით უფრო დიდი ძალაა, ვიდრე ოდესმე. ტრადიციული ბრბოისაგან განსხვავებით, ის იმდენად კმაყოფილია თავისი თავით, რომ საერთოდ აღარ შერჩა უნარი, ყური ითხოვოს სხვის აზრს, მერმეტულად ჩაიკეტა თავის თავში და არავის აღარ ემორჩილება.* თუ ასე გაგრძელდა, ევროპაში და, მაშასადამე, მთელ მსოფლიოშიც, მასები საერთოდ უარს იტყვიან ყოველნაირ მორჩილებაზე. თუმცა ამ რთულ ვითარებაში, რომელ-

* იხ. „სახელმწიფოს სპორტული წარმომავლობა".

** რაკიღა ზემოთ საქმე ეხებოდა იმას, რომ სიტყვისთვის „კეთილშობილება" მისი პირველადი მნიშვნელობა დაგვებრუნებინა, რასაც გამორიცხავს „მემკვიდრეობითობის" გაგება, ამიტომ აქ აღარ შევეხებით იმ საკითხს, თუ რატომაა, რომ ისტორიაში „კეთილშობილება" ესოდენ ხშირად იწვევს „კეთილშობილური წარმომავლობის" ასოციაციას.

*მასების, განსაკუთრებით კი ესპანური მასების ურჩობის შესახებ უკვე იყო ლაპარაკი ჩემს წიგნში „ესპანეთი მალების გარეშე" (1927), რომელსაც ვეთითებ ყველას, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს.

შიაც დღეს იმყოფება მთელი ევროპა. ისინი შეიძლება ერთხანს მაინც დაეშორჩილონ რჩეულ უმცირესობას, განსაკუთრებით, ზოგიერთი უმწვავესი საკითხის გადასაჭრელად.

მაგრამ ეს შორჩილება დიდხანს არ გასტანს, რადგან მასების საკუთარი ბუნების არსი ურჩობა და თვითკმაყოფილებაა, და ისინი დაბადებითვე მოკლებულნი არიან იმის უნარს, რომ ყურადღება მიაქციონ სხვა რამეს — გნებავთ, ადამიანებსა და, გნებავთ, მოვლენებს, — გარდა იმისა, რაც უშუალოდ მათ ეხება. ისინი მოინდომებენ უკან მიხდიონ თავიანთ ბელადს, მაგრამ ვერ შესძლებენ ამას; მოინდომებენ ყურად იღონ რჩევა, მაგრამ დარწმუნდებიან, რომ დაყრუებულან.

ილუზია იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაკი თანამედროვე ადამიანი-მასის ცხოვრების დონე წარსულთან შედარებით განუზომლად უფრო მაღალი გახდა, — ეს ადამიანი თვითონვე შესძლებს ცივილიზაციის პროცესის წარმართვას. აქ საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ **პროცესს** და არა **პროგრესს**. ცივილიზაციის დღევანდელი დონის შესანარჩუნებლად აუცილებელია ეყრდნობოდე მრავალმხრივსა და ყოვლისმომცველ ცოდნას. ადამიანი-მასა ვერ წარმართავს ამ პროცესს, რადგანაც, მართალია, მან შეითვისა უახლესი ტექნიკის მართვის ჩვევა, მაგრამ ვერ შეძლო ჩახწვდომოდა იმ პრინციპებს, რომლებსაც ემყარება ცივილიზაცია.

მე მინდა გავაფრთხილო მკითხველი, რომელიც აქამდე სანაქებო მოთმინებით მიხლეოდა ჩემი აზრის განვითარებას, რომ არცერთ ამ პოსტულატს არ უნდა მიენიჭოს პოლიტიკური მნიშვნელობა. მართალია, პოლიტიკური მოღვაწეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უშუალო და აქტიური ასპექტია, მაგრამ ის მაინც მეორეული გახლავთ და მოღვაწეობის სხვა, თვალსახედვის უხილავ ასპექტთა შედეგად გვევლინება. შეამბოხური ხულისკვეთება, რაც პოლიტიკურ ცხოვრებაში შეაქვთ მასებს, არც ისე საშიში და საგანგაშო იქნებოდა, მის მიღმა რომ არ იმალებოდეს სხვა, გაცილებით უფრო ხერიოზული მოვლენა: საზოგადოების ინტელექტუალურ და მორალურ საწყისთა წინააღმდეგ ამბოხება. ამიტომ, სანამ ამ ორ სიმპტომს არ გავაანალიზებთ, ჩვენი დიაგნოზი კვლავაც არასრული დარჩება.

VIII

რატომ ერევიან მასები ყველაფერში და თანაც, მაინცდამაინც მოძალადურად?

ჩვენ ვლაპარაკობდით იმაზე, რომ მოხდა რაღაც უაღრესად პარადოქსული, მაგრამ, იმავდროულად, რადაც სრულიად ბუნებრივიც: მხოლოდ იმიტომ, რომ საშუალო ადამიანს გაეხნა ცხოვრება და ხამყარო, დაიხურა მისი სული. ბოდა, მე ვამტკიცებ: საშუალო ადამიანის სულის სწორედ ამ ჰერმეტულ შეუღწევადობაში მდგომარეობს მასების ამბოხი, რაც, თავის მხრივ, საგანგებო მნიშვნელობის პრობლემა გვაბლავთ, თანამედროვეობა რომ აყენებს ცივილიზაციის წინაშე.

ვიცი, ბევრი მკითხველი არ დამეთანხმება. ეს სავსებით ბუნებრივია და მხოლოდ ამტკიცებს ჩემს აზრს. შესაძლოა, საბოლოო ანგარიშით, ვცდებოდე კიდეც, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმათ უმრავლესობას, ვინც არ მეთანხმება, ხუთი წუთიც არ უფიქრია ამ რთულ პრობლემაზე. მაშ, რანაირადღა მივლენ ანალიზიურ დასკვნამდე? რაკიღა მგონიათ, რომ უფლება აქვთ მსჯელობდნენ ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ თავს კი არ იტკიებდნენ მსჯელობის საგნის შესწავლით, ამით თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ „ამბოხებული მასის" არსებობის იმ აბსურდული მოდუსის თანაზიარნი არიან, რომლის ნიშნადაც სწორედ სულის ჰერმეტული შეუღწევადობა გვევლინება. ამ შემთხვევაში — ინტელექტუალური ჰერმეტულობა. ადამიანი გრძნობს, რომ მასში ჩადებულია იდეათა გარკვეული რაოდენობა, და ამით კმაყოფილდება, რადგანაც ფიქრობს, რომ, ინტელექტუალური თვალსაზრისით, არაფრისკენ სწრაფვა აღარ არის საჭირო. რაკიღა ვერ გრძნობს რაღაცა ახლის შეცნობის მოთხოვნილებას, რაც უშუალოდ არ ეხება მას, ამის შედეგად საკუთარ თავში იკეტება და იძულებულია გამუდმებით ერთი და იმავე იდეების დახშულ წრეში იწრიალოს, — აი, თუ გნებავთ, ხულის ჰერმეტიზაციის მთელი მექანიზმი.

ადამიან-მასას ყოველმხრივ სრულყოფილი მგონია თავი. რჩეული უმცირესობის ადამიანი კი იმიხათვის რომ სრულყოფილად მიაჩნდეს თავი, ძალიან პატივმოყვარე უნდა იყოს. საკუთარი სრულყოფილების ურყევი რწმენა მისი არსი როდია, როგორც ადამიან-მასისათვის. რჩეული ადამიანის ამნაირ რწმენას მხოლოდ მისი პატივმოყვარეობა უდევს საფუძვლად, და მაშინაც კი მას ეჩვენება, რომ ეს რწმენა რაღაც საეჭვოა, ყალბი და არაბუნებრივი. ამიტომ პატივმოყვარე კაცს ახლობლები სჭირდება, და მათში ეძებს იმ წარმოდგენის დასტურს, რაც თვითონვე შეექმნა საკუთარ თავზე. ახე რომ, თვით პატივმოყვარეობით ავადმყოფური „თვალდავსილობის" შემთხვევაშიც კი კეთილშობილ ადამიანს არ შეიძლება სრულყოფილად მიაჩნდეს თავი, მაშინ როდესაც ახალ ადამს ჩვენი დროის ამ უღიმღამობას, აზრადაც არ მოუვა, ეჭვი შეი-

ტანოს თავის ძალებში. ბიბლიური ადამისა არ იყოს, ისიც თავის საკუთარ სრულყოფილებას ელოლიავება და სანეტარო თვითტკბობაშია დანთქმული. მისი სულის თანდაყოლილი ზერმეტულობა საშუალებას არ აძლევს ისე მოიქცეს, რაც საკუთარი ნაკლოვანების აღმოჩენის უპირველესი პირობა იქნებოდა — ადგეს და სხვებს შეადაროს თავი. შედარება იმის მომახსწავებელი იქნებოდა, რომ ცოტა ხნით მაინც უნდა გამოეშვა სული თავისი სხეულიდან და სხვის სხეულში გადაესახლებინა იგი. მაგრამ საშუალო ადამიანის სულს გადასახლების უნარი არ შესწევს: ეს მხოლოდ მიუღწეველია, რაც ძალაუნებურად გვახსენებს იმ განსხვავებას, ოდითგანვე რომ არსებობს ჭკუამოკლესა და გონებაგამჭრიახს შორის. გამჭრიახ კაცს ესმის, რომ არც ისე დიდი მანძილი აშორებს ჭკუამოკლისგან, და ძალ-ღონის დაუზოგავად ცდილობს თავი დააღწიოს საფრთხეს, რომელიც მას ემუქრება, კერძოდ, ხიბრიყვეს: სწორედ ეს მცდელობაა გონიერული ქცევა. ჭკუამოკლეს კი, პირიქით, აზრადაც არ მოსდის, ვინ არის, რის მაქნისია, თავისი თავი ჭკუის კოლოფი მგონია; აქედან — ის შესაშური სიმშვიდე, რომლითაც ბრიყვი ამაყად თავაწეული მიაბიჯებს ცხოვრებაში და დროშასავით მიაფრიალებს თავის ხიბრიყვეს. არიან ნწერები, რომლებსაც ვერასდიდებით ვერ გამოდევნი მათი თავშეხაფრიდან; ასევე ბრიყვსაც ვერ გამოათრევ მისი ხიბრიყვის ბაკნიდან. სულ ტყუილად ეცდებით, თუნდ ერთის წუთით აუხილოთ თვალი და გადაანახვიოთ იმ უაზრო მზერას, რომლითაც ის აღიქვამს გარემომცველ სინამდვილეს, აიძულოთ, უფრო გულდასმით დაუკვირდეს სამყაროს, უფრო დანაწევრებულად შეიგრძნოს იგი, — ბრიყვი უტეხია და სქელკანიანი. ამიტომ, ანატოლ ფრანსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრიყვი გაცილებით უფრო ხაშიშია, ვიდრე ბოროტმოქმედი, ვინაიდან ბოროტმოქმედი ხანდახან მაინც იღლება და ისვენებს, ბრიყვი კი შოუდლელია და დაუცხრომელი.*

საქმე ის კი არაა, რომ ადამიანი-მახა ბრიყვია. პირიქით, თანამედროვე ადამიანი-მახა უფრო ჭკვიანია და უფრო ინტელექტუალური, ვიდრე გარდასულ ეპოქათა ადამიანი-მახა. მაგრამ ის არ იყენებს თავის ინტელექტს. აქაოდა, ინტელექტი მაქვსო, ამის ბუნდოვან შეგნებას საშუალო ადამიანი თანდათანობით იქამდე მიჰყავს, რომ სულ უფრო და უფრო მეტად იკეტება თავის თავში, და ბოლოს, საერთოდ უარს ამბობს გონების გამოყენებაზე. ადამიანმა-მახამ ერთხელ და სამუდამოდ მოახდინა ათასგვარი ბანალობის, ცრურწმენის, იდეათა უბადრუკი ნაფლეთებისა თუ უაზრო ფრაზების იმ წყაროს საკრალიზება, რადაც ბედის ტრიალმა აქცია მისი სული, და გამოგონებული თავზედობით, რასაც მხრლოდ უმუალო სიწრფელე თუ შეიძლება ედოს საფუძვლად, ცდილობს ყველას ასხუროს თავისი „ნაკურთხი წყალი". ჩემი წიგნის პირველ თავში სწორედ ამას ალუნიშნავდი, როგორც ჩვენი დროის დამახასიათებელ თვისებას. მთავარი ის კი არაა, თითქოს ბრბოს რაღაც საქმეში გამორჩეულად და არაორდინარულად მოიქცეს თავი, არამედ ის, რომ ყველას თავს აბვეს თავის ნებას: მე უფლება მაქვს ვულგარული ვიყოო, და საყოველთაო უფლებამოსილებად აცხადებს ვულგარულობას.

ძალა, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოადგენს ინტელექტუალური ბრბო, როგორც ჩანს, უახლესი ფაქტორია, რაც დღეს სრულიად განსხვავებულს ხდის საქმის ვითარებას ამ სფეროში. უწინ არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ევროპის მთელი ისტორიის მანძილზე, ვიდრე დღევანდელ დღემდე, ბრბო ვერ ბედავდა საკუთარი „აზრი" ჰქონოდა. მას ჰქონდა თავისი ხარწმუნოება, თავისი ტრადიციები, გამოცდილება, ანდაზები, აზროვნების ჩამოყალიბებული თავისებურებანი, მაგრამ არასდროს არ ჰქონია იმის პრეტენზია, თითქოს შეეძლო თეორიულად დაესაბუთებინა, რას წარმოადგენს, ან რა უნდა იყოს ესა თუ ის მოვლენა, ვთქვათ, პოლიტიკისა თუ ლიტერატურის სფეროში. ის თავისებურად აფასებდა პოლიტიკოსთა გეგმებსა თუ მოქმედებებს. მხარს უჭერდა ან უარყოფდა მათ, მაგრამ მისი ქმედითობა ყოველთვის სხვების შემოქმედებითი იმპულსის ასახვით (დადებითი თუ უარყოფითი ასახვით) ამოიწურებოდა. არასოდეს სიზმრადაც არ მოლანდებია, პოლიტიკოსების „აზრისათვის" თავისი საკუთარი აზრი დაებირისპირებინა; ვერც კი ბედავდა, პოლიტიკოსების „აზრი" თავისი საკუთარი იდეოლოგიის თვალსაზრისით განესაჯა, იდეოლოგიისა, რომელიც, მისი წარმოდგენით, თითქოსდა ჰქონდა. იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნებისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა გამოვლენის სფეროზეც. თავისი შეზღუდულობის თანდაყოლილი შეგნება, შეგნება იმისა, რომ თეორეტიზირებისათვის საკმარისი მომზადება არ გააჩნია,*

* რამდენჯერ მიკითხავს ჩემი თავისთვის: ვინ მოსთვლის, რამდენ ადამიანს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე გამოცდად ჰქონია მოყვასთა ხიბრიყვესთან შეჯახება. მიუხედავად ამისა, დღემდე (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია) არავის უცდია მისი შესწავლა, ჯერ კიდევ არავის დაუწერია ᲔᲡᲚᲔ ᲮᲘᲑᲠᲘᲧᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

* ნურც ეცდებით შეცვალოთ საკითხის არსი, რადგანაც აზრის ნებისმიერი გამოთქმა თეორეტიზირებას გულისხმობს.

ბრბოს თავს აკეთებინებდა საკუთარი აზრის გამოთქმისაგან ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ყოველივე ამის ავტომატურად მოხდენილი ის, რომ ბრბოს წევრთაც არასოდეს გააუზრახავს საკუთარი გადაწყვეტილება/მიეღო საზოგადოებრივი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში, საქმიანობისა, რომელთაც, ანე თუ ისე, თეორიული ხასიათი ჰქონდა.

დღეს კი სრულიად საპირისპირო სურათსა ვხედავთ. საშუალო ადამიანს თავისი საკუთარი, და თანაც, სავსებით გარკვეული აზრი გაუჩნდა იმის თაობაზე, რაც ხდება ან უნდა მოხდეს პოლიტიკაში. ამიტომაც მისი ხმების ორგანომ ატროფირება განიცადა. რაღად უნდა უსმინოს სხვებს, თუკი თვითონაც ყველაფერი იცის? ახლა ხმების დრო როდია, ბოლის და ბოლის, დადგა განსჯის, საკუთარი აზრის გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღების დრო. და სიდიდეთაგან არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაშიაც ეს ბრბო და ყრუ თავისი წვლილის შეტანას არ ცდილობდეს, და თავის აზრს თავზე არ აბეჭდავდეს სხვებს.

კი მაგრამ, განა ეს მიღწევა არ არის? განა უშარმაზარი პროგრესის მაუწყებლად არ გვევლინება ის დაჭტი, რომ მასებს თავისი „აზრი" გაუჩნდათ. ანუ, სხვა სიტყვებით, რომ ისინი კულტურულები გახდნენ? არაფრი და არაფრი. საშუალო ადამიანის „აზრი" მარადა აზრი რიდია, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით: აზრის ქონას კულტურის ნიშნად ვერ მივიჩნევთ. აზრის ქონა საჭიროდ მნიშვნელობის ნიშნავს, რომ ჭეშმარიტებას. ვინაც სურს საკუთარი აზრი ჰქონდეს, უწინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტება უნდა უყვარდეს და აღიარებდეს თამაშის ის წესებს, რომლებსაც ეკარნახობს ჭეშმარიტება. ახსურდია, იდეებსა თუ აზრებზე ილაპარაკო იქ, სადაც არ სცნობენ მათ მარეგულირებელ უზენაეს ავტორიტეტს, სადაც დაუშვებლად მიაჩნიათ წესები და კანონები, რომლებისთვისაც შეგვეძლო სიდიდეთ შემოსვლებში მიგვეშართა. ეს წესები და კანონები კულტურის პრინციპებია. ჩვენთვის ამჟერად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამ პრინციპების რაობას, მე მინდა მხოლოდ ესაში გავუსვა შემდეგს: შეუძლებელია კულტურა არსებობდეს იქ, სადაც არც წესებია და არც კანონები, რომლებისთვისაც შეიძლებოდა მიეშართათ ჩვენს მოყვასთ. შეუძლებელია კულტურა არსებობდეს იქ, სადაც არ არსებობს სამოქალაქო სამართლიანობის პრინციპთა მიმართ აპელირების შესაძლებლობა. შეუძლებელია კულტურის არსებობა იქაც, სადაც პატივს არ სცემენ ინტელექტუალური ავტორიტეტის ჭეშმარიტ პოზიციას, რომლისთვისაც შეიძლებოდა მოგვეშართა დავისას, როგორც უკანასკნელი უინსტანციისა არეოპაგისა.* შეუძლებელია კულტურის არსებობა იქაც, სადაც ეკონომიკური ურთიერთობანი რ ეფორმირებულნან თავისუფალი გადაადგილების წესებს, რაც თავისუფლების გარანტად

გაიგოს და გაიაზროს ამ საცოდავის არგუმენტები.

ცხადია, რომ ევროპაში ამ ბოლო ხანს „რაღაც უცნაური“ რამ ხდება. ამ უცნაური მოვლენების კონკრეტულ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი პოლიტიკური, ვთქვათ, ფაშისტური თუ პროფკავშირული მოძრაობა. ისინი უცნაურნი ჩანან არა მარტო იმიტომ, რომ ორივე ახალი მოძრაობაა: ენთუზიაზმი ყოველივე ახლის მიმართ იმდენად ნიშნეულია ევროპელისთვის, რომ მისი ისტორია მთელს მსოფლიოში ჭეშმარიტად ყველაზე მშფოთვარე ისტორიაა. არა, ამ მოვლენების უცნაურობა და უჩვეულობა სიახლით როდი აიხსნება: პროფკავშირული მოძრაობისა და ფაშიზმის აღმოცენებით, ევროპაში პირველად ეძლევა დასაბამი ადამიანის ახალ ტიპს, **რომელსაც არც სხვისი სიმართლის აღიარება სურს და არც ის, რომ თვითონ იყოს მართალი.** ეს ადამიანი, არც მეტი და არც ნაკლები, მხოლოდ იმასა ცდილობს, რომ თავისი აზრი ძალით მოახვიოს თავზე სხვებს. აქ ახალია სიმართლის უქონლობის, უსიმართლობის უფლება. ამაში მე ვხედავ მასების არსებობის ახალი მოდუსის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებას, მასებისა, რომლებმაც გადაწყვიტეს სათავეში ჩაუდგნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ისე, რომ საამისოდ არავითარი უნარი არ გააჩნიათ. პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ქცევა ცხადად და აშკარად ავლენს მათ სულიერ არსს, მაგრამ ამ არსში საწვდომად აუცილებელია ვითვალისწინებდეთ მის ინტელექტუალურ შეუღწევადობას: საშუალო ადამიანში იღვიძებს აზრი, მაგრამ მისი ორგანიზმი ნაკლებად ესადაგება აზროვნების ფუნქციას. საშუალო ადამიანმა არც კი იცის, ჩვენი სხეულის რომელ ნაწილშია აზრის სათავე, მაგრამ მას სურს გამოთქვას თავისი აზრი. სწორედ ამიტომ, მისი „იდეები“ საკუთრივ აზრები კი არ არიან, არამედ სიტყვებით გამოხატული სურვილები. ისინი ლიბრეტოებსა ჰგვანან.

ამა თუ იმ აზრის ქონა იმის შეგნებას ნიშნავს, რომ მოიძებნება მისი არსებობის რაციონალური საფუძველი, და, მაშასადამე, იმის რწმენასაც, რომ არსებობს გონიერება, — უზარმაზარი ქალაქი, სადაც ხახლობენ ჭეშმარიტებანი, რომელნიც მზად არიან გამოგვეცხადონ. საკუთარი აზრის განვითარება და შეხედულების გამოთქმა ერთი და იგივეა სხვა „მე“-ს წინაშე; ეს ნიშნავს სხვისი „მე“-ხადმი მორჩილებას, სხვისი კანონისა და სხვისი განაჩენის ნებაყოფლობით აღიარებას, იმის რწმენა, რომ არსებობის უმაღლეს ფორმად დიალოგი გვევლინება, რომლის პროცესშიაც განიხილება ჩვენი იდეების რაციონალური საფუძველი. მაგრამ ადამიანისა მასის შეცბუნება მაშინ გვინახავთ, თუ აიძულებდნენ დისკუსიაში ჩაბმულიყო; აი, რატომაა, რომ ის ინსტინქტურად უარყოფს მის მიმართ ამ გარეგან ავტორიტეტს. „ახალი“ ევროპაში იმისკენ სწრაფვაა, რომ „წერტილი დაესვას ყოველგვარ დისკუსიას;“ ამიტომაც ასე აშკარად საგრძნობია მტრული დამოკიდებულება თანაარსებობის ნებისმიერი ფორმის მიმართ, რაც გულისხმობს ობიექტური მოთხოვნების დაცვას, დიალოგით დაწყებული და პარლამენტით დამთავრებული, თუმცა თვით მეცნიერებაშიც დღეს იმავე სურათსა ვხედავთ. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ევროპელები თანდათან უარს ამბობენ კულტურულ თანაარსებობაზე, ანუ, სხვა სიტყვებით, იმნაირ თანაარსებობაზე, კანონებს რომ ექვემდებარება, — და ბარბაროსული თანაარსებობის გზას ირჩევენ. რაკიღა უშუალოდ ითხოვენ იმას, რაც მათთვის სასურველია, ჩვენი თანამედროვე ნორმალური ქცევის ყოველგვარ წესებს ივიწყებენ. როგორც ზემოთ აღვნიშნე სულის ჰერმეტული შეუღწევადობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ გამოვლინებაში მონაწილეობისათვის რომ აკეზებს ბრბოს, ბოლოს და ბოლოს, გარდუვალად მიიყვანს მასებს ცხოვრების ყველა სფეროში მათი აუცილებელი ჩარევის ერთადერთ შესაძლებლობამდე, და ეს შესაძლებლობა პირდაპირი მოქმედებაა.

იმ დღეს, როცა დადგენილ იქნება მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ჩვენი დროის თავისებურება, აუცილებლად აღნიშნავენ, რომ დღევანდელობის მელოდიის პირველი ნოტები დაახლოებით 1900 წელს აჟღერდა ფრანგ პროფკავშირულ მოღვაწეთა ორკესტრის მიერ; ეს მოღვაწენი რეალისტები იყვნენ; „პირდაპირი მოქმედება“, როგორც საშუალება და როგორც ტერმინი სწორედ მათი გამოგონილი გახლავთ. ადამიანი ყოველთვის იძულებული იყო ძალადობისათვის მიემართა; ძალადობის ზოგიერთი სახე შეიძლება დანაშაულადაც ჩაითვალოს, მაგრამ ამჟერად ეს როდი გვაინტერესებს. ისტორიას ახსოვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ძალადობას იძულებით მიმართავდა ის, ვინც ამოწურა ყველა არგუმენტი და ჭეშმარიტების აღსადგენად სხვა საშუალებას ვეღარ ხედავდა. ძალზე სამწუხაროა, რომ ადამიანისათვის ნიშნეული სისუსტე აიძულებდა მას, არცთუ იშვიათად მიემართა ამნაირი მოქმედებისთვის, თუმცა ისიც უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში ძალადობა ხელს უწყობდა გონებისა და სამართლიანობის პრინციპების უფრო ფართო გავრცელებას, მათ დამკვიდრებას. შეიძლება ითქვას, რომ გონების აღშფოთება ძალადობის სწორედ ამნაირ ფორ-

მას იღებს: უწინ ძალა მართლაც ultima ratio* იყო.

ჩვენთვის ეს ახლა უფრო ცხადი ხდება, ვიდრე ოდესმე, რადგანაც „პირდაპირი მოქმედება" საპირისპირო ქცევას გულისხმობს: ძალადობა prima ratio.* ცხადდება, სინამდვილეში კი ერთადერთ ratio-დაც. „პირდაპირი მოქმედების" კანონი გულისხმობს ყველა იმ კანონის გაუქმებას, ყველა მოქმედების აღკვეთას, რომლებიც აშუალებენ ჩვენს ქმედითობას მიზნის დასახვის მომენტიდან მის მიღწევამდე. ეს კანონი ბ რბაროსების დაცვის სიგელია.

მე მინდა შეგახსენოთ, რომ ყოველთვის, როცა მასა, ამა თუ იმ მიზეზის გამო, იძულებული ხდებოდა, მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი მონაწილეობა! „პირდაპირი მოქმედების" სახეს იღებდა. სწორედ ასე იქცეოდა იგი. ჩემი ესსეს ამ თეზისის თვალსაჩინო ნიმუშად გვევლინება ის უდავო ფაქტი, რომ სწორედ ახლა, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მასების უშუალო ჩარევა შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი კი არა, უკვე სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, — „პირდაპირმ, მოქმედებამ" ოფიციალური კანონის სახე მიიღო.

დღეს ადამიანთა თანაარსებობის ყოველი სფერო ქცევის ამ ახალ წესებს, ან, უფრო სწორად, წესების უქონლობას, უწესობას ემორჩილება. დღევანდელ საზოგადოებაში უკვე აღარავინ აღარ მოითხოვს „კარგი ტონის" წესების დაცვას. ლიტერატურა, რომელიც „პირდაპირი მოქმედების" მოთხოვნებს დაემორჩილა, თანდათანობით გადაგვარებას განიცდის და პასკვილად იქცევა. სქესთა შორის ურთიერთობა თავის რომანტიკულ ორეალს კარგავს.

ოჰ, თავაზიანობის ეს გულისგამაწვრილებელი წესები, ცერემონიული ჩვეულებები, სამართლიანობა და გონიერება! ვის რაში დასჭირდა. მათი გამოგონება, ვითომ რა საჭირო იყო ასე გაერთულებინათ ცხოვრება? მაგრამ ყოველივე ამას ხომ ერთი სახელი აქვს — „ცივილიზაცია", რაც, თავის მხრივ civis-გან („მოქალაქე") იღებს დასაბამს, ყველა ეს „სირთულე" ხელს უწყობს ქალაქის შექმნას, საზოგადოების დაფუძნებას, შესაძლებელს ხდის თანაარსებობას. ამიტომ, თუ კარგად დაეუკვირდებით ცივილიზაციის მიერ გამოგონებულ ყველა ამ უმნიშვნელო წვრილმანს, დავინახავთ, რომ თვითეულ მათგანს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, რ ც უშუალოდ შეესატყვისება ადამ ნის ინტიმურსა და თანდათანობით მზარდ სურვილს, — ანგარიში

* უკანასკნელი არგუმენტი (ლათ.).

** პირველი არგუმენტი (ლათ.).

გაუწიოს სხვის აზრს. ცივილიზაცია, უწინარეს ყოვლისა, თანაარსებობისკენ ნებაყოფლობითი სწრაფვაა. ადამიანი ცივილიზებული არსება კი აღარ არის, ბარბაროსად იქცევა, იმისდა კვალად, რაც უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევს მოყვასთა აზრს. ბარბაროსობა განცალკევების ტენდენციაა; ბარბაროსული ეპოქა ადამიანთა გათიშულობის ხანაა, როცა ისინი ერთურთს მიმართ გაუცხოებულ და მტრულად განწყობილ პატარა-პატ რა ჯგუფებად იყოფიან.

პოლიტიკაში თანაარსებობისკენ ყველაზე ამაღლებული სწრაფვის ნიმუშად ლიბერალური დემოკრატია გვევლინება როგორც „პირდაპირი მოქმედების" პროტოტიპი, ის უკიდურესობამდე ავითარებს მოყვ სის აზრისათვის ანგარიშის გაწევის მოთხოვნას. ლიბერალიზმი პოლიტიკური სამართლის პრინციპია, რომლის თანახმად, საზოგადოებრივი ძალაუფლება, მისი ყოვლისმომცველობის მიუხედავად, ცდილობს თვითონვე შეზღუდოს თავისი გავლენის რე და, რადაც არ უნდა დ უჯდეს, სახელმწიფოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის საშუალება მისცეს მათ, ვინც ისე როდი ფიქრობს ანდა აზროვნებს, როგორც ლიბერალიზმის მომხრეები, ესე იგი, თავისი აზროვნებით განსხვავდება იმათგან, ვის ც ზურგს უმაგრებს ძალა, გ ნსხვავდება უმრავლესობისაგან. ლიბერალიზმი — დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა გვახსოვდეს ეს,— დიდსულოვნების უზენაესი განსახიერებაა: ლიბერალიზმი ის უფლებაა, რასაც უმრავლესობა ნიჭებს უმცირესობას. ლიბერალიზმისკენ მოწოდება ცივილიზ ციის ყველაზე კეთილშობილი მოწოდებაა, რ ც კი ოდესმე გახმიანებულა ჩვენს პლანეტაზე. ის ნიშნავს მტერთან მშვიდობიან თანაარსებობას, მეტიც, ის სუსტ მტერთან თანაარსებობას ნიშნავს. წარმოუდგენელიც კი გვეჩვენება, რომ კაცთ მოდგმ მ შესძლო თავისი განვითარების გზ ზე ესოდენ მშვენიერი, პარადოქსული, დახვეწილი, ესოდენ სარისკო, სახიფათო და არაბუნებრივი პრინციპი წამოეყენებინა. ამიტომ საკვირველი არა არის რა იმაში, რომ იმავე ს ლხს, ვინც ეს პრინციპი გამოიგონ , ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება სწრაფად დ ევიწყებინა იგი, — იმდენად ძნელი და რთული აღმოჩნდა მისი განხორციელება ცხოვრებაში.

მტერთან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის წამოყენება! პოლიტიკური ოპოზიციის დაშვება! გულზე ხელი დაიდეთ და ისე გვითხ -რით, აუხსნელი ხომ არ გეჩვენებათ მტრის მიმართ აშნაირი ლმობიერება? არაფერი ისე ნ თლად არ გვიმჟღავნებს ჩვენი დროის თავისებურებას, როგორც ის ფაქტი, რომ დღეს ძალზე ცოტა ქვეყანაში თუღა დარჩა ხელისუფლების ს პირისპიროდ მოქმედი რეალური ოპოზიცია. თითქმის ყველა ქვეყანაში უპიროვნო და უსახო მასა დღემდე არნახულ ზემოქმედებას ახდენს ხელისუფლების წარმომადგენლებზე და ჩანასახშივე ხპობს ოპოზიციის არსებობის ნებისმიერ შესაძლებლობას. მასა (ვინ, მისი ათასხმიანი ერთხულოვნების რომელი შემყურე იტყოდა ამას?) გადაჭრით უარყოფს თანაარსებობას ვისთანაც გნებავთ, გარდა საკუთარი თავისა, — ის უღრმესი ზიზღითაა გამსჭვალული ყველას მიმართ, ვინც არ ეკუთვნის თვითონ მას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

□

ახლა ვცხოვრობთ მუდმივად არსებულ აწყოში

ალფონსო ბერარდინელი დღევანდელ იტალიაში ერთ-ერთი [illegible] კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნეა. იგი 1943 წელს დაიბადა [illegible] აქვს ლექსების კრებული „ვულკანდილი ლექციები" (1979) და ესსეები: „მცირე ფორტები" (1973), „კრიტიკოსი უპროფესიოდ" (1983), „ესთეტიკოსი და პოლიტიკოსი" (1985). 1975 წელს ფრანკო კორიდელისთან ერთად გამოსცა ანთოლოგია „პოეზიის მკითხველი", სადაც ფართოდ წარმოაჩინა პოეტთა ახალი თაობა. ალფონსო ბერარდინელი აქტიურად მონაწილეობს ჟურნალში „ბუდერნი პიაჩენტინი" (რვეულები პიაჩენტიდან, პიაჩენტი ქალაქია ჩრდილოეთ იტალიაში), თანამშრომლობს „ლინეა დომბრიაში" (ჩრდილის ხაზი). 1991 წელს გამოვიდა მისი მონოგრაფია „წიგნსა და ცხოვრებას შორის", რომელიც თანამედროვე იტალიური ლიტერატურის პრობლემებს ეძღვნება. ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც — ვენეციის უნივერსიტეტში კითხულობს თანამედროვე იტალიური ლიტერატურის კურსს.

ალფონსო ბერარდინელის მკითხველთა ფართო წრისათვის ყოველკვირეულ ჟურნალში წლების მანძილზე მიჰყავდა სპეციალური ლიტერატურული რუბრიკა. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „ჩემი ცხოვრების გზა ჟურნალებსა და ლიტერატურას შორის ძევს. ეს რუბრიკა თითქოს სპეციალურად ჩემთვის მოიგონეს".

ჟურნალის ყოველი ნომრისთვის ბერარდინელი ერთ რომელიმე ლექსს არჩევდა და მკითხველთა თვალწინ აანალიზებდა. ამით მრავალფეროვანი ლიტერატურის მოყვარულს თვალსაჩინოდ აცნობდა სიტყვაკაზმული მწერლობის საყოველთაოდ ცნობილ ნიმუშებს, რაც ღიად სიამოვნებას ანიჭებდა მასაც და მკითხველებსაც.

ალფონსო ბერარდინელიმ და მისმა მეგობარმა პიერ ჯორჯო ბელარკიომ 1985 წელს დააარსეს ყოველთვიური ჟურნალი „დიეგო" (დღიური), რომელიც თავისი მიმართულებითა და შინაარსით, ამასთან, მასალების მიწოდებისა ფორმით აშკარად გამოირჩევა სხვა პერიოდული გამოცემებისაგან, ხშირად ერთობ მემარცხენე-რადიკალური და არაორდინალურია თვით ალფონსო ბერარდინელის შეხედულებებიც. ეს კარგად იგრძნობა მის დღევანდელ საუბარშიც, რომელიც, სადაც დებულების მიუსედავად, ვფიქრობთ, დაინტერესებს ქართველ მკითხველს.

1991 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსზე სწავლისას სტაჟირებისათვის გამგზავნეს ვენეციის კა ფოს კარის უნივერსიტეტში. აწყობდ მაშინ შევაგროვეთ ეს დიალოგი ალფონსო ბერარდინელისთან საგანგებოდ ჟურნალ „ალეფბეთისათვის".

გაგა შურღაია

— წინაადმდეგი ხომ არ იქნებით, ჩვენი საუბარი ერთი ტრადიციული საკითხის გარკვევით დაგვიწყო. მსჯელობაში მაქვს ლიტერატურის არსისა და ფუნქციის განსაზღვრა. ალბათ, გახსოვთ, ჯერ კიდევ სოკრატე ამბობდა, რომ ღირს დაფიქრება ისეთ განყენებულ ცნებებზე, რომელთაც ყოველდღიურ ცხოვრებაში დაუფიქრებლად ვიყენებთ.

მინდა მცირე ექსკურსიც გავაკეთო: არისტოტელეს აზრით, ისტორიკოსსა და მწერალს შორის განსხვავება იმაა, რომ პირველს აინტერესებს, რა მოხდა, ხოლო მეორეს — როგორ მოხდა. დღეს ამ დებულებამ ტრანსფორმაცია განიცადა — მწერალს აინტერესებს

არა ისტორიული პროცესები თავისთავად, არამედ ის, თუ **რა გავლენას ახდენენ ეს** პროცესები ადამიანის ცნობიერებაზე, მათ ქცევასა **და მოქმედებაზე.** ე. ი. წინა პლანზე წამოწეულია ადამიანის ბედი ისტორიულ კატაკლიზმებში.

— ჩემი აზრით, არც ისე იოლია ლიტერატურის არსისა და ფუნქციის განსაზღვრა. ამას მრავალი სირთულე ახლავს. შეიძლება პოლოს და პოლოს იმიტომაც იქმნება ლიტერატურა, რომ არავის სჯერა მისი ერთმნიშვნელოვანი, ცალსახა არსისა და ფუნქციის არსებობისა. არ არიან თეორეტიკოსები და არც ისეთი თე-

ორია არსებობს, რომელსაც სრულყოფილად შეეძლებოდა ლიტერატურის დეფინიცია. სოკრატესებურად ვიტყოდი, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებში სიტყვა მოაგონებულ დემონად იქცევა და იგი იდეათა განმანათლებლურ პროცესს სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს.

ლიტერატურის არსის შესაცნობად ლიტერატურული გამოცდილებები უფრო გვჭირდება, ვიდრე მისი დეფინიცია: უნდა ვკითხულობდეთ, ან ჩვენ თვითონვე ვქმნიდეთ მას. ეფიქრობ, საკმარისად მრავალფეროვანია ლიტერატურის ონტოლოგია. ყველა ნაწარმოებს აქვს თავისი განმეორებელი სამყარო, საიდანაც აღვიქვამთ მსოფლიოს. დავესესხები მაქსიმ გორკის და გავიმეორებ, რომ ლიტერატურა „ადამიანთმცოდნეობაა", მაგრამ „მცოდნეობა" ძალზე სპეციფიკური: ისეთი მეცნიერება, სადაც პროგრესი პრაქტიკულად არ არსებობს და ვერავითარი ახალი აღმოჩენა ამ ცოდნას ვერაფერს მატებს.

— ლიტერატურას საუკუნეთა მანძილზე რელიგიური იდეები კვებავდა. თუ ეს იდეები ათეისტური იყო, იქმნებოდა იმედის ლიტერატურა, რადგანაც შეედრეთით აღდგომა ადამიანებს მარადიული ცხოვრების იმედს უნერგავდა, სამაგიეროდ, მაშინ, როცა ეს იდეები ათეიზმს ეწყარებოდა, იქმნებოდა უიმედობისა და სასოწარკვეთილების ლიტერატურა, ლიტერატურისა და რელიგიის მჭიდრო კავშირზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ, როგორც ელაზაბეტ ფერსტელის „სიუჟეტების კატალოგიდან" ჩანს, ყველა ლიტერატურული სიუჟეტ-ბიბლიიდან იღებს სათავეს. თქვენ როგორ გესახებათ რელიგიასა და ლიტერატურას შორის კავშირი?

— თანამედროვე, ე. ი. განათლებულმა და ინდუსტრიულმა მსოფლიომ დაამსხვრია დიდი რელიგიები. მარქსიზმს პირველს არ დაუწყია ათეიზმის გავრცელება. იმთავითვე ათეისტური იყო კაპიტალისტური, ინდუსტრიული საზოგადოება. მან რელიგია, ქრისტიანობა რაღაცნაირ გარეგნულ სანახაობად, თვალთმაქცობად აქცია (ეს დიდებულად გაიგო კერკეგორმა). ამ აზრით ლიტერატურასა და რელიგიას შორის ისტორიული კავშირი შუასაუკუნეების ბოლოს მთავრდება. ამიტომაცაა ასე შორს დანტე ჩვენგან. აკადემიური პირმოთნეობა ქმნის ილუზიას. თითქოს ის ჩვენთან ახლოს იყოს. პროფესორები სწავლობენ დანტეს, მაგრამ მათ არ ესმით და არც სჯერათ იმისა, რასაც დანტე ამბობს (უკიდურეს შემთხვევაში ასეა აქ, იტალიაში).

ინდუსტრიულ სამყაროში რელიგიაზე საგნობრივი ცოდნა ბატონობს. რელიგია გვევლინება ნოსტალგიად, უტოპიად, ათეიზმის საშიშროების კატალიზატორად, ასევე ლოცვის ერთ-ერთ კერძო სახედ.

ასევე მოსდის ლიტერატურასაც, რომელიც პრეტენზიას აცხადებს რელიგიის ადგილის დაკავებაზე (ეს მომენტი საერთოა ისეთ ძლიერ განსხვავებული წერილებისათვისაც კი, როგორებიც არიან ბოდლერი, [illegible], [illegible]მენი, კაფკა და ა. შ.). [illegible] ვანიც იგონებენ არსებობისა და მსოფლიოქმის საკუთარ წესს და რელიგიურად წარმოგვისახავენ სამყაროს ურელიგიო მსოფლიოში. უფრო მეტიც, ჩვეულებრივ რელიგიურ წესჩვეულებებს სუბერმარკეტი და ტელევიზია ჩაენაცვლა. თვით ლიტერატურაც კი გახდა ანტიკვარული საგანი.

— ცნობილია, რა ძლიერი იყო ფრიდრიხ ნიცშეს ზეგავლენა დასავლურ აზროვნებაზე. იგი მარტოოდენ ფილოსოფოსი არ ყოფილა. მას ახალი რელიგიის შექმნა სურდა. XX საუკუნის დასაწყისში ბევრმა ქართველმა მწერალმა დასავლეთში მიიღო განათლება. ამიტომაც მათს ნაწარმოებებში აშკარად იგრძნობა სკეპტიკური დამოკიდებულება რელიგიის მიმართ. აღსანიშნავია, რომ რელიგიისადმი ასეთნაირად განწყობილ საზოგადოებაში იწყება ადამიანის კრიზისი, რაშიც ასე მძაფრად იჩინა თავი XX საუკუნის ლიტერატურაში. რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით იტალიურ წერილობაში?

—ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ძალზე მნიშვნელოვანი იყო ნიცშეს გავლენა იტალიურ მწერლობაზე. მაგრამ იგი ვერ გახდა ითლად ეროვნული ავტორი. პარადოქსია. მისი ნაწარმოებები ტრანზიტულად ევროპულ ეფექტებზეა დამყარებული. ნიცშე ხშირად წინააღმდეგობრივ შინაარსს მოხდენილ ფორმას უძებნის და ამ თვალსაზრისით უფრო ესეისტია. ამიტომაც შეუძლებელია ავირჩიოთ ერთი გზამკვლევი, ერთი თვალსაზრისი მისი შემოქმედების გასაგებად. ბოლო ათი წლის მანძილზე ნიცშეს ყურადღება ზელაპლა აღორძინდა საფრანგეთსა და იტალიაში, მაგრამ ერთგვარი სნობისტური ფორმით. ასეთ შემთხვევაში მეშჩანები თავს მტკიცე, ძლიერ პიროვნებებად, ქვეყნის ბატონ-პატრონებად ეგრძნობენ.

ამას საშუალებას კი ნამდვილად იძლევა ნიცშეს მოძღვრება. ინტელექტუალები ცდილობენ, თავი დაიჩაგრონ, მეტიც, შეუძლიათ. საკუთარი თავი დაჯერონ, რომ ისინი ძველ ბერძნებზე უფრო ჭკვიანებიც კი არიან.. მატერიალურ კეთილდღეობას გამოღვიძებულ სოციალურ სამყაროში ნიცშისეული მოძღვრების პაროდიად მეჩვენება ის ფაქტი, რომ გავრცელებულია მასის სუპერმენის ტიპი, რომელიც სრულიად თავისუფალია მორალური ვალ-

დებულებისა და გარედან მიღებული ბრძანებებისაგან.

XX საუკუნის დასაწყისის იტალიაში ისე ჩანდა, რომ თითქოს დ, ანუნციო უნდა ყოფილიყო ნიცშეს მიმდევარი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დ, ანუნციო ესთეტიკურ გემოვნებას მოკლებული მხოლოდდამხოლოდ ესთეტიკოსი იყო (მას სურდა, არისტოკრატიული და რაფინირებული ნაწარმოებები შეექმნა. მაგრამ ისინი უმსგავსო, ხმაურიანი და მომღლელი გამოუვიდა. იგი წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობის მონა გახლდათ. მას სურდა შეცდომაში შეეყვანა სხვა ბურჟუები. ამ ამოცანას კი, უნდა გითხრათ, წარმატებით გაართვა თავი.

— ნიცშეს მნიშვნელობის გარკვევას უკავშირდება XX საუკუნის ლიტერატურის თვისებრივი სიახლის საკითხიც. მისი ცნობილი თეზა — „ღმერთი მოკვდა" — ფაქტობრივად იმედის სიკვდილს ნიშნავდა. საზოგადოებაში იშვა დიდი შიში. ამან კი ხელოვნების კვდომა გამოიწვია. ოსვალდ შპენგლერის „ევროპის დაისის" მიხედვით, თანამედროვე ხელოვნებას პერსპექტივა აღარ აქვს, რადგანაც XIX საუკუნის ხელოვნებისაგან განსხვავებით, იგი მომაკვდავია. პრაქტიკულად ასეთნაირად ფიქრობდა ბერდიაევიც. როგორც ჩვენი ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსი, ბატონი აკაკი ბაქრაძე თავის ლექციებში აბობდა, კლასიკურ და თანამედროვე სამყაროებს შორის განსხვავება კარგად ჩანს სალვადორ დალის შემოქმედებაში. როდესაც იგი ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდებს ხატავდა, კლასიკური ფერწერის პრინციპებს ემყარებოდა, რადგანაც იქ ჰარმონიას ხედავდა. ჩვენი ცხოვრების ასახვისას კი ყველაფერს ჰალუცინაციურ ხილვებს უმორჩილებდა (ცხადია, ჩვენი გაგებით). მისი კონცეფციით, ჩვენი სამყარო შიშმა დაამახინჯა. როგორც ვხედავთ. შეიცვალა არამარტო ადამიანი, როგორც ლიტერატურის ობიექტი, არამედ, საერთოდ, ხელოვნების პრინციპებიც. მხატვრული ხისტემის აგების წესიც.

XX საუკუნის ლიტერატურაში ორი პრინციპული ტენდენცია შეინიშნება: ერთი აგრძელებს XIX საუკუნის კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს, მეორე — დეკადენტიზმი — კი სრულიად ახალ ლიტერატურულ ხინამდვილის ქმნის. რას იტყოდით მათ ურთიერთკავშირზე და როგორ დაახასიათებდით ჩვენი საუკუნის ლიტერატურის თვისებრივ სიახლეს?

— დამერწმუნეთ, შეუძლებელია, ორიოდე შტრიხით მოხაზო ჩვენი საუკუნის კულტურის სინთეტური სურათი. იდეა ნიცშესი, რომლისთვისაც „ღმერთი მოკვდა", არ მესახება მის არც აღმოჩენად და არც მკრეხელობად. ყველაფერი - მისი მსოფლხედვის, ინტელექტის გამოვლინება იყო. ბურჟუაზიულ სამყაროში სინამდვილეში ღმერთი მკვდარია, რადგანაც, როგორც უკვე ვთქეი, თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრება ყველანაირად დაშორებულია რელიგიისაგან. ამდენად გაიმარჯვა იმან, რასაც შუასაუკუნეების მოაზროვნეები და დანტე გაიცხადებენ როგორც „მეგაზშეობას", ე. ი. მატერიალურის [illegible] ბრძოლების არსსა და უმთავრეს ფასეულობას. [illegible] XX საუკუნის სულიერი კულტურა მეშჩანობის, ინდუსტრიის, კაპიტალიზმის, ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაა. ძალზე გაღრმავდა თანამედროვეობისათვის შიშის პროცესი (ნაკლებად ჭკვიანმა ხელოვანებმა კრიტიკა მოდერნიზაციითა და სხვა მანქანებით ეგზალტაციაში აურიეს, თუმცა თანამედროვე ინდუსტრიულ სამყაროს არ სჭირდებოდა ხელოვნების პროპაგანდა). ეფიქრობ, ჩვენი საუკუნის ლიტერატურის ყველაზე სერიოზული დანაკარგია რომანის გარკვეული თვალსაზრისით დაცემა, მისი კრიზისი; ის, რომ მას ძალზე უჭირს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების რეალისტური სურათის წარმოსახვა. ავანგარდიზმმა უარყო რომანი და ამავე დროს მსატვრული ენა თვითდამსხვრევის ერთ-ერთ საშუალებად გადააქცია. ფსიქოანალიზში ამას „აგრესორთან იდენტიფიკაცია" ჰქვია. ამგვარად დადგა ავანგარდისტული ხელოვნება იმათ პოზიციებზე, ვისაც ხელოვნება სძულდა).

— საინტერესოა, რომ დეკადენტური ნაკადიც გარკვეული თვალსაზრისით რეალისტურია. რა თქმა უნდა, ეს რეალიზმი განსხვავდება XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმისაგან. XX საუკუნის დეკადენტური ლიტერატურა წარმოგვიხატავს შეშინებულ და თავის თავში ჩაკეტილ ადამიანს. იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს გარესამყაროს და ამის საპირისპიროდ შთლიანად კონცენტრირებულია ადამიანის შინაგან მოძრაობებზე. მაშინაც კი, როცა მწერალი გარესამყაროს აღწერს, ეს სამყარო პერსონაჟის სულიერი მოძრაობის ნაწილად წარმოიხატება. ეს ძალიან კარგად ჩანს ბერეპან ბესეს ნაწარმოებში „ტრამალის მგელი". მისი მალერი ემპირიულ სივრცეში კი არ მოძრაობს, არამედ თავისი სულის ლაბირინთებში. ამდენად ხილვები, რომლებიც ჩვენ არარეალურად გვეჩვენება, მისთვის სრულიად რეალურია. ამ საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო ბესეს ცნობილმა მკვლევარმა პროფესორმა რევაზ ყარალაშვილმა. რას ფიქრობთ თქვენ XX საუკუნის ლიტერატურაში მიმდინარე ამ პროცესებზე?

—სწორია განცხადება, რომ ხელოვნება სამყაროს მაშინაც კი ასახავს, როდესაც კრიტიკა ამ ხელოვნებას რეალისტურს არ მიაკუთვნებს. ბეშმარიტი ხელოვანი სიზმრებსა და კო-

შმარებზე თხრობის დროსაც კი არ წყვეტს სინამდვილის ასახვას. ეს ასახვა არაა ერთიანი, მონოლითური, მაგრამ არსებობს მრავალგვარი ცხოვრებისა და თვალსაზრისის ერთი მთლიანი კვანძი. ფრანც კაფკა და მარსელ პრუსტიც თანამედროვეობის ყველაზე უფრო „რეალისტ" მწერლებად მესახება. ჩვენ ხომ ვერ გაგვირკვეევია ერთხელ და სამუდამოდ, რა არის სინამდვილე? როგორც ადრე ვამბობდი, სწორედ ესაა ხელოვნების უმთავრესი პრობლემა. სხვადასხვა ეპოქაში სინამდვილე ისაა, რასაც ძლიერ განსხვავებული მწერლები ერთგვაროვნად წარმოგვისახავენ.

ესეც შეიძლება ითქვას: ლიტერატურა არ ასახავს სინამდვილეს, არც უარყოფს და არც ბისდევს მას, იგი უფრო მეტად ინარჩუნებს სინამდვილის არსს, რომელსაც გაიაზრებს ეს: თუ ის კულტურა. ის, რასაც „სინამდვილის არსს" ვეწოდებ, არ ემთხვევა ფროიდისეული „სინამდვილის პრინციპს" — იგი არ წარმოდგება მამიდან, სოციალური მორალიდან და ა. შ. პირიქით, იგი უფრო ღრმაა და ძნელად ემორჩილება განმარტებას და მისი მნიშვნელობა ადრეული ეპოქების რელიგიურ საზრისსა და წმინდა საზრისს უახლოვდება.

აქედან გამომდინარე, მჯერა, რომ უაღრესად გამოკვეთილი, ნათელი, მსუბუქი უნდა იყოს მხატვრული ენა. იგი ხშირად მძიმდება, როგორც ეს პრომპაგანდის, ბიუროკრატიის, სხვადასხვა ტექნოლოგიის ენებს ახასიათებთ. ასეთი (მხატვრული) ენა არცთუ ისე იშვიათად ხდება ირეალურობის მიზეზი. სინამდვილის არსი პოეტებისა და მწერლების ენაშია ფიქსირებული. შესაძლოა, ეს ცოტათოდენ მისტიკური დაკვირვებად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე მჯერა, რომ ასეთი განსაზღვრება ყველაზე უფრო „რეალისტური" იქნებოდა!..

— ცივილიზაციის გარიჟრაჟზე იღებს სათავეს ახალი ადამიანის პრობლემა. იგი ლიტერატურის მარადიულ თემად იქცა. ე. წ. საბჭოთა ლიტერატურამაც შეიმუშავა ახალი ადამიანის მოდელი — კლასობრივი ადამიანი. ეს ლიტერატურა პროლეტარიატის კლასობრივი პოზიციიდან უძებნიდა გამართლებას ყოველგვარ ქმედებას. დავიწყებული იქნა უპირველესი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. ამავე დროს ცნობილია, რომ ამორალური მეთოდებით შეუძლებელია ზნეობრივი საზოგადოების შექმნა.

საბჭოურ სტანდარტებს ვერ აცდა ქართული ლიტერატურაც, რომელმაც XX საუკუნის ორ რომანში — ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვასა" და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში" — ახალი ადამიანის ორი ტიპი შეიმუშავა. ორივე რომანის მთავარი პერსონაჟები კლავენ ადამიანებს, რომლებიც უარს ამბობენ, საზოგადოებას მიხცენ თავიანთი ქონება. მექი ვაშაკიძე დანაშაულის ჩადენის შემდეგ ამაღლებულად გრძნობს თავს. გვადი ბიგვას კი არ სურს, საკუთარ ბავშვებს დაანახოს მოკლულის სისხლი. ეს მის ხულში დაბადებულ დიდ ეჭვსა და მონანიების დასაწყისზე მიგვანიშნებს. იმ დროს ასეთი პერსონაჟის შექმნა დიდი თვისებრივი სიახლე იყო. ამიტომაც ეს ხახე კრიტიკამ არც „დაინახა" და არც „გაიგო". დღეს კი ცხადია, რომ ქართულმა ლიტერატურამ იმთავითვე შეიგრძნო კომუნისტური იდეოლოგიის შინაგანი კრიზისი და ხსნის გზაც მონახა. რას გვეტყოდით. XX საუკუნის ლიტერატურაში ახალი ადამიანის პრობლემაზე?

— „ახალი ადამიანის" პრობლემა ე.წ. სოციალისტური უტოპიის პრობლემაა. არა მგონია, მას სასიკეთო შედეგი მოპყოლოდა. მაგრამ მან იქნებ ყინულის ფენის ქვეშ შემოინახა რაიმე სასიკეთო, როგორც ეს ხშირად ხდება დესპოტიზმის პირობებში, სადაც კონტროლს ტოტალური, საერთო სახელმწიფოებრივი და საერთო პოლიტიკური ხასიათი აქვს. შესაძლოა, ის იყოს ნამდვილი ახალი ადამიანი, რომლის გარყვნაც ვერ შეძლეს ყალბმა „ახალმა ადამიანებმა?"..

კაპიტალისტური დემოკრატიის პირობებში სოციალური კონტროლი სრულიად განსხვავებული ფორმით ხორციელდება, რაზეც ათასნაირი ფაქტორი ახდენს გავლენას. უწინარესად, ეგულისხმობ ბაზარს, სადაც ყველაფერს განსაზღვრავს მოხმარების რაოდენობა, გაფეტიშებულია საქონელი. „თავისუფალ" მასასთან ურთიერთობა.

ინდივიდები ფორმალურად თავისუფალნი არიან, მაგრამ ცხოვრება ისეა ორგანიზებული, რომ არსებულ საზოგადოებრივ სტრუქტურებს იქეთ მათ „სპონტანურად" გასაქანი არ ჰქონდეთ. პარადოქსია: აქ არავინ იძლევა ბრძანებებს, მაგრამ ყველა მორჩილია... რეალურად თავისუფალი ინდივიდი საშიში და აუტანელი იქნებოდა ყოველი საზოგადოებისათვის. დიქტატორულ საზოგადოებაში პოლიტიკური რეპრესიები ბატონობს, აქ კი ადამიანებს სულერად ფიტავენ. მათგან ცარიელი კანიღა რჩება.

შესაძლებელია, იტალიაში ახალი ადამიანი ყოფილიყო პერსონაჟი, რომელსაც ექნებოდა დინების საწინააღმდეგო მოძრაობის უნარი და ვემოვნება. მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში ასეთი ადამიანები არ წარმოშობილან: იტალიელებს უფრო მეტად დინების მიმართულებით უყვართ ცურვა, ვიდრე მის საწინააღმდეგოდ აღმასვლა. იტალიელები სხვებს ინდივიდუალისტებად ვეჩვენებით, მაგრამ ეს ასე არაა. იტალიელი, როგორც წესი, არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს რაიმეს, სხვებისაგან განსხვავებულს.

—ახლა ორიოდე სიტყვით ხომ არ მოგვეხაზა XX საუკუნის მეორე ნახევრის იტალიურ მწე

რლობაში ლიტერატურულ თაობათა ცვლის ხერხათი?

— მე სამი თაობისა და ლიტერატურული სტილის ცვლილებას მოვესწარი: 60-იანი წლების დასაწყისში, 1975 წლის ახლო ხანებში და სულ მცირე დროის წინ.

სამოციანი წლების დასაწყისში იტალიურ ლიტერატურაში ავანგარდისტ მწერალთა თაობა მოვიდა. ჩემს მონოგრაფიაში „წიგნსა და ცხოვრებას შორის. თანამედროვე იტალიური ლიტერატურის მდგომარეობა" სპეციალური თავი — „ლიტერატურული ავანგარდიზმი" ეძღვნება ამ მოვლენას. ეს თაობა მიზნად გათანამედროვეობას ისახავდა. შედეგად კი რომანის პრინციპების დარღვევა მიიღეს. არადა, ლიტერატურის ამ ჟანრს ჩვენში ყოველთვის არსებობის ძძიმე პირობები ჰქონია. მნიშვნელოვანი იტალიელი რომანისტი ხომ გამონაკლისი იშვიათობაა.

1975 წელს ჩაცმა თაობამ დაიწყო თავის დამკვიდრება ლიტერატურაში. მაგრამ დამაჯერებლად ვერ შეძლო ამის გაკეთება. ძალზე ბევრია საშუალო დონისა და ყალბი პოეტი; არიან ბელეტრისტებიც. იყო ფილოსოფოსთა თაობა, შეყვარებული ნიცშესა და ჰაიდეგერზე. ამ დიდ ფილოსოფოსებს, როგორც ცნობილია, ყველაზე ერთგულად ფრანგები მისდევენ (ესაა დერიდა და სხვ.);

ჩემი ლექციების კურსში, როგორც თავადაც გიგიხსენებია, შევეცადე მეჩვენებინა, რომ ესეისტიკაც ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრია. ხშირად ეგი საუკეთესო საშუალებაა არასტაბილური სიტუაციის ასახწერად (სამაგიეროდ ტრადიციულ იტალიურ პროზაში ესეისტები ჭარბობენ).

ბოლო წლებში ახალგაზრდა მწერლებში გაჩნდა ბელეტრისტობის დიდი სურვილი. ეამბობ — „სურვილი", რადგანაც ძალზე იშვიათად იქნება ქარგი ნაწარმოები. გამომცემლები ეძებენ ბესტსელერების ახალგაზრდა ავტორებს. ისინი უამრავ რომანს აქეეყნებენ და ამ დროს რაოდენობა კლავს ხარისხს. ამის მიზეზი ალბათ გარკვეულწილად კრიტიკის უპრინციპობაა (იგი ბიმოიხილავს ნაწარმოებს, მაგრამ არ აფასებს მხატვრულობის დონეს, მსჯელობის საგნად არ აქცევს მის შინაარსს.

ორი კვირის წინ გახლდით ტურინის წიგნის სალონში. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ, სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო იშვიათად წაწყდები საინტერესო წიგნს. წიგნი მომავალში კიდევ უფრო „ეზოტერული" პროდუქტი გახდება. თანდათანობით ნაკლებად შეიძენენ მას ადამიანები, რადგანაც წიგნი დიდ ყურადღებასა და დროს მოითხოვს. პუბლიკა ტელევიზორს ამჯობინებს. შეიძლება წიგნი კულტურული „სინდისის ქენჯნის" ერთ-ერთ სახედ დარჩეს. და როდესაც სინდისის ქენჯნის ამ ძველისძველ ტიპს ფსიქოლოგები უმკურნალებენ, მაშინ...

— მოგეხსენებათ, მარკესის „მარტოობის ასი წელი" ცივილიზაციის ისტორიის ხელახალი გააზრების ცდაა. ბატონ ალბერტო ბაქრაძის აზრით, რომანის ბოლოს კუდიანი ბავშვის დაბადება იმის სიმბოლოა, რომ ცივილიზაცია თავის პირველყოფილ სახეს უბრუნდება. ამით იკვრება წრე. სიცოცხლე მთავრდება ისე, როგორც დაიწყო. რაში გამოიხატება. თქვენი აზრით XX საუკუნის ესქატოლოგიის არსი? ეს ტერმინი იმიტომ ვიხმარე, რომ შუა საუკუნეებში ესქატოლოგია მხოლოდ დროებითი დასასრული იყო. ქრისტეს მოსვლის შემდეგ თეოლოგიურმა კონცეფციამ კაცობრიობას ჩაუნერგა მარადიული ცხოვრების გაგრძელების იმედი. XX საუკუნეში, როდესაც ადამიანებმა დაკარგეს რწმენა და იმედი, ესქატოლოგია აბსოლუტური დასასრული გახდა. თუკი მარკესი სულიერ კრიზისზე მიგვანიშნებს. სადაა საძიებელი ამ კრიზისის მიზეზი და სადაა გზა ხსნისა?

— სავსებით სწორად გაუაზრებია ბატონ ალბერტო ბაქრაძეს მარკესის რომანის ფინალი: ცივილიზაცია, ალბათ, თავის საწყისებს დაუბრუნდება. ადამიანებმა მხოლოდ რწმენა და იმედი კი არ დაკარგეს (ეს, ცოტა არ იყოს, განცხადებად რჩება), არამედ, როგორც ვამბობდი, მათ უკვე სინდისიც აღარ ქენჯნით. ეს ნიშნავს, თანდათან ყველაფერი ისე მიიღო, როგორც ეს ფაქტობრივად არის საზოგადოებაში. ადრე იტალიაში მცირეოდენი სიმდიდრე იყო, დღეს კი საზოგადოების ორი მესამედი უზრუნველყოფილად ცხოვრობს. დანარჩენებს (მათ უმეტესობას მაინც) შეცნობილი აქვთ, რომ მათი ყოფა იქნებ კიდევ უფრო გაუარესდეს. ჩვენი ახალი პროლეტარიატი უცხოელებითაა დაკომპლექტებული (აფრიკელები, აზიელები და ა. შ.). იბადება ახალი სახეობის რასიზმი. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა ომი ღარიბთა შორის: ფერადკანიანთა ყველაზე დიდი მტერი ხომ ღარიბი იტალიელია.

არ ვიცი, რა ვთქვა, როდესაც „ხსნას" ახსენებენ. ყოველი სოციალური, კოლექტიური მორალი რაღაც კომპრომისია, საშუალებაა სიცოცხლის გასაგრძელებლად, სამუშაო პრობლემის მოსაგვარებლად, ოჯახის შესანარჩუნებლად და ა. შ. უფრო რიტორისტული, რელიგიური განსაზღვრებით, მხოლოდ ერთეულები „გადარჩებიან".

— XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა იყო სოციალურ ფენებს შორის ხიდჩატეხილობა. დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე ხსნის გზას მონანიებასა და შინაგან კათარზისში ხედავდა.

იტალიურ სინამდვილეში გარკვეულწილად ხიდჩატეხილობის გამოვლინებაა დაპირისპირება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რომელიც ძალზე მძაფრად იგრძნობა. ეს ქართველი ბავშვებისთვისაცაა ცნობილი რენე რეჯანის „მზის მატარებლიდან“. ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაპირისპირება ეკონომიკისა და ცხოვრების წესში ისეთი სერიოზული გახდა, რომ მათი ერთმანეთისაგან პოლიტიკური გამიჯვნის იდეაც კი დაიბადა: ჩრდილოეთის რეგიონებმა— ვენეციამ, ლომბარდიამ და პიემონტმა შექმნეს პოლიტიკური ლიგა „ნორდ“ (ჩრდილოეთი), რომლის მიზანია ჩრდილოეთმა სამხრეთისაგან პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოიპოვოს.

როგორია აქ იტალიური ლიტერატურის პოზიცია და რაში ხედავს იგი ეროვნული კონსოლიდაციის გზას?

—სოციალურ ფენებს შორის გათიშულობა და ურთიერთობათა სიძნელები რეალურად ვერ გადაილახება: შესაძლებელია მხოლოდ ნაკლებად დრამატული გავხადოთ ისინი. საჭიროა, რომ ორ სოციალურ ჯგუფს შორის მეტისმეტი არ იყოს ეკონომიკური და პოლიტიკური განსხვავება. ამ პრობლემის მოგვარების პერსპექტივისადმი რამდენადმე სკეპტიკურად ვარ განწყობილი. სხვადასხვა საზოგადოებაში პარიტეტული შესელისათვის აუცილებელია, რომ ყოველ ინდივიდს ჰქონდეს არჩევანის შესაძლებლობა და პიროვნული უნარი, საჭიროა „სიმპათიის“ დიდი ნიჭი („სიმპათია“, ძველბერძნული მნიშვნელობით, „ხალხის მოსმენას“ ნიშნავს). ამასთან ერთად უნდა გქონდეს წარმოსახვის ნიჭიც. რაც არ უნდა თქვას შენმა ოპონენტმა, უნდა შეგეძლოს მისი პოზიციის გაგება მაშინაც კი, როდესაც შენი თვალსაზრისი მისგან ძალზე განსხვავდება. ამ უნარის აღსაზრდელად უაღრესად საჭირო იქნებოდა ლიტერატურა, მაგრამ მას, როგორც წესი, ცუდად სწავლობენ. სწავლობენ როგორც მკვდარ მასალას, რომლის შესახებაც ლაბორატორიული გამოკვლევა უნდა ჩაატარო.

მონანიება, ცრემლი, სიყვარული იმსნის ანტაგონიზმს — ეს გახდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის წამყვანი იდეა.

— უწინარესად, მხედველობაში მყავან ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი. სად ხედავს ანალოგიურ გზას იტალიური ლიტერატურა?

— ყველაზე დიდი რომანი, რომელიც ბოლო ოცი-ოცდაათი წლის მანძილზე შეიქმნა, ელზა მორანტეს „ისტორიაა“. იგი ერთადერთი ახალი იტალიური რომანია, სადაც გაშუქებულია ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ პრობლემებთან („მონანიება, ცრემლი, სიყვარული“) ახლო მდგომი თემები და განცდები. ულაღრესად ფართოა ამ რომანის მკითხველთა წრე, ხალხს ძალიან უყვარს იგი. კრიტიკოსები და ლიტერატორები კი ამ ნაწარმოებს უარყოფითად შეხვდნენ. ისინი ელეგანტ კალვინოს ამჯობინებენ, რომელიც აწვრილმანებს ყველა გრძნობასა და პრობლემას. ამით იგი „საშუალო კლასს“ საკუთარი „საშუალო ოსტატობით“ ამშვიდებს. ანდა, ელზა მორანტეს [illegible] უმბერტო ეკოს, რომელიც [illegible] ბების ავტორია. იგი სემიოტიკისა და შუა საუკუნეების ესთეტიკის პროფესორია, მაგრამ მას საფუძვლიანად არც ენა ესმის და არც შუა საუკუნეები.

— რა მიმართებაშია თანამედროვე იტალიური ლიტერატურა კლასიკურ მემკვიდრეობასთან. როგორია მათი ურთიერთობის ისტორია? საერთოდ, ძალზე საინტერესოა ნებისმიერი ერის სულიერ ცხოვრებაში კლასიკურ მემკვიდრეობასთან ურთიერთობის პრობლემა. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში ქართული ლიტერატურა დაუპირისპირდა კლასიკურ მემკვიდრეობას, უარყო ქრისტიანული კულტურა, არადა საქართველო კლასიკური ქრისტიანული ქვეყანაა. ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა წარმართობა გამოაცხადა ჰეშმარიტ კულტურად, მეორემ კი ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა წინა თაობების კულტურასთან და სრულიად ახალი კულტურის შექმნა დაისახა მიზნად. ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, დამღუპველია — **როდესაც წყდება რომელიმე ხალხის კულტურის ერთიანი ხაზი, მაშინ ეროვნული ცნობიერებაც ირღვევა.**

— შორეულ წარსულში იღებს სათავეს იტალიური ლიტერატურა. სწორედ მაშინ შეიქმნა ყველაზე დიდი ნაწარმოებები. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. რაკი თავიდანვე გამოიკვეთა იდეალური, მისაბაძი ფორმები, წარსული სიმძიმედ დაწვა მომავალს.

XVI საუკუნეში ჩამოყალიბდა იტალიური კლასიციზმი. ამ დროს პეტრარკამ პოეზიაში და ბოკაჩომ პროზაში შექმნეს მოდელები, ლიტერატურული წესების მისაბაძი სისტემები. ჩვენი მწერლობის ბერძნულ-ლათინურ ლიტერატურებთან ურთიერთობა გაჭიანურებულია და XV-XVI საუკუნეების კლასიციზმზე გადის.

ჩვენი კულტურა წარსულ კულტურაზე უფრო „ბარბაროსულია“. საერთოდ არ იგრძნობა ტრადიცია. ეს კი მეტად არასახარბიელოა. ეკლესიამ დაარღვია რელიგიური საზრისი (იტალიელებს უფრო „წარმართული“ სული აქვთ, ვიდრე ქრისტიანული) საუკუნეთა მანძილზე რელიგია იგივე იყო, რაც დომინანტური პოლიტიკური ძალაუფლება. ამის გამო ხალხს არ სჯერა ღვთისმსახურთა სიტყვებისა, ისინი მათ ისეთ თვალთმაქცობად მიიჩნევენ, რომლებიც

ვერასოდეს გამოხატავენ ფასეულ გრძნობებს და ვერც ვერასოდეს იქცევიან რეალობად.

ჩვენთვის თანდათანობით დაირღვა ტრადიცია. ახლა ვცხოვრობთ მუდმივად არსებულ აწმყოში, შორეული წარსულის ნანგრევებით სავსე დასახლებაში და ამ წარსულთან საერთო ალარაფერი დაგვრჩენია. არ არსებობს იტალიელთა კრებითი სახე: არსებობენ „ლოკალური სახეები, რომელთაც რაღაც დადებითი მოეძებნებათ (საყვარელი და მოსაფრთხილებელი, კონკრეტული, „პატარა სამშობლოს" მნიშვნელობით). მაგრამ ყველას ახასიათებს რაღაცნაირი ჩლუნგი ეგოიზმი, რაც საშუალებას არ აძლევთ. გაიგონონ ის, რაც განსხვავებულია მათი ყოფისაგან. ხშირად ერთა შორის კავშირურთიერთობა ეროვნული თვითმყოფადობის დადგენის უპირველესი საშუალებაა, მაგრამ ეს გარემოება იმავდროულად მეზობელი ერების წინააღმდეგ ომის დაწყების იმპულსადაც გვევლინება. ვშიშობ: რელიგია, როგორც საერთო ფენომენი, იქნება საშინელი ტყუილის ფორმა, იარაღი ურთულესი ცხოვრების პირობების ასატანად, მაგრამ, ამავე დროს, სხვა ერების მასობრივი დარბევის იარაღიც. მარქსიზმი რელიგიაზე უფრო „თანამედროვე" იყო.

— ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ეროვნული სულის აღზრდაა. თითოეული ერის თვითშემეცნების ჩამოსაყალიბებლად კი აუცილებელია მესიანისტური იდეის შემუშავება. ასეთი იდეა ქართულ ეროვნულ ცნობიერებასა და ლიტერატურაში საუკუნეების წინათ ჩამოყალიბდა. ქართული სახელმწიფოებრიობის აღზევებასთან ერთად ამ იდეამ ალოგეის მიაღწია? მის დასუსტებასთან ერთად კი დაკნინდა და დავიწყებას მიეცა. XIX საუკუნიდან, როდესაც საქართველოს სულიერმა მამამ, ილია ჭავჭავაძემ, ჩვენი ერის სულიერი კონსოლიდაცია დაიწყო, ეს იდეაც ისევ აღორძინდა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ იტალიურ ლიტერატურაში?

— მესიანიზმი იტალიურ ლიტერატურაში უწინარესად დანტესთან იღებს სათავეს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დანტე, უპირველეს ყოვლისა, შუა საუკუნეების ევროპელი ქრისტიანი იყო და შემდეგ კი — იტალიელი. იტალიური თვითშემეცნების ერთიან ხაზს ავითარებენ პეტრარკა, მაკიაველი, შემდეგ კი მთელი XVIII საუკუნის ლიტერატურა.

იტალიური ეროვნული თვითშემეცნების დამკვიდრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ორ დიდ ლიტერატურულ ნაშრომს. მხედველობაში მაქვს მანცონის „დანიშნულნი" და ფრანჩესკო დე სანქტისის „იტალიური ლიტერატურის ისტორია". სწორედ ამ ნაწარმოებებში გამოვლინდა ყველაზე ნათლად, რომ ჭეშმარიტი ერთიანობა ენისა და მწერლობის ერთიანობაა.

1861 წელს იტალია ერთ ერად გაერთიანდა. ამ დროიდან კიდევ უფრო პროვინციული გახდა ჩვენი ლიტერატურა. ჩვენი დიდი შემოქმედნი მანამდე მოღვაწეობდნენ, ვიდრე იტალიელი ერი ჩამოყალიბდებოდა. საგულისხმოა, რომ უდიდესი კულტურა იტალიაში ეროვნული ერთიანობის პერიოდში კი არ შეიქმნა, არამედ მაშინ, როდესაც იგი მცირე და ნაცვალ კუთხეებად იყო დაქუცმაცებული. ეროვნულმა აღტყინებამ, საფრანგეთისა და ინგლისისათვის მიბაძვის სურვილმა იტალიას ფაშიზმი და ომი მოუტანა.

— XIX საუკუნის კლასიკური ლიტერატურისაგან განსხვავებით, XX საუკუნის ლიტერატურა ძალზე დიდ ადგილს უთმობს მითოლოგიას. თქვენი აზრით, რით აიხსნება ეს გარემოება?

— მითოლოგია იმთავითვე იყო ლიტერატურის ბაზისი. აიდეალებდნენ, ანდა სხვადასხვა ვარიაციით იმეორებდნენ ამბებს, რომლებიც ღირსშესანიშნავ ფაქტებს მოგვითხრობენ. XX საუკუნეში აზროვნებამ, ერთი მხრივ, უარყო ყოველგვარი მითოლოგია და გაწყვიტა წარსულთან კავშირი (ავანგარდიზმი), მეორე მხრივ კი, პირიქით, იგრძნო, რომ წარსულში დასაყრდენი უნდა ჰქონოდა (ელიოტი, ჯოისი, თომას მანი). ფაქტს ვერსად გაექცევით. მდიდარი ქვეყნების მასათა ახალი მითოლოგია რეკლამებისა და ტელევიზიის საფუძველზე შეიქმნა

ჩემი აზრით, XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი საშიშროებაა ტრადიციული მითოლოგიის თანხვედრა თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიასთან. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს, საერთოდ, საშიშროების ახალი სახეობაა. ფაშიზმმა და ნაციზმმა ძირითადად შეანივთა ორგვარი ტენდენცია. ისინი, ერთი მხრივ, ცდილობენ არ ჩამორჩნენ თანამედროვეობას და ამ მისწრაფებას უახლესი იარაღის, ინდუსტრიული ტექნოლოგიის დანერგვით გამოხატავენ; მეორე მხრივ კი, პრემოდერნისტულ ეროვნულ მითოლოგიებს უბრუნდებიან.

მაგალითად, იტალიელებისათვის ასეთი ეროვნული მითოლოგიაა რომის იმპერია, გერმანელებისათვის კი — გერმანული შუა საუკუნეები. მაღალი კულტურისათვის, მაგალითად ინგლისურისა და ფრანგულისათვის, ბუნებრივი არ იყო ინდუსტრიული საზოგადობა და კაპიტალიზმი და ამიტომაც ამ ქვეყნებში ძლიერ ნელა მიმდინარეობდა განვითარების პროცესი, სახელმწიფო სტრუქტურები კი მას ძალზე მოხერხებულად აკონტროლებდნენ.

დღეს კი მთელი მსოფლიო ისწრაფვის საზოგადოებისა და კეთილდღეობის იმავე ტიპისაკენ, ცხოვრების იმავე მოდელისაკენ, მაგრამ არც ეს პროცესია ბუნებრივი. მსოფლიოში უამრავი კულტურაა. ეს ნიშნავს, რომ არსებობს თანამედროვე ინდუსტრიისა და რაციო-

ნალური სოციალური ორგანიზაციის უამრავი ტიპი, სადაც ძალზე ძნელია რაიმე საერთოს მონახვა.

„გადასავლურებისა“ და უსწრაფესი „გათანამედროვეობის“ ორ, ყველაზე მკაფიო მაგალითად მოგვეველინენ სსრკ და იაპონია. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, როგორ წარიმართა ეს პროცესი პირველ შემთხვევაში. რაც შეეხება იაპონიას, იგი ჯერ კიდევ სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. თუმცაღა შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ იქ შეიქმნა ყველაზე პროდუქტიული, მდიდარი, ორგანიზებული კაპიტალიზმი, რომლის მსგავსი სხვაგან არსად გვხვდება.

თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე დიდი ტირანი მსოფლიო ბაზარია. იგი აიძულებს დამორჩილებას, არ გამოავლინონ თავისი ნამდვილი ბუნება. მოაძებნინოს მათ ცხოვრების ზუსტი წესი, რაც არსებითად პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების წესია.

მაგრამ იმავდროულად არის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კლასის კაპიტალიზმი. ეს დიდ თავსატეხს აჩენს. ყველას უნდა აშშ-საკით იცხოვროს. მთელი მსოფლიო ნამდვილად ესწრაფვის აშშ-ის მოქალაქე გახდეს. ეს კი შეუძლებელია. ამასთან ფაქტია ისიც, რომ აშშ ჩადის ათასგვარ სისულელეს. იგი აივსო ბოროტებით, უბედურებით, სიგიჟით, დაბოლოს, აშშ-ის არსი მთელი მსოფლიოს დამცირებაა. ამ ქვეყანას აქვს თავისი იდეა: სხვებს, ფეხქვეშ გათელილთ, აღარ შეუძლიათ, იქონიონ და შექმნან რაიმე იდეალი, ცხოვრების წესი, განსხვავებული ფასეულობანი.

— როგორია თანამედროვე იტალიური ლიტერატურის უმთავრესი პრობლემატიკა?

— ჩემი აზრით, ბელეტრისტიკას ერთი ფუნდამენტური პრობლემა აქვს — ილაპარაკოს იტალიაზე, ისეთზე, როგორიცაა ის სინამდვილეში. მოგვითხროს იმაზე, სადამდეც მივიდა იგი. ცხადია, ასეთი მიზნის ხორცშესხმას შესაბამისი უნარი სჭირდება. სამწუხაროდ, პროზა უძლურია, იპოვოს ენა და მხატვრული საშუალებები აწმყოს არსის გასაგებად. ასეთი პროზა არ არსებობს.

პოეზიაში ფუნდამენტური პრობლემაა ენისა და სტილისტიკის ფორმათა საკითხი: პოეტური ენა იტალიაში გახდა ზედმეტად აბსტრაქტული და ცარიელი, რაღაცნაირი უფერული და ბრტყელი, ლირიკული ჟარგონით მოჭარბებული. მთელი ლიტერატურული პროცესი კი მოკლედ ასე შეიძლება შეფასდეს: ვინც წერა იცის, მას სათქმელი არაფერი აქვს, ვისაც რაიმე აქვს სათქმელი, წერა არ იცის.

— ათიოდე წლის წინ იტალიურ და, საერთოდ, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში მოვლენად იქცა უმბერტო ეკოს რომანი „ვარდის სახელი“. ამ ნაწარმოების გარეშემო ვნებათა ღელვა ჯერაც არ დამცხრალა. ამავე დროს ეს რომანი თქვენს სალექციო კურსში თანამედროვე იტალიურ ლიტერატურაზე მსჯელობისას საერთოდ არ გიხსენებიათ. რით აიხსნება ეს და, საერთოდ, როგორ დაახასიათებდით ამ რომანს ძირითად იდეას?

— „ვარდის სახელის“ ძირითადი იდეა არის ის აზრი, რაც შეიძლება ჰქონდეს მასასთან ურთიერთობის ისეთ ექსპერტს, როგორიც ეკოა: როგორ დავწეროთ წიგნი, რომელსაც მთელი ხალხი იყიდის. ეს გახლავთ რაფინირებული კულტურის ოოლად ათვისების იდეა. ესაა ამერიკელებისათვის შექმნილი რომანი. იგი დაიწერა იმ ტურისტებისათვის, რომელთაც სურთ, იყიდონ ევროპა იმით, რაც მას ყველაზე უფრო ტიპური აქვს: გოტიკით, შუა საუკუნეებით, საგამომძიებლო რომანით.

— მაქს ვებერი ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის განსხვავებად იმას მიიჩნევდა, რომ მეცნიერებაში ყველაფერი მალე ძველდება, პირველი ცოდნა ყოველთვის ფერმკრთალდება მეორის დაბადების შემდეგ. ხელოვნებაში კი ასე არ არის. ლიტერატურაში იცვლება და ძველდება გამოსახვის საშუალებანი, მაგრამ ამ ხერხებით უკვე შექმნილი ნაწარმოები თავის სიმაღლესა და მნიშვნელობას არასდროს კარგავს. რაში უნდა ვეძიოთ, თქვენი აზრით, ლიტერატურის მარადიული სულის საიდუმლოება?

— ვფიქრობ, ყოველი ნამდვილად დიდი ლიტერატურული ნაწარმოები იმთავითვე ავთენტურად და მრავალმნიშვნელოვნად გვევლინება. მერე მას აღარაფერი ემატება. იგი თავიდანვე იწერება, როგორც საბოლოო სიტყვა, როგორც თვით სახარება, რომელიც პირისპირ გაყენებს არარაობის, სიჩუმის, მუდმივი გაქრობის მუქარის წინაშე. ესეცაა ლიტერატურულ ნაწარმოებთა შინაარსისა და მათი ფორმალური სრულყოფის ტენდენციის საერთოობის ჯამი.

პოეტური ნაწარმოები, ხალხისათვის დაწერილადაც რომ მოგვეჩვენოს, ყოველთვის ან უმეტესწილად იქმნება საკუთარ თავთან, სიმარტივესთან, ე. ი. ღმერთთან (ან რომელიმე დემიურგთან, თუკი ავტორს არცერთი რელიგია არ სწამს) პირისპირ დგომით. ამის გამო, შესაძლებელია, ისეც მოხდეს, რომ ლიტერატურამ რელიგიის ადგილი დაიკავოს, ანდა სულაც ახალი რელიგია შექმნას. თუმცა ყველა რელიგია საკრალურ ტექსტებს ეფუძნება, კლასიკოსთა კი-

თხვა და ხელახლა წაკითხვა რიტუალისა და კულტის ერთგვარი ფორმაა.

— მოგეხსენებათ, ადამიანი ლიტერატურის ცენტრალური პრობლემაა. როგორ წარმოაჩენს ამ პრობლემას თანამედროვე იტალიური ლიტერატურა?

— შეუძლებელია ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა. ლიტერატურა — ეს სამყაროთა მრავალფეროვნებაა. ერთ სიბრტყეზე ვერ თავსდება მათ მიერ გამოყენებული სინამდვილის ასახვის ფორმები. საერთოობა მხოლოდ მაშინ ვლინდება, როცა ლიტერატურას უნიტარულ, რელიგიურ ან იდეოლოგიურ ფასეულობათა სისტემა დააწვება.

არის სვევოს ადამიანი და პირანდელოს ადამიანი, ასევე, გალდოს, მონტალესა და კალვინოს ადამიანები. თუმცა აქაც შეინიშნება რაღაც საერთო. მწერლები მოგვითხრობენ ინდივიდებზე, რომლებიც გაურბიან საკუთარ თავს, იღუპებიან და ხელიდან ეცლებათ სიმართლე მაშინაც კი, როცა იპოვიან. ისინი ცხოვრობენ ღირებულებათა ქაოსში და არ შეუძლიათ, არჩევანი გააკეთონ, ისინი არიან ფერმკრთალი, ამღვრეული, ურწმუნო ადამიანები, რომელთაც ცხოვრებაში სული ეხუთებათ და ყოველ ღონეს ხმარობენ სამყაროს უმცირესი ნაწილის გასანათებლად მაშინ, როდესაც ქვეყანა დანარჩენი კონფუზიისა და სიბნელის ტყვეობაშია.

— ლიტერატურული კრიტიკა, გარკვეული აზრით, ზუსტი მეცნიერება უნდა იყოს. თუკი იგი სუბიექტური იქნება, მაშინ ამის პრეტენზია ვერ ექნება და მისი ფუნქციაც ძლიერ შემოისაზღვრება. იმავდროულად შეუძლებელია მასში პიროვნული მომენტისა და გემოვნების გამორიცხვა. თქვენი აზრით, შესაძლებელია მოინახოს უტყუარი კრიტერიუმები ლიტერატურული ნაწარმოების შესაფასებლად?

— პიროვნული ცოდნისა და მაღალი ესთეტიკური გემოვნების გარეშე საეჭვოა ლიტერატურულმა კრიტიკამ თავი გაართვას დასახულ ამოცანას. ლაპარაკია იმაზე, რომ კრიტიკამ უნდა ნათელყოს მხატვრულ ფასეულობათა სისტემა, ეცადოს მის ახსნას, განსაზღვროს შეხედულებებისა და ესთეტიკური ქსოვილის ჭეშმარიტი ღირებულება. ამასთან კრიტიკოსმა ისე უნდა წეროს, რომ თითოეულმა ადამიანმა, ვინც კრიტიკოსს არ ეთანხმება, წიგნსა და მის ავტორში ავტორისეული ინდივიდუალობა შეიცნოს, აღმოაჩინოს ის, რაც იქ მკითხველისათვის შეუმჩნეველი აღმოჩნდა.

ლიტერატურული კრიტიკა ის ფენომენია, რომელიც ლიტერატურასთან ერთად საზოგადოების კულტურის, ეპოქის ზოგად ურთიერთობათა შიგნით ძევს. კრიტიკოსი შეიძლება გაბატონებულ შეხედულებათა და გემოვნებათა გაგლენის ქვეშ მოექცეს, თუმცა შესაძლებელია პირიქითაც მოხდეს. მეცნიერსა და ფილოლოგს კრიტიკასთან ვერ გავაიგივებთ. თუმცა კარგი ფილოლოგი კრიტიკოსია და კარგი კრიტიკოსი — იმავდროულად ცოტაოდენ ფილოლოგიც, ე. ი. ენის მკვლევარი. მაგრამ აუცილებელია ანგარიში გავუწიოთ ფორმას, რომლითაც ვწერთ (სპეციალისტებისათვის ვწერთ წიგნს თუ ჟურნალისთვის — სტატიას). ასევე მნიშვნელოვანია, რა მიზნით ვწერთ. ლიტერატურული მანერა უამრავია. ხანდახან ისეც ხდება, რომ ლიტერატურათმცოდნე განზრახ არ აყენებს თავის გემოვნებას, ანდა ინდიფერენტულია ნაწარმოების გარეგნული მხარის მიმართ.

— დრო თითოეული ნაწარმოების მხატვრული ღირებულების უტყუარი ინდიკატორია, მაგრამ, მოგეხსენებათ, ოღონ არ არის ამ ღირებულების ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრა. როგორ ართმევს თავს ამ ურთულეს ფუნქციას თანამედროვე იტალიური კრიტიკა?

— „მებრძოლ" ლიტერატურულ კრიტიკას,— რომელიც იკვლევს თანამედროვე მწერლობას ანდა მცირეოდენი ხნის წინ გამოქვეყნებულ წიგნებს, ერთი სირთულე აქვს: არასტაბილური, მოძრავია სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობა და ამასთან მას მხარს არ უმაგრებს მეცნიერული ტრადიცია, თანამედროვე ლიტერატურა ლაპარაკობს ჩვენზე. ასევე კრიტიკოსიც ირიბად ლაპარაკობს თავის თავზე; ებრძვის ან ეხმარება ავტორს, ე. ი. მასთან უშუალო დამოკიდებულება აქვს.

ყველა შემთხვევაში კრიტიკოსის უმთავრესი მიზანია, თავად შეიცნოს ნაწარმოები და სხვებსაც დაეხმაროს მის შეცნობაში; ისე წეროს, რომ ნაწერი საკითხავად საინტერესო იყოს იმათთვისაც კი, ვისაც თვით წიგნი არ წაუკითხავს. ავტორის ხასიათიდან გამომდინარე, ნაწარმოების შესაცნობად შეგვიძლია ერთი ან მეტი მეთოდი ვიხმაროთ. წერისას კი უცილობლად უნდა შევიმუშაოთ გასაგები სტილი, რომელიც ყველაზე მეტად შეგვაძლებინებს მკითხველი დავუახლოვოთ ლიტერატურას, იმ კონკრეტულ ავტორს ან იდეას, რომლის გამოხატვაც გვსურს.

კრიტიკა ცოტაოდენი მეცნიერებაცაა და ცოტაოდენი — ხელოვნებაც. იგი ერთთავად მიმოიხრება „წიგნსა და ცხოვრებას შორის", არა მხოლოდ ავტორის, არამედ კრიტიკოსისა და მკითხველთა ცხოვრებას შორისაც. ამიტომაც აუცილებელია, რომ ენა გასაგები, უშუალო და

ცოცხალი იყოს. მაშინაც კი, როდესაც ურთულეს საკითხებზეა საუბარი, კრიტიკოსმა უნდა გამონახოს ხიდი სპეციალისტთა ენასა და სახალხო-საძეტყველო და ლიტერატურულ ენას შორის.

— როგორ ხდება დრო ლიტერატურის კრიტიკოსი?

— ყოველ საზოგადოებასა და ეპოქას საკუთარი ცხოვრების სტილი აქვს. ეს სტილი ყველა ლიტერატურული სტილის უტყუარი კრიტიკოსია. მაგრამ არ უნდა გაგვიჩნდეს ისეთი გრძნობა, თითქოს მხოლოდ ჩვენ ხელგვეწიფებოდეს წარსულის ლიტერატურის შეფასება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარსულის ლიტერატურაც გვაფასებს ჩვენ. მაგალითად, ჩემი აზრით, დანტე დღევანდელი იტალიის ძალზე ბევრ ცუდ მხარეს ამხელს და ამათრახებს მის ბევრ ვაი-მკვლევარსაც!..

— ორიოდე სიტყვით ხომ არ მიმოგვეხილა დღევანდელი იტალიის ლიტერატურული მიმართულებანი და კრიტიკული სკოლები?

— კარგა ხანია, რაც იტალიაში ჭეშმარიტი დისკუსია არ მოწყობილა კრიტიკის საკითხებზე. უკანასკნელი დისკუსია ჩემი და ზოგიერთი ჩემი მეგობრის — ფრანკო ბრიოსკის, კოსტანცო დეი ჯიროლამოს, ჩეზარე კასუზისა და სხვათა ინიციატივით გაიმართა. კამათი წარიმართა იმ კრიტიკული მიმართულების წინააღმდეგ, რომელიც კრიტიკული აზროვნებისა და ლიტერატურის სწავლების ერთადერთ მეთოდად სტრუქტურალიზმს აღიარებს.

სამწუხაროდ, იტალიელებს არა გვაქვს კამათის კულტურა. დღეს ჩემი მოწინააღმდეგენი მეტ-ნაკლებად იმას ამბობენ, რასაც ადრე თავად მე ვქადაგებდი. ამასთან სიტყვასაც არ ძრავენ იმაზე, რომ ამ იდეებს სულ რამდენიმე წლის წინათ თვითონ გადაჭრით უარყოფდნენ.

იტალიურმა კრიტიკულმა აზროვნებამ სულ მიივიწყა მეთოდოლოგიური პრობლემები, რაც, უდავოდ, მისი დიდი ნაკლია. სამწუხაროა ისიც, რომ დღეს იტალიაში თანდათან მცირდება ჭეშმარიტი კრიტიკის როლი, დომინირებს საუნივერსიტეტო ბიუროკრატია და საგამომცემლო რეკლამა. ესაა ორი უზარმაზარი მანქანა: საბელმწიფო და ბაზარი. წერენ, რათა სამუშაო ადგილი შეინარჩუნონ და საწვავი მისცენ იმ სოციალურ მანქანას, რომელიც მათ აძლევს ამ სამუშაოს.

— რას ფიქრობთ მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკის მეთოდოლოგიაზე, რომელიც ასე პოპულარული იყო საბჭოთა კავშირში?

— მარქსიზმ-ლენინიზმი საბჭოთა კულტურული ბიუროკრატიის სპეციფიკური ფორმა იყო. შესაძლოა, თავიდან იგი მხოლოდ კრიტიკულ საშუალებად მოგვევლინა, მერე კი კოაფორმისტთა ხელში იარაღად გადაიქცა. მაგრამ ყოველგვარი მეთოდის არსებობა, რომელსაც სურს პრიმატის მოპოვება და მეტ-ნაკლებად საჯიფათო შოლს შექმნა, ისეთივე კრიზისი მთავრდება, როგორც ეს მარქსიზმ-ლენინიზმს დაემართა. პრიმატის მოპოვების პრეტენზიას აცხადებენ ფორმალისტური და სემიოლოგიური მეთოდებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არც ფორმალისტი ვარ და არც მატერიალისტი. ეცდილობ, შევისწავლო ლიტერატურა და ეს ყოველგვარ მეთოდზე მეტს მაძლევს. მეთოდი არის საშუალება, რითაც მეცნიერი თავს იცავს იმისაგან, რასაც მწერალი წერს, და იმისგანაც, რისი განცხადებაც სურთ წიგნებს.

კრიტიკოსი, უპირველეს ყოვლისა, მკითხველი უნდა იყოს, ჰქონდეს ყველა ადამიანური ინტერესი, მისთვის უცხო არ უნდა იყოს ის ბუნდოვანება, რომელიც წიგნის კითხვისას ყველა არაპროფესიონალს აღეძვრება. ამას გარდა, მან უნდა შეეძლოს, სიღრმისეულად ჩასწვდეს ტექსტის არსა და წერისას გასაგებად გადმოსცეს საკუთარი მოსაზრებანი.

— თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე იკითხება ფაკულტატური კურსი „ლიტერატურულ ნაწარმოებთა შეფასების კრიტერიუმები", რომელიც მიპყავს ცნობილ ნოველისტსა და კრიტიკოსს, პროფესორ რევაზ მიშველაძეს. როგორი ყურადღება ექცევა ამ საქმეს იტალიური უნივერსიტეტების ფილოლოგიის ფაკულტეტებზე და განსაკუთრებით კა'ფოსკარიში?

— ამის მსგავსი ჩვენთან არაფერი არ არსებობს. ჩვენს პროფესორებს დიდი შიში აქვთ ლიტერატურულ ღირებულებათა მიმართ. ღირებულება ნამდვილად საჯიფათო რამ არის, რადგანაც იგი უმალვე გამოარჩევს კარგს მდარესაგან. მეცნიერთა უმეტესობა მდარე ლიტერატურაზე მუშაობს და, თუკი ისინი კვლევისას დიდ ავტორებს მიადგებიან, მათზე ისე ლაპარაკობენ, როგორც ცუდ მწერლებზე ისაუბრებდნენ.

კრიტიკოსებს სურთ, იყვნენ ბიუროკრატები და ტექნიკოსები, ლიტერატურის „ბიუროტექნიკოსები". მე არ ვფიქრობ, რომ შეიძლება „ფასეულობათა მეთოდოლოგიის" შემუშავება. ჩემი აზრით, არ შეიძლება ფასეულობათა შეფასება მეცნიერება გახდეს პირდაპირი მნიშვნელობით. ესაა კულტურისა და ინდივიდის ერთიანობა. ეს შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ მოხერხდეს, როცა ძალიან უყვართ მწერლები, როცა კითხულობენ და ხელახლა კითხულობენ

მათ ნაწარმოებებს, მათ შორის შორეული ეპოქების მწერლებსაც.

— როგორ გესახებათ მწერლისა და მკითხველის დამოკიდებულება?

— ვერც ერთი ავტორი ვერ იარსებებს მკითხველის გარეშე. ტექსტი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მას კითხულობენ. უაღრესად ფართოა და უმნიშვნელოვანესი მკითხველის შესაძლებლობები და ფუნქციები. იგი აძლევს მწერალს არსებობის საშუალებას. მას გამოჰყავს იგი დავიწყების წყვდიადიდან. მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, მხოლოდ მკითხველი არ ქმნის ახალ ტექსტს, თვით ლიტერატურული ნაწარმოებიც ქმნის თავის მკითხველს, შლის მის წინაშე სივრცეებს, რომლებსაც იგი აქამდე ვერ ხედავდა.

— როგორც იცით, ამ ბოლო დროს მწვავე დებატები გაიმართა რომანის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, შესახებ. გამოითქვა რადიკალური აზრიც, თითქოს რომანმა ამოწურა თავისი შესაძლებლობანი. თანადროულობის თავისებურებებიდან გამომდინარე, ბევრი მომავლის ჟანრად ესეს მიიჩნევდა. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?

— ამგვარი კატეგორიული შეხედულებები ცალმხრივი და შედარებითია. ლიტერატურის არცერთი გვარი არ არის მკვდარი დიდი მწერლისათვის, რომელსაც ნებისმიერ ჟანრში შეუძლია საკუთარი ინდივიდუალობის გამოვლენა შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო:

ა) შეცდომაა, ვერ დაინახო, რომ ესეც ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრესი ჟანრია. იგი ძალზე ხშირად უახლოვდება რომანს, თუმცა ზოგჯერ ახლოს დგას პოეზიასთანაც.

ბ) როგორც იტალიაში, ისე, საერთოდ, ევროპაში ხშირად ძალზე მდარე პროზაული და პოეტური ნაწარმოებები იქმნება, მაგრამ ამის გამო როდი განიცდის ლიტერატურა კრიზისს. ლიტერატურული გვარები ერთმანეთს ენაცვლებიან. და ეს სრულიად ბუნებრივია. თვით რომანი რამდენიმე საუკუნის წინ დაიბადა ძველ ჟანრთა კრიზისის საფუძველზე და თავის თავში შეანივთა ახალი ფორმა, წინა მემკვიდრეობაზე უფრო ბევრისმომცველი. რომანი მრავალშრეებიანი შერწყმული ფორმა იყო. ეს ესესაც ახასიათებს. ამის გარდა ლექსი ისეთი ფორმაა, რომელიც ადვილად იმსხვრევა და ამიტომაც მდარე ლექსების წერას კარგი პროზის წერა სჯობია. ესე იმავდროულად უძველესი და ნაკლებად ცნობილი ჟანრია და ამავე დროს ახლად გამოგონილი ფორმაც.

— რას იტყოდით თქვენს ჟურნალ „დიეგოზე?" რას ისახავს მიზნად მისი გამოცემა, როგორია მისი ხასიათი, ვინ არიან თქვენი მკითხველები?

— თანამედროვე საზოგადოება ხმაურიანია. ამ ხმაურში აღარც ისმის უკვე ინდივიდის ხმა. ასეთია დღეს თავისუფალი ადამიანები. უწინარესად, ასეთი თავისუფლებისა და თავის დაღწევას ისახავს მიზნად ჩვენი გამოცემა, რომელსაც ჩემს მეგობარ პიერ ჯორჯო ბელოკიოსთან ერთად ვუშვებ. ჟურნალს ჰქვია დიეგო, ე. ი. „დღიური". ესაა მონოლოგი, რომელიც ცხოვრებასთან გვაქვს გამართული. ჟურნალს ძირითადად ასე ვგეგმავთ: ებეჭდავთ რომელიმე დიდი მოაზროვნის სტატიას ან ნაწყვეტს მისი ნაწარმოებიდან, რომელიც ეხმაურება ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას. შემდეგ ვაქვეყნებთ ჩვენს სტატიებს, რომლებიც ამ პუბლიკაციებს ეძღვნება.

ჩვენი მკითხველები დახვეწილი გემოვნების ადამიანები არიან, უპირველესად, უბრალო ინტელიგენტები, მაგალითად, სკოლის მასწავლებლები. მათ ლიტერატურული ნააზრევი აინტერესებთ და არ სურთ კომერციული ლიტერატურით ტვინის დანაგვიანება. ძალიან ბევრი მათგანი გვწერს წერილებს, გვამცნობენ, რომ მხოლოდ ჩვენს გამოცემებს კითხულობენ. ხშირად საინტერესო წერილები მოგვდის შუაგულ პროვინციებიდანაც კი.

ჩვენი ჟურნალისთვის, რომლის ტირაჟი ძალზე მცირეა, ხშირად იუმორისტული ტონიც არ არის უცხო. წინასწარ არ არის განსაზღვრული ჟურნალის პერიოდულობა. მოგეხსენებათ, რეგულარული ორგანო, რომელიც იძულებულია დაიცვას თავისი გამოცემის პერიოდულობა, ხშირად თითიდან გამოწოვილი პრობლემების შექმნის აუცილებლობის წინაშე დგას. ჩვენ კი მხოლოდ მაშინ გამოვდივართ, როდესაც სათქმელი გვიგროვდება.

მე და ჩემი მეგობარი პიერ ჯორჯო ესეებს ვწერთ. ადრე პოეტი ვიყავი, თუმცა ჯერჯერობით გადაწყვეტით ვერ ვიტყვი, რომ პოეზია საბოლოოდ მივატოვე. ამას წინათ „დიეგოში" გამოვაქვეყნე ერთი ესე გაზეთ „ლა რეპუბლიკას" წინააღმდეგ. გაზეთი ცდილობდა პოლიტიკოსთა შეცდომები და დანაშაული საინტერესო გამოგონებად გაესაღებინა. ამასთან მისი ენაც გავაკრიტიკე.

— სენიორ პროფესორო, მადლობას მოგახსენებთ საინტერესო საუბრისათვის.

— გმადლობთ.

რომი-თბილისი. 1991 წ. ივნისი

ჩარლზ ფიორე
ალან ლანდსბერგი

თარგმნა დურმიშხან გრიგალაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზად რიჩმონდისაკენ

ოთხი სახის შეხვედრა სიკვდილთან

1975 წლის 12 აპრილს, დილით, მარტა იგანი საუზმეს ამზადებდა ქმრისა და ქალიშვილისათვის. სამზადისაგან მოუწყვეტლივ, მან თვალი გადაავლო იმ დღისათვის მონიშნულ საქმეთა სიას. პირველ ნომრად ჩანიშნული იყო დარეკვა ვერმონტში, დედასთან, რომელიც გრიპის შემდეგ ჯერ კიდევ არ გამოკეთებულიყო.

იმ დილით მარტა თავს შეუძლოდ გრძნობდა. ახალგაღვიძებულს დილიდანვე აჩუყა რაღაც სიმძიმე მკერდის არეში და შეამჩნია, რომ უჭირდა ღრმად და თავისუფლად სუნთქვა, მკერდის არეში ტკივილი ძლიერდებოდა, ცოტაც და ტუჩებმა შეგრძნება დაკარგეს. სულ მალე კი, მას შემდეგ. რაც ოჯახმა ისაუზმა, მან გულის პირველი შეტევა გადაიტანა.

როცა „სასწრაფო დახმარებამ" იგი საავადმყოფოში გადაიყვანა, ავადმყოფმა სუნთქვა შეწყვიტა. თანმხლებმა ექიმმა მაჯაზე პულსი ვერ უპოვა: მარტა იგანი კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ექიმებისა და მედდების ბრიგადა მკერდის მასაჟს უკეთებდა და ფილტვებში ჟანგბადი შეჰყავდა. თუმცა მარტა იგანს, უეჭველია, გრძნობა ჰქონდა დაკარგული და ნამდვილად მკვდარი იყო, იგი მოწმე გახდა რომელიღაც სხეულგარე წერტილიდან საკუთარი აღდგინების მთელი პროცედურისა. ეგ კია, მარტას მონათხრობი განსხვავდება იმ ადამიანთა უმრავლესობის მონათხრობთაგან, რომლებიც კლინიკური სიკვდილის შემდეგ დაუბრუნდნენ ხიცოცხლეს.

მას არ აწუხებდა ის ამბავი, რომ მისი გადარჩენისათვის მებრძოლი ექიმების ძალისხმევა შეიძლებოდა წარუმატებლად დამთავრებულიყო. მხოლოდ იმაზე ფიქრი ხტანჯავდა, თუ როგორ მიიღებდა ცნობას მისი გარდაცვალების შესახებ დედამისი. მოგვიანებით მარტა მყვებოდა:

„თუ მე სიკვდილი მელოდა, საჭირო იყო მე თავადვე შემეტყობინებინა დედაჩემისათვის ეს საშინელი ამბავი. მე უნდა დამერწმუნებინა იგი, რომ, თუ ეს აუცილებელია, მე სულაც არა ვარ სიკვდილის წინააღმდეგი, რომ სიკვდილი არც ისეთი ცუდი რამ არის. და მართლაც, ჩემი მდგომარეობა საკმაოდ სასიამოვნოდ მეჩვენებოდა."

ის იყო მარტამ გაიფიქრა, ეს სამწუხარო ამბავი დედას უნდა შევატყობინოო, რომ მაშინვე დაინახა იგი დედისეულ სახლში, საწოლის გვერდით, სავარძელში მჯდომარე.

„დედა რაღაცას კითხულობდა, თავის ხაყვარელ სავარძელში მოკალათებული. მე კვლავინდებურად ხარეანიმაციო პალატაში ვიმყოფებოდი, მაგრამ იმავდროულად ვიყავი დედაჩემის საწოლ ოთახშიც. ეს იყო განსაცვიფრებელი — ერთდროულად ორ ადგილას ყოფნა, თანაც, ერთმანეთისაგან ასეთი მანძილით დაშორებულ ადგილებზე მაგრამ მანძილი ახლა აზრსმოკლებულ ცნებად მოჩანდა. მე ვთქვი: „დედა, მე გულის შეტევა მქონდა, მე შეიძლება მოვკვდე, მაგრამ არ მინდა შენ შეწუხდე. მე არა ვარ იმის წინააღმდეგი, რომ მოვკვდე, თუკი ეს აუცილებელია." მაგრამ ის მე არ მიცქეროდა.

მე მივუახლოვდი მის სავარძელს და საწოლის ლინგზე ჩამოვჯექი. ახლა სულ რამდენიმე დიუიმიღა გვყოფდა ჩვენ ერთმანეთისაგან. დედა წიგნის კითხვით იყო შთანთქმული. შესაძლოა, მე შევხედე კიდეც სათაურს, მაგრამ ახლა არ შემიძლია გავიხსენო, რა წიგნი იყო ეს. მე შეგნებული მქონდა, რომ საჭიროა რამენაირად მივიპყრო დედის ყურადღება. ხელით შეხებისა მეშინოდა, რათა არ შემეშინებინა. „დედა, — განვაგრძობდი ჩურჩულს, — ეს მე ვარ, მარტა. მე მინდა მოგელაპარაკო." ხმაგვარადაც ვცადე მიმეპყრო მისი ყურადღება, მაგრამ უეცრად ჩემი ცნობიერების ფოკუსი ხარეანიმაციო გან-

ყოფილებაში დაბრუნდა. მე კვლავ საკუთარ სხეულში აღმოვჩნდი."

მარტა იგანმა დამოუკიდებლად დაიწყო სუნთქვა, ფულისცემა ნორმას დაუბრუნდა მაგრამ ლამის თერთმეტ საათამდე გრძნობაზე არ მოსულა. როცა გონს მოვიდა, თავის საწოლთან ქმარი და ქალიშვილი დაინახა, მათ გვერდით კი — ძმა, რომელიც კონეკტიკუტში ცხოვრობდა. მან დაასკვნა, რომ ალბათ ქმარმა დაურეკა ნათესავებს და ძმა აიდახოში ჩამოფრინდაო. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გამოირკვა, ძმას მართლაც დაურეკეს სამუშაოზე, ნიუიორკში, მაგრამ დაურეკა დედამ, მას ჰქონდა უცნაური შეგრძნება, რომ მარტას რაღაცა სჭირს და სთხოვა ვაჟიშვილს შეეტყო, რა მოხდა. მან შეიტყო, რაც მოხდა და პირველივე თვითმფრინავით კიდევაც ჩამოფრინდა აიდახოში.. ნუთუ მარტამ მართლაც გადალახა უსხეულოდ აშშ სივრცის ორი მესამედის ტოლი მანძილი და ინახულა დედა?

მარტა თვლის, რომ ეს ნამდვილად ასე იყო. დედამისმა, რომელიც შარშან გარდაიცვალა, მხოლოდ იმის თქმა შეძლო, რომ მას უგრძვნია: რაღაცა ცუდი ამბავიაო, მაგრამ ვერ კი წარმოუდგენია, კერძოდ — რა, ანდა როგორ შეიტყო ამის შესახებ.

მარტა იგანის მონათხრობი შეიძლება შევაფასოთ, როგორც იშვიათი, მაგრამ არა ერთადერთი. ბევრი კლინიკურ სიკვდილგადატანილი ჰყვება, რომ ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ ძვირფას ადამიანებს თავიანთი სხეულ-გარეშე—გამოცდილების (სგგ) დროს. თუმცა ეს ბევრმა ვერ მოახერხა. მათ კი, ვისაც „ესმოდათ", „შეიგრძნობდნენ" ან, იშვიათ შემთხვევაში, „ხედავდნენ" ცოცხალი ადამიანები, გადაშალეს სრულიად ახალი სფერო სხეულის სიკვდილის შემდგომი კვლევისა, სიცოცხლის არსებობისა სიცოცხლის შემდეგ. კერძოდ, რა ესმოდათ, რას შეიგრძნობდნენ ან რას ხედავდნენ ადამიანები? ასტრალურ სხეულს (ფიზიკურის ეთერული ორეული)? თუ ჰო, შესაძლებელია თუ არა მისი არსებობის გამოვლენა ფაქიზი სამეცნიერო მოწყობილობით? სიკვდილთან სხვადასხვა სახის შეხვედრებს რომ შეისწავლიან, მეცნიერები შეიმუშავებენ ცოცხლებთან მკვდრების ურთიერთობის შესაძლებლობის კვლევის ახალ საშუალებებს. მარტა იგანის შემთხვევა სიკვდილისშემდგომი არსებობის ერთ-ერთი სახეა და, როგორც დავინახავთ, მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ გზასაც გულისხმობს. მიჩიგანელი „გრენდ რეპიდზის" ინჟინრის, მარკ დუინის, შემთხვევა კი კვლევის სხვა გზას ვარაუდობს.

თავისი სგგ-ის დროის დიდი ნაწილი მარკმა იმის მცდელობაში გაატარა, რომ საოპერაციოდან, სადაც იგი გულის ოპერაციის შედეგად „გარდაიცვალა", ორი სართულით ქვემოთ, მიხალებში მჯდარი თავისი მეუღლის, პეგის, ყურადღება მიეპყრო. იგი ყვებოდა:

„ეს იყო ყველაზე დიდი იმედგაცრუება, როგორიც კი ჩემს ცხოვრებაში განმეცდია. მე ხავსებით მკაფიოდ ვხედავდი პეგის — მას ხელები მუხლებზე დაეწყო და ქალზე მწუხარე სახით იჯდა. იგი შიშს დაეზაფრა, მე კი არ მეშინოდა და მინდოდა ეს ჩემი გრძნობები მისთვის გადამეცა."

მარკი ცდილობდა პეგისთან გამოლაპარაკებას. მაგრამ მალე მიხვდა, რომ მისი ხმა მხოლოდ თავადვე ესმოდა, მაშინ მან ტაქტიკა შეცვალა: „მე ოდნავ შევეხე მას, არ მინდოდა შემეშინებინა. შევეცადე ხელში ამეღო მისი ხელი და მიმეზიდა, მაგრამ ვერ შევძელი. პეგი ვერაფერს გრძნობდა. იქვე, მისგან შორიახლოს, მაგიდაზე, ცარიელი ვაზა იდგა და მე გავიფიქრე, იქნებ შევძლო მისი გადმოგდება და პეგის ყურადღების მიპყრობა-მეთქი. რამდენჯერმე ვცადე გადმომეგდო, რათა პეგის ხმაური გაეგონა."

არსებობს თვალსაჩინო დამთხვევათა მთელი რიგი მარტა იგანისა და მარკ ლუინის შემთხვევებში, მაგრამ არის ერთი დიდი განსხვავებაც: ქვეცნობიერების დონეზე მარტამ როგორღაც მოახერხა დაემყარებინა დედასთან კავშირი და გადაეცა მისთვის შეშფოთების „გრძნობა", მარკმა კი ვერა და ვერ მოახერხა მეუღლესთან კონტაქტში შესულიყო. ეგ კია, მარკმა ზუსტად განსაზღვრა, რომ მისი მეუღლე საოპერაციოდან ორი სართულით ქვემოთ, თეთრ-ლურჯი კაფელით მოპირკეთებულ ოთახში იმყოფებოდა, ხოლო მოგვიანებით სავსებით ზუსტად აღწერა იმდღევანდელი მისი ჩაცმულობა.

მეცნიერული ანალიზის თვალსაზრისით, ეს ორი შემთხვევა ორ სხვადასხვა კატეგორიას მიეკუთვნება. სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის კვლევის გაადვილების მიზნით, წინადადება შემოგვაქვს სიკვდილთან შეხვედრები დავყოთ ოთხ კატეგორიად: პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სახისა. წინამდებარე წიგნში სიკვდილთან შეხვედრების განხილვისას დავეყრდნობით შემდეგ განმარტებებს:

პირველი სახის შეხვედრები. ეს კატეგორია აერთიანებს ადამიანებს, რომლებიც კლინიკური სიკვდილის დროს, ცნობიერებადაკარგულნი ან მძიმე, სიცოცხლისათვის საშიშ სიტუაციაში მყოფნი, ღებულობენ სხეულ-გარეშე-გამოცდილებას (სგგ), მაგრამ მოგვიანებით არ შეუძლიათ ამ შეხვედრის დამადასტურებელი რაიმე საბუთის წარმოდგენა. ასეთი შეხვედრა რჩება წმინდა სახის სუბიექტურ გამოცდილებად. დოქტორ რაიმონდ მუდისა და დოქტორ ელიზაბეტ კუბლერ-როსის მიერ შეგრო-

ვილ შემთხვევათა უმეტესობა სწორედ ასეთი ხასიათისაა. სიკვდილთან პირველი სახის შეხვედრები ხშირად ერთად განიხილებიან, რათა გამოიყოს საერთო ელემენტები, რომლებიც ცალკეულ მონათხრობებს ჭეშმარიტების რწმუნებულებას ანიჭებენ და იძლევიან შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ ეს შემთხვევები წარმოადგენს უნივერსალურ ადამიანურ გამოცდილებას სიკვდილის დროს.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ. ეს კატეგორია მოიცავს ადამიანებს, რომლებსაც ძალუძთ წარმოადგინონ ფაქტობრივი საბუთები, როგორიცაა: ექიმთა ნალაპარაკები. ხარეანიმაციო განყოფილებაში, იმ მოწყობილობის აღწერილობა, რეანიმაციის დროს რომ იქნა გამოყენებული, ან იმ ამბების ზუსტი აღწერილობა, რაც მათი გონდაკარგულობის პერიოდში ხდებოდა. მარკ ლუინის შემთხვევა სწორედ ამ სახის შეხვედრათა რიგს განეკუთვნება. ამ შეხვედრებში საქმე გვაქვს ობიექტურ დეტალებთან, მაშასადამე, საჭიროა მათი მეცნიერული მეთოდებით შესწავლა.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ. ამ კატეგორიას ქმნიან ადამიანები, რომლებიც კლინიკური სიკვდილის ან უგონოდ ყოფნის მდგომარეობაში გადასცემენ სხვა ადამიანებს იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ საკუთარი მდგომარეობის „შინაგანი შეგრძნება“ აქ პირველად ხდება, რომ „კავშირი“ — შესაძლებელია, „მკვდარსა“ და ცოცხალს შორის წარმოიშვება ზემგრძნობელობითი აღქმის (ზმა) რაღაც ფორმა. სიკვდილი, ახე ვთქვათ, რადიოგადამცემიეთ მოქმედებს და ზოგიერთები, ვისთანაც მიცვალებულები ემოციურად მჭიდროდ არიან დაკავშირებული, ღებულობენ ამ შეტყობინებებს. ადამიანებს, რომელთა სიცოცხლე საფრთხეშია, არ სჭირდებათ ასტრალურად გადაადგილება, სიგნალი საფრთხის შესახებ შეიძლება გადაიცეს ტელეპატიურად. ამ სახის შეხვედრათა განმახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ რეციპიენტი შეტყობინებას ღებულობს ბუმდოვანი აზრის სახით იმის შესახებ, რომ მის რომელიღაც ახლობელს რაღაცა უჭირს. მაგრამ რეციპიენტი არასოდეს გრძნობს კავშირს. მარტა ივანისა და დედამისის შემთხვევა შეიძლება გამოდგეს მესამე სახის შეხვედრათა მაგალითად.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ. ეს შემთხვევები გულისხმობენ იხეთ მაგალითებს, როდესაც პირდაპირი პარასენსორული კავშირი მყარდება ცოცხალ ადამიანსა და იმ ადამიანს შორის, რომელიც ან გამობრუნებული მკვდარია, იმყოფება კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში, უგონოდაა, ან კიდევ სიცოცხლისათვის საშიშ სიტუაციაშია ჩავარდნილი. სხეულს გარეთ მყოფი ადამიანი „მოჩანს“, „ისმინება“ მისი ხმა, ან შეიმჩნევა რაღაცნაირი პარასენსორული გზით. რეციპიენტს შეგნებული აქვს, რომ იგი კონტაქტშია სულთან ან ასტრალურ არსებასთან. ეს ერთი ყველაზე უფრო შთამბეჭდავი საბუთია სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის არსებობისა და სწორედ ამ კატეგორიაში ხვდებიან ისეთი ფენომენები, რომლებიც ცნობილია როგორც „[illegible] ხმების ჩაწერა“ ან „ხულების ფოტოგრაფირება“ (რაზედაც მოგვიანებით გვექნება ლაპარაკი).

წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი აერთიანებს სიკვდილთან ოთხივე სახის შეხვედრათა შემთხვევებს, უახლეს მეცნიერულ აღმოჩენათა დამოწმებით, რომლებიც ადასტურებენ ყოველი შემთხვევის პარანორმალურ ასპექტებს. მეორე ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ექიმთა და თეოლოგთა წინაშე სადღეისოდ მდგარ მთელ რიგ უძნელეს პრობლემებს: ნამდვილად როდის კვდება ადამიანი? ხომ არ ხდება ისე, რომ ექიმები, რომლებიც გადასანერგად გამოსაყენებელ ორგანოებს ინახავენ, უნებურად „კლავენ“ თავიანთ პაციენტებს, არა მკვდრებს, არამედ იმათ, ვისაც ჯერ კიდევ ძალუძს კვლავ დაუბრუნდეს ცხოვრებას. შეუძლიათ თუ არა ასეთ ადამიანებს განიცადონ სგგ (სხეულგარეშე გამოცდილება) და გაიაზრონ, რა დამართეს მათ ექიმებმა? რატომ გვეშინია სიკვდილისა? არის თუ არა სგგ მინი-სიკვდილი, რეპეტიცია უკანასკნელი გაფრენისა? და ბოლოს, რა შეგვიძლია ავიღოთ აღმოსავლური კულტურებიდან მშვიდ სიკვდილთან და „სიცოცხლის შემდგომ“-თან დაკავშირებით? განვიხილავთ რა უკანასკნელ მოწმობებს სიკვდილის შემდგომ სიცოცხლესთან დაკავშირებით, წიგნის მესამე ნაწილში მივმართავთ იმ მეცნიერთა გამოცდილებას, რომლებმაც ლაბორატორიულ პირობებში მოახდინეს გარდაცვალების იმიტირება და ხცადეს აღმოეჩინათ სული, სხეულს რომ სტოვებდა, და თვალიც გაედევნებინათ მისი ფრენისათვის. ამას გარდა, ჩვენ განვიხილავთ საკითხს „სიცოცხლის შემდგომ სიცოცხლის“ შესახებ. რამდენადაც, თუკი სული რჩება სხეულის სიკვდილის შემდგომ, არც მისი გარდახასვა გვეჩვენება მთლად შეუძლებელ რამედ. ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ განიკურნა უამრავი ადამიანი ნევროზებისა და თვით სხეულის სხვადასხვა ორგანული დაავადებისაგან მას შემდეგ, რაც გამოვლენილ იქნა „წარსული ცხოვრებიდან“ გამოყოლილი ტრავმები, უბედური შემთხვევები, ცხოვრებისეული წარუმატებულობანი.

ახი წლის წინათ სიკვდილი დასავლეთის ქვე-

ყნებში ფართო განხილვის საგანი იყო. სექსი კი — აკრძალული თემა. ახლა პირდაპირ შებრუნებული სიტუაციაა: სექსი ფართო მსჯელობის თემა გახდა, მაშინ, როდესაც სიკვდილი მრავალი წლის მანძილზე თითქმის არ იხსენიებოდა წესიერ საზოგადოებაში. ახლა გამოჩნდა სიკვდილზე ტაბუს გაქრობის ნიშნები. ამასთან, განახლდა ინტერესი საკითხებისადმი: „გრძელდება თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ?" და „იყო თუ არა სიცოცხლე სიცოცხლემდე?"

მკვდრის გაცოცხლების ყველაზე უფრო ცნობილი შემთხვევა — ესაა მარიასა და მართას ძმისა და იესოს მეგობრის, ლაზარეს, ბიბლიური ისტორია. სამწუხაროდ, იოანეს სახარება არაფერს გვიყვება იმაზე, თუ რა განიცადა ლაზარემ იმ რამდენიმე დღეში, როდესაც იგი მკვდარი იყო, მაგრამ აი, რას წერს ფილოსოფოსი ლ. ნ. ანდრაივი: „სამ დღეს იგი მკვდარი იყო, სამგზის ამოვიდა და ჩავიდა მზე — ის მკვდარი იყო; ბავშვები თამაშობდნენ, ნაკადულები მოჩუხჩუხებდნენ ქვებზე, მწირის ფეხებთან, გზაზე, მტვერი იფრქვეოდა — ის მკვდარი იყო. ახლა კი ახლობელთა შორის აღმოჩნდა; ისინი ხელს ახებდნენ, იგი უცქეროდა მათ, და მის შავ გუგებში, როგორც დაორთქლილ მინებში, ილანდებოდა შეუცნობელი „იქ". ლაზარეს მდუმარედ მოკუმული ბაგეები არაფერს ამბობდნენ იმაზე, რაც მოხდა, მაგრამ დღეს უამრავი ამერიკელი თავისუფლად ლაპარაკობს სიკვდილთან თავიანთი შეხვედრის შესახებ. თეოლოგები უდიდესი ყურადღებით ისმენენ ამ მონათხრობებს, ფილოსოფოსები და მეცნიერები პარალელებს ავლებენ მეოცე საუკუნის ამერიკელთა მონათხრობებსა და აღმოსავლელ მისტიკოსთა ძველ ტრაქტატებს შორის და ამჟამად ხულ უფრო და უფრო მეტი ამერიკელი მეცნიერი ცდილობს გამოსცადოს სიკვდილი ლაბორატორიულ პირობებში, რათა საშუალება მიეცეს დააკვირდეს გაფრენას სულისა, არსისა თუ ასტრალური სხეულისა, მისი შემდგომი დასვენების ადგილისაკენ."

ამ წიგნში ჩვენ ყურადღებით შევისწავლით ხულ ბოლო დროის მოწმობებს ხიცოცხლის შემდგომი სიცოცხლის შესახებ, ასევე — ამ და მომავალ სიცოცხლეს შორის ურთიერთობის შესატყვის პირობებს.

ნაწილი პირველი

1. პირველი სახის შეხვედრები

პირველი სახის შეხვედრები უფრო ხშირად შეისწავლებიან, რამდენადაც მათ შესახებ უფრო ხშირია შეტყობინებანი. ათასობით ადამიანს ყოველწლიურად გადააქვს კლინიკური სიკვდილი ან სასიკვდილო განსაცდელი და, ვარაუდით, მათგან ნახევარს მაინც აქვს რაიმე მოსაყოლი. მთხრობელთა უაღრესად სუბიექტური ბუნება მათს მონათხრობს იმის შესახებ, რომ სული შეიძლება გადარჩეს სხეულის სიკვდილის შემდეგ, ნაკლებ დამაჯერებელს ხდის „მტკიცე" დასაბუთებათა ენაზე; მაგრამ საერთო ანალიზისას შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს ბევრი საერთო ნიშანი.

სიკვდილთან შეხებაში ნამყოფთაგან ყველა როდი გვიყვება ერთი და იმავე სახის გამოცდილებაზე. მაგრამ აი, მიჩიგანელ აირის ზელმანს, ფლინტის საშუალო სკოლის ოცდათექვსმეტი წლის მასწავლებელ ქალს, ჰქონდა ტიპიური შეხვედრა სიკვდილთან, შეხვედრა პირველი სახისა.

„მე ვიმყოფებოდი გულის ღია ქირურგიის რეანიმაციულ განყოფილებაში, ხარქველების შეცვლასთან დაკავშირებით. უეცრად მკერდში მწვავე ტკივილი ვიგრძენი. მე შევკივლე და ორმა მედდამ მაშინვე გადამიყვანა კვლავ საოპერაციოში. ვიგრძენი, ექიმები ჩემს მკერდთან გამტარებს რომ აკავშირებდნენ, ვიგრძენი ნემსის ჩხვლეტაც. მერე ისიც გავიგონე, ერთ-ერთმა ექიმმა რომ თქვა: „ჩვენ მას ველარ გადავარჩენთ."

მე შევნიშნე, რომ ჩემი სხეული ბურუსებურ თეთრ კვამლში ეხვეოდა და ავცურე ჭერისაკენ. პირველად მომხიბლული ვიყავი ამ კვამლისაგან, მერე მივხვდი, რომ ჩემს სხეულს ზემოდან დავცქერი, თვალები კი მიხუჭია. და ვუთხარი ჩემს თავს: „როგორ შეიძლება მკვდარი ვიყო. თუკი ცნობიერება არ დამიკარგავს!" ექიმებმა გახსნეს ჩემი მკერდის ღრუ და შეუდგნენ გულზე მუშაობას.

სიხსლის დანახვაზე ცუდად შევიქენი და შევბრუნდი, თითქოსდა ზევით ავიხედე და მივხვდი, რომ ვიმყოფები რაღაც შესასვლელთან, გრძელსა და ბნელ გვირაბს რომ წააგავს. მე ყოველთვის მეშინოდა სიბნელისა, მაგრამ გვირაბში მაინც შევედი. მაშინვე ზევით ავცურდი შორეული კაშკაშა სინათლისაკენ და გავიგონე შემაშინებელი, არასასიამოვნო ბგერები, მე განვიცდიდი ამ სინათლეში ერთიანად შერწყმა-განზავების დაუოკებელ სურვილს.

და აქ უეცრად ქმარი გამახსენდა, გამახსენდა და შემებრალა. ის ყოველთვის ყველაფერში ჩემზე იყო დამოკიდებული. მას უჩემოდ ცხოვრება არ შეუძლია. ხწორედ ამ მომენტში მე მივხვდი, რომ მე შემიძლია ან განვაგრძო სინათლისაკენ სვლა და მოვკვდე, ან კიდევ დავბრუნდე ჩემს სხეულში. მე გარშემორტყმული ვიყავი სულებით, ადამიანთა სახეებით, რომელთა ცნობა არ შემეძლო... შევჩერდი. სავსებით დათრგუნული ვიყავი იმის შე-

გნებით, რომ ქმრის გულისათვის უნდა გამოვბრუნდე, არადა, ვგრძნობდი, რომ ეს უნდა გამეკეთებინა, — და უეცრად ხმამ, მბრძანებლურმა, ოღონდ კი რბილმა, არაფრით რომ არ ჰგავდა ჩემგან ადრე გაგონილ არცერთ ხმას, მითხრა: „შენ მოაბდინე სწორი არჩევანი და არ ინანებ ამის გამო. ოდესმე შენ ისევ დაბრუნდები აქ.“ თვალი რომ გავახილე, ექიმები დავინახე.“

აირის ზელმანის შემთხვევაში მეცნიერული მეთოდებით ვერაფერს შეამოწმებ. ეს უაღრესად სუბიექტური გამოცდილებაა. ჩიკაგოელი ფსიქიატრი, დოქტორი ელიზაბეტ კუბლერ-როსი, რომელიც ოცი წელი აკვირდებოდა მომაკვდავ ავადმყოფებს, ვარაუდობს, რომ აირის ზელმანის მსგავსი მონათხრობები ჰალუცინაციას არ წარმოადგენს. „სანამ მომაკვდავებთან მუშაობას დავიწყებდი, — ამბობს დოქტორი კუბლერ-როსი, — მე არ მჯეროდა სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის არსებობა. ამჟამად ამაში ეჭვის ნატამალიც კი არ მეპარება.“

ერთ-ერთი მტკიცებულება, რომელმაც ამ რწმენამდე მიიყვანა დოქტორი კუბელერ-როსი და მეცნიერთა სულ უფრო მზარდი რაოდენობა, — ესაა ასაკით, კულტურით, ეროვნებით, რელიგიით სავსებით განსხვავებულ ადამიანთა მიერ აღწერილ სიკვდილთან ათასობით შეხვედრაში აღმოჩენილი საერთო შტრიხები. ზოგიერთი მეტ-ნაკლებად საერთო ნიშანი, რომლებიც მათ მიერ ორასზე მეტი სიკვდილთან შეხვედრის აღწერისას გამოყვეს დოქტორებმა კუბლერ-როსმა და რაიმონდ მუდიმ, შემდეგია:

ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲬᲧᲜᲐᲠᲔ. ბევრი აღწერს არაჩვეულებრივ განცდებსა და შეგრძნებებს ამ შეხვედრათა საწყის პერიოდში. მამაკაცი, რომელსაც თავის მძიმე ტრავმის შედეგად სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, მოგვიანებით ჰყვებოდა: „ტრავმის მომენტში მე შევიგრძენი წამიერი ტკივილი, შემდეგ კი ყოველგვარი ტკივილი გაქრა. მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი სხეული ბნელ სივრცეში დაცურავდა“.

ქალი, რომელიც სიცოცხლეს მორიგი შეტევის შემდეგ დაუბრუნდა, ამბობს: „მე მქონდა სასწაულებრივად გასაოცარი შეგრძნებები. მე სხვა არაფერს განვიცდიდი, გარდა სიმშვიდისა, კომფორტისა, სიმსუბუქისა, — მხოლოდ სიმყუდროვე; მე ვგრძნობდი, რომ ყველა საზრუნავი გაქრა.“

ᲒᲐᲛᲝᲣᲗᲥᲛᲔᲚᲝᲑᲐ. ადამიანები, რომლებიც პირისპირ შეეჯახნენ სიკვდილს, საკუთარი გამოცდილების სიტყვებით გადმოცემას ძნელ საქმედ მიიჩნევენ. აირის ზელმანი გვემოწმება: „თავად უნდა აღმოჩნდე იქ, რათა შეძლო ყოველივე ამის რაღაცასთან შედარება.“ სხვა ქალმა ასე გამოხატა თავისი შთაბეჭდილება: „სინათლე იმდენად კაშკაშა იყო, რომ მე მისი ახსნა-გამოხატვა არ შემიძლია. ის არა მარტო ჩვენი აღქმის ზღვარს იქითაა, არამედ ჩვენი ლექსიკის იქითაც.“

ფსიქოლოგი ლორენს ლეშანი, რომელიც სწავლობდა „კოსმიური ცნობიერების“ გამოცდილებას ფსიქიკასა და მისტიკაში, თვლის, რომ გამოუთქმელობა აიხსნება არა მარტო ტრანსცენდენტული შეხვედრის უჩვეულო სილამაზით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ასეთი გამოცდილება აღემატება დრო-სივრცის ჩვენეულ ოთხგანზომილებიან რეალობას და აღემატება ლოგიკას, ასევე — ენას, რომელიც მკაცრად გამომდინარეობს ლოგიკიდან.“

ᲮᲛᲔᲑᲘ. ადამიანი, რომელიც მუცლის ღრუს ოპერაციის დროს „მკვდარი“ იყო მთელი ოცი წუთის განმავლობაში, აღწერს „მტკივნეულ ბზუილს ყურებში; შემდეგ ამ ბგერამ თითქოს დამაჰიპნოზა და მე დავწყნარდი“. ერთ ქალს ჩაესმოდა „ხმამაღალი რეკვა, კურანტების მსგავსი.“ ზოგიერთებს ესმოდათ „ციურ ზართა რეკვა“, „ღვთიური მუსიკა“, „მსტვინავი ბგერები, ქარს რომ წააგავდა“, „ოკეანის ტალღების რიტმი“, შესაძლოა, ყველა იმათგანს, ვინც პირისპირ შეხვედრია სიკვდილს, ჩაესმოდა რაღაც განმეორებადი ბგერები.

ამ ბგერების მნიშვნელობაზე სრული უეჭველობით რაიმეს თქმა შეუძლებელია, მაგრამ ირონია, ანუ დამთხვევა, — ვისაც როგორ სურს, ისე შეაფასოს, — იმაში მდგომარეობს რომ მსგავსი ბგერები მოხსენიებულია ძველ ტიბეტურ წიგნში მკვდართა შესახებ, რომელიც ჩვენი წ. აღ-ით დაახლოებით 800 წელსაა შექმნილი და რომელსაც ჩვენ ერთ-ერთ შემდგომ თავში განვიხილავთ. მოკლედ თუ ვიტყვით, წიგნი დაწვრილებით აღწერს გარდაცვალების სტადიებს. ტექსტის თანახმად, რომელიღაც მომენტში, მას შემდეგ, რაც სული ტოვებს სხეულს, ადამიანმა შეიძლება გაიგონოს შემაშფოთებელ-შემაშინებელი ანდა სასიამოვნო ბგერები, რომლებიც უნანავებენ და ამშვიდებენ მას. მეცნიერები განცვიფრებული იყვნენ სიკვდილის გამოცდილების შესახებ ტიბეტური წიგნისა და იმ ამერიკელთა მონაყოლის დამთხვევით, რომლებიც XX საუკუნეში ცხოვრობენ და სრულიად არაფერი იციან ამ წიგნის არსებობაზე.

ᲡᲣᲚᲔᲑᲘ. ედუარდ მეგეხეიმი, ორმოცდათექვსმეტი წლის პროფესორი, რომელიც კიბოს სიმსივნეზე ოპერაციის დროს საოპერაციო მაგიდაზე „გარდაიცვალა“, ამტკიცებს, რომ იხილა თავისი მიცვალებული დედა. „დედა მესაუბრებოდა. მან მითხრა, რომ ამჯერად მე უნდა დავბრუნდე. მე მესმის, თუ რა უცნაურად ეღერს ეს ყველაფერი, მაგრამ მისი ხმა იმდე-

ნად რეალური იყო, რომ ახლაც ყურში მიდგ-ას". პიტერ ტომპკინზი, სტუდენტი, რომელიც ორჯერ „გარდაიცვალა", პირველად საავტომობილო კატასტროფისას, მეორედ კი მკერდის ღრუს ოპერაციისას, „საზღვარს იქეთ" თავისი ორივე მოგზაურობის დროს ხვდებოდა მიცვალებულ ნათესავებს.

სულების ბილვა არაა ყველაზე უფრო დამახასიათებელი მოვლენა, მაგრამ ფიგურირებს კი სიკვდილთან შეხვედრის აღწერილობებში. დოქტორი კარლის ოსისი, ნიუ-იორკ-სიტიში ფსიქიკურ გამოკვლევათა ამერიკული საზოგადოების ხელმძღვანელი, აღნიშნავდა მის მიერ შეერთებულ შტატებსა და ინდოეთში მომაკვდავთა გამოკვლევისას ამ ფენომენის დიდ სიხშირეს. ოსისი ამ გამოცხადებებს „შორს წამყვან" სახეებს მიაკუთვნებს,იგულისხმება მიცვალებული ნათესავები და მეგობრები, რომლებმაც, როგორც თავად მომაკვდავს მიაჩნია, უნდა გაიცილონ იგი ამა ქვეყნიდან. ლირსი მამა ბილი გრეიემი მათ ანგელოსებს უწოდებს.

სკეპტიკოსთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ეს სახეები სხვა არაფერია, თუ არა მომაკვდავის წარმოსახვის ფრაგმენტები, რომლებსაც თავად გამოიწვევს, რათა სიცოცხლიდან სიკვდილში გადასვლა გაიადვილოს. ფრეილისტური ტერმინებით, მათ შეიძლება ეწოდოთ „აღსრულებულ სურვილთა" სახეები, მაგრამ დოქტორი ოსისი მკვეთრად ეწინააღმდეგება ამას: „წამყვანთა სახეები რომ მხოლოდ „აღსრულებულ სურვილებს" წარმოადგენდნენ, ჩვენ მათ უფრო ხშირად იმ პაციენტებთან შევხვდებოდით, ვინც სიკვდილს ელიან, და უფრო ნაკლებად იმათთან, ვისაც იმედი აქვთ გამოჯანმრთელებისა, მაგრამ სინამდვილეში ასეთ შეფარდებას არ ვხვდებით".

სინათლე. სინათლე, რომელსაც ახასიათებენ, როგორც „მოციმციმეს", „კაშკაშას", „დამამბრმავებელს", თუმცა კი ისეთს, არასოდეს რომ არ ჭრის თვალს, — ერთ-ერთი ყველაზე უფრო საერთო ელემენტია სიკვდილთან შეხვედრებისას და პირდაპირაა დაკავშირებული რელიგიურ სიმბოლიკასთან. რაიმონდ მუდის გამოკვლევათა თანახმად, „მიუხედავად სინათლისათვის სრულიადაც არადამახასიათებელი სხვადასხვა გამოლინებისა, ჩემგან გამოკითხულთაგან ეჭვიც არავის შეპარვია იმაში, რომ ეს იყო არსება, მთლიანად შუქისაგან შემდგარი". ბევრი ამ სინათლეს აღწერს, როგორც გარკვეული ინდივიდუალობის მქონე არსებას. „მომაკვდავისადმი სიყვარულის სიცხოველე, ამ არსებისგან რომ მოედინება, საგსებით შეუძლებელია სიტყვებით აღიწეროს, — ამბობს მუდი, — მომაკვდავი გრძნობს, როგორ ეხვევა გარს სინათლე, იწოვს მას, აქცევს თავის ნაწილად".

მომდერალ კეროლ ბერლიჯს, რომელიც თავის მეორე შშობიაობის დროს „კვდებოდა", ჩაესმოდა სინათლის ხმა: „უეცრად ის გამომელაპარაკა. მან მითხრა, რომ მე უნდა გავბრუნდე, რომ მე გამიჩნდა ბავშვი, რომელსაც ვჭირდები. მე არ მსურდა გამობრუნება, მაგრამ სინათლე დაეინებით [illegible] მან განაცხადა, რომ [illegible] ეთ და არც ქალისა, იყო რალაც შუალედური. აირის ზელმანი და სხვა მრავალი ეთანხმება ამას. „მას შემდეგ, — ამბობს კეროლი, — მე ყოველთვის მახსენდება იესოს სიტყვები: „მე ვარ ნათელი სოფლისაი". *

ბნელი სიცარიელე ანუ გვირაბი. ეტყობა, ესაა გადასასვლელი ერთი რეალობიდან მეორეში. ბევრი ამტკიცებს, რომ ინსტინქტურად გრძნობდნენ — მათ უნდა გაიარონ სიბნელე, ვიდრე მიაღწევდნენ სინათლეს, ყველა შემთხვევაში გვირაბის შორეულ ბოლოში რომ იმყოფება. „ეს არ არის ხაშიში სიცარიელე, — გვატყობინებს აირის ზილმანი, — ეს მხოლოდ შავი სივრცეა, მომეჩვენა, რომ იგი თავისკენ მიწვევდა, ეს თითქმის განსაწმენდელია". მეორე ქალი გვირაბს განმარტავს, როგორც აკუსტიკურ კამერას", სადაც ყოველი წარმოთქმული სიტყვა ექოდ გიბრუნდება თავში. ნებისმიერ შემთხვევაში, სიბნელეში გასვლა, უკიდურეს შემთხვევაში სიმბოლურად მაინც, წარმოადგენს აღორძინებას, ხელახლა დაბადებას.

სხეულის გარეთ (სგ). თითქმის გამონაკლისის გარეშე. ყველა, ვინც კი სიკვდილთან შეხვედრის ნებისმიერ სახეობაზე მოგვითხრობს, განიცდიდა საკუთარი სხეულიდან გათავისუფლების გრძნობას. მათ შეეძლოთ სივრცის ფაქტიურად ნებისმიერ, შორეულ თუ ახლობელ წერტილში გადაადგილება, და შეეძლოთ გადაელახათ დიდი სივრცეები ელვის სიხშირეფით. უბრალოდ, საკმარისი იყო იმ ადგილის გაფიქრება, სადაც სურდათ ყოფნა. როგორც მოგვიანებით დავინახავთ, არაერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სგგ (სხეულს გარეშე გამოცდილება), რომლის მიღწევა მოშვება-მოდუნების უბრალო ხერხებითაც შეიძლება, წარმოადგენს მინი-სიკვდილს, გნებავთ, უკანასკნელი ნაბიჯის რეპეტიციას. არსებობს პირდაპირი მოწმეები იმაზე, რომ ადამიანებს, რომლებსაც ჰქონდათ სგგ, შეუძლიათ თავი დააღწიონ სიკვდილის შიშს და მათი კვდომის პროცესი მიმდინარეობს უფრო მსუბუქად და საამურადაც.

პასუხისმგებლობის გრძნობა. ბევრი ამბობს, იმიტომ „დავბრუნდი უკან". რომ აქ, მიწაზე, ჩემი საქმე არ მქონდა დასრულებუ-

1. იოანეს საბარება, 8, 12.

ლიო. მოვალეობის გრძნობამ მათ უკან დაბრუნება აარჩევინა. მარტა იგანი პასუხისმგებლობის გრძნობას განიცდიდა დედის წინაშე. აირის ზელმანი — ქმრის წინაშე. ქვემოთ დავინახავთ, რომ სწორედ პასუხისმგებლობის გრძნობა მეღავნდება ყველაზე უფრო ხშირად მიცვალებულთან ან მომაკვდავთან კონტაქტების — ანუ სიკვდილთან მეოთხე სახის შეხვედრების — დროს.

კლინიკური სიკვდილი უეცრად დგება. იგი შეიძლება გამოიწვიოს გულის შეტევამ, ან ნერვული ხისტემისა თუ ტვინის ძლიერმა შოკმა, ან უბედური შემთხვევის შედეგებმა. როგორიც უნდა იყოს მიზეზი, შედეგი ერთია — სიცოცხლიდან სიკვდილში უეცარი გადასვლა. კლინიკურსიკვდილგადატანილ ადამიანთა შეტყობინებების შეკრება-ანალიზი ერთგვარად სიკვდილის უკანა კარიდან შეთვალიერებას ემსგავსება, — შეტყობინებანი ჩნდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზღურბლიდან ნაბიჯი უკან გადაიდგმება, ე. ი. დაბრუნების შემდეგ. მაგრამ რას განიცდიან ადამიანები ჩვეულებრივი, თანდათანობით მოახლოებადი სიკვდილის წინაშე. როცა ისინი მისი წინა, საპარადო შესასვლელის წინ აღმოჩნდებიან ხოლმე? თუ სიკვდილის ეული ხმები და ხახეები ნამდვილი, უნივერსალური ფენომენებია, ასეთივენი დარჩებიან ისინი, იმისდა მიუხედავად, თუ რა იყო სიკვდილის მიზეზი.

დოქტორები კარლის ოსისი და ერლანდერ მარალდსონი ამ ხაკითხს განიხილავენ გამოკვლევაში, რომელიც შერთებულ შტატებსა და ინდოეთში 50 000 განუკურნებელ ავადმყოფზე მათი ოთხწლიანი დაკვირვების შედეგია. ორივე ფსიქოლოგს სურდა გაეგო, რას ხედავს და რა ესმის პაციენტს სიკვდილისწინა-უკანასკნელ წუთებში. ისინი ვარაუდობდნენ, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს უნდა ყოფილიყო სუბიექტური გამოცდილება, ან სიკვდილთან პირველი სახის შეხვედრები. მაგრამ ასობით ექიმისა და ექთნის დახმარებით, რომლებიც უშუალოდ ემსახურებოდნენ მომაკვდავ ავადმყოფებს და პირადად ესწრებოდნენ მათ გარდაცვალებას, ოსისი და მარალდსონი განსაკუთრებულ დასკვნამდე მივიდნენ.

ჩვენთვის ცნობილია, რომ კვდომას წინ უსწრებს ტანჯვა-წვალება. კიბო მოკლე ხანში მეტასტაზირდება მთელ ორგანიზმში და ბოლო სტადიებზე ისეთ მტანჯველ ტკივილებს იწვევს, რომელთა შემსუბუქება ნარკოტიკების საშუალებითაც კი არ ხერხდება ყოველთვის. გულის ძლიერ შეტევებს თან ახლავს მწვავე ტკივილები მკერდის არეში. რომელიც ხელს გადაეცემა. უბედური შემთხვევების შედეგად მომაკვდავნი იტანჯებიან ძვლების მოტეხილობით, კონტუზიით, დამწვრობით. მაგრამ დოქტორმა ოსისმა და დოქტორმა მარალდსონმა აღმოაჩინეს, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ტანჯვა სიმშვიდით იცვლება.

სიკვდილის წინმსწრებ მომენტებზე შეტყობინებათა ხასიათი ერთობ შრავალფეროვანია. ნიუ-დელის დიდი საავადმყოფოს ექიმი შემდეგს იტყობინება: „ორმოცი წლის ქალს, რომელიც კიბოთი იტანჯებოდა და ბოლო დღეების განმავლობაში დათრგუნულად და მოშვებულად გამოიყურებოდა, თუმცა კი ცნობიერება არასოდეს დაუკარგავს, უეცრად ბედნიერების ელფერი დაედო. სიხარული მის სახეს სიკვდილის მომენტშიც არ მოსცილებია, რომელიც ხუთი წუთის შემდეგ დადგა".

ხშირად პაციენტი სიტყვასაც არ წარმოთქვამს, მაგრამ მისი სახის გამომეტყველება რელიგიურ ლიტერატურაში აღწერილ ექსტაზს მოგვაგონებს. შეიძლება ამას თან ახლდეს ამოუხსნელი ფიზიკური ცვლილებებიც.

მკურნალი, რომელიც სახიკვდილოდ განწირულ ავადმყოფებთან მუშაობდა, გვემოწმება, რომ არაერთხელ უხილავს აურა ავადმყოფის სხეულის გარშემო უშუალოდ სიკვდილის წინა წუთებში. „სინათლე გამოდის კანიდან და თმიდან, თითქოს სუფთა ენერგია რომელიღაც გარეგანი წყაროდან იფრქვეოდეს", — ეუბნება იგი. ლაბორატორიული მოწმობანი, რომლებსაც ჩვენ მოგვიანებით განვიხილავთ, ნათლად გვიჩვენებენ, რომ სინათლის ფენომენი აგრეთვე დაკავშირებულია ნებისმიერად გამოწვეულ სგგ-ებთან. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ასტრალურ სხეულში არსებული ენერგია — ეს სინათლის გამოსხივებადი ენერგიაა; ასეთი მტკიცება მისტიკოსთა და მედიუმთა მიერ ასწლეულების წინ იყო გამოთქმული.

მაინც, რა დიდებული ხილვები წარმოხდებიან მომაკვდავის წინაშე? როგორ შეიძლება გაქრეს ტკივილი, რომელსაც იგი თვეებისა და წლების მანძილზე განიცდიდა? დოქტორი ოსისი ვარაუდობს, რომ, როცა ადამიანი სიკვდილს უახლოვდება, გონება „თავისუფლდება", სუსტდება მისი კავშირი სხეულთან. ასტრალური სხეული ემზადება ფიზიკურისაგან გამოსაყოფად და, სიკვდილის მოახლოებისდა კვალობაზე, ფიზიკური სხეული და მისი სატკივარი ტრადიციულ რელიგიურ რწმენათა თანახმად, უფრო უმნიშვნელო ხდება. „სული" სხეულს ტოვებს სიკვდილის მომენტში. მედიუმები ამბობენ, სული და ასტრალური სხეული — ეს ერთი და იგივეაო. დოქტორ ოსისის სიტყვებით, უეჭველია, რომ რაც გინდა სტოვებდეს სხეულს, ამის გაკეთება მას შეუძლია ძალიან თანდათანობით. „ფუნ-

ქციონირებს რა ჯერ კიდევ ნორმალურად, — ამბობს დოქტორი ოსისი, — მომაკვდავის ცნობიერებას, ანუ სულს. შეუძლია ნელ-ნელა გამოთავისუფლდეს ავადმყოფი სხეულიდან. თუ ეს ასეა, მაშინ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ სხეულისეულ შეგრძნებათა გაცნობიერება თანდათანობით სუსტდება".

ბევრი პაციენტი ლაპარაკობს სიკვდილის წინ, ბევრი მათგანი ამტკიცებს, რომ წამიერად იხილა დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ადამიანები, არამიწიერი ხილამაზის პეიზაჟები, ეს ძალიან წააგავს კლინიკურსიკვდილგადატანილ ადამიანთა მონათხრობებს. ერთ ამერიკულ გამოკვლევაში ნაჩვენებია, რომ მომაკვდავთა ორ მესამედზე მეტი ხედავდა ადამიანთა ხატებს, რომლებიც „ეძახდნენ", „იზიდავდნენ" თავისკენ, ხოლო ზოგჯერ „უბრძანებდნენ" ავადმყოფს მათთან მისულიყო. ერთი ექიმი გვიყვება, თუ როგორ წამოჯდა საწოლში ნაწლავების კიბოთი დაავადებული სამოცი წლის ქალი და, მიმართა რა მიცვალებულ ქმარს, წარმოთქვა „გაიუს, მე მოვდივარ", მორჩილად გაიღიმა და მიიცვალა.

შეიძლება თუ არა ეს ხმები, ხახვები, ხინათლე ავადმყოფობით, ნარკოტიკებით ან ტვინის მუშაობის დარღვევით გამოწვეული ჰალუცინაციები იყოს? ცნობილია, რომ მაღალ ტემპერატურას, სამკურნალო საშუალებებს, შარდით მოწამვლას და ტვინის მუშაობის დარღვევას შეუძლიათ წარმოშვან ძალზე დამაჯერებელი ჰალუცინაციები. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ, ლოგიკური თვალსაზრისით, ყველაზე უფრო თანმიმდევრულად და უფრო დაწვრილებით ჰყვებიან ის პაციენტები, რომლებიც შედარებით უფრო ჯანმრთელნი იყვნენ სიკვდილის მომანტამდე.

თუ ადამიანს შეუძლია ჩაიხედოს მომავალში მანამდე, სანამ მოკვდება, მაშინ იგი შეძლებს წარმოადგინოს რაღაც რეალური საბუთი თავისი ხილვების ნამდვილობის დასამტკიცებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება თუ არა ჩვეულებრივმა სიკვდილმა მოგვცეს მეორე, მესამე, მეოთხე შეხვედრების ისეთი ეფექტი, როგორსაც ზოგჯერ იძლევა კლინიკური სიკვდილი? ასთი მომენტები იშვიათია, მაგრამ მკვლევარებმა აღმოაჩინეს ამის დამადასტურებელი რამდენიმე შემთხვევა.

ცვლილებები, რომლებიც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე შეიმჩნევა, საგონებელში აგდებს ექიმებს. ირკვევა, რომ თვით ტვინისმიერი და ემოციური მძიმე პრობლემების მქონე პაციენტებიც კი სიკვდილის წინ საოცრად გონებანათელნი და ჭკვიანები ხდებიან. დოქტორმა კუბლერ-როსმა ეს შეამჩნია არაერთ თავის პაციენტს — ქრონიკულ შიზოფრენიკებს. ეს თანხმობაშია იმ მტკიცებასთან, რომ სიკვდილის მომენტში ასტრალური სხეული (ცნობიერება თუ სული) თანდათანობით გამოცალკევდება ფიზიკური სხეულისაგან. მტკიცებად შეიძლება გამოდგეს შემთხვევა, ექიმი რომ გვიყვება: ოცდაორი წლის ჭაბუკი, დაბადებით ბრმა, უეცრად, სწორედ სიკვდილის წინ — ხედველი გახდა, და ღიმილით მოთვალთვალე ოთახი, მკაფიოდ ხედავდა რა ექიმებს, ექთნებს და, პირველად თავის სიცოცხლეში — ოჯახის წევრებს.

შეუძლებელია უბრალო დამთხვევა იყოს ის, რომ როგორც კლინიკურისიკვდილგადატანილი პაციენტები, ისე ხაავადმყოფოში მყოფი და ნელა მკვდომარე მომაკვდავნიც ლაპარაკობენ საიქიო სამყაროზე, მიცვალებულთა სულებით რომაა დასახლებული, სიჩუმითა და სიმშვიდით სავსე ქვედანაზე, რაც იქ მოხვედრის დაუოკებელი სურვილით აღავსებს ადამიანებს. ამრიგად, კვდომის გამოცდილება, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ მოდის სიკვდილი, ძირითადად ერთნაირია, და ეტყობა, აზრი ეძლევა მხოლოდ მაშინ, თუ მივიღებთ, რომ ადამიანის სხეულში რაღაცა სიკვდილს განიცდის.

საიქიო ცხოვრების გაგება ყველა კულტურაშია, ყოველ მათგანშია თავისებური ხატი სამოთხისა და ჯოჯოხეთისა. თუ კოლექტიური ხატის შედგენა შესაძლებელია სხვადასხვა კულტურებისა და ეთნიური ჯგუფების შეხვედრის გზით, რამდენად შეეფერება იგი დღევანდელ მომაკვდავთა მონათხრობებს?

ქრისტიანული ტრადიციით, ზეცა—ესაა იერარქიული სახელმწიფო, სადაც ანგელოზები და წმინდანები ხარობენ ღმერთთან ყოფნით და ჭვრეტენ მის ყოფიერებას. ყურანი ერთგულებს მპირდება სამოთხეს, რომელიც პირდაპირ ასახავს არაბის გემოვნებას; ესაა მშვენიერი ოაზისი, სადაც აბრეშუმის სამოსში გამოწყობილი მამაკაცები, სარეცელზე წამოწოლილნი, ღვინოსა და ხილს შეექცევიან. კლასიკური ეპოქის ნაკლებად ჰედონისტ ბერძნებს სწამდათ სამყაროს დასალიერში, ატლანტიკის წყლებში, მშვენიერი კუნძულის არსებობა. იქ არ იყო არც წვიმა, თოვლი, არც ძლიერი ქარი, ნაყოფიერი მიწა კი მთელი წლის მანძილზე იძლეოდა თაფლმდენ ნაყოფს. მისტიკოს-ორფიკოსები სამოთხეს წარმოადგენდნენ, როგორც მიწის ქვეშ განლაგებულ, წმინდა სულების დასვენების ბედნიერ ადგილს.

აცტიკები სამ სხვადასხვა სამოთხეს განარჩევდნენ, რომლებშიც ადამიანთა სულები ხვდებოდნენ სიკვდილის შემდეგ პირველი, უდაბლესი, — ტლალოკანი (წყლისა და ნისლის ქვეყანა) — წარმოადგენს დოვლათ-ბარაჭიან, ნეტარსა და მშვიდ მიწას, სადაც მიცვალებულნი მღერიან, თამაშობენ ათურმას და პეპლებს

იქერენ. ხეებს ტოტები ნაყოფით აქვთ დახუნძლული, ირგვლივ უხვადაა ყვავილები და ბოსტნეული. მეორე ცა — ესაა უხხეულოთა ქვეყანა, იმათი სამყოფელი, ვინც ისწავლა საკუთარი ფიზიკური სხეულის გარეშე ცხოვრება და მიჯაჭვული არ არის მასზე. უმაღლესი ხამოთხე — მზის ხახლი — იმათთვისაა განკუთვნილი, ვინც მიაღწია სრულ გასხივოსნებას. მათი ცხოვრება სრულ ტკბობა-განცხრომაში მიდის და ისინი მორიგეობით მიაცილებენ მზეს მის დღისეულ მოგზაურობაში.

სკანდინავიური ტრადიციით, ვალგალას კარი ღიაა იმათთვის, ვინც მხედრული სიმამაცით გამოირჩეოდა; იქ მეომრები დღისით ერთმანეთს ეჯიბრებიან, ღამით უხვ სუფრასთან ღრეობენ. ინდუიზმში ღრუბლებს ზემოთ აჭრილი მწვერვალები სილამაზითა და სიხარულითაა მოცული და წარმოადგენენ ღმერთების ადგილსამყოფელს. ჩრდილოამერიკელ ინდიელთა რწმენით, მიცვალებულები დაისში, ანუ—„ბედნიერი ნადირობის მიწებზე" ცხოვრობენ. ესკიმოსები თავიანთ გარდაცვლილებს ჩრდილოეთის ციალის შუქზე ხედავენ, ლომთევზას თავით მოთამაშეთ. ასე რომ, როგორც ვხედავთ, სამოთხის გაგება სხვადასხვაგვარია და, უეჭველია, სამოთხე ასახავს მორწმუნეთა მისწრაფებებს. ასევე სვადასხვაგვარია წარმოდგენა ჯოჯოხეთზე.

ეს რწმენები რომ ფაქტებზე იყოს დამყარებული, განა მოსალოდნელი არ იყო, რომ კათოლიკეები, — ავიღოთ სამაგალითოდ ეს ჯგუფი, — კლინიკური სიკვდილიდან გამობრუნების შემდეგ მათ მიერ ნანახ იმქვეყნიური ცხოვრების ტრადიციულ ელემენტებზე მოგვიყვებოდნენ. ელემენტებზე, რომლებიც მათთვის ადრეული ბავშვობიდანვეა ცნობილი. თითქოსდა უნდა გვქონოდა ამისი მოლოდინი. მაგრამ კვლევის გამოცდილებაზე ამყარად არსებულ შეტყობინებათა შორის პრაქტიკულად არ გვხვდება არც ერთი კათოლიკე, რომელიც მოჰყვებოდა იმის მტკიცებას, რომ იხილა წმ. პეტრე სამოთხის კართან, ან ქრისტე, მამა-ღმერთის მარჯვნივ მჯდომარე, თუ ანგელოზთა გუნდები. სინამდვილეში, სტატისტიკური თვალსაზრისით, მხოლოდ ადამიანთა უმნიშვნელო რაოდენობა ყვება, რომ იხილეს ციური სამოთხის „ხაზოგადოდ მიღებული" სურათი, ისეთი, როგორიც მოცემულია მთხრობელის რელიგიაში. შესაძლო ახსნად შეიძლება გამოდგეს ის, რომ იმქვეყნიური სამყარო მართლაც არსებობს, მაგრამ იგი არ შეესატყვისება გავრცელებულ რელიგიათაგან რომელიმეს, წმინდა წიგნებში აღწერილს. მეორეც, — კლინიკური სიკვდილი, მისი თანმხლები აზრობრივი ხასიათით, წარმოადგენს პირველ, ყველაზე უმთავრეს ნაბიჯს იქითკენ, რაც ყველგან ციურ სამყაროდაა სახელდებული. სინამდვილეში ზედმეტი თავდაჯერებულობა იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ დროის მოკლე გაელვებაში ან კლინიკური სიკვდილის დროს დანახული რამ არის სწორედ იმქვეყნიური სამყარო, მთელი თავისი დიდებულებითა და წვრილმან კომპონენტთა უსასრულობით.

იმ უცხო სამყაროს თვით [illegible] კი გამამხნევებელ იმედად [illegible] თვის. სხვა საქმეა ირწმუნო და სულ სხვაა — თავად გამოსცადო. ოცდათექვსმეტი წლის ელექტრიკოსი რიჩარდ კოულმანი, რომელსაც ფილტვზე ოპერაციის დროს ათი წუთით მოუხდა სიკვდილთან წილნაყარობა, გვიამბობს, რომ ადამიანები ხშირად ეკითხებიან, არსებობს თუ არა ცხოვრებაში ისეთი რაიმე, რაც წარმოდგენას შეუქმნიდათ კლინიკურ სიკვდილზე. „სინამდვილეში მათ იმის გაგება სურთ, — ფიქრობს იგი, — შეიძლება თუ არა რაღაც გარემოებაში, ისე, რომ თავი საფრთხეში არ ჩაიგდონ, გამოსცადონ ისეთი რაღაც, რაც მიახლოებით წარმოდგენას მაინც შეუქმნით კვდომაზე". მაშინ, როდესაც მკვლევარ-ფსიქოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პასუხად სგგ გამოდგებოდა, რამდენადაც იგი გულისხმობს ფიზიკური სხეულიდან გამოყოფა—განცალკევებას, კოულმანი ამტკიცებს, რომ ძილი ყველაზე უფრო წააგავს სიკვდილს.

ასეთ პასუხს რამდენადმე ისტორიული ღირებულება გააჩნია, რადგან დასავლეთის ფილოსოფოსები, მოყოლებული პლატონიდან, მიიჩნევდნენ, რომ სიკვდილსა და ძილს საერთო ნიშნები გააჩნიათ. რას ჰგავს — ფლობდე ცნობიერებას სხეულგარეშე? — სვამს კითხვას პლატონი. რა ცნობიერდება მაშინ? სად იქნება ცნობიერების ადგილი? როგორ შეძლებენ ადამიანები ერთმანეთის ცნობას? როგორ დაამყარებენ ურთიერთობას ერთმანეთთან?

ფილოსოფოსი ხ. ხ. პრაისი თავის წიგნში „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ და სხვა სამყაროს გაგება" იმ აზრს ავითარებს, რომ სიკვდილის შემდგომი აღქმა სიზმარს წააგავს. რომ იგი იქმნება სიცოცხლის მანძილზე დაგროვილი მენტალური სახეებისაგან. სხვა სიტყვებით, ყველა ეს ცხოვრებისეული გამოცდილება — მშვენიერი თუ საძაგელი, კარგი თუ ცუდი, — ქმნის საცავს ყოველივე იმისა, რაც შემდგომ ცხოვრებაში შეიძლება იგემო. შემდეგ იგი ამბობს, რომ საიკეთო სამყაროს კანონები არის არა ფიზიკური (რომლებიც მატერიალურ სამყაროში ბატონობენ), არამედ ფსიქოლოგიური, რამდენადაც ჩვენი ცხოვრება სიკვდილის შემდეგ ფსიქოლოგიური იქნება.

იმის გათვალისწინებით, რომ სიზმრები — ეს ჩვენი კერძო გამოცდილებაა, სადაც სხვა ადა-

მიანები ჩნდებიან როგორც ჩვენი ხილვები—და არა როგორც სრულუფლებიანი და დამოუკიდებელი არსებები, იმქვეყნიურ სამყაროში, პრაისის აზრით, ჩვენი ბილვები ისეთივე რეალური იქნება, როგორც ჩვენ თვითონ, — სულები კი ურთიერთობას ტელეპატიურად ან ზემგრძნობელობითი აღქმის (ზმა) სხვა ფორმათა დახმარებით დაამყარებენ. ეს ტელეპატიური მოლვაწეობა შექმნის ხილვად და ხმენად სახეებს. შემდგომი გამოცდილება კი იმას დაემგვანება, რასაც სხვები დაინახავენ და გაიგონებენ.

იმქვეყნიური სამყარო ჩვენივე სურვილების ძალით იქნება შექმნილი. — ვარაუდობს პრაისი და მოგვიწოდებს არ შევცდეთ, არ ჩავთვალოთ, რომ ის სამყარო მხოლოდ სიამოვნებათა სამეფო იქნება, რადგან ჩვენი სიზმრები უნაკლო სიზუსტით ამეღლავნებენ ჩვენი სურვილების ხასიათს, მათ შორის იმათაც, რომლებიც ითრგუნებიან სიფხიზლის დროს. ისინი შესაძლოა სატანურნი უფრო აღმოჩნდნენ, ვიდრე სამოთხისეულნი. პრაისის აზრით, ჩვენი სიზმრები გვიქმნიან მკრთალ წარმოდგენას იმქვეყნიური სამყაროს ბუნებაზე, — ცნებაზე, რომელიც უძველესი თემური წყობილების დროის რწმენებში წარმოიშვა.

სიზმარ-სიკვდილის ჰიპოთეზაში არსებობს ერთი ფაქტი, რომლის წყალობითაც წამოიჭრება მნიშვნელოვანი საკითხი, საკითხი, რომელსაც ხშირად გვერდს უვლიან სიკვდილიხა და კედომის შესახებ მონათხრობთა შემკრები ტანატოლოგები. კლინიკურ სიკვდილთან შეხვედრის შესახებ წარმოებული არც ერთი გამოკვლევისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგიერთებს, თუმცა მცირე პროცენტს, ჯოჯოხეთური ხილვებიც აქვთ. გერმანელმა მსახიობმა კურტ იურგენსმა, რომელსაც ოპერაციას უკეთებდა დოქტორი მაიკლ დებეიკი და ამ რთული ოპერაციის დროს კლინიკური სიკვდილი გადაიტანა, მიიღო უარყოფითი შთაბეჭდილებანი: „კარგი განწყობილების შეგრძნება, რასაც მე პენტოტალის ინექციის შემდეგ განვიცდიდი, დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ქვეცნობიერებიდან გაჩნდა გრძნობა, რომ სიცოცხლე გადის ჩემგან. ამან შემაშფოთა. მე ისე, როგორც არასდროს, მსურდა შემეკავებინა სიცოცხლე.

მე შევჭეროდი ხოპერაციოს ვეება მინის ეუმბათს. მას ცვლილებები დაეტყო. მოულოდნელად იგი გადარეულებული — წითელი ფერისა გახდა. დავინახე წრეზე მბრუნავი გრიმასიანი სიფათები, რომლებიც მე მომჩერებოდნენ... მე პატიოსნად ვცდილობდი მებრძოლა და დამეცვა ჩემი თავი... მერე მომეჩვენა, რომ მინის ეუმბათი გამჭვირვალე კამარად გადაიქცა და ის ნელ-ნელა მემხობოდა ზედ. წამოვიდა ცეცხლის წვიმა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი წვეთები ცვიოდა, მე არც ერთი არ დამცემია. ისინი ჩემ გარშემო ცვიოდნენ და მათგან ალის მრისხანე ენები წამოიმართებოდა... არ შეიძლებოდა ჩემი გულუბრყვილობა დიდხანს გაგრძელებულიყო და არ დამენახა საშინელი სიმართლე: ეჭვი აღარ მეპარებოდა იმაში, რომ ამ ცეცხლოვანი სამყაროს მბრძანებელთა სახეები ეშმაკეული სახეები იყო. იმის შეგნება, თუ რამდენად მარტოდმარტო და მიტოვებული ვიყავი, სასოწარკვეთილებაში მაგდებდა. საშინელება, რომელსაც მე განვიცდიდი, იმდენად მტკივნეული იყო, რომ კინალამ ვავიგუდე. ცხადია, მე თვით ჯოჯოხეთში ვიყავი".

კურტ იურგენსს არც მოკიაფე სინათლე უხილავს, არც მინზიდველი სულები და არც სიმშვიდე და მყუდროება განუცდია, როგორც უმრავლესობას სიკვდილთან შეხვედრისას. შეერთებული შტატებისა და ინდოეთის ხაადმყოფოებში ათასობით მომაკვდავზე დაკვირვებიდან დოქტორმა ოსისმა აღნიშნა მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა მომაკვდავმა „ჯოჯოხეთი" იხილა.

მართლაც, ასეთი შემთხვევები იშვიათობაა. მაგრამ, თუ თუნდაც ერთ ადამიანს მოუხდა სიკვდილთან „ჯოჯოხეთური" შეხვედრა, ეს ღიად ტოვებს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რასაც ყველა რელიგია გვასწავლის, რომ სიკვდილი ყველას შვებად ეფლინება. მართლაცდა, უპასუხისმგებლობა იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ადამიანის ცხოვრების ხასიათი გავლენას არ ახდენს მისი სიკვდილისეული და საიქიო ხამყაროს აზრობრივ სახეებზე, რომელსაც იგი ითავისებს. როგორც ფსიქოლოგი ჩარლზ მარფილდი ამბობს: „ადამიანები კვდებიან ისევე მრავალგვარად, როგორც ცხოვრობენ".

გასაგებია, რომ ნეგატიური ჰალუცინაციები, რომლებიც კვდომის დროს ჩნდებიან, არაა საკმარისად შესწავლილი. პრობლემას ისიც ართულებს, რომ მათ შესახებ ძალზე ცოტაა შეტყობინება. როცა ჩვენს განკარგულებაში დაგროვდება ასეთი მოწმობები, სიკვდილთან ნეგატიური შეხვედრების კვლევასაც დავიწყებთ, მაგრამ პირველი ნაწილი მთლიანად გვინდა მივუძღვნათ სიკვდილთან დადებით შეხვედრებს— მეორე, მესამე და მეოთხე სახის შეხვედრებს.

2. მეორე სახის შეხვედრები

ამ კატეგორიაში ჩვენ ჩავრიცხეთ ის ადამიანები, რომლებიც კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში, გონდაკარგულნი ან მძიმე, სიცოცხლისათვის საშიშ სიტუაციებში იმყოფებოდნენ, მაგრამ შემდეგ შეძლეს წარმოედგინათ მოწ-

მობანი თავიანთი გამოცდილების პირასენსორული ბუნების შესახებ. ასეთი მოწმობანი, სულ ცოტა, იმას მაინც ამტკიცებენ, რომ ადამიანის გონებას გააჩნია ტელეპატიური უნარები, წინასწარგანჭვრეტისა და ნათელხილვის შესაძლებლობა. უკეთეს შემთხვევაში კი ასეთი მოწმობანი გვაიძულებენ ვიეარაუდოთ, რომ ადამიანი ფლობს ასტრალურ, ანუ ეთერულ ორეულს, და სიცოცხლისათვის საშიშ წუთს ან სიკვდილის მომენტში ასტრალური სხეული გამოეყოფა ფიზიკურს. ასტრალური სხეულის არსებობისა და სიკვდილის მომენტში მისი ქმედების დამტკიცება — პირველი ნაბიჯია იმის დასადასტურებლად, რომ ჩვენ განვიცდით სხეულებრივ სიკვდილს. ვდგმათ რა ამ ნაბიჯს, განვიხილავთ სიკვდილთან მეორე ხახის შეხვედრათა სამ შემთხვევას.

ბარბარა პრაიორი, ოცდაცხრამეტი წლისა, არკანზასის უოფილი გუბერნატორის, დევიდ პრაიორის, მეუღლე. 1971 წელს, მადლიერობის დღეს, ბარბარა პრაიორს, რომელიც ფილტვების ემბოლიით — ფილტვების სისხლძარღვთა გაუვალობით — იყო დაავადებული, კოლუმბიის ოლქის ვაშინგტონის ჰოსპიტალში ვაუკეთდა ხაშვილოსნოს ამოკვეთის ოპერაცია. ექიმი დონალდ პეინი გვიამბობს ბარბარას შესახებ: „მდგომარეობა ერთობ საშიში იყო. ჩვენ მოგვიხდა გმირობის ტოლფასი ძალისხმევის დახარჯვა, რათა მისის პრაიორისათვის სიცოცხლე დაგვებრუნებინა“. ბარბარამ კი აი, რა გამოსცადა:

„ჩემმა სულმა ჰაერში დაიწყო ფარფატი. მე მშვიდად ვიყავი. დიდებულად ვგრძნობდი თავს. ვხედავდი ჩემს სხეულს საწოლზე, მაგრამ თავს ვგრძნობდი მისგან სავსებით განცალკევებულად. სრულებითაც არ მაინტერესებდა, რას უშვრებოდნენ ჩემს სხეულს.

მე ვხედავდი, როგორ აწვებოდა მისტერ პეინი ჩემს მკერდის ღრუს და მიკვირდა, რა საჭიროა ასეთი მოწადინება? მე სავსებით, სავსებით ბედნიერი ვარ. ადამიანი, რომელიც ადრე არასოდეს მინახავს, მიუახლოვდა ჩემს სხეულს და ნემსი გაუკეთა გულში. მან რომ დაამთავრა, საწოლთან მივიდა ექთანი და სიჩქარეში ხადგამს წამოიღო, რომელზედაც ვენიხშიდა საწვეთურის ბოთლები იყო მიმაგრებული. მე დავინახე, როგორ წამოიქცა სადგამი საწოლზე, ხოლო ერთმა ბოთლმა სახეზეც ჩამომკრა. მაგრამ მე ხულაც არ მენაღვლებოდა, თუ ბოთლმა დამაშავა. მე თავისუფალი ვიყავი ტკივილისაგან.

შემდეგ დამებადა უცნაური გრძნობა, რომ აგერ-აგერ სადაცაა შევხვდები ჩემს ძმას, რომელიც ათი წლის წინათ ლეიკემიით გარდაიცვალა“.

ბარბარა გრძნობდა, ძმა სადღაც იქვე იყო და უნდა მობრუნებულიყო კიდეც მის მოსაძებნად, რომ უეცრად ჩაესმა ექიმის შეძახილი: „ისუნთქეთ, ბარბარა, ისუნთქეთ!“

„არ მინდა. თქვენ არ შეგიძლიათ მაიძულოთ მე ვისუნთქო. თქვენ ვერ შეძლებთ დაბრუნებინოთ ეს სამოთხე“. ამის წარმოთქმა იყო და მკერდის არეში მწვანთავი ტკივილი შეეგრძნო და მაშინვე ქვეცნობიერად [illegible] რომ დავბრუნდი საკუთარ სხეულში. მე თავს ვგრძნობდი ხაფანგში შეწყვდეულად და ვბრაზობდი, რომ მაიძულეს დავბრუნებულიყავი. შესაძლებელი რომ ყოფილიყო ექიმების რამენაირად შეჩერება, მე ამას გავაკეთებდი“.

ბარბარა პრაიორის შემთხვევის ანალიზი წარმოადგენს სამ ისეთ საბუთს, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს იყო სიკვდილთან მეორე რიგის შეხვედრა: 1. ექიმი პეინი მიმართავდა მანუალურ (ხელის) მასაჟს გულზე, დაახლოებით იმგვარად, როგორც ეს ბარბარამ „დაინახა“; 2. მეორე ექიმი სწრაფად შემოვიდა ოთახში და ბარბარას გულის ინექცია გაუკეთა; 3. ექთანმა, ბარბარას საწოლთან რომ მივიდა, შემთხვევით გაჭკრა იდაყვი სადგამს და ჩამოყარა ბოთლები შეხაყვანი სითხეებით, ერთ-ერთი ბოთლი კი ბარბარას სახეზე დაეცა, მარცხენა მხარეს. გონს რომ მოეგო, ბარბარამ მარცხენა თვალის ქვეშ, სწორედ იქ, სადაც მან „ზემოდ ნ დაინახა“, ტკივილიანი დაჟეჟილობა შეიგრძნო. როცა უველა ეს ამბავი ხდებოდა, ბარბარას მთლიანად დაკარგული ჰქონდა ცნობიერება, უფრო სწორედ, იგი კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის მიუხედავად, სავსებით ზუსტად აღიქვამდა ყოველივეს, რაც მის ირგვლივ ხდებოდა — საავადმყოფოს მუშაკებმა დაადასტურეს მისი მონათხრობის სანდოობა.

ბარბარა პრაიორი თავისი საწოლიდან შორიახლოს მყოფი ხედავდა მოვლენებს, მაგრამ კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის მანძილი არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. 36 წლის ბარბარა მორის დევიდსონმა 1975 წ. 21 აპრილს შემთხვევით მიიღო ძილისწამლის მეტისმეტად დიდი დოზა. იგი სასწრაფოდ იქნა გადაყვანილი ჯორჯიის შტატის ქ. ატლანტის შელოუბარდის თემის საავადმყოფოში, სადაც დაადგინეს, რომ უგონოდ იყო და სიკვდილი ელოდა. მკურნალი ექიმი უოლტერ ჰედი გადმოგვცემს, რომ ბარბარა სამ დღეს უგონოდ იმყოფებოდა. სწორედ ამ პერიოდში, ცნობიერებადაკარგული, იგი სტოვებდა საკუთარ სხეულს.

ბარბარა გვიყვება, რომ რაღაც მომენტში მან დაინახა ექიმები და ექთნები, რომლებიც მის

სხეულზე დაბრილიყვნენ, ოღონდ ვერ შეიცნო საკუთარი სხეული. დაინტერესებული, სხეულზე გადაიხარა და შეხედა, რა გვარი ეწერა ხელსაბამზე. ავადმყოფი თავად აღმოჩნდა. შემდეგ ბარბარამ აღმოაჩინა, რომ თავის სხეულს მთელი ოთახის დაშორებით უყურებს. კურიოზულია, მაგრამ ბარბარას სრულებით არ აინტერესებდა მისი მდგომარეობა, აი, მისი სიამაყე კი შელახული იყო იმით, რომ ხელსაბამზე არასწორად იყო აღნიშნული მისი დაბადების თარიღი: 1940 წლის 23 დეკემბერი, რაც მას ორი წლით უფრო ახაკოვნად აქცევდა. ბარბარა შეეცადა ამ შეცდომის შესახებ ექთნებისათვის ეთქვა, იგი უყვიროდა მათ, მაგრამ ვერაფერს აგონებდათ. ბოლოს და ბოლოს, მან გადაწყვიტა წასულიყო სახლში და ამ გაუგებრობის შესახებ ქმრისათვის ეთქვა. ის ხომ 1942 წლის 28 დეკემბერს დაიბადა — ნუთუ საავადმყოფოში ეს არ იციან! ბარბარა გვიყვება:

„მე გავიარე მთელი გზა სახლამდე, გაოცებულმა, რომ ტროტუარს არც კი ვეხები შიშველი ფეხებით. მივხვდი, რომ უფრო მივცურავ, ვიდრე მივდივარ.

შინ რომ მოვხვდი, დავინახე სასტუმრო ოთახში საეარძელში მძინარე ქმარი, გვერდით ჩემი პორტრეტი ედო. შევეცადე გამეღვიძებინა ქმარი, მაგრამ იგი არ ფხიზლდებოდა და ისევ საავადმყოფოში დავბრუნდი“.

შემდეგი, რაც ბარბარას ახსოვს, — ისაა, როგორ გაახილა თვალები და დაინახა მასზე მოჩერებული ექიმები და ექთნები. მხოლოდ მერედა შეიტყო, თურმე სამი დღე უგუნოდ ყოფილა, რაღაც დროის მანძილზე კი გულიც უჩერდებოდა. ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გამოკეთებული, როცა ქმარს უამბო სახლის უცნაურად მონახულების შესახებ. ქმარმა დაადასტურა, რომ, როცა ის უგონოდ იმყოფებოდა საავადმყოფოში, თვითონ იმდენად წუხდა მის გამო და ისე მარტოსულად იგრძნო თავი, აიღო მისი ჩარჩოიანი ფოტოსურათი, დაჯდა სასტუმრო ოთახში და დიდხანს შესცქეროდა. ქმარს კარგად ახსოვდა, როდესაც გაეღვიძა, ფოტოსურათი ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული. ამან დაინტერესა ბარბარა, რომელსაც თავს გადამხდარი ამბავი წმინდა წყლის ფანტაზიად მიაჩნდა. როცა სავსებით მოიკეთა, ნებართვა ითხოვა ენახა საავადმყოფოში არსებული მისი საბუთები. ავადმყოფობის ისტორიის პირველსავე გვერდზე მან აღმოაჩინა თავისი დაბადების არასწორი თარიღი: 1940 წლის 28 დეკემბერი.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ბარბარა პრაიორს, არც ბარბარად დევიდსონს არ უხილავთ კაშკაშა შუქი, არ გაუგონიათ ხმები და არ შეხვედრიან სულებს, ისე როგორც სხვა მრავალთ, რომლებსაც ჰქონიათ სიკვდილთან მეორე სახის შეხვედრები. ტანატოლოგიური კვლევის დღევანდელ, ადრეულ სტადიაზე, ჩვენ მხოლოდ ვარაუდების დაშვება შეგვიძლია, რატომ ხდება ასე. შესაძლოა, სიკვდილთან პირველი სახის შეხვედრებისათვის დამახასიათებელი მხედველობითი და სმენითი სტიმულები ამდენად ატყვევებენ და აჰიპნოზებენ ადამიანს, რომ თითქმის მთლიანად შთანთქავენ მის ცნობიერებას. იმქვეყნიური ხილვებით მოხიბლული ადამიანი, შესაძლოა, სავსებით კარგავს ინტერესს მიწიერი ამბებისადმი თუ მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან ურთიერთობის მცდელობისადმი. იქნებ ის, ვინც სიკვდილთან პირველი სახის შეხვედრა გადაიტანა, უფრო შორს წავიდა მუდმივი, შეუქცევადი სიკვდილის გზაზე, ის „უფრო მკვდარია“, ვიდრე ის, ვინც ჯერ კიდევ მიწიერი საქმეებითაა დაკავებული.

ბარბარა პრაიორისა და ბარბარა დევიდსონის მსგავსი შემთხვევები შეიძლება მოხდეს ერა მარტო კლინიკური სიკვდილის დროს. ეს ფაქტი მეცნიერებს სთავაზობს სიკვდილთან შეხვედრის შესწავლისა და თვით ინსცენირების გზასაც. ორმოცდაშვიდი წლის რიჩარდ ჰიტი. ვაშინგტონის შტატის ქ. ოლიმპიიდან, მარჯვენა მუხლის ოპერაციას იკეთებდა 1971 წ. 17 მაისს. ვაშინგტონის ტაკომას საავადმყოფოში ნარკოზის ქვეშ მყოფმა, გამოსცადა ხგგ, რამაც მოგვცა პარასენსორული პრაქტიკული მოწმობა. რიჩარდი გვიყვება:

„უეცრად სხეული მთლად მომიდუნდა ვიგრძენი, რომ ჩემი სული გამოეყო ჩემს მიწიერ სხეულს და ჭერისაკენ აფრინდა. შემდეგ დავინახე ჩემი თავი ცად მფრინავი, ჩემი სახლის მიმართულებით. საუცხოო დღე იყო და მოგზაურობაც სახიამოვნო გამოდგა.

სახლს რომ მივაღწიე, დავინახე ბაღში მოთამაშე ბავშვები. შევიხედე მეზობლის ეზოში და შემთხვევით, ისე, რომ არც მესმოდა, შემდგომში რამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა ეს ჩემთვის, — დავინახე, რომ იგი ორ ხის ნერგს რგავდა.

შემდეგ მე შემიპყრო შეშფოთებამ სხეულის გამო, რომელიც საავადმყოფოში დამრჩა. როგორ დავბრუნდე უკან? მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ამისი გაფიქრება და მაშინვე იქ, ჩემს დაჩეხილ სხეულში აღმოვჩნდი, ვიგრძენი ტკივილიც. თვალი რომ გავახილე, თავს სავსებით გაწამებულად ვგრძნობდი და ჩემს იდუმალებით მოცულ ხილვებზე ვფიქრობდი“.

შინ დაბრუნებული რიჩარდი ყავარჯნებით მეზობელთან წაკიბიჯილდა. იგი გააოგნა ორი პატარა ხის ნერგის დანახვამ ზუსტად იქ, სადაც მან „დაინახა“. რიჩარდმა მეზობელს უამ-

ბო თავისი შემთხვევის შესახებ და მან ერთი იმ ნერგთაგანი აჩუქა. ახლა ის ხე უკვე რვა წლისაა, და თავის პარმაღზე მჯდარი რიჩარდ ჰიტი ხშირად უსმენს, როგორ აშრიალებს ქარი მის ფოთლებს, უსმენს დარწმუნებული იმაში, რომ სულს შეუძლია გადააღგილდეს უსხეულოდ, მაშასადამე, განიცადოს სხეულებრივი სიკვდილი.

...ეს უეჭველი მოწმობაა იმისა, რომ სგგ და კლინიკური სიკვდილი ბევრი რამით ენათესავებიან ერთმანეთს. სგგ ხელს უწყობს ზმა-ს მთელი რიგი ფენომენების გამოვლენას და ბევრი კლინიკურ სიკვდილგადატანილი ამყღავნებს ტელეპატიურ თვისებათა ნარჩენებს და ნათელმხილველობის უნარებს. სანდრა კერი, მწერალი ქალი, უესტ-კოასტის საავადმყოფოში 1970 წლის ზამთარში შემოვიდა ქრონიკური დაავადებით და სულ მალე გულისცემა შეწყდა. იგი კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდა ოთხი წუთის განმავლობაში. გრძნობაზე რომ მოვიდა. მკურნალ ექიმს განუცხადა, თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, მაგრამ გუნება შენი წყალობით გამიფუჭდა, რადგან ცოლი გაგშორდა და განქორწინებაზე საქმის აღძვრას აპირებსო. ექიმი განცვიფრებული იყო. მართლაცდა, ცოლი წავიდა მისგან, ოღონდ, სულ რაღაც ორი დღის წინათ, და მან ყველა ზომა მიიღო საიმისოდ, რომ ამის შესახებ საავადმყოფოში არავის არაფერი გაეგო. თვით მისმა მშობლებმაც კი არაფერი იცოდნენ ამის შესახებ. სანდრა, რომელიც ამჟამად ჯანმრთელია, ამბობს, რომ ზოგ შემთხვევაში იგი ფლობს ტელეპატიურ უნარებს და რომ ეს მისი სიკვდილთან შეხვედრის შედეგია. ის ამას შემდეგნაირად ხსნის: „თუ თქვენ ერთხელ მოახერხეთ დაგეძლიათ დროისა და სივრცის ჩვეულებრივი განზომილებანი, შეიგნებთ, რომ მათი დაძლევა შესაძლებელია, და ეს ცოდნა ხელმისაწვდომს ხდის თქვენთვის პარანორმალურ მოვლენებს". სამწუხაროდ, მკვლევარები ჯერ კიდევ არ ცდილან განესაზღვრათ იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს და შედეგად ჰქონდათ პარანორმალური აღქმის გამოცდილება. ეს შეიძლება საინტერესო გამოკვლევა ყოფილიყო, ბევრ მოვლენებს რომ მოჰფენდა ნათელს.

ბევრ მკვლევარს აინტერესებს საკითხი, რანაირად მიიღეს პარანორმალური ინფორმაცია ისეთმა ადამიანებმა, როგორებიც არიან ბარბარა პრაიორი, ბარბარა დევიდსონი და რიჩარდ ჰიტი. ბარბარა დევიდსონი და რიჩარდ ჰიტი გრძნობდნენ, რომ ნამდვილად გადაადგილდნენ რამდენიმე მილით. ასტრალური მოგზაურობის შეგრძნება სავსებით რეალურია იმისთვის, ვინც იგი გამოსცადა: ეს ხალხი დარწმუნებულია, რომ მათი პიროვნების კვინტესენციამ იმოგზაურა in toto[1] იმ ადგილიდან დაშორებით, სადაც მათი სხეული იმყოფებოდა. მაგრამ ზოგიერთ ფსიქოლოგ-მეცნიერს ეჭვი ეპარებოდა, ხდებოდა თუ არა ეს სინამდვილეში. შესაძლებელია თუ არა, რომ ზოგიერთ ექსტრემალურ მდგომარეობაში ადამიანურმა ცმობიერებამ შეძლოს გადალახოს დროისა და სივრცის საზღვრები და იწინასწარმეტყველოს მომავლის მოვლენები? სხვა სიტყვებით, არსებობს თუ არა განსხვავება ასტრალურ მოგზაურობასა და ნათელხილვას შორის?

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია მკვლევართათვის, რომლებიც სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის არსებობით არიან დაინტერესებული. ნათელხილვა შეიძლება იყოს ადამიანის უნარი, რომელიც მისი სიკვდილისთანავე ქრება. ასტრალური მოგზაურობის დამტკიცება კი დაადასტურებს იმას, რომ ნებისმიერ ფიზიკურ სხეულს გააჩნია ეთერული ორეული, რომელიც თვით სიცოცხლის კვინტესენციას წარმოადგენს და რომელმაც შეიძლება იცოცხლოს ფიზიკური სხეულის სიკვდილის შემდეგ.

დასმულ კითხვას რომ უპასუხონ, მკვლევარები სგგ-ს მრავალგვარი უახლესი ხერხებით სწავლობენ, ცნობილმა ინგლისელმა მკვლევარმა, დოქტორმა კრუკლმა, საგულდაგულოდ შეარჩია ათასი შეტყობინება სგგ-ს შესახებ, და გააანალიზა მათი მონაცემები, რათა რაიმე გაეგო ამ ფენომენის ბუნების შესახებ. კრუკლი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სგგ-ის შემთხვევებს გააჩნია ექვსი განმასხვავებელი თავისებურება:

1. ადამიანი გრძნობს, რომ ის თავის სხეულს ტოვებს კინკრიხოდან.

2. ეთერული და ფიზიკური სხეულის გაცალკევების მომენტში ადამიანი წამიერად კარგავს ცნობიერებას.

3. სანამ სამოგზაუროდ გაემართებოდეს, ეთერული სხეული გარკვეული დროის მანძილზე ლივლივით თავს დასტრიალებს თავის ფიზიკურ გარსს.

4. როდესაც ეთერული სხეული მოგზაურობიდან ბრუნდება, იგი კვლავ გაივლის ლივლივის სტადიას.

5. შეერთების მომენტში ხდება ცნობიერების დაკარგვა.

6. სწრაფმა შეერთებამ შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური სხეულის შერყევა, გაძლიერებული გულისცემა და დიდი რაოდენობით ოფლდენა.

---

1. in toto — მთლიანად (ლათ.).

კრუკლმა ვერ აღმოაჩინა ვერც ერთი შემთხვევა, ადამიანებს თავიანთი ფიზიკური და ეთერული სხეულების შეერთება, რომ ვერ მოეხერხებინოთ (ხოლო იმან, ვინც ეს ვერ შეძლო, ვერ შეძლო ვერც გადარჩენა და ვერც შეტყობინება). იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად შორს მოგზაურობს ეთერული სხეული, ადამიანის შიში ნემსკავიით მოქმედებს, რათა დაიბრუნოს სული უკან და შეაერთოს იგი ფიზიკურ სხეულთან.

მედიუმები ამტკიცებენ, რომ ასტრალური და ფიზიკური სხეულები ერთმანეთთან წვრილი ვერცხლისფერად მოელვარე ძაფებით, ვის სრულიად წელვადი კვანძებითაა დაკავშირებული, რომლებიც ფიზიკური სხეულის კინკრიხოდან გამოდიან და ეთერული სხეულის კინკრიხოს უერთდებიან. სანამ ვერცხლისფერი ძაფი მთელი რჩება, ასტრალურ სხეულს ყოველთვის შეუძლია ფიზიკურ სხეულში დაბრუნება. არც ერთ ექსპერიმენტს ჯერ არ აღმოუჩენია ვერცხლისფერი ძაფი, მაგრამ მის არსებობას შეუძლია აგვიხსნას, რატომ არ მთავრდება ადამიანის გაცოცხლების ყველა ცდა წარმატებით. თუ ადამიანი, კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში დააპირებს გაიხანგრძლივოს სინათლისაკენ ლტოლვა იმ მომენტში, როცა იგი გადაწყვეტს აღარ დაბრუნდეს უკან, ვერცხლისფერი ძაფი წყდება. მედიუმების ენაზე, „ვერცხლისფერი ძაფის გაწყვეტა“ სიკვდილს ნიშნავს.

70-იანი წლების შუა ხანებამდე ვერც ერთი მკვლევარი ვერ ახერხებდა განესაზღვრა, ყველა ჩვენგანი ფლობს თუ არა ასტრალურ სხეულს. პირველი ასეთი ექსპერიმენტი ჩატარდა ნიუიორკ-სიტიში ენერგეტიკული კვლევის ჯგუფის (ეკჯ) მიერ, როცა გამოიკვლიეს დოქტორ ალექს ტანუს შესაძლებლობები. ექსპერიმენტმა იმაზე ბევრად მეტი მისცა მეცნიერებს, ვიდრე მოელოდნენ, და წარმოაჩინა რამდენიმე საეუკეთესო ლაბორატორიული მოწმობა სულის სიცოცხლისა სიკვდილის შემდეგ. დოქტორი ტანუ და მისი ექსპერიმენტი დაწვრილებით აღწერას იმსახურებენ.

ალექს ტანუს აქვს დოქტორის ხარისხი ფილოსოფიასა და გეოლოგიაში, შეუძლია სურვილისამებრ გამოიწვიოს სგგ. იგი აკვირდებოდა მომაკვდავ პაციენტებს და ხედავდა კვამლსა და ორთქლს, სიკვდილის წინ რომ გარემოიცავდნენ ადამიანს. ორთქლი სხეულიდან სიკვდილის მომენტში გამოიყოფოდა. მას შემდეგ, რაც ტანუ თავისი ძმის, დევიდის, სგგ-ს დააკვირდა მისი სიკვდილის მომენტში, 1957 წ. იგი სამუშაოდ მოეწყო ბოსტონის სულიწმიდის საავადმყოფოში, საავადმყოფო უკურნებელი ავადმყოფებისათვის იყო განკუთვნილი და იქ ტანუმ სიკვდილის უშუალოდ შესწავლისას გამოიყენა თავისი ფსიქიკური მგრძნობიარობა. „ხშირად — ამბობს იგი, — მე ვხედავდი გადღაბნილ კვამლს, სიკვდილის შემდეგ რომ განიფრქვეოდა პაციენტისაგან“.

1972 წელს ტანუმ დოქტორ ოხისთან ერთად მუშაობა დაიწყო სპეციალური პროგრამით. „საჰაერო გაფრენები“, როგორც ეს ექსპერიმენტები იწოდებოდა, იმაში მდგომარეობდა, რომ ტანუს, პორტლენდში, საკუთარი სახლიდან უნდა მოეხდინა საკუთარი თავის ასტრალური გზით პროეცირება 3 ნმეტენზე მდებარე აოპი-ს შენობის ერთ-ერთ ოთახში. მას აქ უნდა დეთვალიერებინა ჩაის მაგიდაზე განლაგებული საგნები, შემდეგ კი დაერეკა აოპი-ში და ანგარიში ჩაებარებინა „საჰაერო გაფრენების“ პირველ სერიაზე.

„მე შევასრულე ხუთი ცალკეული რეისი, ერთხელ გამიჩნდა აშკარა შეგრძნება იმისა, რომ მაგიდაზე რაღაც წესრიგში არ არის. მე ვხედავდი, რომ საგნები და ფერები როგორღაც გაყოფილია. როდესაც ვერა ფელდმანმა, აოპი-ს მკვლევარმა, დაბირეკა, მე აღვუწერე მას ის, რაც ვნახე.

„ეს განსაცვიფრებელია, — თქვა მან, — მაგიდა ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ჩვენ შეგნებულად განვალაგეთ საგნები ერთ ნახევარზე. მაინც, რა საგნები ნახეთ?“

„მე ვნახე სანთელი. მას გარშემო რაღაც ჰქონდა შემოხვეული, ბაფთისმაგვარი. იქ კიდევ რაღაც ხის ნაჭერი იდო“.

„ძმერთო ჩემო, — თქვა ვერამ, — თქვენ მართალი ბრძანდებით“.

ყოველ ჯერზე ტანუ ხედავდა მაგიდას, ნარნარი ლიელვით დასტრიალებდა რა მას ზემოდან, მსგავსად იმისა, როგორც კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მოფი ადამიანები აკვირდებოდნენ თავიანთ აღდგენას. ტანუს წარმატებით ფრთაშესხმულმა აუპი-ს თან მშრომლებმა ცნობილ მედიუმ კრისტინ უაიტინგს მიმართეს თხოვნით, ყოფილიყო იმ ოთახში და ეცადა შეეგრძნო ტანუს იქ მოსვლა. უაიტინგმა მეტიც გააკეთა: მან ნამდვილად იხილა იგი, ჯერ როგორც მანათობელი ბურთულა, შემდეგ კი ზუსტად აღწერა, რა ეცვა ტანზე, როცა მან ასე რეალური გზით მოახდინა საკუთარი თავის პროეცირება თავისი სახლიდან.

მანათობელმა ბურთულამ დააინტერესა აოპი-ს თანამშრომლები. საერთოდ მიჩნეულია, რომ სინათლისაგან შედგება წმინდანთა შარავანდედი. სავარაუდოა ასევე, რომ სინათლე წარმოადგენს სულიერ არსებათა ბუნებას. ზოგჯერ, სიკვდილის მომენტში, ადამიანები „ინთებიან“ — პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. სინათლე დიდ ოლს თამაშობს კლინიკურ სიკვდილგადატანილთა მონათხრობებში. ტანუ ხში-

რად იმეორებდა ხოლმე თავისი ხგვ-ების დროს. „მე წარმოვადგენ ხინათლის დიდ ლაქას, ცნობიერების მანათობელ სფეროს, რომელიც პატარავდება და ხდება უფრო კონცენტრირებული. ასე გადავაადგილდები, როგორც ხინათლე."

ხინათლე — ენერგიის ფორმაა, რომლის აღმოჩენა იოლად შეიძლება. ფიზიკოსები დაინტერესდნენ, შეუძლია თუ არა აპარატურას დაფიქსიროს ტანუს ასტრალური სხეული, როგორც ხინათლე. თუ ჰო, მაშინ ეს შეიძლება გამოდგეს შედარებით უფრო დამაჯერებელ მტკიცებულებად იმისა, რომ არის არსება, ანუ ენერგიის ფორმა, რომელსაც შეუძლია გამოეყოს ფიზიკურ სხეულს და იქნებ კიდევაც გადარჩეს მისი სიკვდილის შემდგომ. — უზარმაზარი მეცნიერული აღმოჩენა.

შესრულდა მოსამზადებელი სამუშაოები ნიუ-იორკ-სიტიში, გრენდ-სტრიტზე მდებარე ბიოენერგეტიკული ანალიზის ინსტიტუტის განყოფილების ენერგეტიკული კვლევის ჯგუფის სამოღვაწეოდ, ექსპერიმენტატორთა ჯგუფში შეიდნენ ბიოქიმიკოსები, ფიზიკოსები, მედიკოსები და ფსიქიატრები. ჯგუფმა სცადა შეესწავლა ფსიქიკური მოვლენის ელექტრომაგნიტური ბუნება. ტანუსთან ექსპერიმენტებისათვის ჯგუფმა გამოიყენა საგანგებოდ მოწყობილი ოთახი, თეორიულად შავად რომ იქნა მიჩნეული. მასში იმყოფებოდა მარეგისტრირებელი აპარატურა, რომელსაც ხინათლისადმი მაღალი მგრძნობიარობა გააჩნდა და შეეძლო აღმოეჩინა ფოტონების მცირე რაოდენობაც კი. ამოსაცნობი საგნები განლაგდა ოთახის შუაში მდგარ სკამზე. ტანუ ვალდებული იყო არა მარტო მოქმედებაში მოეყვანა ხინათლემგრძნობიარე აპარატურა თავისი შინაგანი ხინათლის აფეთქებით, არამედ კიდევაც გამოეცნო საგნები. მას დასჭირდა პატარა ბნელი ოთახი, სადაც იგი შეძლებდა კონცენტრირებას და საიდანაც მოახდენდა საკუთარი თავის პროეცირებას საექსპერიმენტო ოთახში, ღიმისმომგვრელია, რომ საამისოდ გამოსადეგი ერთადერთი ოთახი მამაკაცების შუალეტი აღმოჩნდა, როცა ტანუ იქ განმარტოვდა, მაგნიტოფონზე მისი ხმის ჩაწერა დაიწყო.

„მე... ვემზადები ჩემი თავის ასტრალური გზით პროეცირებისათვის ბნელ ოთახში, რომელიც დავათვალიერე. მე ახლა დავიწყებ მძიმედ სუნთქვას... მოგვიანებით. ჩემს ტვინში ჩნდება ხინათლის სფერო. ახლა ვახდენ ჩემი თავის პროეცირებას... ვცდილობ დავეშვა და გავარკვიო, ამოსაცნობი საგნებიდან რომლებია სკამზე განლაგებული. ერთ-ერთი მათგანი იატაკზე დევს, მგონი, კვადრატულია. მე ვეხები რაღაცას. ის ძალიან რბილია, ტყავს მომაგონებს სკამზე რომ დევს, მაგარი საგანია. იგი მრგვალია, ნათელი და თეთრი...

ჩემი ხინათლე კლებულობს. კედლის შორიახლოს იატაკზე მდებარე საგანი... პამ! ეს ხინათლის აფეთქებაა. იატაკზე მდებარე საგანი საფულეს წააგავს. ერთ-ერთ ხკამზე დგას რაღაც მაღალი, მრგვალი, უფრო სწორად, მრგვალად გამოიყურება, ჭანდაკებას წააგავს... ხანგრძლივი დუმილი. პამ! სითეთრის აფეთქება! მე ვირწევი, ვირწევი, ვირწევი..."

ექსპერიმენტის ბოლოს, რომელიც ოცდაერთ წუთს გრძელდებოდა, ნიუ-იორკელმა ფსიქიატრმა კარლ კირშმა და მკვლევარმა ტედ ვულფმა ნიუ-იორკის სამედიცინო ცენტრიდან ტანუ მამაკაცთა ტუალეტიდან გამოიყვანეს და მოიყვანეს შავ ოთახში, რომელიც ამჯერად ნორმალურად იყო განათებული. სკამზე იდო ყავის სახარშის მაღალი, მრგვალი გამაცხელებელი ელემენტი, სწორედ ისეთი, როგორც აღწერა ტანუმ. იატაკზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ტანუმ საფულე მიანიშნა, იდო გლუვზედაპირიანი რეზინის ბალიში. ყველაზე შთამბეჭდავი ის იყო, რომ აპარატურამ აღნიშნა ოთახში ხინათლე სწორედ იმ დროს, როცა ტანუმ შესძახა: „პამ! ეს ხინათლის აფეთქებაა!"

თუ ყოველი ადამიანი ფლობს ხინათლისეულ კომპონენტს, რომლის აღმოჩენაც შესაძლებელია, მაშინ ასტრალური სხეულის არსებობა უეჭველსურ რეალობად იქცევა. ტანუსთან ექსპერიმენტების დამთავრების შემდეგ მედიუმებიც და ჩვეულებრივი ადამიანებიც შეიდიოდნენ ოთახში და შიშვლები დგებოდნენ ხინათლემგრძნობიარე აპარატურის წინაშე. საოცარია, რომ მეტ-ნაკლებად ყველა ანათებდა! შიშველი სხეული იძლევა გარკვეულ ნათებას, მეტისმეტად სუსტს საიმისოდ, რომ ჩვეულებრივმა მხედველობამ აღიქვას, მაგრამ შესაძლებელს მედიუმის მგრძნობიარე თვალისათვის, ახლა კი აღნიშნულს სპეციალური აპარატურითაც. უფრო მეტიც, აურა, რომლითაც სხეულია გარშემორტყმული, დიდებულად ფერადოვანია (რასაც ყოველთვის ამტკიცებდნენ მედიუმები). იგი პულსირებს სხვადასხვა სიხშირით და ღებულობს სხვადასხვა გეომეტრიულ ფორმებს, ეტყობა, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური მდგომარეობისდა მიხედვით.

ნიუ-იორკ-სიტელ დოქტორს, იოგთა სუნთქვითი სისტემის თაყვანისმცემელს, შეუძლია თავისი „ნათება" ხუთჯერ გააძლიეროს. იგი ვარაუდობს, რომ ეს შეიძლება გამოდგეს მისტიკოსთა იმ მტკიცებულებათა დადასტურებად, რომ მედიტაციისა და სუნთქვითი ვარჯიშების გზით ადამიანს შეუძლია ჩართოს და აამოქმედოს ფსიქიკური ენერგია, რომელსაც ისინი, მისტიკოსე-

ბი, პრანას უწოდებენ. ამისი მიზეზები ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. იქნებ ძლიერი ნათება სულიერად უფრო მდიდარ ადამიანს ახასიათებს? ან იქნებ უფრო ხანგრძლივ სიცოცხლეს? გვიჩვენებს თუ არა ხუსტი ნათება იმას, რომ სიკვდილი ახლოსაა? ამავე დროს ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ ციალი ჩნდება და მოდინარეობს ასტრალური სხეულიდან და სგგ-ის უნარშემწე ადამიანებს შეუძლიათ თავიანთი „მანათობელი ბურთულას" შორ მანძილზე პროეცირება სინათლის აფეთქების მსგავსად და, ასევე, სწრაფად უკან დაბრუნება, სანამ ვერცხლისფერი ძაფი მთელია. ვერცხლისფერი ძაფის არსებობა ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს კავშირი ფიზიკურ და ასტრალურ სხეულებს შორის. შეიძლება თუ არა მოციალე შუქი, რომლის შესახებაც კლინიკურ სიკვდილგადატანილი ადამიანები ჰყვებიან, ათასობით ხულის საერთო ციალი იყოს? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობა ჯერჯერობით ნაადრევი იქნებოდა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ სინათლე ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა რელიგიასა და მითში და ახლა ჩვენ პირველად ვიწყებთ იმის გაგებას, თუ რა იყო ამის მიზეზი.

8. მესამე სახის შეხვედრები

ამ კატეგორიაში ჩვენ ის შემთხვევები გამოვყავით, როდესაც კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში ან უგონოდ მყოფი ადამიანი ვინმეს გადასცემს საკუთარი მდგომარეობის „შინაგან შეგრძნებას". ესაა კონტაქტი — შესაძლოა, ზმის რაღაც ფორმა — „მკვდარსა" ან მომაკვდავის რაღაც ფორმა — „მკვდარსა" ან მომაკვდავლის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, არ მოგზაურობს ასტრალური სახით, რათა საკუთარი წერილი მოიტანოს; შეტყობინება განსაცდელის შესახებ ტელეპატიურად გადაიცემა.

ამ სახის შეხვედრების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ რეციპიენტი მეტწილად მხოლოდ სუსტ წარმოდგენას ღებულობს იმ ზე, რომ მის ნაცნობთაგან ვიღაცას რაღაცა უჭირს. რეციპიენტს არასოდეს არა აქვს შეგნებული, რომ მომაკვდავ ან კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მყოფ ადამიანთან კონტაქტში იმყოფება. ასეთი შემთხვევები მეოთხე სახის შეხვედრებს შეადგენენ. მარტა იგანისა და დედამისის ისტორია ერთ-ერთი მაგალითია სიკვდილთან მესამე სახის შეხვედრებისა. კავშირგაბმულობის ყოფილი მასწავლებლის, ამჟამად კი ჟურნალისტის უოლეს ეიბელის შემთხვევა ამ რიგის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია.

უოლეს ეიბელის ისტორია კარგადაა დოკუმენტირებული. ამას ამტკიცებენ ოჯახის წევრები, ექიმები და ექთნები, რომლებიც მას ავადმყოფობისას აკვირდებოდნენ, არსებობს მასზე ჩანაწერილი არიზონ.ს სკოტსდეილ მემორიალ ხოსპიტლის კარტოთეკაში.

1975 წ. 30 აგვისტოს, დაახლოებით დილის ექვს საათზე, როცა კლერა ეიბელს ორმოცდაცხრა წელი შეუსრულდა, მან, შინ მყოფმა, გრძნობა, დაკარგა. სუნთქვა შეუწყდა, გულისცემა გაუჩერდა. იგი მიიყვანეს სკოტსდეილ მემორიალ ჰოსპიტლის რეანიმაციულ განყოფილებაში. კარდიოლოგმა, დოქტორმა მარვინ გოულდტეინმა დეფიბრილიატორის დახმარებით მას სიცოცხლე დაუბრუნა. ეიბელმა სიკვდილი გადაიტანა, მაგრამ მასთან პირველი შეხების თაობაზე არაფერს ჰყვება.

შემდეგ, 2 სექტემბერს, სამშაბათის ადრიან დილას, როდესაც ეიბელი ჯერ კიდევ არ გაეწერათ საავადმყოფოდან, მას გულის კრუნჩხვება დაემართა. ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ეიბელი კვდება, და ლიმ, ეიბელის ცოლმა, ვალის პრესვიტერიანული ეკლესიის მღვდელს, სამართლის დოქტორ უილსონ კილგორს, დაუძახა. უოლეს ეიბელი მკაფიოდ აგვიწერს სიკვდილთან თავის ამ შეხვედრას:

„მოულოდნელად მკერდში გამჭოლი ტკივილი შევიგრძენი. ჩემი გამჭირვალე ორეული თითქოსდა უარს ამბობდა ღრუბლის სახით ჩემს გამოშვებაზე. ჩემი ორეული იბრძოდა, იკლაკნებოდა, იკრუნჩხებოდა. უეცრად მივხვდი, რომ სიცოცხლისათვის საკუთარ ბრძოლას ვაკვირდები".

ჰქედან შვიდასი მილის დაშორებით ეიბელის ოცდაერთი წლის ქალიშვილი კლერა ტეხასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ტერიტორიით ლექციაზე მიდიოდა, რომელიც 11 საათზე უნდა დაწყებულიყო. კლერამ გვიამბო:

„უეცრად ვიგრძენი, რომ მე დღეს არ წავალ არც ამ და არც რომელიმე სხვა ლექციაზე. ეს უცნაური რამ იყო, რადგან სხვა არავითარი გეგმები არ მქონდა. შეგრძნება იმდენად ძლიერი იყო, რომ ფეხებმა თავისთავად მიმაბრუნეს უკან, საერთო საცხოვრებლისაკენ. თავი მთლად გამოცარიელებული მქონდა. შენობაში რომ შევედი, მაშინვე დამეუფლა იმის შეგრძნება, რომ რაღაც რიგზე ვერ არის, მაგრამ რა, ეს არ ვიცოდი. მერე დერეფნის ბოლოს, ჩემი ოთახის გვერდით, გოგონების ჯგუფი დავინახე. მკერდის არეში ტკივილი ვიგრძენი, მწვავე ტკივილი, სწრაფი ნაბიჯით გავუყევი დერეფანს და ჩემი ოთახის კარზე მიკრული წარწერა შევნიშნე, მთხოვდნენ სახლში დამერეკა დაუყოვნებლივ".

კლერამ იცოდა გულის შეტევით მამის პირველი ავადმყოფობის შესახებ და, თუმცა კარე-

ბზე მიკრულ წერილში გარკვევით არაფერი ეწერა, მაინც გადაწყვიტა, რომ სასწრაფოდ დარეკვა მამის მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. „ვიფიქრე მოკვდა-მეთქი", — ამბობს იგი.

კლერამ დარეკა სახლში, მას უთხრეს, რომ მამა ცოცხალია, რომ სერიოზული არაფერია მაგრამ ის დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს სახლში. ამან დაადასტურა მისი ცუდი ეჭვები. „ახლა უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის მოკვდა", — გვიყვება კლერა. რაკი ხუთზე ადრე არიზონაში გაფრენა არ შეეძლო, იჯდა თავის ოთახში და ტიროდა. ამასობაში უოლის ეიბელს საავადმყოფოში ორი სხვადასხვა ჩვენება ჰქონდა.

„პეიზაჟი გაჩნდა, როგორც სლაიდზე. მეჩვენებოდა, რომ ზურგზე მწოლარე მივცურავ წყნარი ტბის ზედაპირზე. ფეხის გულები საქმაოდ ახლოს მაქვს ნაპირთან, სადაც ჩემი ოჯახის წევრები დგანან და მწუხარედ მომჩერებიან. ვცდილობ ხელით მივწვდე მათ. ისინიც ხელებს იწვდიან ჩემკენ, მაგრამ ჩვენი ხელები ერთმანეთს ვერ წვდებიან. ეს უიმედოდ მეჩვენება და ხელებს ძირს ვუშვებ. ყველაზე მეტად კი ჩენს ქალიშვილს კლერას მინდოდა შევხებოდი, რომელიც ყოველთვის ყველაზე უფრო ახლოს იყო ჩემთან.

პეიზაჟი უეცრად შეიცვალა, იქცა ჭერ ველად. მერე კიდევ სხვა რამედ. ის, რასაც ახლა ვხედავ წინანდელზე უფრო მიმზიდველია. მინდა ახლოს მივიდე და შევხედო. ერთი ფეხით მე უკვე შევაბიჯე კარებში. მეორე ნაბიჯის გადადგმის სურვილი ისე ძლიერი იყო, რომ არ შემეძლო ამ სურვილისათვის წინააღმდეგობა გამეწია. ის იყო უნდა გადამედგა კიდეც ნაბიჯი. რომ, როგორღაც მივხვდი, უკან დაბრუნება აღარ მელირსება.

ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ მე განვიცადე რაღაც უჩვეულო, ვნახე ის, რაც ცოტა ვინმეს თუ უნახავს.. ვნახე ის, რაც სიცოცხლის საზღვრებს მიღმა იმყოფება, და ამის შეგნებამ განმაცვიფრა".

სწორედ ამ დროს ეიბელმა თვალი გაახილა და წამოიძახა: „სად არის კლერა? მე კლერას გარეშე წასვლა არ შემიძლია!" მან სწრაფად მოათვალიერა ოთახი. საწოლის ფეხთაშუა მისი ცოლი იდგა, ლი; იქვე — უმცროსი ქალიშვილი ხტეისი, თხუთმეტი წლისა; და ყველაზე უფროსი, ოცდასამი წლის ვიკი. კლერა არ ჩანდა. „კლერა — ჩემი ახლი, — გვიყვებოდა ეიბელი 1977 წლის გაზაფხულზე, — შეხედულებებით, ტემპერამენტით, მანერებით. იმდენად ახლოს ვიყავით, რომ ბავშვობაში მის მიერ წარმოთქმული ფრაზები და შენიშვნებიც კი უბრალოდ ჩემი აზრების ციტატები იყო იმავე ასაკში. ბევრი მათგანი მე სრულებით აღარც მახსოვდა, სანამ ხელახლა არ მოვისმინე მისგან".

თავის მხრივ, კლერაც ასევე დიდ სიახლოვეს გრძნობდა მამასთან. კოლეჯში მას ქალველად სხვა, არამამიხეული სპეციალობის (მასობრივი კომუნიკაცია) არჩევა სურდა, მაგრამ ბოლოს მაინც ამ სფეროში მოვიდა. „ჩვენ ყველა გაგებით სავსებით ერთნაირები ვართ" — შენიშნავს იგი.

ერთი საათის ფრენის შემდეგ თვითმფრინავი, რომლითაც კლერა მოემგზავრებოდა, სკაიხარბორის აეროპორტში დაეშვა. მეგობრებმა საავადმყოფოში წაიყვანეს. ქალიშვილის დანახვაზე მამამ წყნარად წარმოთქვა: „სალამი, ძვირფასო, როგორ მიხარია შენი დანახვა". შემდეგ იგი ნახევრად არაცნობიერ მდგომარეობაში ჩავარდა. „ჩემში დაივანა ზეგარდმო სიმშვიდემ". — იგონებს ეიბელი. ერთი დღე-ღამის შემდეგ საშიშროებამ გაიარა. ახლა უოლის ეიბელი დარწმუნებულია, რომ, სანამ ის უგონოდ იყო, რაღაცნაირად კონტაქტში იმყოფებოდა ქალიშვილთან.

კლერა კი თვლის, რომ იმ სექტემბრის დილას მისი უცნაური ქცევა გამოწვეული იყო საგანგაშო სიგნალით, რომელიც მამამ გაუგზავნა.

ოჯახის წევრთა თუ შეყვარებულთა შორის სულიერი კავშირი კარგად არის ცნობილი. ურთიერთობათა ბუნებრივი სიახლოვე თითქოსდა ხიდის როლს თამაშობს ტელეპატიური კონტაქტისათვის. ეს კონტაქტი ყველაზე უფრო ძლიერია სიცოცხლის ორ პოლუსზე — დაბადებისა და ხიკვდილის მომენტში. ერთი დიდებული ექსპერიმენტის დროს, მოსკოვის სამშობიაროში რომ ჩატარდა, დედები შენობის ცალკე კვანძში ჰყავდათ მოთავსებული. დედას არ შეეძლო სცოდნოდა, როდის სინჯავდა ექიმი ბავშვებს. მაგრამ, როცა მისი ბავშვი ტიროდა სისხლის სინჯის აღებისას, დედას შეშფოთების აშკარა ნიშნები ემჩნეოდა. საბჭოური გამოკვლევა დედათა და ბავშვთა შორის ტელეპატიის უამრავი შემთხვევითაა დადასტურებული.

კავშირი დედასა და ბავშვს შორის განსაკუთრებული ძალისაა. ჩვენ ვიცით, რომ ფიზიკური კავშირი ყოვლისმომცველია; იდუმალებით მოცულ დედის წიაღში ნაყოფი დედასთანაა შეერთებული.

ახალი სიცოცხლე ყველაფრით მასზეა დამოკიდებული. დედის სხეულში მიმდინარე ქიმიური რეაქციები, მისი დიეტა, სწრაფვა თამბაქოსაკენ, ალკოჰოლისაკენ, ამების ხმარება, ვარჯიშები — ყველაფერი მოქმედებს მომავალი ბავშვის ფორმირებაზე. დედის თვით ტემპერამენტიც კი ორსულობის დროს საგრძნობ გავლენას ახდენს ბავშვის ჩამოყალიბებაზე.

გარდა ამ თვალსაჩინო ფიზიკური კავშირისა, პარაფსიქოლოგთა სიტყვით, უდავოდ არსებობს ფსიქიკური კავშირიც. ფილოხოფოსი ანრი ბერგსონი ამას „დედისა და ბავშვის განსაკუთრებულ ურთიერთგაგებას“ უწოდებდა. ექიმები ჩვეულებრივ აღნიშნავენ ამ ურთიერთგაგებას, მეცნიერები მის გაზომვას ცდილობენ, ყველა დედა კი თავად გამოსცდის ამას.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ტელეპატიური ურთიერთობის უნარი თანდაყოლილია. მაგრამ, როგორც წესი, ეს ფაქიზი, დელიკატური უნარი ურთიერთობისა ჩვენი გრძნობების ყოველდღიური აქტიურობითაა დაჩრდილული. „შესაძლოა, ჩვენ ყოველდღიურად ვღებულობთ უამრავ ტელეპატიურ შეტყობინებას ნათესავ-მეგობრებისაგან, — ამბობს ჩარლზ ხონოტონი, ხელმძღვანელი ბრუკლინის სამედიცინო ცენტრისა, რომელიც ფსიქიკურ გამოკვლევებს აწარმოებს, — იმის გამო, რომ შეტყობინებანი, როგორც ჩანს, ვერ ახდენენ ძლიერ ემოციურ ზემოქმედებას, ისინი არახოდეს აღწევენ ცნობიერების სფეროში. ჩვეულებრივ, იქ შეღწევა მხოლოდ რაიმე ტრავმატულ შემთხვევას შეუძლია“. თუ ეს მართალია, არ არის გასაკვირი, რომ სიკვდილის შესახებ შეტყობინებანი მიზანს აღწევენ დაბადებასთან ერთად, სიკვდილი ყველაზე უფრო ტრავმატული მოვლენაა ცხოვრებაში.

ნიუ-ჯერსელი ფსიქიატრი, დოქტორი ბერტოლდ შვარცი, მეი-ფონდის ფსიქიატრიის განყოფილების ყოფილი სტიპენდიანტი, ღრმად დაინტერესდა მშობლებისა და ბავშვების განსაკუთრებული სულიერი ურთიერთობით. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მან აღრიცხა ახლობელ ადამიანთა კავშირურთიერთობის ათას ხუთასზე მეტი შემთხვევა. ყველა შემთხვევა სიკვდილის შეტყობინებას არ ეხება, მაგრამ არის რამდენიმე ასეთიც; დოქტორი შვარცი შეეცადა გამოეყო ნაკლებად საგრძნობი შეტყობინებანი, რომლებიც არსებობენ, მაგრამ შეუმჩნეველნი რჩებიან. იგი გამოდიოდა მოსაზრებიდან, რომ თუ ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ შედარებით უფრო უბრალო შეტყობინებანი, მაშინ მართლაც მნიშვნელოვანია, არც სხვები დარჩეს შეუმჩნეველი.

დოქტორ შვარცის თანახმად, მშობლებსა და ბავშვებს შორის ტელეპატიური მომენტების დიდი ნაწილი, ყოველდღიური გამოცდილების კონტექსტში, შეუმჩნეველი რჩება. შვარცსა და მის მეუღლეს, ადრისს, არ უნდოდათ გამორჩენოდათ საკუთარ სახლში შესაძლო ტელეპატიური კავშირები, ამიტომ მათ გადაწყვიტეს ყურადღებით შეესწავლათ თავიანთი ბავშვების, ერიკისა და ლაიზის, მოქმედებანი. „დროთა განმავლობაში, — ამბობს დოქტორი შვარცი, — მე და ჩემმა ცოლმა ვისწავლეთ ამოგვეცნო, რა ხდებოდა ხინამდვილეში ჩვენს ოჯახში არავერბალურ, ქვეცნობიერ, ტელეპატიურ, დონეზე“. ეს დაედო საფუძვლად დოქტორ შვარცის წიგნს „ბავშვთა და მშობელთა ტელეპატია“.

დოქტორ შვარცის ჩანაწერები, ერთად შეკრებილი, გვაფიქრებინებს, რომ ერიკი ფლობს ტელეპატიურ უნარს, წაიკითხოს მშობელთა ფიქრები, თუ ამდენი ჩვეულებრივი შეტყობინება აღწევს ჩვენამდე თუნდაც ქვეცნობიერ დონეზე, ცხადია, მათ შორის მნიშვნელოვანიც საკმაოდ იქნება. დოქტორი შვარცი ვარაუდობს, რომ თუ ჩვენ ვაიძულებთ ჩვენს თავს შეეიცნოთ ფაქიზი ტელეპატიური შეტყობინებანი, როგორც ეს მან და მისმა მეუღლემ გააკეთეს, მაშინ ჩვენ გაგვიადვილდება სერიოზული შეტყობინების მიღება, თუკი ასეთი იქნება, და იოლად გამოვარჩევთ მას ყოველდღიური საზრუნავისაგან. ღია, განმცდელი გონებისათვის შეტყობინება სიკვდილის შესახებ, ცხადია, მისაწვდომი იქნება. ის, რომ ეს ასე იშვიათად ხდება, შეიძლება გამოდგეს ჩვენი უგრძნობელობის, ანუ იმის საზომად, რომ არ გვსურს განვიცადოთ რაიმე უსიამოვნება.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ადამიანები, ვისაც სიკვდილთან შეხვედრები ჰქონდათ, ამ საკითხს სხვადასხვაგვარად უყურებენ. მაგალითად, უოლის ეიბელის მიაჩნია, რომ სგგ-მ ჩვენი წინაპრები შორეულ წარსულში სულებისა და ზეცათა შესახებ საწყის წარმოდგენებამდე მიიყვანა. „თუ თქვენ თუნდაც ერთხელ მაინც აღმოჩნდით სხეულის გარეთ და განიცადეთ სიკვდილი, — ამბობს იგი, — წარმოუდგენელია, რომ ამას გულგრილი დაეტოვებინეთ“. ეიბელი ფიქრობს, რომ ქრისტეს აღდგომა შეიძლებოდა ჰგვანებოდა ახლანდელ შეხვედრებს სიკვდილთან. (მეოთხე სახის შეხვედრებს, რამდენადაც იგი იხილეს მოციქულებმა). ადამიანის ცნობიერება, ამბობს ეიბელი, მას მერეც გრძელდება, რაც სხეულს სიცოცხლის ნიშნები უქრება, ამიტომ ექიმებმა, სულ ცოტა, ორმოცდარვა საათი მაინც უნდა მოიცადონ, სანამ ადამიანს მკვდრად ჩათვლიან და მორგის მაცივარში მოათავსებენ. „იქნებ ყოველდღიურად ვუსწრაფებთ სიცოცხლეს ათასობით ისეთ ადამიანს, რომლებიც არასრულად ანუ არაბოლომდე არიან მომკვდარნი, — ამბობს ეიბელი, — ეს ის ხალხია, რომელთა გამობრუნება კიდევ შეიძლება, თუკი ექიმები ცოტა უფრო მეტს მოიწადინებენ, ეს ის ხალხია, რომლებსაც ესმით, რომ მათი სხეული მკვდრადაა მიჩნეული და რომ ექიმებმა მასზე ხელი აიღეს“. ეს რეალურად არსებული შემზარავი პერსპექტივაა, ჩვენ მას მეორე ნაწილში განვიხილავთ.

უოლის ეიბელის შემთხვევა სიკვდილთან მესამე სახის შეხვედრის შეხანიშნავი ნიმუშია. პირველად მისი ქალიშვილი კლერა ბუნდოვნად გრძნობდა, რომ მოხდა რაღაც საშინელება. სიკვდილის შესახებ შეტყობინება ასევე გაუგებარი იყო ნიკიერი მედიუმის, ინგო სუონისათვის. 1964 წელს სუონი გრინიჩ-ვილიჯში სალივან-სტრიტზე მიდიოდა. ნათელი, მზიანი დღე იყო. უეცრად სუონმა სიხუსტე და თავის მარცხენა მხარეში ტკივილი შეიგრძნო. იგი წაიქცა, შარვალი ტროტუარზე დაიხია და მარცხენა მუხლი გაიყვლიფა. „ცნობიერება არ დამიკარგავს, — ამბობს იგი, — მაგრამ მთვრალივით კი ვიყავი, ნახევრად გათიშული. გონს რომ მოვეგე, გადავწყვიტე, რომ ვიღაც ახლო ნათესავი მომიკვდა-მეთქი. ვერ მოვიაზრე კი — ვინ. რამდენადაც ოჯახში ყველაზე უფროსი ბებია იყო, ბუნებრივია, მასზე გავიფიქრე“.

რამდენიმე საათის შემდეგ სუონს დაურეკეს უესტ-კოასტადან. მისი მამა გარდაცვლილიყო. სუონიმ სწორად გაიგო — სიკვდილი, მაგრამ თვით მისი მგრძნობიარე ფსიქიკაც კი უძლური აღმოჩნდა დაეკვირა — ვინ მოკვდა, სახელდობრ. სუონის შემთხვევას კიდევ ერთი ასპექტი გააჩნია. სუონის მამამ დარტყმა მიიღო ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში, იმ მხარეს, სადაც სუონიმ მკვეთრი ტკივილი შეიგრძნო. მოგვიანებით, ოჯახის წევრებთან საუბრებიდან სუონმა შეიტყო, რომ მამა წაქცეულიყო და მაგრად დაეზიანებინა მარცხენა მუხლი, როგორც სუონს.

ინგო სუონი ამაში არაფერს არაჩვეულებრივს არ ხედავს. იგი ბუნებრივად მიიჩნევს იმას, რომ მამის უბედურებაზე შეტყობინება გადაეცა. მას მხოლოდ ის აოცებს, რომ ვერ შეძლო უფრო ნათლად გაეგო შეტყობინება. ამის შემდეგ თვით სუონს მოუხდა საკუთარი შეხვედრა სიკვდილთან, რაც საოცრად მიამსგავსა იმ უამრავ სგგ-ს, რომლებშიც სურვილისამებრ უხდებოდა ყოფნა, რათა მეცნიერებს მასზე დაკვირვებები ეწარმოებინათ. სუონის სიკვდილთან შეხვედრა მოხდა 1972 წელს პალო-ალტოში, კალიფორნიაში. ხუონი რაღაცით მსუბუქად იყო ინფიცირებული და ექიმმა პენიცილინის ინექცია გაუკეთა. ადრე ამ წამლისადმი ალერგია არასოდეს ჰქონია, მაგრამ ამჯერად ნემსმა შოკში ჩააგდო. სუონი პალო-ალტოს სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს და მიყვანისთანავე მკვდრად იქნა აღიარებული. ოცი წუთის მანძილზე ექიმები ძალ-ღონის დაუზოგავად ცდილობდნენ მის გაცოცხლებას, რამდენადაც სუონი ხშირად მოგზაურობდა უსხეულოდ, იგი არ შეუცბუნებია საკუთარი გვამის ხილვას. მან არ იცოდა, შეძლებენ თუ არა ექიმები მის გაცოცხლებას, მაგრამ არც ეს აწუხებდა. მას არ ეშინოდა სიკვდილის. სუონის ანალიტიკურმა გონებამ იხარგებლა უნიკალური შესაძლებლობით, რათა შეედარებინა კლინიკურ სიკვდილში ყოფნის მდგომარეობა ადრე განცდილ სგგ-თან. ახლა სუონი ამტკიცებს, „მსგავსება მართლაც განსაცვიფრებელია“. მაგრამ ამასთანავე გვაფრთხილებს: „არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს ორივე მდგომარეობა იდენტურია“. მ�ექიმებმა აღქმა სუონს ორივე შემთხვევაში ერთნაირი ჰქონდა. მან შენიშნა, რომ იხევე შეუძლია სურვილისამებრ გადაადგილება, და ზემოდან, „ჭერიდან“ დაკვირვება, როგორც სგგ-ის დროს, თანაც, ფლობს მოძრაობის იგივე უნარს. „საკმარისია მხოლოდ მოისურვო და, სადაც გინდა, იქ გაჩნდები“, — ამბობს იგი. მაგრამ სუონი თვლის, რომ ემოციები, რომლებსაც ადამიანი განიცდის კლინიკური სიკვდილის დროს, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულებით. „მე სიკვდილის არც ერთ სტადიაზე არ მეშინოდა, — ამბობს იგი, — მე ხომ თვით ადრეული ბავშვობიდან მოკოლებული, მრავალასეულჯერ ეყოფილვარ სხეულს გარეთ“.

სუონი საკუთარი დარწმუნებულია, რომ სგგები წარმოადგენს რეპეტიციებს საბოლოო სიკვდილისათვის, რომ, რაც უფრო მეტ მინი-სიკვდილს გამოსცდის ადამიანი, მით უფრო გაუადვილდება საბოლოო სიკვდილი. როგორც დავინახავთ, ეს მოსაზრება დასტურდება ახლო წარსულის ზოგიერთი მეცნიერული გამოკვლევით.

4. სიკვდილის წინათგრძნობა

თუ მომხდარა როდისმე გეგრძნოთ, რომ თქვენი ნაცნობებიდან მავანი მალე მოკვდება, შემდეგ კი თქვენი წინათგრძნობა ამხდარიყოს? თუ გიფიქრიათ ვინმეს სიკვდილზე და შემდეგ აღმოგიჩენიათ, რომ ეს ფიქრი მართალი გამოდგა? თუ ჰო, მაშინ, შესაძლოა, თქვენ სიკვდილთან მესამე სახის შეხვედრის მონაწილეც იყავით. ასეთი შეხვედრების არსებობა, ასევე წინა თავში განხილული მოწმობები წამოჭრიან მნიშვნელოვან კითხვას, ხომ არ არის სიკვდილის წინასწარმეტყველების უნარი თანდაყოლილი, თუნაც მნიშვნელოვანწილად ფარული უნარი ადამიანისა?

1970 წლის დეკემბერში ლინდა უილსონი, ნიუ-ჯერსელი დიასახლისი და დედა, მეზობლებთან მივიდა საშობაო სადილზე და იქვე დაეუფლა რაღაც უსიამოვნო შეგრძნება. „მე შევიგრძენი სიკვდილის „სუნი“, — გვიყვება იგი, — ერთთავად ვგრძნობდი, რომ ნესტოებს

რაღაც მიყინავს, როგორც ყინვა ქუჩაში". ლინდას ეჩვენებოდა, რომ ამ ხაძაგელმა სუნმა მთლად გადაფარა საშობაო ნაძვის ხისა და სახადილო მაგიდაზე გაშლილი ხაჭმელების კეთილსურნელი. ქმარს მეზობელი ქალისა, რომელმაც იგი სადილად მიიწვია, პარკინსონის დაავადება სჭირდა, მაგრამ არავინ, მათ შორის, ექიმებიც, მის სიკვდილს არ ელოდნენ (თვითონ დაავადება, როგორც ცნობილია, სასიკვდილო არ არის). სადღესასწაულო სუფრას ლინდა უილსონისათვის სიხარული არ მოუტანია „მთელი საღამო თვალი არ მომიცილებია პიტერისათვის (ავადმყოფი). ეს სიგიჟე იყო. მაგრამ წამითაც არ მტოვებდა რწმენა, რომ ის მალე მოკვდება. ის მგლური მადით შეექცეოდა ხაჭმელს და ლოყებიც დაწითლებული ჰქონდა, მაგრამ, როგორც კი თვალს შევავლებდი, კანკალი მიპყრობდა. აქამდე მსგავსი არა დამმართნია რა." ერთი კვირის შემდეგ პიტერი პნევმონიით გახდა ავად. ხუთი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ნამდვილად იგრძნო თუ არა ლინდამ სიკვდილის სუნი? აქვს თუ არა სიკვდილს სუნი?

ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ სიკვდილის დანახვაც შეიძლება. ერთი ცნობილი ექსტრასენსი გვიყვებოდა, რომ მან, ცათამბჯენის ერთ-ერთ ზემო სართულზე მყოფმა, ლიფტს რომ ელოდებოდა, სიკვდილი დაინახა. როცა ლიფტი მოვიდა და კარი გაიღო, იგი შეძრწუნდა. ლიფტის ოთხი მგზავრიდან არც ერთს არ ჰქონდა აურა. ლიფტში კიდევ ერთი ადამიანი შევიდა და მაშინვე გაუქრა ნათება. „ეს სიკვდილის ნიშანია, — ამბობს იგი, — მინდოდა მეთქვა მათთვის, გამოსულიყვნენ და მეორე ლიფტისათვის მოეცადათ, მაგრამ ვიცოდი, არავინ დამიჯერებდა". კარი დაიხურა და ლიფტის კაბინამ ტყვიასავით ჩაიარა ოცდაორი სართული, მოკლა რა შიგ მყოფი ხუთი კაცი. რაღაც იდუმალი მიზეზებით, საავარიო მუხრუჭი არ ამუშავდა.

არსებობს მოწმობები, რომ ზოგიერთ ნადირს შეუძლია იგრძნოს სიკვდილი. ბიოლოგი ლაიელ უოტსონი, ისევე როგორც ბევრი სხვა მეცნიერ-ფსიქოლოგი, თვლის, რომ მომაკვდავ ორგანიზმს შეუძლია გამოსცეს საკმაოდ მძლავრი სიგნალი, თუკი მოულოდნელი და სასტიკი თავდასხმა განიცადა.

ფართოდაა ცნობილი კლივ ბაქსტერის ნაშრომი იმის შესახებ, რასაც ის მცენარეთა „პირველადს აღქმას" უწოდებს. მისი ცდები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მცენარეები აცნობიერებენ ყველა სიცოცხლისეულ გამოვლინებას და, როცა ეს სიცოცხლისეული გამოვლინებები იღუპებიან, ისინი აგზავნიან სიგნალებს ყველა მიმართულებით, სიგნალებს, რომლებიც შეიძლება მიიღონ მგრძნობიარე რეციპიენტებმა.

ჩანს, რაღაც ამდაგვარი ემართებოდა ორ ტყუპისცალს, ბობი ჯინს და ბეტი ჯოუ ელერს, ჩრდილოეთ კაროლინის მცხოვრებთ. გოგონები დაბადებიდანვე ვერ ძლებდნენ უერთმანეთოდ. და სრულყოფილ-პიროვნებებად არც კი ჩამოყალიბებულან. ბეტი ჯოუ თავისი დის აჩრდილი იყო ყველა გაგებით — აზრებით, სურვილებით, მოქმედებებით. საკმარისი იყო ბობი ჯინი ავად გამხდარიყო, რომ მაშინვე ავადდებოდა მისი დაიაც.

სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლებმა შეამჩნიეს, რომ ბობი ჯინსა და ბეტი ჯოუს ხასიათები ეცვლებოდათ. ბობის შეეძლო საათობით მჯდარიყო, სივრცეს მიშტერებულს, არავისთან არ ხურდა დალაპარაკება. როგორც ყოველთვის, გარკვეული დროის შემდეგ, მისმა დამაც უცნაურად მოქცევა დაიწყო. ერთმანეთთან ასე მჭიდროდ გადაჯაჭვული გოგონები სულ უფრო და უფრო სცილდებოდნენ გარე სამყაროს. ისინი არ გამოდიოდნენ თავიანთი ოთახიდან და სულ გაწყვიტეს ურთიერთობა მეგობრებთან თუ ოჯახთან. 1961 წ. ბობი და ბეტი მორგანტაუნში არსებულ ბრონტონის სახელმწიფო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მათ დაუსვეს დიაგნოზი — შიზოფრენია. მთელი წელიწადი ჰყავდათ წამლებზე და მიმართავდნენ ინტენსიურ ფსიქიატრიულ თერაპიას, მაგრამ ვერავინ შეძლო მათს სულიერ სამყაროში შეღწევა. 1962 წ. ექიმებმა დები შენობის სხვადასხვა კვანძებში მოათავსეს — მათ ერთმანეთთან კონტაქტი არ უნდა ჰქონოდათ. ექიმები იმედოვნებდნენ, რომ ფსიქიკური იზოლაცია შეძლებდა დაერღვია დებს შორის არსებული უცნაური კავშირი.

რამდენიმე კვირას ეჩვენებოდათ, რომ რაღაც შედეგს მიაღწიეს. და აი, ერთხელ, გაზაფხულის საღამოს ბობის კატატონიური გულყრა დაემართა. ნაშუაღამევს, უფროსმა მედდამ ნახა, რომ იგი მომკვდარიყო. მედდას კარგად ესმოდა დებს შორის არსებული განსაკუთრებული სიახლოვის მნიშვნელობა და, შეშფოთებულმა, ბეტი ჯოუს განყოფილებაში დარეკა. ბეტი ჯოუც იატაკზე იპოვეს მკვდარი. ორივე გოგონა მოკრუნჩხული იწვა, ემბრიონის პოზაში, ორივე — მარჯვენა გვერდზე.

ჩრდილო კაროლინის პათოლოგიის საზოგადოების დოქტორმა ჯონ ს. რისმა განკვეთა ჩაატარა და გამორიცხა თვითმკვლელობის შესაძლებლობა. გარდაცვალების მოწმობაში შეუვსებელი დატოვა გრაფა „გარდაცვალების მიზეზი", მან თქვა: „მე ვერ ვხედავ ტრავმის ან

ავადმყოფობის ისეთ თვალსაჩინო ნიშნებს, რასაც შეიძლებოდა სიკვდილი გამოეწვია". როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ისე სიკვდილში, ბეტი ჯოუმ თავის დას მიბაძა. მეცნიერ-ფსიქიატრებმა, რომლებმაც ეს შემთხვევა შეისწავლეს, იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ, პირველი სიკვდილი, ბობი ჯინის სიკვდილი, იგრძნო მისმა დამ, რომელმაც მაშინვე დაკარგა სიცოცხლის სურვილი.

ჩრდილო კაროლინელი დების შემთხვევა იშვიათი როდია. ჯეფერსონის სამედიცინო კოლეჯში, ფილადელფიაში, დოქტორი თომას დუეინი, ოფთალმოლოგიური განყოფილების გამგე, და დოქტორი თომას ვერენდტი შეისწავლიდნენ დიდი რაოდენობით ორეულ-ტყუპისცალთა ტვინის რიტმიკის ვარიანტებს. ყოველ ტყუპისცალს ცალკე ოთახში ათავსებდნენ და ორივეს უღებდნენ ელექტროენცეფალოგრამას (ეეგ). ჟურნალ „საიენსში" დუეინი წერს, რომ, როდესაც ერთ ტყუპისცალს ალფა-რიტმი (8-დან 12-მდე ჰერცი) აღენიშნებოდა, შორეულ ოთახში მოთავსებულ მეორე ტყუპისცალთან მიერთებული ეეგ-ის მაჩვენებლებიც იგივეს რეგისტრაციას ახდენდნენ. ტვინის ბიოდენთა რიტმების იგივე თანხვედრა შეიმჩნევა მაშინაც, როდესაც ტყუპისცალებს სხვადასხვა სართულზე ათავსებენ. აქ არ არის განსაკუთრებული ტელეპატიური ურთიერთკავშირი ტყუპისცალთა შორის; რიტმების სინქრონიზაცია ხდება საკუთარი ბუნებრივად, ქვეცნობიერ დონეზე. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ტყუპისცალები, მათი ცენტრალური ნერვული სისტემისა და ტვინის აგებულებაში დიდი მსგავსების გამო, შეიძლება წინასწარგანწყობილნი იყვნენ ტელეპატიისადმი. ტყუპისცალთა გენეტიკური ერთიანობა როგორც ცნობილია, ხდება მსგავსი ნაოჭების, ჭაღარის, ხიმელოტის, ერთი და იგივე კბილების რღვევისა და თვით კიბოვან დაავადებათა ერთდროული გაჩენის გამომწვევი მიზეზი. ამით აიხსნება შემჩნეული ტენდენცია ტყუპისცალთა ერთნაირ ასაკში კვდომისა.

არსებობს მოწმობა-ჩვენებანი, რომ სიკვდილის არა მარტო წინათგრძნობა, წინასწარმეტყველებაც შეიძლება, რამდენიმე თვით ადრეც კი. ბოლო წლებში მეცნიერები შეისწავლიან სიკვდილის წინასწარმეტყველების შესაძლებლობას დიდი ხნით ადრე, სანამ ამის მაუწყებელი რაიმე ნიშნები — სიგამხდრე ან სიფერმკრთალე გამოიკვეთებოდეს. ჩიკაგოს I უნივერსიტეტის ერთმა ფსიქოლოგმა ახალგაზრდა ფსიქოლოგიაში დიდი ხნის მუშაობის შემდეგ აღმოაჩინა, რომ მოხუცებულებს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე უჩნდებათ სხვადასხვა ფსიქოლოგიური ცვლილებები.

დოქტორი მორტონ ე. ლიბერმანი, პრაიტაკერის სამედიცინო სკოლის წარმომადგენელი, სიკვდილის მოახლოების ფსიქიკური ნიშნების ძიებით იყო დაკავებული.

კვლევის მსვლელობაში, რაც სამ წელს გაგრძელდა, დოქტორმა ლიბერმანმა სამოცდან ოთხმოცდათერთმეტ წლამდე ასაკის ოთხასი მამაკაცსა და ქალს, რომლებსაც კვლევის დაწყების დროისათვის არავითარი ფიზიკური თუ გონებრივი დაავადება არ სჭირდათ, შესთავაზა საგანგებოდ დამუშავებული ტესტები. გამოკვლევის დამთავრებიდან ერთი წლის მანძილზე ცდის პირთაგან ორმოცი ადამიანი გარდაიცვალა. დოქტორმა ლიბერმანმა შეადარა გარდაცვლილთა ტესტებისა და იმ ცოცხლად დარჩენილთა ტესტების შედეგები, რომლებმაც საშუალოდ სამი წლით მეტი იცოცხლეს. მან აღმოაჩინა, რომ იმათ, ვინც ერთ წელიწადში გარდაიცვალა, სინამდვილესთან შეგუების ბევრად დაბალი დონე და ნაკლები ენერგია ჰქონდათ. ტესტების ერთმა ნაწილმა უჩვენა, რომ იმათ, ვისაც სიკვდილი უახლოვდებოდა, აკლდათ სიჭიუტე და აგრესიულობა, ისინი, სხვებთან შედარებით, უფრო მორჩილნი და დამოკიდებულნი იყვნენ და ბოლოს, ორმოცი გარდაცვლილიდან ოცდათოთხმეტს ერთ წელიწადში გაუჩნდა ქვეცნობიერ დონეზე იმისი შეგნება, რომ სიკვდილი ახლოვდება.

დოქტორი ლიბერმანი ვარაუდობს, რომ ფსიქოლოგიური ცვლილებები, რომლებიც მოხუცებულებს უჩნდებათ, გვიჩვენებენ, როგორ შეესატყვისება სიკვდილის მოახლოება კვდომის ფიზიკურ პროცესს. შესაძლოა, ამბობს იგი, „ეს არის სხეულის სიგნალები, რომლებიც მენტალურ გამოხატულებას ღებულობენ". ზოგჯერ თვით პაციენტებს უჩნდებათ სიკვდილის წინათგრძნობა. „რამდენიმე პაციენტი მეუბნებოდა: „მე ერთი წელიც ვერ ვიცოცხლებ", — გვიყვება დოქტორი ლიბერმანი, — და ისინი მართალნი აღმოჩნდნენ". ალბათ, ყველა მათგანს ცოდნა მოახლოებული სიკვდილის შესახებ შეიძლებოდა ჰქონოდა ქვეცნობიერ დონეზე. დოქტორი ლიბერმანი თვლის, რომ, თუ ვინმე იმათგანი, ვისი სიკვდილიც ახლოს იყო, თავს თვითანალიზის უფლებას აძლევდა, მას შეეძლო მიეღო სიკვდილის გამოწვევა. სავსებით შესაძლებელია, რომ სათანადო ვარჯიშის შემდეგ ჩვენ შეგვძლებთ ვისწავლოთ საკუთარი ბუნებრივი სიკვდილის მომენტის წლებით ან თვეებით ადრე გამოცნობა.

სიკვდილის მაუწყებელი ცვლილებებისადმი მგრძნობიარენი არიან ექსტრასენსები. ავტობიოგრაფიაში, სახელწოდებით „დამთხვევის ზღვარზე", ექსტრასენს ალექს ტანუს მოჰყავს უამრავი შემთხვევა, როდესაც მან კვირეებითა თუ თვეე-

ბით ადრე ზუსტად იწინასწარმეტყველა სავსებით ჯანმრთელი ადამიანის სიკვდილი. აურებს რომ კითხულობდა, ტანუმ ახალგაზრდა გრეიელ ქალიშვილს ურჩია არ გაჰყოლოდა ცოლად კაცს, რომელზედაც დანიშნული იყო: მის საქმროს თითქმის არ ჰქონდა აურა. „მე ძალა არ მეყო იმის სათქმელად, რომ მისი საქმრო სიკვდილის ზღვარზე იმყოფებოდა",—წერს ტანუ-რამდენიმე კვირის შემდეგ ამ ქალმა წერილი მოსწერა ტანუს: „ჩემი თანმხლები მამაკაცის შესახებ ჩემს შეკითხვაზე თქვენ მიპასუხეთ, რომ ვერ ხედავთ ჩემს კეთილ მომავალს ამ კაცან გვერდით. კვირა დილას იგი საწოლის გვერდით იპოვეს გულის შეტევისაგან გარდაცვლილი. გულწრფელად თქვენი ფლორენს უილსონი".

სხვა დროს ტანუს ქალმა მოსწერა თავისი ქმრის ცუდ გუნება-განწყობილებაზე. „რას ხედავთ მის მომავალში?" — ეკითხებოდა იგი. „ამჟერადაც, — პასუხობს ტანუ, — მე დავინახე სიკვდილი. და რამდენადაც ქალი ასე პირდაპირ მისვამდ- კითხვას, გადავწყვიტე ასევე პირდაპირ მეპასუხა. მე მივწერე, რომ მისი ქმარი ტვინის კიბოთია დაავადებული და იგი ამას გადაჰყვება". მოგვიანებით ამ ქალმა წერილი მოსწერა ტანუს, რომლითაც ადასტურებდა მის წინასწარმეტყველებას.

ასობით ექიმი და ექთანი იტყობინებოდა, რომ ადამიანის სიკვდილის მომენტში მისი სხეულის ირგვლივ ისილეს „მოჩვენებები", „ქვამლი", „ლრუბელი" და „ფერადოვანი შუქი". არსებობენ სიკვდილის კიდევ უფრო ფაქიზი მაუწყებლები — ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ფსიქიკური. დოქტორები უილიამ გრინი, სიდნი გოლსტეინი, და არტურ მოსსი როჩესტერიდან, ნიუ-იორკის შტატი, სწავლობდნენ უცაბედად გარდაცვლილ პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიებს. მონაცემები მეტყველებენ, რომ ამ პაციენტთა უმრავლესობა უეცარ სიკვდილამდე ერთი კვირიდან რამდენიმე თვემდე პერიოდის მანძილზე დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. სტატიაში, რომელიც „აკაიეზ ოვ ინტერნალ მედისინში" დაიბეჭდა, დოქტორები ამტკიცებენ, რომ დეპრესია შეიძლება გამოიწვიოს ჰორმონალურმა ცვლილებებმა, იგი ამზადებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას იმისათვის, რომ მიიღოს სიკვდილი. რა იწვევს დეპრესიას ყველაზე უფრო? შესაძლოა, დეპრესია იმის გაცნობიერების (თუნდაც პერიფერიულის) შედეგად დგებოდა, რომ ისინი მალე მოკვდებიან.

ეს მეორე სახის ღრმა დეპრესია, თანატოლ-ექიმ ელიზაბეტ კუბლერ-როსის განმარტებით, ერთ-ერთია „კვდომის ხუთი სტადიიდან". „ფლორიდელი საქმიანი ქალის, მერი სპარკის, შემთხვევა იძლევა დოქტორ კუბლერ-როსის ხუთი სტადიის ილუსტრაციას.

მერი სპარკი გრძნობდა, რომ მალე მოკვდებოდა. მან არ იცოდა, ეს შეგრძნება მანამდე გაუჩნდა თუ მას შემდეგ, რაც მარჯვენა ძუძუს ქვეშ შესიებული ადგილი შეამჩნია. „მე თავიდან ამოვიგდე ამაზე ფიქრი", — უკვირდა იგი სიკვდილის წინ თავის ოცდაბუთი წლის ქალიშვილს კატის, მერიმ [illegible] [illegible] [illegible]

შვილს იმ სიმშვიდის შესახებ რომ უყვებოდა, რომელსაც იგი განიცდიდა, ამბობდა: „ეს რომ მცოდნოდა, რომ ყველაფერი სწორედ ასე იქნებოდა, წინააღმდეგობას კი არ გავუწევდი, თავიდანვე მივიღებდი სიკვდილს და ისე ბავშვივით არ მოვიქცეოდი“.

დოქტორ კუბლერ-როსის პაციენტი რომ ყოფილიყო, მერე სპარკს თავიდანვე მოუყვებოდნენ კვდომის ხუთი სტადიის შესახებ. რაც უფრო მნიშვნელოვანია, მას დაარწმუნებდნენ იმაში, რომ არსებობს მეექვსე სტადიაც — სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. „მე ვიცი, რომ არსებობს სიცოცხლე სიკვდილის შემდგომ, — ამტკიცებს დოქტორი კუბლერ-როსი, — მე ოფიციალურად ეჭვიც კი არ მეპარება ამაში“. ეს ღონიერი მტკიცებულება ეკუთვნის სიკვდილის შესწავლის სფეროში ერთ-ერთ წამყვან პროფესიონალს და ძალზე დაფასებულ სპეციალისტს. როგორ შეიძლება დოქტორი კუბლერ-როსი ამდენად იყოს თავდაჯერებული?

70-იანი წლების დასაწყისში, ვარკვეული ხნის მანძილზე თანატოლოგიაში უკვე წამუშავების შემდეგ, დოქტორმა კუბლერ-როსმა თავისი პირველი სგგ განიცადა, ზუსტად იმგვარი, როგორიც ფიზიკური ხხეულიდან განცალკევებაა ე. ი. ზუსტად თანხვდება კლინიკური სიკვდილგამოვლილის ანალოგიურ გამოცდილებას. თითქმის რვა მომაკვდავ პაციენტთან გატარებული დაძაბული დღის შემდეგ დოქტორ კუბლერ-როსს საშუალება მიეცა დაესვენა. მისი სგგ სპონტანურად დაიწყო. მოგვიანებით მან ვერ შეძლო დაეჯერებინა ქალისათვის, რომელიც მის ოთახში იყო და უყვებოდა მას, გარეგნულად სულ მკვდარს ჰგავდით — არც სუნთქვა, არც პულსი. იცოდა რა კლინიკური სიკვდილისათვის დამახასიათებელი ჩვენებების შესახებ, სგგ-ის გამოკვლევებში იმ დროისათვის ნაკლებად ჩახედულმა ქალბატონმა კუბლერ-როსმა დაიწყო ყველაფრის კითხვა, რაც კი ამ სფეროში იყო გაკეთებული.

მალე მან რობერტ მონროო მოინახულა ვირჯინიაში. დოქტორმა კუბლერ-როსმა წიგნში „მოგზაურობა უსხეულოდ“ წაიკითხა მისი სგგ-ის შესახებ და მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კალიფორნიის უნივერსიტეტის დოქტორ ჩარლზ ტარტის მიერ მონროზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა. იყენებდა რა მოდუნების ტექნიკას, მონროო ავითარებდა თავის უნარებს და იმავდროულად სხვებსაც ასწავლიდა, როგორ განეცადათ სგგ. და დოქტორმა კუბლერ-როსმა უცებ აითვისა ეს. ერთხელ, ღამით, ვირჯინიაში, დაძინებას რომ ცდილობდა, დოქტორ კუბლერ-როსს ღრმა განცდა დაეუფლა:

„მე მქონდა ყველაზე უფრო დაუჯერებელი განცდა, როგორიც კი ოდესმე მქონია ცხოვრებაში. ამის ერთი ფრაზით გამოხატვას თუ შევეცდები: მე გამოვიარე ჩემი ათახობით პაციენტიდან ყოველი მათგანის სიკვდილი. მხედველობაში მაქვს ფიზიკური ტკივილი, გაძნელებული ხუნთქვა, აგონია, ხვეწნა-მუდარა დახმარებაზე. ტკივილი აღწერას არ ექვემდებარება. არ იყო არც ფიქრის, არც სხვა რამის დრო, ორჭერ მოვახერხე, ტკივილის აუტანელ შეტევათა შორის, ამოსუნთქვა. მხოლოდ წამით შოვთქვი ხული, და მე ვლოცულობდი — ასე მგონია, ღმერთს შევთხოვდი მოეცა მხარი, ადამიანის მხარი, რომელსაც დავეყრდნობოდი, და წარმოვიდგენდი მანანაკაცის მხარს, რომელზეც შემეძლო თავი ჩამოშეყრდნო.

და გაისმა მეექვსე ხმა: „არ მოგეცემა“. სწორედ ასე. შემდეგ კი უკან გამოვიარე აგონიაში და აღმოვჩნდი საწოლში. მაგრამ არ მეძინა, ეს ძილი არ იყო.

მე გამოვცადე ყოველი ჩემი მომაკვდავი პაციენტის სიკვდილი“.

იგი კვლავ და კვლავ შესთხოვდა ღმერთს და ხმარებას, და კვლავ გაისმა ხმა: „არ მოგეცემა“. იგი ცოფებს ყრიდა განრისხებისაგან: „მე ვეხმარებოდი ადამიანებს, ახლა კი მე არავინ მეხმარება“. აღშფოთების ამ აფეთქებამ უეცრად აიძულა იგი შეეგნო, რომ ყველაფერი მან თვითონ უნდა აკეთოს, რომ ვერავინ შეძლებს მის დახმარებას, და მისი წამებაც იქვე დამთავრდა. იგი შეიცვალა „აღორძინების სრულიად დაუჯერებელი გამოცდილებით“.

აღორძინების გამოცდილება აღწერილია მისტიკოსთა, მედიუმთა და ჩვეულებრივი ადამიანების მიერ. მაგრამ, შეაძლოა, დოქტორს კუბლერ-როსამდე არავის ჰქონია ასეთი გამოცდილება და არავის გაუვლია სპეციალური ვარჯიში.

გამოცდილებამ, რომელსაც მისტიკოსები „კოსმიურ ცნობიერებას“ უწოდებენ, დოქტორ კუბლერ-როსს მხოლოდ იმის საშუალება მისცა, ევარაუდა, რომ არსებობს სიცოცხლე სიკვდილის შემდგომ, რომ არსებობს საგანთა განვრცობა არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც. სიკვდილის შემდგომ სიცოცხლის არსებობაში იგი საბოლოოდ დაარწმუნა ყოფილი პაციენტის მისიამ. შვარცის, ვიზიტმა, რომელიც მას სიკვდილისა და დაკრძალვის შემდეგ გამოეცხადა. როგორც დოქტორი კუბლერ-როსი სიკვდილთან თავის მეოთხე სახის შეხვედრაზე მოგვითხრობს, მისის შვარცი მას მთელი თავისი ადამიანური სახით წარუდგა. რათა მადლობა ეთქვა ექიმისათვის და წაექეზებინა იგი კვლ ვაც ეშუშავა მომაკვდავებთან. დოქტორმა კუბლერ-როსმა ჯერ გადაწყვიტა ჰალუცინაციაა, მაგრამ, რამდენადაც მისის შვარცი კვლავ განაგრძობდა მის გვერდით ყოფნ ს, მან სთხოვა სტუმარს დ - ეწერა რამდენიმე სიტყვა და ხელი მოეწერა.

წერილი ამჟამად ინახება მღვდელთან, რომელმაც მისის შვარცი აზიარა და რომელმაც დაადასტურა მისი ხელწერის ნამდვილობა.

მას შემდეგ დოქტორი კუბლერ-როსი ხშირად ხედავს მიცვალებულ პაციენტებს და, წარმოიდგინეთ, ჩაიწერა კიდეც ერთი მათგანის ხმა. „მე მეხმის, რომ ეს მეტისმეტია, — შენიშნავს დოქტორი კუბლერ-როსი, — და მე სულაც არ მინდა, რომ ხალხმა ყველაფერი ირწმუნოს, თავად მე საკმაოდ სკეპტიკოსი გახლავართ. ჩემშა მჯდარ მეცნიერს სურდა, რომ მისის შვარცს ხელი მოეწერა წერილზე, თუმცა მე ვიცოდი, რომ კაბინეტში სწორედ ის მეწვია. ასევე მჭირდებოდა მე ფირზე ჩამეწერა უილის ხმა. ვისმენ ამ ხმას და ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს — ვეებერთელა დაუჯერებელი სიზმარია. და მე არ მტოვებს ძრწოლა და სასწაულის შეგრძნება".

თავისი „შერყეულობისა" და ჩვენებათა შესახებ მოთხრობების გამო დოქტორმა კუბლერ-როსმა, რომელსაც კოლეგები ერთ დროს ამ დარგის წამყვან მეცნიერად მიიჩნევდნენ, ბევრ მათგანში დაკარგა თავისი ავტორიტეტი. მაგრამ დოქტორი კუბლერ-როსი მტკიცედ დგას თავის რწმენაზე სიცოცხლის არსებობის შესახებ სიკვდილის შემდეგ. მისი გამოცდილება, სივრცის, დროისა და მატერიის განგრძობადობას რომ ამტკიცებს, საკუთარი ემთხვევა იმას, რასაც დინ უ. რ. მატიუზი გვთავაზობს სამუშაო განსაზღვრებად სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის შესახებ. მისი ჰიპოთეზა, რომელსაც, როგორც ჩანს, ბიოლოგიური აზრი აქვს, ლაპარაკობს, რომ „ცნობიერების ცენტრი, სიცოცხლის დროს არსებული, არ წყვეტს თავის არსებობას სიკვდილის შემდეგ, განაგრძობს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მსგავსად იმისა, ადამიანი რომ გაიღვიძებს ხანმოკლე ძილის შემდეგ".

ახლა კი მივედით იქ, საიდანაც დავინახავთ, რომ საუკეთესო მოწმობებს სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის არსებობის შესახებ სიკვდილთან მეოთხე სახის შეხვედრები იძლევიან.

5. მეოთხე სახის შეხვედრები

ეს იყო ხილვითი გამოვლინებები. სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის არსებობის მტკიცებულებად ისინი გამოდგებიან იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ღებულობთ მათ, როგორც მოწმობებს. არსებობს მთელი რიგი საკმაოდ დამაჯერებელი მტკიცებებისა, რომ მიცვალებულებს ძალუძთ ურთიერთობაში შევიდნენ ცოცხლებთან და პირიქით.

სიკვდილთან მეოთხე სახის შეხვედრები შეიძლება ხდებოდეს სხვადასხვაგვარად: პარასენსორული ხმენით, როდესაც ცოცხალ ადამიანს ესმის კლინიკური სიკვდილის მგომარეობაში მყოფს ან მიცვალებულის ხმა; პარასენსორული ხილვებით, როდესაც ადამიანი ხედავს მიცვალებულ მყოფის ან მიცვალებულის ხმა; პარასენსორული ყნოსვით, როდესაც ადამიანი შეიგრძნობს მიცვალებულის ან კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ყინულოვან ხუთქვას ან კიდევ ხელზე — თუ მხარზე — მისვსუბუქ შეხებას. ყველა ეს მოვლენა დამოწმებულია. ჩვენ განვიხილავთ სადღეისოდ არსებულ ყველა მოწმობას, რადგან მიცვალებულებთან ურთიერთობა არაორაზროვნად გულისხმობს სიცოცხლის არსებობას სიკვდილის შემდეგ.

ჯეფ ბარკერი — მიდუესტის სატელევიზიო სადგურის ორმოცდათხუთმეტი წლის ინჟინერი. მას ხისხლნაკლულობა სჭირდა და პერიოდულად საჭიროებდა ხისხლის გადასხმას. 1977 წლის თებერვალში ჯეფ ბარკერი დიდხანს ელოდა სისხლის გადასხმას და შოკის მდგომარეობაში ჩავარდა. იგი მიიყვანეს ადგილობრივ საავადმყოფოში პარასკევ საღამოს, თერთმეტის სახევარზე, გონდაკარგული.

უახლოესი ნათესავების გარდა, არავინ იცოდა, რომ იგი საავადმყოფოში მოხვდა და რომ სიკვდილის პირასაა.

საავადმყოფოდან თვრამეტი მილის დაშორებით, ეი-ბი-სის ტექნიკურმა დირექტორმა, შილა ნოულანმა, საღამოს შესვენება გააკეთა, ყავა რომ დაელია. ქალბატონი ნოულანი დერეფანს მიუყვებოდა და, უეცრად ჯეფ ბარკერი დაინახა. მისმა გამოჩენამ შეაშფოთა შილა. ჯერ ერთი, ბარკერს იმ ღამით მორიგეობა არ ევალებოდა; მეორეც, კარგად რომ დააკვირდა, შილა მიხვდა, რომ ეს იყო მოჩვენება. სრულიად გასაგები შიშის მიუხედავად, იგი გრძნობდა, რომ ჯეფის საავადმყოფოსეულმა მწვანე ხალათმა, ერთ ადგილას მეწამული წვეთებით რომ იყო დაფარული, დააინტერესა. მოჩვენება ისევე უეცრად გაქრა, როგორც გამოჩნდა და შილა შეეცადა იგი დაეეწყებინა. გადაიღალა მძიმე სამუშაოთი. დროც გვიანი იყო. ეუყობა, მოელანდა რაღაცა.

ჯეფი ბოლოს და ბოლოს გამოკეთდა და, რამდენიმე დღის შემდეგ სამუშაოზე გამოცხადებული, კოლეგასთან თავის ისტორიას განსჯიდა უგონოდ ყოფნისას მან გამოსცადა სხეულგარეშე მოგზაურობა. იმის მაგიერ, რომ შინ, შეწუხებულ ოჯახში გამგზავრებულიყო, ჯეფი „ჩვეულებისამებრ", როგორც თავად განაცხადა, სატელევიზიო სტუდიაში აქმოჩნდა. მას შილა არ დაუნახავს, მაგრამ მალე, როცა შილამ მისი გასაოცარი შემთხვევის შესახებ შეიტყო, თავად მოუყვა მას თავისი ხილვის ამბავი. ჯეფს პირველად სერიოზულად არ მიუღია მისი მონაყოლი, მაგრამ, როდესაც ქალმა საავად-

მყოფოს მეწამულშხეფებიანი ტანსაცმელი აღწერა, იგი დარწმუნდა რომ შილას ის მართლა უნახავს. შხეფები, როგორც ჭეფმა იცოდა გამოცდილებით, სამოსზე სისხლის გადახმის დროს ხვდებოდა, მწვანე ფონზე კი სისხლი მეწამულად გამოიყურებოდა.

საკმაოდ იშვიათად ხდება, რომ ადამიანმა დაინახოს ან გაიგონოს ასტრალური სხეული, მაგრამ უფრო იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა სამი ადამიანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხედავს ერთსა და იმავე სულს. ოცდაექვსი წლის მოლი ჩაილდზი კალიფორნიაში ფსიქოლოგიის დოქტორ ჩარლზ გარფილდის ხელმძღვანელობით მომაკვდავ პაციენტებთან მუშაობდა. მისთვის ცნობილი იყო ხხვა პირთა სიკვდილისეული გამოცდილება, 1972 წელს კი მოტოციკლის ავარიის შედეგად მოლიმ თავად გამოსცადა სიკვდილთან შეხვედრა. ეს იყო პირველი სახის შეხვედრა, მშვენიერი, თუმცა პირწმინდად სუბიექტური. ოთხი წლის შემდეგ გარდაიცვალა მოლის ბებია. მიუხედავად სიკვდილთან შეჩვეულობისა მოლიმ მძიმედ განიცადა ბებიასთან განშორება. ერთხელ დილით, ბებიას დაკრძალვიდან ხუთ მალე, მოლი შინ, სასტუმრო ოთახში იჯდა.

„უეცრად მივხვდი, რომ ოთახში ბებია იმყოფებოდა. მე ვიცოდი, რომ ის აქ არის და დავუწყე ლაპარაკი. ხმამაღლა კი არა, ფიქრებით. იგი მპასუხობდა. ძნელია ამის ახსნა. უკეთესია თუ ვიტყვი, რომ ჩვენ გრძნობებით ვამყარებდით ურთიერთობას, როგორც შეიძლება ურთიერთობა ემოციურად ძალზე ახლობელ ადამიანებთან, — უსიტყვოდ, მხოლოდ ერთურთის გრძნობათა შეგრძნებით. ბებიამ ნამდვილად დაყო აქ თხუთმეტიოდე წუთი“.

თავდაპირველად მოლიმ გადაწყვიტა, რომ მისი მონატრება ბებიას ღმი მალუციინ ციაში, თუმცა ძალზე დამაჯერებელში, გამოიხატა. მაგრამ ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ თავისი ორი დისაგან მან წერილები მიიღო, ორივე ამტკიცებდა, რომ მათ ეწვიათ ბებია. რომ იმსჯელეს, დები, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბებია ნამდვილად ეწვია მათ — ერთსა და იმავე დღეს შტატის სხვადასხვა ნაწილში. „მე წამიკითხავს, რომ ადამიანის სიკვდილის შემდეგ — ამბობს მოლი, — მისი ასტრალური სხეული შეიძლება იმყოფებოდეს ახლომახლო და ეწვიოს ადამიანებს, რომლებსაც განსაკუთრებით აფასებდა, ეცდება რა მათთან კონტაქტის დამყარებას. მე მწამს, რომ ბებიას შემთხვევაშიც ასე იყო“.

ბალხის მიერ დანაბული მიცვალებულთა მოჩვენებების დიდი რაოდენობით, თვით მრავლობით რიცხვში გამოცხადებათა მიუხედავად, როგორც მოლი ჩაილდზისა და მისი დების შემთხვევაში, — მეცნიერები მოითხოვენ უფრო კონკრეტულ საბუთებს მიცვალებულებთან კონტაქტის შესაძლებლობის დასამტკიცებლად. თუკი ისეთი ეფემერული არსება, როგორიც ასტრალური სხეულია, შეიძლება დაინახო ადამიანის თვალით და მოუსმინო ადამიანის უურით, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს მიცვალებულთა ხმების მაგნიტოფონით ჩაწერაც და მათი ხატის ფოტოგრაფირებაც. ასეთი ლითგიკური დასაბუთება წამოაყენეს მეცნიერებმა, რომლებსაც მიცვალებულებთან კონტაქტის დასამტკიცებლად სურდათ გამოეყენებინათ უახლესი ფოტოგრაფიული და ხმისჩამწერი აპარატურა. მათივე მტკიცების თანახმად, თუ გავითვალისწინებთ ამოცანის სიძნელეს, შედეგები გასაოცრად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

უველაფერი 1959 წელს დაიწყო, როდესაც ფრიდრიხ იურგენსონი, მხატვარი და საოპერო მომღერალი, თავისი სახლის ახლოს მდებარე ტყეში, შელნდალში, შვეციაში, ჩიტების გალობას იწერდა. ჩანაწერის მოსმენისას, ჩიტების სტვენასა და ჭიკჭიკთან ერთად, იურგენსონს შემოესმა მამაკაცის ულერადი ხმა, რომელმაც რაღაც თქვა „ჩიტების ღამისეულ გალობაზე“ თუ „ჩიტების ხმებზე ღამით“. იურგენსონი იმდენად დაინტერესდა, რომ გადაწყვიტა კიდევ გაეკეთებინა ჩანაწერები და აღმოაჩინა უდავოდ ადამიანური ხმები, ზოგჯერ თავისი განსვენებული დედის ხმა ესმოდა, რომელიც აფრთხილებდა: „ფრიდრიხ, შენ გითვალთვალებენ!“. „დედის ხმა რომ მოვისმინე, — განაცხადა სამოცდაათი წლის იურგენსონმა, — მე მივხვდი, რომ მნიშვნელოვანი აღმოჩენა გავაკეთე“. საერთაშორისო პრეს-კონფერენციაზე იურგენსონმა მოასმენინა თავისი ჩანაწერები, ბოლო 1964 წ. შვედურ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი „სამყაროს ხმები“, მის მიერ ხმათა ფენომენის ოთხწლიანი შესწავლის შედეგებს რომ ასახავდა. მისი მეორე წიგნი „რადიოკონტაქტი მიცვალებულებთან“, რომელიც 1967 წ. გამოქვეყნდა, ითარგმნა გერმანულად და რაღაც მომენტში წაიკითხა ფსიქოლოგმა, ეროვნებით ლატვიელმა, დოქტორმა კონსტანტინე რაუდივმა. დოქტორმა რაუდივმა მოინახულა იურგენსონი და შეისწავლა ჩაწერის მისეული მეთოდი. მალე აითვისა კიდეც და უკვე საკუთარი ჩანაწერებით, რომლებიც საოცრად უბრალოა, და წიგნით „აღმოჩენა“, რომელშიც მის მიერ მიღებული ოცდაშვიდი ათასი სხვადასხვა ხმის ნაწილია მოტანილი, მან მთელი მსოფლიოს ყურადღება მიაპყრო ხმათა ფენომენს. შეერთებულ შტატებსა და ინგლისში მაგნიტოფონზე ჩაწერილი ხმები ცნობილია როგორც „რაუდივის ხმები“ და ინჟინერ-ელექტრიკოსები, მეცნიერები თუ მედიუმები უმკაცრეს შემოწმებას უწყობდნენ რაუდივის ჩანაწერებს, ამაოდ

ცდილობდნენ რა აღმოეჩინათ მისი ხმების წყარო.

1971 წ. მარტში რამდენიმე მეცნიერმა გადაწყვიტა „რაუდივის ხმები“ სტუდიაში ჩაეწერა. ინჟინრებმა დადგეს სპეციალური აპარატურა, რათა გადაეკეტათ რადიო და ტელეტალღების ნებისმიერი შემთხვევითი მოხვედრა სტუდიაში. გამოიყენებოდა არსებული აპარატურის საუკეთესო ნიმუშები და მაღალხარისხოვანი მაგნიტოფონი. რაუდივი საგებლობდა ერთი ჩანწერი აპარატით, მეორე, მასთან მიერთებული და სინქრონიზებული, საკონტროლოს როლს ასრულებდა. რაუდივს ნება არ ჰქონდა თავად მოემართა აპარატი. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლო, ეს იყო მიკროფონით ბრძანებების გაცემა. მესამე ჩამწერი აპარატი, რომელიც რაუდივის მაგნიტოფონთან იყო სინქრონიზებული, იწერდა ყველა ხმას სტუდიაში. „რაუდივის ხმების“ ჩაწერა თვრამეტ წუთს მიმდინარეობდა, და არცერთ დამსწრეს არავითარი უჩვეულო ხმა არ გაუგონია. მაგრამ, როცა ფირი მოსასმენად დაატრიალეს, მეცნიერებმა მასზე აღმოაჩინეს ასზე მეტი ხმა, რომელთაგან ზოგიერთი იმდენად მკაფიოდ ისმოდა, რომ გაძლიერებასაც არ საჭიროებდა.

ექსპერტი-ელექტრიკოსები განცვიფრებულნი იყვნენ. თანაც, საკონტროლო ჩამწერმა აპარატმა აბსოლუტურად ვერაფერი ვერ ჩაიწერა. „ეს შეუძლებელია, ელექტრონიკის თვალსაზრისით“, — გამოტყდა ინგლისელი ინჟინერი, რომელიც შემოწმებას ხელმძღვანელობდა.

რაუდივის ჩანაწერებს დღემდე აანალიზებენ. შეტყობინებები ღრმა შინარსით არ გამოირჩევიან. შესაძლოა, რაუდივის მიერ მიღებული თითქმის ასი ათასი ჩანაწერიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ქალის ხმა, ლატვიურ ენაზე რომ ამბობს: „აქ სიკვდილი არ არის. ხამყარო — ეს სიკვდილია“.

რაუდივი გარდაიცვალა, მაგრამ ღირსი მამა ბეტი დუე, ჯორჯის შტატის ქ. სტოუნუოლიდან, მდედელი და ჟურნალი-ექსტრასენსი, რომელმაც ხმების ჩაწერას ხელი მოკიდა 1972 წ., ამტკიცებს, რომ 1976 წ. 16 აპრილის საღამოს და შემდეგაც არაერთ საღამოს ჰქონდა კავშირი რაუდივთან. დუეს ჩანაწერები ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ექსპერტთა მიერ, მაგრამ ერთ-ერთ მათგანზე ადვილად შეიძლება მამაკაცის ხმის გარჩევა, თავის თავს რაუდივს რომ უწოდებს. წყვეტილი ფრაზებით ხმა იწონებს ხმათა ფენომენის შემდგომ კვლევას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არსებობს უამრავი სული, რომელთა სურვილია კონტაქტში შევიდნენ ცოცხლებთან.

ყველაზე მკაფიო, და გააზრებული ხმები ჯერჯერობით მიღებული აქვს ჯოზეფ და მაიკლ ლამოროებს, ვაშინგტონის შტატიდან. ექსპერტებმა შეისწავლეს მათ მიერ მიღებული ხმები და ჩაწერის მეთოდები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს ფალსიფიკაცია არ არის. ხმებს უცნობი წყარო ჰქონდათ, ისინი თავის თავს კუბოს ქვეშ არსებულად განმარტავდნენ. მაიკლ ლამოროს, რომელიც ვაშინგტონის შტატში, კიტიტასში მასწავლებლად მოღვაწეობდა, ჩაწერას ხელი მოკიდა 1972 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც წაიკითხა რაუდივის წიგნი „აღმოჩენა“. ორი თვის უშედეგო მუშაობის შემდეგ მან გადაწყვიტა თავისი უფროსი ძმისათვის, ჯოსათვის, მიემართა, რომელიც სამხედრო-საჰაერო ძალებში რადიოსიგნალების დამჭერად მუშაობდა. ჯომ მოახერხა ხმები პირველსავე ცდაზე ჩაეწერა. პირველი ჩანაწერი ერთობ უხარისხო გამოდგა, მაგრამ, როგორც მაიკლი ამბობს: „იმან განსაზღვრა ჩვენი შემდგომი გზა“.

ჯოზეფ ლამოროს გვითხრა, რომ ხმები, მისი და მისი ძმის მიერ პირველად ჩაწერილი, ძლივს ისმოდა. ჯო თვლიდა, რომ მას მაიკლზე უკეთ შეუძლია ხმების გაშიფრვა და ისინი დროის დიდ ნაწილს ჩაწერასა და ჩანაწერების მოსმენას უთმობდნენ.

ამჟამად ლამოროებს ასზე მეტი გაშიფრული ტექსტი აქვთ, ათასობით პასუხი, ყველა კატალოგიზებული, ყველა მაგნიტოფონური ჩანაწერი ინახება. მკვლევარ-ფსიქოლოგ სუზი სმიტს, რომელმაც ძმებს მიუძღვნა წიგნი „მიცვალებულთა ხმები?“, ამასწინათ მაიკლმა უთხრა: „ჩვენ ხშირად ვერ ვღებულობთ მკაფიო პასუხებს ჩვენს შეკითხვებზე, მაგრამ დიდი ინფორმაცია კი დაგვიგროვდა. ხმების პატრონებმა ჩვენ გვიამბეს ყოფიერების სხვადასხვა დონეებზე იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ, ამასთანავე, აგვიხსნეს, როგორ გადმოიცემა მათი ხმა აქ, ჩვენთან“.

შესაძლოა, ყველაზე უფრო დამაჯერებელი არგუმენტი ხმათა ზებუნებრივი წყაროს სასარგებლოდ — ესაა ფაქტი, რომ ზოგი მათგანი ლაპარაკობს ენებზე, რომლებიც უცნობია ჩაწერის დროს იქ მყოფი პირებისათვის. ამ არგუმენტს მხარს უმაგრებს ის ფაქტიც, რომ, როგორც შემოწმებით არაერთგზის დადასტურებულა, ზოგიერთი ხმა ისეთ ინფორმაციას იტყობინება, რომელსაც არ იცნობენ ჩამწერები. ხმების ფენომენში უდავოდ გვეჩვენება ერთი რამ: ხმები რომ ჩაიწეროს, ამისათვის ადამიანების იქ ყოფნაა აუცილებელი. ეტყობა ისინი კატალიზატორის, ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებენ, რომელთა საშუალებითაც სულები მცირე ხნით „შემოიხვრიან“ ხოლმე თავიანთ თავს ამ სამყაროში. ეს მკვლევარ-ფსიქოლოგთა და ყველა იმათ შორის გავრცე-

ლებული თეორიაა, ვინც მათ მიერ მიღებულ ხმათა ჩანაწერებზე იტყობინებიან.

თუკი სიკვდილთან მეოთხე სახის შეხვედრების მაგნიტოფირზე ჩაწერა შეიძლება, რა გასაკვირია, თუ მათი ფოტოფირზე გადაღებაც იქნება შესაძლებელი. ფსიქიკური ფოტოგრაფია, რომელსაც სხვაგვარად „მენტალურ ფოტოგრაფიასაც" უწოდებენ, გულისხმობს იმის უნარს, რომ ჩვეულებრივ ფოტოფირზე გადაიტანო შენს ადამიანურ ცნობიერებაში არსებული , ანუ იმქვეყნიური გამოსახულება. ეს პარაფსიქოლოგიის მცირე დარგია, რამდენადაც თითო-ოროლა მედიუმი თუ ბედავს ამტკიცოს, რომ ფლობს ასეთ ნიჭს. ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ბედავს ამის მტკიცებას, გახლავთ ოცდათორმეტი წლის ებრაელი ური გელერი, უფრო მეტად იმით ცნობილი, რომ შეუძლია ფსიქოკინეტიკურად ერთმანეთზე გადახლართოს კოვზები, გასაღებები და სხვა ლითონის საგნები. იშვიათ შემთხვევებში ური გელერი ქმნის მენტალურ ფოტოსურათებსაც.

ფოტოგრაფ-მედიუმი ტედ სერიეზი, რომელიც ამ საქმეს კოლორადოს უნივერსიტეტის ფსიქიატრ ჯულია ეიზენბადთან ეუფლებოდა, მხოლოდ და მხოლოდ მიცვალებულთა ფოტოგრაფირებაზე მუშაობდა მანამ, სანამ რამდენიმე წლის წინ ეს უნარი არ დაკარგა. სერიეზმა მიცვალებული ნათესავების, მეგობრებისა და ბევრი ამოუცნობი სულის ასობით ფოტოსურათი გააკეთა. ყველა მათგანი ჩნდება, როგორც მსუბუქად გადღაბნილი გამოსახულება. რომელსაც თითქმის ყოველთვის გარს არტყია ქვამლისებური, გამჭვირვალე და ნათელი აურა. დოქტორმა ეიზენბადმა გვითხრა, რომ ამჟამად საუკეთესო მედიუმ-ფოტოგრაფები, „განსაცვიფრებელ პორტრეტებს" (რომელთაგან ბევრი იქნა ამოცნობილი, როგორც ახლა ან ისტორიულად შორეულ დროში მიცვალებული) რომ ქმნიან, არიან სიდნეიში (მეინი) მცხოვრები ვეიოთა ოჯახის წევრები.

ვეიოს ოჯახის ბევრი წევრი ფლობს მედიუმური ფოტოგრაფიის შექმნის უნარს, მაგრამ ყველაზე უკეთესი, უფრო მკაფიო, გამოუდის სამოცი წლის მამას, ჯოზეფს, და მის ორ ვაჟიშვილს — ოცდათხუთმეტი წლის ფრედსა და ოცდათერთმეტი წლის რიჩარდს. ჯოზეფი უფრო უკეთ და დიდხანს უღრმავდება კვლევის საგანს. ვეიოები გადაღებისათვის ჩვეულებრივ აპარატს „პოლიაროიდსა" და შავ-თეთრ ქაღალდს ხმარობენ. მათი ფოტოგრაფიული ეფექტები მოიცავს სინათლის წრეებს, იდუმალ ღრუბლებს, საგნებს, რომლებიც გადაღებისას კამერის წინ არ ყოფილა, და ყველაზე გამაოგნებელს, ადამიანთა ნათელ სახეებს, რომლებიც ცნობილია, რომ მიცვალებულები არიან.

1969 წლის ბოლოს ვეიოები დენვერს გაემგზავრნენ, რათა ენახათ დოქტორი ეიზენბადი და მასთან ერთად შეესწავლათ ფოტოსურათები. დოქტორ ეიზენბადს ისინი მიმყავდა სხვადასხვა ადგილობრივ სასაფლაოებზე და სთხოვდა მათ გადაეღოთ ნებისმიერი სასაფლაო ხე, ცა. თან ყურადღებით აკვირდებოდა მათს ყოველ მოძრაობას. ფოტოების „ამბავი" ... აღმოჩნდა აურაშემორტყმული — ... ადამიანების მკაფიო გამოსახულებები, — გვიამბო დოქტორმა ეიზენბადმა. შემდგომი კვლევისას იგი კიდევ უფრო გააოცა იმან, რომ ადვილად შეიცნო ადამიანები, რამდენიმე სურათზე აღბეჭდილი იყო ასი წლის გარდაცვლილი ადამიანები. დოქტორი ეიზენბადი გამორიცხავს მოტყუების შესაძლებლობას, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში ამ ადამიანთა ფოტოები ინახება ნოუა როუზის კოლექციაში, ოკლაჰომას უნივერსიტეტის დასავლეთის ისტორიის განყოფილებაში. ამაზე ვეიოებმა არაფერი იცოდნენ. ამასთან, ისინი არასოდეს ყოფილან ოკლაჰომაში.

დენვერში ვეიოების მეორედ ჩამოსვლისას დოქტორმა ეიზენბადმა ისინი წაიყვანა კოლორადოს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ფოტოგრაფიის განყოფილებაში. განყოფილების გამგე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა. ისინი შევიდნენ განსვენებულის კაბინეტში და ერთ-ერთმა ვეიომ „პოლიაროიდით" სამჯერ გადაუღო სურათი ცარიელ საწერ მაგიდას. ორი კადრი ცარიელი გამოვიდა, მაგრამ მესამეზე, დოქტორ ეიზენბადის მტკიცებით, გამოჩნდა მამაკაცის რძისფერითეთრი გამოსახულება. აქ მყოფმა ახალმა განყოფილების გამგემ, თავზარდაცემულმა, კაბინეტი დატოვა.

ვეიოებმა სცადეს მთვარის ზედაპირის მედიუმური ფოტოებიც კი გადაეღოთ. რამდენიმე ფოტოზე უცნაური გამოსახულებები აღიბეჭდა, ისინი მთვარეზე „აპოლონის" დაჯდომამდე სამი დღით ადრე მეცნიერსა და პარაფსიქოლოგ უილიამ კუკუს გადაეგზავნა. იგი ამტკიცებდა, რომ სურათები გასაოცრად ჰგავს მოგვანებით „აპოლონის" მიერ გადაღებულ მთვარის ზედაპირის გამოსახულებებს, რომლებზედაც მოჩანს კრატერები, არხები და უსწორმასწორო, მშრალი, დაკენკილი ნიადაგი. დოქტორმა ეიზენბადმა გვითხრა ვეიოებზე; „მათ ჩემზე ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს. მე არავითარი საფუძველი არა მაქვს ეჭვი შევიტანო მათს თვალთმაქცობაში. როგორც ჩანს, მათ ძალუძთ მიცვალებულთა ფოტოების მიღება".

ვეიოები ფოტოსურათებს სიკვდილის შემდგომ სიცოცხლის არსებობის მტკიცებულებად

მიიჩნევენ, ისინი ემყარებიან თავიანთ კუბოსმილმიერი ხმების ჩანაწერებს. ზოგიერთი ხმა ამტკიცებს, რომ ეკუთვნის ადამიანს, რომლის სურათი ვეიოებს მიღებული აქვთ პარანორმალური ხერხით, ხოლო შეტყობინებათაგან ერთ-ერთი პირველთაგანი ჩანაწერი ასე ჟღერდა: „ჩვენ ვცდილობთ დავამყაროთ კონტაქტი". ამიტომ ძმები ადგილობრივ სასაფლაოზე სამგზავრო მაგნიტოფონსაც გაიყოლებენ ხოლმე. მაგრამ იქ ჩაწერილი ხმები ისევე სუსტად ისმის, როგორც შინ ჩაწერილი. მათ კი იმედი ჰქონდათ, რომ სასაფლაოზე ჩაწერილი ხმები უკეთ იყლერებდა.

როგორც ტელეპატია და ტელეკინეზი (ანუ ფსიქოკინეზი) არღვევენ მეცნიერების მიერ დადგენილ კანონზომიერებებს, ასევე უამრავი ადამიანისათვის მიცვალებულთა ხმები და ხატები არღვევენ დასავლური რელიგიების ერთ-ერთ უმთავრეს დებულებას: მიცვალებულსა და ცოცხალს შორის კონტაქტი შეუძლებელია. მაგრამ მტკიცება, თითქოს მიცვალებული მარადიულ სიმშვიდესა და სიჩუმეში განისვენებს, ახლოდან გასინჯვისას ტყუილი გამოდის. ისტორია, რელიგიური ლიტერატურა სავსეა ჩვენებებითა და ხმებით, რომლებიც ეცხადებოდნენ წმინდანებს, ზოგჯერ კი — ჩვეულებრივ ადამიანებსაც. შესაბამისად, ზოგიერთები ვარაუდობენ, რომ პარანორმალური მაგნიტოფონური ჩანაწერები და ფოტოები, ელექტრონული აპარატურის გამოყენებით რომ მიიღებიან, სულების გამოცხადების თანამედროვე ვერსიაა. „ადრე სულები, — ამბობს ერთი მკვლევარი,— პირდაპირ ელაპარაკებოდნენ ან ევლინებოდნენ წმინდანებს. დღეს კი მედიუმი იწერს სულის ხმას ფირზე ან აკეთებს მის ფოტოსურათს".

მართლაცდა, განა ერთი გამოვლენა რამდენადმე უფრო იდუმალია მეორეზე? ბოლომდე პატიოსნად თუ ვაღიარებთ, გამოცხადებები სწორედ დღეს გაიაზრება, რამდენადაც წმინდანის გამოცხადება შეუძლებელია რაიმე საშუალებით შეისწავლო, მაგნიტო და ფოტოფირების მოწმობანი კი გულმოდგინედ შეისწავლება არაერთგზის. ამაში მდგომარეობს სიკვდილთან მეოთხე სახის შეხვედრათა უპირატესობა.

რუსუდან ციხითათრიშვილი

გოეთე და ფოიხტვანგერი

ლიონ ფოიხტვანგერის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ნაკლებადაა შესწავლილი მისი ესეები. არცაა გახ კვირი. მწერალმა მრავალი წელი გაატარა ექსორიაში, რის გამოც გერმანელ მკითხველთან უშუალო კონტაქტი აღარ ჰქონია. მისი ესეები პრაქტიკულად მივიწყებული იყო, ვიდრე ვოლფგანგ ბერნდტმა არ შეადგინა ფოიხტვანგერის ესეების კრებული, რომელიც 1956 წელს გამოსცა. დაუწერა ბოლოსიტყვაობა, რომელშიც აღნიშნა, რომ მუყაითმა მკვლევარმა მასზე უკეთ, სცადა ადრეული პატარა ნაწარმოებებიდან გაეცოცხლებინა მწერლის წარსული.

მრავალფეროვანია ფოიხტვანგერის ესეების პრობლემატიკა. აქ არის ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევები, ესეები თეატრისა და დრამატურგიის საკითხებზე, რეცენზიები სპექტაკლებზე, ავტობიოგრაფიული ხასიათის კრიტიკული წერილები და იმ მწერლების ლიტერატურული პორტრეტები, რომლებიც ნაცისტური რეჟიმის წლებში ფოიხტვანგერის მსგავსად ექსორიაში აღმოჩნდნენ. ეს მწერლები არიან: ბერტოლტ ბრეხტი, ჰაინრიხ მანი, ფრიდრიხ ვოლფი, იოჰანეს ბეჰერი, არნოლდ ცვაიგი.

ფოიხტვანგერის მრავალ ესეში ვლინდება ისტორიის კავშირი ფილოლოგიასთან. მაგალითად, ისტორიულ გამოკვლევაში ლანდფოგტ გესლერზე ლანდფოგტ გესლერის პროტოტიპად დასახელებულია ბურგუნდიის ლანდფოგტი პეტერ ფონ ჰაგენბახი.

ფსიქოლოგიურ ნარკვევში „ჰაინრიხ ჰაინე და ოსკარ უაილდი" ფოიხტვანგერი ცდილობს წარმოაჩინოს საერთო ნიშანი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ჰაინესა და უაილდს. იგი ორთავეს რომანტიკოსებად მოიხსენიებს და აყენებს ვიქტორ ჰიუგოსა და ფრიდრიხ ნიცშეს გვერდით. ფოიხტვანგერის აზრით, ჰაინესა და უაილდის ხელოვნება კოსმოპოლიტურია. ორივე პოეტს აერთიანებს წყურვილი ჰარმონიისა, რელიგიისა და პიროვნების მონოლითურობისა. მათ ერთნაირად ესმოდათ ხელოვნების ხასიათი, პოეზიის თვითმიზანი, ხელოვანის მოღვაწეობის დამოუკიდებლობა; აერთიანებდათ მასალის უგულვებელყოფა და მოწიწება ფორმის მიმართ, ტექნიკური ოსტატობა. ჰაინეც და უაილდიც უარს ამბობენ მრავალმოქმედებიან დრამაზე და დიდ მოთხრობაზე. მეორე ანუმეორებელია მათი აფორიზმები.

გერმანულენოვანი ლიტერატურის პრობლემებს ეხება ფოიხტვანგერის თეატრალური რეცენზიები.

საინტერესოა ფოიხტვანგერის დამოკიდებულება გოეთესთან.

ფოიხტვანგერის ადრეული ესეებიდან ორი— „უკანონო შვილი" და „ფაუსტის" პროლოგის წყაროები" გოეთესადმია მიძღვნილი და წარმოადგენს რეცენზიას გოეთეს დრამაზე „უკანონო შვილი", რომელიც მიუნჰენის თეატრში დადგა რეჟისორმა კილიანმა. ფოიხტვანგერის შეხედულებით, „უკანონო შვილი", არ არის დრამატული პიესა, იგი ანტიდრამატულია. რეცენზიაში ერთგვარად ხელოვნურად, თუმც გოეთე-დრამატურგისათვის ნიშანდობლივადაა მიჩნეული დრამის კულმინაცია, რომელიც უწყინარ სონეტს ეკისრება, და ეს ხდება ევგენიას ტრილოგიის მესამე ნაწილში, რომელსაც უნდა ეჩვენებინა რევოლუციის საშინელება. რეცენზიის ავტორი მიუთითებს ამბების სიმბოლურ ფუნქციაზე, რომელიც კორუფციის მხილებას გულისხმობს, თუმც აქ კორუფცია არ აისახება, მასზე მხოლოდ ლაპარაკობენ, და თანაც მშვენიერი ლექსებით. ზოგი რამ „უკანონო შვილში" ნაკლებად სარწმუნოა. მაგალითად, ძნელი დასაჯერებელია, რომ ბრძენკაცებს, კაცურ კაცებს, როგორებიც არიან ჰერცოგის სურვილის ამსრულებელნი, მდაბალი, ვერაგული გეგმები ამოძრავებდეთ, თუმცა ფოიხტვანგერი აქვე მოუბოდიშებს გოეთეს: იქნებ საკარო ინტრიგა გოეთესათვის მნიშვნელოვანი არც ყოფილაო? იქნებ უდრტვინველ ინერტულობას, რომელსაც ხალხი, თავისუფლება და სამღვდელოება ამყღავნებს ევგენიას მოტაცების ეპიზოდში, საყოველთაო დაკნინება უნდა წარმოეჩინაო?—კითხულობს იგი.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში ფოიხტვანგერმა შეისწავლა სანსკრიტი და გაეცნო ინდურ ფილოსოფიასა და ლიტერატურას. ინდური ლიტერატურით გატაცების შედეგი იყო პიესები: „ვასანტასენა" (1916) და „მეფე და მოცეკვავე ქალი" (1917), რომლებიც მან ინდური პიესების — „შუდრაკას „ვასანტასენასა" და კალიდასას" „აგნიმიტრა და მალავიკას" —გადამუშავების საფუძველზე შექმნა. ინდური ლიტერატურით გატაცების კვალი წარმოჩნდა მის

ადრეულ ესეში „ფაუსტის“ პროლოგის წყაროები“. „ფაუსტის“ პროლოგის მნიშვნელოვან წყაროდ ფოიხტვანგერი კალიდასას „შაკუნტალას“ ასახელებს. „შაკუნტალას“ გერმანულ თარგმანს, რომელიც გეორგ ფორსტერს ეკუთვნის, გოეთე 1791 წელს გასცნობია და განზრახული ჰქონია იგი გერმანული სცენისათვის გადაეკეთებინა.

გარდა ზემოთქმულისა, „ფაუსტის“ პროლოგის ცალკეული ადგილებისათვის, ფოიხტვანგერის აზრით, გოეთეს ტიკის პროლოგები გამოიყენა, პირველ ხიძგს კი იგი ბერტატის „ქვის სტუმარს“ უნდა უმადლოდეს, რომელიც მოცარტის „დონ ჟუანის“ წყაროც იყო.

საქმისა და უმოქმედობის, „ქმედობისა“ და „გონის“ ურთიერთდამოკიდებულება ფოიხტვანგერის შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა. „როცა მე, 42 წლის ასაკში,— წერდა ლიონ ფოიხტვანგერი, — ჩემი ცხოვრების მწვერვალიდან გადმოვყურებ იმას, რაც აქამდე შემიქმნია, ვცდილობ ვიპოვო საერთო ხაზი, მთავარი მაჩვენებელი, ჩემს წიგნებს რომ აკავშირებს ჩემთან, ჩემს ცხოვრებასთან და ერთმანეთთან, და მაშინ ვფიქრობ, რომ, მოჩვენებითი განსხვავებულობის მიუხედავად, დაწერილი მაქვს ერთი წიგნი ადამიანზე, რომელიც დგას საქმესა და უმოქმედობას, ძალაუფლებასა და შემეცნებას შორის“.

„გონისა“ და „ქმედობის“ პრობლემა მწერლის ადრეულ შემოქმედებაში გააზრებულია როგორც ინდური პასიურობისა და ევროპული აქტიურობის, ბუდახა და ნიცშეს დაპირისპირება. ამ პრობლემით ფოიხტვანგერის დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა. ჰორსტ ჰარტმანის აზრით, კონცეფცია „გონისა“ და ძალაუფლების („ქმედობის“) შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული გერმანიაში XX საუკუნის პირველ ათწლეულში. მისი თეორიული საფუძველი იყო შოპენჰაუერის ფილოსოფია, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1848 წლიდან მოყოლებული. თეზისი, რომელიც შოპენჰაუერის ეთიკის ქვაკუთხედია, წარმოადგენს მოწოდებას უმოქმედობისაკენ. იგი ახალუთებს, რომ ადამიანის ხსნა მიწიერი ტანჯვისაგან შესაძლებელია სიცოცხლის ნების ჩახშობით. შოპენჰაუერი დავალებულია ინდური ფილოსოფიისაგან, ბუდიზმისაგან.

პირველი ნაწარმოები, რომელიც ფოიხტვანგერმა სპეციალურად მიუძღვნა „გონისა“ და „ქმედობის“ პრობლემას, 1915 წელს დაწერილი დრამა „უორენ ჰასტინგსი“ იყო. დრამას ორი ეპიგრაფი აქვს. ერთი გოეთესაგანაა აღებული: „მოქმედი ყოველთვის უსინდისოა, სინდისი სხვა არავის აქვს, თუ არა მეგვრეტელს“, მეორე კი — ბუდასაგან: „ეს არის, ბერებო, წმინდა სიმართლე ტანჯვის წარმოქმნის შესახებ. ეს არის წყურვილი ყოფნისა, რომელსაც აღორძინებიდან აღორძინებამდე მივყავართ, წყურვილი ხორცისა, წყურვილი შექმნისა, წყურვილი ძალაუფლებისა“.

დრამის გმირი, ინდოეთის გუბერნატორი უორენ ჰასტინგსი მოქმედია, „საქმის“ კაცია, არავერს ერიდება ძალაუფლების შენარჩუნებლად. თავის მთავარ მეტოქეს რაჯა ნენკომარს მოხერხებულად ჩამოიცილებს გზიდან, ბრალს დასდებს თამახუქების გაყალბებაში, მაგრამ „საქმის“ წარმატება მას ხელს აიღებინებს პირად ბედნიერებაზე, საყვარელ ქალზე, რომელმაც, მისი გაფრთხილების მიუხედავად, აუდის ნაბობისაგან საჩუქრად მიიღო ძვირფასი სამკაული, რითაც ხერიოზული საფრთხე შეუქმნა არა მარტო ჰასტინგსის რეპუტაციას, არამედ მის ძალაუფლებასაც ინდოეთში. ჰასტინგსისათვის სასწორის ერთ მხარეს ძალაუფლება დევს, მეორეზე კი — პირადი ბედნიერება, საყვარელი ქალი. თავისი ცხოვრების ამ მძიმე წუთებში, როცა ჰასტინგსმა არჩევანი ძალაუფლების სასარგებლოდ გააკეთა, მათხოვარი ბერი მას ბუდისტურ ჭეშმარიტებას აუწყებს: „მე ვარ სურვილებისა და წადილის მილმა, ავხორცობისა და ნდომის მილმა“. ერთი წამით ჰასტინგსი ქედს იხრის ამ სიბრძნის წინაშე, მაგრამ მეორე წამით პროტესტის გუნებაზე დგება: მისი მამა-პაპანი ხომ არ ყოფილან ინდოელები და ბუდას მოძღვრების თაყვანისმცემლები, არც თვითონ იტყვის უარს სურვილებზე: „ჩემთვის მზეს არ გამოუფიტავს ნებისყოფა და არ გამოუშრია სურვილის ძალა. მე მწადია, მსურს, რაღაც მაკლია და მივისწრაფვი“, — ამბობს იგი. მოქმედი ჰასტინგსი უსინდისოა. მან იცის, რომ თავის დანაშაულს — უდანაშაულო რაჯას სიკვდილით დასჯას ოსტინდოეთის კომპანიის წინაშე მხოლოდ ფულით გამოისყიდის. ამიტომ გაწირავს თავისუფალ, ამაყ რომილას ტოშს, რომლის განადგურების უფლებას აძლევს აუდის ნაამბობს და სამაგიეროდ მისგან ღებულობს 60 ლაკ რუპიას ანუ 600 000 ფუნტს. ამრიგად, „ქმედობა“ იმარჯვებს „გონზე“. ჰასტინგსი ინარჩუნებს ძალაუფლებას ინდოეთში, ოღონდაც მისი გამარჯვების სიხარული განელებულია საყვარელი ქალის დაკარგვის გამო.

ინდური სიბრძნე წინააღმდეგობის გაუწევლობის, პასიურობის შესახებ დრამა „უორენ ჰასტინგსში“ რაჯა ნენკომარის პერსონაჟშია წარმოჩენილი. მართალია, რაჯა თავდაპირველად ცდილობდა ძირი გამოეთხარა ჰასტინგსის მმართველობისათვის, მაგრამ, როცა მტერი მასზე მოქნილი, მოხერხებული აღმოჩნდა და სასიკვ-

დილო განაჩენი გამოუტანა, ის უდრტვინველად დამორჩილდა ბედს, რომლის წინააღმდეგ ამბედრება სისულელე ეგონა. სიკვდილით დასჯის წინ პასტინგსს გაუგზავნა ბარათი, რომელშიც ხოტბა შეასხა სიმშვიდეს, პასიურობას, სიკვდილს: „გაბსოვდეს, ძმაო ჩემო, რომ მოხვენება სჯობს სიარულს, ძილი ფხიზლობას, მკვდრად ყოფნა ცოცხლად ყოფნას, რადგან სიკვდილს იქ მივყავართ, სადაც აღარ არის ტანჯვა და არის მხოლოდ მარადიული სიმშვიდის ნეტარება ბრაჰმას კალთაზე“.

შოიპტვანგერს დრამა „უორენ ჰასტინგსში“ აინტერესებდა არა ცალკეული გმირის ბედი, არამედ განცდა: ევროპა და ინდოეთი, „ქმედობისა“ და „გონის“ კაცი, ნიცშე და ბუდა, მონანიე და ჭარხალკაცი. მისთვის მნიშვნელოვანი იყო არა იმდენად ჰასტინგსის პირადი ტრაგედია, არ მედ იდეა, რომელიც ამ პიროვნების უკან იმალებოდა. შოიპტვანგერის აზრით, ჰასტინგსი იყო პირველი ადამიანი, რომელიც ენერგიულად გამოექომაგა სანსკრიტს და მისი ლიტერატურის შესწავლას. ერთი შეხედვით, ამ ფაქტს ფილოლოგიური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, მწერლის აზრით, უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს ფაქტი აქცევს ინდოეთის გუბერნატორს ისტორიულ და ტრაგიკულ პიროვნებად, რამეთუ ჰასტინგსი იყო კაცი, რომელმაც გარეგნულად ინდოეთი ინგლისელებს, აზია ევროპელებს დაუმორჩილა, მაგრამ ამავე დროს გზა გაუკაფა დამარცხებულ აღმოსავლეთს ძლევამოსილი ევროპის სულიერი დამონებისაკენ. შოიპტვანგერის რწმენით, ჰასტინგსით დაიწყო ინგლისის სულიერი მარცხი ინდოეთის მიწაზე, ისევე როგორც ძველად დამარცხებულმა საბერძნეთმა მორალურად გაიმარჯვა რომზე, არაბეთის ხელოვნებამ — ჯვაროსნებზე. ჰასტინგსმა შეიგრძნო დამარცხებული ქვეყნის იდუმალი ძალა, თუმცა მისი ცხოვრების შინაარსს ინგლისის ძლიერება, ოსტინდოეთის კომპანიის ფინანსები და ბერის დირსება შეადგენდა.

როგორც დავინახეთ, დრამა „უორენ ჰასტინგმა“ დაადასტურა გოეთეს მოსაზრება მოქმედი ადამიანის უსინდისობის თაობაზე. იგივე თვალსაზრისია ჩაქსოვილი პიესა „ებრაელ ზიუსშიც“ (1916—1917 წწ.), რომლის ძირითადი იდეაა აქტიურობის, „ქმედობის“ უაზრობა და ამაოება. იოზეფ ზიუსი თავის შეგნებულ ცხოვრებას მოქმედებით, ძალაუფლებით იწყებს. ზიუსი, ჰერცოგ კარლ ალექსანდერის საიდუმლო მრჩეველი, ამარაგებს ჰერცოგს ფულით, ქალებით, თვითონაც ჩეჩქივით აქვს ფული, ჰყავს ქალები და, რაც მთავარია, იდუმალი ძალაუფლება აქვს მთელ საჰერცოგოზე. ზიუსი ხულიხჩამდგმელია ყოველგვარი უსამართლობისა, ყველაფს და სისხლს სწოვს ხალხს. ჰერცოგისა და ზიუსის ხალხისთვის გასაღიდრებლად ვიურტემბურგის საჰერცოგოში აშკარად იყიდება თანამდებობები, ეწყობა ყალბი სასამართლო პროცესები უდანაშაულო ადამიანების გაძარცვის მიზნით. იოზეფ ზიუსს სწადია მორალურად დაცეს ისედაც დაჩაგრული ვიურტემბერგელები. წაართვას მათ რელიგია. ზიუსი აქეზებს ჰერცოგს, რომ მან პროტესტანტ ქვეშევრდომებს იძულებით მიაღებინოს კათოლიკური სარწმუნოება. თავისი საქმიანობით კმაყოფილი ზიუსი ამბობს: „დღეს მე, ებრაელი, ვჩაგრავ ქვეყანას და სისხლს ვწოვ მას და მისი ძვლის ტვინით ვსუქდები... განა ამას მოქმედება არ ჰქვია? განა ეს საკმაო შინაარსი არ არის ადამიანის დასაკმაყოფილებლად?“ ზიუსი ჰერცოგის ხასად აქცევს ქალს, რომელიც უყვარს, რათა მისი მეშვეობით კიდევ უფრო გაზარდოს თავისი ძალაუფლება ჰერცოგზე. „...ჩვენ ერთი გზა გვაქვს, — ეუბნება იგი ქალს, — თქვენ და მე, ერთი ბედი, ერთი საქმე: მას ძალაუფლება ჰქვია... უწყინარი, ბრიყვი თავადი ცვილს დაემსგავსება ჩვენს ხელში. თქვენ, ხასა, და მე, ფავორიტი, ვიქნებით ქვეყნის მმართველები“. ზიუსის აღზევება, მისი წარმატება სინდისზე ხელის აღებით ხერხდება. მოქმედება უსინდისობას მოითხოვს. ამაოდ ცდილობს ზიუსის ბიძა, მაგიკოსი, ხელი აიღებინოს დისწულს საქმიანობაზე, მოქმედებაზე, რომელიც სულს რყვნის. მისი აზრით, თუ ადამიანს ხურს შეიცნოს იმქვეყნიური ცხოვრება, ე. ი. იპოვოს თავისი სული, მან ჯერ „ხაქმის“ ჭუჭყს უნდა დაიწმინდოს თავი. ბიძა ცდილობს დაარწმუნოს იოზეფი, რომ ძალაუფლების წყურვილი, ქალებისა და ფულის სიყვარული მან ქრისტიანი მამისაგან მიიღო მეკვიდრეობით, ხოლო ებრაელი დედის სისხლმა მას მისცა სულისა და ქვეყნის შეგრძნების უნარი, ე. ი. ის, რაც მამამისმა მხოლოდ თავისი დაცემის შემდეგ შეიგრძნო. ზიუსის ბიძა, რაბი გაბრიელი „გონის“ კაცია, პასიურობის, უმოქმედობის დამცველია. იგი კიცხავს ზიუსის „ხაქმეს“ და უპირისპირებს მას ცხოვრებიდან განდეგილობას, საკუთარი სულისა და იმქვეყნიური ცხოვრების შეცნობისაკენ ლტოლვას. რაბი გაბრიელი მჭვრეტელია და მას, ბუნებრივია, აქვს სინდისი. ერთხანს ზიუსი არ ღებულობს ბიძის რჩევას. ვისგანაც შეიტყობს, რომ მამით ქრისტიანი ყოფილა, მაგრამ თავს კვლავ ებრაელად თვლის და მ მის კვალდაკვალ სულის ძიებას არ აპირებს.

ზიუსის საუკეთესო „მე“ მის შვილში, თამარშია ხორცშესხმული. ვიურტემბერგის ჰერცოგი ძალაუფლების გარეგნული გამოხატულებაა, ხოლო მაგიკოსი რაბი გაბრიელი ყოფიერების იმ ფორმას განასახიერებს, საითაც უნდა წა-

ვიდეს ზიუსის განვითარება, რათა ზიუსს გადამწყვეტი ნაბიჯი გადაადგმევინოს გზაზე, რომელიც აქტიურობიდან პახიურობისაკენ, უხინდისობიდან სინდისისაკენ მიეშართება. ფოიხტვანგერს შემოაქვს ლიტერატურაში კარგად ცნობილი ძველი მოტივი: მბრძანებლის ავხორცობის წყალობით ფავორიტის შვილის დალუპვა. ზიუსი შურს იძიებს ჰერცოგზე, გასცემს რა შეთქმულებას, რომელსაც ვიურტემბერგში კათოლიციზმი და სამხედრო დიქტატურა უნდა დაემყარებინა. სუბიექტური მოტივების მიუხედავად, ობიექტურად ზიუსი ვიურტემბერგელებს მხსნელად ევლინება, მაგრამ გულმოდგინედ მალავს, თუ რა როლი ითამაშა შეთქმულების გაცემაში. შერისძიების აქტმა ამოწურა ზიუსის ინტერესი მოქმედებისადმი, სიცოცხლისადმი. ზიუსი არც თავდაცვას ცდილობს, არც გაქცევას, რადგან ჭეშმარიტი ნეტარება მაშინ იგრძნო, როცა დაკარგა ყოველგვარი სურვილი, შეიძულა „საქმე". „ბრწყინვალებისა და ავხორცობის და დიდების მაძიებლობის სამყარო მე ისე გამოვცადე, როგორც ეს ცოტას ხვდომია წილად. სამყარო გრძნობისა, ესეც შემოვიარე. ცოტას თუ მყვარებია ჩემსავით და ჩემსავით არავის გამოუცდია სიძულვილი და არც შურისძიება უზეიმია. ახლა მესამე სამყაროს ზღურბლზე ვდგავარ; თამარი მიქნევს ხელს და ჯანღის მიღმა ვგრძნობ ღმერთს", — ამბობს იგი. ერთ დროს უხინდისო, ენერგიული, სიცოცხლით აღსავსე ზიუსი სრულიად დამშვიდებული მიდის სახრჩობელისაკენ, მას სწამს, რომ სიკვდილის დღე დაბადების დღეზე უკეთესია.

1920 წელს ფოიხტვანგერმა გამოაქვეყნა დრამატული რომანი „თომას ვენდტი"[1], რომლის II ნაწილს ეპიგრაფად კვლავ გოეთეს ზემოთაღნიშნული გამონათქვამი წარუძღვარა. ფოიხტვანგერის თქმით, ეს წიგნი („თომას ვენდტი") ასახავს აზრს, რომ მოქმედს არასოდეს არა აქვს სინდისი, იგი მხოლოდ მჭვრეტელს გააჩნია. გოეთეს ამ შეხედულების მხატვრული ხორცშესხმა და რეალიზაცია ამ ნაწარმოებშიც „გონისა" და „ქმედობის" პრობლემას დაეკისრა, რომელიც აქ გმირის ორმხრივ ევოლუციაშია წარმოჩენილი: ჯერ მჭვრეტელობიდან მოქმედებისაკენ და შემდეგ მოქმედებიდან მჭვრეტელობისაკენ, „გონისაკენ". მჭვრეტელობა აქ გაიგივებულია ხელოვნებასთან, რომელიც მოწყვეტილია ცხოვრებას, სინამდვილის საჭირბოროტო საკითხებს. ასეთ ხელოვნებას უპირისპირდება აქტიურობა, მოქმედება, დაკავშირებული პოლიტიკასთან, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. თომას ვენდტი გრძნობს, რომ ხელოვნება, რომელიც ერთეულებს ანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას, ხელს ვერ შეუწყობს ცხოვრების გარდაქმნას. მას უნდა, რომ ხელოვნებას საზოგადოებრივი ფუნქცია ეკისრებოდეს. თეორიულად ვენდტი მიისწრაფვის ხელოვნისაკენ, რომელიც საზოგადოებას [illegible] გარდაქმნის იარაღი იქნება, მაგრამ პრაქტიკულად ვერ ახერხებს ამ ამოცანის განხორციელებას. თომას ვენდტის აქტიურობა, „ქმედობა" გამორიცხავს პირად ინტერესებს, ზრუნვას საკუთარ თავზე. თომასი იღვწვის საზოგადოების კეთილდღეობისათვის, პატივს სცემს ადამიანს, თუმცა მისი ბრძოლა სამართლიანობისათვის ერთგვარად აბსტრაქტული ხასიათისა. ის ებრძვის მავნე იდეებს და არა ამ იდეების მატარებელ ადამიანებს. მონაწილეობს რა რევოლუციაში, ვენდტს თავდაპირველად ჰგონია, რომ სწორი არჩევანი გააკეთა, მაგრამ მალე მიხვდება, რომ მოტყუვდა. ძალაუფლება, რომელსაც თომას ვენდტი ფლობს, როგორც მთავრობის მეთაური, მან შეიძლება ძალადმრეობით შეინარჩუნოს, რაც მისთვის უზნეო ქმედება იქნებოდა. ამიტომ იგი თავისი ნებით გამოდის მთავრობიდან, „მეტი აღარ შემიძლია... ვფიქრობდი: იყო რევოლუციონერი, ეს ნიშნავს იყო ადამიანური. ვფიქრობდი: რევოლუცია არის ადამიანურობა უველასათვის... თავი დამანებეთ... არავითარი პოლიტიკა აღარ მინდა", — ჩივის იგი. რევოლუციური იდეალების კრახს ვენდტი მიჰყავს მოქმედების უაზრობის აღიარებამდე. დრამატული რომანის ფინალურ სცენაში თომას ვენდტი თავის მეგობართან, კაპიტალისტ გეორგ ჰაინზიუსთან, ერთად უყურებს დოკუმენტურ ფილმს რევოლუციაზე, რომლის ბელადიც თვითონ იყო, აკვირდება ადამიანების აღელვებულ სახეებს და ხვდება, რომ ხალხის ასეთი აგზნება შეიძლება არა მარტო სიტყვებით, არამედ რამდენიმე ჰექტოლიტრი სპირტითაც. ბ. მარტმანის აზრით, თომას ვენდტი დამნაშავეა და და მისი დანაშაული პირველ რიგში ის არის, რომ თვითონ, როგორც მჭვრეტელი, ხაკმაოდ „უხინდისო" არ არის, რათა აიტანოს მოქმედების შედეგები, რევოლუციის სათავეში მოექცევა და მის მარცხს განაპირობებს.

თომას ვენდტი „გონს", ხელოვნებას უბრუნდება, რამეთუ იგია სფერო, სადაც ადამიანმა შეიძლება სიმშვიდე ჰპოვოს პახიურ მჭვრეტელობაში.

ამგვარად, დრამატულ რომანში „თომას ვენდტი", ისევე როგორც ფოიხტვანგერის ზემოთ განხილულ ნაწარმოებებში, მოქმედი, როგორც წესი, უხინდისოა; სინდისი მხოლოდ მჭვრეტელს აქვს.

---

[1] ეს ნაწარმოები 1936 წელს ავტორმა შეიტანა კრებულში „პიესები პროზად" სახელწოდებით „ათასცხრაასთვრამეტი".

1932 წელს ცივილიზებულმა სამყარომ ორი იუბილე იზეიმა: გოეთესი და სპინოზასი, რაც, როგორც ჩანს, ერთგვარი სტიმული აღმოჩნდა იმისათვის, რომ ფოიხტვანგერს თავის ესეში „ნაციონალიზმი და იუდეველობა" (1933) ეს ორი გამოჩენილი პიროვნება ერთმანეთისათვის შეედარებინა, როგორც ებრაული და არაებრაული გონის წარმომადგენლები, ფოიხტვანგერის შეხედულებით, გოეთეს და სპინოზას სოციალური შეგნება ერთნაირი ჰქონდათ. გოეთე ხომ თავს სპინოზას მოწაფედ თვლიდა, მაგრამ გოეთეს საპირისპიროდ სპინოზას ცხოვრება და ცნობიერება ერთმანეთისაგან გათიშული არ ყოფილა. სპინოზა მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო იმისათვის, რომ ეცხოვრა ეთიკის შესატყვისად, გოეთე კი ისე ცხოვრობდა, როგორც გვმოძღვრავდა: „მოქმედი ყოველთვის უსინდისოა, სინდისი სხვა არავის აქვს, თუ არა მეფეს". პოეტ გოეთეს, მწერალ გოეთეს, ყოველთვის ჰქონდა სინდისი, მაგრამ მოქმედი გოეთე, ე. ი. გოეთე-დამიანი, ხშირად უსინდისო იყო. მან შეაცდინა მეგობარი ქალი და მიატოვა. პოეტი გოეთე კი გვიჩვენებს კაცს, რომელიც სინდისის ქენჯნის კრიტიკულ წუთებში ყველაფერს აკეთებს სატრფოს გადასარჩენად. მინისტრმა გოეთემ თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით მოითხოვა სიკვდილით დასჯათ ქალიშვილი, რომელმაც შვილი მოკლა, პოეტმა გოეთემ კი შვილის მკვლელს გამართლება მოუძებნა და ზეცაში მიუჩინა ადგილი. გოეთე— მოქმედი ზოგჯერ უსინდისო იყო და სინდისის ქენჯნისაგან განთავისუფლებას მოგვიანებით პოეზიაში ლამობდა. და ბოლოს, დაასკვნის ფოიხტვანგერი, გოეთეს და სპინოზას ცხოვრება და შემოქმედება სანიმუშოდაა მიჩნეული. ებრაული გონი აღტაცებით ქედს იხრის გოეთეს შემოქმედების წინაშე, მაგრამ გოეთეს პრაქტიკა (ე. ი. ცხოვრება — რ. ც.) სპინოზას ცხოვრებასთან შედარებით გაცილებით ნაკლებ სანიმუშოდ ესახება.

„Centum opuscula"-ს ბოლოსიტყვაობაში 1956 წელს ფოიხტვანგერმა კიდევ ერთხელ გაიხსენა გოეთეს სიტყვები, „მოქმედი ყოველთვის უსინდისოა; სინდისი სხვა არავის აქვს, თუ არა „მეფეს", და აღიარა, რომ როცა თავის ადრეულ პატარა ნაწარმოებებს, ესეებს, ქმნიდა, ის, როგორც მოქმედი, გარკვეულ მიზანს ისახავდა ხოლმე, ახლა კი, ათვალიერებს რა იმას, რაც მან, მოქმედმა, შექმნა, ხშირად სინანული (ხაზგასმა ჩემია — რ. ც.) ზოგჯერ კი კმაყოფილება ეუფლება. აქედან ჩანს, რომ ლიონ ფოიხტვანგერს თავისი შემოქმედებითი ევოლუცია წარმოდგენილი ჰქონდა როგორც გზა მოქმედებიდან, „ქმედობიდან", მეფეტელობისაკენ, რამეთუ ახალგაზრდობის წლებში იგი „მოქმედი" იყო, ხოლო მოგვიანებით სანდაზმული მეფეტელის პოზიციიდან აფასებდა თავის მოქმედებას, რომელსაც უმეტესწილად უსინდისობად მიიჩნევდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ გოეთემ გარკვეული კვალი დააჩნია ლიონ ფოიხტვანგერის ადრეულ შემოქმედებას. ფოიხტვანგერმა გაითავისა გოეთეს აზრი მოქმედის უსინდისობისა და მეფეტელის სინდისიერების თაობაზე და შეეცადა მხატვრულად აესახა იგი. რამდენადაც ეს მოსაზრება ფოიხტვანგერის ადრეულ შემოქმედებაში „გონისა" და „ქმედობის" პრობლემასთანაა დაკავშირებული, შეიძლება ასეთი კითხვაც გაჩანდეს: ხომ არ ყოფილა გოეთეს სიტყვები: „მოქმედი ყოველთვის უსინდისოა, სინდისი სხვა არავის აქვს, თუ არა მეფეს" პირველი ბიძგი „გონისა" და „ქმედობას" ფოიხტვანგერისეული კონცეფციისათვის? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ალბათ გაძნელდებოდა. თავად ფოიხტვანგერიც ამის თაობაზე არაფერს ამბობს. უფრო სავარაუდოა, რომ ზემოხსენებული ანტითეზა მწერალმა ინდური პასიურობისა და ევროპული აქტიურობის, ბუდასა და ნიცშეს დაპირისპირების გააზრებით შეიმუშავა, გოეთეს გამონათქვამში კი მისი დადასტურება დაინახა.

ფოიხტვანგერის მოწიფულ და განსაკუთრებით გვიანდელ ნაწარმოებში („მელიები ვენახში", „სიბრძნე სისულელისა ანუ სიკვდილი და გარდახახვა ეან-ეაკ რუსოსი", „გოია", „ესპანური ბალადა") „გონისა" და „ქმედობის" პრობლემამ ერთგვარი მეტამორფოზა განიცადა. „გონისა" და „ქმედობის" ანტითეზის ნაცვლად მწერალი შეეცადა მიეღწია მათი სინთეზისათვის. აქედან გამომდინარე უნდა შერყეულიყო მისი რწმენა გოეთეს ზემოხსენებულ მოსაზრებასთან დაკავშირებით. და მაინც, ფოიხტვანგერის სიმპათია, შეიძლება გაუცნობიერებელი სიყვარული, მეფეტელის, „გონის" კაცს ეკუთვნის. ასე მაგალითად, „ესპანურ ბალადაში" გონის", კაცი — მუსა გონებრივად, სულიერად დახვეწილი ადამიანია, ხოლო „ქმედობის" კაცს — ალფონსოს მრავალი ადამიანური ნაკლი აქვს. „გონისა" და „ქმედობის" სინთეზი მიღწეულია იეჰუდას პერსონაჟში, მაგრამ არც იგია ზოგიერთი ადმიანური ნაკლოვანებებისაგან დაზღვეული. გამოდის, რომ, ჰ. ჰარტმანის შენიშვნისამებრ, „გონისა" და „ქმედობის" ანტითეზისათვის ფოიხტვანგერს მხოლოდ მოჩვენებითად დაუღწევია თავი.

შემოქმედებითი ძიების წლებში, რიგი ცვლილებების მიუხედავად, ფოიხტვანგერის „მე", მისი მრწამსი, არსებითად არ შეცვლილა, რამეთუ, მწერლის სიტყვით რომ ვთქვათ„ „იცვლება ტალღები, მდინარე კი იგივე რჩება".

ნანა ციხისთავი

ფრანგი განმანათლებლები და XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართველი განმანათლებელი — ალექსანდრე ამილახვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროობლემა ფრანგული განმათნათლებლობისა და მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისა XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში რამდენიმე საინტერესოვან ასპექტს მოიცავს, რომელთაგან ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, თუ როგორ გამოეხმაურა ერის ბედ-იღბალზე ზრუნველი მოწინავე ქართველობა იმდროის ყველაზე პროგრესულ და პოპულარულ მოძრაობას განმანათლებლობას და როგორ სცადა ამ უკანასკნელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრებანი ქართული საზოგადოების და ქართული სახელმწიფოს გაჯანსაღება-გაძლიერების, ხოლო XIX ს-ის პირველ ათეულ წლებში — მისი აღდგენისათვის გამოეყენებინა.

ვიდრე უშუალოდ გავიხსენებდეთ ქართველ განმანათლებელსა და მის განმანათლებლურ მოღვაწეობას, უნდა ითქვას, რომ ევროპეიზმისაკენ ლტოლვა, ევროპული აზროვნებით დაინტერესება და ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებისაკენ სწრაფვა-მცდელობა XVIII ს-ის I ნახევარსა და ადრინდელ ხანაშიც შეინიშნებოდა, მაგრამ უფრო დახვეწილი, სრული და მიზანმიმართული სახით ეს ტენდენცია XVIII ს-ის დასასრულიდან გამოჩნდა.

უპირველეს ქართველ განმანათლებელ მოღვაწეთა შორის უნდა დავასახელოთ ალექსანდრე ამილახვარი (1750—1802), რომელიც ერთ-ერთი პირველი ეზიარა დასავლეთის განმანათლებლურ იდეოლოგიას. საგულისხმოა, რომ მისი მსოფმხედველობა და ქმედება ერთმანეთს დაუპირისპირდა და ეს, ალბათ, მოვლენათა ტრაგიკული განვითარების ბრალია. ჩვენ არ მოგვეპოვება იმის დამადასტურებელი საბუთი, სად და როდის გაეცნო ალექსანდრე ამილახვარი ევროპელი ფილოსოფოსების ნაშრომებს. არც ის ვიცით, ვინ იყვნენ ამილახვართა ოჯახის მასწავლებლები და აღმზრდელები, ის კი ცნობილია, რომ ქართველ მეფეთა სახახლეში და ქართველ დიდებულთა ოჯახებში მე-18 ს-ის II ნახევარში ექიმებად და მასწავლებლებად მოწვეული იყვნენ ფრანგი მისიონერები. რომლებიც თავიანთ მოსწავლეებს ასწავლიდნენ ძველსა და ახალ ენებს, მათემატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, შესაძლებელია, ალ. ამილახვრის მასწავლებლებიც ფრანგ თეათინელთა ორდენის ბერები იყვნენ. ალექსანდრე იყო უფროსი ვაჟი ქართლის უძლიერესი ფეოდალის — დიმიტრი ამილახვრისა, რომელიც ერეკლე II-ს ენათესავები და, რა თქმა უნდა, მისი შვილებიც მეფის კარზე იზრდებოდნენ. დიმიტრი ამილახვარი ორგულობისა და პოლიტიკური ინტრიგებისათვის ერეკლე მეფემ შეიპყრო და მრავალი წლის მანძილზე დაპატიმრებული ჰყავდა. ალექსანდრე ამ დროს 15—16 წლისა ყოფილა და ერეკლეს ისიც ხასტიკად დაუსჯია (ფიზიკურად დაუსახიჩრებია), რის გამოც ალექსანდრემ სამუდამო მტრობა ჩაიდო გულში მეფის მიმართ და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ებრძოდა მას. 1766—1770 წწ. პაატა ბატონიშვილის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, როგორც ცნობილია, ალ. ამილახვარი შინა პატიმრობაში იმყოფებოდა, მაგრამ მისი მონახულება არავის ეკრძალებოდა, განსაკუთრებით ფრანგ მისიონერ ბერებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ალ. ამილახვარი ამ ბერებისაგან გაეცნო ფრანგ ფილოსოფოსთა თხზულებებს. იქნებ ეს ბერები არც იყვნენ ამ ფილოსოფოსებისა და მათი იდეების მომხრენი, რაკი კათოლიციზმს ქადაგებდნენ, თუმცა, ვინ უწყის... ფრანგული განმანათლებლობის წარმომადგენლები — პიერ ბეილი, ჟან მელიე, აბატი მაბლი, აბატი ეტიენ ბონო დე კონდილიაკი ხომ თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისში კათოლიზმის აქტიური მსახურები იყვნენ, მაშ, რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სსქართველოში ჩამოსული მისიონერები განმანთლებლობის იდეისადმი კეთილად იყვნენ განწყობილნი. თუ ეს ისევ, მაშინ ცხადი შეიქნება, სადან და ვისგან გაიცნო ალ. ამილახვარმა ფრანგული განმანათლებლური მოძრაობის იდეები. ალ. ამილახვარი განათლებული და ენების მცოდნე კაცი იყო ფრანგულის გარდა, ბერძნული და რუსული ენებიც იცოდა. „გეორგიანულ ისტორიაში" წერს, რომ დიდი ხნის განმავლობაში იჭდა ბერძნების არქიეპისკოპოსთან და მსჯელობდა მეცნიერულ საკითხებზე. რუსულიდან ალ. ამილახვარს უთარგმნია ლიილი მარია კურასის „ხრისტომატია",[1] რომელიც 1778 წელს გადაუწერია დავით რექტორს. რაც შეეხება ნათარგმნი ნაშრომის შინაარსს, იგი

[1] ალ. ბარამიძე. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, 1949 წ., ფონდი, გვ. 2209.

მსოფლიო ისტორიაა, დ წერილი კითხვა-პასუხის ფორმით. მასში გადმოცემულია იერუსალიმის, ახურეთის, სპარსეთის, ხაბერძნეთის, რომის, საფრანგეთის, ავსტრიის, რუსეთისა და თურქეთის მოკლე ისტორიები; ჩამოთვლილია სხვადასხვა ქვეყნის სამეფო დინასტიებიც. ნაშრომს ძირითადად საგანმანათლებლო დანიშნულება აქვს. იგი ემსახურებოდა საქართველოში საგანმანათლებლო საქმიანობის აღორძინებას.

ალ. ამილახვარს ეკუთვნის ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები „გეორგიანული ისტორია ანუ მოთხრობა ახალგაზრდა ამილახვარზე". მასში აღწერილია ერეკლეს ტყვეობიდან ავტორის გაპარვა, მაგრამ თხზულების შინაარსი მარტოოდენ ავტობიოგრაფიული მოთხრობით არ ამოიწურება. მასში გადმოცემულია საქართველოს ისტორიც, ერეკლე II-ის პიროვნება უარყოფითად არის შეფასებული.

ალ. ამილახვარს ქ. ასტრახანში ყოფნის დროს შეუთხზავს სატირა-კომედია „მოქმედება ასტრახანში", რომლის ქართულ დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია და მხოლოდ რუსული ვარიანტით არის ცნობილი. ამ ნაწარმოების მათოსიც ერეკლე II-ის განქიქებაა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ალექსანდრე ამილახვრის თხზულება „ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვაი მისი სახელმწიფოს თვის მმართველობისა"[1], თხზულებაში ავტორი ამბობს, რომ ნაწარმოები არის „შეძღვნობილი სამადლო-ბელად აწამპყრობელისა მეფისად, იმერთა სოლომონისაო", ე. ი. ნაშრომი იმერეთის მეფე სოლომონისადმი არის მიძღვნილი. ავტორს სოლომონი ესახება განმანათლებლური იდეების გამტარებლად და, საერთოდ, ერეკლე II-ისაგან განსხვავებით, ბუმანურ ადამიანად, რომელმაც შეიფარა თავის კარზე ერეკლესაგან დევნილი ალ. ამილახვარი. ავტორი მეფე სოლომონს ურჩევს, ეზიაროს ნაშრომის სიბრძნეს, ჩასწვდეს მის არსს, რათა გახდეს განათლებული ხელმწიფე განათლებულ სახელმწიფოში.

„ბრძენი აღმოსავლეთისა" არის პოლიტიკური ტრაქტატი, რომელსაც გარკვეული ეტყობა მე-18 საუკუნის დას ვლეთ ევროპელ განმანათლებელთა გავლენა. თხზულება დაიწერა 1780 წელს ქართულ ენაზე და პირველად გამოიცა ე. თაყაიშვილის მიერ 1902 წელს. ნაშრომი იყოფა შემდეგ თავებად: მეფეთა მმართველობისათვის, თავ დთა და მთავართა სამეფოისათა, მსედართა და მთ ვართა მოთათვის, სამღვდელოთა წესთათვის, ვ ჭართათვის, გლეხთათვის გინა მიწისმოქმედთა კაცთა, სამოქალაქოთა ჰსჯულთა დადებისათვის, ჰსწავლისათვის, მეცნიერებისა და ხელოვნებისა, საჭურველთა უმეტეს ისახელებისა მეფეი, ანუ მშვიდობითად, საყოველთაოდ გახანჯულობისათვის. [illegible] ათი თავია, რომელშიაც ავტორი [illegible] ამ საერთაშორისო სოციალურ საკითხს, რომელიც წამოიჭრა მე-18 საუკუნის ევროპაში. ტრაქტატი დაიწერა. საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციამდე 10-15 წლით ადრე. მასში გატ რებულია ფრანგი განმანათლებელ-ენციკლოპედისტების იდეები. ავტორზე განსაკუთრებული გავლენა მოუხდენია მონტესკიეს თხზულებას „კანონთა არსი", რომლიდანაც ზოგიერთი ადგილი ხიტყვასიტყვით მოუყვანია თავის ტრაქტატში. თხზულების პირველი მკვლევარი და გამომცემელი ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა: „თუმცა ამ შრომას სათაურად „ბრძენი აღმოსავლეთის." უწერია, მაგრამ მასში გამოთქმული აზრები უფრო დასავლეთის ბრძენთ ეკუთვნიან, ვიდრე აღმოსავლეთისა",[1] ავტორი იცნობდა ,აგრეთვე, ჟან ჟაკ რუსოს „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას" და ვოლტერის ზოგ ნაშრომს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი მონტესკიეს მსოფლმხედველობის ერთგული დარჩა ბოლომდე, ალ. ამილახვარი იცნობდა, აგრეთვე, მონტესკიეს „სპარსულ წერილებს", თვით მისი ტრაქტატის სახელწოდება— „ბრძენი აღმოსავლეთისა" — ავტორს აღებული აქვს „სპარსული წერილების" XXXIII წერილიდან, რომელშიაც საუბარია აღმოსავლეთის სიბრძნეზე. გასაკვირველია ისაა, რომ მონტესკიე იყენებს ცნებას: „სიბრძნე აღმოსავლეთის", ამილახვარი კი „ბრძენი აღმოსავლეთისა". მონტესკიე ამ ცნებას უკავშირებს არა აღმოსავლურ სიბრძნეს, არამედ განმანათლებლურ იდეებს, რომელთა წარმოშობის ნიადაგიც ევროპულია; სოლო ამილახვარი აერთიანებს განმანათლებლურ სიბრძნესა და ადამიანს, — „ბრძენი აღმოსავლეთისა, — რომელმაც უნდა შეასრულოს ერთდროულად მეფისა და ფილოსოფოსის როლი, რათა შეძლოს განათლებული აბსოლუტიზმის დამკვიდრება.

ალექსანდრე ამილახვარი, მსგავსად ფრანგი ფილოსოფოსებისა, მომხრე იყო განათლებული და ბუმანური მონარქისა, მეფე-ფილოსოფოსისა, რელიგიური შემწყნარებლობისა და ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა. ავტორს არ აკმაყოფილებდა არსებული წეს-წყობილება, ფიქრობდა სახელმწიფო აპარტის განა-

[1] ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. წ. I ტფილისი, 1907 წ. „ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განუზრახაი მისი" გვ. 228. ალ. ბარამიძე, ხელნაწ. აღწ. ტ. V, 1949. ფონდი H. № 303.

[1] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

ხლებაზე, მაგრამ არა რევოლუციისა და ხისხლის-ღვრის, ან, საერთოდ, ძალმომრეობის გზით; იგი ეძებდა წამალს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა არსებული სახელმწიფო აპარატის გარდაქმნა, პროგრესის გზით წარმართვა. კანონმდებლობის საფუძვლად მას მიაჩნდა დროის მოთხოვნა, ხალხის ზნეობა, ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები. განსაზღვრავდა რა მეფის უფლებებს, ამილახვარი გამოდიოდა მეფის მიერ თავისი ძალაუფლების შეუზღუდველი გამოყენების წინააღმდეგ, თუ მეფე არ ასრულებდა თავის მოვალეობას, ხალხს უფლება ჰქონდა, არ დამორჩილებოდა მას, ამ შეხედულებებით იგი საოცრად ჰგავს მონტესკიეს, რომელიც წერს, რომ, თუ მეფე ვერ უზრუნველყოფს ქვეშევრდომთა ბედნიერებას, და ცდილობს, ისინი დაჩაგროს, მაშინ ქვეშევრდომებს არაფერი აკავშირებთ მეფესთან და ისინი უბრუნდებიან ბუნებრივ უფლებას. აქედან გამომდინარე, მეფის უფლება ღმერთის მიერ კი არ არის ბოძებული, არამედ წარმოადგენს საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგს, აქ, საერთოდ, საზოგადოებრივი ხელშეკრულების მოძღვრების მომხრეთა, კერძოდ, კი ჟ. ჟ. რუსოს აზროვნების ნაყოფი ჩანს, ალ. ამილახვრის ღმერთი სულაც არ ერევა მიწიერ საკითხებში, აქ მეფეს ირჩევს თვითონ ხალხი, თვით ხალხი ანდობს მას თავისი ბედისა და ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს მანამდე, სანამ მას ღირსეულად ეჭირება ხელში ეს საქმე, მაგრამ, თუ მან ვერ გაამართლა ხალხის ნდობა, თუ თვითნებობას მიჰყო ხელი, ხალხს სრული უფლება აქვს, ჩამოაგდოს ის ტახტიდან და მის მაგიერ სხვა მეფე აირჩიოს, „ნეტარ არს ერი მქონებელი მეფისა ბრძნისა და ნეტარ არს მეფე მყოლელი ერისა მორჩილისა თუისისა, ურომელთაოდ რომლისაცა ერთისა, ბედნიერება მეორისა არა სრულ იქმნას"[1], — ამბობს ამილახვარი.

ავტორი წინააღმდეგი იყო მეფის უფლებათა მემკვიდრეობით გადაცემისა, ის პატივს სცემდა მხოლოდ ადამიანთა პირად ღირსებას; საკუთარი ღირსებით უნდა მიეღო მეფეს სახელი „მაშულთა მამობისა" და არა მემკვიდრეობით, მეფე, რომელიც სხვა გზით მიიღებდა სამეფო ტახტს — ერის მტრად ჩაითვლებოდა, არ შეიძლებოდა მას მინდობდა ქვეყნის ბედი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ალ. ამილახვარი გამოდიოდა მონარქიულ და წოდებრივ პრივილეგიათა წინააღმდეგ, იგი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო და საკუთარი ინტერესების შეზღუდვას არ დაუშვებდა.

ავტორი აღნიშნავდა საზოგადოებრივ კლასებს შორის სრული თანხმობის აუცილებლობას. არსებული წოდებები შეადგენდნენ სახელმწიფოს მთლიანი ტანის ცალ-ცალკე სხეულებს, მათ შორის უნდა ყოფილიყო სრული თანხმობა, ყველას ერთგულად უნდა შეესრულებინა თავისი მოვალეობა: თუ ეს ჰარმონია დაირღვეოდა, მოწყობილი სახელმწიფო ორგანიზმიც მოკვდებოდა, აქ ყურადღება გამახვილებულია წოდებათა თანასწორუფლებიანობაზე, რაც ბურჟუაზიული რევოლუციების გადასაწყვეტი პრობლემა იყო.

„საძღვდელო წესიხათვის" მიძღვნილ თავში ალ. ამილახვარი გვევლინება ვოლტერის ნამდვილ მიმდევრად, მის ერთგულ მოწაფედ და მისი აზრების მქადაგებლად. სასულიერო წოდება, — ამბობდა ვოლტერი, — იმ თავიდან კეთილ მიზნებს ისახავდა, ის გვპირდებოდა ბოროტებასთან ბრძოლას კეთილის გასამარჯვებლად; მაგრამ დიდი ხანია, რაც ეკლესია ნაცვლად კეთილისა და მშვიდობისა, მთელ ქვეყანაზე გამოდის ბოროტებისა და ძალმომრეობის მცველად და ქომაგად. არ ვიცი, ვის ბაძავს ამ შემთხვევაში ეკლესია; ქრისტეს თუ ანტიქრისტეს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ქრისტე არავის უქადდა ხმალსა და ძალმომრეობას; მისი ამქვეყნიური მოადგილენი კი ხშირად მიმართავენ ხოლმე ხმალს. ქრისტე გვიქადაგებდა მოყვასის სიყვარულს, ესენი კი ერთმანეთს შეაჩვენებენ. ქრისტე გვასწავლიდა თავმდაბლობას, უბრალოებას, ესენი კი მუდამ იმის ცდაში არიან, როგორმე ხელში ჩაიგდონ სახელმწიფო ძალაუფლება. ქრისტე მთელი მსოფლიოს ერთ სამწყსოდ გადაქცევას ცდილობდა, მისმა მოადგილეებმა კი ეს გაერთმწყემსებული ქვეყანა გაამრავლმწყემსეს. ამით ავტორი ხაზს უსვამს ქრისტიანულ რელიგიაში არსებული სხვადასხვა მიმდინარეობებისა და მიმართულებების შეუსაბამობას. აქ ეკლესია განქიქებულია, როგორც შუასაუკუნეების უსამართლობის ვოლტერი აწარმოებდა.

ალ. ამილახვარი კეთილს არ მოელის ეკლესიისაგან, ვინაიდან ერთი ეკლესია (სარწმუნოება) მეორეს მტრობს და შეაჩვენებს. სარწმუნოება უფრო ადვილად ემხახურება ბოროტებას, ვიდრე ქრისტეს მიერ ქადაგებულ მშვიდობას და სათნოებას. სჯულის მესვეურთაგან ავტორი მოითხოვდა არ ედევნათ და არ შეევიწროებინათ სხვა სარწმუნოების მადიარებლები, ყველასათვის მიეცათ ნება, ეწამათ და ერწმუნათ ისე, როგორც თავად სურდათ. აქაც, რაღა თქმა უნდა,

[1] ეკვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი 1, ტფილისი, 1907 წ. „ბრძენი აღმოსაღლეთისა ანუ განზრახული მისი", გვ. 228.

კარგად ჩანს რომ ალ. ამილახვარი აღიარებს ვოლტერის დემოკრატიზმს ხარწმუნოების საკითხში.

ალ. ამილახვარი მომხრე იყო ეკლესიის გამოყოფისა სახელმწიფოსაგან,[1] რაც მხოლოდ მოგვიანებით განხორციელდა ევროპაში. სამღვდელოების- წინააღმდეგ ალ. ამილახვრისეულ გალაშქრებაში ნათლად ჩანს, უპირველეს ყოვლისა ვოლტერის, აგრეთვე, მონტესკიეს და მე-18 საუკუნის სხვა განმანათლებელთა გავლენა. იგი არ გამოდიოდა ღმერთის არსებობის წინააღმდეგ. მისი აზრით, ღმერთი შეუმეცნებელია ადამიანის მიერ მხოლოდ იმის გამო, რომ იგი უსაზღვროა; ხოლო ჩვენი შემეცნებითი შესაძლებლობანი — განსაზღვრული. ამ შემთხვევაში ალ. ამილახვარი გამოდის დეისტური პოზიციებიდან. მონტესკიე და ვოლტერი არიან ადრეული წარმომადგენლები ფრანგული დეიზმისა, მიმდინარეობისა, როშელიც აღიარებდა ღმერთს, როგორც ადამიანთა შემქმნელს, მაგრამ ამავე დროს იმასაც ამტკიცებდა, რომ „ღმერთი არ ერევა ბუნების საქმეში".[2]

ალ. ამილახვარი მომხრე იყო ბუნებრივი უფლებებისა, კანონები გაპირობებულია დროის, ხალხის ზნე-ჩვეულებისაგან, ქვეყნის კლიმატური პირობებისაგან. თუ ჩვენ შევადარებთ ალ. ამილახვრისა და მონტესკიეს შეხედულებებს ბუნებრივ უფლებებზე, დავინახავთ საოცარ მსგავსებას ფრანგ და ქართველ განმანთალებლს შორის. „ადამიანებიც, ცხოველებიც, — სჯის მონტესკიე, — ემორჩილებიან კანონებს, რომლებიც მათ მიერ არ არის შექმნილი, ე. ი. ობიექტურ კანონებს. ბუნების კანონები — არის წესები, რომლებიც გამოხატავენ დამოკიდებულებას სხვადასხვა მოძრავ სხეულებს შორის. ბუნების კანონები გამოხატავენ ცვლილებათა მარადიულობას".[3] დეისტი მონტესკიე უშიშრად აცხადებდა, რომ თვით ბატონი ღმერთიც ბუნების კანონებს ემორჩილება და უფლება არა აქვს უარი თქვას მათზე. ალ. ამილახვარმა შეისწავლა და აითვისა XVIII ს-ის მოწინავე ფილოსოფოსებისა და მწერლების პროგრესული ნააზ-ზრევი და თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო იმხანად ფეოდალურ ევროპაში აღმოცენებულ ისეთ მოძღვრებას, როგორიც იყო მოძღვრება ბუნებრივი უფლებების შესახებ.

ალ. ამილახვარის ნაშრომის ერთ-ერთ თავში — „მეცნიერების შესახებ" გადმოცემულია ავტორის შეხედულებანი განათლების შესახებ და მისივე სიმპათიები განათლებული აბსოლუტიზმისადმი. ავტორს ესმის მეცნიერების დიდი მნიშვნელობა განათლებული საზოგადოების შექმნა-ჩამოყალიბებაში და ამიტომაც მიუთითებს, რომ პირველ ყოვლისა, განათლებული უნდა იყოს მმართველი. „მსწავლელ არს მსგავსი ნათლისა დღისასა"... „რაზომ გამრავლდეს მეცნიერება სახელმწიფოსა შინა, ეგზომ უღელი მეფეთა შრომისა შეშხუბუქედების, ვინაითგან მეცნიერთა კაცთა ერთსა სიტყვთა უადვილდეს არს დამორჩილება, ვიდრე უგუნურთა ასითა განმარტებითა"[1]—წერდა ალ. ამილახვარი. ამრიგად, ავტორი გვიელინება სწავლა-განათლებისა და მეცნიერებისადმი ლტოლვის უდიდეს მქადაგებლად. ის პირნი, რომლებიც დადგენილნი არიან ხალხის ხელმძღვანელებად, იყვნენ განათლებულნი მეცნიერების სხივით, რადგან „ბრმას არ შეუძლია იყოს ბრმის წინამძღოლი". ცხადია, მოწინავე ევროპული აზროვნების, განსაკუთრებით კი მონტესკიეს გავლენა ამილახვარზე უდავოა. ალ. ამილახვარი კარგად ხედებოდა, რომ განათლებული ხალხი და განათლებული მმართველი ქვეყნისათვის მხოლოდ სიკეთის მომტანი იყო, რ დგან განათლებული ვერ სოდეს შეეგუებოდა გაუნათლებელ და უხეირო მმართველს, რომელსაც არ ეცოდინებოდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, ხოლო, განათლებული მმართველი, რომელსაც გაანალიზებული ექნებოდა წარსული და აწმყო, უკეთესად დაინახავდა მომავალს და განათლების შეტანით ხალხში ცხოვრებ ს გაუადვილებდა თანამემამულეთ.

ავტორს ქვეყანა ვერ წარმოედგინა აღებ-მიცემობისა და ვაჭართა ფენის გარეშე, რადგან ეკონომიკური განვითარება სწორედ ამას ემყარებოდა. ის აშკარად გამოდიოდა ვაჭრობისა და ვაჭრების დამცველად. არაფერი და არავინ ისე არ ამდიდრებდა ქვეყანას, როგორც გამრავლება ვაჭრებისა და გავრცელება ვაჭრობა-აღებმიცემობისა — გვეუბნება ავტორი, — ნურვინ ნუ შეურაცხყოფს ვაჭარს, რადგან ის არის „ხიმდიდრე ჭარისა" „შემოსავალი ერისა" და „დიდება მეფის.", ვაჭარი ჰგავს გონიერ ფუტკრს, რომელიც ყოველგან აგროვებს ხიტკბოებას და ამზადებს თაფლს. და, თუ ვაჭარი ჩვენ ხანდისხან კიდეც გვაწყენინებს, ჩვენ მას უნდა მოვეპყრათ ისეთივე მოთმინებით, როგორც ეპყრობა სკის პატრონი ფუტკარს, რომელიც მას ხშირად ნესტრავს ხოლმე. თავისი დროის

[1] ეკვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 234.

[2] М. П. Баскин. Монтескье. 1975 г., стр. 33.

[3] დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში. თბ., 1977 წ. გვ. 46.

[1] ეკვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, იქვე, გვ. 235.

ევროპულად განსწავლულ ამილახვარს ესმის რა დიდი სიკეთე მოაქვს ვაჭრობა-მეწარმეობის ეანეითარებას ქვეყნისათვის. რომ ქვეყნის წინსვლა შეიძლება მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის, თავისუფალი ინიციატივის გზით. არსებითად მას ესმის, რომ პროგრესის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, მისი დაცვა, ანუ ბურჟუაზიული—ყველა შეზღუდვებისაგან თავისუფალი—საკუთრება. ამიტომაც ავტორი მოითხოვდა ვაჭრებისა და ვაჭრობის თავისუფლებას. აქ აშკარად იგრძნობა ფრანგი განმან თლებლების ერთ-ერთი ფრთის—ეკონომისტ-ფიზიოკრატების გავლენა, რომელთა აზრით, კერძო საკუთრება, ბუნებრივი უთანასწორობა და თავისუფალი კონკურენცია იყო საზოგადოების ბუნებრივი კანონი. თვით სახელწოდება „ფიზიოკრატია" ნიშნავს საზოგადოებაში კანონების ბატონობას. სახელმწიფოს ყოველი ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში არის ბუნებრივი კანონის დარღვევა. ეს გახლდათ ბურჟუაზიის პირდაპირი მოთხოვნა ფეოდალურ-აბსოლუტური სახელმწიფოსადმი, — მიეცით სრული თავისუფლება კაპიტალისტური ურთიერთობისათვის. ფიზიოკრატების თეორიის ავტორი კენე თავის „ეკონომიკურ ტაბულაში" ამტკიცებდა ,რომ მარტო სოფლის მეურნეობა ქმნის ნამეტ პროდუქტებს მიწის რენტის სახით, მრეწველობა და ვაჭრობა კი — „უნაყოფოა; ამიტომაც მთელი ხიშტიმე გადასახადებისა ბურჟუაზიიდან უნდა გადასულიყო ფეოდალ მიწისმფლობელებზე. ეს უკვე გახლდათ სახელმწიფო ხელისუფლების მიმართვა თავადაზნაურობის წინააღმდეგ. დაახლოებით იდენტური მოსაზრება გააჩნდა ამის თაობაზე ტიურგოს — „პროგრესის თეორიის" ავტორს.[1] სხვათა შორის, ფიზიოკრატებზე ადრე ამგვარი თვალსაზრისები სულხან-საბა ორბელიანს ჰქონია[2], მაგრამ ჩვენ აქ მათ არ შეეხებით,, რადგან ეს კვლევის სულ სხვა სფეროა. ამდენად, შესაძლებელია, რომ ალ. ამილახვარი ფიზიოკრატულ შეხედულებებს ს. ს. ორბელიანის შემოქმედებიდან გასცნობოდა.

ალ. ამილახვარი გამოდიოდა მიწის მუშების ე. ი. გლეხების უდიდეს დამცველად. ის ვერ შეურიგდებოდა იმას, რომ მიწის მუშები, ხარისხით ითვლებოდნენ ყველა სხვა წოდებაზე დაბალ საფეხურზედ მდგომად; იმავე დროს, მათი შრომა უფრო საჭირო და სასარგებლო იყო სხვათა შრომასთან შედარებით. შეიძლება ადამიანს მოეთმინა ყოველგვარი გაჭირვება და ნაკლოვანება, მაგრამ არ შეიძლება მოეთმინა უპატრობა, რომელსაც ქმნიდა მიწის მუშა. ავტორი აქაც გამოხატავდა საზოგადოებრივი ჰარმონიის იდეას, იქნებ აქ უნდა ვეძიოთ საძირკველი გუთნისა და ხ�ფილოსოფიისა", რომელიც, იყო რა ალბათ ალექსანდრეს მხოფლმხედველობის ეკვაკუთნედი. XIII ს. II ნახევარში ქართველ ერს მოეკვლინა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მისი კეთილდღეობის ერთადერთ საშუალებად. ალ. ამილახვარი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოს სხეულის ნაწილები ერთმანეთზეა დამოკიდებული, ყველა ერთნაირად საჭიროა ერთმანეთისათვის, მათში ყველა თანასწორია. არც ერთ მათგანს არ შეუძლია დაიკვეხოს, მე სხვას ვჯობივარო. აქ ავტორი ყან ყაკ რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების" იდეალებისაკენ იხრება. ამ თავის განხილვისას უნებლიეთ გვაგონდება რუსოს უკვდავი სიტყვები, რომლებიც ადამიანებისაკენაა მიმართული: ხედავდე უსამართლობას და არ ჩაერიე, ეს ნიშნავს, რომ მონაწილე ხარ მისი.... ადამიანებო, იყავით ადამიანები. ეს თქვენი პირველი მოვალეობაა...

ალ. ამილახვარი აღიარებდა გლეხობის უდიდეს როლს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების საქმეში. იგი წერდა, რომ „მართალია, გლეხები წოდებით ყველაზე უკანასკნელი არიან სახელმწიფოში, მაგრამ პირველნი არიან სახელმწიფოს ყველა ფენას შორის, რადგანაც ისინი აწარმოებენ პირველი აუცილებლობისათვის საჭირო საგნებს, კვებავენ ყველას".[2]

ავტორი, ყურადღებას უთმობს კანონმდებლობასაც. მისი აზრით კანონმდებლობა ანგარიშს უნდა უწევდეს მდგომარეობას ფაქტას, ჩვეულებასა და ზნეს ერისას, რომლისთვისაც ეს კანონები იწერება, ერის ბუნებითს მიდრეკილებას. ქვეყანაზე არ არსებობს ისეთი იდეალური კანონმდებლობა, რომელიც ერთნაირად სასარგებლო ან საზიანო იყოს ყველა ერისათვის. დასახელებულ პირობათა დაუცველად კანონი სარგებლობის ნაცვლად ვნებას მოუტანს ხალხს, რადგან ეს ეწინააღმდეგება მის სულიერ მიდრეკილებას და შეზღუდავს მის თავისუფლებას. ალ. ამილახვარის ეს თვალსაზრისი დღესაც აქტიურად ეღერს; მომავალი დემოკრატიული საქართველოს მშენელობის საქმეში ზოგი გვთავაზობს დასავლურ რეცეპტებს და არსებითად არ ითვალისწინებს

---

[1] კ. ბაქრაძე, ძველი ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1969, გვ. 354.

[2] ვ. ჩანტლაძე, ს. ს. ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი. თბ., 1959 წ.

[1] ბ. გელეიშვილი, ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი. თბ., 1914 წ. გვ. 19-20.

[2] გ. დედიაბრიშვილი. ქართულ-რუსული ფილოსოფიური ურთიერთობის ისტორიიდან... გვ. 202.

ჩვენი ხალხის ადათ-წესებს, ჩვეულებ-ტრადიციებს, ისტორიული განვითარების თავისებურებებს. ყოველივე ეს საერთო-საკაცობრიო ფასეულობათა გათვალისწინება — მოგვცემს ქართულ ნიადაგზე დამყნობილ დემოკრატიულ საზოგადოებას. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, გეოგრაფიული თუ კლიმატური პირობები, ტემპერამენტი და სხვ. ესეც იცის ამილახვარმა — მონტესკიეს მოწაფემ.

ალ. ამილახვარი არსებითად კანონზე, სამართალზე დაფუძნებულ საზოგადოებას ქადაგებს, გვახსენდება ჟან-ჟაკ რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულება", რომელშიაც ნათქვამია: კანონი სხვა არა არის, თუ არა ხელშეკრულება, დადებული ერთმანეთს შორის / საზოგადოების წევრთა მიერ... ანდა, ერი თავისუფალია, როდესაც თავის მმართველს ადამიანად კი არა, კანონის იარაღად თვლის... თავისუფლებას მოკლებული კაცი მკვდარია და იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფოზეც... კანონი ადამიანთა კოლექტიური ნება-სურვილის გამოხატულებაა.

ამილახვარი, როგორც ჭეშმარიტი ჰუმანისტი ენერგიულად იბრძვის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ის თანახმაა წაეართვათ დამნაშავეს ყველაფერი, მაგრამ არა ის, რისი მიცემაც ჩვენ არ შეგვიძლია. ადამიანის მოკვლა შეუძლია ყველას, მისი გაცოცხლება კი .რავის. სახელის უმაღლეს ზომად ჩვენი ავტორი თვლის დამნაშავის საშშობლოდ ნ გაძევებას. ალ. ამილახვარი სიკვდილით დასჯის აკრძალვა-არაკრძალვაზე დღესაც კამათი მიმდინარეობს. ამილახვარი კი ამ ს მთითხოვდა XVIII ს-ის II ნახევარში. თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ფეოდალური საზოგადოებისა და მართლწესრიგის დეგრადაციას, ალექსანდრე ამილახვარი წარმოგვიდგება დიდ ჰუმანისტ ადამიანად, რომელზეც სწორედ ფრანგულმა განმანათლებლურმა იდეებმა მოახდინეს ზეგავლენა.

უაღრესად საყურადღებოა ტრაქტატის IX თავი, რომელიც მიმართულია სისხლისმსჯველი ომების წინააღმდეგ. მოაზროვნისათვის, რომელიც ვაჭოვიდა ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, გაუგებარი და დაუშვებელი იყო სამხედრო ძალთა დაპირისპირება, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა. სამხედრო ძალა იმდენად არის ავტორისათვის საზიზღარი, რამდენადაც ის მიმართულია ადამიანის სიცოცხლის ლახვრად, მაგრამ ის ხედავს, რომ ხშირად ზეტი ბოროტება მოიტანს ადამიანისათვის, ვიდრე სიკეთე. ის, ვინც დარიშხანით წამლავს ადამიანს, ბოროტად არის მიჩნეული, და ის პირები, რომლებიც ამილებით მეტ ხალხს ხოცავენ იარაღით, ხალხის გმირებად ცხადდებიან და უდიდესი აღიარებით სარგებლობენ. ხშირი უნდა ემსახურებოდეს მშვიდობიან საქმეს და მხოლოდ მაშინ იქნება ღირსი პატივისცემისა და სიყვარულისა. ალ. ამილახვარი გმობს მასობრივი ცლეტის იარაღის გამომგონებლებსაც და მის მომხმარებლებსაც. „არ-თუ შემომღებელი, მისი მომხმარებლითურთ ვაქო, და ხელნიცა მისიეე განზრახვით ჩვენდა მიცემულ იყოს ღმერთისაგან, განზრახვასაცა მისს შევეზარდები და, უძვირეს კბილთა მტაცებელთა მშევრაცხ, მას, ვიდრე ურწმუნულსად ასოდ კაცთათვის".[1] ალ. ამილახვარის ეს აზრი იდენტურია მონტესკიეს იდეებისა, რომელთა შორისაც ერთ-ერთი გახლავთ ომების წარმოშობის მიზეზების გარკვევა-ახსნა. იგი გმობს ომებს, როგორც კაცობრიობის ყველაზე დიდ უბედურებას და გვიჩვენებს, რომ ომის გაჩაღებით დაინტერესებულნი არიან ეხოლოდ ხაზოგადოების ნაძირალა ადამიანები, რომ დაპყრობითი ომების გაჩაღების წყარო ექსპლოატაციაზე აგებული პოლიტიკური წყობილებაა. მონტესკიეს აზრით, მშვიდობის დაცვა ყველა ხელმწიფეთა და ადამიანის წმინდა მოვალეობაა, ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ამდენად, მონტესკიე და ამილახვარი გვევლინებიან მშვიდობისა და თავისუფლების მქადაგებლებად.

დასასრულ, ალ. ამილახვარი ურჩევს ყველას, ყველას, გონების თვალით განვიხილოთ ამქვეყნად თავისი დანიშნულება — ჩაიხედონ ხაკუთარი გონების ს რკეში, დაუკვირდნენ „ფულისსმიერად" და დაინახონ, რომ ადამიანის მთელი სიცოცხლე შედგება 3 მთავარი ეტაპისაგან. ჭირითა და ვაებით შობა, შრომით ცხოვრება და სულ მალე არარად ქცევა, სიკვდილი. მაგ-

[1] ექვთ. თაყაიშვილი. არქეოლოგ. მოგზ. და შენიშვნები. წ. I, ტფ. 1907 წ. გვ. 33.

რამ, თუ ჩვენი გონება დაბინდულია ჩვენივე თავმოყვარეობის ორთქლით, მაშინ ჩვენი გონება ადგება შემცდარ გზას და შორდება ჭეშმარიტებას, მაშინ ჩვენ ყველაფერი გვეჩვენება არა ისე, როგორც ის სინამდვილეშია, არამედ სულ სხვანაირად: ჩვენი ამქვეყნად მოსვლა მოგვეჩვენება არა ტკბილად, არამედ შვებად, წუთიერი ჩვენი სიცოცხლე არა შრომად, არამედ განცხრომად.

ყოველივე ის, რაც ალ. ამილახვრის ფილოსოფიურ-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომში „ბრძენი აღმოსავლეთისა" გვხვდება, ძირითადად შეესატყვისება ყველა დროისა და ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა სულისკვეთებას. იგი კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლთა ზრუნვის საგანია დღეს აც. ბევრი ქართველი მოაზროვნის შემოქმედებაში ნათლად ჩანს ქართული ფილოსოფიური აზროვნების ღრმა ცოდნა და მისი შეჯერება დასავლურ ფილოსოფიასთან. ალ. ამილახვარი იყო ის პიროვნება, ვინც ჯერ ჯერობით რუსეთთან შეერთებამდე რატომღაც ჩვენში ფრანგი ფილოსოფოსების მიერ თეორიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მოდელის — განათლებული აბსოლუტიზმის დამკვიდრებას.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ